საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

მ. ღუმბაძე

აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან

(XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი 1953

პ/მგ. რედაქტორი საქ. სსრ მეცნ. აკადემიის (ნამდვილი)
წევრი პროფ. ნ. ბერძენიშვილი

წინასიტყვაობა

საინგილოსადმი ქართველი საზოგადოებრიობის - ინტერესი დიდია. ეს აიხსნება საქართველოს ამ ისტორიული პროვინციის განსაკუთრებული ხვედრით, რომელიც მას ერგო ჩვენი ქვეყნის ფეოდალური დაშლილობისა და ოსმალეთ-ირანის მტაცებლურ სახელმწიფოთა შემოსევების შავბნელ ხანაში.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საინგილოს შესახებ არსებული მეცნიერული ლიტერატურის მეტად ღარიბი ფონდის ნაწილობრივ შევსებას. ვფიქრობთ, რომ ეს მცირეოდენი წვლილი გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველებს.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აღმოსავლეთ კახეთის—საინგილოს წარსულის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც თავის ცნობილ ნაშრომებში, „XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან“ და „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან“, საქართველოს ამ ისტორიული პროვინციის ძველი თავგადასავლის უმთავრესი მოვლენები გააშუქა. მანვე ჩვენ მიზნად დაგვისახა აღმოსავლეთ კახეთის გვიანდელი (XIX ს.) ისტორიის შესწავლა და სათანადო სახელმძღვანელო მითითებებიც მოგვცა.

წარმოდგენილი თემისადმი ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგი იყო ჩვენთვის სათანადო პირობების შექმნა, რომ შედარებით მოკლე ხანში შეგვესწავლა ის უხვი მასალა, რომელიც თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ინახება. გარდა ამისა, მოგვეცა თვენახევრიანი მივლინება ბაქოსა და მახაჩკალის საისტორიო არქივებში, სადაც, აგრეთვე, ჩვენი თემისათვის ბევრი და ძვირფასი დოკუმენტი აღმოჩნდა. საინტერესო მასალა შევაგროვეთ საინგილოში ერთთვიანი მივლინების დროსაც. საარქივო მასალებთან ერთად შესწავლილ იქნა არსებული ლიტერატურული წყაროებიც.

თემაზე მუშაობის დაწყებისას განზრახული გვქონდა მოგვეყვანა ნარკვევი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მაგრამ ამ მეტად რთული ამოცანის დაძლევა საკმაოდ ხანგრძლივ დროს საჭიროებდა მიუხედავად იმისა, რომ მასალის ძირითადი ნაწილი

ხელთ გვქონდა. ამიტომ ნაშრომი შემოვფარგლეთ რეფორმამდელი პერიოდით, ხოლო ნარკვევის გაგრძელება მომავლისთვის გადავდეთ. თემის ასე გაყოფა გამართლებულია აღმოსავლეთ კახეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მსვლელობით; XIX საუკუნის 60—70-იანი წლებიდან აქაც მიმდინარეობდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების წარმოშობა-განვითარება.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია დიდი მადლობა მოვახსენო ჩემს მასწავლებელს საქ. სსრ მეცნ. აკად. ნამდვილ წევრს პროფ. ნ. ბერძენიშვილს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც მან გამიწია წარმოდგენილი ნაშრომის განხორციელებაში.

საარქივო მასალების გამოვლინებაში დახმარების გაწევისათვის მადლობას მოვახსენებ თბილისის ცენტრალური არქივის მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით კი საისტორიო არქივის დირექტორს აბ. ოვიძეს და მეცნიერ თანამშრომელს შ. ხანთაძეს.

ცალკეული შენიშვნების მოწოდებისა და სხვა დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ პროფ. ტ. ხუნდაძეს, დოცენტებს ვ. ფუთურიძეს, მ. ბერძნიშვილს, გ. ლომთათიძეს, მეცნ. თანამშრ. დ. მეგრელაძეს და სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ივ. სიყვაშვილს (ალბათ, ციყვაშვილს).

ავტორი

თავი პირველი

სოციალურ-ეკონომიური ვითარება აღმოსავლეთ კახეთში XIX ს. I მესამედში

1. აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობა

იმ ტერიტორიას, რომელიც ახლა საბჭოთა აზერბაიჯანის კაბის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებს შეიცავს, XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში საინგილო ეწოდებოდა, ხოლო რუსულში — ჭარ-ბელაქანი, ელისუს სასულტნოს ჩათვლით. გეოგრაფიული სახელი საინგილო ინგილოებით დასახლებულ ქვეყანას აღნიშნავდა, „ხოლო „ინგილო“ XIX საუკუნეში ეწოდა ამ ქვეყნის მკვიდრ უძველეს ქართველ მოსახლეობას (უკეთ, ამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს)“ [1].

XIX ს. ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ჭარ-ბელაქანი, ელისუს სასულტნოს ჩათვლით, მდებარეობდა მდ. ყანი-ყობსა (აღმოსავლეთით) და გავაზის-წყალს (დასავლეთით) შორის [2]. სამხრეთ-დასავლეთით მას ჩაუდიოდა მდ. ალაზანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით—აგრი-წყალი (ალაზნის შენაკადია), ხოლო ჩრდილოეთით საზღვარი გადადიოდა კავკასიონს გადაღმა და ებჯინებოდა ხორავის მთაგრეხილს, რომელიც მდ. სამურის ჩრდილო შენაკადის — ყარა-სამურის სამხრეთით მდებარეობს. სამურის ზემო წელში მდებარე

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მოკლე პოლიტიკური ცნობა). „მიმომხილველი“, ტ. III, 1953, გვ. 67.

[2] ყანი-ყობი იგივე ყარა-სუ იყო (Д. Бакрадзе. Заметки о Закат. окр. გვ. 249). ლინეიჩი აღმოსავლეთ საზღვრად თვლიდა აგრი-წყლის შენაკადს — კაშკა-ჩაის (Карта бывшего Елисуйского Султанства. Сборник свед. о Кав. Горцах, вып. VII, 1873). ყარა-სუ კაშკა-ჩაიდან 5 კილომეტრის დაშორებით, დასავლეთით ერთვის აგრი-წყალს. ამ ორ მდინარეს შორის მდებარე რამდენიმე სოფელი მართლაც სულტანს ეკუთვნოდა. აღნიშნული სხვადასხვაობა შეიძლება ადმინისტრაციული ფარგლების ცვლილებას მიეწერებოდეს (მითითებულ რუკას შეადარე Пятиверстная карта Кавказского Края. Тифлис. 1913, Закатальский округ).

იხილე ბოლოს დართული დამოწმებული ლიტერატურის სია.

6 სოფელი (საბჭოთა დაღისტნის რუთულის რაიონის ერთი ნაწილი), რომელიც ე. წ. „წახურის მაჰალს“ შეადგენდა, ელისუს სასულტნოში შედიოდა[1]. შემდეგში, 1860 წ., რუსეთის მმართველობამ ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს, რომელიც საინგილოს ადმინისტრაციულ გაერთიანებას გულისხმობდა, „წახურის მაჰალი“ ჩამოაცილა, რითაც ამიერიდან რუსულ ლიტერატურაში უკვე „ზაქათალის ოლქის“ სახელით ცნობილი ადმინისტრაციული ერთეულის ჩრდილო საზღვარმა კავკასიონის ქედზე გადმოინაცვლა.

ჭარ-ბელაქანი, როგორც პოლიტიკური ერთეული, მე-18 ს. მიწურულსა და მე-19 საუკუნის დამდეგს შეიცავდა ელისუს სასულტნოსაც, რომელსაც საკუთრივ ჭარ-ბელაქნისაგან ჰყოფდა მდ. ყაფუ-ჩაი და მუხახის-წყალი.

წარსული საუკუნის ლიტერატურაში ჭარ-ბელაქანი შემოკლებით ჭარის სახელითაც აღინიშნებოდა. ეს იმიტომ, რომ სოფ. ჭარს ხანგრძლივ ეპყრა პოლიტიკური პირველობა მთელს ოლქში.

ჭარ-ბელაქანი ანუ საინგილო არის საქართველოს ისტორიული პროვინცია, რომელიც კერძოდ კახეთის აღმოსავლეთ უბანს შეადგენდა. ამიტომ იგი თანამედროვე საისტორიო ლიტერატურაში აღმოსავლეთ კახეთის სახელითაც იხსენიება[2]. აქვე უნდა ითქვას, რომ კახეთის ეს ნაწილი არ წარმოადგენდა ისტორიული საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ კუთხეს. ასეთ კუთხედ იგი მხოლოდ გვიან გახდა. ეს იყო უმთავრესად აღმოსავლეთის მომთაბარე მაჰმადიანური ტომებისა და ოსმალეთ-ირანის აგრესიის შედეგი. ამავე აგრესიის შედეგად, დაღისტნელი მომთაბარეების გამუდმებული შემოტევის პირობებში და საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ნიადაგზე, მე-18 საუკუნის 20-იან წლებში კახეთის სამეფოს საინგილოც ჩამოსცილდა. იგი ცალკე პოლიტიკურ ერთეულად იქცა. ეს მოვლენა კი იყო აღმოსავლეთის მხრიდან საქართველოს ისტორიული მიწა-წყლისა და მოსახლეობის თანდათანობითი დაკარგვის მორიგი ტრაგიკული აქტი.

„უძველეს დროიდან ეს ქვეყანა (საინგილო, მ. დ.), — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — ისევე როგორც აწინდელი კახეთის

[1] შეადარე: Карта бывшего Елисуйского султанства და Карта Дагестанской АССР, 1947.

[2] Петрушевский. Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX в. Тифлис, 1934 г., გვ. 10, 12, 13; Писаревский. Уничтожение в Закатальском округе зависимых отношений... გვ. 94; ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 67.

დიდი ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი აზერბაიჯანი (ყოფილი შაქის ოლქი ანუ ნუხის მაზრა), დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით, რომელთა საერთო ქართული სახელი — ჰერეთი უკვე V საუკუნეში არის დამოწმებული"[1].

ქართულ-ქრისტიანული მოსახლეობის გავრცელების არე არ იფარგლებოდა მარტო ჰერეთით, რომლის უკიდურესი ნაწილი ქ. გიში იყო. „ქართველი" (ქრისტიანი) მოსახლეობა შარვანის დასავლეთ ნაწილშიაც იყო. ამიტომ ეს ნაწილი XII საუკუნეში საქართველოს საზღვრებში შემოიტანეს და „ამიერიდან საკუთრივ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი შამახიის ახლოს, მისგან ოდნავ დასავლეთით მდინარე თეთრ წყალზე (აწინდელი აყ-სუ) გადიოდა"[2].

მიუხედავად მონღოლთა შემოსევებისა და მათი გაბატონებისა საქართველო მტკიცედ ინარჩუნებდა თავის ძლიერ კულტურულ გავლენას დაღისტანზე. მე-13 ს. დასასრულს ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა თავისი ქადაგება ბელაქნიდან „ლეკეთშიაც" გადაიტანა — „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა" და გააქრისტიანა[3].

მე-13 ს. მიწურულიდან გამაჰმადიანების გზაზე შემდგარი საილხანოს მონღოლები შეუნელებლივ დევნიან ქრისტიანებს. მონღოლ-თათართა მომთაბარე ტომები თანდათანობით მრავლდებიან საარიშიანოში (ჰერეთ-შაქის პროვინციაში) და ავიწროებენ ქართველებს. ამ პროცესის შედეგი იყო ის, რომ XIV ს. მიწურულში საქართველოს ჩამოსცილდა საარიშიანოს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც „შაქის სახანოდ" იქცა. იქ მყოფ მკვიდრ ქართველობას დევნიდა და ძალდატანებით ამაჰმადიანებდა მონღოლების პოლიტიკური და სოციალური ბატონობა. შაქის სახანოს გაჩენის დღიდან საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი ჰერეთის საერისთაო იყო.

ჯერ კიდევ XI საუკუნეში თურქ-სელჩუკიან მომთაბარეების მიერ დაწყებულ საქმეს ფაქტიურად აგვირგვინებდა თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევები XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, რომლებმაც უდიდესი ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანას.

„სამასწლოვანი ბრძოლა ველურ მომთაბარეთა წინააღმდეგ,—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — საქართვე-

[1] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[2] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[3] ეამთააღმწერელი. გვ. 731; ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, გვ. 11.

ლოს დამარცხებით დამთავრდა. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური წამოწყება მოიშალა. საქართველომ ვერ განახორციელა დიდი ამოცანა კავკასიის გაერთიანებისა; მეზობელი ქრისტიანული ქვეყნებიც მან საბოლოოდ დაჰკარგა და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ მარტოდ-მარტო აღმოჩნდა. მიწისწფლობელობისათვის მებრძოლმა ველურმა მომთაბარეებმა მაჰმადიანობა თავის ალამად აღიარეს და „უსჯულოთა“ (ქრისტიან მიწისმფლობელთა) წინააღმდეგ ბრძოლა „საღმრთო საქმედ“ გამოაცხადეს. თემური ამ „მაჰმადიანური“ პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო. ქრისტიანობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, ქრისტიანობის მოშლა და მის ადგილზე მაჰმადიანობის დანერგვა დამახასიათებელი იყო თემურის პოლიტიკისათვის კავკასიაში“ [1].

ასეთ ვითარებაში თანდათანობით ქრება საქართველოს ბარის გავლენა დაღისტანზე, სადაც XV საუკუნიდან ქრისტიანობა სუსტდება და მის ადგილს მაჰმადიანობა იკავებს.

XVI საუკუნეში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამიერიდან თურქმანული სახელმწიფოს ნაცვლად ყიზილბაშური ირანი უტევდა საქართველოს. კახეთის სამეფოს ყიზილბაშებმა ჩამოაცილეს მდ. სამურის ზემო წელში მდებარე წახურის (წახეთი) ქრისტიანული ქვეყანა და ირანის შაჰისაგან უშუალოდ დამოკიდებული გახადეს იგი. „აქამდე საქართველოს გავლენა-მორჩილების ქვეშ მყოფი დაღისტანი თანდათან შეტევაზე გადმოვიდა და ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, კაკ-ენისელისა და ჰიაურის სამოურავოებს აოხრების უშუალო საფრთხე შეუქმნა“ [2].

მიუხედავად წახურის პოლიტიკურად ჩამოცილებისა, იქ მყოფი მოსახლეობა დიდხანს იცავდა თავის ქრისტიანობას, მაგრამ ბოლოს მან მაჰმადიანთა მოძალებას ვერ გაუძლო და მაინც გადაგვარდა [3]. წახურის მფლობელი ირანის შაჰის განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ გამოცხადდა. 1562 წ. შაჰ-თამაზი ლევან კახთა მეფეს აფრთხილებდა, რომ წახურის ბატონი არავის შეევიწროებინა, რადგან იგი შაჰის „უერთგულეს მსახურთა შორის ირიცხებოდა“ [4].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 73—74

[2] იქვ., გვ. 75. XV საუკუნეში გაუქმდა „ჰერეთის სერისთაო“ და მის ნაცვლად შეიქმნა სამოურავოები — კაკ-ენისელისა და ჰიაურისა.

[3] ეს ჩანს ლინევიჩის მიერ ჩაწერილი ერთი ზეპირ-გადმონაცემიდანაც (Линевич. Бывшее Елисуйское султанство, გვ. 16). ლინევიჩის ცნობას იმეორებს სხვა ავტორიც (Линден. Высшие классы корен. насел. Зак. გვ. 125).

[4] Акты, Т. II, გვ. 1085.

XVI საუკუნეში კახეთში მცირე რაოდენობით უკვე ჩანდა დაღისტნური მოსახლეობა. „მწირი დაღისტნის შვილები კახთა მეფეების ყმობის პირზე ესახლებოდნენ ხოლმე მდიდარი კახეთის (=ჰერეთის) ზეგნებში. ასე შეიქმნა, მაგალითად, XVI საუკუნეში ავარიელთა მოსახლეობა სოფელ ფიფინეთში (=ჭარი)“ [1]. ეს მოხდა ლევან კახთა მეფის დროს [2].

დაღისტნური მოსახლეობის კახეთში მომრავლებისა და მათი მძარცველური თავდასხმების მიზეზები, კერძოდ, ამავე დაღისტნის შთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ წყობილებაშია საძებარი.

ჯერ კიდევ 1921 წ. ამხანაგი სტალინი დაღისტანს იხსენიებდა იმ ქვეყნებს შორის, რომელთა მოსახლეობას „მეტწილად შეუნარჩუნებია მეჯოგური მეურნეობა და პატრიარქალურ-საგვარეულო ყოფა-ცხოვრება...“ [3] მე-16 — 17 საუკუნეებში დაღისტანის საზოგადოებრივი წყობილება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ჩამორჩენილი იქნებოდა.

დაღისტანი პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ფეოდალური სამთავროების — სახანოების გვერდით ეს მხარე დაფარული იყო ორმოცზე მეტი ტომობრივ-თემური საზოგადოებით: რუთულის, ანდიის, სალათავის, ანწუხის, თებელის, კაპუჩის, ჩამალიალის, უნკრატლის, დიდოს, ახვახის, თლეისერუხის, კარახის, აკუშისა და სხვ.

სოციალურ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით ქვეყანა არ წარმოადგენდა ერთ მთლიანს. გაბატონებულ არქაულ წყობილებასთან ერთად დაღისტნის რიგ რაიონებში, უფრო კასპიის ზღვის ნაპირის ახლო-მახლო, არსებობდა როგორც ადრეულ-ფეოდალური, ისე განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა, თუმცა ძალზე ნელის ტემპით, მაგრამ მაინც თავისუფალ თემებშიაც იჭრებოდა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. წერილი, გვ. 75. შეადარე: საქართველოს ისტორია, 1946 წ., გვ. 368. პეტრუშევსკი ფიქრობს, რომ დაღისტნური მოსახლეობა კახეთში XIV — XV საუკუნეებშიაც უნდა ყოფილიყო (Петрушевский, Джаро-белак. вольн. общ. გვ. 11). ეს განცხადება დაუსაბუთებელია და სწორი არაა.

[2] ამის შესახებ ვახუშტი გადმოგვცემს: „...ხოლო მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა ე მეფემან ლევან ლეკნი, რათა უხიდონ ზაფხულს კავკასიიდამ ყინული და იყო არჩილადმდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა...“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ. გვ. 96).

[3] ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 27.

მთიანი დაღისტნის მთელი მოსახლეობა თავს „უზდენს“ თავისუფალს ეძახდა. მაგრამ თემებში შეჭრილი ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად უკვე იწყებოდა ზედაფენის გამოყოფა. ამ ფენაში უპირველეს ყოვლისა ექცეოდნენ საგვარეულოთა უფროსები, რომლებიც თანდათანობით იქვემდებარებდნენ უზდენებს [1].

საქართველოს დაღისტნის მთიანი ნაწილი ემეზობლებოდა. ტომობრივ-თემური გაერთიანებები კავკასიონის გადაღმიდან საქართველოსაკენ მომავალ გზებზე მდებარეობდნენ. რუთულის, დიდოს, კაპუჩის, ჭურმუთის, ტაშის, თებელის, ანდიის, ანწუხისა და სხვ. თემები ძირითადად მეჯოგე-მომთაბარეებს ეკავათ [2].

პატრიარქალურ-საგვარეულო წყობილებას, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავდა დაღისტნური თოხუმი (თუხუმი). ეს იყო გვარი, ნათესავთა კავშირი, რომელიც აერთიანებდა მამრობითი ხაზით ჩამომავალ ნათესაურ ჯგუფებს. თოხუმი სახელწოდებას თავისი დამფუძნებლისაგან იღებდა. ყოველ თოხუმს ჰყავდა მეთაური, რომელიც საგვარეულოს საშინაო საქმეებს ხელმძღვანელობდა, სჯიდა „ადათის“ დამრღვევლებს და რჩევა-დარიგებებს იძლეოდა [3].

საგვარეულო ორგანიზაციის განვითარების შემდგომი საფეხური დაღისტანში იყო ცალკეული გვარების გაერთიანება „თავისუფალ თემებში“. საგვარეულო კავშირები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და იქმნებოდა ტომობრივ-თემური ორგანიზაცია. თემობრივ დაჯგუფებაში რამდენადმე ძალას ჰკარგავდა ნათესაური, ჩამომავლობითი კავშირის პრინციპი და მეტი ყურადღება ექცეოდა გვარების, „სახლების“ გეოგრაფიულ სიახლოეს. თემს, გვარების კავშირს, ჰქონდა მეტნაკლებად ორგანიზებული მმართველობა, რომელსაც ადრეულ საფეხურზე თანაბარუფლებიანი მოთემეები აწყობდნენ.

პრიმიტიულ წყობილებას მეტად მარტივი მეურნეობა შეესაბამებოდა. ეკონომიურ განვითარებას ხელს არ უწყობდა ქვეყნის ბუნებრივი პირობებიც. მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო.

იქ, მთიან ქვეყანაში, როგორც საერთოდ, სათესფართობთა რაო-

---

[1] Р. Магомедов. Дагестан в период царского завоевания, გვ. 12.

[2] მომთაბარე ტომები ამიერკავკასიაში XIX საუკუნეშიაც საკმაოდ იყვნენ. ამის შესახებ იხ. პროფ. გუგუშვილის ნაშრომი „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“ (ეკონომიკის ინსტიტუტის შრ., ტ. I, 1946, გვ. 39 — 40).

[3] Адаты Дагестанской области и Закатальского округа под ред. Сандрыгайло, გვ. 2.

დენობა ძალზე მცირე, ხოლო ნიადაგი მეტად მოუსავლიანი იყო. იგი სრულებით ვერ ანაზღაურებდა მწარმოებლის შრომას. მაგალითად, დაღისტნის სამურის ოლქში პურის მოსავალი (XIX ს. მიწურულს) უდრიდა ერთზე ერთ ნახევარს ან, უკეთეს შემთხვევაში, ორ ნახევარს[1]. ასეთი მოსავალი მოსახლეობას მხოლოდ 3 თვის განმავლობაში ყოფნიდა[2]. ვერც მესაქონლეობა იყო იმდენად დაწინაურებული, რომ მთიელებს მეცხოველეობის პროდუქტების გაცვლით პურის დანაკლისი შეევსოთ. ასევე ითქმის შინამრეწველობაზეც, რომელიც დაღისტანში მეტნაკლებად განვითარებული ჩანდა. პრიმიტიულ ნატურალურ გაცვლა-გამოცვლას იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ეკონომიკა უმწეოდ გამოიყურებოდა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მცხოვრებთა პირველი მოთხოვნილების საგნებით დაკმაყოფილება. სავაჭრო ცენტრებისაგან დაშორებული, მიყრუებული მთის სოფლები იშვიათად თუ ებმებოდნენ სასაქონლო ურთიერთობაში.

პატრიარქალური წყობილების მთელ ჩამორჩენილობას ახასიათებდა „ადათის“ განუხრელი ბატონობა. ადათი იყო ცხოვრების მანძილზე გამომუშავებული ჩვეულებებით განმტკიცებული ზეპირი სამართალი — თავისებური „კანონი“, რომელიც ზეპირადვე გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ადათი დაღისტნის მთიანეთის პოლიტიკური ცხოვრების „ძირითადი მარეგულირებელი და წამმართველი ძალა“ იყო[3]. მაგრამ იგი როდი წარმოადგენდა საყოველთაოდ დადგენილ, ჩამოყალიბებულ და ერთიან სამართალს. თითქმის ყოველ თემს მეტნაკლებად განსხვავებული ადათი ჰქონდა.

ადათის მიხედვით, ბოროტმოქმედის მიერ დაზარალებული პიროვნება სავსებით შეუზღუდველი იყო. მას საკუთარი ნებით, ეინიანობით, ძალით შეეძლო სამაგიეროს გადახდა, შურისძიება, სისხლის აღება. პირადი საქმეების გადაწყვეტაში თემი, სოფელი უმეტეს შემთხვევაში არ მონაწილეობდა[4].

ადათი იცავდა სიბნელესა და უვიცობას. იგი ახშობდა დაღისტნელ ტომთა განვითარების გზებს და აკონსერვებდა პატრიარქალურ წყობილებას.

დაღისტნის მთიანეთი იმ დროს, საწარმოო ძალთა აგრეგანუვითარებლობისას, მოსახლეობას ვერ აძლევდა მტკიცე ბინა-

---

[1] Обзор Дагестанской области за 1899 г., Т.-Х.-Шура, 1900, 51.
[2] რ. მაჰომედოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 10.
[3] იქვე, გვ. 15.
[4] Адаты Дагестанской обл., გვ. 9, 15.

დარი ცხოვრების მოწყობის საშუალებას. ამავე დროს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება, თუმცა ნელა, ფეოდალიზაციის გზით მიდიოდა [1]. შეიმჩნეოდა საზოგადოებრივ ძალთა კლასებად დაჯგუფების პროცესის გაღრმავება. საგვარეულოთა უფროსები, სათემო ორგანიზაციის მეთაურები, სასულიერო პირები თანდათანობით ძარცვავდნენ თავისუფალ მოთემეებს. ჩნდებოდნენ ე. წ. „ბელადები", წინამძღოლები, თავდასხმათა მოწყობის ოსტატები, რომელთა მოწოდებას ადვილად მიყვებოდნენ საზოგადოების დაბალი ფენებიც.

მიწათმოქმედებისა და საქონლადი ურთიერთობის განუვითარებლობის პირობებში, საარსებო მინიმუმს მოკლებულ მეჯოგეთმიელებს არ შეეძლოთ სამიწათმოქმედო პროვინციებისაგან დამოუკიდებლად არსებობა. დაღისტნელ მთიელებს ნებით თუ უნებლიეთ, პირდაპირ, ძალადობის გზით უნდა მიეთვისებინათ მეზობელი ტომის, ან ხალხის წარმოების პროდუქტები, ან კიდევ ეძებნათ ნაყოფიერი საბინადრო ადგილები, ჩამოსულიყვნენ ბარში სამუშაოს საძებრადაც.

საქართველოს მეზობელი მთიანი დაღისტნის რუთულის, სამურის, თებელის, დიდოს, ანწუხის, კაპუჩისა და სხვ. რაიონებიდან მთიელები პერიოდულად გადმოდიოდნენ კავკასიონის გადმოლმა. მთავარი გზა მოდიოდა პირაქეთი სოფლის სარუბაშის გავლით, კავკასიონის სამხრეთ ფერდობის გაყოლებით. ეს გზა მოსდევდა მდ. ქურმუხის ხეობას და სოფ. ელისუში შემოდიოდა. საინგილოს ტერიტორიაზე მყოფი ეს სოფელი მალე გადაიქცა კახეთის წინააღმდეგ მიმართულ შემოსევათა ერთ-ერთ ბაზად.

ელისუსთან ერთმანეთს ერწყმის ორი ხეობა, რომელთა შორის ამართულია მდ. ქურმუხის წყალგამყოფი ვეება მთაგრეხილი. ამ მთაგრეხილს უპირისპირდება საკუთრივ ელისუს მთა, რომლის მწვერვალზე, მოგვიანებით, XIX საუკუნეში, რუსეთის მთავრობამ ციხე ააშენა. ეს ციხე ჰკეტავდა საინგილოში შემოსასვლელ ორივე ხეობას.

არა მარტო მთიანი დაღისტნის „თავისუფალი თემების" მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ესხმოდა თავს საქართველოს, ან ჩვეულებრივ ჩამოდიოდა ამ ქვეყანაში; საქართველოს კიდევ უფრო მეტად ძარცვავდნენ დაღისტნის ფეოდალური სამფლობელოებიდან. მძარცველურ რაზმებს მეთაურობდნენ ფეოდალები — ხანები, ბეგები და მათი აგენტები. ამ ფეოდალებისათვის საქართველოდან

[1] Р. Магомедов. Дагестан в эпоху татаро-монгольского ига. 1940, გვ. 19.

მიღებული ნადავლ-ნაქურდალი შემოსავლის მეტად სერიოზული წყარო იყო. ეს ნათელი გახდა მაშინაც, როცა ისინი რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს შეერთებით დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რადგან ჰკარგავდნენ აღნიშნულ შემოსავალს [1]. ამის შესახებ დაღისტნელი საბჭოთა ისტორიკოსი რ. მაჰომედოვი წერს:

„ისინი ერთბაშად ჰკარგავდნენ იმ მნიშვნელოვან შემოსავალს, რომელსაც აქამდის ღებულობდნენ თავიანთი ქურდული შემოსევებით საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

„ეს შემოსევები უდიდეს როლს ასრულებდნენ ადგილობრივი ფეოდალი მფლობელებისა და საგვარეულო უფროსთა ცხოვრებაში. ყოველწლიურად, გაზაფხულზე, მთის ფეოდალები იერეგოდნენ მეზობელ რაიონებში, აჩანაგებდნენ, ძარცვავდნენ მათ, იტაცებდნენ ათობით და ასობით ტყვეებს და უკან ბრუნდებოდნენ. ამ ქურდულ შემოსევათა შედეგად განსაკუთრებით ძლიერ იტანჯებოდა საქართველო“ [2].

მომთაბარე თუ ნახევრად მომთაბარე ტომების არსებობის ერთ ძირითად წყაროს, როგორც ითქვა, წარმოადგენდა ძარცვა-გლეჯა, ნადავლი. ამიტომ ჩამოსახლებულები და დაღისტნიდან მოდენილი ახალი ტალღები თავიდანვე უდიდეს ზიანს აყენებდნენ დაწინაურებული და მდიდარი, განვითარებული მიწათმოქმედების მქონე კახეთის მოსახლეობას [3].

საძოვრების, სამუშაოს საძებრად თუ ძარცვა-გლეჯის მიზნით კახეთში ჩამოსული მთიელები ეცნობოდნენ მკვიდრი მოსახლეობის ინტენსიურ მეურნეობას, სიმდიდრეს და აქ დარჩენის გუნებაზე დგებოდნენ. გარკვეულ დრომდის, ვიდრე მთელი სიმძაფრით არ გამოვლინდა დაღისტნელთა შემოსევების გამანადგურებელი ხასიათი, სამეფო ხელისუფლება არ ეწინააღმდეგებოდა

---

[1] Р. Магомедов. Дагестан в период царского завоевания. 1940, გვ. 7.

[2] იქვე.

[3] ჩამოსახლებულთა გამუდმებულ მძარცველურ-ავაზაკურ თავდასხმებს კახეთში უსაფუძვლოდ უარყოფს პეტრუშევსკი, თუმცა იგი მიახლოებით, ნაწილობრივ სწორად ხსნის კახეთში დაღისტური მოსახლეობის დენის მიზეზებს: „В условиях земледельческо-скотоводческого, полукочевого хозяйства дагестанцы, зимние пастбища (кишлаги) которых находились на южной стороне Главного хребта, периодически перекочевывали сюда и при Грузинском (кахетинском) владычестве. Это обстоятельство, как и малоземелье, привлекло дагестанцев в Кахетию небольшими группами“ (დასახ. ნაშრ., გვ. 11).

შათ ჩამოსახლებას, რადგან ისინი მეფის სასარგებლოდ იბეგრებოდნენ; მათ დაკისრებული ჰქონდათ სამხედრო სამსახური. მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა. დასაწყისში უვნებელი „ყმა-მოლაშქრეები“, თანდათანობითი მომრავლების შემდეგ, სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდნენ.

მე-16 ს. მიწურულში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც დამყარდა თურქ-ოსმალური სახელმწიფოს ბატონობა. ოსმალო ავაზაკებმა ფართო გზა გაუხსნეს ტყვის ყიდვას და ამ საქმეში ჩააბეს დაღისტნელი აბრაგები, რომელთათვის ქრისტიანი ტყვეების ტაცება და გაყიდვა სარფიან საქმედ იქცა. დაღისტანში, კასპიის ზღვის ნაპირზე მდებარე სამთავრო, ე. წ. საშამხლო, ოსმალეთის მხარდაჭერითა და მფარველობით უდიდეს ზიანს აყენებდა კახეთს. შამხალი დაღისტნელ აბრაგთა კახეთზე გამუდმებული თავდასხმების ორგანიზატორი გახდა [1].

მე-17 ს. დამდეგს შაჰ-აბასმა კახეთს ჩამოაცილა აღმოსავლეთით მდებარე რაიონი, რომელიც წახურის მფლობელ ალი-ბეგს მისცა, ეს უკანასკნელი სულტნის პატივში აიყვანა და თავისი მფარველობის ქვეშ გამოაცხადა [2]. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ელისუს სასულტნოს და ამიერიდან კახეთის მიწა-წყალზე „თანდათან იწყეს ჩამოსხდომა მთის გადაღმიდან წახურელმა მოახალშენეებმა“ [3]. ოსმალეთის სულტნისა და ირანის შაჰის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მყოფმა ელისუს (კაკის) სულტანმა მათგან თავისი მფლობელობის დამამტკიცებელი სიგელებიც მიიღო.

როგორც ვხედავთ, საქართველოს საზღვარი აღმოსავლეთიდან თანდათანობით ვიწროვდებოდა და მკვიდრი ქართველი მოსახლეობა ქრებოდა, ან გადაგვარების გზით მიდიოდა. ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა შაჰ-აბასის მრისხანე შემოსევათა შემდეგ.

1616 წ. შემოსევის დროს ირანელმა დამპყრობლებმა ნაგრევებად აქციეს კახეთი. 100 ათასამდე ქართველი მებრძოლი შეაკვდა მტერს. ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა. „მშვიდობიან ქვეყანაზე საშინელმა გრიგალმა გადაიარა. დაიცალა და

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII ს.ს. მიჯნაზე (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. 1, გვ. 13 — 15).

[2] „... მოვიდა შაბაზ დაპყრობად ერევნისა, ქს ჩქბ... შემდგომად აღებისა ერევნისა მიუღო ალექსანდრეს კაკი...“ (ვახუშტი. ცხოვრება კახეთისა. ქ. ცხ. ნაწ. II, 1854, გვ. 111).

[3] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 77.

დაყრუვდა აყვავებული მხარე, დიდი ხნით თითქმის შეწყდა აქ სიცოცხლის მაჯისცემა, ტყე და ნადირი დაეუფლა ადამიანის ნასადგომევს“ [1]. დაღისტნელმა მომთაბარეებმაც ისარგებლეს ამით და კახეთის ოხრად დარჩენილ სოფლებს კალიასავით მოედვნენ. მოკლე ხანში აქ აჰოწყვეტილი ან ირანში იძულებით გადარეკილი ქართველების ადგილი დაღისტნიდან გადმოსახლებულებმა დაიკავეს [2].

შაჰ აბასი ენერგიულად ცდილობდა, რომ მკვიდრი ქართველი მოსახლეობა კახეთიდან აეყარა და მის ადგილის თურქმანყიზილბაში მომთაბარეები დაესახლებინა. შაჰის მხრუნველობით საქართველოს სამხრეთით და აღმოსავლეთით მალე ჩნდებიან მაჰმადიანი მომთაბარეები (ლორე-ბამბაკი, შორაგალი, შამშადილუ, ბაიდარი და მტკვრის მარცხენა მხარე — დემურჩი-ასალუ) [3]. ქართველი ხალხი გააფთრებით იცავდა თავს ყიზილბაშთა შემოსევებისაგან, ებრძოდა და ჟლეტდა ჩამოსახლებულ თურქმანებს, მაგრამ უთანასწორო ომში მარცხს განიცდიდა. შაჰის წაქეზებით კახეთს არბევდნენ დაღისტნელი აბრაგები და ელისუს სულტანი. კახეთს „ზურგის მისაყრდენი საიმედო მთა არ ახლდა“ და იგი დიდ ზიანს განიცდიდა [4].

წახურ-ელისუს სულტანი ათეული წლების განმავლობაში, როგორც ირან-ოსმალეთის აგენტი, კახეთის მიმართ ისეთსავე მტარვალურ როლს ასრულებდა, როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მყოფი შაჰის სხვა აგენტები — ხანები, ბეგლარბეგები და სხვანი. 1632 წ. ერთი ბრძანებით შაჰ-სეფი ავალებდა წახურელ მამედ-ხან ბეგს, რომ მას, სხვა ბეგებთან ერთად, აქტიურად ემოქმედნა თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ, „გაეოხრებინა და დაექცია ქართლ-კახეთი“ [5].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 335.

[2] სწორად შენიშნავს პეტრუშევსკი, რომ ავარული სოფლების გაჩენა კახეთში სწრაფი დაპყრობის ან ერთდროული მიგრაციის შედეგი კი არა, არამედ ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო (Петрушевский. Джаро-белак. вольн. общ. გვ. 13).

[3] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. წერილი, გვ. 78.

[4] იქვე, გვ. 79.

[5] Акты. т. II, გვ. 1076, № 4. მ. ჯანაშვილი.

ასეთ მძიმე ვითარებაში კახეთში მომრავლდნენ დაღისტნელები. მე-17 საუკუნის 70-ან წლებამდე ისინი სცნობდნენ კახთა მეფეების ხელისუფლებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც კახეთში ყიზილბაში ხანების მმართველობა დამყარდა (1674 — 1703 წწ.), ჩამოსახლებულთა რაოდენობაც გაიზარდა და მათ ურჩობასაც მეტი გასაქანი მიეცა. „მე-17 საუკუნის მანძილზე, უმთავრესად მის უკანასკნელ მეოხთედში, თანდათან ჩამოყალიბდა ჭარის, ბელაქნის და თალას უბატონო თემები“ [1]. ეს თემები მალე გადაიქცნენ კახეთის სოფლების მიმართ მეომარ და თავდამსხმელ თემებად.

მიუთითებდა რა თემის ცხოვრებისათვის ნიშანდობლივ თვისებებზე, ტომობრივი წყობილების პირობებში, მარქსი წერდა:

„დაბრკოლებანი, რომელთაც თემი შეხვდება, შეიძლება გამომდინარეობდნენ მხოლოდ სხვა თემებიდან, რომელთაც ან ადრევე დაუპყრიათ მიწა-წყალი, ანდა მოსვენებას არ აძლევენ თემს მის მიერ დაპყრობილ ადგილზე. ამიტომ ომი არის ის დიდი საზოგადო სამუშაო, რომელიც ან იმისათვისაა საჭირო, რომ დაიპყრონ არსებობის ობიექტური პირობები, ან იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ეს დაპყრობა და უკვდავჰყონ იგი. ამიტომაც არის, რომ ოჯახებისაგან შემდგარი თემი პირველ ხანებში სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი, როგორც სამხედრო და სალაშქრო ორგანიზაცია, და ეს ორგანიზაცია წარმოადგენს თემის — როგორც შესაკუთრის — არსებობის ერთ-ერთ პირობას“ [2].

სამხედრო ყაიდაზე მოწყობილი დაღისტნური თემები ჩვენს სინამდვილეში დაპყრობილის შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის იბრძოდნენ. ამ თემების გამუდმებული ომების სპეციფიური ნიშანი ის იყო, რომ ისინი ეომებოდნენ სოციალურ-ეკონომიურად

т. VII, № 392, გვ. 450. შეადარე აგრეთვე ფირმანი „შაქის პროვინციის მმართველი“ ალი-ფაშისადმი, Акты, т. II, გვ. 1093, № 21).

1722 წ. ხონთქრის ერთი ფირმანით ალი-სულტან-წახურელი „შაქისა და წახურის სანჯაყების ბეგლარ-ბეგად“ ინიშნება.

[1] საქ. ისტ. 1946, გვ. 370. ხსენებული თემების წარმოქმნის საკითხს სპეციალურად ეხება აგრეთვე პეტრუშევსკი (დასახ. ნაშრ.). წარსული საუკუნის მკვლევართაგან ამ საკითხს ეხებიან: მ. ჯანაშვილი, საინგილო; Д. Бакрадзе, Заметки о закат. окр.; Ливевич, Бывшее Елисуйское султанство და სხვები.

ჭარ-ბელაქნის თემების წარმოქმნის შესახებ წამყვან დებულებებს გვაძლევს აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომებში: „საქართველოს XVIII საუკუნის ისტორიიდან“ და „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან“.

[2] კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 13.

დაწინაურებული კახეთის მოსახლეობას „არსებობის ობიექტური პირობების“ მითვისება-შენარჩუნებისათვის და ამ ომს უპირატესად ქურდულ-აბრაგული ხასიათი ჰქონდა.

შაჰის მიერ კახეთში დასმული ყიზილბაში ხანები ზურგს უმაგრებდნენ დაღისტნურ თემებს, რომლებსაც კახეთის ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგ ამხეჯრებდნენ; ისინი ამწვავებდნენ შეურიგებელ სარწმუნოებრივ მტრობას, რასაც შედეგად მოსდევდა მკვიდრი მოსახლეობის განადგურება.

სახელოვანი ვახუშტი ასე მოგვითხრობს კახეთში ბეჟან-ხანის ცბიერ მოქმედებას:

„... განბოროტებულმან ხანმან მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არა იუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით. კუალად აღაზუავნა უმეტეს ჭარელნი და ელიფადარი დასხმულნი ხანთაგანვე, რამეთუ თუცა მოჰკლიან კახნი ლეკთა ანუ თათართა, შერისხვიდა ხანი, ანუ მოაკვდინებდა, ანუ მიაცეცინის სიხლი, მეტყველი: რამეთუ არა ჯერ არს გიაურთაგან მუსლიმანის სიკუდილი და თუცა მოჰკლიან თათართა კახი, არა რაი ავნის, რამეთუ ესრეთ ჯერ არს და იყო ამით ჭირი დიდი. გარნა კახნი უდგნენ მაგრად და სვრიდენ სადა ვინ მოახელიან“... [1]. ასევე გრძელდებოდა მომდევნო პერიოდშიაც (1695 წ.), როდესაც ჭარელნი „უმეტესად მძლავრობდნენ ელისენ გაღმა-მხარსა და იყვნენ მესადგურე ეტიკნი დაღისტანელთა და იყო ამათ მიერ ტყვევნა, ოხრება და კვლანი კაცთა, მზირობით, ავაზაკობით და პარვითა, შემდგომად არჩილ მეფისა ვიდრე აქომამდე“ [2].

XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან დასუსტებული ირანის ბატონობა ამიერკავკასიაში თანდათანობით გზას უთმობდა ოსმალთა ბატონობას. ამიერკავკასიის დამორჩილებისათვის მზადებისას ოსმალეთი დაღისტნელ აბრაგებსა და ფეოდალებს ეყრდნობოდა.

დაღისტნელი ფეოდალები და აბრაგები ოსმალო დამპყრობლებთან ერთად ამ დროს დიდ ზიანს აყენებდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ თვით დაღისტანსაც, ამ ქვეყნის მშრომელ მოსახლეობას. „ისინი აწარმოებდნენ გამანადგურებელ ომებს ქვეყნის შიგნით და აწყობდნენ დაუსრულებელ თავდასხმებს ამიერკავკასიაში, წყვეტდნენ რა მთის ტომებს საქართველოს, აზერბაი-

[1] ვახუშტი. ცხოვრება კახეთისა, ქ. ცხ. ტ. II

[2] იქვე, გვ. 130.

ჯანისა და სომხეთის ძველი და მდიდარი კულტურის გავლენისაგან" [1].

„უზენაესი ხალიფა" (ე. ი. ოსმალეთის სულტანი) „ურწმუნოების" (ე. ი. ქრისტიანებისა და შიას მიმდევარი მუსილმანების) წინააღმდეგ ბრძოლას (ე. ი. ამ ქვეყნების ტყვევნა-აოხრებას) ღვთის სათნო საქმედ აცხადებდა და „მართლმორწმუნე" დაღისტნელებს... კიდევ უფრო დაუნდობელი ომისათვის მოუწოდებდა" [2]. ეს პერიოდი ემთხვეოდა იმ დროს კახეთის შიგნით გამწვავებულ სოციალურ ბრძოლას, რომელმაც ობიექტურად ხელი შეუწყო საინგილოში დაღისტნელთა მომრავლებისა და გაბატონებას.

მძიმე სოციალური ჩაგვრით გაძვალტყავებულმა კახეთის გლეხობამ თავდაპირველად დაღისტნელ მოთემეებში თავისი კლასობრივი მოძმე იცნო და შეუერთდა ამ მოთემეების ბრძოლას კახეთის ფეოდალების წინააღმდეგ. მაგრამ ეს კავშირი დაირღვა იმ დღიდანვე, როდესაც „ლეკები" ბატონობაში ადგილობრივ თავადებს შეეცილნენ და თვითონ გაბატონდნენ [3]. ადგილობრივი სოციალური ურთიერთობის გავლენით „უბატონო თემები" გადაგვარდნენ და „მალე კახური სოფლები მათ კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს". ისინი გადაიქცნენ „მებატონე თემებად". ამის შემდეგ გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა გლეხებსა და ახალ ბატონებს შორის, „მაგრამ ჩამოსახლებულნი საბოლოო განადგურებას გადაურჩნენ" [4].

---

[1] Дагестанская Автономная Советская Социалистическая Республика; (БСЭ, второе издание, т. 13, 1952, გვ. 278).

[2] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. წერილი. გვ. 83.

[3] ტერმინი „ლეკი" XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში საერთოდ დაღისტნელთა აღსანიშნავად იხმარებოდა. „ლეკის" გაგებით ძირითადად ავარ-წახურები იგულისხმებოდნენ. დაღისტნელებს ხშირად „გლეხოდარებსაც" ეძახდნენ, ეს კი, კოცებუს განმარტებით, „გულმკერდ ღია კაცს აღნიშნავდა" — „გულღადარას". ასე ეძახდნენ მათ ინგილოები. იმავე ავტორის მითითებით, ეს სახელი იყო „аналогия, примененная к их бедному состоянию, которое по обычаю их (ингилойцев, М. Д.) ничем сильнее выразить нельзя, как сказать: столько беден, что грудь прикрыть нечем" (Коцебу. Статистические сведения о чарских влад. ф. 3 — 11).

ტერმინ „ლეკს" ჩვენ ვიხმართ უმთავრესად, როგორც ჭარ-ბელაქნის თემებში გაბატონებული ფეოდალური ზედა ფენის აღმნიშვნელ სიტყვას, ვიხმართ სოციალური მნიშვნელობით. ამ ტერმინის ასეთი ხმარების მიზანშეწონილობა ქვემოთ უფრო ცხადი გახდება.

[4] ნ. ბერძენიშვილი. საქ. XVIII საუკ. ისტორიიდან, გვ. 188 — 190.

განსაკუთრებით გაძლიერდა ლეკთა შემოტევა მე-18 ს. 20-იან წლებში, როდესაც მათ „დაიპყრეს ელისენი და იწყეს ლაშქრობა და მოაოხრეს მრავალნი დაბნებნი". შემოტევა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ კახთა მეფემ დავით II-მ (იმამყულიხანი, 1703—1722 წწ.) თავისი რეზიდენცია ყარაღაჯიდან თელავსა და მანავს გადაიტანა [1].

ოსმალო დამპყრობლების გაბატონებამ საქართველო-ამიერკავკასიაში (1723 წლიდან) თავისი ობიექტური შედეგებით ხელი შეუწყო ლეკთა საბოლოო გაბატონებას აღმოსავლეთ კახეთში, რომელიც კახეთს მოწყდა. ავარ-წახურებმა დაიპირეს კახეთის ციხეები. 1725 წ. ლეკებმა „მოლები მოასხეს და კახელ გლეხობას ერთბაშად გამაჰმადიანება დაუპირეს" [2]. ოსმალეთის სულტანმაც დაუმტკიცა ჭარელებს მინატაცები ქვეყანა იმ სამსახურისათვის, რომელიც ჭარელებმა გაუწიეს ხონთქარს ისლამის გავრცელების საქმეში [3]. ამიერიდან საინგილოს მოსახლეობის გადაშენება-გადაგვარების პროცესი უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა.

ოსმალო დამპყრობლების თარეშის დროს მკვიდრი ქართველობის რაოდენობა მცირდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ კახეთში, არამედ ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშიაც. ლეკები „განძლიერდნენ ესრეთ, რამეთუ უწყეს სამცხე-ჯავახეთს რბევა და ტყვევნა... ვინადგან არღარა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს-სომხითსაცა თვინიერ სიმაგრეთა, რამეთუ მუშაკობადცა პარვით-მალვით ჩამოვიდიან და მათნი მხილველნი ივლტოდიან სიმაგრეთა" [4].

ამრიგად, ოსმალთა ბატონობის შავბნელ ხანაში საქართველოს ჩამოსცილდა და მის ზურგში მრისხანე მტრულ ძალად იქცა ჭარ-ბელაქანი, რომელიც, მე-18 საუკუნის 20-ანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე XIX ს. 30-იან წლებამდე, სისხლიდან სცლიდა აღმოსავლეთ საქართველოს. ჭარ-ბელაქნელი ლეკობა და ელისუს სულტანი თავიდანვე შეუერთდნენ ქართლ-კახეთის წინააღმდეგ

[1] ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 133.

[2] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 189.

[3] Посерóсский. Закатальский округ, газ. „Кавказ" 1864, № 48 მისივე — Очерк Закатальского округа. „Кавк. Календ". на 1866 г. გვ. 23; Хроника войн Джара, 13; ნ. ბერძენიშვილი. აღმ. კახეთის წარსულიდან, გვ. 64. ნახე აგრეთვე: საქ. ცსსა, ფ. 236, აღწ. I, საქმე 13, ფურ. 63; საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 510 — 511.

[4] ვახუშტი. ცხოვრება ქართლისა, ქ. ცხ., ნაწ. II, 1854, გვ. 90.

დარაზმულ მტრულ ბანაკს, რომელსაც ხან ოსმალეთი და ხან კიდევ ირანი მეთაურობდა; ჭარ-ბელაქანი ამიერიდან წარმოადგენდა ამ სახელმწიფოების ბრძა იარაღს საქართველოს რბევა-აწიოკებისათვის. ჭარელი „ლეკები“ ოსმალეთ-ირანის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ დაღისტნელ აბრაგთა რაზმების მეგზურები, მედროშეები, ბანამებრძოლები და ზოგჯერ წამქეზებლებიც იყვნენ.

სახელოვანი ერეკლეს მეფობის ხანაშიც, როდესაც საქართველოს აღდგომა-გამოხსნისათვის ბრძოლას წარმატება ჰქონდა და ქართლ-კახეთის სამეფომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკური პირველობა მოიპოვა, ლეკურ-მაჰმადიანური აგრესია ძველებური საშინელებით იკლებდა ქვეყანას [1].

1769 წ. თავადი ამილახვარი წერდა:

„ლეკები ქართლსა და კახეთს ფრიად ხშირად ქურდულად ძარცვავენ, რადგან ისინი ტყეებში სხვადასხვა ადგილებზე იმალებიან, 10 — 20 და მეტი კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად, გამავლელ და ველზე სამუშაოდ გამოსულ ქართველებს ატყვევებენ, რის შედეგადაც ბევრი საცხოვრებელი ადგილი დაცარიელდა“ [2].

თვით ერეკლე მეფე სწერდა რუსეთის ხელმწიფეს ეკატერინე მეორეს, რომ „ლეკთა განალაგეს საქართველო!“ [3].

დიდმა ერეკლემაც, მიუხედავად მის მიერ ჩატარებული გადამწყვეტი და ენერგიული ღონისძიებებისა, ვერ შეძლო ლეკურ-აბრაგულ, კატასტროფული ხასიათის შემოსევათა ალაგმვა, ამ შემოსევების დედა-ბუდის — ჭარ-ბელაქნის დამორჩილება. ეს იყო საქართველოს წინაშე მდგარი უაღრესად რთული საჭირბოროტო პრობლემა, რომელიც ფეოდალური რეაქციისა და გარეშე მტრების მოძალების შედეგად დაუძლურებულმა ქართლ-კახეთის სახელმწიფომ ვერ გადაწყვიტა.

XIX ს. დოკუმენტებსა და ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ დაღისტნელმა მომთაბარეებმა, ჭარ-ბელაქნელმა

[1] 1768 წ. ერთ რუსულ საბუთში ნათქვამია: „Грузия вообще издавна уже бедствует от своих соседей магометан и варваров, в кавказских горах живущих; все похищают их в плен и неволю; тишина, мир и безопасность не существует в тамошних местах“... (Грамоты и другие документы XVIII, столетия, относ. к Грузии, т. 1, 1891, გვ. 6).

[2] იქვე, გვ. 30.

[3] П. Иоселиани. Путевые записки по Дагестану в 1861 г., Тифлис 1862, გვ. 63.

ლეკებმა, რომლებიც აღმოსავლეთ კახეთში მოვიდნენ „ერთნახევარი საუკუნის წინ“, უმთავრესად ბრძოლისა და ძარცვა-გლეჯვის გზით, თანდათანობით დაიკავეს მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მიწა-წყალი, გაამუსლიმანეს და დაიმონეს გადარჩენილი მოსახლეობის ერთი ნაწილი[1]. ამასვე ადასტურებდნენ ჩამოსახლებული ავარ-წახურებიც[2]. მაშინაც კარგად იცოდნენ, რომ ინგილოები იგივე ქართველები იყვნენ[3].

აღმოსავლეთ კახეთში ჩამოსახლებულმა ტომებმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად შეძლეს მკვიდრი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის განადგურება, გაქცევა-დაყიდვის თუ ალაზნის გამოლმა გადმორეკვის გზით. მოსახლეობის დიდი ნაწილი დამპყრობლებმა დაბეგრეს და იძულებით გაამაჰმადიანეს. გაბატონებული კლასის ბევრმა წარმომადგენელმაც გამუსლიმანების („გალეკების“) გზით შესძლო თავისი მიწისა და არსებობის შენარჩუნება.

საქართველოს მიწა-წყალზე ჩამოყალიბებული დაღისტნური თემები არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ძალას. მათი ძლიერება, უპირველეს ყოვლისა, დაღისტნელ მომთაბარეებთან ბჭიდრო კავშირსა და ოსმალეთ-ირანის მხარდაჭერას ეყრდნობოდა. საქართველოს ბრძოლა ჭარ-ბელაქნის დაბრუნებისათვის ფაქტიურად იყო ბრძოლა კავკასიონის გადაღმიდან პერიოდულად მომდინარე აბრაგული რაზმებისა და მათ ზურგში მდგომი ოსმალეთ-ირანის წინააღმდეგ. საკუთრივ ჭარში გამაგრებული „ლეკობა“ არსებითად წარმოადგენდა საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული ურდოების გამტარ არტერიას. სწორად შენიშნავდა დ. ჯანაშვილი, რომ ჭარში ჩამოსახლებული „ლეკობა“ „ვერაოდეს ინგილოს ვერ დაიმორჩილებდა, თუ რომ ხელად იმას დაღისტნელი, ყიზილბაში და ოსმალო არ მიშველებოდა“[4].

ჭარელ-დაღისტნელ აბრაგთა შეთანხმებულმა მოქმედებამ, ახლო აღმოსავლეთის აგრესიული მაჰმადიანური სახელმწიფოების წაქეზებითა და დახმარებით, უდიდესი ზიანი მიაყენა ქართველ ხალხს. ახასიათებდა რა მე-18 საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთ

---

[1] საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ. გვ. 497, 505—507; Акты, ტ. VII, გვ. 959... იხილე აქ დართული ლიტერატურის სია.

[2] საარქ. საბ. ჭარ-ბელაქნ. შესახ. გვ. 508.

[3] ეს იცოდნენ უცხოელებმაც (იხ. მაგ., Erckert. Die Sprache des Kaukasischen Stammes, Wien, 1895, 328).

[4] „პოსერბსკის ტყუილები ინგილოებზე“, გაზ. „დროება“, 1866, № 40.

კახეთში შექმნილ ვითარებას, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე წერდა:

„თუ მოვიგონებთ, რამოდენა ადგილებია გავერანებული, რამდენი სოფელია დაცლილი, მაშინ ეპვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ უთვალავი ხალხი ამოუწყვეტიათ და დაუტყვევებიათ. იმ მდგომარეობას რომ ერთი საუკუნეც გაეწია, მთელი საქართველო დაღისტნათ გადაიქცეოდა და დაღისტანი საქართველოთ. ჩვენ ასე ვფიქრობთ. ზაქათალის მაზრაში უამბნიათ ჩვენთვის, სადა სად ცხოვრობენ დაღისტანში ქართველების შთამომავალი ლეკები. ეს ადგილები თურმე არის: ჯინიგა, სუვაგილი, წახური, გილმიწი, მუსლაგა, ხაგი, ქურდულა, შეგურა, მიშილიშა, ეზგილა, ქოთოკლუ, ზერნა, მიქიქა...“ [1].

მოტანილი გადმოცემა ჩაწერილია 1866 წ., როცა ადგილობრივი მოსახლეობის განადგურების სურათები ხალხს გუშინდელი ამბებივით ახსოვდა.

ინგილო ეწოდა ლეკთა მიერ „დამორჩილებულ-დაბეგრილ ქართველ გლეხს... განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“, რომელშიაც უპირატესად მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი, წახურელი თუ ქართველი („გალეკებული“). ასე რომ „ლეკი“ და „ინგილო“ უფრო სოციალური შინაარსის ტერმინებია, ვიდრე ეთნიკური“ [2].

დაღისტნელთა გარდა საინგილოში XVIII — XIX საუკუნეში საკმაო რაოდენობით შემოსახლდნენ მუღალებიც — მონღოლურ-თურქმანული წარმოშობის გლეხები, რომლებიც ლეკთა მიერ თითქმის ისეთსავე ექსპლოატაციას განიცდიდნენ, როგორც ინგილოები [3].

აღმოსავლეთ კახეთში დაღისტნის მთიანი ნაწილის მომთაბარე ტომების გაბატონება, ადგილობრივი მოსახლეობის შემდგომი კულტურული ცხოვრების პერსპექტივების თვალსაზრისით, დიდი უკან დახევის მომასწავებელი იყო. მოსულთა სახით აქ გაბატონდნენ სოციალურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი, განვითარების მეტად

---

[1] „დროება“. 1866, № 43. მოწინავე. აღნიშნულთა შორის სოფლები ქოთოკლუ და ზერნა საინგილოს ტერიტორიაზე არიან.

[2] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 84.

[3] საბუთებში მუღალები იხსენებიან, როგორც „**татары, пришедшие из разных сторон**“, ან კიდევ: „**выселенцы из нынешних мусульманских провинций Закавказского края**“ (საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 506 — 507).

დაბალ საფეხურზე მყოფი ტომები, რომელთა მეურნეობის წამყვანი დარგი, როგორც ზემოთ ითქვა, მესაქონლეობა იყო. რაც შეეხება მკვიდრ ქართველობას, მათ განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრება ჰქონდათ. აღმოსავლეთ კახეთი ამ დროს დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების მქონე ფეოდალურ-ბატონყმური ქვეყანა იყო. მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა. დაწინაურებული სამეურნეო ცხოვრება განსაზღვრავდა მკვიდრთა შედარებით მაღალ კულტურასა და იდეოლოგიას.

საინგილოში ჩამოსახლებული, სოციალ-ეკონომიურად ჩამორჩენილი ტომების რელიგია და მათი ისტორიის გარეგნული ფორმა[1] იყო მაჰმადიანური სარწმუნოება — ისლამის სუნიტური მიმდინარეობა, რომელიც მათში განსაკუთრებული კონსერვატიზმითა და რეაქციული ბუნებით ხასიათდებოდა. ჩამოსახლებულებმა თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკის ალამად გაიხადეს ეს მაჰმადიანობა, რომელიც ძალმომრეობის გზით ინერგებოდა.

საინგილოს ქართველი მოსახლეობა თანდათანობით მოწყდა მდიდარი ტრადიციებით სავსე მშობლიურ კულტურას. დავიწყებას ეძლეოდა მონასტრებთან არსებული საგანმანათლებლო კერები, მდიდარი ქართული მწერლობა და განათლება, რომელსაც ამიერიდან ცვლიდა ერთადერთი, „ყურანის მეცნიერება“, სოფლის მოლების ხელმძღვანელობით. ეს მოლები, ამხანაგი სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყვნენ „უბოროტესი რეაქციონერები“, ამიერკავკასიის თათრული მოსახლეობის „უბოროტესი მტრები“, რომლებიც თავიანთი „რელიგიური სულით გაჟღენთილი“ კულტურით სულიერად იმონებდნენ თათართა მასებს[2]. ყურანი უკიდურესად ზღუდავდა ადამიანის გონებრივ განვითარებას, მის წარმოდგენას სამყაროზე.

როგორც ენგელსი შენიშნავდა, ყურანსა და მასზე დაფუძნებულ კანონმდებლობას ხალხთა გეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავდა ორ ნახევრად გაყოფის უბრალო ფორმულამდე — მართლ-

---

[1] ეხებოდა რა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ზოგიერთ თავისებურებას, კ. მარქსი წერილში ენგელსისადმი, სხვათა შორის, აღნიშნავდა: „Что касается религии, то вопрос растворяется в более общем и более легко поддающемся разрешению; почему история Востока принимает форму истории религии“ (К. Маркс и Ф. Энгельс, Сочин. т. XXI, გვ. 489).

[2] ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 378.

მორწმუნენი და ურწმუნონი. ურწმუნო — „გიაური“ მტერია. ისლამი წყევლიდა ურწმუნოთა ერს და ქმნიდა განუწყვეტელი მტრობის მდგომარეობას მუსილმანებსა და „ურწმუნოებს“ შორის [1].

გასაგებია, რომ დახასიათებულ ვითარებაში მკვიდრთა გადაგვარებას სათანადო პირობები შეექმნა. ისლამი, უპირველეს ყოვლისა, მიწვდა ინგილოურ ოჯახს, რომლის განვითარების დონე კატასტროფულად დაამდაბლა. მრავალცოლიანობა, რაც თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ფეხს იდგამდა ინგილოურ ყოფა-ცხოვრებაშიაც, შლიდა ოჯახის სიმტკიცეს. ირღვეოდა ძველი ნათესაური კავშირები. ქორწინების მუსლიმანური წესი გამორიცხავდა მხოლოდ დასთან ქორწინებას. გამაჰმადიანებული უკვე ცოლ-ქმრულ კავშირს კრავდა ძმისშვილთან, ბიძაშვილთან, დეიდაშვილთან. ამ გარემოებას მძიმე დაღი უნდა დაესვა მომავალი თაობის ფიზიკურსა და გონებრივ განვითარებაზე.

დახავსებულ წეს-ჩვეულებათა დანერგვამ აღმოსავლეთ კახეთში თანდათანობით გააქრო და ბოლო დროისთვის სავსებით დავიწყებას მისცა ძველი ქართული საგვარეულოები. გვარების წარმოება ხდებოდა ყოველ ახალ თაობაში პაპის თუ მამის სახელის მიხედვით [2]. გვარის წარმოების ასეთი წესი ხელს უწყობდა სოციალურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის კონსერვაციას.

გაბატონებულთა პრიმიტიული საზოგადოებრივი წყობილება და სარწმუნოება მრავალმხრივ ებრძოდნენ მკვიდრთა ეროვნულ კულტურას. დაქვეითდა განვითარებული სამეურნეო ცხოვრება. პირველი მახვილი მოხვდა ინტენსიურ მევენახეობას. გაიჩეხა და გადაშენდა დიდძალი ძვირფასი ვაზის ჯიში. მიუხედავად ამისა, მევენახეობა საინგილოში მაინც შემორჩა და მკვიდრმა მოსახლეობამ ჩამოსახლებულთა დიდ ნაწილს იგი მიაღებინა. ქართველი მოსახლეობის გამაჰმადიანებულმა ნაწილმაც არ დასთმო ვენახი და ღვინო, რომლებიც ახალი სარწმუნოების დაცვას თავისებურად შეუთავსა.

საინგილოს ქართველი მოსახლეობის ცხოვრებაში მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა მძიმე დაღი დაასვეს ინგილოებს. ისინი ჩამოცილდნენ მშობლიურ ქართულ კერას. მათი მეტყველებაც თავისებურ, ქართულ-დიალექტურ ფორმაში გაიყინა. ინგილოების ყოფა-ცხოვრებაში უცხოური მუსლიმანური ელე-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочин., Т. X, გვ. 6.

[2] სოფ. ძაგამში დღესაც არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა გვარი მამის სახელით იწერება, უფრო ხშირად კი განმსაზღვრელია პაპის სახელი.

შენტები შეიპრა. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ისინი მთლად მაინც არ ჩამოსცილებიან საერთო ქართულ კულტურულ ნიადაგს.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი თავის გენიალურ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1913 წ.) ინგილოებს იხსენიებდა იმ ტომთა შორის, რომლებიც ბევრი რამით იყვნენ დაკავშირებული ქართველების საერთო კულტურულ ნიადაგთან, მაგრამ მათგან განსხვავდებოდნენ უმთავრესად რელიგიით. თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ აჭარლები, ქობულეთლები. ამიტომ—მიუთითებდა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი—საჭირო იყო ასეთი ტომებისა და ხალხების ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირება, ჩაბმა „საერთო კულტურულ განვითარებაში“ იმ მიზნით, რომ მათ თავი დაეღწიათ ვიწრო ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან, მიეღწიათ კულტურის უმაღლეს საფეხურებამდე [1].

აღმოსავლეთ კახეთის ქართველობა მცირდებოდა და ქრებოდა არა მარტო საკუთრივ ახლანდელი საინგილოს ტერიტორიის ფარგლებს გარედან, არამედ თვით საინგილოშიაც. ეს შემცირება-გაქრობა ხდებოდა როგორც ფიზიკური მოსპობის, ისე ეროვნული გადაგვარების გზით. აღნიშნული პროცესი მეტ-ნაკლები სიძლიერით გრძელდებოდა XIX ს-ნის 50-იან წლებამდე.

XVIII ს-ნის მიწურულსა და XIX ს-ნის I ნახევარში დავიწყებას ეძლეოდა საინგილოში ლექართის (ლექეთი) ვეება სამონასტრო ცენტრი. სოფ. ლექართი კახის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, კახ-ზაქათალის მთავარი მაგისტრალიდან 3 კილომეტრზე. ამ ადგილს ავარ-წახურები დღესაც „ქილისალარს“ (ეკლესიებს) ეძახიან. ლექართიდან 5 — 6 კილომეტრზე, ჩრდილოეთით, არის სოფელი, რომელსაც ახლა ლექეთ-ქოთუქლოს ეძახიან. იგი მდებარეობს კავკასიონიდან გადმოსასვლელ გზაზე, საიდანაც, როგორც ჩანს, ავარ-წახურებს იქ მცხოვრები მკვიდრი ქართველობა გადმოურეკიათ. ახლა ლექართის ტყესა და ბარდ-ეკალში ჩაფლულია 10 — 12 ეკლესიის ნანგრევები, რომლებიც ძველი ქართული არქიტექტურის აყვავების პერიოდს (X — XII სს.) მოგვაგონებენ.

მეოცე საუკუნის დამდეგამდე შემოუნახავთ ამ ეკლესიებს ძველი ბრწყინვალების ნიშნები — ჩუქურთმები, წარწერები, მხატვრობა, რომლებიც დღეს უკვე აღარ შეიმჩნევიან [2].

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 377 — 379.

[2] საინგილოში ჩემი მივლინების დროს მუშაობაში დახმარებას მიწევდნენ ინგილო სტუდენტები ივანე სიყვაშვილი, ანდრო ბარიხაშვილი და დომენტი ყულოშვილი.

ლექართის მონასტრების ბედი საინგილოს ქართველი მოსახლეობის შემცირება-გადაშენების მხოლოდ ერთი ნიმუშია. ასევე ითქმის სოფლების—ყუმის, ზარნას, ძველი შოთავარის, აზნაურის, ელისუს, ენგიანისა და სხვათა შესახებაც. დამახასიათებელია, რომ დაღისტანში გადასასვლელ მთავარ კარებთან მდებარე ელისუს ციხეს აზერბაიჯანელები დღესაც გურჯის ციხეს ეძახიან[1].

კერძოდ, სოფ. ენგიანი, რომელსაც საინგილოს სახელწოდების წარმოშობას უკავშირებენ,[2] საინგილოში ქართველობის ერთი ნაწილის გადაგვარების ნიმუში გახდა. დღეს ამ სოფელში მხოლოდ ხანში შესულმა ინგილოებმა იციან ქართული, მოზარდი თაობა კი, აქა-იქ, ძლივს-ღა მეტყველებს მშობლიურ ენაზე; უმრავლესობის სალაპარაკო ენა აზერბაიჯანულია. ასეთ მდგომარეობას ვხედებით სხვა სოფლებშიაც.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა მიუხედავად, აღმოსავლეთ კახეთის ქართველი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავისი არსებობა და ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტები. საინგილოს ქართველი მოსახლეობის რაოდენობა, მიუხედავად სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, XIX ს-ნის მიწურულისათვის მთელი მოსახლეობის ერთ მესამედს უდრიდა. მოსახლეობის ამ ნაწილმა დიდის ტანჯვითა და ვაივაგლახით გაუძლო გამუდმებულ დევნა-შევიწროებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა ინგილოები სრული დენაციონალიზაციისაგან და მათ მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეუქმნა.

ინგილოებში დღესაც შემორჩენილი ზეპირგადმოცემები და თქმულებები, რომლებიც უმთავრესად ქართული ფოლკლორული მასალის სახესხვაობას წარმოადგენენ, ახასიათებენ საერთოდ ხალხის გმირობას, შრომითს თავდადებას, სამშობლოსადმი სიყვარულს[3].

მიუხედავად ძველი ქართული საგვარეულოების გაქრობისა, ინგილოებში აქა-იქ დღესაც შემორჩენილა ხსოვნა ასეთი გვარებისა

---

[1] ამის შესახებ გვაცნობა საინგილოში მომუშავე მასწავლებელმა გიორგი ხუმარაშვილმა.

[2] მ. ჯანაშვილი. საინგილო, გვ. 88 — 89.

[3] სამშობლოსადმი სიყვარულით ყელრს ერთი ინგილოური არაკი მეფის სასახლეში მოყვანილი ჩიტის შესახებ. მისი დედაარი ასეთია: რამდენადაც კარგი არ უნდა იყოს უცხო ადგილი, მას მაინც შენი სამშობლო სჯობიაო (რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო. სტალინის სახ. თბ. სახ. უნ. შრ., XXX, 1947, გვ. 258). საინტერესოა აგრეთვე მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალა (М. Г. Джанашвили, Ингилойския сказки. СМОМПК. т. 32. 1903, Тифлис, გვ. 129 — 140).

და ზოგიერთი ადგილის ქართულ სახელწოდებათა შესახებ. მაგ., სოფ. ალიაბათის მოხუცების გადმოცემით, ამ სოფელში იყვნენ:

ბ ო ნ ღ ა ა ნ ნ ი (ბონღაშვილები),
ჯ ა ნ შ ა ა ნ ნ ი (ჯანაშვილები),
ნ ა ც ვ ლ ი ა ნ ნ ი (ნაცვლიშვილები),
დ ა თ უ ნ ა ა ნ ი (დათუნაშვილები),
მ ა ლ ხ ა ზ ა ნ ნ ი (მალხაზაშვილები),
ფ ა თ ა ლ ი ა ნ ე ბ ი (ფათალიშვილები),
წ ა წ ი ა ნ ნ ი (წაწიაშვილები) და სხვები.

იგივე მოხუცები იგონებენ სოფ. ალიაბათის ძველი ქართული უბნების სახელწოდებებს, რომლებიც ახლა დავიწყებულია: ჩიტის უბანი, ძაღლის უბანი, ზემოთუბანი და სხვ.

დაკარგული გვარებიდან აღსანიშნავია: მუხრანსკი (ჭარსა და თალაში), ჭავჭავაძე (გოგამში), ქელეფთარი (თალაში), ვაჩნაძე (ბელაქანში)[1], ერისთავი[2], ასისთვისშვილი, მამულაშვილი (მოსულში), ფიროსმანიშვილი (თასმალოში), ზურაბიშვილი (ელისუში) და მრავალი სხვა. თალაში მცხოვრები არაბლინსკები და კარახმეტოვები აცხადებენ, რომ ისინი წარმოშობით ქართველები არიან[3]. იქნებ სწორედ კარახმეტოვთა გვარი წარმოადგენდა „ყარა-ცეტოვ-ოღლის“ სახით დამახინჯებულ საგვარეულოს სახელს. ერთ საბუთში ნათქვამია, რომ ჭარ-ბელაქანში „есть лезгины фамилии Кара-Цетов-оглы, происходящие от христианского священика“.

ინგილოური მოსახლეობის გამაჰმადიანებას თან სდევდა მშობლიური ქართული ენის დევნა. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობდნენ მეჩეთები და მოლები, რომლებიც, განსაკუთრებით რეაქციული მიურიდიზმის ზრდა-განვითარების პერიოდში, ოსმალო დამპყრობლების წაქეზებით, ფარულად თუ აშკარად სდევნიდნენ ყოველსაველ ქრისტიანულს. მე-18 ს-ნის მიწურულიდან, ოსმალეთის აგენტურისა და მისი ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, უშურმას (შეიხ-მანსურის) ხელი საინგილოსაც წვდებოდა. ასეთ პირობებში იდევნებოდა ქართული ენა, ვიწროვდებოდა მისი გავრცელების

---

[1] ახლა იწერება გალაჯევად.

[2] ახლა იწერება ნასტაგალოვად.

[3] არაბლინსკებისა და კარახმეტოვების ასეთი განცხადების შესახებ გვაცნობა სოფ. კახის მცხოვრებმა იორდანე ტარტარაშვილმა (71 წლისამ).

ფარგალი; ეს ენა იკარგებოდა ცალკეულ ქართულ ოჯახებში და მთლიანად სოფლებშიაც კი. მხოლოდ XIX ს-ნის 50—60-იან წლებში შეჩერდა რამდენადმე ქართულად მეტყველი მოსახლეობის გადაშენების პროცესი, დაიწყო ინგილოთა ეროვნული შემობრუნება[1], მაგრამ ზაქათალაში 1853 წელს მომხდარი ცნობილი აჯანყების შემდეგ, როდესაც მიურიდულმა რეაქციამ თავისი „ჰაზავათით" კვლავ დაიქუხა, განახლდა ინგილოთა ძველებური დევნა-შევიწროებაც. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ინგილოური კილო გამქრალა ბევრ სოფელში: ყანდახში, ენგიანში, კაპანახჩიში, ვერხვიანში, ლალაფაშაში, მარსანში, სოსკანში, შოთავარში, გულუკში (ვარდიანში) და სხვ.

1941 წლისთვის ქართულ-ინგილოურ კილოზე მოლაპარაკეთა რიცხვი შემცირებულა 14770-მდე[2].

ზემოთ მოტანილი მოკლე მიმოხილვის შემდეგ თითქოს გასაგები ხდება, რომ საინგილოს მოსახლეობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

მეტად საინტერესოა, რომ 1855 წ. სტატისტიკა საინგილოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ცნობებს იძლევა მოსახლეობის სოციალური დანაწილების მიხედვით. ცნობაში ნათქვამია: „ისინი (ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის მოსახლეობა, მ. დ.) განიყოფებიან ფენებად: ლეკებად, მუღალებად და ინგილოებად, რომელთაგანაც პირველნი შეადგენენ 4400 კომლს, მეორენი — 4055 და მესამენი — 1513, სულ — 9968 კომლს"[3]. მითითებული ცნობა ნათლად ადასტურებს აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმულ, ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ლეკები", „მუღალები" და „ინგილოები" უფრო სოციალური ტერმინებია, ვიდრე ეთნიკური. ეს გარემოება ამავე დროს იმის მაჩვენებელია, რომ არსებული სტატისტიკისათვის განმსაზღვრელი ყოფილა არა მცხოვრებთა ეროვნება, არამედ მათი სოციალური მდგომარეობა. ქვემოთ უფრო ნათლად გამოჩნდება, რომ საინგილოს მოსახლეობის სოციალური დაყოფა, გარეგნულად ეთნიკურ ჯგუფებს რომ ეთავსებოდა, ამა თუ იმ სოციალურ კატეგორიაში ეთნიკური ყველა ჯგუფის წარმო-

[1] იხილე ამ ნაშრომის IV თავი.

[2] გრ. იმნაიშვილი. ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1947 (მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ხელნაწ. ფონდი გვ. 04).

[3] ცსსა, ფ. 10, ᲓᲐ. 27, ᲚᲐ. 171 — 187.

მადგენელს გულისხმობდა. მაგ., ლეკებს შორის, როგორც გაბატონებულ სოციალურ ჯგუფს შიგნით, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველებიც, რომლებიც ავარულ-წახურული აგრესიის პირველ ხანებში „გალეკდნენ“, და ის მუღალები, რომლებმაც დროთა ვითარებაში ლეკთა პრივილეგიებს მიაღწიეს. ასევე შეიძლებოდა, რომ ავარ-წახურთა ბევრი წარმომადგენელი სოციალურად დამონებულთა რიგში მოხვედრილიყო. ამრიგად, მოტანილი ცნობა ინგილოთა ეთნიკური ჯგუფის რაოდენობის განსაზღვრისათვის ვერ გამოდგება.

XIX ს. 60-იანი წლების ცნობით, ინგილოები საინგილოს (1860 წლიდან მას „ზაქათლის ოლქი“ ერქვა) მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენენ[1], მოსახლეობის რაოდენობა კი, მთლიანად, ნაგულისხმევია 60 ათასამდე (1858 — 1862 წწ.)[2].

1885 წ. 24 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე კავკასიაში ჩატარებულმა სტატისტიკურმა აღწერილობამ მდიდარი მასალა მოგვცა, მაგრამ ეს მასალაც ვერ გვაძლევს გარკვეულ პასუხს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე[3]. ერთი რამ, რაც სწორი უნდა იყოს ამ ცნობებში, ესაა მოსახლეობის საერთო რაოდენობა — 74449 სული[4]. ქ. ზაქათალაში ამ დროს ყოფილა რუსი — 167, პოლონელი — 8, სომეხი — 510, ებრაელი — 8, ქართველი — 20, ავარი — 493, თათარ-მუღალი — 25[5].

მოცემული სტატისტიკა ცდილობს განასხვაოს ერთმანეთისაგან ეთნიკური და სარწმუნოებრივი ჯგუფები. ასე მაგ., იგი გვამცნობს, რომ ზაქათალის ოლქში 1885 წ. ცხოვრობდნენ:

მართლმადიდებლები:	მაჰმადიანები:
რუსები — 167	ინგილოები — 8618
სომხები — 13	ავარები — 30219
ქართველები — 2703	თათრები (აქ იგულისხმებიან უმთავრესად მუღალები)—21090
ქართველი ინგილოები — 109	
ავარები — 6	

[1] Посербский. Закатальский округ („Кавказ“, 1864, № 48).

[2] Посербский. Очерк закатальского округа, გვ. 31 — 32.

[3] Закатальский округ. Свод статистических данных, извлеченых из посемейных списков населения Кавказа. Изд. Кавк. стат. комитета. Тифлис, 1887.

[4] იქვე, გვ. 1.

[5] იქვე, გვ. 2—3.

სომხურ-გრიგორიანული	იუდეველები:
და რომაულ-კათოლიკური	ებრაელები — 8[1].
სარწმუნოებისანი — 526	

აღნიშნულ ცნობაში, როგორც დასახელებულ პუბლიკაციაში მოცემული ცალკეული სოფლების სტატისტიკიდან ჩანს, ავარებისა და თათარ-მუღალების რიცხვში საკმაოდ ბლომად არიან შეხული როგორც ინგილო-მაჰმადიანები, ისე აზერბაიჯანელები. ამ დასკვნამდე მივყავართ ისეთი ინგილოური სოფლების მცხოვრებთა რიცხვის დაჯამებას, რომლებშიაც ქართული ენა განიდევნა და რომლებიც ოფიციალურმა სტატისტიკამ ავარებისა და თათარ-მუღალების რიცხვში შეიტანა[2]. აღრევასთან უნდა გვქონდეს საქმე 1897 წ. სტატისტიკურ მონაცემებშიაც, სადაც საინგილოს მოსახლეობიდან ქართული ენა მშობლიურ ენად ჩაეთვალა მხოლოდ 12394 სულს[3].

ინგილოურ ეკლესიათა მღვდელმთავარი იროდიონ ოქროპირიძე თავის ვრცელ მოხსენებაში 1892 წ. აღნიშნავდა, რომ ინგილოთა რაოდენობა ზაქათალის მაზრაში უდრიდა 30 ათას სულს[4]. უფრო გვიანდელი ცნობით (1928 წ.) საინგილოში მაჰმადიან ქართველთა რიცხვი უდრიდა 27 — 30 ათასს, ქრისტიანი ინგილოების რაოდენობა კი ამ დროს 3 ათასამდე აღწევდა[5].

ზემოთ მოტანილ ცნობათა შეჯერების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XIX ს-ნის მიწურულსა და XX ს-ნის დამდეგს ინგილოთა რაოდენობა, მიუხედავად მათი სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, აღწევდა 25000-მდე. აქედანვე ჩანს, რომ საინგილოს მრავალრიცხოვანი ძველი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა ისტორიულ ქარტეხილს.

რა თქმა უნდა, ინგილოური მოსახლეობის რაოდენობა იცვლებოდა ძველთაგანვე; კერძოდ, იმ წლებიდან მოყოლებული, როდესაც კახეთმა შაჰ-აბასის სისხლისმღვრელი შემოსევები გადაიტანა,

---

[1] იქვე, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 6—7.

[3] მ. ჯანაშვილი. საინგილო. ძველი საქართველო, ტ. II, 1911 —1913 წწ. გვ. 68.

[4] Ц. Г. И. А. Азерб. ССР, ф. 579, оп. 1, д. № 3. ф. 15 — 18.

[5] ბ. მეგრელიძე. სწავლა-განათლების საქმე საინგილოში (ჟურნ. „განათლების მუშაკი", 1928, № 15, გვ. 27); მისივე: დედა-ენის საკითხი ქართველ-მუსლიმან ინგილოებში (იგივე ჟურნ. 1928, № 2, გვ. 12).

განსაკუთრებით კი იმ დროიდან, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალობა დამყარდა და საინგილო კახეთის სამეფოს გამოეთიშა (მე-18 ს. 20-ანი წლები).

ქართველების ის ნაწილი, რომელიც ზემოაღნიშნულ ვითარებაში გაინგილოვდა, ანუ ლეკთა მიერ დამორჩილებულ-დაბეგრილი და გამუსლიმანებული აღმოჩნდა, საინგილოს პოლიტიკურად განცალკევების შემდეგაც მცირდებოდა. ეს გასაგებიც იყო, რადგან ინგილოები ამ ქვეყნის სოციალურად და ნაციონალურად დამონებული მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ. მძიმე ფეოდალური ექსპლოატაცია და სარწმუნოებრივი დევნა არა მარტო აჩანაგებდა მათ, არამედ ფიზიკურადაც სპობდა.

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის სტატისტიკა ადასტურებს საინგილოს (ზაქათალის ოლქის) მოსახლეობის საერთო შემცირებას, რაც მწარმოებელი კლასის ხარჯზე ხდებოდა. 1897 წ. არსებული 84417 სულიდან 1904 წელს ოლქში დარჩენილა მხოლოდ 74735 კაცი, ე. ი. 7 წლის განმავლობაში მოსახლეობა შემცირებულა ათი ათასი სულით. საინგილოს მოსახლეობას კარგად გაცნობილი ზ. ედილი აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით შენიშნავს:

„ხშირად შეხვდებოდით ასეთ სურათს: აუშენებიათ ახალი სახლი, მშვენიერი ბაღ-ვენახი და კარგად მოვლილი, მაგრამ, საუბედუროდ, ეს გაკეთებული მეკომური სრულიად ამომწყდარა და მისი კარმიდამო და მამული ვერანად ქცეულა. ნაწილობრივი მიზეზი ხალხის ასე უწყალოდ დაკლებისა ძველად ვენერიული სენი და მალარია იყო, რასაც ინგილოები „ბოლებას“ ეძახიან. ალაზნის სანაპირო სოფლების სიახლოვეს ხშირია დაჭაობებული ადგილები და პატარა ტბები“ [1]. თუ რამდენად გამანადგურებელი იყო მალარია მოსახლეობისათვის, ეს იქიდან ჩანს, რომ ალაზნის ნაპირზე ჩამოსახლებული რუს მოახალშენეთა 100 ოჯახი ამ სენს ორი წლის განმავლობაში მთლიანად გაუნადგურებია [2].

1916 წ. სტატისტიკის მიხედვით, ზაქათალის ოლქში 76000 სული ცხოვრობდა. აქედან ქართველები შეადგენდნენ 19 ათასს, „ლეკები“—45000-ს, ხოლო „თურქები, სპარსელები და ქურთები“—12000 ს[3]. აქედანაც ჩანს, რომ ოლქის მოსახლეობის შესახებ

---

[1] ზ. ედილი. საინგილო, 1947, გვ. 179.
[2] იქვე.
[3] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, გვ. 13.

სტატისტიკური მასალა ზოგჯერ გაუგებრობას ქმნის, ურევს ერთმანეთში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს.

ქვემოთ მოგვყავს ინგილოური სოფლებისა და მოსახლეობის შედარებითი, არა სრული ცხრილი:

№	ინგილოური სოფლები (ქრისტ. და მაჰმ. ერთად)	მოსახლეობის რაოდენობა					
		1831 წ.	1856 წ.	1871 წ.	1886 წ.	1897 წ.	1900 წ.
1	ქახი		160 კომლ.	1944 სულ.	2150 სულ.	2111[2] ს	306 კომლ.
2	მეშაბაში		16 „	113 „	130 „	—	24 „
3	ალათემური [1]		—	—	350 „	400 „	70 „
4	ალიბეგლო		83 „	636 „	865 „	1009 „	127 „
5	ყორაღანი	50 კომლი	69 „	626 „	756 „	—	125 „
6	ქოთოკლო		28 „	155 „	227 „	—	39 „
7	ზაგამი [2]	40 „	86 „	608 „	794 „	774 „	104 „
8	თასმალო	60 „	85 „	456 „	553 „	610 „	85 „
9	ალიაბათი	350 „	617 „	2805 „	4351 „	4166 „	789 „
10	მოსული	108 „	193 „	1167 „	1259 „	1330 „	260 „
11	ენგიანი	35	57	377 „	415 „	—	93
12	ითი-თალა	—	— „	153 „	362 „	538 „	83 „
13	ყანდახი	—	97 „	699 „	871 „	778 „	156 „
14	კაპანახჩი	—	37 „	247 „	358 „	—	65 „
15	ლალია-ფაშა	—	31 „	175 „	185 „	—	35 „
16	მარსანი	—	47 „	287 „	316 „	—	59 „
17	სოსკანი	—	20 „	110 „	166 „	—	31 „
18	შოთავარი [3]	20 „	35 „	305 „	350 „	—	56 „
19	ვერხვიანი [4]	100 „	185 „	1558 „	1945 „	1808 [5] „	278 „ [6]

[1] ალათემურის აცხოვრებთა რაოდენობა ნაჩვენებია ზეპირი ცნობის მიხედვით.

[2] ვოლკონსკის მოჰყავს 1831 წ. ერთი საბუთი, რომელშიც მოხსენებულია ჭარელ ლეკთა ხელქვეით მყოფი ინგილოური 8 სოფელი — ალიაბათი, მოსული, ენგიანი, ვერხვიანი, თასმალო, ზაგამი, ყორაღანი და შოთავარი (Волконский. История... дружины, გვ. 2).

[3] ჩამოთვლილი სოფლები, ალათემურის, მოსულისა და ენგიანის გამოკლებით, როგორც ინგილოებით დასახლებული, მოხსენებულია ნაშრომში — Население Закатальского округа по народной переписи 1871 года (Сб. св. о Кавк. горцах, вып. VI, 1872, разд. III, გვ. 55-59).

[4] ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის ჟურნალებში, ჭარის საქეშქელო სოფლების რიცხვში, მოხსენებულნი არიან: „Ингилойские мусульманские селения... Алиабат, Тасмало, Загам, Енгиани, Верхиани, и Мосул" (საარქ. საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 533).

[5] 1897 წ. ცნობები ამოღებულია მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებული ცხრილიდან, სადაც აქ მოტანილი ცხრილის პარალელებსაც ვხვდებით (დასახ. ნაშრ., გვ. 67 — 69).

[6] 1900 წ. ცნობები ამოღებულია ბაქოს არქივიდან (ЦГИА Азерб. ССР, ф. 15, оп. 15 — 1, д. 23, ф. 6 — 8).

მოტანილი ცხრილი, როგორც ვხედავთ, სრული ვერაა. ზოგიერთი ცნობა, მასში შეტანილი, ზეპირგადმოცემას ემყარება, ზოგიერთი წლებისათვის კი მხოლოდ გამონაკლისი სოფლების მცხოვრებთა რაოდენობა ვიცით. სრულადაა წარმოდგენილი 1886 წ. და 1900 წ. ცნობები; ამ უკანასკნელში მითითებულია მხოლოდ კომლობრივი რაოდენობა — სულ 2775.

ინგილოური მოსახლეობის რაოდენობის გამოსაანგარიშებლად ეს ცხრილი გამოდგება, როგორც დამხმარე მასალა. მითითებული რიცხვები, რომელთაც ძველი სტატისტიკის უზუსტობა ახლავს თან, გვიჩვენებს მხოლოდ ინგილოურ სოფლებში არსებულ ქართულ მოსახლეობას (მაჰმადიანურს თუ ქრისტიანულს ერთად). ამ რიცხვს უნდა მიემატოს ავარულ-წახურულ („ლეკურ") სოფლებში გაფანტული, გამაჰმადიანებული ქართველების რიცხვი. ასეთების რაოდენობა განსაკუთრებით ბლომად იყო ბელაქანში (300 კომლამდე), თალაში (250 კომლამდე), ჭარ-მუხახში (100-დე) და სხვაგანაც. ამის დამადასტურებელია ქართულ საგვარეულოთა საკმაო რაოდენობა აღნიშნულსა და სხვა სოფლებში. თაობათა ცვლის გრძელი პერიოდის შემდეგ ჩვენს დრომდე ძველად „გალეკებული" მოსახლეობის მცირე რაოდენობამ თუ მოაღწია[1].

გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ დასახელებულ სოფლებში სტატისტიკის მიერ მოტანილი მითითებები „ინგილოთა", „მუღალთა", თუ „ლეკთა" შესახებ, პირობითია და ზოგჯერ აღრეულიც. ამის ერთი მიზეზი, ვიმეორებთ, სტატისტიკის მიერ ეთნიკური და სოციალური კატეგორიების ერთმანეთში აღრევაც იყო.

ამრიგად, შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს ზემოთ მითითებულ წყაროებში აღნიშნული ინგილოური მოსახლეობის რაოდენობა, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის, — 25.000 სულამდე. ამ ციფრამდის მიახლოებით მიგვიყვანდა 1900 წ. სტატისტიკის მონაცემები — 2.775 კომლი, რომელსაც მიემატება იმ დროს „ლეკურ" სოფლებში გაფანტულ ქართველთა რაოდენობა — 600 კომლამდე და სტატისტიკის მიერ ზემოთ მითითებულ აღრევის ცთომილებაც, რის გათვალისწინებითაც კომლთა საერთო რაოდენობა ავიდოდა 4.000-მდე.

---

[1] პეტრუშევსკიც აღნიშნავს, რომ ინგილო გლეხების გარკვეული ნაწილი ავარებს ეთნიკურად შეერია (Петрушевский. Джаро-Белаканск. вольн. общ. გვ. 29).

მცხოვრებთა რაოდენობის დადგენისათვის ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებას ამ შემთხვევაში მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ ნათლად გვეჩვენებინა საინგილოს მოსახლეობის ისტორიული წარსულისათვის მეტად საინტერესო მომენტის, მოსახლეობის თანდათანობითი შემცირება - გაქრობის პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნები და მისი გამომწვევი მიზეზები. ამ საკითხის თუნდაც ასეთი, არც თუ სრული, გარკვევა, აგრეთვე „ლეკური" თუ მუღალური მოსახლეობის რიცხვის დადგენა, გაგვიადვილებს მეტად რთულ სოციალურ ურთიერთობათა დახასიათებას, რასაც ქვემოთ შევეხებით.

დღეისათვის აღინიშნება ინგილოთა განსახლების ორი არე — ზემო და ქვემო. ქვემო ინგილოთა ქართული მეტყველება უფრო ახლოსაა ახლანდელ ლიტერატურულ ენასთან, ვიდრე ზემოური ინგილოების მეტყველება. ეს აიხსნება ქვემო ინგილოთა მეტი სიახლოვით კახეთის სოფლებთან და იმ ნათესაური კავშირით, რომელიც მათ აქვთ ალაზნის გამოღმა ნაპირზე მცხოვრებ მოსახლეობასთან [1].

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან დავინახეთ, საინგილოში მცირდებოდა სოციალურად და ნაციონალურად დამონებული მოსახლეობის ძირითადი მასა — ინგილოები. მაგრამ ასე როდი ითქმის „ლეკებზე", ანუ ავარ-წახურებზე, რომლებიც გაბატონებულ კლასს შეადგენდნენ. მათ შორის გალეკებულ ქართველთა ერთი ნაწილიც იყო.

საინგილოს გაბატონებული საზოგადოება, ძირითადად ავარ-წახურთა სახით, რიცხობრივად იზრდებოდა. ამ ზრდას ხელს უწყობდა ისიც, რომ დაღისტნელთა ჩამოსახლების პროცესი XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებშიაც გრძელდებოდა.

გაბატონებული კლასის წარმომადგენლები და თავისუფალი ავარ-წახურები სახლობდნენ საინგილოს მთის ჯანსაღი ჰავის მქონე რაიონებში; ინგილოებსა და მუღალებს კი, როგორც მშრომელი კლასის წარმომადგენლებს, დაბლობის ნაყოფიერი, მაგრამ ხაშმიანი ველები ეკავათ.

ავარულ-წახურული ტომები ადრიდანვე ერეკებოდნენ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას კავკასიონზე გადმოსასველელი ხეობებიდან დაბლობისაკენ. სოფლები — ჭარი, მუხახი, ყუმი, ლექართი,

---

[1] ეს საკითხი გარკვეული აქვთ გ. იმნაიშვილსა და რ. ღამბაშიძეს ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში. ახლანდელი ინგილოური სოფლების არასრული აღწერა მოცემული აქვს გ. იმნაიშვილს დასახ. ნაშრომში (გვ. 08 — 016).

ზარნა, ელისუ და მრავალი სხვა ის ყოფილი ქაროული სოფლებია, რომლებიც დაღისტნურმა მოსახლეობამ დაიკავა. მხოლოდ ქართული ფეოდალური ზედა ფენის გამუსლიმანებული წარმომადგენლები და „გალეკებულ“ გლეხთა ერთი ნაწილი აქა-იქ შემორჩნენ ამ სოფლებში.

სოფელი ჭარი, რომელიც მე-18 საუკუნის დამდეგიდან საინგილოს პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა, სწორედ იმ ერცეღ და თვალწარმტაცი ტაფობიდან იწყება, რომელიც ალაზნის ველზე მბრძანებლობს. იქაა 1830 წ. რუსთა მიერ აშენებული სიმაგრე, რომელიც ახლანდელ ქალაქ ზაქათალას ზევიდან დაჰყურებს. ჭარი აღნიშნული ტაფობიდან უჩინარია და ტყეშია ჩაფლული. იგი განფენილია ტაფობის თავიდან ზევით, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, 6 კილომეტრზე. სოფელს აღმართით გასდევს საკმაოდ ფართო გზა, რომლის დასასრულს იწყება. დაღისტანში გადასასვლელი ვიწრო ბილიკი. გზის ორივე მხარეს ვხვდებით საკმაოდ ძველ ქვის სახლებს, რომლებიც კირის მაგარი დუღაბითაა ნაგები. საშენი ქვა ადგილობრივია. კირსაც ადგილზე წვავენ. თითქმის ყოველ სახლს ახლავს თან ყორე-ქვის სქელი და მტკიცე გალავანი.

საგულისხმოა, რომ ზუსტად ასეთსავე სახლებს ვხვდებით კახის რაიონის ინგილოურ სოფლებშიაც, განსაკუთრებით მთიან ზონაში. ანალოგიურია ლეკური სოფელი ყუმიც. ეს გარემოება იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ აღნიშნულ „ლეკურ“ სოფლებში საკმაოდ იყვნენ „გალეკებული“ ქართველებიც, რომლებიც ავარ-წახურებს შეერივნენ.

მშრომელი ოსახლეობის გამოდევნას, დაღისტნელი მომთაბარეების დამკვიდრებას ჭარში სოფლის ბუნებისათვის სათანადო დაღი უნდა დაეჩნია. ამ დაღის ნაკვალევი ახლაც შეიმჩნევა. წაბლის ხეებით დაფარულ ადგილებს ეტყობა რომ ოდესღაც იქ განვითარებული სოფლის მეურნეობის მუშაკებს უცხოვრიათ. ძველი ქართველი მოსახლეობის მიერ წარსულში მოშენებული ვენახიც მთლად არ მოსპობილა: აქა-იქ ვხვდებით ხეზე ასულ ვაზებს.

სოფ. ჭარს ეტყობა, რომ იქ საუკუნეზე მეტხანს სახლობდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, რომელნიც ინგილოებისა და მუღალების ექსპლოატაციით ცხოვრობდნენ. მიწისმოქმედთა ხელს მოკლებულ სოფელს ათეული წლების განმავლობაში მთლიანად ტყე დაუფლებია. ჩამკვდარა იქ ოდესღაც გაჩაღებული სამეურნეო ცხოვრება[1].

[1] ახლა ჭარელ კოლმეურნეებს საკმაოდ ბლომად აქვთ ნაყოფიერი საბნაები ველები მდ. ალაზნის ნაპირზე.

აღნიშნულთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ კერძოდ ჰარის მდებარეობა განვითარებული მიწისმოქმედი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებისათვის ნაკლებ გასაქანს იძლეოდა. ამ გარემოებასაც, ჩამოსახლებულთა ძალადობასთან ერთად, საფიქრებელია, ხელი უნდა შეეწყო ქართველი გლეხობის ერთი ნაწილის დაბლობისაკენ გადასვლისათვის.

ჰარის, ისევე როგორც მთიდან გადმოსასვლელებზე მდებარე სხვა ლეკური სოფლების, მაგალითი ახასიათებს ლეკთა მიგრაციის პროცესს.

ლეკთა მიგრაცია რომ XIX საუკუნეშიაც გრძელდებოდა, ეს დაადასტურეს თვით ჰარის რწმუნებულებმა, რომლებიც 70-ან წლებში ასხვავებდნენ თავიანთ ბანაკში „ძირეულებსა“ და „მოსულებს“, ანუ ახალ ჩამოსახლებულებს [1].

მთავარი ლეკური სოფლებიდან საინგილოში, ჰარის შემდეგ, აღსანიშნავია ბელაქანი, თალა, კატეხი, მაწეხი, ჯინიხი, მუხახი და სხვ.

მუღალები თავიანთი სოციალური მდგომარეობით ბევრ სოფელში გაუტოლდნენ ლეკებს [2]. მიუხედავად ამისა, მათ საინგილოში შექმნეს ცალკეული სოფლებიც, როგორც, მაგ., გიუზბარახი, ჩუდულო, ბაბალო, ბეიუქ-ლანჩი, კარაბალდური და სხვ.

ავარ-წახურებისა და მუღალების, ისევე როგორც ინგილოების, რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა გაძნელებულია კვლავ იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ინგილოთა რაოდენობის დადგენისას მოვიხსენიეთ. მთავარი მიზეზი აქაც სტატისტიკის უზუსტობაში და სოციალური და ეთნიკური კატეგორიების აღრევაშია. როგორც სოფელ გიულუკის მაგალითზე ჩანს, იქ რამდენიმე მუღალური ოჯახი ლეკებთან უფლებრივად ისე გათანასწორებულა, რომ თავიანთ თავს „ლეკებს“ ეძახდა [3]. ესეც იმაზე მიგვითითებს, რომ არსებული სტატისტიკა სანდო ვერაა და ლეკ-მუღალთა რაოდენობის დადგენაც გაძნელებულია. ყველა იმ მოვლენის გათვალისწინებით, რომელიც ინგილოური მოსახლეობის დახასიათებისას აღვნიშნეთ, ლეკ-მუღალთა რაოდენობა საინგილოში XIX ს. მეორე ნახევრის სტატისტიკაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები უნდა იყოს.

---

[1] საარქივო საბუთები ჰარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 489, 505.

[2] სოფ. გიულუკზე ნათქვამია, რომ იქ არის რამდენიმე მუღალური კომლი, რომლებიც თავიანთ თავს ლეკებად მიიჩნევენ. „Эти мугалы стали даже называть себя лезгинами“ (ცსსა, ფ. 236, оп. 1, д. № 14, журн. № 55).

[3] იქვე.

1886 წ. ცნობით, ზაქათალის ოლქის 74.449 სული მცხოვრებიდან ავარები თითქმის 30.219-ია, ხოლო თათარ-მუღალები — 21.090. თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობას გამოვაკლებთ ინგილოური მოსახლეობის რიცხვს — 25.000-მდე და რუსულ-სომხური მოსახლეობის რაოდენობას (დაახლოებით 1.000-მდე), მაშინ ავარ-მუღალთა რიცხვი დაახლოებით შეიძლება განვსაზღვროთ 48 — 50 ათასით. ავარ-მუღალებს შორის კი, ცხადია, ავარები საგრძნობლად ჭარბობდნენ.

სოციალური და ეთნიკური კატეგორიების ერთმანეთში აღრევა ოფიციალურ სტატისტიკაში იწვევდა ინგილოთა რიცხვის შემცირებას და ლეკურ-მუღალური მოსახლეობის რიცხვის გაზრდას. ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, არ ეწინააღმდეგება ლეკურ-მუღალური მოსახლეობის შიგნით განვითარებად დიფერენციაციას, რასაც შედეგად მოსდევდა ამ მოსახლეობის გარკვეული მასის გადარეკვა ყმა-გლეხთა რიგებში. მაგრამ აქაც თავს იჩენს საინგილოში არსებული სოციალური ურთიერთობის სპეციფიკა, რაც ქვემოთ იქნება დახასიათებული. მანამდის კი შევნიშნავთ, რომ XIX საუკუნის 50-ანი წლებიდან საინგილოში ცარიზმის მახინჯი იდეოლოგიური პოლიტიკის შედეგად მეტად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, რის ერთი სერიოზული შედეგია ქრისტიანული და მაჰმადიანური მასების ერთმანეთისადმი მტრული დაპირისპირება. მტრობის მძაფრი ხასიათის, მუსლიმანური მოსახლეობის დიდი სიჭარბის პირობებში ახლად გაქრისტიანებული ინგილოების ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა. ქვემოთ, ამ თავის მე-6 განყოფილებაში, ნაჩვენები იქნება, რომ ხშირად მუღალი „ლეკობდა“, ინგილო „ლეკობდა“ და ზოგჯერ კიდეც „მუღალობდა“, მაგრამ ლეკი და მუღალი „ინგილოობას“ არ ჩემუღლობდნენ. აღნიშნული მომენტები და მრავალი სხვაც, ვფიქრობთ, წარმოადგენს სერიოზულ მომენტებს, რომელთაც საინგილოს მოსახლეობის დახასიათებისას ანგარიში უნდა გაეწიოს.

2. სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობის ზოგადი დახასიათება

საინგილოს მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების განვითარება შეფერხებული იყო იმ დროს საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შექმნილი მეტად მძიმე მდგომარეობით. XVIII ს. მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგისთვის კვლავ გრძელდებოდა საგანგაშო მდგომარეობა. ქართლ-კახეთში მეფის რუსეთის

ხელისუფლების დამყარებით მდგომარეობა არ შეცვლილა. მწარმოებელ კლასს კიდევ არ ჰქონდა საშუალება მშვიდობიანი ხვნა-თესვისათვის. განსაკუთრებით კატასტროფულ გავლენას ახდენდა სამეურნეო ცხოვრებაზე ლეკთა გამუდმებული თარეში.

საინგილო, მართალია, ლეკთა მიერ უკვე დაპყრობილი უბანი იყო, მაგრამ იგი გადაიქცა კავკასიონის გადაღმიდან მომდინარე ახალი მტაცებლური ჯგუფების საბუდარად. ეს ჯგუფები უმთავრესად ალაზნის პირის ინგილოურ სოფლებში დათარეშობდნენ, მიჰქონდათ მათგან სურსათი, პირუტყვის საკვები და ამ გზით იკრებოდნენ კახეთში.

ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას კარგად ახასიათებდა ბუტკოვი:

„ლეკთა თავდასხმების შიშით გლეხები მინდვრებს ამუშავებდნენ თავიანთი საცხოვრებელი ბინებიდან მხოლოდ ისეთ მანძილზე, საიდანაც მძარცველთა გამოჩენის შემთხვევაში თავის შეფარება მაშინვე გახდებოდა შესაძლებელი. იმ მიზნით, რომ გაძლიერებულიყო მიწათმოქმედება და საველე სამუშაოები და თვით საქართველოში ჯარის გაძოკვებისათვის საჭირო პურის შოვნის შესაძლებლობა შექმნილიყო... კრონინგმა... გასცა განკარგულება, რომ სოფლებში დაბინავებული რუსთა რაზმების ნახევარი შემადგენლობა გამოსულიყო ველებზე გლეხთა დასაცავად, თესვისა და პურის მოსავლის აღების დროს". ასეთი მოძრაობისას ლეკთა მოთარაშე ჯგუფებთან შებრძოლება ხშირი მოვლენა იყო [1].

რა თქმა უნდა, სოფლებში დაბინავებული რუსთა რაზმი მძიმე ტვირთად აწვა გაძვალტყავებულ გლეხობას, მაგრამ რუსთა რაზმების აღნიშნულ გამოსვლებს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შრომითი მოღვაწეობისათვის სათანადო პირობების შექმნაში. აღნიშნული მდგომარეობა გრძელდებოდა XIX საუკუნის დამდეგის შემდეგაც საკმაოდ დიდხანს, ათეული წლების განმავლობაში და მეტად საზიანო გავლენას ახდენდა როგორც მდ. ალაზნის გამოღმა ნაპირის ისე საინგილოს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე.

აღმოსავლეთ კახეთის შემოერთების (1830 წ.) შემდეგ, XIX ს. 30 — 50-ან წლებში გლეხთა სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო პირობები წინანდელთან შედარებით საგრძნობლად უმჯობესდება. გარკვეულ პერიოდში (1830 — 1838 წწ.) ინგილოები თავისუფლ-

[1] Бутков. Материалы... ч. II, გვ. 510.

დებიან კიდეც ლეკთა ბატონობისაგან. ლეკთა ადგილი ამ დროს სახელმწიფო ხაზინამ დაიკავა, მაგრამ ეს ცვლილება მაინც მიწისმოქმედი ინგილოების სასარგებლო გამოდგა. 1838 წ. შემდეგ ლეკები კვლავ ბატონდებიან, მაგრამ ძველი თვითნებობის აღდგენას ვეღარ ახერხებენ. ეს გარემოება წინანდებურად ვეღარ ბორკავს გლეხის სამეურნეო ინიციატივას. XIX ს-ნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული ოფიციალურ პრესაში ცალკეული ავტორები აღნიშნავენ, რომ საინგილოში დამუშავებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება [1].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საინგილოს მეურნეობა დაბალ საფეხურზე იდგა და პრიმიტიული ფეოდალური ტექნიკით ხასიათდებოდა. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო ნაკვეთების ერთგვარი „შესვენების“ წესი. ერთი წლის დამუშავების შემდეგ მიწის ნაკვეთს ჩვეულებრივ აღარ ხნავდნენ 2 — 3 წლის განმავლობაში. ეს ხდებოდა მიწის ბუნებრივი განაყოფიერების მიზნით. სამეურნეო ცოდნას მოკლებული გლეხი ასეთ პირობებში მიწის ნაკლებობას უჩიოდა, საიჯარო მიწებს ეძებდა, ახოებს ჭრიდა. არის ცნობა, რომ ზოგჯერ ნაკვეთებს 4 — 5 წლითაც ასვენებდნენ [2]. ეს გარემოება ამავე დროს შეიძლებოდა მიგვეჩნია იმის დამადასტურებელ ფაქტად, რომ საინგილოში საერთოდ მიწის ნაკლებობა, განყენებული თვალსაზრისით, არ შეიმჩნეოდა. რა თქმა უნდა, აქ იმის თქმა არ გვსურს, რომ გლეხობას მიწა საკმაოდ ჰქონდა. მიწა გაბატონებული კლასის ხელში იყო და მისით სარგებლობისათვის გლეხს მძიმე ვალდებულება აწვა კისერზე.

მიწის ნაკლებობა იყო საკმაოდ დიდ ინგილოურ სოფელში, ალიაბათში. ალიაბათლები იძულებული გახდნენ ნაწილობრივ გადასახლებულიყვნენ ტანაჩის ტყის ხაშმიან ნაკვეთებზე, რომლებიც XIX ს. 30-ან წლებში ჭარელმა ლეკებმა დაისაკუთრეს. ისინი ითხოვდნენ, რომ მათთვის შირაქის ველზე მიეცათ ნაკვეთები [3].

XIX ს-ნის 50-იან წლებში ერთი რუსი მოხელე საინგილოს მოსახლეობას, სამეურნეო საქმიანობის თვალსაზრისით, 24 ნაწილად ყოფდა. ამათგან, მისი დაკვირვებით, 7 ნაწილი მისდევდა მიწათმოქმედებას, 5 — მეაბრეშუმეობას, 4 — მესაქონლეობას. ყველა მცხოვრები რიგრიგობით ჰკიდებდა ხელს სხვადასხვა საქმიანობას,

---

[1] Посербский. Закатальский округ („Кавказ“, 1864 г. № 60).
[2] ცსსა, ფ. 236, აღწ. № 1, საქმე № 27, ფურც. 17.
[3] ცსსა, ფ. 15, აღწ. 1, საქმე № 14, ფურ. 67, 92.

2 ნაწილი დაკავებული იყო სამხედრო ვალდებულებებით (საყარაულ ო სამსახური), მილიციაში გაწვევით; ეს გაწვევა, ამ მოხელის გადმოცემით, იყო მუდმივიცა და დროებითიც. ბოლოს, 2 ნაწილი იხდიდა საშინაო ბეგარებს, როგორიც იყო მაგ., ურმების ქარავნების ხლება და ბევრი სხვა მოვალეობა; ამ ბოლო 2 ნაწილში იგულისხმებოდა ხელოსნობაც[1]. როგორც ვხედავთ, ჩვენს დამკვირვებელს მხედველობიდან გამორჩენია კიდევ 4 ნაწილი (!).

აღნიშნული დანაწილება, რომელსაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ინტერესს მოკლებული არაა იმდენად, რამდენადაც მასში გამეღავნებულია მცხოვრებთა მრავალფეროვანი სამეურნეო საქმიანობა. როგორც ვხედავთ, განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსული რეჟიმის დამყარებასთან დაკავშირებით გაჩენილ ახალ შრომითს ბეგარას, რომელსაც ხმარდება მოსახლეობის თითქმის 1/6-ის საქმიანობა. ეს მომენტი, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია საინგილოს სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობის დახასიათებისას.

მიწის ნაკვეთების ყარგისიანობის თუ დამუშავების შესაძლებლობის თვალსაზრისით მწარმოებელი კლასის მდგომარეობა სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვაგვარად გამოიყურებოდა. საინგილოს დაბლობში, მცირე გამონაკლისს გარდა, მიწა ნაყოფიერი იყო, მაგრამ საკმაოდ ქაობიანი და ხაშმიანი ველების ათვისება გლეხობას უჭირდა. პრიმიტიული საწარმოო ტექნიკით შეიარაღებულ მწარმოებელს ნაკლებ შეეძლო მეურნეობისათვის ბუნებრივ უპირატესობათა გამოყენება. სოციალური ჩაგვრაც მის სამეურნეო ინიციატივას ბორკავდა.

ხის გუთნით აჩიჩქნილ მიწაში გლეხი ყრიდა თესლს, შემდეგ უღელზე მობმული ფიჩხისაგან დაწნული ჩელტით, რომელზედაც ქვები ეყარა, იგი ფარცხავდა დათესილ ფართობს, რათა თესლი მიწაში ჩაემარხა[2]. ასეთი პრიმიტიული წესით თესდნენ გლეხები ხორბალს, რომლის მოყვანაც საინგილოში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო.

ოფიციალური ცნობების მიხედვით, საინგილოში პური ძლიერ ცოტა მოდიოდა. მეურნეობის პრიმიტიულ წესთა პირობებში საერთოდ დიდი მოსავალი არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ასეთი სიმცირე მაინც ეკვს იწვევს. კერძოდ, 1861 წლის მონაცემების

---

[1] იქვე, ფ. 10, საქ. 27, ფურ. 171 — 178.

[2] Посербский. Закатальский округ („Кавказ", 1864 г. № 59).

მიხედვით, ხორბლის მოსავალი ბელაქნის უბანში უდრიდა დაახლოებით ერთზე $2^1/_2$-ს, ბრინჯისა კი ერთზე 6-ს. უმნიშვნელო განსხვავება ჩანდა ენისელის (ალიაბათის) უბანში, სადაც პურის მოსავალი აღწევდა ერთზე სამს (დაითესა 43.560 „ჩეტვერტი", აიღეს 153.860 „ჩეტვერტი"), ხოლო ბრინჯისა — ერთზე ორს (დაითესა 18.466 „ჩეტვერტი", აიღეს 39.000[1]). ელისუს უბანში თითქოს რამდენადმე უკეთესი მდგომარეობა ჩანდა: აქ პურის მოსავალი უდრიდა ერთზე სამს, ან ოთხს, ხოლო ბრინჯისა ერთზე 9-ს, ან 10-ს[2]. XIX საუკუნის 70-იან წლებში მცხოვრებლებმა განუცხადეს ზაქათლის კომისიას, რომ პურის საუკეთესო მოსავლად ითვლებოდა ერთზე ხუთი[3]. პურის საშუალო მოსავლად თვლიდნენ ერთზე სამს. ასახელებდნენ შემთხვევებს, როცა, მოუსავლიანობის დროს, სათესლესაც კი ვერ იღებდნენ[4].

ჩვენი აზრით, მოტანილ ცნობებში, როგორც ოფიციალურში, მოსავლის რაოდენობა განზრახ უნდა იყოს შემცირებული. მითითებულ ცნობებს საეჭვოდ ხდის ის გარემოება, რომ მათ კრებდა ადგილობრივი მმართველობა, რომელიც სახელმწიფო გადასახადებს მიწის შემოსავლის მიხედვით ანაწილებდა. ამ შემთხვევაში მოსახლეობას შეეძლო, რომ შემოსავალი განზრახ შემცირებით ეჩვენებინა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს 1826 წ. კოცებუს ცნობა, რომლის მიხედვით ხორბლის მოსავალი უდრიდა ერთზე შვიდს, ნ რვას, ხოლო ჭერისა და ბრინჯისა — ერთზე ოცს[5]. დროთა განმავლობაში (35 წლის შემდეგ), რა თქმა უნდა, ცვლილება მოხდებოდა, მაგრამ არა გვგონია, რომ მოსავლიანობა ასე მძაფრად დაქვეითებულიყო, რადგან ჩვეულებრივ ¦გლეხები, როგორც უკვე ითქვა, მიწის ნაკვეთს პერიოდულად „ასვენებდნენ" ხოლმე (დაუთესავს სტოვებდნენ ბუნებრივი განაყოფიერების მიზნით). ამრიგად, კერძოდ პურის საშუალო მოსავლად შეიძლებოდა მიგვეჩნია ერთზე 5 ან 7.

---

[1] „ჩეტვერტი" უდრიდა 8 „ჩეტვერიკს", „ჩეტვერიკი" კი — 34 გირვანქას (26 1/4 ლიტრას); აქედან „ჩეტვერტი" გამოდის 272 გირვანქა (210 ლიტრა), ანუ 6,8 ფუთი; კილოგრამებზე გადაყვანით ჩეტვერტი = 108,8-ს („Кавказский календарь" на 1917 г. Справочн. отд.)

[2] ცსსა, ფ. 10, საქ. № 471, ფურც. 365.

[3] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 1, ეურნ. № 15, ფურც. 84.

[4] სოფ. ზოთავრის მაგალითი (იქვე, ფურ. 79).

[5] Статистические сведения о Чарских владениях, ф. 3 — 11.

მწარმოებელი კლასის მდგომარეობა მოუსავლიანობის დროს ძალზე მძიმე იყო. გლეხებს მებატონეთათვის, თანახმად წესისა, ღალა მაინც უნდა მიეცათ. მოუსავლიანი წლების რაოდენობა კი XIX საუკუნეში საკმაოდ ბლომად იყო: მარტო 1853 წლიდან 1860 წლამდე აღინიშნა მოუსავლობის ოთხი მწვავე შემთხვევა (1853, 1855, 1859, 1860 წ.)[1].

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, XIX ს-ნის I ნახევარში საინგილოში პური საკმაოდ იყო. იგი უკვე აღარ შემოჰქონდათ ალაზნის გამოღმა მდებარე სოფლებიდან (როგორც მე-18 ს-ში). პირიქით, XIX ს-ში აღნიშნულია საინგილოდან პურის გაზიდვაც. გამზიდველები, როგორც ჩანს, მიწისმფლობელები იყვნენ[2].

საინგილოში მაჰმადიანობის გავრცელებამ მთლად ვერ მოსპო ვაზის კულტურა და რევენახეობა მეურნეობის ერთ-ერთ დარგად მაინც დარჩა. განსაკუთრებით იმ დროიდან, როცა ქრისტიანობის აღდგენა სწრაფი ტემპით დაიწყო, მევენახეობამაც ძველი წარმატებისაკენ იბრუნა პირი, მაგრამ ძველ დონეს მაინც ვერ მიაღწია. უფრო მეტად აშენებდნენ ვაზს ქრისტიანი ინგილოები. ისინი ღვინოს თვითონაც სვამდნენ და ჰყიდდნენ კიდევაც. მუსლიმანები კი ღვინოს გაცვლისათვის იყენებდნენ. მაგალითად, ყორაღნელი ინგილო-მუსლიმანები ღვინოს ცხვარზე უცვლიდნენ თუშებს.[3]

საინგილოს ბუნებრივი პირობები განსაკუთრებით უწყობდა ხელს მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებას და ამ დარგებს საკმაოდ თვალსაჩინო ადგილიც ეკავა სამეურნეო ცხოვრებაში. ხილის ბაღებთან ერთად სერიოზული ყურადღება ექცეოდა თუთის ხის ბაღებს, რომლებიც მეაბრეშუმეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენდა. ხშირი იყო კაკლის ხეები და თხილის ბუჩქები.

მესაქონლეობა საინგილოს ძირითადი მოსახლეობისათვის საერთოდ მეურნეობის ერთ-ერთი დამხმარე დარგი იყო, ხოლო ჩამოსახლებულ ავარელ-წახურელთა სოფლებისათვის, რომლებსაც მთიანი ზონა ეკავათ, — წამყვანი. ეს იმითაც აიხსნება, რომ აღნიშნული ტომები აქ მოვიდნენ, როგორც მომთაბარეები, რომელთაც არ ჰქონიათ განვითარებული სოფლის მეურნეობა. ზაქათალის კომისიის ეურნალებში ნათქვამია:

---

[1] ცსსა, ფ. 10, საქ. 27, ფურ. 171 — 187; საქ. 1471, ფურ. 363-65.

[2] Петрушевский. Джаро-Белак. вольн. общ., გვ. 29.

[3] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 1, ე. № 15, ფ. 85.

„მესაქონლეობა, მცირედის გამოკლებით, არ წარმოადგენს მცხოვრებთა (იგულისხმება ინგილოური მოსახლეობა, მ. დ.) წარმოებითს საქმიანობას; მათ ყავთ მსხვილფეხა საქონელი, როგორც გამწევი ძალა: მხოლოდ ითი-თალელებს აქვთ შემოსავალი მესაქონლეობიდან, ჰყიდიან რა ხბორებსა და კარაქს...“ [1].

სამაგიეროდ საქონელი ბლომად ჰყავდათ ჭარელ ავარებს, ბელაქნელებს, გოგამელებს, კატეხელებს, მაწეხელებსა და მთიან სხვა სოფლებში მცხოვრებ ლეკებს [2].

მეაბრეშუმეობა საინგილოში ძველთაგანავე წარმოადგენდა მეურნეობის ერთ სერიოზულ დარგს. XIX საუკუნის დამდეგიდან (1803 წ.), როდესაც რუსეთის მთავრობა ჭარ-ბელაქნელ ლეკებს იძულებით აღებინებს მფარველობას, მათი დამოკიდებულების ერთი მთავარი პირობაა აბრეშუმის ხარკის (ყოველწლიურად 220 ფუთის) გადახდა.

1861 წლის ცნობით, საინგილოში მოჰყავდათ 9078 ფუთი ხამი აბრეშუმი [3]. XIX ს-ნის 70-იან წლებში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობას, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ძალზე შეუნელებია მცხოვრებთა მისწრაფება აბრეშუმის მოყვანისადმი [4].

საკმაოდ განვითარებული ყოფილა მეფუტკრეობაც. 1853 წ. ცნობით, ამ დარგში ყველაზე წინ იდგა ბელაქნის უბანი, სადაც აღნიშნულ წელს მიუღიათ 1197 ფუთი თაფლი და 150 ფ. ცვილი, 1854 წელს კი პროდუქცია რატომღაც მეტად შემცირებულა (325 ფ. თაფლი და 56 ფ. ცვილი) [5]. მეფუტკრეობას მეტ-ნაკლები წარმატებით მისდევდნენ საინგილოს სხვა უბნებშიაც, უმთავრესად მთიან ზონაში. თაფლი და ცვილი ამ დროს სარფიანი საბაზრო საქონელი ჩანდა. ეს მით უფრო, რომ ყმა-გლეხთა საგადასახადო ვალდებულებებში თაფლი და ცვილი არ იგულისხმებოდა.

სათანადოდ განვითარებული ყოფილა მეთამბაქოობაც. კოცებუს ცნობით, საინგილოს „ყველა მცხოვრები ეწეოდა თამბაქოს, რომლითაც ეს მხარე მდიდარი“ იყო [6].

---

[1] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ეურნ. № 45, ფურც. 46.

[2] 1872 წ. ცნობით, ჭარელებს ჰყავდათ 3.700 სული მსხვილფეხა საქონელი, კატეხელებს — 1.000, მაწეხელებს — 700, გოგამელებს — 400 (ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ეურნ. 45, ფურ. 46).

[3] ცსსა, ფ. 10, საქ. 1471, ფურ. 363, 365.

[4] საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 529.

[5] ცსსა, ფ. 10, საქ. 27, ფურ. 171 — 187. 1855 წ. ჭარ-ბელაქანში საერთოდ მიუღიათ 1447 ფ. თაფლი და 410 ფუთი ცვილი (იქვე).

[6] Статистические сведения о Чарских владениях, ფ. 3 — 11.

საინგილოს ადგილობრივ ბაზრებზე ჩანდა შინამრეწველური, ხელოსნური ნაწარმი. შინამრეწველობის მრავალრიცხოვანი დარგებიდან საინგილოში გავრცელებული იყო აბრეშუმის ძაფის ხვევა, მეტყავეობა, მექოთნეობა, იარაღის კეთება, ხალიჩის ქსოვა, ქეჩის კეთება, ხამი ტილოს ქსოვა, მჭედლობა, დურგლობა, კალატოზობა და ბევრი სხვა[1]. ეს იყო უმთავრესად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ხელოსნობა. წვრილ საქონელმწარმოებელთა რიცხვი შედარებით ნაკლები იყო. ადგილობრივ ბაზრებზე გარედან შემოტანილი სამრეწველო საქონელი ბატონობდა.

1853—1855 წლების ცნობებში ნათქვამია, რომ „საფაბრიკო და საქარხნო ვაჭრობა ოლქში არ ყოფილა"[2]. ასეთი განცხადება გულისხმობდა იმას, რომ ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნები არ არსებობდნენ.

საინგილოს ადგილობრივ ბაზრებზე ვაჭრობდნენ უმეტესად მიწისმფლობელები, რომლებიც თავიანთი ყმებისაგან იღებდნენ საკმაოდ ბევრ პურსა და აბრეშუმს. ისინი ვაჭრობდნენ უშუალოდ თბილისიდან და ბაქოდან ჩამოსული ვაჭრების მეშვეობით[3]. პროდუქტების გარკვეული რაოდენობა, ზედმეტი ან გაცვლისათვის აუცილებელი, ბაზარზე გაჰქონდათ გლეხებსაც.

ვაჭრობის განვითარებას აღნიშნულ პერიოდში ბევრი რამ უშლიდა ხელს. ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იყო ფეოდალური პოლიტიკური ერთეულების, სამთავროებისა და სახანოების არსებობა. თბილისიდან ბაქოსაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე ვაჭრებს ხუთჯერ უხდებოდათ ბაჟის გადახდა[4]. ვაჭრობას ზღუდავდა არსებული ფეოდალური ურთიერთობა, ეგზოობა, ყაჩაღობა და ბევრი სხვა.

მიუხედავად ხელისშემშლელი პირობებისა, ვაჭრობის განვითარებას საინგილოში რამდენადმე მეტი გასაქანი ჰქონდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ იქ საკმაოდ იყვნენ პირადად თავისუფალი გლეხები, რომელთა სავაჭრო-სამეურნეო შესაძლებლობა უფრო ფართო ჩანდა.

---

[1] ცსსა., ფ. 10, საქ. 27, ფურ. 171—187.

[2] იქვე. სხვა ადგილას კიდევ ნათქვამია: „В селениях Закатальского округа Фабрик и заводов нет", არის მხოლოდ შინამრეწველური ხელოსნობა (ცსსა, ფ. 10, საქ. 1471, ფურც. 363-365).

[3] პეტრუშევსკის დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[4] Агаян А. Бакиханов, изд. АН. Аз. ССР, 1948 г. გვ. 10.

ასეთი გლეხების არსებობა იმაზე მიუთითებდა, რომ აღმოსავლეთ კახეთში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული გლეხთა საბოლოო მიჯაჭვა ფეოდალთა მიწებზე, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ურთიერთობა ბატონობდა. მწარმოებელთა შემდგომი დამონება გრძელდებოდა XIX ს. I ნახევარშიაც, მაგრამ გლეხთა გარკვეული ნაწილის მიერ რამდენადმე დამოუკიდებელი მეურნეობის შემონახვა 60-იანი წლების რეფორმისათვის, როდესაც კაპიტალიზმის აღმოცენებას საერთო პირობები ექმნებოდა, ის მომენტი იყო, რომ აქ ახალი წყობილების წარმოშობას, საქართველოს სხვა პროვინციებთან შედარებით, უფრო მეტი გასაქანი შეიძლებოდა ჰქონოდა.

XIX ს. I ნახევრის საინგილოში მოქმედ სავაჭრო კაპიტალს პრიმიტიული ფორმები ახასიათებდა. ჩანდა ამ კაპიტალის განვითარების მეორე საფეხური — ვაჭრობის შეერთება მევახშეობასთან, როდესაც ვალში ჩავარდნილი გლეხი ვაჭარს პროდუქტებით უსწორებდა ანგარიშს, ვაჭარი თვით კარნახობდა ფასებს და პირად დამოკიდებულებაში, კაბალაში აგდებდა მოვალეს[1].

ჯერ კიდევ 1803 წ., როცა რუსეთის მთავრობამ ჭარ-ბელაქანს აბრეშუმის ხარკი დაადო, ვაჭარმა ჰაჯი-აბაკერმა ეს ხარკი ფულით შეიტანა, მეორე წელს კი ვალი აბრეშუმით მიითვალა და ამ გზით ფულადი კაპიტალი გაიორკეცა[2]. ვაჭარი აჩანაგებდა როგორც მიწისმფლობელებს, ისე წვრილ მწარმოებლებს.

საინგილოს მტკიცე სავაჭრო-ეკონომიური კავშირი ჰქონდა ალაზნის გამოღმა ნაპირზე მდებარე სოფლებთან. მხოლოდ ალაზნის გამოღმიდან (წითელ-წყაროდან, სიღნაღიდან, თბილისიდან) შედიოდა საინგილოში პირველი მოთხოვნილების საგნები: მარილი, რკინა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სამოსელი და სხვ.

მდ. ალაზანზე მრავლად იყო გადმოსასვლელები — მაგ., მუღანლოს, ალმალოსი, მოსულისა და სხვ.[3]. მთავარი სავაჭრო გზა მოდიოდა ახლანდელი დიდი მაგისტრალის გაყოლებით, კახიდან, ჭარისა და ბელაქნის გავლით, ლაგოდეხისაკენ: აქ კი გზა ორად იყოფოდა, ერთი მიდიოდა ყვარელისაკენ, მეორე — სიღნაღისაკენ. გაცხოველებული მიმოსვლა წარმოებდა ალაზნის გადმოსასვლელებზე, შირაქის ველის გავლით, კახეთის შიდა უბნებისაკენ.

---

[1] ვ. ლენინი. თხზულებანი, ტ. 3. გვ. 429.
[2] საქ. ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 14, ჟურნ. 62, ფ. 183.
[3] Кавказский календарь на 1866 г. лит. отд. გვ. 9.

საინგილოდან ხამ აბრეშუმს ეზიდებოდნენ თბილისში, განჯაში და ჩრდილოეთითაც, დაღისტნის გავლით[1].

ადგილობრივ ბაზრებსა და მეზობელი რაიონების სავაჭრო პუნქტებში ჩანდა საინგილოს მეცხოველეობის ნაწარმი. 1853 წ. მარტო ელისუს უბანს გაუყიდია 17.622 მანეთის ოთხფეხი და 8.825 მანეთის რძის ნაწარმი, 1854 წ. კი 20.822 მანეთის ოთხფეხი[2]. ასევე მრავლად იყიდებოდა მატყლი და ტყავი[3].

სავაჭრო საქმიანობა, მისი ზრდა საინგილოში ხელს უწყობდა ფულადი სიმდიდრის დაგროვებას. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იქმნებოდა კაპიტალი, რადგან ფულადი სიმდიდრის კონცენტრაციას თან არ სდევდა არსებული წარმოების წესის დაშლა.

„...კ ა პ ი ტ ა ლ ი ს თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი შ ე ქ მ ნ ა უ ბ რ ა ლ ო დ ი მ გ ზ ი თ ხ დ ე ბ ა, რ ო მ ფ უ ლ ა დ ი ს ი მ დ ი დ რ ი ს ს ა ხ ი თ ა რ ს ებ უ ლ ლ ი რ ე ბ უ ლ ებ ას წ ა რ მ ო ებ ის ძ ვ ე ლ ი წ ე ს ის დ ა შ ლ ის ის ტ ო რ ი უ ლ ი პ რ ო ც ე ს ის წ ყ ა ლ ობ ით უ ნ ა რ ი ე ძ ლ ე ვ ა, ე რ თ ი მ ხ რ ი ვ, ი ყ ი დ ო ს შ რ ო მ ის ობ ი ე ქ ტ უ რ ი პ ი რ ობ ებ ი, მ ე ო რ ე მ ხ რ ი ვ, ფ უ ლ ზ ე გ ა დ ა ც ვ ა ლ ო ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ებ უ ლ ი მ უ შ ებ ის თ ვ ი თ ც ო ც ხ ა ლ ი შ რ ო მ ა. ყ ვ ე ლ ა ე ს მ ო მ ენ ტ ი უ კ ვ ე ა რ ს ებ ობ ს; თ ვ ი თ მ ა თ ი გ ა თ ი შ ვ ა ის ტ ო რ ი უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი ა, დ ა შ ლ ის პ რ ო ც ე ს ი დ ა ა ი ს წ ო რ ე დ ე ს პ რ ო ც ე ს ი ა, რ ო მ ფ უ ლ ს უ ნ ა რ ს ა ძ ლ ე ვ ს კ ა პ ი ტ ა ლ ა დ გ ა რ დ ა ი ქ მ ნ ე ს. ი მ დ ე ნ ა დ რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ფ უ ლ ი ა მ პ რ ო ც ე ს ს ის ტ ო რ ი უ ლ ა დ ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს, თ ვ ი თ ო ნ მ ო ქ მ ე დ ებ ს მ ხ ო ლ ო დ რ ო გ ო რ ც უ ა ლ რ ე ს ა დ ე ნ ე რ გ ი უ ლ ი გ ა მ თ ი ნ ა ვ ი ს ა შ უ ა ლ ებ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა მ პ რ ო ც ე ს ს ი ი ჭ რ ებ ა, დ ა მ ხ ო ლ ო დ ი მ დ ე ნ ა დ, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ი გ ი ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს გ ა ყ ვ ე ლ ე ფ ი ლ ი, ა რ ს ებ ობ ის ობ ი ე ქ ტ უ რ ი პ ი რ ობ ებ ს მ ო კ ლ ებ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ უ შ ე ბ ის შ ე ქ მ ნ ას; მ ა გ რ ა მ ის ა მ ა ს ხ ე ლ ს ი მ ი თ კ ი ა რ უ წ ყ ო ბ ს, რ ო მ ა მ მ უ შ ებ ის ა თ ვ ი ს მ ა თ ი ა რ ს ებ ობ ის ობ ი ე ქ ტ უ რ ი პ ი რ ობ ებ ს ქ მ ნ ის, ა რ ა მ ე დ ი მ თ, რ ო მ ე ხ მ ა რ ებ ა ა მ პ ი რ ობ ებ ის ა გ ან მ უ შ ებ ის მ ო წ ყ ვ ე ტ ის დ ა ჩ ქ ა რ ებ ას, ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს ი მ ა ს, რ ო მ მ უ შ ებ მ ა ჩ ქ ა რ ა დ ა კ ა ბ რ ო ნ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ს ა კ უ თ რ ებ ა“[4].

„... რ ა ც შ ე ე ხ ებ ა თ ვ ი თ ო ნ ფ უ ლ ა დ ი ს ი მ დ ი დ რ ის შ ე ქ მ ნ ას, ს ა ნ ა მ ე ს ი ს ი მ დ ი დ რ ე კ ა პ ი ტ ა ლ ა დ გ ა დ ა ი ქ ც ე ო ლ ა, ი გ ი ე კ უ-

[1] პეტრუშევსკის დასახ. ნაშრ., 29.

[2] ცსსა, ფ. 10, საქ. 27, ფურ. 171 — 187.

[3] 1853 წ. ცნობით, ბელაქნის უბანს გაუყიდია მეცხოველეობის ნაწარმი 21.052 მან., ხოლო ენისელის — 14.880 მან. (იქვე).

[4] კ. მ ა რ ქ ს ი. კ ა პ ი ტ ა ლ ის ტ უ რ ი წ ა რ მ ო ებ ის წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი ფ ო რ მ ებ ი, 1952 წ., გვ. 58—59.

თვნის ბურჟუაზიული ეკონომიკის წინაისტორიას, მევახშეობა, ვაჭრობა, ქალაქური ცხოვრება, და ყოველივე ამასთან ერთად წარმოშობილი ფისკი აქ მთავარ როლს ასრულებს; ასევე მოიჯარეების, გლეხების და სხვათა დაგროვებანი, თუმცაღა ნაკლები ოდენობით" [1].

XIX საუკუნის პირველ ნახევრის საინგილო, როგორც მოტანილი მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, წარმოადგენდა ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელი ნატურალური მეურნეობის ქვეყანას, სადაც თავს იჩენდა ამ მეურნეობის დაშლის ელემენტები. ეს ჩანდა წვრილ მწარმოებელთა მასის ერთი ნაწილის მიერ პროდუქტების საბაზროდ წარმოებაში. მაგრამ არსებული სასაქონლო წარმოების დაბალი სტადიის დროს მიმდინარე დაშლის პროცესი ჯერ კიდევ ვერ ქმნიდა წარმოების ახალ წესს. მართალია, ამ დროს ვაჭარ-მევახშეები საკმაო რაოდენობით ანადგურებდნენ მიწისმფლობელებსა და წვრილ მწარმოებლებს, ზოგჯერ ახდენდნენ ფულადი კაპიტალების კონცენტრაციასაც, მაგრამ ისინი უშუალოდ არ იქვემდებარებდნენ მწარმოებელთა შრომას და არ უპირისპირდებოდნენ მათ სამრეწველო კაპიტალის სახით.

„როგორც მსხვილი მემამულეების განადგურებას მევახშეების მიერ, ისე მათ მიერვე წვრილი მწარმოებლების ექსპლოატაციას მოსდევს დიდი ფულადი კაპიტალების შედგენა და კონცენტრაცია. მაგრამ თუ რამდენად სპობს ეს პროცესი ძველი წარმოების წესს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თანამედროვე ევროპაში, და აყენებს იგი თუ არა მის ადგილას კაპიტალისტური წარმოების წესს, ეს სავსებით ისტორიული განვითარების საფეხურზე და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე არის დამოკიდებული" [2].

ცალკეულ ვაჭარ-მევახშეთა ხელში დაგროვილი ფულადი კაპიტალი მხოლოდ სათანადო გარემოებათა შექმნის ვითარებაში წარმოადგენდა ახალი წარმოების წესის წარმოშობისათვის ხელის შემწყობ ძალას. ასეთი ვითარება რეფორმის შემდგომ პერიოდში იქმნება.

3. ქართული ფეოდალური ზედაფენა

ჩვენ მიერ ხმარებულ ტერმინებში „ლეკი" („лезгин") სოციალური ტერმინია და საინგილოში გვიან გაბატონებულ ზედაფენას

---

[1] იქვე, გვ. 63.
[2] კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III, ნაწ. 1, გვ. 125 — 126.

გულისხმობს. ამ ფენაში შედიოდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მკვიდრი ქართველი ფეოდალების ბედი.

„ზაქათალის კომისიისადმი“ წარდგენილ ერთ მოხსენებაში გოგამელი მოლა მურთუზ-ალი ეფენდი ტინოვ-ოღლი ამტკიცებდა, რომ ლეკთა უმრავლესობა წარმოშობით ქართველი იყო. ეს მოხსენება დართული ყოფილა „ზაქათალის კომისიის“ მე-13 საქმესთან; მისი მოძებნა ვერ მოხერხდა[1]. ეს გარემოება ამ ცნობის ღირსებას ვერ ანელებს, რადგან იგი ნაწილობრივ მაინც არის დადასტურებული ზაქათალის კომისიის მრავალრიცხოვან ჟურნალებში.

აღნიშნული გარემოება საინგილოს სოციალურ-ეკონომიური ვითარების დახასიათების საკითხს რამდენადმე ახლებურად სვამს.

საინგილოს სოციალურ-ეკონომიური წყობილების შესწავლას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ი. პეტრუშევსკიმ, — წიგნში „Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия“, სადაც აღნიშნულ საკითხს დათმობილი აქვს III და IV თავები. ავტორი ახერხებს ძირითადად სწორი პასუხი გასცეს მთელ რიგ კითხვებზე, რომელთა გარეშე ამ წყობილების დახასიათება შეუძლებელი იქნებოდა.

---

[1] კომისიის ჟურნალში ნათქვამია:

„Чтобы полнее изложить всю несостоятельность лезгин, в стремлении их приобрести себе права высшего сословия в округе, житель сел. Гогам молла Муртуз-Али-Эфенди Тинов-оглы просил разрешения комисии, собрать от своих вверителей все данные, основанные на правде и действительности, которые бы могли разбить домогатеельства лезгин на приобретение прав высшего сословия и изложить их письменно. Через несколько времени названний поверенный явился в комиссию и представил свое письменное изложение, приложенное в делу комиссии № 13. В этом изложении заявитель подтверждает вышеизложенные права лезгинских поверенных с тою только разницею, что происхождение большинства лезгин он относит к грузинам, оставшимся здесь после покорения края лезгинами, принявших потом мусульманство“ (ცსსა, ფ. 236, აღწ.), საქ. 13, ჟურნ. № 45. ფურ. 23 — 33).

რუსული მმართველობის მიერ ჩამოყალიბებული „ზაქათალის კომისია“ XIX ს. 60 — 70-ან წლებში სწავლობდა ზაქათალის ოლქში არსებულ საადგილმამულო ურთიერთობას იქ სარეფორმო ღონისძიების მოსალოდნელ ჩატარებასთან დაკავშირებით. ამ კომისიამ მეტად ძვირფასი მასალა დაგვიტოვა (საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 482 — 483).

მაგრამ პეტრუშევსკი ზემოხსენებულ ნარკვევში ამოდის ე. წ. „თავისუფალი თემების“, „ავარულ-წახურული“ თემების, შინაგანი წყობილებიდან, როგორც ისეთი მოვლენიდან, რომელიც განსაზღვრავს მთლიანად ჭარ-ბელაქანში, ანუ საინგილოში არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას. აღნიშნული თემების შინაგანი წყობილება XIX საუკუნის I მესამედში ავტორის მიერ დახასიათებულია, როგორც ადრინდელ-ფეოდალური წყობილება, არქაული (ამ შემთხვევაში იგულისხმება გვაროვნულ-თემური წყობილება მ. დ.). ფორმაციის მნიშვნელოვანი გადმონაშთებით“ [1].

ავტორი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გვაძლევს ჭარ-ბელაქნის ავარული თემების სოციალური სტრუქტურის „ტლანქ სქემას“:

1. „ფეოდალური ზედაფენა — ქევხები, ქეშქელის მფლობელები, ყაზიები, ულემები (ავარები).

2. თავისუფალი გლეხები — მიწის წვრილი მესაკუთრეები, თავისფალი თემების წევრები (ავარები).

3. სოფლის უფროსები (მამასახალისები, მ. დ.) და საქეშქელო სოფლების მაოფები, გადასახადებისაგან თავისუფალნი (მუღალები და ინგილოები).

4. მიწაზე მიმაგრებული მოქეშქელე გლეხები, დაბეგრილნი ფეოდალური გადასახადებით (მუღალები და ინგილოები).

5. შინაყმა გლეხები (Крепостные — дворовые) (მუღალები).

6. მონები (თავდასხმების დროს შეპყრობილი ტყვეები, მეტწილად ქართველები“) [2].

ავტორის მიერ მოტანილი „ტლანქი სქემა“, მისივე განსაზღვრით, ასახავს მხოლოდ იმ მომენტს, როდესაც ჭარ-ბელაქანი მეფის რუსეთმა შემოიერთა, ანუ როდესაც ავარულ-წახურული თემები დაიშალა და მათ წიაღში ფეოდალური ზედაფენა წარმოიშვა. რაც შეეხება ადრინდელ ეტაპს, პეტრუშევსკი თვლის, რომ მე-17 საუკუნეში ავარულ-წახურული თემები თავიანთი თოხუმურ-ჯამაათური წყობილებით უცვლელი რჩებოდნენ, თანდათანობით თავისუფლდებოდნენ კახი თავადების ბატონობისაგან და ითვისებდნენ უფლებას ქართველ გლეხებზე, რომელნიც კახელ ფეოდალებს ეკუთვ-

[1] პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 55.
[2] იქვე, გვ. 58 — 59.

ნოდა[1]. შემდეგ კი მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ავარ-წახურებმა „მთლიანად შეცვალეს“ კახი ფეოდალები მე-18 საუკუნის დასაწყისში[2]. ცოტა უფრო ქვემოთ ავტორი აღნიშნავს:

„ამრიგად, თავისუფალ თემთა წარმოქმნა აღმოსავლეთ კახეთში სწრაფი დაპყრობისა და მასიური ერთდროული მიგრაციის შედეგი კი არა, არამედ ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო“[3]. კიდევ ქვემოთ იგი, მიუთითებს რა კახელ გლეხებსა და ლეკებს შორის ადრეული კავშირის დარღვევაზე, როდესაც ლეკებმა ძველ მჩაგვრელთა ადგილი დაიკავეს და გლეხთაგან წინანდელი გადასახადების გადახდას მოითხოვდნენ, დასძენს: „XVIII საუკუნის შუახანებიდან ეს მოთხოვნები იზრდება, ხოლო თვით თავისუფალ თემთა შიგნით გამოიყოფა ფეოდალიზებული ზედაფენა, რომელიც გლეხებზე წინანდელი ფეოდალების უფლებებს ითვისებს“[4].

ამრიგად, პეტრუშევსკი ფიქრობს, რომ ავარულ-წახურული თემები, თავიანთი გვაროვნულ-თემური წყობილების შენარჩუნებით ჯერ კიდევ XVIII ს-ში ერთდროულად კიდევაც თავისუფლდებიან კახი თავადების ხელისუფლებისაგან და კიდევაც იწყებენ მათ შეცვლას. ეს შეცვლა სრულდება XVIII ს-ნის დამდეგს, შემდეგ კი XVIII ს-ნის შუაში აღნიშნული თემებისაგან გამოიყოფა ფეოდალიზებული ზედაფენა, რომელიც კვლავ ითვისებს წინანდელი ფეოდალების უფლებებს. გამოდის, რომ ჯერ, XVIII ს-ნის დამდეგს, კახ-ფეოდალებს „მთლიანად ცვლიან“ „თავისუფალი თემები“, ხოლო შემდეგ, XVIII საუკუნის შუაში, ამ თემთაგან გამოყოფილი ზედაფენა. ეს, ვფიქრობთ, მთლად სწორი არ უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, ავარ-წახურთა მიერ ადგილობრივი კახი ფეოდალების შეცვლა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მომხდარიყო, როდესაც აქ ჩამოსახლებულთა სოციალური ბუნება ამას შესაძლებელს გახდიდა, ანუ ავართა შიგნით წარმოიშობოდა კახი ფეოდალების შეცვლის უნარის მქონე მასა, გაბატონებული ზედაფენის სახით. ასეთი შესაძლებელი მოსაზრება იქნებ უფრო ანგარიშგასაწევი ყოფილიყო.

---

[1] იქვე, გვ. 12—13.

[2] „Повидимому авары и пахуры вполне освободились от власти кахетинских феодалов и вполне заменили их только к началу XVIII в.“ (იქვე, 13).

[3] იქვე, გვ. 13.

[4] „С половины XVIII в. эти требования стали расти, а внутри самих вольных обществ выделилась феодализировавшаяся верхушка, присвоившая права прежних феодалов над крестьянами себе“(იქვე, გვ. 15).

პროფ. პეტრუშევსკი ჭარ-ბელაქანში არსებული სოციალური ურთიერთობის დახასიათებისას მხედველობიდან უშვებს ერთ სერიოზულ მომენტს. ესაა აღმოსავლეთ კახეთში ძველთაგანვე გაბატონებული ქართული ფეოდალური ზედაფენისა და აქ ჩამოსახლებულ ავარებზე მისი ზემოქმედების საკითხი. აგრეთვე გათვალისწინებული ვერაა „გალეკების“ პროცესის პერსპექტივები. ამ საკითხების გაუთვალისწინებლობა იწვევს იმას, რომ დასახელებულ ნაშრომში ავტორი საინგილოში არსებულ სოციალურ ურთიერთობას ახასიათებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანური რაიონების და დაღისტნის თავისუფალი თემების შინაგანი წყობილების გავლენათა საფუძველზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავარული „თავისუფალი თემები“ თავიანთი სტრუქტურით აქ პირდაპირ ცვლიან ქართველ მებატონეებს და ეს გარედან მოტანილი სტრუქტურა მიდის დამოუკიდებული შინაგანი განვითარების გზით.

ჩვენი აზრით, ჭარ-ბელაქნის, ე. ი. საინგილოს, საზოგადოებრივი წყობილების დახასიათებისას განმსაზღვრელია ქართული ბატონყმური სისტემა, რომელიც, მიუხედავად ავარულ-წახურული თემების გაბატონებისა და საინგილოს კახეთიდან ჩამოცილებისა, დიდხანს ძალაში რჩება და თავის გავლენას უმორჩილებს აღნიშნულ თემებსაც. ამასთანავე, რა თქმა უნდა, საინგილოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს სათანადო და საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს მის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე.

გაბატონებული ლეკური თემების დახასიათებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ფეოდალური ზედაფენის საკითხს, რაც უნებლიედ უკავშირდება აღნიშნული თემების წარმოქმნის საკითხს, კერძოდ მის სოციალურ მხარეს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თავდაპირველად ლეკური თემები კახეთის მეფის ხელისუფლებას აღიარებდნენ, მაგრამ შემდეგ, ყიზილბაშთა ბატონობისა და მათი მხარდაჭერის პირობებში ამ თემებმა დაიწყეს ბრძოლა მიწების დაპყრობა-შენარჩუნებისათვის. მე-18 ს. 20-ან წლებში კახეთში გაჩაღებულმა სოციალურმა ბრძოლამ მოკლე ხნით შეაკავშირა ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობა და ავარული თემები, რომლებსაც დასაწყისში „უბატონობა“ მოჰქონდათ. მაგრამ შემდეგში, როცა მებატონე თემებად გადაქცეულმა „თავისუფალმა“ თემებმა უკვე აშკარად ბრძოლა გააჩაღეს მიწებისა და ყმების შეძენის მიზნით და კახელი ფეოდალების ადგილის დაკავება დაიწყეს, აღნიშნული კავ-

შირიც დაირღვა. გლეხებმა უკვე ახალ ბატონებს დაუწყეს ბრძოლა.

ამ ბრძოლაში აღმოსავლეთ კახეთში გაბატონებული ფეოდალების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, აგრეთვე გალეკდა და დამპყრობელ ლეკებთან ერთად ებრძოდა კახელ გლეხობას. იმ დროს, როდესაც ლეკობა ყმა-მამულისათვის იბრძოდა და, აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალების გაბატონების პირობებში, კახეთში თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად მაჰმადიანობის ძალით დანერგვის პოლიტიკას მიმართავდა, ბუნებრივია, რომ ბევრი ქართველი მებატონე თავისი ყმა-მამულის დაკარგვის შიშით „გალეკდებოდა“, მაჰმადიანობას მიიღებდა და ამ გზით თავის ძველ ბატონობას შეინარჩუნებდა. აქ შეიძლებოდა დაგვენახა კახეთში გაბატონებულ კლასს შიგნით, სამეფო ხელისუფლებასა და თავადობის ერთ ნაწილს შორის, არსებული წინააღმდეგობის გამოვლინებაც. კახელი თავადების ერთი ნაწილის გალეკება — გამაჰმადიანების პროცესი, მათი გათქვეფა გაბატონებულ ლეკურ თემებში, თავისი ზოგადი ხასიათით რამდენადმე მიაგავდა სამხრეთ საქართველოს გაოსმალების პროცესს.

ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისია მხოლოდ შესაძლებელ მოსაზრებას გამოთქვამს მე-18 ს-ნის დამდეგს გაბატონებულ ლეკურ თემებსა და დამორჩილებულ ინგილოურ მოსახლეობას შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. ამ კომისიის მასალებში ნათქვამია, რომ გაბატონებულმა ლეკებმა, შეიძლება, ისეთივე გადასახადებით დაბეგრეს დამორჩილებული გლეხობა, როგორიც ქართველ მეფეთა დროს იყო[1].

პროფ. პეტრუშევსკის დადასტურებულად მიაჩნია, [რომ ლეკებმა კახეთში შეინარჩუნეს თავიანთი თოხუმურ-ჯამაათური ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა დაღისტანში პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების პირობებში. ამავე დროს ისინი არ ცდილობდნენ აღოსავლეთ-კახეთში არსებული ფეოდალური ურთიერთობის მოსპობას და მკვიდრი მოსახლეობა მათ სასარგებლოდ იხდიდა ისეთივე გადასახადებს, როგორიც იყო კახელ ფეოდალთა ბატონობის დროს[2]. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ არა მარტო თავისუფალი თემები, არამედ მათში შემავალი გვარებიც (თოხუმები) ჩამოყალიბდნენ არა დაღისტნურ ნიადაგზე, არამედ უკვე კახეთში.

---

[1] ... „возможно, что в основу обложения кешкельными повинностями легли те начала, на коих местное население было обложено при владычестве грузинских царей“ (ЦГИА Азерб. ССР, ф. 15, оп. 1, д. 24, ф. 57—60).

[2] პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

მაგ., ბელაქანში, სადაც კი მიწის მესაკუთრე და პირადად თავისუფალი გლეხები იყვნენ, ისინი მიიღეს ავარულ თოხუმებში. მართალია, ზოგიერთი თოხუმი, — განაგრძობს პეტრუშევსკი, — ატარებდა ისეთსავე სახელს, როგორსაც დაღისტანში (თებელი, ჯურმუთი), მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ აღნიშნული თოხუმებიდან გამოსულებმა თავიანთი სახელი მისცეს ახლად ჩამოყალიბებულ გვარებს" [1].

პეტრუშევსკის მოსაზრება, რომ გვაროვნულ-თემური წყობილების დონეზე მდგომმა ავარულმა მოსახლეობამ პირდაპირ, თავისი შინაგანი წყობის შენარჩუნებით დაიკავა ადგილობრივი ფეოდალების ადგილი, ამ ფეოდალთა მონაწილეობის გარეშე, ჩვენ დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. ძნელი წარმოსადგენია, რომ კახეთში, განვითარებული ბატონყმური ურთიერთობის სათავეში, ადგილობრივი ფეოდალური ძალების სრული გამოდევნის თუ უგულებელყოფის გზით მოქცეულიყვნენ საგვარეულო ორგანიზაციის თანაბარუფლებიანი წევრები. ამ მოსაზრების გასაზიარებლად საჭირო იქნებოდა იმის დამტკიცება, რომ პატრიარქალურ-გვაროვნულ კომუნას, რომელიც აქ, პროფ. პეტრუშევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯგუფური სენიორიის სახით გამოვიდა და რომელმაც ქართველი ფეოდალების როლი დაიჩემა, კახეთში არსებულ სოციალურ ურთიერთობაში სათანადო ნიადაგი ჰქონდა. ამის დასამტკიცებლად კი, რა თქმა უნდა, არ კმარა იმის აღნიშვნა, რომ მიწის მესაკუთრე და პირადად თავისუფალ გლეხთა გარკვეული ნაწილი ლეკებმა თავიანთ თოხუმებში მიიღეს [2].

პროფ. პისარევსკისაც დადასტურებულად მიაჩნია, რომ მე-18 საუკუნის დამდეგიდან ავარული თემები ადგილობრივ გლეხთა მიმართ პირდაპირ ცვლიან წინანდელ ქართველ ფეოდალებს [3].

---

[1] იქვე, გვ. 17.

[2] ასეთი კატეგორიის გლეხები საინგილოში მართლაც უნდა ყოფილიყვნენ. ეს ჩანს ზაქათალის კომისიის მიერ ჩაწერილი ინგილო გლეხთა განცხადებიდან იმის შესახებ, რომ ლეკთა მიერ საინგილოს დაპყრობამდე აქ მყოფი მოსახლეობა „თავისუფალი" იყო, თუმცა კახეთის სამეფოში შედიოდა (საარქივო საბ. ბელაქანის შესახებ, გვ. 536). ამ განცხადებაში შეიძლებოდა დაგვენახა ძველი სახასო ყმების ერთი ნაწილის ნახევრად თავისუფალი მდგომარეობა, რაც მათ დასაწყისში სოციალურად დაეკავშირებდა ლეკებთან.

კერძოდ ბელაქანში პირადად თავისუფალი და მიწის მესაკუთრე გლეხების ფენა დაღისტნური თემების აქ გაჩენის მომენტში სავარაუდებელი არაა. ეს ქვემოთ გამოჩნდება.

[3] Писаревский Г. Г. Уничтожение в Закатальском округе зависимых отношений... გვ. 94.

მივხედოთ ფაქტებს.

ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისია არკვევდა საინგილოში გაბატონებული ფენის წოდებრივ უფლებებს და გამოკვლევის შემდეგ ადგენდა მაღალ წოდებაში დასამტკიცებელ პირთა სიებს. კომისიის მასალები მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღმოსავლეთ კახეთში გაბატონებული ქართული ფეოდალური ზედაფენის შესახებ. ამ საკითხის გარკვევა კი რამდენადმე აადვილებს აღმოსავლეთ კახეთში გაბატონებული „ლეკური თემების“ აღნაგობის წარმოდგენას.

ზაქათალის კომისია აღნიშნავდა, რომ კერძოდ ბელაქანში „წოდებრივსა და მიწისმფლობელურ უფლებებზე ყველაზედ უფრო დიდ პრეტენდენტად გამოდიოდა გალაჯევთა გვარი“[1]. ამ მითითებას მოსდევდა საფუძვლიანი ცნობები გალაჯევთა შესახებ: სარწმუნოებრივი გათიშვის შედეგად იყო გალაჯევთა ორი შტო; ერთი — ქრისტიანებისა, მეორე — მაჰმადიანებისა. ქრისტიანული შტოს წარმომადგენელმა ალექსანდრე გალაჯევმა კომისიას განუცხადა, რომ იგი არის თავად ქაიხოსრო ვაჩნაძის ჩამომავალი. ამის დასამტკიცებლად მას წარუდგენია კახეთში მცხოვრებ თავად ვაჩნაძეთა ფიცითი აღთქმა, რომელიც ჩაკერებული იყო 1862 წ. კომისიის საქმეებში და რომელიც გაითვალისწინა 1872 წ. კომისიამ.

ალექსანდრე გალაჯევი ამტკიცებდა, რომ იგი თავისი შორეული წინაპრის — ადამ ქაიხოსროს-ძე ვაჩნაძის ჩამომავალთაგან V თაობის წარმომადგენელი იყო. სწორედ ეს ადამი ყოფილა, რომელიც გამუსლიმანებულა ლეკთა გაბატონების მომენტში და რომელსაც სახელად ალი დაურქმევია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კომისიამ გალაჯევთა მეორე, მაჰმადიანური შტოს წარმომადგენლებიც აღიარა კახელი ვაჩნაძეების მოგვარეებად („оба колена происходят от князей Вачнадзе“[2]). საინტერესოა ისიც, რომ თვით ჭარელი ლეკები გალაჯევებს ჭარიდან გამოსულებად თვლიდნენ[3]. თუ გავითვალისწინებდით იმას, რომ ჭარელი ლეკები ფართო მებატონური პრეტენზიებით გამოდიოდნენ, მაშინ ამ განცხადებაში შეიძლებოდა დაგვენახა გალა-

[1] „Самыми крупными претендентами на сословныя и поземельныя права, в сел. Белокани является Фамилия Галаджевых...“ (ცსსა, ფ. 236, აღწ. 1 საქ. № 14, ფურნ. № 58, ფურ. 94).

[2] იქვე. ფურნ .58, ფურ. 95.

[3] იქვე, ფურ. 96.

ჯევთა გაბატონებული სოციალური მდგომარეობის დადასტურება. ამავე თვალსაზრისით შეიძლება გავიგოთ გალაჯევთა ერთი შტოს მტკიცებაც, თითქოს ვაჩნაძეები „უპირველესი ლეკური გვარის ჩამომავალნი“ იყვნენ[1].

ბელაქნელი ვაჩნაძეები (გალაჯევები) აცხადებდნენ, რომ ბელაქანი მათი იყო და ამის დასამტკიცებლად მოჰქონდათ მოწმობები: სენატორისა, გენერალ-მაიორის თავად ერისათვის, გენერალ-მაიორების ჭავჭავაძისა და სავარსამიძისა და „კახეთის ყველა თავადისა“.

მე-18 ს. მიწურულს და მე-19 ს. დამდეგს ვაჩნაძეებს, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ არა მარტო ბელაქანში, არამედ ჭარშიაც. ეს კარგად გამოვლინდა იმ მომენტში, როდესაც მეფის მთავრობა ჭარ-ბელაქნის დასამორჩილებლად სათანადო ზომებს იღებდა. ამ დროს რუსეთის მმართველობა ჭარ-ბელაქნის „მფარველობაში“ მიღებისა და მისი დამორჩილების ერთ-ერთ გარანტიად მიიჩნევდა უპირველესი გვარების წარმომადგენლებისაგან მძევლების აყვანას და საამისოდ პირველ რიგში ასახელებდა ვაჩნაძეთა საგვარეულოს (ამის შესახებ ქვემოთ).

1830 წლამდე (ეს წელი გარდატეხის წელია გაბატონებულ ლეკთა ცხოვრებაში) გალაჯევების გვარს მართლაც ყველაზე მეტი ყმა-გლეხები ჰყავდა[2] და მას დიდი გავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე არა მარტო ბელაქანში, არამედ მეზობელ პროვინციებშიაც. მოჰამედ-მურთუზ-ალი გალაჯევი 1830 წ. აჯანყების ერთი მოთავე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსთა რაზმებმა აჯანყებულებს შეუტიეს, ნამდვილი ფეოდალის ბუნების მქონე გალაჯევი რუსთა მხარეზე გადავიდა და, როცა ჭარი ბრძოლას განაგრძობდა, იგი უკვე ბელაქანს აშოშმინებდა[3].

ალექსანდრე გალაჯევმა კომისიას განუცხადა, რომ სოფ. ბელაქანი ჯერ კიდევ „საქართველოს მეფე ლევანმა“ უბოძა ვაჩნაძეებს[4]. ნამდვილად აქ ლევან კახთა მეფე იგულისხმება (1520—1574 წწ.).

მეტად საინტერესოა კომისიის ჟურნალებში ჩაწერილი, ბელაქნის ვაჩნაძეებში მაშინ შემორჩენილი გადმოცემა, რომელიც ამ კომისიისათვის ალექსანდრე ვაჩნაძეს მოუხსენებია. გადმოცემის

---

[1] იქვე, ფურ. 104 — 105.

[2] „Наибольшее число подвластных...“ (იქვე).
იქვე, ჟურნ. 58, ფურ. 98.

[3] იქვე, 104 — 105.

შინაარსი ასეთია: ბელაქანში ქრისტიანობა სუსტდებოდა იმ დროს, როცა საქართველოს ომი ჰქონდა მუსილმანებთან, რომლებიც მათ მიერ დაპყრობილ საქართველოს რაიონებში ისლამს ნერგავდნენ. ბოლოს, როცა ლეკებმა კახეთის ის ნაწილი დაიპყრეს, „რომელიც ახლა ზაქათალის ოლქს შეადგენს“, იქ მცხოვრებმა ქრისტიანებმა დატოვეს თავიანთი ქონება და თავი შეაფარეს ისეთ ადგილებს, რომლებიც მუსლიმანებს არ ჰქონდათ დაკავებული. მ ხ ო ლ ო დ მ დ ი დ რ ე ბ მ ა, თ ა ვ ი ა ნ თ ი ქ ო ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ნ ა რ ჩ უ ნ ებ ლ ა დ, ა მ ჯ ო ბ ი ნ ეს გ ა მ უ ს ლ ი მ ა ნ ებ ა. ასეთ რენეგატთა შორის იყო ზემოთ აღნიშნული ადამ ვაჩნაძეც. ახალი სარწმუნოეპის მიღება მხოლოდ გარეგნული იყო და გულში ისინი ინახავდნენ ქრისტიანობას. როცა კავკასიაში ომი დასრულდა, გალაჯევებს შეეძლოთ ძველი სარწმუნოების აღდგენა, მაგრამ მუსლიმან გალაჯევთაგან უკვე აღარავინ ისურვა „დედის ძუძუდან შეძენილი მუსილმანობის“ დატოვება. გალაჯევთა მუსლიმანური შტოს წარმომადგენელმაც დაადასტურა ალექსანდრე გალაჯევის განცხადება და თვითონ დასძინა: „ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მათ გვარში შესამჩნევი დასუსტება დაიწყო მხოლოდ შამილის ხელისუფლების გაძლიერებასთან დაკავშირებით“ [1]. შემდეგ გადმოცემა ეხება ვაჩნაძეთა ყმა-გლეხებს და აღნიშნავს, რომ ნადირ-შაჰის შემოსევის მომენტში ადამ ვაჩნაძის ქრისტიანი გლეხები გაიქცნენ დასავლეთ კახეთში [2]. როცა სიმშვიდე დამყარდა, ვაჩნაძემ მიიპატიჟა მოლალები ყაზახისა და ბორჩალოს უბნებიდან, აგრეთვე ინგილოები ენისელიდან, გამოუყო მათ საკარმიდამო და სახნავი მიწები. ამ ყმა-გლეხებს, რომელთაც „რაიათებს“ უწოდებდნენ, მებატონე ვაჩნაძეთადმი ჩვეულებრივი ქართული ბატონყმური რიგის სამსახური დაკისრებიათ. ეს ჩანს მათი ვალდებულების დახასიათებიდან, რომელიც მოცემულია ზაქათალის კომისიის ჟურნალში [3].

აღნიშნული გადმოცემიდან, რომელიც ისტორიულად გამართლებული ჩანს, უპირველეს ყოვლისა ისაა საყურადღებო, რომ აღმოსავლეთ კახეთში ფეოდალური ზედაფენის გამაჰმადიანების პროცესი, როგორც ზევით ვთქვით, სამხრეთ საქართველოში მომ-

---

[1] იქვე, ჟურნ. 58, ფურ. 105.

[2] ამ გადმოცემას მიბარს უპვერს მე-18 ს-ნის ქრონიკა, სადაც ნათქვამია, რომ ყიზილბაშებმა 1735 წ. დაარბიეს ჯარი... „сожгли также и весь округ Енисель... область Енисели опустела“ (Хроника войн Джара, ვ3. 21).

[3] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ერ. 58. ფურ. 106 — 107.

ხდარი მოვლენების ანალოგიურია. ვაჩნაძეთა გამაჰმადიანება სწორედ მაშინ ხდება, როცა აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალობაა და მათი მხარდაჭერით ლეკები ამ უბანს იპყრობენ. იმავე მომენტში (1727 წ.) ჭარელი ლეკები ოსმალების ერთგულ მსახურებად გამოდიან და ოსმალეთის სულტნისაგან აღმოსავლეთ კახეთის (ყანიყობსა და ყარათუბანს შორის მდებარე ტერიტორიის) კუთვნილების სიგელსაც კი იღებენ[1]. გარდა. ამისა, გადმოცემა გვეუბნება და შემდგომ ისტორიულ მოვლენათა ვითარება რამდენადმე ადასტურებს, რომ ისლამის განმტკიცებას აღმოსავლეთ კახეთში ხელი შეუწყო მიურიდიზმისა და შამილის რეაქციულმა, ოსმალეთის მიერ გაჩაღებულმა, მოძრაობამ.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ „გალეკებული“ ანუ გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალი ვაჩნაძე თავისი ყმა-მამულით არსებობას განაგრძობდა უკვე როგორც გაბატონებულ ლეკთა კორპორაციის ერთი თავისებური წარმომადგენელი.

სოციალური ურთიერთობის დახასიათებისათვის არანაკლებ საინტერესოა გადმოცემის მითითება იმის შესახებ, რომ ქართული ქრისტიანული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საინგილოდან გამოხიზნულა და შემდეგ, როგორც ჩანს, შედარებითი სიმშვიდის დამყარების მომენტში (საფიქრებელია, რომ ეს მოხდებოდა მე-18 საუკუნის შუა წლებში, ან II ნახევარში) ისევ უკან დაბრუნებულა და ეს მომხდარა კვლავ ძველი ფეოდალის მიწვევით. ამრიგად, საინგილოს ზოგიერთ დაცარიელებულ უბნებს, როგორც ვხედავთ, ავსებდა ალაზნის გამოღმიდან მოდენილი ნაკადი იმ გლეხებისა, რომლებიც ადრე იქ ცხოვრობდნენ, ან კიდევ იმ გლეხების, რომლებიც ახალ ადგილას მოელოდნენ ბატონყმური უღლის შემსუბუქებას და საარგებლიან მიწის ნაკვეთებს. ასეთ მოძრაობას იმ დროს საქართველოში გაძლიერებული სოციალური ჩაგვრა იწვევდა. გასაგებია, რომ აღნიშნულ მოძრაობაში მაშინ ჩაბმული იყო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი გლეხობაც, კერძოდ ყაზახ-ბორჩალოს მუსილმანი გლეხები, რომელთა შორის შუღალებიც იყვნენ.

ზაქათალის კომისიას ბელაქანში გაბატონებული წოდების პრეტენზიებით ვაჩნაძეთა (გალაჯევთა) 15 ოჯახი წარუდგა[2]. თავად ვ ა ჩ ნ ა ძ ე თ ა გარდა სხვებიც მრავლად იყვნენ.

[1] „Грамоту турецкого правительства лезгины сберегают как святыню и рассказывают о ней с какой то особенной гордостью“ (Посербский. Закатальский округ, газ. „Кавказ“, 1864 г., № 48).

[2] ცსსა, ფ. 236 აღწ. 1 საქმე № 18 ფურც. 35.

სოფ. ჭარშიაც, გაბატონებულ ლეკთა ამ უპირველეს სოფელში, როგორც ჩანს, თავიანთი ძველი გავლენა არ ჰქონიათ დაკარგული ქართველ ფეოდალებს. XIX ს-ნის 70-ანი წლებისთვის ჭარში ჩანდა მუხრანსკების ოთხი ოჯახი, რომლებიც მაღალ წოდებაში დამტკიცებისათვის იბრძოდნენ. ამ ოჯახთა წარმომადგენელი იყო კორნეტი (უკვე რუსული მმართველობის დროსაც დაწინაურებული, როგორც ჩანს, თავისი სოციალური მდგომარეობის გამო) ალი-აღა-ყარდაშ-ოღლი[1].

სოფ. გოგამიდან იყვნენ თავად ჭავჭავაძეთა წარმომადგენლები — 7 ოჯახი, რომლებიც კომისიას წარუდგინა მოჰამედ-ემინ-მოლა-მოჰამედ-ოღლიმ, იმავე ჭავჭავაძემ, და პრაპორშჩიკი მურთუზ-ალის (ასევე ჭავჭავაძის) შვილმა — ჰაჯიევმა[2].

ქართული ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენლები მრავლად იყვნენ აგრეთვე, თავისი მნიშვნელობით მესამე (ჭარისა და ბელაქნის შემდეგ) ლეკურ სოფელში — თალაში. იქაური თავადი მუხრანსკების 8 ოჯახის წარმომადგენლად მაშინ გამოვიდა რამაზან-ომარ-ოღლი. კომისიის ჟურნალებში აღნიშნული თავადები იხსენიებიან „საქართველოდან გამოსულებად“ 200 წლის წინათ. ზოგი აცხადებდა (მაგ. ჭავჭავაძეები), რომ გადმოსვლის დრო არ გვახსოვსო. ეს გარემოება აღნიშნულ პირთა დიპლომატური მანევრი უნდა ყოფილიყო. ისინი, ჩანს, არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ, რომ საინგილოში ისეთი თავადაზნაურების არსებობა, როგორიც მეზობელ ქართულ რაიონებში იყვნენ, მეფის მთავრობისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ასეთ წარმოდგენას ქმნიდა თვით მთავრობა, რომელიც ყველა მათგანს მაღალი წოდების უფლებათა უზურპატორებსა და „ლეკებს“ ეძახდა. ამიტომ აღნიშნული მითითება — „საქართველოდან გამოსული“ — ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო იმით, რომ პრეტენზიებისათვის მეტი საბუთიანობა მიეცათ. რა თქმა უნდა, მათი უმეტესობა ადგილობრივი მკვიდრი იყო. იმავე დროს ეს იმას არ გამორიცხავდა, რომ ზოგი მათგანი, შეიძლება, აღმოსავლეთ კახეთში მოგვიანებით გადასახლდა. მაშინ, როდესაც ამ უბანზე ქართველ მეფეთა ხელისუფლება ვრცელდებოდა.

სოფ. მაწეხის მცხოვრებს ჰასანს, კორნეტ გეროვის შვილს 1872 წ. კომისიისათვის განუცხადებია, რომ მისი ოჯახი ჭავჭა-

[1] იქვე, ჟურნ. № 6, ფურ. 36.

[2] იქვე.

ვაძეთა გვარს ეკუთვნოდა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ჰავჰავაძეს გადაუცია 1862 წლის ზაქათლის კომისიისათვის[1]. ამავე სოფლის მცხოვრებს რეჯებ-ოღლი ჰაჯიევს წარუდგენია დავითისა და ალექსანდრეს ბეჭდებ-დაკრული მოწმობა. ამ უკანასკნელში აღნიშნული იყო, რომ „ზურაბიშვილები, რომლებიც მაწეხში ცხოვრობენ, ფრიად დარბაისლები არიან და მათი წინაპრები იყვნენ საპატიო პირთაგან, რომლებიც უდიდესი მბრძანებლის — ერეკლეს კარზე მსახურობდნენ“. იქვე იყო ნათქვამი, რომ ზურაბიშვილებს ჰქონდათ სიმდიდრე, ჰყავდათ ყმა-გლეხები და ღებულობდნენ ჯამაგირსაც[2].

სოფ. მაწეხში მცხოვრები გამუსლიმანებული თავადების ერთი ჩამომავალი ჯერ კიდევ 1862 წ. კომისიის წინაშე წამდგარა განსაკუთრებული საბუთებითურთ. მისი მუსლიმანური სახელი იყო საფარ-შაბან-ოღლი. მან განაცხადა, რომ იგი და მისი ამომრჩევლები არიან თავადიშვილები, ჩამომავალნი იმ თავადისა, რომელიც „გადასახლდა“ სოფ. მაწეხში, საიდანაც ჭარელებთან და სხვა თემების აღალარებთან ერთად მონაწილეობდა სახალხო მმართველობაში. მან წარმოადგინა სათანადო საბუთებიც, რომლებიც გაუციათ წინათ ცნობილ თავადებს-საფარ-შაბან-ოღლის გვარი ხალხში ცნობილი ყოფილა „თავად-უშაშის“ ანუ „თავადიშვილის“ სახელით. რუსთა მიერ ჭარ-ბელაქნის შემოერთების შემდეგ, კომლობრივი აღწერის დროს ეს გვარი შემთხვევით მოხვედრილა სახაზინო გლეხთა რიცხვში, თუმცა „თავად-უშაშს“ მიწებიცა და საქეშქელო შემოსავალიც ჰქონია. 1862 წ. კომისიამ განიხილა აღნიშნული თავადის საქმე და მიიღო მხედველობაში 1818 წ. 10 დეკემბერს გაცემული ქართული საბუთი შიხ-ივან-თავად-ოღლის სახელზე, რომელსაც ხელს აწერდა 14 ქართველი თავადი. ყველა ხელმოწერა დამოწმებული იყო იოსებ მელიქოვის მიერ[3]. კომისიამ აღნიშნული პირი მაღალი წოდების წარმომადგენლად სცნო[4].

---

[1] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ჟურნ. № 45, ფურ. 23 — 33.

[2] იქვე, დავითისა და ალექსანდრეს სახით, ჩანს, იგულისხმებიან ერეკლე მეფის მემკვიდრეები.

[3] თავადები ადასტურებდნენ, რომ ივანე-თავადი ბავშვობიდანვე იზრდებოდა გიორგი მეფესთან, იგი ამ უკანასკნელმა მონათლა, მასთან მსახურობდა მესაწოლედ (ключарь) და სათანადო ჯამაგირიც ჰქონდა.

ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 13, ჟურნ. 45, ფურ. 23 — 33.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსთა მიერ ჭარ-ბელაქნის შემოერთების მომენტში (1830 წ.) გაპატონებული კლასის დიდი ნაწილი მთავრობამ სახაზინო გლეხთა რიგში მოაქცია. უმეტეს შემთხვევაში ეს მოხდა მათი სოციალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. ასე რომ აღნიშნული თავადის, თუ სხვა ქართველი თავადების ასეთი ბედი ჭარ-ბელაქანში გაბატონებულ წოდებას საერთოდ ახასიათებდა.

დამახასიათებელია აგრეთვე ქელეფთართა გვარის წარმომადგენლების პრეტენზიები. სოფ. ბაზარში ყოფილა ქელეფთართა 3 ოჯახი, ხოლო სოფ. თალაში — 17. კომისიის წინაშე წარდგა გამუსლიმანებული რამაზან-ნური ოღლი, როგორც თავისი გვარის რწმენებული. მას წარმოუდგენია დოკუმენტები თავისი მოგვარის — მერიმას სახელზე. ეს მერიმა ქელეფთარი, იმ დროს, როცა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სპარსელები ბატონობდნენ, ყოფილა „ენისელის ლეკური საზოგადოების მმართველი". ასე ყოფ ნათქვამი მის სახელზე გაცემულ ერთ საბუთში[1]. აღნიშნული ტიტულატურა გულისხმობდა ქელეფთარის პრივილეგირებულ სოციალურ მდგომარეობას და გასაგებია, რომ მის ჩამომავალთა პრეტენზია ბეგის წოდებაზე უსაფუძვლო არ ყოფილა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს სოფელ ალიაბათის მცხოვრებთა ერთი ნაწილის ცდა მაღალი წოდების უფლებათა მოსაპოვებლად. სოფ. ალიაბათი ყველაზე უფრო დიდი ინგილოური სოფელი იყო აღმოსავლეთ კახეთში. ალიაბათი მთლიანად წარმოადგენდა გაბატონებულ ლეკთა მიერ სოციალურად დამონებულ სოფელს, რომლის მცხოვრებთ ბატონყმური რიგის სამსახური ეკისრათ. XIX ს-ნის 70-ანი წლებისთვის აღარ იყო გასაკვირი, რომ გლეხთა შიგნით განვითარებადს სოციალურ დიფერენციაციას წარმოეშვა პრივილეგირებული, ქონებრივად დაწინაურებული ელემენტები, რომელთაც აღნიშნული პრეტენზიების მატერიალური საფუძველი ჰქონდათ. მაგრამ ამასთანავე საინტერესო იყო ისიც, რომ ალიაბათელ პრეტენდენტთა რიგებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სათანადო დოკუმენტებით ადასტურებდნენ მაღალი წოდებისადმი კუთვნილებას. ასეთი იყო, მაგალითად, ასისთვისშვილთა რამდენიმე ოჯახი, რომელსაც ჯერ კიდევ 1862 წ. კომისიისათვის ერეკლე შეფის მიერ ამ გვარისათვის 1797 წ. მიცემული სიგელიც კი წარუ-

[1] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 18, ფურ. 63 — 64. ხაზი ჩვენია.

დგენია[1]. არსებული მასალები არ გვაძლევს საშუალებას, რომ ვარკვიოთ ასისთვისშვილთა სოციალური მდგომარეობა სწორედ იმ მომენტში, როცა ისინი აღნიშნული პრეტენზიით გამოდიოდნენ.

აღნიშნული ფაქტი და, მასთან ერთად, ინგილოთა ერთი ნაწილის მიერ ძველი პრივილეგირებული მდგომარეობის აღდგენის ცდები შეიძლება იმის დამადასტურებელი იყოს, რომ აღმოსავლეთ კახეთში ქართული ფეოდალური ზედაფენის გარკვეულ ნაწილს თავისი ძველი პრივილეგირებული სოციალური მდგომარეობა ვერ შეუნარჩუნებია.

ქართული ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენელთა რაოდენობა, რა თქმა უნდა, აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. ბევრი გვარი შთამომავლობამ დაივიწყა, ბევრის შესახებ კი ცნობები არ გაგვაჩნია. ზაქათალის კომისიამაც მაღალი წოდების ბევრი მაძიებლის პრეტენზია, არც თუ ისე უსაფუძვლო, უკუაგდო და თავის ჟურნალებში სრულიადაც არ მოიხსენია ისინი. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ბევრ მათგანს სათანადო საბუთები არ გააჩნდა. გავიხსენოთ, რომ საქართველოს სხვა რაიონებშიაც, როდესაც მთავრობა თავადაზნაურებს წოდებებში ამტკიცებდა, ბევრ მათგანს სათანადო საბუთები არ აღმოაჩნდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ბელაქანში გაბატონებულ ვაჩნაძეთა გარდა ყოფილან კიდევ ერისთავები, რომლებიც ნასტაგალოვების გვარით გამოდიოდნენ[2].

როგორც ვხედავთ, ქართული ფეოდალური ზედაფენა წარმოდგენილი იყო სწორედ იმ მთავარ ლეკურ სოფლებში, რომლებიც დღეისთვის არსებულ ლიტერატურაში ცნობილი არიან „გაბატონებული ლეკური თემების“ სახელით. ხაზგასასმელია ისიც, რომ აღნიშნული ფენის ძირითადი ნაწილი საინგილოში ძველიდანვე არსებობდა. მან თავისი გაბატონებული მდგომარეობა შეინარჩუნა „ლეკური თემების“ გაჩენის დღიდანაც.

არსებული წყაროები საშუალებას არ გვაძლევს, დავახასიათოთ ზემოთ ჩამოთვლილი „თავადიშვილების“ სოციალური ბუნება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ვაჩნაძეთა საგვარეულო, რომელიც ქართული ბატონყმური სისტემის ტიპიურ წარმომადგენლად გვევლინება ბელაქანში. სხვა საგვარეულოების მებატონურ უფლებათა სათანადო დახასიათებისათვის ცნობები არ მოგვეპო-

[1] საარქივო საბუთები ქარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 534 — 535.
[2] ზ. ედილი. დასახ. ნაშრ., გვ. 139.

ვება. ეს გარემოება დამაფიქრებელია და იმაზე მიგვითითებს, რომ ვაჩნაძეთა გარდა სხვებმა მხოლოდ ნაწილობრივ შესძლეს განსხვავებული პრივილეგიების შენარჩუნება და ავარებთან ერთად გაინაწილეს თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ეს ძველი ქართველი თავადიშვილები (მუხრანსკი, ერისთავი, ქავქავაძე...) მებატონე ლეკური თემის — „არისტოკრატიული რესპუბლიკის" სრულუფლებიან წევრთა რიცხვში უნდა მოხვედრილიყვნენ. მიუხედავად ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი ქართული ბატონყმური ელემენტები ის მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, სერიოზული სოციალ-კულტურული ძალა იყო, რომელსაც საინგილოში ჩამოსახლებული ავარ-წახურების თოხუმურ-ჯამაათური წყობილება სწრაფი ტემპით უნდა დაერღვია და თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

ლეკურ თემებს თავიანთი შინაგანი თოხუმურ-ჯამაათური სტრუქტურის სრული შენარჩუნებით არ შეეძლოთ ქართული გაბატონებული ზედაფენის შეცვლა. ქართული ფეოდალური ზედაფენა აღმოსავლეთ კახეთში, თუმცა არა ძველი სიძლიერით, მაგრამ მაინც, გალეკება-გამუსლიმანების გზით, რამდენადმე ინარჩუნებდა თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას და ორსებული ბატონყმური ურთიერთობის ნორმებს.

ზემოთ მოტანილი მასალის გარდა ბევრი რამ უჭერს მხარს აღნიშნულ დებულებას. დამახასიათებელია, რომ 1846 წ. ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებული ერთი წერილის ავტორი აღმოსავლეთ კახეთში XIX საუკუნემდე არსებულ სოციალურ-ეკონომიურ წყობილებას წარმოადგენს ისე, როგორც ტიპიურ ქართულ ბატონყმურ სისტემას [1].

ეს გარემოება ჩვენ ხარ მიგვაჩნია შემთხვევით მოვლენად. სხვა რომ არა იყოს რა, ეს ვრცელი და ანგარიშგასაწევი წერილი კიდევ ერთხელ გვიკარნახებს, რომ ხალხის საშინაო ცხოვრების დახასიათებისას ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ გარედან მოტანილ სქემებს.

გაბატონებული ზედაფენის გალეკება-გამუსლიმანებაში ჩვენი აზრით, უმთავრესად იგულისხმება სარწმუნოებრივი მომენტი და მიწისმფლობელობის წესზე თავისებური გავლენა. სხვა მხრივ ძველი ქართველი ფეოდალის ბუნება თითქმის უცვლელი რჩება და იგი სოციალურად მნიშვნელოვანი ელემენტებით რამდენადმე იმორჩილებს ე. წ. თავისუფალ ლეკურ თემებს.

[1] Джаро-Белаканцы до XIX века („Кавказ", 1846 г., № 2—3).

აქვე შეიძლება მივუთითოთ ერთ არც თუ ისე უმნიშვნელო მომენტზე, რომელიც ქართულ სოციალურ ყოფას ახასიათებდა. გოგამელ ლეკებს განუცხადებიათ ზაქათალის კომისიისათვის, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა მამა ქალიშვილის გათხოვებისას მას მზითევს გამოუყოფდა და უძრავ ქონებასაც მიათვლიდა [1]. ამასთანავე საყურადღებოა, რომ გაბატონებული ზედაფენის პირად ცხოვრებას აღმოსავლეთ კახეთში საერთოდ ქართველ მებატონეთათვის დამახასიათებელი თვისებები ახლდა [2].

4. „ლეკური" თემების შინაგანი წყობილების საკითხისათვის

საჭიროა მოკლედ გადავავლოთ თვალი საკითხს, თუ როგორი იყო „ლეკური" თემების დამოკიდებულება კახეთის სამეფოსადმი და როგორ გადაგვარდნენ ეს თემები ბატონყმური კახეთის ზემოქმედების შედეგად. ეს გაგვიადვილებს თემების შინაგანი წყობილების დახასიათებას.

ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ აკად. ნ. ბერძენიშვილის მითითება, რომ „ჭარში ლეკები ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გაჩნდნენ, აქ ისინი კახთა მეფეების ნებართვით მათ ყმებად სხდებოდნენ" [3].

ლეკთა ყმური მდგომარეობა დასაწყისში, როგორც ჩანს, მსუბუქი ვალდებულებით განისაზღვრებოდა. ჯერ კიდევ ლევან კახთა მეფის დროს (1520 — 1574), ცნობილი ვახუშტის გადმოცემით, ყმა-ლეკებს ევალებოდათ ზაფხულობით ყინულის ჩამოტანა კავკასიონიდან. ვახუშტისავე თქმით, ასეთი მდგომარეობა იყო ვიდრე არჩილის მეფობამდე (ჩანს, იგულისხმება არჩილის მეფობა კახეთში 1664 — 1675 წწ.) [4]. შემდგომი პერიოდისთვის ვახუშტი თითქმის გულისხმობს, რომ ლეკები იწყებენ კახთა მეფის ყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას — „შემდგომად იწოდა ჭარი, და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა" [5].

---

[1] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 13, ჟურნ. № 45, ფურ. 23 — 33.

[2] იქვე.

[3] საქ. ისტ., 1946 წ., გვ. 370, ხაზი ჩვენია.

[4] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომაურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ. თბილისი, 1941 წ., გვ. 96.

[5] იქვე, გვ. 96.

ჩამოსახლებულ ლეკთა ყმური ვალდებულების ერთი სერიოზული პირობა უდავოდ იყო მოლაშქრეობა, რომელსაც მათ კახეთის მეფე აკისრებდა. დაღისტნიდან გადმოსასველელი გზების დაცვას კახთა მეფეებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გზებით მოდიოდნენ კახეთში დაღისტნელი აბრაგები. მე-16 საუკუნის შუა წლების შემდეგაც, საფიქრებელია, სამეფო ხელისუფლება გარკვეულ დრომდის არ ეწინააღმდეგებოდა ლეკთა ჩამოსახლებას კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. ხშირად, შინაფეოდალური ომის დროს, ეს ლეკობა გარკვეულ ძალას წარმოადგენდა ამა თუ იმ ფეოდალის ხელში, როგორც დაქირავებული რაზმი. ანგარიშგასაწევი ჩანს მაიორი ყორღანოვის განცხადება (1831 წ.), რომ დასაწყისში თვით კახელების მოწვევით ლეკები დასახლდნენ ელისენის დასავლეთ ნაწილში და „იკისრეს დაეცვათ ჭარის პროვინცია თავიანთი თანამემამულეებისაგან“[1]. მართალია, ლეკ მომთაბარეებზე დანდობა ძნელი საქმე იყო, მაგრამ დასაწყისში, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე ასეთი რამ, როგორც ჩანს, კახთა მეფეებს სახიფათოდ არ ეჩვენებოდათ. ამას ადასტურებს 1862 წ. ზაქათლის კომისიაც, რომლის ერთ ჟურნალში ნათქვამია, რომ ჭარელი ლეკები ხშირად კრავდნენ პირობას მეზობლებთან, რომ დაიცავდნენ მათ დაღისტნელებისაგან და რომ თვითონაც ხელს აიღებდნენ თავდასხმებზე[2]. ლეკებთან ასეთი შეთანხმება სახიფათო რომ იყო, ეს ცოტა უფრო მოგვიანებით გახდა საგრძნობი, როცა ლეკური მოსახლეობა აქ მომრავლდა.

როგორც ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან ჩანს, მე-17 ს-ნის 70-იან წლებამდე აღმოსავლეთ კახეთში ჩამოსახლებული ლეკები გვანან საქართველოს მთიანეთის სახასო ყმა-გლეხებს, რომელთაც ლაშქრობა და სამსახური ეკისრათ. კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ჩამოსახლებული დაღისტნელები, როგორც მთის ტომები, ინარჩუნებდნენ ასეთ, ნახევრად-თავისუფალ მდგომარეობას. ამავე დროს აქ გაჩენილ დაღისტნელთა სოფლებს შეეძლოთ ტომობრივ-თემური წყობილების შენარჩუნება.

---

[1] Линден В. К. Высшие классы коренного насел. Кавк. края, стр. 96.

[2] „Случалось, что они заключали условия с соседями для ограждения их от вторжения дагестанских горцев столько и от собственных своих набегов, чему примером служит имеющееся в докладе комиссии условие закатальских лезгин с царями и вельможами кахетинскими, представленное чарахлинскими и мухахскими жителями“ (საარქ. საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 506).

ზემოთ უკვე მივუთითეთ დაღისტნურ ტომთა შინაგანი წყობილების ზოგად ხასიათზე და აღვნიშნეთ, რომ ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. ამ ტომების წარმომადგენლები კახეთში თავდაპირველად ჩამოდიოდნენ, როგორც მწყემსი მომთაბარეები, რომლებიც აქ ბინადარი ცხოვრების ინტენსიურ სამეურნეო კულტურას ეცნობოდნენ. ამავე დროს დაღისტნელები (კახთა მეფეების ნებართვით) სახლდებოდნენ კახეთის ზეგნებზე, კავკასიონის მთის ძირა ზოლში და ეწყობოდნენ ტომობრივ-თემურ ყაიდაზე. თემის არსებობის პირობა კი გახდა „სამხედრო და სალაშქრო ორგანიზაცია“ [1], რომლითაც მან მალე ბრძოლა გააჩაღა გაფართოებისათვის და ხელსაყრელი ვითარების შექმნისას იწყო, ახლო-მახლო სოფლების დაპყრობა. ამავე დროიდან დაიწყო მათი ტომობრივ-თემური წყობილების გადაგვარება.

„დაღისტნელი მოახალშენეები ახალ მიწაზე, ქართულ სოფლებში, იმავე წესით ეწყობოდნენ, როგორც მათ მთაში ჰქონდათ,— გვარებად, თემებად (თოხუმებად, ჯამაათებად). ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ეს პირველყოფილი მოახალშენეები ან „ძმად შეიყრიდნენ“, ე. ი. გაამაჰმადიანებდნენ და თავიანთი თემის (ჯამაათის) წევრად მიიღებდნენ, ან „ურწმუნოებს“, მონებად დაჰყიდდნენ“ [2].

მე-17 საუკუნის მიწურულსა და მე-18 ს-ნის I ნახევრის სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში ჭარელი ლეკები წახურ-ელისუს სულტნისა და შამახიის მმართველების ბრმა იარაღად გამოდიან და მათი წაქეზებით თავს ესხმიან კახეთს. ჭარის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ ჩანს.

„ჭარის ომების ქრონიკის“ ავტორი, რომელიც მე-18 ს-ნის I ნახევრის შეტაკებათა შესახებ მოგვითხრობს, ცდილობს გააზვიადოს საკუთრივ ჭარის როლი, წარმოგვიდგინოს იგი, როგორც დამოუკიდებლად მოქმედი ერთეული. ეს ავტორი, როგორც ჩანს, თვითონ ჭარელი ლეკია და ზოგიერთ ფაქტს ხელოვნურად აფერადებს. მაგ., 1707 წ. კახელებთან ერთი ბრძოლის დროს იგი წერს რომ დაიხოცა 24 ჭარელი და 400-მდე „ურწმუნო“ [3]; 1739 წ. მომხდარი შეტაკების შესახებ ნათქვამია, რომ ჭარ-თალადან 10 კაცი დაიღუპა, ყიზილბაშთაგან კი 300-მდე [4]. მიუხედავად ამისა,

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალისტური წარმოება, 1952 წ., გვ. 13.

[2] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 81.

[3] Хроника войн Джара, გვ. 9.

[4] იქვე, გვ. 32.

ქრონიკის ავტორი ლეკური თემების საშინაო წყობილების დახასიათებისათვის გვაძლევს ისეთ მითითებებსაც, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ.

მე-18 საუკუნის 20-ან წლებში კახეთში მაჰმადიანური ტომების შემოსევათა შედეგად დროებითი გამარჯვებისას ჭარისა და თალას თემები „იყოფენ მიწებს“ გურჯაანს იქით. ამის მიზეზი ხდება ის, რომ დაპყრობილმა მოსახლეობამ უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე[1].

„ტომობრივ წყობილებაზე (რაც თავდაპირველად იმასვე ნიშნავდა, რასაც კოლექტიური წყობილება ნიშნავს) დამყარებული საკუთრების ძირითადი პირობა — ტომის წევრობა — ტომის მიერ დაპყრობილ, დამორჩილებულ უცხო ტომს საკუთრებას მოკლებულად ხდის და თვითონ მას თავის კვლავ წარმოების იმ არაორგანულ პირობათა თანრიგში აქცევს, რომელთაც კოლექტივი ისე ეპყრობა, როგორც თავის საკუთრებას“[2].

მარქსის ეს სიტყვები შეიძლება მიახლოებით მივუყენოთ აღმოსავლეთ კახეთში მომხდარ მოვლენას, იმ განსხვავებით, რომ აქ თავს ჩენს იდეოლოგიური მომენტი—ისლამი, რომელიც მიწისმფლობელობის შენარჩუნების პირობად გვევლინება. დაღისტნურმა ტომმა არა მარტო წაართვა მიწა მკვიდრ მოსახლეობას, არამედ ეს მოსახლეობა თავის ისეთსავე საკუთრებაში მოაქცია, როგორც წარმოების ბუნებრივი პირობები, დაიმორჩილა და დაიმონა იგი.

1728 წ. ჭარ-თალაელები თითქოს კვლავ „ზავს სდებენ“ ოსმალეთთან, სულტანს თხოვენ მფარველობას და მიწებსაც — „ отвести им место для поселения “. სულტანიც აკმაყოფილებს მათ თხოვნას[3]. იმავე წელს საყურადღებოა აგრეთვე „მიწების გაყოფა“, რაც მომხდარა უკვე არა თემებს შორის, არამედ საკუთრივ ჭარელებს შორის („Джарцы вновь поделили земли“)[4]. ეს გარემოება თითქოს მიგვითითებს ლეკთა შიგნით კერძო მიწისმფლობელო-

---

[1] იქვე, გვ. 10.

[2] კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, 1952 წ., გვ. 36 — 37.

[3] Хроника войн Джара, გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 13.

ბაზე. საკარმიდამო საკუთრება კი უეჭველია. ეს ნიშნები ახასიათებდა დაშლის გზაზე მდგარ ტომობრივ-თემურ ორგანიზაციას.

1729 წ. ქიზიყელებმა სასტიკად დაამარცხეს ჭარელები. ამასთან დაკავშირებით ქრონიკა გადმოგვცემს: „იმ დროს არ დარჩენილა არც ერთი ჭარელი და თალაელი, რომელიც თავისი ოჯახითა და ქონებით მთაში არ გაქცეულიყოს“[1]. აქ ჩანს, რომ დაღისტნური ტომების გაბატონება საინგილოში ჯერ კიდევ მტკიცე არ ყოფილა. საინტერესოა აგრეთვე საკითხი ლეკური თემების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, რომელსაც კავშირი აქვს ამ თემთა შინაგან წყობილებასთან.

ზემოთ დასახელებული ქრონიკის ავტორი ამქღავნებს კიდევ ერთ საინტერესო მომენტს: სურხაი-ხანი (შამახიის მმართველი) ითხოვს „ოლქისაგან“ („от области“) ჯარებს, რომლებიც გამოდიან კიდეც. ამის შემდეგ იგივე ხანი გადააყენებს წახურ-ელისუს სულტანს მუჰამედ-ბეგს, რომელსაც მან ადრე შაქი წაართვა და მხოლოდ კახი დაუტოვა და მის მაგიერ ნიშნავს ხალილ-ბეგს. ქრონიკის ავტორი საჭიროდ თვლის იქვე აღნიშნოს, რომ სურხაი-ხანსა და ხალილ-ბეგს ემორჩილებოდა „მთელი ოლქი, ჭარის გარდა“[2]. „მთელი ოლქიდან“ აქ გამოყოფილია მხოლოდ ერთი სოფელი — ჭარი. იგივე ავტორი აცხადებს, რომ სულტანმა ჭარ-თალაელებს დაუმტკიცა „მთელი ოლქი“ გავაზის-წყალსა და ყაფი-წყალს აქეთ. აქ, როგორც ვხედავთ, ჭარი და თალა ერთად არიან. ამავე დროს ყველას, გარდა თვით ჭარისა, სურხაი-ხანის მოთხოვნით ჯარი გამოყავს ჭიაურთან[3]. იქვე, ქვემოთ, ქრონიკა გვაუწყებს, რომ სურხაი-ხანი და ხალილ-ბეგი ხშირად მოფერებით იბარებდნენ ჭარელებს, მაგრამ ჭარელები მათთან არ მიდიოდნენო. აქაც ჩანს, რომ ქრონიკა ჭარელების დამოუკიდებლობის გამოჩენას ცდილობს, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა სადავოა: ფაქტიურად ჭარი დამოკიდებულია სურხაი-ხანზე.

---

[1] იქვე, გვ. 15.

[2] „... вся область кроме Джара“ (იქვე, გვ. 16).

[3] შეადარე „ქრონიკის“ მე-13 და მე-16 გვერდები.

აღნიშნული ფაქტი, ვფიქრობთ, იმის დამადასტურებელია, რომ ჭარ-თალას მუსლიმანი ლეკები სურხაი-ხანისა და წახურ-ელისუს სულტნის მარბიელ მოლაშქრე მსახურთა როლში გამრდიოდნენ.

1735 წ., როცა ჭარ-თალას არბევდნენ ირანის მბრძანებლის ნადირის რაზმები, ჭარელებმა მას გაუგზავნეს, ხარკის ანგარიშში, ტყვეები, „მეტწილად მონები, განთავისუფლებულნი და მუშები"[1]. როგორც ვხედავთ, „თავისუფალ" მოთემეებს ჰყოლიათ ტყვე-მონები და, შეიძლება ამავე წრიდან გამოსული ყმა-მსახურებიც, რომლებიც ქრონიკაში „მუშების" (рабочих) სახელით არიან წარმოდგენილი.

მიუთითებს რა ტომობრივ წყობილებაზე დამყარებული საკუთრების ძირითად პირობას, როდესაც გამარჯვებული ტომი დამორჩილებულს ისეთივე საკუთრებად გაიხდის, როგორც მაგ., მიწას, კ. მარქსი დასძენს: „ამიტომ მონობა და ყმური დამოკიდებულება ტომობრივ წყობილებაზე დამყარებული საკუთრების განვითარების მხოლოდ შემდგომი საფეხურებია. ისინი მას აუცილებლად უცვლიან ყველა ფორმას"[2].

მონობა და ყმური დამოკიდებულება, რომელიც შეიჭრა ჭარ-თალას ტომობრივ წყობილებაში, და ამასთანავე ბატონყმური კახეთის გავლენა იმის მაჩვენებელი იყო, რომ აღნიშნული თემების გადაგვარების პროცესი უკვე სრულდებოდა.

მე-18 საუკუნის 30-იანი წლების ქრონიკისეული ცნობები გარკვევით არას გვეუბნება საინგილოს გლეხობაზე ჭარ-თალას ლეკთა ბატონობის შესახებ, თუმცა ეს ბატონობა ამ დროს უკვე ფაქტი იყო. ოღონდ გასათვალისწინებელია ამ ეტაპზე ლეკთა ბატონობის ფორმები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან. ქრონიკის ცნობები გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს ლეკური თემების გავლენის სფეროში ჯერ კიდევ არ შედიოდა პურეულის ბაზა — ენისელი. ამის მთავარი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ბრძოლამ კახელ გლეხებსა და ახლად გაბატონებულ ლეკებს შორის საკმაოდ ხანგრძლივი და

[1] „... бо́льшую частью рабов, вольноотпущенных и рабочих" (Хроника, გვ. 20).

[2] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 36—37.

მძაფრი ხასიათი მიიღო. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ჭარელებს პური არ ჰქონდათ. კახეთიდან პურის მიღების გარეშე არსებობა მათ არ შეეძლოთ, ხოლო პურეულის მეორე ბაზა, კახის უბანი კი წახურ-ელისუს სულტნისა იყო.

1730 წ. ჭარსა და სულტანსა ერთის მხრით და კახეთის მეფე კონსტანტინეს შორის (1722—1733) მეორე მხრით დადებული ზავის მთავარი პირობა იყო ჭარისათვის პურის მიყიდვა[1]. 1735—1736 წლებში დამშეული ჭარელები იჩქარიან თეიმურაზ მეფესთან ზავის დადებას, რათა პური მიიღონ[2].

ქრონიკის ცნობა 1738 წ. ჭარ-თალაელთა მიერ შაქისა და წახურ-ელისუს სულტნის დამორჩილება-დახარკვის შესახებ გულისხმობს ეპიზოდურ შემთხვევას, რაც ნადირ-შაჰის ჯარებზე დაღისტნელთა გამარჯვებას მოჰყვა[3].

1741—1742 წლებში, ჩანს, თეიმურაზ მეფეს დაუმორჩილებია ჭარ-თალა. მეფეს წამოუყვანია მძევლები: ჭარიდან—9, თალადან—6, ხაჩოდან(?)—4. ბელაქანი, ჯინიხი, მუხახი, კატეხი, როგორც თანაბარუფლებიანი თემები, ჯერ კიდევ არ ჩანან. იქვე ნათქვამია, რომ „ჭარელები და თალაელები ხშირად მგზავრობდნენ გავაზში, ყვარელში, ქიზიყსა და სხვა სოფლებში, რომ იქ შეესყიდათ პური, სიმინდი და მარილი“[4].

იმ დროს, როდესაც თეიმურაზ მეფეს ჭარისთვის ეკონომიური ბლოკადა გამოუცხადებია, ქრონიკის ცნობით, „სიმშილის გამო ჭარისა და თალასაგან გავაზსა და ქიზიყში თავიანთ ნაცნობებთან წავიდა ყველა კაცი, ქალი, ბიჭი და გოგო; იქ ერთნი ღორებს მწყემსავდნენ, მეორენი მათხოვრობდნენ, მესამენი ხელზე მოსამსახურედ დგებოდნენ...“ ასე იყო 1744 წლამდე[5]. აქ თითქოს ცხადად ჩანს, რომ ჭარისა და თალას „ლეკური“ თემების შემადგენლობაში ქართველებიც იყვნენ. სხვაგვარად წარმოუდგენელია ასეთი მასობრივი „ნაც-

---

[1] Хроника войн Джара, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 25.

[3] იქვე, გვ. 30.

[4] იქვე, გვ. 36.

[5] იქვე, გვ. 40.

ნობობა". გარდა ამისა ჩანს, რომ თემებს ერთიანი პოლიტიკური ორ-
განიზაცია და დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ უნდა ჰქონოდათ.

1743—1744 წლებში თეიმურაზსა და ჭარელებს შორის მშვიდო-
ბაა და ჭარელებს ხორბლის შესყიდვის საშუალება ეძლევათ. 1747—
1748 წლებში, ქრონიკის მტკიცებით, იბრეიმ მირზა „ჭარსა და თალას
აძლევს" ენისელის მფლობელობის სიგელს[1]. ეს მომენტი, თუმცა კი-
ფორმალური, ეგებ მართლაც იყო დასაწყისი ინგილოურ სოფლებზე
ჭარ-თალაელთა ბატონობის განმტკიცებისა. ადრე ჭარ-თალაელებს
მიღებული ჰქონდათ ოსმალეთის სულტნის სიგელი, რომლითაც ისი-
ნი იმტკიცებდნენ ყაფი-წყალსა და ყარათუბანს შორის მდებარე მი-
წა-წყალს. მაგრამ ოსმალობის დამხობის შემდეგ მათ მძიმე დღე
დაუდგათ. სამაგიეროთ, ახლა მათ შემწედ აღმოჩნდა ირანის შაჰის
ტახტის მაძიებელი იბრეიმ-მირზა. მაგრამ თავი და თავი აქ მაინც
ის იყო, რომ ამ დროს, როგორც ჩანს, საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლა
ავარ-წახურებსა (ქართული ფეოდალური ზედაფენის ერთი ნაწილი
მათთანაა) და საინგილოს მკვიდრ ქართველ გლეხებს შორის ამ უკა-
ნასკნელთა დამარცხებით დასრულდა. ეს ის მომენტი იყო, როცა
ძველი, „თავისუფალი" ლეკური თემები უკვე გადაგვარებული იყვ-
ნენ და ისინი (როგორც თემები, ისე მოთემეებიც) მიწისმფლობელთა
როლში გამოდიოდნენ.

ქრონიკა არაფერს ამბობს შაქი-შარვანის მფლობელის თაოსნო-
ბაზე იმ ბრძოლებში, რომლებიც ჭარელ ლეკებს ერეკლე-თეიმურა-
ზთან ჰქონდათ. აქვე უნდა დავასახელოთ ერთი მნიშვნელოვანი ეპი-
ზოდი, რომელიც მე-18 საუკუნის 50-იან წლების დამდეგს უნდა-
გულისხმობდეს: დაღისტნელებს მოუთხოვიათ ჭარ-თალასაგან „საქ-
ართველოს წინააღმდეგ გამოსვლა, ჭარელებს კი მათგან მოუთხოვიათ
„მ ხ ე დ ა რ თ უ ფ რ ო ს ი", რადგან ასეთი ჭარში არ ყოფილა[2].
ეს გარემოება კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს, რომ ჭარის
ლეკურ თემებს მაშინ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური
ორგანიზაცია. „დაღისტნელთა მოთხოვნა," როგორც ჩანს, გულის-
ხმობს ბრძანებას რომელიმე ხანისა, (შეიძლება ავარიის), რომელიც
მაშინ ქართლ-კახეთის წინააღმდეგ გაერთიანებულ ლაშქრობას აწყო-
ბდა. ერთი სიტყვით, ჭარ-თალას ლეკები კვლავ რჩებოდნენ ქართლ-
კახეთის წინააღმდეგ მებრძოლი ხანების იარაღად. ისინი დამოუკი-
დებელ პოლიტიკურ ძალას ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ, თუმცა

---

[1] იქვე, გვ. 48.
[2] იქვე, გვ. 50.

კახთა მეფის ყმობისაგან უკვე თავისუფალი და პოლიტიკურად გამოთიშული იყვნენ.

მე-18 საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, აღმოსავლეთ კახეთის ლეკური თემები უკვე გვევლინებიან ისეთ ერთეულებად, რომელთაც ჩამოყალიბებული შინაგანი წყობილება და თავისებური სტრუქტურა აქვთ. ეს ჩამოყალიბება მოხდა ხანგრძლივი ბრძოლისა და ადგილობრივ ფეოდალურ ძალებთან შეჯახების შედეგად.

მე-18 საუკუნის 50-ან წლებამდე ლეკები—უფრო სწორედ, ლეკური ზედაფენის წარმომადგენლები — მთლად ვერ ცვლიდნენ ადგილობრივ ფეოდალებს. მართალია, ფეოდალიზაციის პროცესი ვითარდებოდა, მაგრამ ახალ ფეოდალურ ნაკადს ჯერ კიდევ არ ჰყავდა მიწისმოქმედ ყმა გლეხთა საკმაო რაოდენობა. ეს გარემოება იწვევდა შეჯახებას ლეკურ ფეოდალიზებულ ზედაფენასა და ადგილობრივ ფეოდალებს შორის. ამ ბრძოლაში საგარეო ძალა ლეკთა მხარეზე იყო. თანდათან იდევნებოდნენ ის კახი ფეოდალები, რომელთაც ისლამის მიღებაზე უარი თქვეს და ამით მიწის საკუთრების უფლება დაკარგეს. ასეთების ადგილს იკავებდა ლეკური ფეოდალური ზედაფენა, რომელიც უკვე გამუსლიმანებულ კახელ თავადებთან თანხმობაში იყო, ერწყმოდა მათ. ეს პროცესი თითქოს დასრულებული იყო მე-18 საუკუნის 50-იანი წლებისათვის, უფრო სწორედ — ამ საუკუნის მეორე ნახევარში.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პროცესში ბელაქნის „ლეკური" სოფელი არ ჩანდა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ბელაქნის მფლობელებმა, ვაჩნაძეებმა გამუსლიმანების გზით შეინარჩუნეს თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა.

ამრიგად, მე-18 საუკუნის შუა ხანებში ლეკური სოფლების ტომობრივ-თემური წყობილება სწრაფად ირღვევა. იგი გამძლე ჩანდა მხოლოდ ცალკეულ ლეკურ სოფლებში, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ თავისუფალ მოთემეების გაერთიანებათა გარეგნულ ხასიათს.

ადგილობრივ გამუსლიმანებულ ფეოდალებსა და ლეკურ ფეოდალიზებულ ზედაფენას შორის კონტაქტს თავისებური, გავლენა უნდა მოეხდინა აღმოსავლეთ კახეთში არსებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობაზე. ეს უპირველეს ყოვლისა მიწისმფლობელობის სფეროში უნდა ასახულიყო. დაღისტნურ ადათსა და მუსლიმანურ შარიათს, საინგილოში რომ გზას იკაფავდა, უნდა დაეკონსერვებინა სოცი-

ალურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. საინგილოში გაბატონებული კლასის ფიზიონომია ამისდაკვალად უნდა შეცვლილიყო.

მე-18 საუკუნის შუა წლებიდან საინგილოს ფეოდალები, როგორც ჩანს, ურთიერთ შორის სენიორულ-პოლიტიკურ კავშირს კრავენ. ეს ჩანს 1751—1752 წ. აგდამში (მუხახის ხეობაში) შეკრებილი ყრილობის დადგენილებიდან.

კრებამ შეიმუშავა მუსლიმანური კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი ნორმები, რაც შარიათის განმტკიცებას ემსახურებოდა[1]. ჩანს, რომ აღნიშნული კრება ფეოდალური კლასის ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად. ამას ამტკიცებს დადგენილების მე-8 მუხლი, სადაც ნათქვამია: „ის, ვინც დამალავს თავისი მებატონის თუ თავისი აღას მკვლელს, გადაიხდის 12 თუმანს"[2]. მთავარ მოსამართლეებად ეს დადგენილება გულისხმობდა „ცნობილ პირებს" და ა. შ.

მე-18 საუკუნის შუა წლებიდან ჭარელი ლეკები მიისწრაფოდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისაკენ, მაგრამ ლეკურ სოფლებს შორის საკოორდინაციო დაწესებულება ჯერ კიდევ არ ჩანდა. ამას ადასტურებს ზემოთ მოტანილი მითითება იმის შესახებ, რომ ჭარელებს მე-18 საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს „მხედართ უფროსი" არ ჰყავდათ.

საფიქრებელია, რომ აღნიშნულ პერიოდში ლეკურ სოფლებს შორის საკავშირო ფუნქციებს ჩემულობდა ჭარის ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი, რომლის ინტერესებს ამ დროს მათ მიერ არჩეული სოფლის მამასახლისი გამოხატავდა. მამასახლისს კი აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად 30-დე იასაული ჰყავდა.

აღნიშნულ ვითარებაში ლეკური სოფლების მხოლოდ ნაწილობრივი დარაზმვა ხდებოდა. ეს კი იმითაც აიხსნებოდა, რომ ლეკური მოსახლეობა ფეოდალურ-ბატონყმური კახეთის ძლიერ გავლენას განიცდიდა.

ლეკური სოფლების წიაღიდან წარმოქმნილი და ადგილობრივი ფეოდალური ზედაფენები თანდათანობით აღწევდნენ პირველობას ძველ სათემო დემოკრატიაში. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან და უფრო კი ამ საუკუნის მიწურულიდან, თემური წყობილება მხოლოდ გარეგნულ ფორმებს ინარჩუნებდა. ასეთი გარეგნული ფორმების გადმონაშთები XIX საუკუნეშიაც დიდხანს არსებობდა.

---

[1] კრების წევრები აღნიშნავდნენ, რომ დადგენილება მიღებულ იქნა „в помощь и подкрепление мусульманскому шариату..." (Хроника войн Джара, გვ. 63).

[2] იქვე, გვ. 66.

მე-18 საუკუნის მიწურულიდან და XIX საუკუნის დამდეგიდან აღმოსავლეთ კახეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში ადგილობრივ ფეოდალებთან შერწყმული მაჰმადიანი ფეოდალების კლასი დგას. ამ დროის სოციალურ ცხოვრებას ახასიათებს ჩამოსახლებულთა მიერ მოტანილი არქაული წყობილების ძლიერი გადმონაშთები, რომლებიც ლეკური სოფლების პოლიტიკურ ცხოვრებაში ვლინდებიან, როგორც სათანადო ბაზას მოწყვეტილი ფორმები.

პროფ. პეტრუშევსკი ლეკური სოფლების საშინაო წყობილებაში გამოყოფს გვაროვნული წყობილების გადმონაშთებს და დაასკვნის, რომ ჭარ-ბელაქნის გვარებს (თოხუმებს) ისეთივე თვისებები ჰქონდათ, როგორიც დაღისტნის გვარებს, რომელთაც ახასიათებდათ ენდოგამია, ხოლო ენდოგამიის ბატონობა დაკავშირებული იყო კოლექტიურ-თემურ მიწათმფლობელობასთან[1]. თემური მიწათმფლობელობის რღვევამ კი გავლენა იქონია ენდოგამიაზედაც. თუ წინათ მისაღები იყო ქორწინება ერთ გვარს შიგნით, შემდეგ ეს მხოლოდ თეორიად დარჩა და ქორწინების არე არა მარტო გვარის ფარგლებს გასცილდა, არამედ უფრო შორსაც წავიდა: ლეკები უკვე ინგილო და მუღალ ქალებთანაც კი კრავდნენ ქორწინებით კავშირს[2].

გვაროვნული ორგანიზაცია თავის ადრინდელ საფეხურზე პატრიარქალურ საფუძველზე იყო აგებული. ყველა მოზრდილი მამაკაცი გვარის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა. სათემო ყრილობაზე ყველას თანაბარი ხმა ჰქონდა. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს პეტრუშევსკი, არქაული ფორმაციის დაშლასთან დაკავშირებით ამ პატრიარქალურ-დემოკრატიული წყობისაგან მხოლოდ „გარეგნული გარსი დარჩა"[3].

მე-18 საუკუნის მიწურულიდან და XIX საუკუნის დამდეგიდან ძველი გვაროვნულ-თემური ორგანიზაციის გარეგნული ფორმები ლეკური ფეოდალიზებული ზედაფენის პოლიტიკური დაწესებულებებად გვევლინებიან.

ჭარ-ბელაქნის თემების შინაგანი წყობილება უფრო ნათლად ხასიათდება XIX საუკუნის I მეოთხედისთვის. ამ დროის შესახებ შემონახულია უშუალო დამკვირვებელთა ცნობები, რომლებიც გა-

---

[1] Петрушевский. Джаро-белак. 32.

[2] М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, т. II, გვ. 142. Иваненко. Гражданское управление Закавказом, გვ. 270, Петрушевский; Джаро-белак., გვ. 32.

[3] პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ. გვ. 32—33.

ზიარებულია ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ აღნიშნული ცნობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პოლკოვნიკ კოცებუს აღწერილობა, რომელიც მას ჭარში შეუდგენია 1826 წ.[1].

კოცებუ და ზაქათალის კომისია თავისებურად ახასიათებდნენ ლეკური თემების შინაგან წყობილებას:

„დასახლდნენ რა ცალკეულ სოფლებად მთისძირა ზოლში და ბრძოლით დაიმორჩილეს რა ალაზნის პირის მიწები, 5 მებატონე თემის ლეკებმა შექმნეს ფედერაციული რესპუბლიკის მაგვარი დაწესებულება. კოცებუს განმარტებით, მათი მმართველობა არისტოდემოკრატიული იყო. ზემოაღნიშნულ 5 მებატონე საზოგადოებაში მამასახლისის (старшина) თანამდებობა იყო ფრიად მნიშვნელოვანი, ნათესაობიდან ნათესაობაში გარდამავალი, ანუ მემკვიდრეობითი. თითოეულ სოფელში ყოველწლიურად ირჩევდნენ მამასახლისს იმ გვარებისაგან, რომელთაც საამისო მემკვიდრეობითი უფლება ჰქონდათ. თემებს შორის საერთო საქმეებს იხილავდნენ ყველა გვარის მემკვიდრეობითი უხუცესები საერთო კრებაზე, რომელიც იმართებოდა ღია ცის ქვეშ, სოფ. აგდამში მუხახის ახლოს. ყოველი არჩეული მამასახლისი ღებულობდა სოფლისაგან 30 ცხენოსან იასაულს ანუ შიკრიკს. ისინი ავრცელებდნენ მის ბრძანებებს, რომლებიც უყოყმანოდ სრულდებოდა“.

„მამასახლისებისათვის პოლიტიკური უფლებების გადაცემას დროებითი ხასიათი ჰქონდა და ეს ხალხზე იყო დამოკიდებული. მამასახლისთა ყოველწლიურ არჩევნებში ხალხის ძალა მთელი სისრულით ბრწყინავდა. მამასახლისად ასარჩევთა წრე, მართალია, შეზღუდული იყო ცნობილი გვარებით, სადაც მამასახლისად არჩევის უფლება მემკვიდრეობითი იყო, მაგრამ ამავე დროს, იმ გვარის წევრებს, რომელთაგანაც დგებოდა უმაღლესი მფლობელური (владельческий) სასამართლო, თუნდაც დროებით, ერთი წლით, შეეძლოთ შესდგომოდნენ თანამდებობის შესრულებას მხოლოდ ხალხის მიერ არჩევის შემდეგ და არა სხვა გზით“.

„ამგვარად, ამ უფლებათა წყაროდ და უმაღლეს ხელისუფლად ლეკთა თავისუფალ თემებში ხალხი ითვლებოდა, მამასახლისები კი იყვნენ ხალხის რწმუნებულები და აგენტები, რომელთაც ხალხი ირჩევდა და იგივე ხალხი გადააყენებდა“.

---

[1] Коцебу. Статистические сведения о Джарских владениях.
აღნიშნულ ამ მოხსენებიდან შესულია ზაქათალის კომისიის ჟურნალებში (საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 509—510).

„ინგილოები და მუღალები საესებით დამორჩილებულნი იყვნენ გამარჯვებულთა მიერ და ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებ-დნენ თავისუფალი თემების საერთო საქმეებში"[1].

როგორც ვხედავთ, მეფის მოხელეები ჭარის თემების შინაგან-წყობილებას ახასიათებდნენ, როგორც იდილიურ რესპუბლიკას, სადაც ყველაფერს ხალხი წყვეტდა და სადაც ცხოვრება ურყევი ჰარმონიის ვითარებაში მიმდინარეობდა. თითქოს მამასახლისად ასარჩევთა წრის შეზღუდულობა და მემკვიდრეობითი უფლებაც ჩრდილს ვერ აყენებდა ხალხის ნება-სურვილს. ასეთი დახასიათება მეფის მოხელეთა კლასობრივი შეზღუდულობით უნდა აიხსნას.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც კოცებუს მიერ მოცემულ-განსაზღვრაში, ისე ზაქათალის კომისიის მასალებში მაინც გამოსჭვი-ვის, რომ ჭარის თემებს არაფერი ჰქონიათ საერთო „თავისუფალ-თემებთან" და სათემო დემოკრატიასთან და რომ თემებში მთელი ძა-ლით იყო შეჭრილი ფეოდალური ურთიერთობა.

კოცებუ დასაწყისშივე აცხადებს, რომ „ჭარელთა მმართველობა-იყო არისტო-დემოკრატიული..."[2], შემდეგ კი იგი ლაპარაკობს „ხალ-ხის" მთელი ძალაუფლების შესახებ, მაგრამ ამ „ხალხის" სახით ის, როგორც ჩანს, გულისხმობდა არისტოკრატულ ფენას, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების სათავეში იყო.

საყურადღებოა აგრეთვე ზემოთ მოტანილი ცნობის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მამასახლისად ასარჩევთა წრე შეზღუდული-იყო. ეს პრივილეგია მხოლოდ გარკვეულ გვარებს ჰქონდათ მინიჭე-ბული, როგორც სამემკვიდრეო უფლება. პეტრუშევსკი ამასთან და-კავშირებით სამართლიანად შენიშნავს, რომ საერთოდ თემის არჩე-ვითი თანამდებობანი იქცეოდნენ საგვარეულო „არისტოკრატიის-ფეოდალიზებული ზედაფენის მემკვიდრეობით წარმომადგენლო-ბად" და რომ ხალხის მონაწილეობა არჩევნებში ფორმალურ ხა-სიათს ღებულობდა[3]. მამასახლისის გარდაცვალების შემდეგ მის-უფროს შვილს ან ნათესავს, რომელიც ოჯახის მეთაურობას ინარჩუ-ნებდა, გვარის კრებაზე ირჩევდნენ მამასახლისად (ეს იყო იგივე-„ქევხა" ანუ „ქედხუდა")[4]. ამრიგად სასოფლო კრება ფეოდალთა-ნება-სურვილს გამოხატავდა.

---

1 საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 510.

2 „Правление чарцев есть аристо-демократическое или вольможно-народное..." (Статист. свед. о чарских владениях... л. 3—11).

3 Петрушевский. Джаро-белак. вольн. общ., გვ. 35.

4 პეტრუშევსკის დასახ. ნაშრ. გვ. 33. ავტორი იმოწმებს სათანადო საარქივო-საბუთებს.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ კოცებუ მხოლოდ ინგილოებსა და მუღალებს სთვლის ისეთ ხალხებად, რომლებიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ თავისუფალ თემთა საერთო საქმეებში. იგი აქ ივიწყებს ე. წ. თავისუფალ ავართა იმ დიდ მასას, რომელიც აღნიშნული თემების პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ეს გარემოება ჩანს თვით კოცებუს მიერვე მოტანილ ცნობებში.

კოცებუ უპირველეს ადგილზე აყენებს ჭარელებს — ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ჭარელ მიწისმფლობელებს. ჭარის საზოგადოებას, რომელთანაც გაერთიანებული იყო ზაქათალა და გოგამი, ეკუთვნოდა 20 სოფელი, 1860 კომლი. ჭარსვე ეკუთვნოდა ტანაჩის ხუტორებიც. ეს 20 სოფელი დასახლებული იყო ინგილო-მუღალებით, რომელნიც მძიმე ბეგარას უხდიდნენ ჭარელ მებატონეებს. ჭარზე იყვნენ დამოკიდებული არა მარტო ინგილოური და მუღალური სოფლები, არამედ თავისუფალ ავართა 4 სოფელი. ამ დამოკიდებულებას კოცებუ თავისებურად გამოთქვამს:

„К чарскому обществу придерживаются селения: Катехи, Мацехи, Караджалы и Капислара“ [1].

ჭარს, კოცებუს თქმით, მოსდევდნენ ე. წ. „მფლობელური თემები“: ბელაქნისა, თალასი, მუხახისა და ჯინიხისა, რომელთაც ეკუთვნოდა ინგილო-მუღალთა დანარჩენი სოფლები. „მფლობელურ თემებს“ შემდეგ, დაბალ საფეხურზე არიან სოფლები, რომლებიც „არავის არ ეკუთვნიან“ და რომელთაც არც ყმები ყავთ[2]. ესენი არიან: ქატეხი, მაწეხი, ყარაღაჯლო, ყაფისდარა, ჯინჯიბახი, ალიასკარი, საპუნჩი, მამრეხი და კოსორი. ამ 9 სოფელში სულ 930-დე კომლია.

როგორც უკვე ვთქვით, 9 „თავისუფალი“ სოფლიდან 4 ჭარზე იყო დამოკიდებული. გარდა ამისა, დანარჩენი 5 ემორჩილებოდა მუხახის თემს.

ერთი შეხედვითაც ნათლად ჩანს, რომ ლეკურ თემებს შორის თანაბარუფლებიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ ჭარს 1860 კომლი ჰყავს, ბელაქანს მხოლოდ 800 კომლი ჰყავს, თალას—610, მუხახს—230, ჯინიხს — 90. აქ მთავარია ქონებრივი განსხვავება, რომელიც საფუძვლად უდევს უფლებრივ განსხვავებას. მაგალითად, ჭარში იყო 5 საგვარეულო, საიდანაც მემკვიდრეობით მამასახლისებს ირ-

---

[1] კოცებუ. დასახ. აღწერილობა. ხაზი ჩვენია.

[2] „Селения, не принадлежащие ни каким обществам и не имеющие подвластных оным деревень...“ (კოცებუ, დასახ. აღწ.).

ჩევდნენ, ბელაქანში კი მხოლოდ 2, ჯინიხში — 1[1]. ეს გარემოება ამწვავებდა თემებს შორის წინააღმდეგობას. ამას არ მალავდა კოცებუც, რომელიც აღნიშნავდა, რომ თემებს შორის განხეთქილების გასაღრმავებლად და წონასწორობის დასამყარებლად, რაც რუსეთის მთავრობის მიზნებს უპასუხებდა, საჭირო იყო ელისუს სულტნისა და ჯინიხის თემის გამოყენება, რადგან ჯინიხს ყავს „მხოლოდ ერთი გვარი, რომლიდანაც მამასახლისებს ირჩევენ"[2].

ქონებრივსა და უფლებრივ განსხვავებებს ადგილი ჰქონდა თემებს შიგნითაც. ჭარის თემზე უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ იგი კოლექტიური მიწისმფლობელი, კოლექტიური სენიორი იყო. ჭარში იყვნენ ფეოდალები, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ ყმათა რაოდენობით. თვით კოცებუ იხსენიებს მდიდარსა და ღარიბ ოჯახებს. იგი მიუთითებს იმ მიწის მუშა გლეხებზე, რომლებიც თავიანთ მებატონეებს მეტ-ნაკლებ გადასახადებს უხდიან. ამრიგად, იგი ადასტურებს მებატონეებსა და ყმებს შორის ინდივიდუალური დამოკიდებულების ფაქტებს[3]. ცნობილია აგრეთვე მწვავე სოციალური ბრძოლის მომენტებიც, როდესაც ჭარელი მიწისმფლობელები იძულებული ხდებიან მოიწვიონ დაღისტნელები ურჩი მოყმე სოფლების დასასჯელად[4].

დამახასიათებელია ზაქათალის 1862 წ. კომისიის ერთი მითითებაც, რომლის მიხედვითაც, ლეკური თემები — ჭარი, თალა, მუხახი, ჯინიხი და სხვები — მხოლოდ „ოდესღაც შეადგენდნენ თავისუფალ საზოგადოებას..."[5].

ლეკურ თემებში არსებული ფეოდალური კლასის რაგვარობა უფრო ნათელი გახდება ქვემოთ, სადაც ამ საკითხზე სპეციალურად ვმსჯელობთ.

---

[1] „...наследственные фамилии старшин пяти главных обществ, из коих в Чарах Чапарали, Нахлары, Чимчилали, Тебели и Кахау...„ (საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქან., 510) ბელაქანში იყვნენ აჯალი და ანანიანები (ვაჩნაძეები), ჯინიხში—ერთი საგვარეულო (კოცებუ, დასახ. აღწ.).

[2] კოცებუ. დასახ. აღწ.

[3] „Богатый (двор., М. Д.) издерживает в год 20 тагар ячменя и платит господину своему 1 и 2 тагары; среднего состояния... платит 1 и 1 ½ тагары; бедный... платит ½ тагары..." (კოცებუ, დასახ. აღწ.). თაღარი უდრიდა 7 ½ ფუთს.

[4] იქვე.

[5] „... составляли некогда вольное общество..." (საარქივო საბ. ჭარ-ბელ., გვ. 506).

საინტერესოა ლეკური თემების პოლიტიკური წყობილების ფორმები, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად გამოხატავდნენ ტოშობრივ-თემური წყობილების გადანაშთებს. ეს პოლიტიკური ფორმები უკვე აღარ შეესაბამებოდნენ ახალ ბაზისს. წინააღმდეგობა შწვავდებოდა.

ლეკური სოფლები შედგებოდნენ რამდენიმე გვარისაგან, რომლებიც ქმნიდნენ სასოფლო საზოგადოებას, გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულს. მისი უმაღლესი ორგანოს ფორმალური განსახიერება იყო „სასოფლო კრება", რომელიც ირჩევდა მამასახლისს და სასოფლო სასამართლოს. მამასახლისი—ქევხა სოფლის უფროსი იყო. მას სისრულეში მოჰყავდა სასოფლო კრების გადაწყვეტილებანი და სასამართლოს განაჩენი. მამასახლისი თავმჯდომარეობდა სოფლის სასამართლოს. მის განკარგულებაში იყო სოფლის მოხელეთა გარკვეული შტატი[1]. ასეთი იყო სასოფლო მმართველობის, ვითომცდა სოფლის ინტერესების გამომხატველი წყობილების, კარიკატურა. სინამდვილეში მამასახლისი ფეოდალური ზედაფენის ინტერესებს გამოხატავდა.

სასოფლო მმართველობანი სოფლის მამასახლისების, ქევხების სახით ერთიანდებოდნენ სათემო მმართველობაში, რომელიც ჯამაათის („კრება", „ყრილობა", „საზოგადოება") სახელით იყო ცნობილი. ჯამაათები წარმოადგენდნენ ცალკეული გაბატონებული თემების (სოფლების კავშირების) უმაღლეს ორგანოს[2]. მათი ფუნქციები უფრო ფართო იყო. სოფლების საკრებულოთაგან განსხვავებით, ჯამაათები წარმოადგენდნენ პოლიტიკურ კრებებს, რომლებიც, სხვათა შორის, საგარეო ურთიერთობის საკითხებსაც სწყვეტდნენ[3].

ჯამაათი იმდენი იყო, რამდენიც მებატონე თემები: ჭარისა, ბელაქნისა, თალასი, მუხახისა და ჯინიხისა. ჯამაათს გულისხმობდნენ აგრეთვე კატეხის თემისთვის, რომელსაც საყმო სოფლები არ გააჩნდა[4]. ეს გარემოება, ჩანს, რჩებოდა, როგორც ფორმალური მხარე; ისე კი კატეხის თემს სხვა თემთა პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არავითარი ძალა არ ჰქონია. საგულვებელია მხოლოდ ის, რომ XIX საუკუნის I მესამედში კატეხის თავისუფალ ავარებში წარმოშობილი ფეოდალური ზედაფენა მეზობელი თემების სოციალურ თანამოძმეებს ეტოლებოდა.

---

[1] Джаро-белаканцы до XIX в. газ. „Кавказ", 1846 г. № 2. Иваненко. Гражд. Упр., გვ. 270—271.

[2] Джаро-белаканцы до XIX в. газ. „Кавказ", 1846 г. № 2—3. Иваненко. Гражд. Упр. 271. Перушевский, გვ. 35.

[3] პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ. გვ. 35.

[4] ივანენკო. დასახ. ნაშრ., გვ. 269.

იმ დროიდან, როდესაც სათემო ჯამაათს აღმასრულებელი ორგანო გაუჩნდა, თვით ჯამაათის — საერთო კრების როლი საგრძნობლად დაქვეითდა[1].

ჯამაათის სამმართველო, აღმასრულებელი ორგანოს ფორმით, შედგებოდა მთავარი ქევხას, რამდენიმე სასოფლო-საგვარეულო მამასახლისისა და ყადისაგან. აღნიშნული პირები შეადგენდნენ აგრეთვე უმაღლეს სასამართლოს.

ლეკური თემის სამმართველოს ფუნქციებში შედიოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხები, ომისა და თავდაცვის საქმე, გადასახადების აკრეფა, მიწისმფლობელთა სენიორული უფლებების დაცვა, ჯამაათის მოწვევა. სათემო სამმართველო ასრულებდა აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს მოვალეობას, კონტროლს უწევდა სოფლის მოხელეთა მოქმედებას და სხვ.[2].

სწორად შენიშნავს პეტრუშევსკი, რომ ჯამაათი და მისი მმართველობა XIX ს. დამდეგს მოქმედ ინსტიტუტებად იყვნენ ჩამოყალიბებული. ამ ინსტიტუტის ფეოდალური ზედაფენა, — მსხვილი ქეშქელისმფლობელები (მიწისმფლობელები), — სათემო მმართველობის მეშვეობით აქცევდა ჯამაათს თავის მორჩილად. ამ ფენას უპირისპირდებოდა თავისუფალ და წვრილ მიწისმფლობელთა ფენა, რომელიც ჯამაათში ხშირად ეწინააღმდეგებოდა მამასახლისებს[3].

ლეკური თემების საკოორდინაციო დაწესებულება არ არსებულა. კავშირის დამყარება მხოლოდ დროდადრო ხდებოდა, სოფლის მამასახლისთა კრების სახით. ასეთ კრებას იწვევდნენ ჯამაათთა მთავარი ქევხების შეთანხმების საფუძველზე — აგდამში, მუხახის ხეობაში. მთავარ ქევხეთა გარდა კრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ყაზიები და გვართა უფროსები.

სავსებით მართალია პეტრუშევსკი, როდესაც არ იზიარებს ივანენკოს მოსაზრებას და ფიქრობს, რომ არ შეიძლება ჯამაათების საერთო კრებაში დავინახოთ ფედერაციული საბჭო, „საკავშირო სეიში“, რადგან იგი არ იყო მუდმივ მოქმედი დაწესებულება. მისი გადაწყვეტილება ლეკური სოფლებისათვის სავალდებულო იყო მხოლოდ მანამდის, სანამ მათ შორის საკავშირო ურთიერთობა არსებობდა. ასე იყო მაგ., ჭარის, ბელაქნისა და კატეხის კავშირი, რომელიც

1 პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 35.

2 იქვე, გვ. 37—38.

3 Джаро-белаканцы до XIX в. газ. „Кавказ“ 1946, № 2—3. Петрушевский. Джаро-белак., гв. 37.

მუდმივი არ ყოფილა. არც ეს კავშირი წარმოადგენდა თანაბარუფლებიან თემთა ფედერაციას, რადგან მათ შორის ჰარი მძლავრობდა და პირველობას ჩემულობდა[1]. გარკვეულ მომენტებში ჰარი გავლენას ახდენდა ელისუს სულტანზე და ნუხის ხანზედაც[2].

ჰარისა და სხვა სოფლების კავშირი დროებითი იყო. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მოკავშირეებს შორის თავს იჩენდა განხეთქილება ლეკური თემების მუდმივ მოქმედ ფედერაციად გაერთიანებას ხელს უშლიდა განსხვავება ცალკეული თემების შინაგან წყობილებაში[3]. თემების პოლიტიკური წყობილება თითქმის უკვე აღარ შეესაბამებოდა ამ თემების სოციალურ ბაზას. ფეოდალიზაციის გაღრმავებასთან ერთად ირღვეოდა სათემო დემოკრატიის გარეგნული, რეალური შინაარსს უკვე მოკლებული ფორმებიც.

როგორც წარსული საუკუნის (კოვალევსკი, ივანენკო...), ისე თანამედროვე ავტორები (პეტრუშევსკი, პისარევსკი...) ლეკურ თემებში ხედავენ ძველი ადათის და მუსლიმანური შარიათის შენაერთს. პეტრუშევსკის აზრით, ეს იყო შედეგი ადრინდელ-ფეოდალური წყობილების თვისებებისა და გვაროვნული წყობილების გადმონაშთების შერწყმისა. კერძო საკუთრების ოჯახის, თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჯერ კიდევ ჰგავდა დაღისტნის ავარულ თემებში არსებულ ადათს, რომელიც შარიათის ძლიერ გავლენას განიცდიდა აღნიშნული ავტორი განაგრძობს, რომ ეს გავლენა ჩანდა ოჯახურს და სამემკვიდრეო სამართალში (ქორწინების წესი, ცოლების რიცხვის შეზღუდვა ოთხამდე, ცოლ-ქმარის ქონებრივი ურთიერთობა მეურვეობა, მემკვიდრეობა); ჩანდა აგრეთვე ხანდაზმულობის პრინციპის მოსპობაში, სისხლის აღების შეზღუდვაში, გვარის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეცვლაში ბოროტმოქმედებისა თუ მოვალის პირადი პასუხისმგებლობით[4]. აქედან გამომდინარე, პეტრუშევსკი დაასკვნის, რომ შარიათი დაღისტანში მტკიცდებოდა, როგორც ფეოდალური ზედაფენის სამართალი და ადრეულ-ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე ადათისა და შარიათის კომპრომისს გაბატონებული ფენის ინტერესებს უპასუხებდა[5].

---

1 პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 38.

2 საარქივო საბუთები ჰარ-ბელაქნის შესახებ., გვ. 510.

3 პეტრუშევსკი. დასახ. წიგნი, გვ. 38—39.

4 პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., 40, ავტორი იმოწმებს შემდეგ წყაროს: Адаты Дагестана и Закатальского округа, под ред. Сандарыгайло.

5 პეტრუშევსკი. გვ. 41.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ აღმოსავლეთ კახეთის ლეკურ-მუსლიმანურ მოსახლეობის წესწყობილებაში დავინახავდით მხოლოდ დაღისტნის ავარულ თემებში არსებული კანონმდებლობისა და წესჩვეულებების ნორმებსა და მათ გავლენას. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა სარწმუნოების გამოცვლასთან დაკავშირებით ინერტულად კი არ ეგუებოდა მთიელთა ადათ-შარიათს, არამედ თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენდა მასზე. თუნდაც სამემკვიდრეო უფლებების სფეროში შეიძლებოდა დაგვენახა, რომ ქართულ ბატონყმურ სამართალს უფრო ძლიერი გავლენა მოუხდენია, ვიდრე მუსლიმანურ შარიათს, რომელიც ამ შემთხვევაში გარედან შემოტანილი იყო.

ქართული ბატონყმური სამართლის სერიოზული გავლენა ჩანს სამემკვიდრეო ქონებაზე ქალის უფლებაში. გარდა ამისა, ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად ის მოსაზრება თითქოს ლეკურ სოფლებში ფეოდალიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნების შესვლა უნდა დაუკავშიროთ მუსლიმანურ შარიათს და ამასთან დაღისტანს მაშინ, როცა აღნიშნული სოფლები კახეთის ბატონყმურ გარემოში ჩამოყალიბდნენ.

სავსებით მიუღებლად გვეჩვენება, მაგალითად, მუსლიმანური შარიათის გავლენის შედეგად გამოვაცხადოთ გვარის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ბოროტმოქმედისა თუ მოვალის პირადი პასუხისმგებლობით. ეს უპირველეს ყოვლისა, უნდა მომხდარიყო ადგილობრივი ბატონყმური სამართლის გავლენით. კიდევ მეტის თქმაც შეიძლებოდა: ყოველივე ის, რაც ფეოდალური იყო და რაც ლეკური სოფლების არქაულ წყობილებას არღვევდა, კახეთის მოსახლეობისა და ამდენად ქართული ბატონყმური სისტემის წიაღიდან მოდიოდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არც მუსლიმანური შარიათის სერიოზულ გავლენას გამორიცხავდა.

5. გაბატონებული „ლეკთა" კლასი XIX საუკუნის I მესამედში

როგორც ზემოთ ითქვა, საინგილოში ძველთაგანვე გაბატონებული კლასის საგრძნობმა ნაწილმა მუსლიმანობის მიღებით ნაწილობრივ შეინარჩუნა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა. ამ ნაწილს მე-18 საუკუნის II ნახევრიდან ერწყმის ლეკური სოფლებიდან გამოსული ფეოდალური ზედაფენა, რომელიც საინგილოდან განდევნილი ფეოდალების ერთი ჯგუფის ადგილს იკავებს. ამ გარემოებამ საინგილოში არსებული სოციალური ურთიერთობა მეტად სპეციფიკური გახადა. ეს სპეციფიკურობა უპირველეს ყოვლისა

თავს იჩენდა ცალკეული სოფლების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის სხვადასხვაობასა და მიწისმფლობელობის თავისებურ წესში.

პროფ. პეტრუშევსკის დახასიათებით, საინგილოში მთელი მიწის იურიდიულ მესაკუთრედ, ასევე ინგილოებისა და მუღალების მიწის მესკუთრედ ითვლებოდა თავისუფალი თემი (вольное общество). „სწორედ მან მიითვისა წინანდელი კახეთის ფეოდალების სენიორალური უფლებები“[1].

როგორც ზევით უკვე ითქვა, თავისუფალ თემს არ შეეძლო განვითარებული ბატონყმური ურთიერთობის სათავეში ჩადგომა. გარდა ამისა, ჩვენ მე-18 საუკუნის ვითარებისათვის, უფრო ზუსტად ამ საუკუნის 30-იან წლების შემდგომი პერიოდისთვის, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ვიხმაროთ ტერმინი „თავისუფალი თემი“, რომელიც უკვე „მებატონე თემია“ და დაშლის სწრაფი გზით მიდის.

დასაწყისში „თავისუფალ თემს“, როგორც პეტრუშევსკი მიუთითებს, შეეძლო დაეკავებინა „ინგილოური და მუღალური სოფლების მიმართ ჯგუფური მესაკუთრის მდგომარეობა დასავლეთ ევროპის „კოლექტიური სენიორიების“ მსგავსად“[2]. მაგრამ ასეთი სენიორია, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლიდა ადგილობრივ ფეოდალურ კლასს. შეცვლა უნდა მომხდარიყო ჯგუფური სენიორიის დაშლის მომენტში, როდესაც ბატონობის ეს ფორმა უბრალო ფიქციად იქცა. ადრინდელ საფეხურზე კოლექტიური სენიორია მხოლოდ დამპყრობლური ხარკის მიმღები უნდა ყოფილიყო.

ჯგუფური სენიორიების გადანაშთები აღმოსავლეთ კახეთში შემორჩნენ XIX ს. 30-იან წლებშიაც, კერძოდ თალას თემში; სხვაგან კი ეს სენიორია იურიდიულ ფიქციად იქცა[3].

კოლექტიური სენიორია, ჩვენი აზრით, არ უნდა ყოფილიყო დაღისტნური თემების რაღაც თავისებური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი მოვლენა, რომელიც აქ გადმოინერგა. საფიქრებელია, რომ მას აღმოსავლეთ კახეთში საფუძველი შეუქმნა აქ მცხოვრებ ყმა გლეხებში არსებულმა მიწით სარგებლობის თემურმა წესმა, რომელიც ძველთაგანვე იყო შემორჩენილი[4]. ასეთი წესის არსებობა თითქოს პირდაპირ უკარნახებდა გაბატონებულ ლეკურ თემს დამორჩილებულ-დამონებულ სოფლიდან ხარკის, თუ ბეგარა-გამოსაღებთა

1 პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 42.

3 იქვე.

2 იქვე.

4 ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით.

კოლექტიურ მიღება-განაწილებას. გლეხურ თემებში შემავალი კომლების დანაწილება ჯგუფური სენიორიის წევრებს შორის ამ სენიორიის დაშლისა და მიწისმფლობელთა კლასის გამოყოფის საფეხური იყო.

პოლკოვნიკ კოცებუს მტკიცებით, საინგილოს მჩწა ეკუთვნოდა 5 ლეკურ თემს—ჭარს, ბელაქანს, თალას, მუხახსა და ჯინიხს. ესენი იყვნენ მფლობელი თემები, რომელთაც მორჩილებაში ჰყავდათ ინგილოური და მუღალური სოფლები. კატეხსა და მაწეხს არ ჰქონდათ სოფლები. ესენი იყვნენ „თავისუფალნი"[1].

როგორც ვხედავთ, კოცებუ ასხვავებს ერთმანეთისაგან „მფლობელსა" და „თავისუფალ" სოფლებს, მაგრამ მისი დახასიათება ცალმხრივია. თვით კოცებუს ცნობის ზოგიერთი ადგილები და ზაქათალის კომისიის სხვა მასალები ამჟღავნებენ მოტანილი მითითების უსწორობას და იმ ფაქტს, რომ ხსენებულ თემებში უკვე დიდი ხანი გასულიყო, რაც საქმე გვქონდა კლასობრივ ჯგუფებთან.

ცნობებში, რომლებიც ეხებიან XIX ს. 20-ან წლებს, ჩანან „აღალარები" და „მფლობელი" პირები; მაგ., როდესაც საუბარია ლეკთა სასარგებლოდ არსებულ გადასახადებზე, ხაზი ესმება იმ გარემოებას რომ „ლეკები" მთის ძირის „ლეკურ" სოფლებში მცხოვრები ქვეშევრდომებისაგან ღებულობდნენ ყოველწლიურ გადასახადს, რომლის მოცულობა დამოკიდებული იყო გადამხდელის მდგომარეობაზე. ამის შესახებ ზაქათალის კომისიის № 45 ჟურნალში ვკითხულობთ: „მდიდარი უხდიდა თავის მფლობელს 4 თაღარ პურს წელიწადში, საშუალო მდგომარეობის — 1 და 1½ თაღარს, ღარიბი—½ თაღარს, ოლო თუ ესეც სამძიმო იყო მისთვის, მაშინ მოუტანდა შეშას, ან იხდიდა სხვა ბეგარას შეძლებისდაგვარად. ქორწინების დროს პატარძლის ნათესავები აღალარს უხდიდნენ 2-3 მანეთს. რაც შეეხება დ ა ბ ლ ო ბ ი ს ს ო ფ ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ს, ა მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ მ ო თ ხ რ ო ბ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა ქ ო რ ი გ ჟურნალში"[2]. აქვე საინტერესოა, რომ კომისია ზემოთ დასახელებული კოცებუს ცნობებსაც იმოწმებდა.

როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, „მფლობელები" (და არა „მფლობელი თემი"), იგივე „აღალარები", თავიანთ ბატონობას ავრცელებდნენ არა მარტო დ ა ბ ლ ო ბ შ ი მცხოვრებ ინგილოებსა და მუღალებზე, არამედ საკუთრივ ავარებსა თუ სხვა ტომის „თავისუფალ" გლეხებზეც, რომლებიც გაბატონებული კლასის მიწებზე ისხ-

---

1 საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 510.

2 საარქ. საბუთები, გვ. 518. ხაზი ჩვენია.

დნენ და ამ კლასისადმი ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მოტანილ ცნობაში განსხვავებულია დ ა ბ ლ ო ბ ი ს (ინგილო-მუღალური) სოფლები, რომლებიც ამ შემთხვევაში უპირისპირდებიან მთის „ავარულ“ სოფლებს, სადაც კახებიც საკმაოდ იყვნენ.

„იმ ცნობებიდან, რომლებიც ჰარის საოლქო მმართველობამ 1831 წ. შეკრიბა (კომისია იმოწმებს საბუთს, მ. დ.), ჩანს, რომ მფლობელი ლეკები სოფლებში, მაწეხში, კატეხში, ყარაღაჯლოში (ახლა კატეხის ნაწილია), გოგამში, დარტოყაზსა და სუმაილოში ღებულობდნენ ამ სოფლებში მცხოვრები თავიანთი გლეხებისაგან პურისა და აბრეშუმის გადასახადს მცირე რაოდენობით. ამასთანავე გლეხები თავიანთი აღალარებისათვის ხნავდნენ მიწას, ლეწდნენ ველზე პურს, მიჰქონდათ იგი სათანადო ადგილას, ეზიდებოდნენ შეშას და ასრულებდნენ სხვადასხვა სამუშაოებს. გლეხის ქალიშვილის გათხოვებისას აძლევდნენ „მებატონეებს“ (помещикам) 3 მანეთს ან უფრო მეტს. როცა გლეხი უძეოდ კვდებოდა, მებატონეებს მთელი მისი ქონება თავის სასარგებლოდ მიჰქონდათ“[1]. აქ კიდევ უფრო ნათლადაა დადასტურებული ავარულ სოფლებში არსებული ბატონყმური დამოკიდებულება.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ტიპიურ ქართულ ბატონყმურ ურთიერთობასთან, რომელიც შეუჩერებლივ იკაფავდა გზას ავარულ სოფლებში და თავისუფალ ავართა დამონების გზით ყალიბდებოდა.

ლეკური სოფლების რწმუნებულებმა 1872 წ. ზაქათალის კომისიას განუცხადეს, რომ საკარმიდამო მიწები, უზდენთა მიწების გამოკლებით, შეადგენდნენ „ლეკთა“ (გაბატონებული კლასის) საკუთრებას. უზდენებად კი ისინი თვლიდნენ იმ პირებს, რომლებმაც ლეკთაგან გამოისყიდეს საკარმიდამო მიწები. ასეთ გამოსყიდულ მიწაზე მებატონე, როგორც ჟურნალშია ნათქვამი, შემსყიდველს სათანადო სიგელს აძლევდა[2].

აქ ჩანდა ისეთივე მდგომარეობა, როგორც საერთოდ ქართული ბატონყმური ურთიერთობის დროს, როდესაც მებატონე ყოველივეს, რაც კი მის ყმას გააჩნდა, თავის საკუთრებად უყურებდა. „ლეკს“ არ შეეძლო საკარმიდამო მიწაზე მჯდომი გლეხის თვითნებური აყრა-გადასახლება, არც ამ მიწის გაყიდვა, ვიდრე იქ გლეხი (ამ შემთხვევაში „გვიანჩამოსახლებული“ მუღალი) ცხოვრობდა. არც

1 საარქ. საბუთები, გვ. 518—519.

2 იქვე, გვ. 529.

გლეხს, ამ შემთხვევაში მუღალს, არ შეეძლო გაესხვისებინა საკარ-ჰიდამო მიწა მანამდის, ვიდრე იგი მას არ გამოისყიდდა[1].

გაბატონებულმა კლასმა ლეკთა ბანაკიდან ძველი გვაროვნულ-თემური გადმონაშთების გარეგნული დაცვით შენიღბა თავისი უფ-ლებრივი მდგომარეობა. ეს კარგად ჩანდა ლეკურ სოფელში შესახ-ლების ძველად (1830 წლამდე...) არსებულ წესშიაც.

აღნიშნული წესის მიხედვით, სასოფლო საზოგადოებაში ახალი წევრის მიღებისას, მოსულს შეეძლო მიჰკედლებოდა რომელიმე გვარს, ან ოჯახს. ეს ხდებოდა ტრადიციული ცერემონიის შესრუ-ლებით, „სოფლის თანხმობით". თუ მოსულს საკარმიდამო მიწის შესყიდვის საშუალება არ ჰქონდა, მაშინ „ლეკი" მას ასეთს მისცემ-და, ერთი სიტყვით „შეიკედლებდა". ამისათვის „შესახლებული ვალდებული იყო მის მიერ დაკავებული მიწის პატრონს მოხმარებო-და საშინაო სამუშაოებში, დაემუშავებინა მისი მინდვრები, შეეს-რულებინა სხვადასხვაგვარი ბრძანებები, გადაეყვანა აღალარები თავიანთი ბარგით გაზაფხულსა და შემოდგომაზე სამყოფელი ადგი-ლის დროებით გამოცვლასთან დაკავშირებით. მოსულისთვის გამო-ყოფილი საკარმიდამო მიწა გადადიოდა მემკვიდრეობაში მამრობი-თი ხაზით, რომლის შეწყვეტისას იგი უბრუნდებოდა ძველ მეპატ-რონეს. სახნავი მიწა ეძლეოდა ყოველწლიურად შემოსავლის გარ-კვეული ნაწილის გადახდის პირობით"[2].

როგორც ვხედავთ, ცნობაში მითითებული „ლეკი", „ჯამაათი", „სოფლის თანხმობა", თუ სხვა რამ, ის ფორმალური გარსია, რომ-ლის შიგნით ბატონყმური სინამდვილე იმალება.

ჭარელი მებატონე ლეკები ადასტურებდნენ, რომ ისინი თავი-სუფლად, შეუზღუდველად განაგებდნენ თავიანთ მიწებს. „ლეკის" მიწაზე მჯდომი გლეხი თუ გადასახადს არ გადაიხდიდა, მიწას და-კარგავდა. მებატონე ამ მიწას სურვილისამებრ გამოიყენებდა. გარ-დაცვლილი გლეხის მიწა ბატონის განკარგულებაში გადადიოდა.

---

[1] იქვე, გვ. 529. მოტანილ ცნობასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ „ლეკს" არ შეეძლო აგრეთვე გაეყიდა გლეხის საკარმიდამო მიწა მისი გარდაცვალების შემდეგაც, ვიდრე ცოცხლობდა გარდაცვლილის ნათესავთაგან (из родственников) რომელიმე მამაკაცი. ეს გულისხმობდა ფართო ნათესაურ მემკვიდრეობას. ეს უფ-ლებრივი მონაპოვარი გლეხებმა მიიღეს, როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობისაგან, ჭარ-ბელაქნის დაპყრობის შემდეგ.

[2] იქვე, გვ. 529—530. შესახლების აღნიშნული წესი მოსპო რუსეთის მთავრო-ბამ 1830 წ. (იქვე).

ასეთი უფლებები ლეკებს რუსეთის მთავრობამ წაართვა 1830 წელს[1].

ლეკურ სოფლებში ფეოდალური ფენის წარმოქმნა ადრიდანვე ხდებოდა თავისუფალ მოთემეთა ძარცვა-გლეჯის გზით. სათემო მმართველობის წარმომადგენლები — მამასახლისები, ქეთხები, ყაზიები და სხვანი თავიანთი მდგომარეობით ექცეოდნენ პრივილეგირებულთა რიგში და თანდათანობით ჰბაძავდნენ კახ ფეოდალებს. მათ ხელში გადადიოდა თემის, სოფლის საკუთრებად გამოცხადებული მიწები, ამას კი შედეგად მოსდევდა თავისუფალ მოთემეთა დამონება.

დასაწყისში, „თავისუფალი თემების" „მებატონე თემებად" გადაქცევის წინ, როგორც ზევით ითქვა, ლეკური სოფლების გარკვეული ნაწილი ჯგუფურად ღებულობდა გადასახადებს დამორჩილებული სოფლებისაგან. ეს მომენტი გულისხმობდა ერთგვარ მოხარკეობას. როგორც უკვე შევნიშნეთ, გადასახადების ჯგუფური მითვისება არ მოასწავებდა კახი ფეოდალების შეცვლას. ეს გვიან მოხდა, როცა „თავისუფალი თემების" დაშლასთან დაკავშირებით დაიწყო კახი ფეოდალების ფუნქციების მითვისება და ლეკმა მებატონეებმა ადგილობრივი ფეოდალების ერთ ნაწილთან ერთად კომლობრივ დაინაწილეს ინგილო გლეხები უკვე კერძო მფლობელობის წესით[2].

მოტანილი მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის საინგილოში წარმოდგენილია ფეოდალების კლასი, რომელიც მიწებსა და ყმა გლეხებს ფლობს და პოლიტიკურ ცხოვრებას სათავეში უდგას. ამავე დროს ამ ფეოდალურ კლასს ახასიათებს ქართველ ფეოდალთა ნიშანდობლივი თვისებები და ძველი გვაროვნულ-თემური წყობილების გადმონაშთები, რომლებიც თავისებურადაა შეხამებული მის გაბატონებულ მდგომარეობასთან.

აღმოსავლეთ კახეთის მიწა-წყლის ძირითადი ფონდი გალეკებულ-გამუსლიმანებული (ქართველი თუ ავარ-წახურელი) ფეოდალების ხელში იყო. ამდენად საქმე გვქონდა უკვე გამარჯვებულ ფეოდალურ ურთიერთობასთან. „მიწის ფეოდალური საკუთრება,— როგორც გვასწავლის ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, — წარმოადგენდა ფეოდალიზმის საფუძველს"[3].

---

1 ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ეურნ. № 15, ფურ. 89.

2 ლეკთა მიერ გადასახადების მიღების სხვადასხვა ფორმების შესახებ (დასაწყისში თემის მიერ, შემდეგ — დანაწილება) მითითებული აქვს ლინდენსაც (Линден, высшее классы, გვ. 123).

3 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 45.

ჭარელი ფეოდალები XIX საუკუნის ლიტერატურაში ქეშქელისმფლობელთა სახელით არიან ცნობილნი. ამ სახელწოდებით იხსენიებენ მათ თანამედროვე მკვლევარებიც (პეტრუშევსკი, პისარევსკი). აღნიშნული ტერმინი დაკავშირებულია ე. წ. საქეშქელო დამოკიდებულებასთან, ქეშქელთან, რომლის განსაზღვრაზე ჩვენ შევჩერდებით ქვემოთ, სადაც მწარმოებელ კლასზე იქნება საუბარი. მანამდის კი შეიძლება შევნიშნოთ, რომ ქეშქელის მფლობელი იგივე მიწისმფლობელი ფეოდალია და მისი თავისებურება უფრო მეტად მიწის რენტაში ჩანს.

სამართლიანად შენიშნავს პეტრუშევსკი, რომ XIX საუკუნეშიაც გრძელდებოდა ქეშქელისმფლობელობის (მიწისმფლობელობის) კონცენტრაცია ქევხებისა და საგვარეულო ზედაფენის სხვა წარმომადგენლების ხელში. ამ პროცესმა გამოიწვია მწვავე ბრძოლა „თავისუფალი თემების“ შიგნით[1]. ჭარელი ქევხები უკვე ნათლად იყენებდნენ ჯამაათს, როგორც იარაღს ქეშქელისმფლობელობის გასაფართოებლად. ასეთი იყო ჭარელი ერთი ქევხას მოქმედება, რომელმაც, საბუთების ენით რომ ვთქვათ, „ძლიერის უფლებით მიითვისა საქეშქელო შემოსავალი“[2].

გასაგებია, რომ საინგილოს მცირე ტერიტორიაზე მიწისმფლობელობის მასშტაბიც მცირე უნდა ყოფილიყო. ქეშქელისმფლობელთა ბანაკში სჭარბობდნენ წვრილი მფლობელები. მაგ., ჭარში თითო ქეშქელისმფლობელზე საშუალოდ 5-დან 10-მდე ქეშქელი მოდიოდა[3]. ქეშქელისმფლობელობის გამსხვილება ვითარდებოდა XIX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ. ფეოდალური კლასის ჩამოყალიბება ლეკურ თემებში ადრეულ ეტაპზე ასუსტებდა ამ თემების გარეგნულ-პოლიტიკურ მთლიანობას.

XIX საუკუნის დამდეგიდან აღნიშნული თემები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად აბამენ კავშირს რუსეთის მთავრობასთან. ამ თემებს უკვე ქეშქელისმფლობელები ცვლიან, თუმცა ისინი არ ივიწყებენ, რომ ლეკური თემის სახელით იმოქმედონ.

1801 წ. საქართველოს მთავარმმართველ კნორინგთან ჭარი ცალკე ამყარებს კავშირს. ასე იქცევიან ბელქანი და თალაც[4]. 1802 წ. თალას მამასახლისები წერილით თხოვდნენ ქიზიყში მყოფ რუს სამ-

---

1 პეტრუშევსკის დასახ. წიგნი, გვ. 48.

2 იქვე, გვ. 44. მოყვანილია ჭარელი ქევხა უმა-კურკუნა შაბანის მაგალითი, რომელმაც 1/3 ქეშქელი მიითვისა სოფ. მარსანში. ეს ქეშქელი ეკუთვნოდათ ჯინიხელ ლეკებს. დამოწმებულია ზაკათალის კომისიის სათანადო ფონდი.

3 იქვე, გვ. 45.

Акты, т. I, 899, გვ. 645.

ხედრო მოხელეებს, მიეღოთ ისინი რუსეთის ქვეშევრდომებად — „ჩვენი გლეხებითურთ თქვენთან მოვალთ და გვიმსახურეთო". ამასთანავე ისინი დასძენდნენ: „მთელმა საქართველომ იცის, რომ თალაელები, ჭარელები, მაწეხელები, კატეხელები და ბელაქნელები სხვადასხვანაირი არიანო"[1]. ამ განცხადებით თალაელები იხსნიდნენ პასუხისმგებლობას იმ ქურდულ თავდასხმების გამო, რომლებიც ეწყობოდა ჭარ-ბელაქნიდან კახეთზე. ამავე და მომდევნო წლებში მეფის რუსეთს ლეკურ სოფლებში მრავალი აგენტი ჰყავდა. აგენტების როლში ქეშქელისმფლობელები გამოდიოდნენ.

გაბატონებული კლასი ეთნიკური შემადგენლობით წარმოდგენილი იყო ავარებისა და იმ ქართველ მებატონეთა სახით, რომლებმაც ისლამი მიიღეს. ამავე დროს ამ კლასის რიგებში ჩანდნენ ვაჭრული და სავაჭრო კაპიტალის განვითარების შედეგად დაბალი ფენებიდან ამოტივტივებული ელემენტებიც.

როგორც ზემოთ ითქვა, გაბატონებული კლასის წარმომადგენლის მებატონის სინონიმი აღმოსავლეთ კახეთში „ლეკი" იყო. იგი ამავე დროს აღნიშნავდა „ადრე ჩამოსახლებულ დამპყრობლებს". რაც შეეხებოდა „მუღალებს", საინგილოში აზერბაიჯანის მუსლიმანური რაიონებიდან შესახლებულებს, მათ, სარწმუნოებრივი ერთობის ნიადაგზე, შესძლეს ინგილოებთან შედარებით უფრო „პრივილეგირებული" მდგომარეობის მოპოვება. კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავების შედეგად ბევრი მუღალი გაუტოლდა გაბატონებულ ლეკებს, რომელთაც ეს არ მოსწონდათ. 50—60-იან წლებში მუღალთაგან გამოსული „საპატიო პირებიც" იხსენიებიან[2].

6. გლეხობა XIX საუკუნის I მესამედში

საინგილოს გლეხობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებისაგან შედგებოდა. აქ იყვნენ როგორც ქართველი ინგილოები, ისე მუღალები და ავარებიც. როგორც ითქვა, ავართა დიდი ნაწილი უკვე დამონებული იყო, მაგრამ საგრძნობმა ნაწილმა მაინც შესძლო ძველი პირადი თავისუფლების შენარჩუნება.

„თავისუფალ ავარებს" შორის მრავლად იყვნენ გალეკებულ-გამაჰმადიანებული, ლეკთა მიერ „ძმად შეყრილი" ქართველი გლეხე-

1 იქვე, № 917, გვ. 654.

2 საარქივო საბ. ჭარ-ბელაქ., გვ. 519, 529.

ბიც, რომლებიც ქართველებად უკვე აღარ იხსენიებოდნენ და „ინგილოთაგან“ განსხვავებით თავისუფალ მოთემეებს წარმოადგენდნენ. „ლეკური“ სოფლის გოგამის რწმუნებულები, მაგალითად, „ზაქათალის კომისიის“ წინაშე საყვედურს აცხადებდნენ იმის გამო, რომ ისინი „მუღალთა“ ანუ გვიანჩამოსახლებულთა „წოდებას“ მიაწერეს და დასძენდნენ, რომ სინამდვილეში, როგორც ისინი ისე ლეკთა უმეტესობა, მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ჩამომავალნი იყვნენ[1].

ყმა გლეხთა ძირითად მასას შეადგენდნენ ინგილოები და მუღალები. მათ შორის ინგილოები თავიანთი მაღალი სამეურნეო კულტურით, უფრო მეტად ვიდრე სხვები, მიწაზე იყვნენ მიჯაჭვული და მძიმე ფეოდალურ ექსპლოატაციას განიცდიდნენ.

„ინგილო“, „ყარაინგილო“, „ბაშიაღლი“ ინგილო დამონებულ ქართველ გლეხთა აღმნიშვნელი ტერმინები იყო. „ყარაინგილო“ გაშოხატავდა მძიმე ბეგარა-გამოსაღებთა მტვირთველ ყმა გლეხს, „შავს“, აუტანელი ცხოვრებით გაშავებულს, ხოლო „ბაშიაღლი“ ახასიათებდა ინგილოს, როგორც ისეთ მშრომელს, რომლისთვისაც საქონლის მხოლოდ თავ-ფეხი და შიგნეული იყო მისაწვდომი.

გლეხის, ყმის სინონიმი იყო აგრეთვე „ენისელელი“, „ენისელის“ მცხოვრები, მოგვიანო ხანის ალიაბათის რაიონის მკვიდრი, რომელსაც ბეგარა ეკისრა[2].

დამონებული ინგილოები და მუღალები თავიანთ თავს ეძახდნენ „რაიათებს“ — ყმა გლეხებს, ხოლო მფლობელ ლეკებს — „აღას“, ანუ ბატონს[3]. აღნიშნული სახელები გავრცელდა საინგილოს ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის გამუსლიმანების შემდეგ.

ინგილო გლეხთა უმრავლესობა ცხოვრობდა დაწნულ ქოხმახებში, რომლებიც თიხით იყო შელესილი. მიწის იატაკზე გაჩაღებული

---

[1] „... на самом деле, заявители, как себя, так и большинство лезгин, причисляют к коренным жителям здешней местности — грузинам“ (საარქ. საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 508).

[2] 1874 წ. ზაქათალის კომისიის ჟურნალში ნათქვამი იყო: „В настоящее время енисельцами называются ингилоевцы и мугалы Алиабатского наибства, платящие кешкельную повинность лезгинам“. (ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ჟურნ. № 13, ფურ. 64—65).

ერთი ავტორი — შოპენი აღნიშნავდა, რომ „ელისენი ეწოდებოდა მდინარე ბელაქანსა, გიშის-წყალსა ალაზანსა და მთებს და შუა მდებარე ტერიტორიას“ (Шопен Иван. Новыя заметки на древния истории Кавказа и его обитателей, СПБ. 1866, გვ. 414). ამ ცნობაზე მიგვითითა უფრ. მეცნ. თანამშრომელმა ელ. ფუთურიძემ.

[3] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ჟურნ. № 15, ფურ. 87.

შუაცეცხლიდან კვამლი პირდაპირ ჭერში გადიოდა[1]. საშინაო მოწყობილობა გლეხის უკიდურეს მინიმალურ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა.

მას შემდეგ, რაც საინგილო პოლიტიკურად ჩამოსცილდა საქართველოს და იქ გამუსლიმანებული ავარ-წახურები გაბატონდნენ, ინგილო გლეხთა სოციალური ჩაგვრა კიდევ უფრო გამწვავდა. ისლამი, ისევე როგორც ქრისტიანობა, წარმოადგენდა სოციალური ჩაგვრის მძიმე იარაღს გაბატონებული კლასის ხელში. ისლამი საინგილოში გავრცელდა როგორც სოციალურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი ტომების რელიგია, რომელმაც მკვიდრთა კულტურული დონე დააქვეითა. დამონებულ გლეხთა დუხჭირ ცხოვრებას ახასიათებდა რელიგიური ფანატიზმისა და მძიმე სოციალური ჩაგვრის ნიადაგზე აღმოცენებული, ინგილოებში არსებული ჩვეულება — ახალშობილი ბავშვის მოკვლა. იმ შემთხვევაში, როცა მის გაჩენას მშობელი დედის ავადმყოფობა მოსდევდა. ახალშობილს მაშინ ეშმაკეულად აცხადებდნენ და სიცოცხლეს უსპობდნენ[2].

როგორც ზემოთ ითქვა, გამუსლიმანებული ოჯახის ნათესაური წრე სრულებით ვერ ზღუდავდა ქორწინებითს კავშირს. მხოლოდ დაიყო გამორიცხული ამ კავშირიდან[3]. გარდა ამისა, ისლამი მეტად აქვეითებდა სამყაროს შესახებ მოსახლეობის წარმოდგენებს. მშრომელებს აქცევდა ყურანის ისეთ ბრმა მონებად, რომელთაც არაფერი ესმოდათ გარდა ალაჰის ცრუ სახელისა და მოლების ბნელი ქადაგებისა. ყოველივე ეს მთელი საშინელებით იჩენდა თავს გლეხის წარმოებითს საქმიანობაში და კიდევ უფრო უმწეოს ხდიდა მის სოციალურ მდგომარეობას. განსაკუთრებით ასუსტებდა მწარმოებელ კლასს ისლამის დღესასწაულები—ორუჯ-ბაირამი და ყურბან-ბაირამი. კერძოდ ორუჯ-ბაირამი სწორედ საველე სამუშაოების პერიოდს ემთხვეოდა (ივნისი) და ერთი თვის განმავლობაში მოითხოვდა მორწმუნეთაგან, რომ მშიერ-მწყურვალი ყოფილიყვნენ ყოველ დღე, ცისკარიდან ვიდრე დაღამებამდი. ასეთ პირობებში გლეხი თანდათან კარგავდა წარმოებითს უნარს. მისი შრომის ნაყოფიერებაეცემოდა. ამასთან საბატონო გადასახადებიც ანელებდა მის სამეურნეო ინიციატივას.

---

[1] Фон-Плотто. Природа и люди Закат. округа, გვ. 23.

[2] ინგილო (დ. ჯანაშვილი) „ვაი ჭკუისაგან". „დროება", 1867 წ. № 40. 1867 წ. დ. ჯანაშვილს პირადად უნახავს ასეთი შემთხვევები (იქვე, № 24, გვ. 2).

[3] ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ინგილოური ზღაპარი — ბოროტი დედინაცვალი და მისი ქალიშვილები (Ингилойския сказки. Злая мачеха и ее дочери, записал в сел. Кахи М. Г. Джанашвили, СМОМПК т. 32, გვ. 138—140).

განსაკუთრებით დაბლობ ნესტიან ზონაში ხშირი იყო გლეხთა მასობრივი ავადმყოფობა, ციებ-ცხელება, ეპიდემიები. თავისი პრიმიტიული წარმოდგენებით ისლამი აქაც გლეხს უგუნური მოლების კლანჭებში აგდებდა. მოლას შელოცვათა საზღაური სხვა კაბალურ მოვლენებთან ერთად აჩანაგებდა გლეხს მატერიალურად, ამ ლოცვაზე მინდობილი ავადმყოფი კი სიცოცხლეს ესალმებოდა[1].

მწარმოებელი კლასის ცხოვრებაზე მეტად მძიმე გავლენას ახდენდა აგრეთვე გამუდმებული ქურდობა-ყაჩაღობა; ამ სენის სიმძაფრე იმითაც აიხსნებოდა, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ საკმაოდ იყვნენ მომთაბარე ტომები, „რომლებიც, იალაღებიდან ყიშლაღებში და პირუკუ გადასვლის პერიოდებში, მართლაც დიდ ზარალს აყენებდნენ მიწათმოქმედ სოფლებს"[2].

არც თუ ისე გადაჭარბებული იყო მაშინ მომთაბარეებზე არსებული ოფიციალური შეხედულება: „მომთაბარეს თავისი ყოფამდგომარეობა იდეალურად მიაჩნია. „არავითად კულტურას, არავითარ მოქალაქეობრივობას იგი არ ეგუება. იგი უგულებელჰყოფს ყოველგვარ წესიერ შრომას და პატივს არ სცემს სხვის საკუთრებას; ძარცვა მას მიაჩნია თავისებურ ვაჟკაცობად"[3].

„...საინგილო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხშირად ყაჩაღთა მოედანს წარმოადგენდა. ასეთი იყო განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი, ლეკებით დასახლებული. ხშირად ისე მძვინვარებდნენ ეს ყაჩაღთა ურდოები, რომ გზაზე გავლა არ შეიძლებოდა, სძარცვავდნენ ყველას, დიდსა და პატარას, იტაცებდნენ სარჩო-საბადებელს, საქონელს, ცხვარს, არა იშვიათად მთელ ნახირს და მთელ ფარას. იტაცებდნენ ხალხსაც და დიდ სასყიდელს თხოულობდნენ მათ გასათავისუფლებლად. მათ გაიტაცეს რამდენიმე ინჟინერი 1913 წელს, რომელნიც ბელაქნის სპილენძის მადნების კვლევა-

---

1 აღნიშნულთან ერთად დამახასიათებელი იყო მუსლიმანთა მოგზაურობა მაქაში. შორეული და სახიფათო გზა ბევრს ასალმებდა წუთისოფელს. წასული სამუდამოდ ემშვიდობებოდა ცოლშვილს. დაბრუნებულს ბედნიერად თვლიდნენ დაჰაჯის—წმინდანს ეძახდნენ (Г. Парадов, Некоторые подробности путешествия в мекку. СМОМПК, т. 32).

2 ბ. გუგუშვილი. თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში (ეკონომიკის ინსტ. შრომები, ტ. I, თბილისი, 1946 წ., გვ. 39).

3 П. Гамбаров. О кочевках в связи о пастбищним вопросом (ТКОСХ 1885, № 9—10, стр. 27). გუგუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ძიებას აწარმოებდნენ და დიდი სასყიდელი მოითხოვეს. ასეთი მაგალითები აუარებელი ხდებოდა წინათ...“[1].

ქურდობა-ყაჩაღობა გაცილებით უფრო ფართო მაშტაბისა იყო მე-18—19 საუკუნეებში, როდესაც გლეხობას მშვიდობიანი სამეურნეო საქმიანობის საშუალება ნაკლებად ჰქონდა.

განსაკუთრებით მასიურ ხასიათს ატარებდა საინგილოში ტყვე ადამიანებით ვაჭრობა, რომელიც არსებობდა 1830 წლამდე და მის შემდეგაც, შედარებით უფრო შენიღბულ ფორმებში. ჭარი ამიერკავკასიაში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის ერთი სერიოზული ბაზარი იყო[2]. ტყვეებით ვაჭრობდნენ დაღისტნელი და ჭარელი აბრაგები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ადგილობრივი გაბატონებულ კლასის წარმომადგენლებთან. ყიდდნენ არა მარტო ალაზნის გამოღმა ნაპირიდან მოტაცებულ ტყვეებს, არამედ უმწეო ინგილოებსა და მუღალებსაც.

სოციალური ჩაგვრა და ქურდობა-ყაჩაღობა აჩანაგებდა გლეხურ ოჯახებს. ზოგჯერ გლეხი სტოვებდა თავის ფუძეს და მებატონესთან შეთანხმებით ადგილს ინაცვლებდა. ამ გზით იგი მოელოდა სდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ ხშირად ეს პირობების შემდგომ გაუარესებას მოასწავებდა. ასე მოუვიდათ, მაგალითად, ტანაჩის ტყეებში დასახლებულ ინგილოებს, სოფელ იტი-თალას მცხოვრებლებს, რომლებმაც, მართალია, მიწის ვრცელი ნაკვეთები მიიღეს დასამუშავებლად, მაგრამ ცხოვრების პირობები ძალზე გაიუარესეს.

ტანაჩში ცხოვრება აუტანელი იყო. იგი მიატოვეს მუღალებმა და ჭარის დასავლეთით, ვიდრე ბელაქნამდე, დასახლდნენ[3]. ტანაჩში დარჩენილ ინგილოთა დიდ ნაწილს ციებ-ცხელებამ მუსრი გაავლო, დიდმა ნაწილმა კი ჯანმრთელობა დაჰკარგა. უკანასკნელ დრომდის იტი-თალელების მდგომარეობა (უწყლობის, მალარიის, ეპიდემიების გამო) უმწეო იყო.

ინგილო გლეხთა მძიმე მდგომარეობას წარსულში კარგად ახასიათებს საინგილოში დღემდე შემორჩენილი ზეპირგადმოცემები და

---

1 ზ. იდილი. საინგილო, გვ. 120. 1840 წ. ჭარის მცხოვრებ ყაჩაღებს მთავრობამ მიწები ჩამოართვა. მათი შემოსავალი გადაეცა ყაჩაღთა მიერ დაზარალებულებს (საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, 500).

2 Бутков. Материалы, т. 1, стр. 164, 217, 389. Акты, т. VII, № 860 и др. Петрушевский. გვ. 29.

3 საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 508.

განსაკუთრებით ზღაპრული თქმულებები. ზღაპრებში ასახულია მშრომელთა ძველი დუხჭირი ცხოვრების ანარეკლი[1].

საინგილოს სოციალურ ცხოვრებას ახასიათებდა ქალის შეზღუდული უფლებრივი მდგომარეობა. ეს იყო უპირველეს ყოვლისა შედეგი მუსლიმანური რელიგიის გავლენისა მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაზე[2]. ძველი ქრისტიანული სარწმუნოების გადმონაშთი იყო ამ დროს ჯერ კიდევ ნაწილობრივ შემორჩენილი წესი—მზითვის გატანება ქალისათვის, ისე კი, ჩვეულებრივ, მშობლები ქალიშვილებს ჰყიდდნენ. ჯერ კიდევ 1900 წ. „ივერია აღნიშნავდა:

„საინგილოში ქალის გათხოვება აღებ-მიცემობის საქმედ გამხდარა. მოიზრდება თუ არა ქალი, დაიწყება ვაჭრობა იმის გათხოვების გამო. რომელი საქმაროც მეტ ფულს მისცემს ქალის პატრონს, საქმე იმის სასარგებლოდ დასძლევს“[3].

გლეხი ქალის მდგომარეობა სხვა მხრივად უმწეო ჩანდა. ქალების მშობიარობა ხდებოდა თავლაში. 40 დღის განმავლობაში მასთან მისვლას ცოდვად თვლიდნენ. ეს იწვევდა ქალთა მასობრივ დაავადებას და სიკვდილიანობასაც[4]. ქალთა ხშირი სიკვდილიანობა, როგორც ჩანს, მთავარი მიზეზი იყო იმისა, რომ მამაკაცებთან შედარებით მათი რაოდენობა საინგილოში საგრძნობლად ნაკლები იყო[5].

შეზღუდული იყო ქალის უფლება სამემკვიდრეო ქონებაზეც. უფრო გვიან, როცა საინგილოში ქრისტიანული სარწმუნეობის აღდგენა დაიწყო, ინგილო ქალების უფლებრივი მდგომარეობა ძირითადად ქრისტიანული სამართლის ნორმებით განისაზღვრებოდა[6].

გლეხთა კლასი საინგილოში, ისე როგორც საერთოდ, ერთ მთლიან საზოგადოებრივ ჯგუფს არ წარმოადგენდა. თავისუფალ მიწისმოქმედთა საგრძნობი ნაწილის არსებობა საინგილოს გლეხობის ერთი სპეციფიკური ნიშანი იყო. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ ყო-

---

1 საინგილოში ამ ბოლო ხანს ჩაწერილი ზღაპარსიტყვაობა ხელნაწერის სახით გაგვაცნო დოცენტმა რ. ღამბაშიძემ.

2 1826 წ. პოლკ. კოცებუ შენიშნავდა, რომ მიუხედავად მაჰმადიანური კანონისა ინგილოებში მრავალცოლიანობას ადგილი არ აქვსო. (ЦГИА Азерб. ССР ф. 579). მაგრამ შემდეგი დროის საბუთები კოცებუს მხარს არ უჭერს. ინგილოებში ახალმა სარწმუნოებამ მრავალცოლიანობაც შეიტანა მეტ-ნაკლები გვარცელებით. ამის დამამტკიცებელი ფაქტები საკმაოდ მრავალი იყო (ЦГИА Азерб. ССР сф. 579).

3 გ. ფარადაშვილი. წერილი საინგილოდან („ივერია“, 1900 წ. № 44).

4 იქვე, „ივერია“, 1900 წ. № 135.

5 ზ. ედილი. გვ. 178.

6 ЦГИА Азерб. ССР, ф. 128, оп. № 1 л. 5—6.

ფილა ადგილობრივ განვითარებული დიფერენციანციის შედეგი. დაღისტნიდან აქ ჩამოსახლებულ ავართა ნაწილმა თავისუფალ მოთემეთა მდგომარეობის შენარჩუნება შესძლო. მათთან იყვნენ გალეკებული ქართველი გლეხებიც. თავისუფალი თემების დაშლის შემდეგ თავისუფალთაგან ერთი ნაწილი სოციალურად გაბატონდა, მეორე ნაწილი გაბატონებული ფენის ექსპლოატაციის უღელქვეშ მოჰყვა, ხოლო მესამემ — თავისი ძველი თავისუფლება შეინარჩუნა. ამ ნაწილში შედიოდნენ თავისუფალი მიწისმოქმედი გლეხები. ბატონყმური ურთიერთობის პირობებში მათი მდგომარეობა ყმა გლეხთა მდგომარეობისაგან დიდად განსხვავდებოდა. თავისუფალი გლეხები მწარმოებელი კლასის გარდამავალ ფენას შეადგენენ. სოციალური დიფერენციაცია მათ შეუჩერებლივ ერეკებოდა ყმა გლეხთა რიგებში. ეს პროცესი განსაკუთრებით განვითარდა XIX საუკუნის დასაწყისში.

თავისუფალ გლეხთა მდგომარეობას უახლოვდებოდნენ ე. წ. უზდენები. „უზდენი" აღნიშნავდა ყოველგვარი ბეგარისაგან თავისუფალ პირს"[1].

1830 წლამდე განსხვავებული იყო უზდენთა 2 კატეგორია. პირველი კატეგორიის უზდენი „მიწისმფლობელის მოწვევით" ყიდულობდა საკარმიდამო მიწას, ხოლო სახნავი მიწით სარგებლობდა „მალჯაათის" საფუძველზე — იხდიდა მოსავლის $^1/_8$-ს. ასეთი უზდენები შეადგენდნენ მფლობელის მცველთა რაზმს და მიაცილებდნენ საბაზროდ სომეხ ვაჭრებს[2]. უზდენთა მეორე კატეგორია შედგებოდა იმ რაიათებისაგან (გლეხებისაგან), რომელთაც „განსაკუთრებული დამსახურებისათვის" მებატონე აძლევდა უფლებას ეყიდა საკარმიდამო მიწა, ან თვით მებატონე მისცემდა მას ასეთ მიწას. სახნავი მიწებით ისინი სარგებლობდნენ ისევე როგორც პირველი კატეგორიის უზდენები. ორივე რიგის უზდენი მებატონის მცველთა რაზმში იყო[3]. უზდენები მოგვაგონებენ ქართველ მსახურთა გარდამავალ კატეგორიის გლეხებს.

სოფელი მაწეხის რწმუნებულები 1872 წ. ზაქათალის კომისიას უცხადებდნენ, რომ მაწეხელები განიყოფებოდნენ ორ ფენად: უზდენებად, ანუ თავისუფალ რაიათებად და რაიათებად. რაიათები კი თავის მხრივ იყოფოდნენ „მუღალებად" და „მონებად"[4]. ის, ვინც

1 ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ეურნ. 45, ფურ. 23—33.

2 ცსსა, ფ. 236, საქმე 14, ეურნ. 58, ფურ. 107.

3 ასე განსაზღვრეს უზდენთა მდგომარეობა ვაჩნაძეებმა (გალაჯევებმა), რომლებიც ბელაქნის ბატონები იყვნენ (იქვე).

4 ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ეურნ. 45, ფურ. 23—33.

სოფელში შემოვიდოდა, როგორც თავისუფალი, შეისყიდდა მიწას. ამით შეინარჩუნებდა თავისუფალის ანუ უზდენის უფლებებს და არავის გადასახადს არ გადაუხდიდა[1].

აღნიშნული ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ „უზდენი" ნიშნავდა პირადად თავისუფალ გლეხს, რომელსაც მებატონის ხლება, მისი დაცვა ევალებოდა. ასეთი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო მაშინ, როცა მებატონე თვითონ გამოუყოფდა გლეხს საკარმიდამო მიწას, ან იჯარით მისცემდა სახნავ ნაკვეთს. მაგრამ თუ „თავისუფალი გლეხი" მიწას შეისყიდდა, ამით იგი თავის თავისუფლებას შეინარჩუნებდა. ასეთი შემთხვევები გამონაკლისს შეადგენდა.

მოტანილი მასალიდან აგრეთვე ჩანს, რომ გლეხს — რაიათს მებატონის ნებართვის გარეშე არ შეეძლო მიწის შესყიდვა და თავისუფლების მოპოვება. ამისათვის, ისე როგორც საერთოდ ქართულ ბატონყმურ სისტემას ახასიათებდა, საჭირო ყოფილა გლეხის „განსაკუთრებული დამსახურება".

თავისუფალ გლეხთა რიგს ეკუთვნოდნენ ე. წ. მ ა ა ფ ე ბ ი. 1847 წ. მეფის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, მააფები ამიერკავკასიაში საერთოდ გადასახადებისაგან თავისუფალი იყვნენ; მათ პოლიციური სამსახური ეკისრათ. 1853 წლიდან ეს „წოდება" საინგილოში უკვე აღარ იყო. ძველი მააფები დაბეგრილი იყვნენ. სახელწოდება „მააფი" ხალხში შემორჩენილი იყო უკვე სხვა მნიშვნელობით, რომელიც ძველი თავისუფლების მოგონებას გამოხატავდა. მაინც ჩანდა, რომ მააფების ადრეული თავისუფლებაც პირობითი იყო და ძირითადად მოხელეობას უკავშირდებოდა. ამაზე მიუთითებს მათი პოლიციური სამსახური. გარდა ამისა, XIX ს-ნის შუაში ხალხი ასხვავებდა დროებითსა და მუდმივ მააფებს. დროებით მააფებად თვლიდნენ მოლებს, ყვავილის ამცრელებს და ობლებსაც კი. „მუდმივებს" ეძახდნენ იმ მააფებს, რომელთა წინაპარი რომელიღაც დამსახურებისათვის გადასახადისაგან განთავისუფლდა. მაგ., სოფ. ყორღანის მოლა მოჰამედ-ოღლი (როგორც ჩანს ინგილო იყო) მიწით უფასოდ სარგებლობდა იმიტომ, რომ „მისმა წინაპრებმა დააფუძნეს სოფელი და მასში წყალი შეიყვანეს"[2]. ასეთები დიდ გამონაკლისს შეადგენდნენ. უკანასკნელი ფაქტი მიუთითებს, რომ მააფობა, ანუ დაუბეგრავი მდგომარეობა, ზოგჯერ ჩამომავლობითაც გადადიოდა, ზოგჯერ (ობოლთა მააფობა) ეს

---

1 იქვე.

2 ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ეურნ. 15, ფურ. 88.

ტერმინი — მააფობა — შეუძლებელ გადამხდელთა მიმართაც იხმარებოდა გადასახადისაგან თავისუფალის მნიშვნელობით.

საინგილოს საზოგადოებრივ ურთიერთობას მეტად სპეციფიკურს ხდის ის გარემოება, რომ ეთნიკური ჯგუფების აღმნიშვნელი ტერმინები — ლეკი, მუღალი, ინგილო—არსებულ საბუთებში ხშირად სოციალურ ტერმინებად გვევლინება. ეს გარემოება ძალზე ართულებს აღნიშნული ურთიერთობის დახასიათებას.

ზაქათალის კომისიის ზღვა მასალებში, სადაც დიდი ადგილი ეთმობა ცალკეული სოფლების რწმუნებულთა დაკითხვებს, ხშირად ტერმინი „მუღალი" აღრეულია და ამიტომ გაუგებრობას ქმნის, ზოგჯერ კი თითქოს ნათლად ჩანს, რომ იგი, როგორც სოციალურად დაკნინებული კატეგორია, უპირისპირდება „ლეკს" — გაბატონებულ კატეგორიას. ასევე ზოგჯერ ჩანს, რომ „მუღალიც", ძლიერია და იგი არაფრით არ განსხვავდება „ლეკისაგან". რაც შეეხება „ინგილოს" იგი თითქოს გარკვევით აღნიშნავდა დამორჩილებულ ყმა გლეხს, მაგრამ არც ეს გამორიცხავდა, რომ ინგილოთაგანაც ბევრს გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა.

აღნიშნულ ტერმინებს XIX საუკუნეში, განსაკუთრებით 1830 წ. შემდეგ, თავისი ძველი მნიშვნელობა მხოლოდ ნაწილობრივ ჰქონდათ. ამ დროის „ლეკი", „ინგილო", თუ „მუღალი" თითქმის შინაარსგამოცლილი სიტყვები იყვნენ და ყოველ მათგანში იგულისხმებოდა გაბატონებული და დამონებული. მიუხედავად ამისა ამ ტერმინებს თავისი სოციალური მნიშვნელობა ბოლომდის არ დაუკარგავთ და ისინი დარჩნენ გაბატონებულის (ლეკი), გარდამავალი სოციალური ჯგუფის (პირობით — მუღალი), თუ დამორჩილებულის (ინგილო) მხოლოდ მიახლოებით სინონიმებად. ამდენად აღნიშნული ტერმინების ხმარება სოციალურ ტერმინებად XIX საუკუნის პერიოდისათვის მხოლოდ პირობით თუ შეიძლება.

რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით „სოციალური" ტერმინის — „მუღალის" შესახებ, რადგან ეს ტერმინი სხვადასხვა მნიშვნელობითაა წარმოდგენილი.

ერთი ოფიციალური წერილის ცნობით, XIX საუკუნის დამდეგამდე მუღალები საინგილოში ხნავდენ მებატონის მიწას, თესდნენ, მკიდნენ, უვლიდნენ ბაღებს, ეზიდებოდნენ შეშას; მებატონეს მუღალთა ოჯახებიდან აჰყავდა ხელზე მოსამსახურე. ერთი სიტყვით, ისინი ყმა გლეხები იყვნენ[1]. ეს დახასიათება, როგორც ჩანს, ეხებოდა მუღალთა მხოლოდ ერთ ჯგუფს.

[1] Джаро-белаканцы до XIX века.

მეორე ოფიციალური წერილი ასხვავებდა მუღალთა 2 კატეგორიას: 1. ვინც ლეკებთან ერთად ჩამოსახლდა და ლეკებს უფლებრივად გაუტოლდა, 2. ვინც გვიან ჩამოსახლდა და ღებულობდა უძრავი ქონების შეძენის უფლებას, ექცეოდა მიწისმფლობელთა კაბალაში[1].

ზაქათალის ცნობილი კომისია შენიშნავდა, რომ მუღალები საერთოდ გვიან დასახლდნენ ლეკთა მიერ დაპყრობილ მიწებზე, იკისრეს გადასახადები, მაგრამ როგორც ლეკებთან ერთმორწმუნეები, მათთან გათანასწორდნენ უფლებრივადაც. იქვე დამოწმებულია მაშინ არსებული მდგომარეობა (1872 წ.), როდესაც მუღალებს საკუთარი მიწა ჰქონდათ და ლეკთა მსგავსად ღებულობდნენ გადასახადებს ინგილოებისაგან: „ხოლო ის მუღალები, რომლებმაც ვერ მოასწრეს გაბატონებულ ხალხთან შერწყმა, დარჩნენ მებატონეთა საკუთრებაში ზუსტად ისევე, როგორც ინგილოები"[2].

1872 წ. არსებული მდგომარეობა უფრო მეტად შედეგი იყო იმ სოციალური დიფერენციაციისა, რომელიც მაშინ გლეხთა შორის ხდებოდა. მიუხედავად ამისა, კომისიის მითითება იმის შესახებ, რომ ლეკებთან სარწმუნოებრივმა ერთიანობამ ხელი შეუწყო მუღალთა ერთი ნაწილის დაწინაურებას, ანგარიშგასაწევია. გარდა ამისა ნათლად ჩანს, რომ „მუღალობა" მთლიანი კატეგორია არ იყო. დამახასიათებელია აგრეთვე ჰარელ ლეკთა განცხადება, რომ „ყველა გვიანჩამოსახლებულს ლეკები უწოდებდნენ მუღალს მათ გამოკლებით, რომლებიც ჰარში დასახლდნენ და რომელთაც მცირერიცხოვანობისა გამო ეძახიან ლეკებს"[3]. აქ კარგად ჩანს მუღალთა ერთი ნაწილის სოციალური გათანასწორება ლეკებთან და ამავე დროს ეთნიკური შერწყმაც.

გოგამელი რწმუნებულები ჩიოდნენ, რომ ისინი უმართებულოდ მიაწერეს „მუღალთა წოდებას"[4]. ამ საჩივარში სიტყვა „წოდება" გვიანჩამოსახლებულის მნიშვნელობითაა ნახმარი და შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ „მუღალი" სოციალური ნიუანსით ზოგჯერ იგივე გვიანჩამოსახლებული ლეკია. „გვიანჩამოსახლებული ლეკიც" დამორჩილებულის, არაპრივილეგირებულის მნიშვნელობით ესმოდათ.

---

[1] Закатальскій округ. Кавказскій календарь 1917, გვ. 300.

[2] საარქივო საბუთები ჰარ-ბელაქნ. შესახებ, გვ. 507.

[3] იქვე.

[4] იქვე. გვ. 508.

მუღალთა ერთი ნაწილის გადასვლა გაბატონებული კლასის რიგებში ზოგჯერ იწვევდა მათი ეთნიკური სახელის შეცვლასაც, ეს ხდებოდა უფრო გვიან, XIX საუკუნის 60—70-იან წლებში. მაგ., სოფელ გიულუკში (ვარდიანი) იყო რამდენიმე მუღალური კომლი, რომელიც „ლეკებს გაუთანაბრდა“ ისე, რომ თავს „ლეკს უწოდებდა“[1].

ერთი სიტყვით, „მუღალობა“ საკუთარ თავს უარყოფდა და „ლეკობისათვის“ იბრძოდა. ასეთ მისწრაფებაში ყოველთვის არ იგულისხმებოდა გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება. XIX საუკუნის I ნახევარში ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ თავისუფალი ლეკური თემების ძველი წყობილების გადმონაშთები. მიუხედავად ამ თემების დაშლისა ლეკთა საგრძნობმა ნაწილმა შეინარჩუნა ძველი თავისუფლება (თუ მხედველობაში არ მივიღებდით სახელმწიფო ბეგარას, რომელიც ამ ნაწილსაც ეკისრა 1830 წ. შემდეგ) და სათემო პრივილეგიების ელემენტები — უფლება სათემო მიწისნაკვეთებზე, მონაწილეობა მთის საძოვრებში და სხვ. ასეთი უფლებების მოპოვება მუღალისათვის მდგომარეობის გაუმჯობესებას მოასწავებდა.

მიუხედავად აღნიშნული მომენტებისა „მუღალი“ თავისი გარეგნული სოციალური მნიშვნელობით ინგილოსთან შედარებით მაინც პრივილეგირებულად გამოიყურებოდა თუნდაც იმით, რომ იგი ლეკთან ახლოს იდგა. „გვიანჩამოსახლებული“, რასაც ლეკები მუღალებს ეძახდნენ[2], ინგილოსთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. გვიანჩამოსახლებულთა საგრძნობი ნაწილი მაინც სარგებლობდა პირადი თავისუფლებით, ინგილოთა ძირითადი მასა კი ამასაც მოკლებული იყო. იყო შემთხვევა, როცა გამუსლიმანებული ინგილო ჩეშულობდა „მუღალობას“. მაგ., იქ, სადაც სოფელი ძველი შოთავრისა და ბაბალოს საქეშქელო ნაკვეთებზეა საუბარი, ზაქათალის კომისია შენიშნავს: „ამ ქეშქელებს ამუშავებს ინგილო-მუსლიმანთა 35 კომლი. თუმცა მცხოვრებნი თავიანთ თავს არა ინგილოებად, არამედ მუღალებად სცნობენ“[3]. ამის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ მუღალთა გადასახადები ზოგჯერ ნაკლები იყო ვიდრე ინგილოებისა; ასე იყო, მაგალითად, ელისუს სასულტნოში[4].

მწარმოებელი კლასის ძირითად მასას საინგილოში შეადგენდნენ უმა გლეხები, რომელთა რიგში იგულისხმებოდა საინგილოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი

[1] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქმე 14, ჟურნ. № 55.

[2] საარქ. საბ. ჭარ-ბელაქნ. შესახებ, გვ. 519.

[3] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ჟურნ. 15, ფურ. 76.

[4] Петрушегский. Джарс-Белак., გვ. 31.

(ინგილო, ავარი, მუღალი), მაგრამ ინგილოები მათ შორის უმრავლესობას შეადგენდნენ.

საინგილოში ყმა გლეხთა ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ ძველი ქართველი თავადების — ვაჩნაძეების (გალაჯევების) ყმები ბელაქანში. თვით ამ მებატონეთა განცხადებით, რაც აგრეთვე ლეკური სხვა სოფლების „საპატიო პირებმა“ დაადასტურეს, ვაჩნაძეთა მიწაზე მცხოვრები გლეხები იწოდებოდნენ „რაიათებად“. ეს იყო ყმა გლეხთა აღმნიშვნელი მუსლიმანური სახელი; მაგრამ „რაიათი“ ყოველთვის არ გადმოგვცემდა ქართული ბატონყმური სისტემის ყმა გლეხის შინაარსს. მაგალითად, რაიათი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანურ რაიონებში ქართული ყმა გლეხისაგან განსხვავდებოდა. ასე არ ითქმის კერძოდ საინგილოს რაიათებზე. ამათ შესახებ კი შეიძლება ითქვას, რომ ისინი, თუ მთლიანად არა, უმეტესი ნიშნების მიხედვით მაინც ყმა გლეხები იყვნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საინგილოს შიგნითაც ყველა რაიათი ერთნაირი მდგომარეობით არ ხასიათდებოდა. მაგალითად, განსხვავება იყო კერძოდ ბელაქნის რაიათებსა და ელისუს სასულტნოს რაიათებს შორის. ეს იქ გამოჩნდება, სადაც ბეგთადმი დამოკიდებულების შესახებ ვისაუბრებთ.

ბელაქნის რაიათები მე-18 საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დამდეგს თავიანთი მებატონეებისადმი ვალდებული იყვნენ თითქმის ისევე, როგორც ქართველი ყმა გლეხები. ეს კარგად ჩანს რაიათებზე დაკისრებულ ბეგარა-გადასახადებში.

ყმა გლეხი — რაიათი მოვალე იყო:

1. მიეცა მებატონისათვის მიწის შემოსავლის ერთი მერვედი.

2. მიეცა მებატონისათვის აბრეშუმის შემოსავლის ერთი მესამედი, ასევე ხილის ბაღებისა და ვენახისაგან.

3. მიეზიდა მებატონისათვის ტყის მასალა, შეშა იმ ადგილიდან, სადაც ბატონი მიუთითებდა.

4. მოეთიბა თივა, რომლის ორი მესამედი ბატონისათვის უნდა მიეტანა, ხოლო ⅓ მას დარჩებოდა.

5. ემუშავნა მებატონის ნაკვეთზე, მოეხნა-დაეთესა და აღებული მოსავალი მთლიანად ბატონისთვის მიეტანა. ამ სამუშაოს გლეხები რიგ-რიგობით ასრულებდნენ. საბატონო სამუშაოების დროს სურსათი ბატონისა იყო[1].

---

[1] „... рабочие получали в это время продовольствие от помещика“ (ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 14, ეურნ. 58, ფურ. 106—107). საარქივო საბ. ბელაქნ შესახებ, 518—519.

6. ქალიშვილის გათხოვებისას პატარძლის მშობლები აძლევდნენ მებატონეს გარკვეულ თანხას (3 მან., 7—20 მან.)[1].

7. გლეხი მოვალე იყო გადაეყვანა თავისი მებატონე ზაფხულობით საგარაკოდ და უკან.

8. მებატონის მოთხოვნით გლეხი შეიძლებოდა აყვანილიყო ბისაყმად — ხელზე მოსამსახურედ[2].

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილია სამივე სახის რენტა. მათ შორის ფულადი რენტა უმნიშვნელოა. ამის მიზეზია ნატურალური მეურნეობის ბატონობა, ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის განუვითარებლობა.

წარმოდგენილი ვალდებულებანი ტიპიურია ქართული ბატონყმური წყობილებისათვის. გამუსლიმანებულ ვაჩნაძეს შენარჩუნებული აქვს ძველი კახელი მებატონის თვისებები. დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ ვაჩნაძის საყმო უბანში პირადად თავისუფალი გლეხები არ ჩანან. გადასახადებისაგან განთავისუფლებულებს—გაგაზატებულებს მაინც ეკისრებოდათ ბატონის სამსახური.

აღნიშნული დამოკიდებულება არსებობდა ვიდრე 1830 წლამდე. ამ წლის შემდეგ კი ვაჩნაძეთა უფლებები თავიანთ ყმა გლეხებზე თანდათანობით ქრება. ამის მიზეზი ყოფილა არა მარტო აჯანყება, არამედ ვაჩნაძეთა გლეხების დიდი ნაწილის გადასახლება ლაგოდეხისაკენ. ეს მომხდარა ადგილობრივი ხელისუფლების წაქეზებით. შემდეგ ეს გლეხები ისევ ბელაქანში დაბრუნებულან, მაგრამ რუსულ მმართველობას, ვაჩნაძეთა განცხადებით, მოუთხოვნია, რომ არ შეევიწროებინათ რაიათები „ზემოთ აღნიშნული გადასახადებებით". ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ „რაიათები სულ უფრო ნაკლებსა და ნაკლებ შემოსავალს აძლევდნენ მებატონეებს და ბოლოს გადასახადების გადახდა სულ შეწყვიტეს". მართლაც, 1830 წლის შემდეგ მებატონე ვაჩნაძეები გამუდმებით ჩივიან რუსეთის მთავრობასთან და მოითხოვენ, „აიძულონ მათ მიწაზე მცხოვრები გლეხები, რომ გადაიხადონ ძველი გადასახადები"[3].

როგორც ზევით ითქვა, 1830 წ. აჯანყებასთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობამ თავისუფლება გამოუცხადა „ბელაქნის, კატეხისა და მაწეხის მუღალებს" (აქაურ მუღალებში იგულისხმებოდა ინგილოთა გარკვეული ნაწილიც), ისინი იწერებოდნენ სახაზინო

---

[1] საარქ. საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 519, 538.

[2] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1. საქ. 14, ეურნ. 58, ფურ. 106—107.

[3] იქვე, ფურ. 108—109.

გლეხებად. ამის შემდეგ ვაჩნაძეებს დიდი ბრძოლა მოუხდათ ძველი მდგომარეობის აღდგენისათვის. მათ ეს მხოლოდ ნაწილობრივ შესძლეს.

პროფ. პეტრუშევსკის მოსაზრებით, ავართა ბატონობის პირველ პერიოდში ინგილოთა ბეგარა უნდა შემცირებულიყო იმის გამო, რომ ავარულ საგვარეულოებს პრიმიტიული სამეურნეო წყობა ჰქონდათ. საბატონო მუშაობითი ბეგარა უნდა გაუქმებულიყო იმიტომ, რომ ახალ მესაკუთრეებს არ ჰქონოდათ საკუთარი მსხვილი მეურნეობა, რასაც მუშა ხელი უნდა მოეთხოვა. ეს დასკვნა ავტორის მიერ გამაგრებულია იმით, რომ გლეხების განცხადებით წინათ ისინი იხდიდნენ ძალზე მცირე რაოდენობის მარცვლეულს და ერთ ნაჭერ „ლეინს" (ბამბის ჭრელი ქსოვილი, შინამრეწველური ნაწარმი, 1,6 მეტრის სიგრძისა). ასეთი იყო გადასახადი ლეკთა სასარგებლოდ მე-18 ს. ბოლომდე, შემდეგ იგი თანდათანობით იზრდებოდა[1]; იხდიდნენ 3—3 ნაჭერ ლეინსაც, ზოგჯერ 5-საც. XIX ს-ში ეს გადასახადი ქრება. ამის მიზეზია საქონლადი ურთიერთობის განვითარება, ლეინის წარმოების დაცემა, მარცვლეულით გადასახადის ზრდა[2].

აღნიშნული მოსაზრება ჩვენ მთლად სწორად არ მიგვაჩნია. დასაწყისში, როგორც ზევით დავინახეთ, იქ, სადაც ძველი მებატონეები შემორჩნენ, ძველი დამოკიდებულება ძალაში დარჩა. ადრინდელი მსუბუქი დაბეგვრა, რომლის შესახებ ხსენებული ავტორი მიუთითებს, გულისხმობს, როგორც ჩანს, მხოლოდ ცალკეული სოფლების მაგალითს, შეიძლება ისეთ სოფლებს, რომელთა ძველი მებატონეები მოსულებმა მთლიანად განდევნეს. ლეკურ „ჯგუფურ სენიორიას" კი დასაწყისში, კერძოდ იმ საფეხურზე, როდესაც ლეკური თემები გადაგვარებას იწყებდნენ, ბევრის მოთხოვნა ინგილოთაგან მ რთლაც არ შეეძლოთ. ან კიდევ, თითო ნაჭერი ბურმეთის მოთხოვნა და მარცვლეულის მცირე გადასახადი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთგვარი ხარკი, რომელიც გაბატონებულმა ლეკურმა თემებმა დაპყრობილი მკვიდრი მოსახლეობის ერთ ნაწილს დააკისრეს. ამ შემთხვევაში ეს ხარკი იქნებოდა უ ც ხ ო დ ა მ პ ყ რ ო ბ ლ ი ს ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ შ ე ს ა კ რ ე ბ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი და. არ ფ ე ო დ ა ლ ურ ი დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ებ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ა[3].

---

1 პეტრუშევსკის დასახ. წიგნი, გვ. 42, 50.

2 იქვე, გვ. 51—52.

3 პეტრუშევსკი ბურმეთით გადასახადს უწოდებს „ფეოდალურ რენტას" (გვ. 42). ეს ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად.

გარდა ზემოაღნიშნულისა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძალზე საეჭვოა ზაქათალის კომისიისადმი საინგილოს გლეხთა იმ განცხადებებზე დანდობა, რომლებშიც ისინი ძველ საგადასახადო დამოკიდებულებას ახასიათებდნენ. ცხადია, რომ გლეხები იბრძოდნენ თავიანთ მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. თვით ზაქათალის კომისიის მოღვაწეობა გლეხებში განთავისუფლების იმედს სახავდა და ისინიც ცდილობდნენ შემცირებით წარმოედგინათ თავიანთი ძველი და ახალი ვალდებულებანი და თხოვდნენ მთავრობას, რომ გლეხთაგან მებატონეებს ძალზე ცოტა, ან სულ არაფერი არ მოეთხოვათ.

ძველ ვალდებულებათა შემცირებით წარმოდგენის ცდები გამოსჭვივოდა თვით გლეხთა განცხადებებში. დამახასიათებელი ფაქტები მოჰყავს თვით პეტრუშევსკისაც. მაგალითად, სოფ. ვერხვიანის რწმუნებულები წინათ არსებული გადასახადების შესახებ უცხადებდნენ ზაქათალის კომისიას: „გადასახადი იყო თვითნებური (იგულისხმება მებატონეთა ძალადობა, მ. დ.), თუმცა დაკისრებული გექონდა (20-იან წლებში) 6—6 თაღარი... ლეკებთან ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ფეხებით გვკიდებდნენ. ასე გრძელდებოდა 1830 წლამდე"[1].

ინგილოებისა და მუღალების განცხადება ლეინით გადასახადის შესახებ, რომელსაც პეტრუშევსკი ეყრდნობა, ავტორის მიერ სისრულით გათვალისწინებული ვერაა. ზაქათალის კომისიის № 46 ჟურნალში ნათქვამია, რომ ლეკებმა დასაწყისში მცხოვრებლებს დააკისრეს თითო ცალი ლეინი ყოველ კომლზე. „შემდეგ კი 5—5 ჩანახი პური", რომლის გადასახადი თანდათან იზრდებოდა[2]. აქ რწმუნებულები არ ასრულებენ თავიანთ ახსნა-განმარტებას და დასძენენ, რომ აღნიშნულს გარდა, ქალიშვილის გათხოვებისას ისინი ლეკებს უხდიდნენ 7-დან 20 მანეთს. ამით სწურავდნენ ისინი თავიანთ ვალდებულებებს. მაგრამ იქვე ჭარელი ლეკები უმატებდნენ, რომ მათ გლეხებს საბატონო სამუშაოები ეკისრათ. პურის გადასახადის მოტანისას ყმა გლეხები ლეკის ბრძანებით რამდენიმე დღით რჩებოდნენ მის ოჯახში და უნდა შეესრულებინათ მათზე დაკისრე-

---

[1] „ЦАУГ Фонд Закатальской сосл. поземельн. комиссии, дело 40, л. 116" (Петрушевский. Джаро-белак. вольн. общ., 50—51).

[2] „По словам поверенных от ингилойских и мугальских селений, лезгинские общества... обложили жителей данью с начала по штуке бурмета (бумажная крашенная материя) с каждого дыма, а потом по 5 чанахов хлеба" (საარქ. საბ. ჭარ-ბელ., 538). აქ ნახმარი სიტყვა—„дань" პეტრუშევსკის მიერ გაახრებულია, როგორც—„дань (феодальная рента)". დასახ. ნაშრ. გვ. 42.

ბული სამუშაოები: მოეზიდათ შეშა, შეეკეთებინათ სახლი ან ღობე, გაეპრათ თხრილი და სხვ. („...починить саклю или плетень, сконать ров и т. п.“)[1].

აღნიშნულიდან ჩანს, რომ დასაწყისში ლეკთა სასარგებლოდ გაწერილი ხარკი თანდათანობით იქცეოდა ფეოდალური დამოკიდებულების ფორმად და ასეთი გადაქცევა უნდა მომხდარიყო ლეკური თემების დაშლასთან დაკავშირებით.

მოტანილ ცნობაში მითითებული საბატონო სამუშაო უკავშირდება ბატონთან პურით გადასახადის მიზიდვის მომენტს. ეს საფუძველს აძლევს პეტრუშევსკის, რომ აღნიშნული მდგომარეობა გამოაცხადოს „უფრო მეტად“ აზერბაიჯანში არსებული მოვლენის ანალოგიად, სადაც რაიათები ყოველ წელიწადში 3—4 დღეს გამოდიოდნენ საბატონო სამუშაოებზე ბეგთა სასარგებლოდ. იმავე ავტორის განცხადებით, აღნიშნული დამოკიდებულება „ნაწილობრივ“ ჰგავდა საქართველოში არსებულ პირად ბეგარას[2].

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, რომ ვაჩნაძეთა ყმა გლეხების საბატონო სამუშაოები არ იყო დაკავშირებული პურით გადასახადის შეტანის მომენტთან. ბელაქნის გლეხებს საბატონო ბეგარა ეკისრათ საველე სამუშაოების მთელი სეზონის განმავლობაში. გარდა ამისა, 1831 წ. ჭარის საოლქო მმართველობის მიერ შეკრებილი ცნობებით ბაწეხის, კატეხის, გოგამისა და სხვა სოფლების მებატონეთა გლეხები «пахали для своих агаларов землю, собирали с полей хлеб, доставляли оный на место, возили дрова и производили разные другие работы“ [3].

ერთი სიტყვით, ზაქათალის კომისიის მასალებში მოცემული წინააღმდეგობა გადალახულია თვით ამავე მასალებში დაცული სიბუთიანობით. ამიტომ ამ მასალათა გამოყენებისას უნდა განსხვავებულ იქნას ის ადგილები, სადაც კომისია ახდენს რწმუნებულთა განცხადებების რეგისტრაციას და ის ადგილები, სადაც იგი იმოწმებს სა-

---

1 საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 538. საყურადღებოა, რომ ჭარელმა ლეკებმა შეითვისეს ტერმინი „სახლი“. ეს იმის ერთი ნიშანი იყო, რომ ისინი აქ ეზიარნენ ქართულ კულტურულ ცხოვრებას.

2 პეტრუშევსკის დასახ. წიგნი, გვ. 52.

3 საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნ. შესახებ, გვ. 518—519. აღნიშნული დამოკიდებულება პროფ. პეტრუშევსკის რატომღაც არ მიაჩნია „ნამდვილ“ საბატონო სამუშაო ბეგარად (დასახ. წიგნი, გვ. 53).

ბუთებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომით არსებულ მასალებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საინგილოში არსებული ურთიერთობა ძირითადად იგივე ქართული ბატონყმური ურთიერთობა იყო.

ერთი ოფიციალური წერილის ავტორი ხაზს უსვამს საინგილოს მებატონეთა მიერ ყმა გლეხების გაყიდვის პრაქტიკას და დასძენს, რომ გაყიდვა უნდა მომხდარიყო მიწიანად. ამასთან ერთად იგი აღნიშნავს, რომ გლეხებს ეკალებოდათ მებატონის გამასპინძლება, რომელიც ისეთივე მძიმე ბეგარად გამოიყურებოდა, როგორც საერთოდ გვიანფეოდალურ საქართველოში: „როდესაც მებატონეები ეწვეოდნენ თავიანთ გლეხებს, ეს უკანასკნელნი მოვალენი იყვნენ მებატონეთა სოფელში დარჩენის დროის განმავლობაში გამოეკვებათ ისინი — გაეწიათ მასპინძლობა“[1].

„მობრძანდებოდა თუ არა ჩვენთან მებატონე ლეკი, — იგონებდნენ ინგილოები, — პატივი უნდა გვეცა არა მარტო მისთვის, არამედ მისი ცხენისთვისაც. შემოვიდოდა თუ არა ჩვენს ეზოში და ჩამოხტებოდა ცხენიდან, მისი ცხენის ქვეშ ჯეჯიმი ან ფარდაგი უნდა გაგვეშალა და ზედ უნდა მდგარიყო ცხენით... ჩვენი რაც კი მოეწონებოდა ლეკს სახლ-კარში, მაშინვე ხელს დაადებდა და თან წაიღებდა“[2].

მძიმე სოციალური ჩაგვრა საინგილოში მეტად ამწვავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას ინგილოებსა და მებატონე ლეკებს შორის. დ. ჯანაშვილის გადმოცემით, „ყოველი ინგილო იცნობდა თავის მემამულე ბატონს“. განსაკუთრებით აუტანელი იყო გლეხებისათვის მებატონეთა სტუმრობა. „ესენი თურმე ორმოცამდე მოვიდოდნენ ინგილოს სახლში, ხეთქამდნენ (სჭამდნენ...), და მერე მოჰყვებოდნენ ქალის, რძლის და დედაკაცების ლანძღვას, რომელ უსვინდისოებისათვისაც ინგილოს ბევრი ჭარელებისთვისაც კისერი მოუგლეჯია და ბრულში ჩაუჩრია“. გულქვა მებატონე ხშირად ფიზიკურად სჯიდა და სიცოცხლეს ასალმებდა თავის ყმას, „კისერში საბელს და ვაზს უგდებდა და ახრჩობდა, თვალებსა სთხრიდა, ინგილო კიდე მას მალვით გულზე ტყვიას აკერებდა“[3].

განსაკუთრებით იზრდებოდა გლეხთა ნატურალური ბეგარა — პურის, ქერისა და ბრინჯის გადასახადი, რომელიც „საქეშქელო გა-

---

[1] Джаро-белаканцы до XIX века. Газ. „Кавказ“, 1846 г. № 2—3.

[2] გადმოცემა მოყავს ზ. ედილს. დასახ. წიგნი, გვ. 74.

[3] დ. ჯანაშვილი. წარსული და მომავალი ინგილოების ცხოვრება. „დროება“, 1867 წ. № 47.

დასახადის“ (ამაზე ქვემოთ) სახელით იყო ცნობილი. იგი აღწევდა ზოგჯერ მთელი ზოსავლის 30—40%-ს და კიდევ მეტსაც[1].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პურით გადასახადის სიმძიმე მარტო დიდი მოცულობით არ აიხსნებოდა. მოუსავლიანობის შემთხვევაში გლეხის ვალდებულება მაინც ძალაში რჩებოდა. მებატონე მას არავითარ ანგარიშს არ უწევდა. მებატონე ასეთ შემთხვევაში თავისი რაიათის მოძრავი ქონებიდან წაიღებდა მარცვლეული გადასახადის საზღაურს[2].

მწარმოებელი კლასის ხარჯზე იყვნენ სასოფლო მოხელეები — ქევხები, მამასახლისები, მოლები, ყაზიები, შოუშები (შიკრიკები), იასაულები და სხვანი. მაგ., ჩოუში, იმის გარდა, რომ გადასახადებისაგან საერთოდ თავისუფალი იყო, სოფლის მცხოვრებთაგან ღებულობდა ჯამაგირს — 25—30 მანეთს, ან ფულის ნაცვლად პურს[3].

სოფლის ყაზიები და მოლები სამემკვიდრეო ქონების გაყოფისას გლეხთაგან ღებულობდნენ 10 მან. და 25 კაპიკს, ქორწინებისათვის 20—25 კაპ., დასაფლაევებისათვის ჭირისუფლისაგან — „შეძლებისდაგვარად“, იმამები ცხედრის წინაშე ყურანის წაკითხვისათვის იღებდნენ თითო მანეთს, სოფლის მამასახლისები და ქევხები სამართლის გაჩენისას, სასჯელის დადების დროს — თითო მანეთსა და 10 კაპ. ასეთივე გზით კმაყოფილდებოდნენ იასაულები და სხვა მოხელეები[4]. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ სასოფლო სასულიერო პირებზე დაკისრებულ გადასახადს იხდიდა მთლიანად სოფელი[5].

1803 წლიდან, როცა ჭარ-ბელაქანს მეფის რუსეთის მთავრობამ მფარველობაში მიღებასთან დაკავშირებით ხარკი დაადო (1 100 ლიტრა აბრეშუმი), გლეხთა მდგომარეობა შედარებით უნდა დამძიმებულიყო. მებატონე ლეკები ცდილობდნენ გაეზარდათ გადასახადები და განსაკუთრებით მარცვლეულის გადასახადი. ჭარი ძველებურად რჩებოდა დაღისტნელ აბრაგთა საბუდრად, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ერთ ბანაკად. მოთარეშე რაზმებს ინახავდნენ ჭარელი მებატონეები ინგილო და მუღალი გლეხებისაგან მიღებული პროდუქტებით.

1806 წ. 8 დეკემბერს საქართველოს მთავარმმართველი გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში გენ. ორბელიანი ახასიათებდა ინგი-

---

1 პეტრუშევსკის დასახ. წიგნი, გვ. 51. ზ. ედილი. დასახ. წიგნი, გვ. 74.

2 საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნ. შესახებ, გვ. 542.

3 იქვე, გვ. 534.

4 Джаро-белакяны до XIX века. Газ. „Кавказ“, 1846 г., № 2—3.

5 ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 13, ფურ. 23.

ლოური სოფლების — ალიაბათის, მოსულის, ვერხვიანის, თასმალოს, ზაგამის, ლალა-ფაშას, ყანდახის, ისმაურის (?) და ენგიანის — მცხოვრებთა აუტანელ მდგომარეობას. იგი აღნიშნავდა, რომ ჭარელი ლეკები „მთელ სურსათს ღებულობდნენ“ დასახელებული სოფლებიდან.

„აღნიშნული სოფლების მცხოვრებლები, რომლებიც დიდი ხანია რაც ჭარელებმა ძალით დაიმორჩილეს და ყმა გლეხებად გაიხადეს, არიან მკვიდრი ქართველები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ. ჭარელთა გაძლიერების შედეგად ისინი ისე შევიწროებული არიან, რომ თავისუფლებაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავენ. დაჰკარგეს რა ქრისტიანული სარწმუნოება, გახდნენ უკანონო ხელისუფლების აღვირახსნილობის მსხვერპლი, განიცდიდნენ მათგან ძარცვას, ძალმომრეობას, ტირანობას; ახლა ისინი ერთსულოვნად ითხოვენ, რომ მცირე თანაგრძნობა მაინც გამოეცხადოს მათ მძიმე ხვედრს და შეუმსუბუქდეთ მონური უღელი“. ამასთან დაკავშირებით ორბელიანს საჭიროდ მიაჩნდა, რომ ჭარელი ლეკებისათვის ჩამოერთვათ გლეხები. ეს ღონისძიება ჭარელ მებატონეებსა და აბრაგებს მოუსპობდა საშუალებას, რომ მოეწვიათ დასახმარებლად დაღისტნელი თანამოძმეები, რადგან დაღისტნელი აბრაგები ჭარში ყოფნის დროს დამონებულ ინგილოთა ხარჯზე იკვებებოდნენ[1].

არსებული ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დახასიათებისას უნდა შევეხოთ გლეხთა პირადი დამოკიდებულების, გარეშე ეკონომიკური იძულების საკითხსაც. ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი გვასწავლის:

„რა თქმა უნდა, გარეშე ეკონომიკური იძულება როლს ასრულებდა მემამულე-მებატონეების ეკონომიკური ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, მაგრამ იგი კი არა, არამედ მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენდა ფეოდალიზმის საფუძველს“[2].

საჭიროა გაირკვეს, თუ რამდენად შორს წავიდა და განმტკიცდა მებატონეთა ძალაუფლება ყმა გლეხებზე. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, საბატონო მეურნეობის ძირითადი ნიშნების დახასიათებისას, შენიშნავდა: „მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა“[3]. ეს „პირდაპირი ძალაუფლება“ გლეხზე შეუჩე-

[1] Акты, т. III, № 587, გვ. 321.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 45.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 208.

რებლივ იზრდებოდა იმ დროიდან, როცა მიწის ფონდი ფეოდალთა ხელში მოექცა. ზემოთ ჩვენს მიერ მოტანილი მასალა ნათლად მეტყველებს, რომ მიწისმფლობელები, როგორც წესი, აიძულებდნენ გლეხებს ემუშავათ მათ სასარგებლოდ. ახლა გასარკვევი რჩება საკითხის იურიდიული, ფორმალური მხარე, ანუ ის, თუ რამდენად უფლებამოსილი იყო გლეხი გასცლოდა თავის მებატონეს, მიეტოვებინა მისი მიწა და სხვაგან წასულიყო, მიჯაჭვული იყო თუ არა გლეხთა ძირითადი მასა მებატონის მიწაზე.

1830 წ. გატარებული ღონისძიებებით რუსეთის მთავრობამ „პირადი თავისუფლება" მისცა ინგილო და მუღალ გლეხებს. ამით მთავრობა ადასტურებდა, რომ 1830 წლამდე აღნიშნული გლეხები პირადად თავისუფალნი არ იყვნენ. მაგრამ შემდეგში, როდესაც ზაქათალის კომისიამ საინგილოში არსებული ურთიერთობის შესახებ დასკვნა გამოიტანა, მთავრობა ამ კომისიის პირით აღიარებდა, რომ იქ არსებული ურთიერთობა მებატონე ლეკებსა და გლეხებს შორის განისაზღვრებოდა მხოლოდ გარკვეული გადასახადის გადახდით, რაც შეეხებოდა ინგილოებსა და მუღალებს, მათი პიროვნება „ა რ შ ე ა დ გ ე ნ დ ა და არ შეადგენს ლეკთა მებატონურ კუთვნილებასო"[1].

აღნიშნული სიტყვები ნათქვამი იყო XIX ს. 70-იან წლებში, როდესაც საინგილოს გლეხთა დიდი ნაწილის პირადი დამოკიდებულება, შეიძლება, მართლაც სადავო იყო. მაგრამ კომისია ამავე დროს უარყოფდა ძველ შეხედულებასაც და ხაზს უსვამდა, რომ გლეხების პირად დამოკიდებულებას არც წინათ ჰქონია ადგილი. კომისიის ეს განცხადება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მთავრობა საკუთარ ხარჯებს ზოგავდა. მას არ სურდა ჭარელი აღალარებისათვის მიეცა საზღაური გლეხთა განთავისუფლებისათვის.

პეტრუშევსკი სამართლიანად არ იზიარებს კომისიის დასახელებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ ჭარში მოქეშქელე გლეხი მიმაგრებული იყო მიწაზე, რომლის დატოვება მას არ შეეძლო. აქ ჩანდა გარეშე ეკონომიური იძულებაც. მაგრამ ამავე დროს ავტორი თვლის, რომ ჭარში ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ „გაფორმებული ბატონყმური მდგომარეობა". აქ ჩანს გლეხთა დამოკიდებულების ისეთი ხარისხი, რომელიც შეესაბამება „ფეოდალური ფორმაციის განვითარების ადრეულ სტადიებს"[2]. ავტორის ეს უკანასკნელი დასკვნა ჩვენ მთლად დამაჯერებლად არ გვეჩვენება. ჩამოყალიბებული

[1] საარქივო საბ. ჭარ-ბელაქან. შესახებ, გვ. 538

[2] პეტრუშევსკის დასახ. წიგნი, გვ. 57.

იურიდიული ნორმების არ არსებობა ჭარში, რასაც ყურადღებას აქცევს პეტრუშევსკი, არსებული მდგომარეობის კვალიფიკაციას ვერ შეცვლის. ჭარში არსებული ურთიერთობის იურიდიულ ნორმებს დამოუკიდებელი წყარო არ შეიძლებოდა ჰქონოდა. არქაული წყობილების გადანაშთობრივ მოვლენებთან ერთად აქ ადგილი ჰქონდა ქართული ბატონყმური სამართლის მოქმედებასაც. ეს რამდენადმე გამოსჭვივის თუნდაც სიხლის შეფასების საკითხში — თუ ვინმე მებატონეს, ლეკს, მოჰკლავდა, მას 120 მანეთი უნდა გადაეხადა, ხოლო ინგილოს თუ მუღალის მოკვლის შემთხვევაში 60 მანეთი — ორჯერ ნაკლები[1].

XIX საუკუნეში, პეტრუშევსკის განცხადებით, გლეხთა პირადი დამოკიდებულების ელემენტები უფრო ცხადად ჩანს. ამავე საუკუნის 20-იან წლებში მებატონეები ჰყიდიან არა მარტო მიწებს (ქეშქელებს), არამედ მიწაზე მჯდომ გლეხებსაც. მაგ., ჭარელმა მოლა ცეტოვმა იყიდა გლეხის ოჯახი ¼ ქეშქელით (1826 წ.). იმავე ცეტოვმა 120 მანეთად „იყიდა გლეხები" ნახევარი ქეშქელით[2].

მოტანილი ფაქტი არ შეიძლება ვაღიაროთ პირადი დამოკიდებულების მხოლოდ „ელემენტებად". პირადი დამოკიდებულება ჭარში არსებულ ურთიერთობას საერთოდ ახასიათებდა. არ იქნებოდა სწორი, რომ ამის დასამტკიცებლად მიგვემართა მარტო გლეხთა გაყიდვის ფაქტებისა და იურიდიული ნორმებისადმი. გადამწყვეტია ფაქტიური მდგომარეობა. პეტრუშევსკიც შენიშნავს, რომ „ფაქტიურად... მოქეშქელთა მასა მიმაგრებული იყო მიწაზე"[3].

როგორც უკვე ითქვა, 1830 წ. რუსეთის მთავრობამ დაადასტურა, რომ საინგილოს გლეხობა მებატონე ლეკთა პირად დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, პირად თავისუფლებას მოკლებული იყო[4].

მიწაზე მიმაგრებული ყმა გლეხობა მწარმოებელი კლასის ძირითად მასას შეადგენდა.

ჭარისა და ბელაქნის რაიონებში იყვნენ აგრეთვე შინა ყმა-მსახურები, რომელთა რაოდენობა მცირე იყო. ზოგ მათგანს მფლობელი მიწაზე სვამდა სათანადო გადასახადის გაღების პირობით, მაგრამ ამავე დროს მფლობელი ინარჩუნებდა ასეთი ყმის აყრის უფლებას[5].

---

[1] Джаро-белаканцы до XIX века, газ. „Кавказ", 1846 г. № 2—3.

[2] პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 54.

[3] იქვე.

[4] საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნ. შესახებ, გვ. 513.

[5] პეტრუშევსკის დასახ. წიგნი, გვ. 55.

აღნიშნული შინაყმა მსახური ზოგჯერ „მონადაც“ იწოდებოდა. სოფელი მაწეხის მცხოვრებთა განცხადებით, „მონები“ იყვნენ ტყვეები, რომლებიც მოხვდნენ ამ მდგომარეობაში უცოლოდ, დასახლდნენ მებატონის სახლში, შეირთეს ცოლი და მებატონისაგან მიიღეს კარ-მიდამო. „მონებს ეკისრათ თავისი მებატონის სახლსა და მეურნეობაში ყოველგვარი სამუშაო“[1].

დასახელებული კატეგორიისათვის ტყვედ ჩავარდნა, რა თქმა უნდა, სავალდებულო არ იყო. ზოგჯერ ყმა გლეხი შეიძლებოდა თავისი ოჯახით მიკედლებოდა რომელიმე მებატონეს, რომელსაც მის მიმართ ექნებოდა შეუზღუდველი უფლებები სიკვდილით დასჯის გამოკლებით.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კატეგორიის გლეხები საინგილოში მოგვაგონებენ დასავლეთ საქართველოს მოჯალაბეებს.

იყვნენ აგრეთვე მოხეტიალე, ხელზე მომუშავე, მთიდან ჩამოსული გლეხები, რომელთაც „რეჩბარებს“ ეძახდნენ[2].

გლეხთა ძირითადი მასა, როგორც ვთქვით, საინგილოში ფეოდალთა მიწაზე იჯდა და პირად თავისუფლებასაც მოკლებული იყო. მიწაზე მიმაგრებულთა რიგში იყვნენ უმთავრესად ინგილოები, მუღალები და ავართა დიდი ნაწილი. მაგრამ ამავე დროს საინგილოში საკმაო რაოდენობით იყო თავისუფალ მიწისმოქმედთა ფენა. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ეს გარემოება უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ საინგილოს მოსახლეობაში იმ დროს ბლომად იყვნენ დაღისტნიდან ჩამოსახლებულები, რომლებიც აქ მოვიდნენ თავიანთი ტომობრივ-თემური წყობილებით. საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა ბრძოლა ამ წყობილებასა და ბატონყმურ გარემოს შორის. ბრძოლა მთავრდებოდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით. ბატონყმურმა კახეთმა თავისი სამეურნეო და სოციალური კულტურის გავლენის ქვეშ მოაქცია ჩამოსახლებული ტომები.

ბატონყმობა ავარ-წახურებში სწრაფი ტემპით დევნიდა არქაული წყობილების გადანაშთებს. ამის ერთი შედეგი იყო თავისუფალ მიწისმოქმედთა ფენის შეუჩერებელი შემცირება.

7. ნახურ-ელისუს სულტანი და ბეგები

წახურ-ელისუს სულტნის სამფლობელო ძველი კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე იყო. ლეკური თემებისაგან მას გამოყოფდა მდ.

[1] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, ჟურნ. № 45, ფურ. 23—33.

[2] იქვე.

ყაფუ-ჩაი და მუხახის-წყალი, სამხრეთიდან მდ. ალაზანი და მისი შენაკადი —აგრი-წყალი, აღმოსავლეთიდან იგი ემიჯნებოდა შაქის სახანოს, საიდანაც მას ყოფდა კაშკა-წყალი. წახურ- ელისუს სულტნის სამფლობელოში შედიოდა აგრეთვე კავკასიონს გადაღმა მყოფი 4 წახურული სოფელი. ჩრდილოეთი საზღვარი აღწევდა ქიურის სახანომდე.

ზემოთ მოტანილი დახასიათება, სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობისა, აღნიშნულ სასულტნოსაც გულისხმობდა. ეს გასაგებიცაა, რადგან სასულტნო საინგილოს სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ასევე ითქმის მოსახლეობაზეც.

სასულტნოში გაბატონებული საზოგადოებრივი ფენა თავისი კლასობრივი მნიშვნელობით ძირითადად ისეთივე იყო, როგორც ლეკურ თემებში — ჭარ-ბელაქანში, მაგრამ განსხვავება მათ შორის არსებობდა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსული მმართველობა ელისუს სასულტნოს საერთოდ „ჭარის პროვინციაში“ გულისხმობდა. ეს ნაკარნახევი იყო ამ დროს სულტნის მდგომარეობით. მაშინ სულტანი ფაქტიურად ჭარის ჯამაათის ვასალი იყო; მის ასეთ დამოკიდებულებას XIX საუკუნის დასაწყისში რამდენადმე ხელი შეუწყო რუსულმა მმართველობამაც, რომელმაც იგი ჭართან ერთად გამოაცხადა მფარველობაში მიღებულად. სულტანი მოვალე გახდა, რომ მასზე დაკისრებული ხარკი ჭარის მეშვეობით გადაეხადა. გარდა ამისა, მაშინ წახურ-ელისუს სულტანი ძალზე დასუსტებული ჩანდა.

როგორც ვახუშტისეული გადმოცემიდან და წახურ-ელისუს მფლობელთადმი სპარსეთის შაჰისა და თურქეთის სულტნის მიერ გაცემული სიგელებიდან ჩანს[1], სულტნის თანამდებობა ადრე ეკავათ გამაჰმადიანებულ ქართველ თავადებს, რომლებიც თავიანთ მდგომარეობას საგარეო ძალაზე დაყრდნობით ინარჩუნებდნენ. სულტნის ქართულ წარმოშობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მისი, როგორც ფეოდალის, დახასიათებისათვის.

XIX საუკუნის დამდეგამდე სულტნის მდგომარეობას სპეციფიურს ხდიდა ის გარემოება, რომ იგი ფლობდა ე. წ. წახურის მაჰალს და ინგილო-მუღალურ სოფლებსაც. წახურული სოფლებისადმი სულტნის უფლებები, როგორც ჩანს, შეზღუდული იყო. როგორც პეტრუშევსკი შენიშნავს, „წახურები სასულტნოში პრივილეგირებულ ჯგუფად ითვლებოდნენ“. მათი მხარდაჭერით სულტნებს უნდა

[1] ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 95—96; Акты, т. II, გვ. 1035—1074.

ბინემტკიცებინათ ხელისუფლება ინგილოებსა და მუღალებზე. ასეთი მდგომარეობა სულტნის ხელისუფლებას ორმხრივ ხასიათს აძლევდა: „სულტანი იყო (უფრო სწორად ითვლებოდა) ერთდროულად ოთხი თავისუფალი თემის არჩევითი მეთაური და ფეოდალური სენიორი"[1]. ეს ოთხი თავისუფალი თემი იყო: წახურის, სუვაგილის, ყარადულაყისა და ელისუს.

აღნიშნული 4 თემი, როგორც ჩანს, ინარჩუნებდა თავის საშინაო დამოუკიდებლობას და სულტნის მიმართ, ლაშქრობის გარდა, არაფრით არ იყო ვალდებული. სულტანიც მათ საშინაო საქმეებში არ ერეოდა[2].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანურ რაიონებში სულტანი აღნიშნავდა სამემკვიდრეო მფლობელს, რომელიც თავისი ხარისხით ხანთან შედარებით დაბლა იდგა. ღირსებით მას მოსდევდა ბეგი[3].

სულტანს ირჩევდა ჯამაათი სასულტნო გვარის წარმომადგენლებიდან. ეს იყო, როგორც ჩანს, მხოლოდ ადრეულ პერიოდში, შემდეგ კი ჯამაათის როლი შემცირდა და სულტნის პრივილეგია ერთი ოჯახის საკუთრებად დარჩა.

ზაქათალის კომისია, რომელიც სულტნის უფლებებს არკვევდა, აღნიშნავდა, რომ სულტნის თანამდებობა არჩევითი იყო; ამის დასამტკიცებლად იმოწმებდა ჭარ-ბელაქნის ოლქის მმართველის 1847 წ. 28 თებერვლის მოხსენებას, სადაც ნახსენებია სულტანი ხან-ბაბა-ბეგი, რომელიც 30 წლის წინათ „იყო დანიშნული სულტნად, ხალხის არჩევით, წახურელის სახელწოდებით"[4].

აღნიშნული ცნობა გულისხმობს 1817 წლის ახლო პერიოდს, როდესაც „ხალხის არჩევანი" მხოლოდ ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს ტრადიციული წესი გარეგნულად შენარჩუნებული იყო. ეს სხვა ფაქტებიდანაც ჩანს. მაგ., სასულტნოში იყო სოფლები, რომლებიც გადადიოდნენ მემკვიდრეობით სულტნის პირად საკუთრებაში და ისეთი სოფლებიც, რომლებიც თანამდებო-

---

[1] პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., 65.

[2] ს. ესაძე მიუთითებს, რომ დასახელებული 4 თემი იხდიდა მხოლოდ სახელმწიფო გადასახადს (Эсадзе. Истор. Зайска, т. 1, 488), ლინევიჩი კი ამას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ ამ თემებს სამხედრო სამსახური ეკისრათ (Леневич, Бывшее Елисуйское султ. 10)) პეტრუშევსკი იცავს ამ უკანასკნელ მოსაზრებას და იშველიებს ზაქათალის კომისიის მასალებს (დასახ. ნაშრ., 67—68).

[3] Ц. П. Агаян. Бакиханов, Изд. АН Аз. ССР, 1948, стр. 138. А. Губайдуллин. Феодальные классы и крестяньство в Азербайджане, გვ. 31.

[4] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 1, ფურ. 131.

ბის საკუთრებად ითვლებოდნენ, „სულტნიდან სულტნის ხელში გადადიოდნენ“[1]. აქ თითქოს ჩანს, რომ სულტნის თანამდებობა რომელიმე ფეოდალური ოჯახის საკუთრება არ ყოფილა.

სულტნის მდგომარეობის მოპოვებისათვის, როგორც ჩანს, სასულტნო საგვარეულოს შიგნით, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში, ბრძოლა სწარმოებდა. ტახტის პრეტენდენტები ზოგჯერ დიდ საჩუქრებს არიგებდნენ თავიანთ ამომრჩევლებში და ეს ისე ფართო ხასიათს იღებდა, რომ მათ ქონებრივ გაჩანაგებას იწვევდა[2].

რუსეთის მთავრობამ სულტნის ხელისუფლება სამემკვიდრეოდ გამოაცხადა. იგი განმტკიცდა ახმედ-ხანის ჩამომავლობაში (1805 წ.). ამავე დროიდან სულტნის საოჯახო მფლობელობაში ის სოფლებიც დარჩა, რომლებიც მას ერგებოდა, როგორც ქვეყნის მმართველს[3].

ჭარ-ბელაქანში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ სულტნის მემკვიდრეს, როგორც წესი, ამტკიცებდა რუსეთის მეფე[4].

საერთოდ სულტანი, როგორც მეტად მცირე მასშტაბის ხელისუფალი, ეკონომიურადაც სუსტი იყო. იგი ყოველთვის ჩიოდა შემოსავლის სიმცირეზე, მოითხოვდა პენსიას, ცდილობდა გაეზარდა თავისი მამულების რაოდენობა.

კერძოდ, 1832 წლისთვის სულტნის განკარგულებაში წინათ მყოფი 5 სოფლიდან (კახი, ალიბეგლო, აგატაი, მეშაბაში და ყარა-მეშა) რჩებოდა მხოლოდ 2 სოფელი — კახი და ალიბეგლო (ქათმისხევი). აქედან, როგორც სულტანი დანიელი აცხადებდა, სოფ. კახი მიჩენილი ჰქონდათ გასამრჯელოდ მის იასაულებს, სულტანს მხოლოდ ალიბელო რჩებოდა. გარდა ამისა 2 სოფელი სულტნის ძმების საკუთრებაში ყოფილა, ხოლო ერთი — ყარა-მეშა ჯერ კიდევ ახმედ-ხანს გაუჩუქებია[5].

რუსული მმართველობა მხარს უჭერდა თავის სულტანს, რომელიც უკვე ამ მმართველობას ერთგულებდა და მისი აგენტი იყო. ამიტომ მადლიერმა მთავრობამ სულტანს მიაკუთვნა აგრეთვე სოფლები ონჯალო, ბაბალო, ღორაღანი, შოთავარი, ალმალო და სოსკანი[6]. აღნიშნული სოფლების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, წახურელისუს სულტნის უფლებაში გადასვლამდე ჭარელ იმ მებატონეთა

[1] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 1, ფურ. 132.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე. ფურ. 133.

[5] იქვე. ფურ. 135.

[6] Линевич, Бывшее Елисуйск. султ. 15.

კუთვნილებაში იყვნენ, რომლებსაც მთავრობამ 1830 წ. აჯანყებაში მონაწილეობისათვის ისინი ჩამოართვა და სახაზინოდ სცნო. ამ სოფლების მეორე ნაწილი სულტანს მიათვალეს ელისუს სხვა ბეგთა საკუთრებიდან.

ელისუს სულტნის, როგორც ფეოდალისა და პოლიტიკური ხელისუფლის, უფლებები გაფართოვდა რუსეთის მმართველობის პირობებში. სულტანი ბეგრავდა თავისდა სასარგებლოდ არა მარტო ინგილო და მუღალ გლეხობას, არამედ თავის „შორეულ ნათესავებსაც"—ბეგებსაც. თვით ბეგთა განცხადებით, სულტანი მათ ართმევდა საკუთარ მიწებსაც კი[1]. მიუხედავად ამისა ინგილოებისა და მუღალების დამონებაში სულტანი თავისი კლასობრივი მოძმეების—ბეგების ერთი ნაწილის მხარდაჭერითაც სარგებლობდა, მაგრამ ბეგებსა და სულტანს შორის წინააღმდეგობა მეტად გამწვავებული იყო. ამ მომენტს შენიშნავდა ზაქათალის ცნობილი კომისიაც, რომელიც გადმოგვცემს, რომ სულტანი უფრო ეყრდნობოდა „ლეკებს" (ამ შემთხვევაში წახურებს), რომელთაც ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებაზე გავლენა ჰქონდათ[2]. მართლაც, ხელსაყრელი ჩანდა წახურულ „თავისუფალ" მოთემეთა გამოყენება ურჩი ბეგების წინააღმდეგ. ამ საშუალებას, როგორც ჩანს, სულტნის მოწინააღმდეგე ბეგებიც მიმართავდნენ[3].

ელისუს სასულტნოს ბეგები, რომლებიც ფეოდალური კლასის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ, არსებობდნენ სოფლებში: კახში, ამბარჩაიში, ყიფჩაღში, ბაიდარლოში, იბახლოში, შიხლიარში და სხვაგანაც.

დამახასიათებელია, რომ ელისუს ბეგების მიწისმფლობელობა მოხელეობასთან არ იყო დაკავშირებული. ისინი თავიანთი ყმა გლეხების მემკვიდრეობითი მფლობელები იყვნენ და ამით განსხვავდებოდნენ იმ დროს მეზობელ მუსლიმანურ რაიონებში არსებულ ბეგებისაგან. მართალია, აღნიშნულ რაიონებშიაც ბეგთა მოხელეობასთან დაკავშირებული მფლობელობა სამამულო მფლობელობის გზით ვითარდებოდა, მაგრამ ელისუს უბანში ეს უკვე მომხდარი ფაქტი იყო. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ქართული ბატონყმური წყობილების გავლენის შედეგი იყო. ელისუს ბეგები ამ შემთხვევაში თავიანთი სოციალური ბუნებით ქართული ტიპის მებატონეები იყვნენ.

---

[1] ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 1295, ფურ. 5—13.

[2] იქვე.

[3] იქვე.

განსხვავება უმთავრესად მუსლიმანურ სარწმუნოებასთან დაკავშირებულ თავისებურებაში ჩანდა.

ელისუს ბეგებს თავიანთი მიწების სრულუფლებიან მესაკუთრეებად სცნობდნენ როგორც წახურები, ისე ბეგთა მიწებზე მჯდომი გლეხებიც[1].

ბეგები სამი კატეგორიისაგან შედგებოდნენ. პირველს ეკუთვნოდნენ სულტნის საგვარეულოს ბეგები. მათგან უპირატესობა ჰქონდათ სულტნის ოჯახის წევრებს და ბეგთა იმ შვილებს, რომლებიც კანონიერ ცოლთაგან იყვნენ. ამ კატეგორიისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა ნათესავით ბეგები. მეორე კატეგორიად თვლიდნენ სასულტნოში შესახლებულ—მოსულ" ბეგებს, მესამე რიგში აღინიშნებოდნენ მებეგრეთაგან გამოსული ბეგები, რომლებმაც ეს პატივი სულტნებისაგან მიიღეს[2].

რევოლუციამდელ ზოგიერთ ნაშრომში ჩანს მიდრეკილება დახატონ ბეგთა ადრინდელი (1830 წლამდე) უფლებები მეტად შეზღუდული სახით. აღნიშნულია, რომ თითქოს ადრე ბეგები თავიანთი გლეხების—რაიათების საშინაო საქმეებში ვერ ერეოდნენ, ამ უკანასკნელთა ბეგარა სახელმწიფო ბეგარას ჰგავდა და სხვ. ამტკიცებდნენ აგრეთვე, რომ ბეგთა უფლებები გაიზარდა რუსული მმართველობის დროს, როდესაც მათ დაიწყეს „სამამულო უფლებების მითვისება, საგლეხო მიწებზე განკარგულებებში ჩარევა, ამ მიწების დაკავება და დაბეგვრის თვითნებური გაზრდა"[3].

რუსეთის მთავრობის პოლიტიკა ბეგთა მიმართ ისეთივე არ ყოფილა, როგორც ჭარელი მებატონეების—ქეშქელისმფლობელების მიმართ. ქეშქელისმფლობელთა სპეციფიური მდგომარეობა, თავი რომ დავანებოთ მათ აშკარად მტრობას რუსეთისადმი, მაინც საფუძველს აძლევდა მთავრობას მათი წოდებრივი უპირატესობა სადავოდ

---

1 აღნიშნულ გლეხთაგან ზოგიერთები, სურდათ რა ბატონყმური უღლისაგან თავის ხსნა, აცხადებდნენ, რომ წინათ ისინი იყვნენ თავისუფალნი, ხარკს არავის არ უხდიდნენ და არც არავის ემორჩილებოდნენ მანამდის, ვიდრე ბეგებმა, მათთან მოსულ ლეკებთან ერთად არ გამოაცხადეს, რომ მიწა მათ ეკუთვნოდათ და მოითხოვეს მიწის გადასახადი (ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 1295, ფ. 5—13).

2 ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 1, ფურ. 201—208. XIX ს-ნის 70-იანი წლებისთვის აღნიშნული კატეგორიების გვერდით მითითებულია მე-4-ც, ანუ ისეთები, რომლებმაც მაღალი წოდების უფლება მიიღეს რუსთა სამსახურში (იქვე). ეს კატეგორია XIX ს-ნის პირველ ნახევარში სავარაუდებელი არაა. პეტრუშევსკი მიუთითებს ბეგთა 2 კატეგორიაზე. მეორე კატეგორიის ვალდებულებად იგი თვლის სულტნის კარზე სამსახურს (დასახ. ნაშრ. 67).

3 Закатальский округ („Кавказский календарь, на 1917 г. გვ. 306).

გამოეცხადებინა. რაც შეეხებოდა ბეგებს, მით უფრო სულტნის საგვარეულოს წარმომადგენლებს, აქ სადავო თითქოს არაფერი არ ყოფილა. გარდა ამისა, ჭარელ ლეკთა მიერ დაჯაბნული ელისუს სულტანი რუსეთის მთავრობას ერთგულებდა. მისი ქვეშევრდომი ბეგები XIX საუკუნის ანტირუსულ საქმიანობაში არ ჩანდნენ. მიურიდებმა მათთან, როგორც ჩანს, საერთო ენა ვერ გამონახეს. მეფის მთავრობას ბეგთა უფლებები უნდა დაეცვა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ზემოთ მითითებული უფლებები ელისუს ბეგებმა მოიპოვეს რუსული მმართველობის პირობებში.

ელისუს ბეგები საინგილოში რუსული მმართველობის შემოღებამდეც სარგებლობდნენ ბატონყმური უფლებებით თავიანთ გლეხებზე. ეს უფლებები დაიცვა და განამტკიცა რუსეთის მთავრობამ და ამით იქ საიმედო დასაყრდენი შეიქმნა. ამავე დროს უნდა მომხდარიყო ბეგთა უფლებების ნაწილობრივი გაფართოებაც.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საინგილოში ბეგთა საკუთრებად სცნობდნენ 14 სოფელს: ალმალო, შიხლიარი, დეგმადაგელდი (ნაწილი), ყიფჩაღი, კაისარლო, ონჯალო (ალბათ დანიელ სულტნის გაქცევის შემდეგ), ყაზმილიარი, ქიჩიქ-ქოთუქლო, ყარა-თალა, ბაიდარლო, ამანლო, უზუნ-თალა, იბახლო და კახი (მისი მუღალური ნაწილი)[1].

დანიელ სულტნის შამილთან გაქცევის (1844 წ.) შემდეგ მისი სამფლობელო სოფლები ხაზინის საკუთრებაში გადავიდა, მაგრამ, როგორც ჩანს. ამ სოფლების გარკვეული ნაწილის დატაცება ბეგებმაც შესძლეს; ასევე ჭარელმა მებატონეებმაც[2].

ბეგთა დახასიათება უფრო სრული გახდება მომდევნო განყოფილებაში.

8. ბეგთა გლეხები

არსებულ ლიტერატურაში აღმოსავლეთ კახეთის ბეგთა გლეხებს უდარებენ აღმოსავლეთ ამიერიკავკასიის მუსლიმანური რაიონების რაიათებს; ერთმანეთისაგან განსხვავებულია რაიათებიც ცალკეული ჯგუფები და მათი დამოკიდებულების ფორმები ცალკეულ პერიოდებში, მაგრამ საინგილოს რაიათების დახასიათებაში საფუძვლად მაინც აღებულია ხსენებულ რაიონებში საერთოდ არსებული მდგომარეობა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სწორი არ იქნებოდა. განმსაზღვრელად, ჩვენი აზრით, რაიათებისათვის საერთოდ დამახა-

[1] Д. Бакрадзе. Заметки о Закат. окр. 279.
[2] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 1, ჟურნ. 15.

სიათებელი სპეციფიური ნიშნები ვერ გამოდგება. ასეთ ნიშნებს მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ და არა განმსაზღვრელი.

ელისუს სასულტნოში მცხოვრები ინგილო გლეხობა სულტნისა და ბეგებისადმი ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. წყაროების მითითება იმის შესახებ, რომ „წინათ“ ბეგების უფლებაყმა გლეხებზე შეზღუდული იყო, როგორც ჩანს, გულისხმობს იმ დროს, როდესაც გლეხთა მიწაზე მიმაგრება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. რუსული მმართველობის შემოღების დროს ბეგებმა ნაწილობრივ გააფართოეს თავიანთი უფლებები ყმა გლეხებზე. ზოგიერთი ავტორი აჭარბებს და თვლის, რომ, ადრე, რუსული მმართველობის შემოღებამდე, კერძოდ ელისუს სასულტნოს რაიათები საჯელმწიფო გლეხებს გავდნენ[1]. ეს კი სწორი არაა. ელისუს სასულტნოში მცხოვრები ინგილო გლეხობა იქ რუსული მმართველობის შემოღებამდეც ბეგთადმი ისეთსავე ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, როგორც საერთოდ ბატონყმურ საქართველოში. ბეგთა უფლებების ნაწილობრივი ზრდა არსებით ცვლილებებს არ მოასწავებდა.

სამართლიანად შენიშნავდა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომ ბეგთადმი დამოკიდებულება ეს იყო „ეკონომიური მონობა“, რომ ბევრ სარაიათო სოფლებში ბეგები თავს თვლიდნენ გლეხთა სახნავ-სათესებისა და კარ-მიდამოების მფლობელებად, ჩემულობდნენ უძეოდ გადასულთა მამულებს, უკრძალავდნენ რაიათებს გამოესყიდათ ის მიწები, რომლებითაც „უხსოვარი დროიდან სარგებლობდნენ“ და სხვ.[2].

ელისუს სასულტნოს გლეხთა საერთოდ მძიმე მდგომარეობას ახასიათებდა ბეგთა სიმრავლე და წვრილი მფლობელობა. მარტო სულტნის ჩამომავალ ბეგთა რიცხვი ელიხუს უბანში აღწევდა 80 ოჯახამდე[3].

ბეგთა წვრილი მფლობელობის გვერდით აღსანიშნავია ისიც, რომ მათ საკუთრებაში მყოფი გლეხური ოჯახები გაფანტული იყვნენ სხვადასხვა სოფლებში. მაგ., სოფ. ყიფჩაღში ბეგთა 8 ოჯახს ჰყავდა რაიათები, მათგან ზოგს 9 კომლი, ზოგს 7, ზოგს კიდევ 3. ასევე იყო სხვა სოფლებშიაც, სადაც ცალკეულ ბეგთა მფლობელობაში თითო-თითო კომლიც კი ჩანდა[4]. მფლობელობის ასეთი დაქსაქსუ-

---

[1] Закатальский округ. Кавказский календарь 1917 . გვ. 306. „К вопросу о раятах“. Газ. „Дагестанския ведомости“, 1910, № 13, 28.III.

[2] Бакрадзе. Заметки о Закат. окр. გვ. 281.

[3] ცსსა. ფ. 416. აღწ. 3, საქ. 1295, ფურ. 5—13.

[4] ЦГИА Азерб. ССР, ф. 15, оп. № 1, д. 23, фур. 79—86.

ლობა და მცირე ყმა-მამულიანობა საერთოდ ახასიათებდა ქართულ ბატონყმურ წყობილებას.

ბეგთა სოფლებში მთელი მიწა ითვლებოდა მებატონეთა საკუთრებად. გლეხებს არ შეეძლოთ მიწის გაყიდვა. მათ არ შეეძლოთ აგრეთვე „ახუს" (ტყისაგან გაწმენდილი ნაკვეთის) გაყიდვაც[1].

„ახუს" გაჭრა შეიძლებოდა ბეგის მიწაზე, მასთან შეთანხმებით. გლეხი ახალი ნაკვეთით თავისუფლად სარგებლობდა 3 წლის განმავლობაში, შემდეგ კი მოვალე ხდებოდა, რომ ახუზე მალჯაათი (მოსავლის ერთი მეათედი, ან მეშვიდედი) გადაეხადა[2].

ბეგთა გლეხები საინგილოში მოკლებული იყვნენ პირად თავისუფლებას. პირადი დამოკიდებულება ახასიათებდა აგრეთვე აზერბაიჯანის ზოგიერთ სახანოებში არსებულ ურთიერთობასაც. მაგ., ხანები ზოგჯერ სცემდნენ კანონებს, რომელთა საფუძველზე ფეოდალებს ეძლეოდათ უფლება გადაესახლებინათ გლეხები სხვაგან[3].

ცნობილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ბაკიხანოვი წერდა: „როდესაც ბეგთა რაიათები გარბოდნენ, ან სხვა ბეგებს მიეკედლებოდნენ, მაშინ ამ უკანასკნელებს არ ჰქონდათ უფლება დაეკავებინათ ისინი, გლეხები უნდა დაებრუნებინათ თავიანთი მეპატრონისათვის. თუ გლეხი ხანის საკუთარ რაიათებთან მივიდოდა... მას ასევე დააბრუნებდნენ თავის მფლობელთან"[4]. მიუხედავად ამისა XIX საუკუნეში აზერბაიჯანში გლეხთა მიერ პირადი თავისუფლების დაკარგვის პროცესი ჯერ კიდევ არ ყოფილა დასრულებული[5]. როგორც ჩანს, ეს პროცესი შორეული წარსულიდან მომდინარეობდა[6].

---

[1] Писаревский Г. Г. Уничтожение в Закат. округе зависим. отнош., გვ. 37.

[2] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 27, ფურ. 22.

[3] Указы Кубинских ханов. кн. 3 Тбилиси, 1937, გვ. 63, № 3.

[4] Колон. политика царизма в Азербайджане, გვ. 143.

[5] Агаян. Бакиханов. გვ. 17. პახომოვი თვლიდა, რომ აზერბაიჯანში რუსული ხელისუფლების დამყარებამდე გლეხები სარგებლობდნენ პირადი თავისუფლებით (Е. А. Пахомов, О сословно-поземельном вопросе в Азербайджане, გვ. 3) პახომოვი ცდება.

[6] И. П. Петрушевский. Очерк по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX в.в. Ленинград, 1949, გვ. 250, 252.

საინგილოს აღმოსავლეთ ნაწილში, ელისუს სასულტნოში, მცხოვრები ინგილოები ბეგთა მიწაზე მიმაგრებული იყვნენ. განსხვავდებოდა მხოლოდ გვიან ჩამოსახლებული ეთნიკური ელემენტის მდგომარეობა. აქაც იყვნენ თავისუფალი მიწისმოქმედი წახურები, რომელთაც, განსაკუთრებით მთის კალთებზე, ბრძოლით შეინარჩუნეს თავიანთი თავისუფალი მდგომარეობა. ამიტომ გასაგები იყო, რომ ზაქათალის კომისია სასულტნოში გლეხობას ყოფდა ორ ჯგუფად — თავისუფლებად და რაიათებად[1].

თავისუფალი ავარ-წახურები მიწითსარგებლობისთვის არავის არაფერს არ უხდიდნენ, მიწას თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ, რაიათებს კი, გარდა იმისა რომ ისინი მიწით სარგებლობისათვის გადასახადს იხდიდნენ, ეკისრათ აგრეთვე პირადი ბეგარაც[2].

აღნიშნულთა გარდა სასულტნოში იყვნენ აგრეთვე ისეთი გლეხებიც, რომლებიც გამოდიოდნენ გადასახადებისაგან განთავისუფლებულთა პრეტენზიებით. ესენი იყვნენ მ ა ა ფ ე ბ ი, რომელთა შესახებ ზევით ითქვა, მოლები — სასულიერო პირები და სეიდები, რომლებიც თავს აღიარებდნენ „მოჰამედის ჩამომავლებად" და გადასახადთაგან განთავისუფლებას მოითხოვდნენ[3]. გადასახადთაგან მათი განთავისუფლება უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა ყმა გლეხთა ხარჯზე და გასაგებია, რომ ეს გარემოება მწარმოებელი კლასის ეკონომიურ მდგომარეობას აუარესებდა[4].

ელისუს გლეხებს, ისე როგორც საერთოდ ინგილოებს აღმოსავლეთ კახეთში, მძიმე გადასახადები და ვალდებულებანი ეკისრათ. ეს ვალდებულებები ყველა სოფელში ერთნაირი არ ყოფილა.

1830 წლამდე გლეხები მოვალენი იყვნენ ბეგთათვის მიეცათ, ხორბლეულის მოსავლის ერთი ნაწილის გარდა, თაფლი, მატყლი,

---

1 სიტყვა „რაიათის", „რა'იათ"-ის განსაზღვრას იძლევა პეტრუშევსკი, დასახ. წიგნში, გვ. 249. იგი იბმარებოდა ფეოდალურად დამოკიდებული მიწისმოქმედი-გლეხის აღსანიშნავად (იქვე).

2 ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 1, ფურ. 201—208.

3 ი ქ ვ ე, ფურ. 202.

4 სეიდების შესახებ მითითებული იყო 1857 წ. კანონმდებლობაში: Принадлежащие к податным сословиям сеиды не освобождаются от платежа податей и повинностей; но самым обществам, к коим сеиды приписаны, представляются, в случае собственного желания принимать на себя уплату причитающихся с сейдов сборов" (ცსსა, ფურ. 236, აღწ. 1, საქ. № 1, ფურ. 210, 1857 წ. გამოც. კანონთა მე-3 მუხლი ტ. V).

ცხვარი და სხვა[1]. გლეხს ევალებოდა აგრეთვე მიეცა ბეგისათვის ზოგჯერ ცხენი, გადაეყვანა იგი საგარაკოდ და უკან; ამასთან ერთად ცოლის შერთვის შემთხვევაში გლეხისაგან ბეგს მიჰქონდა ძღვენი, ერთიდან 5 მანეთამდე ფული (თუ ქალს ირთავდა საკუთარ სოფელში), ან ათიდან 20 მანეთამდე (თუ ქალი მოჰყავდა სხვა სოფლიდან)[2]. ბეგის მიერ სოფელში დანიშნულ გადასახადის ამკრებს გლეხი უხდიდა 15—30 ჩანახ ხორბალს. ამ გადასახადს ეძახდნენ „დარგალუკს" — სამოხელეოს[3].

გლეხი მოვალე იყო აგრეთვე გამასპინძლებოდა თავის ბატონსა და მის მხლებლებს, რომლებიც მას ეწვეოდნენ წელიწადში ერთჯერ ან ორჯერ; ასევე შემთხვევითი სტუმრობის დროსაც. მასვე უნდა მიერთმია ბატონისათვის „ქათამი, კვერცხები, ერბო, ხილი" და სხვ.[4].

გლეხს ბეგისათვის სახლში უნდა მიეზიდა ღალა — მოსავლის $^1/_{10}$ ან $^1/_7$ აგრეთვე ხილის ბაღებზე გარკვეული გადასახადი ნატურით ან ფულით. გარდა ამისა იგი მოვალე იყო გარკვეულ დღეებში ემუშავნა ბეგის მიწაზე, მოეხნა, დაეთესა, აეღო მოსავალი. ამ ვალდებულებას გარეგნულად „ნადობის" ფორმა ჰქონდა, როცა მებატონეს მასთან მომუშავე გლეხი უნდა გამოეკვება, მაგრამ ეს დამოკიდებულების შინაარს არ ცვლიდა. მაგ., სოფ. ჩუდულოს მცხოვრებნი მოვალენი იყვნენ ყოველწლიურად დაემუშავებინათ ასლანბეგისთვის გარკვეული მოცულობის ფართობი, აეღოთ მოსავალი და ბეგისთვის მიერთმიათ. ასევე უნდა მიეტანათ მისთვის თივა, შეშა და სხვ.[5]. ბეგები ხშირად აჭარბებდნენ ყმებთან ურთიერთობის ნორმებს და თავისუფლად მოიხმარდნენ მათ ქონებას[6].

---

[1] ცნობის ავტორი დასძენს, რომ 1830 წლამდე რაიათები „находились в самой строгой личной зависимости" (Посербский, Закат. округ, „Кавказ", 1864 г. № 59).

[2] Колюбакин, Об отношениях поселян... „Кавказ", 1848 г. № 52.

[3] ჩანს, მოდის სიტყვა „ტარუღა"-დან, რაც მოხელეს ნიშნავს.

[4] Бакрадзе, Заметки о Закат. окр., 280. მ. ჯანაშვილი. საინგილო, გვ. 89—90.

[5] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 14, ჟურნ. 56, ფურ. 69.

[6] ელისუს უბნის უფროსად ნამყოფი პეჩკოვსკის ცნობით (1840 წ.) „... помещики вольны были для услуг и при поездке куда либо брать потребное число конновооруженных людей, арб и лошадей для себя и для вещей; сверх того по мере надобности и урожая, помещики собирали с крестьян масло, курей, яйц, табак и прочия огородныя овощи и садовыя фрукты. Продукты эти брались в неопределенном количестве..." (იქვე, საქმე № 1, ფურც. 146).

ე. წ. „წვრილმანი გადასახადები“ ბეგთა სასარგებლოდ მეტად მძიმე და აუტანელი იყო. იგი ბეგთა შეუზღუდველ თვითნებობას გამოხატავდა და ძალზე ამწვავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას. ამ გარემოებას არ მალავდა ზაქათალის კომისიაც, რომელიც XIX ს-ნის 70-იან წლებში, პირველ რიგში აყენებდა აღნიშნული „წვრილმანი გადასახადების“ ლიკვიდაციის პროექტს[1]. შემოსულა წესად აგრეთვე ისიც, რომ, როდესაც გლეხი საშოვარზე გავიდოდა, მას შეძენილი ფულის ერთი მესამედი ბეგისათვის უნდა მიეცა.

როგორც ვხედავთ, ელისუს სასულტნოში მცხოვრები ინგილო გლეხობა ბეგთადმი ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ეს დამოკიდებულება თითქმის იგივე იყო, რაც საერთოდ ქართული ბატონყმური ურთიერთობა. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით საინგილოში შედარებით ნაკლებად ჩანდა ყმა გლეხთა ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები. ეს შეიძლება იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ საინგილოში არსებულ ურთიერთობას რამდენადმე ნაკლები სიმწვავით ახლდა ბატონყმობისათვის საერთოდ დამახასიათებელი ძალადობის ნიშნები. ამის მიზეზი კი ის უნდა ყოფილიყო, რომ აქ მიწაზე მიმაგრებულ გლეხთა ძირითადი მასის გვერდით საკმაოდ მრავლად იყვნენ თავისუფალი მიწისმოქმედი გლეხები, რომლებიც ძირითადად მოსული ელემენტებისაგან შედგებოდნენ. გარდა ამისა, 1830 წ. შემდეგ ჩქარი ტემპით იზრდებოდა სახაზინო გლეხთა რიცხვი, ხოლო ელისუს უკანასკნელი სულტნის — დანიელის გაქცევას მოჰყვა მის განკარგულებაში მყოფ ინგილოთა მთლიანი გადაყვანა სახაზინო ფონდში. ასე, მაგალითად, 1848 წ. ცნობით, ყოფილ ელისუს სასულტნოში სახაზინო გლეხთა რიცხვი აღწევდა 15196 სულს, ხოლო ბეგთა მიწებზე მჯდომი გლეხობა — 3084-ს[2].

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა ელისუს სულტანი და ბეგები თავიანთ ყმა გლეხთადმი უდიდეს სისასტიკეს იჩენდნენ. უკანასკნელი სულტანი დანიელი ამ მხრივ ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. მაგ., დანიელმა ელისუში რუსული მმართველობის მიერ დანიშნულ მოხელეს — მელეშკოს, მის თანაშემწესთან ერთად, რაღაც მიზეზის გამო, თავი მოჰკვეთა[3]. მისივე ბრძანებით კახში ჩა-

[1] იქვე, ფურ. 181. ბეგთა თვითნებობაზე მიუთითებდა ცნობილი ბაკიხანოვიც: „что было им нужно и в чем представлялась надобность они брали раята и заставляли их работать“ (Колон. политика царизма в Азербайджане в XIX в., ч. 1, გვ. 143).

[2] ცსსა, განსაკ. მნიშვ. საქმ. ფ. საქმე № 13, ფურ. 2—3.

[3] ცსსა, ფ. 240, საქ. 572, ფ. 25.

მოახრჩვეს ორი ინგილო—ხუციშვილი და ოთარაშვილი[1]. ზაქათალის კომისია თავის ჟურნალებში მიუთითებდა იმ გლეხებზე, „რომელთაც სძულდათ თავიანთი მფლობელი ბეგები"[2]. მებატონეთა ძალმომრეობის შედეგი იყო გლეხთა ხშირი გაქცევა და ყაზახობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის ეს ერთი საშუალება.

საინგილოს დასავლეთ ნაწილის, საკუთრივ ჭარ-ბელაქნის გლეხთა მდგომარეობასთან შედარებით სასულტნოს გლეხობა უფრო მძიმე ჩაგვრას განიცდიდა. ელისუს ბარში გლეხთა საბოლოო მიჯაჭვა მიწაზე, პირადი თავისუფლების დაკარგვა უკვე კარგა ხნის ფაქტი იყო. სულტნისა და ბეგთა ძალმომრეობა მშრომელთა მიმართ ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. სულტნის მოხელეები „მოივლიდნენ მთელს სოფლის მამულებს გზირით და ნაცვლით და რაც ხეხილი მოეწონებოდათ მოგლეჯდნენ და წაიღებდნენ ილისოს, თავის მამულში ჩასარგმელათ"[3]. სულტან ალი-ბეგს ელისუში ჰარამხანა ჰქონდა და „ყოველწლიურად იგი ინგილოებისაგან ქალების ხარჯს იღებდა"[4].

დამონებული ინგილო გლეხობა სხვადასხვა საშუალებებით იბრძოდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ასეთი ბრძოლის ერთ საშუალებად ჩანდა თავისუფლების ძიება (თუნდაც ყალბი გზით) რუსული მმართველობის პირობებში, სახაზინო თანრიგში გადარიცხვისაკენ მისწრაფება, საშოვარზე გასვლა და სხვ. კლასობრივი წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან, ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად.

---

1 ზ. ედილი. საინგილო, გვ. 54.

2 ცსსა, ფ. 416. აღწ. 3, საქ. 1295, ფურ. 5—13.

3 დ. ჯანაშვილი. წარსული და მომავალი ინგილოების ცხოვრება, „დროება", 1867 წ. № 47.

4 იქვე, № 48.

თავი მეორე

აღმოსავლეთ კახეთის შემოერთება მეფის რუსეთის მიერ

1. შემოერთების პირველი ცდები (1801—1804 წწ.)

1801 წელს მეფის რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფოს. ეს აქტი რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელ ვითარებაში მოხდა. აღმოსავლეთ საქართველო ხანგრძლივი პოლიტიკურ-ეკონომიური დაცემისა და შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად გაჩანაგებული იყო. რუსეთის პოლიტიკური შეტოქეები აღმოსავლეთში— ოსმალეთი და სპარსეთი წელში გატეხილი აღმოჩნდნენ. ნაპოლეონის აგრესიის შედეგად დამფრთხალი სულტანი რუსეთის იმპერატორისაგან მოელოდა შველას, ხოლო დაუძლურებული სპარსეთი, სხვა ქვეყნების დახმარების მოლოდინში, რუსეთის წინააღმდეგ აქტიურ გამოსვლას იმ მომენტში ვერ ბედავდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, აღმოსავლეთ საქართველოში ახლად გაბატონებული რუსეთის მდგომარეობა სახიფათოდ გამოიყურებოდა.

ქართლ-კახეთის შემოერთება მეფის რუსეთის მიერ დასახული ფართო გეგმების განხორციელების დასაწყისი იყო. რუსეთი ამით ღებულობდა კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი ბალკანეთის სახიფათო გზის მაგიერ შემოსავლელ ახალ გზას, რომელიც საქართველოზე გადიოდა. მაგრამ საქართველოში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა სპარსეთისაგან ნახევრად დამოკიდებული აზერბაიჯანის სახანოების მტრული მეზობლობის პირობებში. ამ სახანოების დამორჩილება და მათში სპარსული გავლენის მოსპობა მწვავე ამოცანად იდგა. საგარეო საფრთხეს ენასკვებოდა 1801—1802 წლებიდანვე დაწყებული შფოთი და არეულობანი ახლად დამორჩილებულ აღმოსავლეთ საქართველოში.

XIX საუკუნის დამდეგს ჭარს გავლენა ჰქონდა ელისუს სულტანსა და მეზობელ სახანოებზე. მასვე ეჭირა უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია. იგი, ისე როგორც წინათ, წარმოადგენდა დაღისტნელი აბრაგების სადგურს, საიდანაც უკანასკნელნი გამუდმებით თავს ესხმოდნენ კახეთს. 1801 წლიდან

ჭარ-ბელაქანი უკვე „რუსეთის გუბერნიის“ სახიფათო მეზობელი იყო და მაჰმადიანურ სახანოებთან კავშირში დიდ საშიშროებას უქმნიდა რუსთა ბატონობას აღმოსავლეთ საქართველოში.

კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სახანოების წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლის შემთხვევაში ჭარ-ბელაქანი რუსთა რაზმების ზურგში ჩანდა.

ჭარ-ბელაქანი ქართლ-კახეთზე ე. წ. „ლეკური“ თავდასხმების, ანუ დაღისტნელ და ჭარელ აბრაგთა დიდი რაზმების მტაცებლურ შემოტევათა ტრადიციული საბუდარი იყო.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, 1784 წ. 14 დეკემბერს, რუსთა რაზმებმა, ქართველებთან ერთად, ერეკლე მეფის წინამძღოლობით, მონაწილეობა მიიღეს ჭარელ ლეკებთან ბრძოლაში მდ. ალაზნის ნაპირზე. ეს ბრძოლა რუსთა და ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ იგი მხოლოდ ეპიზოდური გამარჯვება იყო. საყურადღებოა, რომ მაშინაც რუსეთის სამხედრო მოღვაწეები ყაჩაღურ თავდასხმათა საბოლოო ალაგმვის მიზნით აუცილებელ საჭიროებად თვლიდნენ ლეკთა წინააღმდეგ ძლიერი კონცენტრირებული შეტევის მოწყობას[1].

1795 წ. ირანის მფლობელი აღა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთზე სალაშქროდ ემზადებოდა. იგი დასაყრდენსა და მოკავშირეებს პოულობდა არა მარტო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოებში, არამედ ჭარ-ბელაქანშიაც. ამის შესახებ ერეკლე მეფემაც იცოდა. ერეკლე აღნიშნული წლის აგვისტოში ატყობინებდა გენ. გუდოვიჩს, რომ ვერაგი აღა-მაჰმადი ჭარელებსაც მოუწოდებდა საქართველოს წინააღმდეგ[2].

მე-18 საუკუნის მიწურულს, 1799 წ. 26 ნოემბერს, თბილისში ჩამოსულ რუსთა რაზმს მალე მოუხდა ბრძოლა ისევ ლეკებთან.

1800 წ. აგვისტოს ბოლოს ავარიის ომარ-ხანი გამალებით ემზადებოდა ქართლ-კახეთზე სალაშქროდ. ჭარ-ბელაქანი მისი ჯარების შესაკრები ბაზა იყო. 7 ნოემბერს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლაც მდ. იორის ნაპირზე, სოფ. კაკაბეთთან. ომარ-ხანის 20-ათასიანი რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ 3.000-მდე ქართველი მებრძოლი ბაგრატისა და იოანე ბატონიშვილების სარ-

---

[1] Бутков. Материалы для новой истории Кавказа. ч. II, СПБ, 1869, გვ. 158.

[2] „Ага-Магомед-хан писал к Черальским жителям, что он на Грузию хочет итти, и чтоб оные в том ему помогли, и каждому человеку обещает дать по сту рублев“ (Грамоты и друг. докум., т. 2, вып. II, გვ. 98).

ღლობით და 1224 კაცისაგან შემდგარი რუსთა რაზმი გენ. ლაზა-
რევის წინამძღოლობით. 3 საათის განმავლობაში გრძელდებოდა
სასტიკი ბრძოლა, რომელიც ომარ-ხანის დამარცხებით დასრულდა[1].

არც აღნიშნული გამარჯვებით გადაჭრილა ქურდულ-მძარცველურ შემოსევათა ალაგმვის საკითხი. თავდასხმები გრძელდებოდა ძველებური სიხშირითა და საშინელებით. მაშინდელი ამბების მოწმე გიორგი XIII-ის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი ლეკურ შემოსევათა საერთო ხასიათის შესახებ შენიშნავდა:

„...არასოდეს მოიხსენების და ვერცა დაიტევს ისტორიაი ესე, თუ ვითარი ოხრება იყო ლეკთაგან საქართველოსა შინა“[2].

აღნიშნულ პერიოდში ჭარ-ბელაქანი ძლიერად გამოიყურებოდა მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ლეკურ სოფლებს შორის კავშირი მტკიცე არ ყოფილა. სიძლიერე იქმნებოდა ამ უბნის მჭიდრო კავშირით დაღისტანთან. საქმე იმაში იყო, რომ დაღისტნურ აბრაგულ რაზმებს, რომლებსაც ხშირად ოსმალეთის აგენტურა ამოძრავებდა, ქართლ-კახეთზე ლაშქრობისას აუცილებლად ჭარ-ბელაქანი უნდა გადმოეევლოთ. იქ მარაგდებოდნენ ისინი სურსათით, ავსებდნენ თავიანთ რიგებს ჭარ-ბელაქნელი თანამოძმეებით და ზურგგამაგრებულნი იწყებდნენ ძარცვა-გლეჯას, ასე რომ ჭარ-ბელაქნელი ლეკობა და დაღისტნელი აბრაგები ქართლ-კახეთისა და რუსთა რაზმების წინააღმდეგ მებრძოლ ერთ ბანაკს ქმნიდნენ. ამაში ჩანდა ჭარის მოჩვენებითი სიძლიერე, რომელიც მაშინვე ამეღავნებდა თავის უმწეობას, როდესაც მის ზურგში დაღისტანი არ იდგა.

თუ რამდენად დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს ჭარ-დაღისტნის კავშირი და როგორ სახიფათო იყო ჭარის მეზობლობა კერძოდ კახეთისათვის, ეს ნათლად ჩანს ქართველი ელჩების ჭავჭავაძის, ავალიშვილისა და ფალავანდიშვილის იმ ნოტიდან, რომელიც მათ 1801 წ. რუსეთის მთავრობას წარუდგინეს.

ელჩები საქართველოს მცხოვრებთა უშიშროების უპირველეს გარანტიად თვლიდნენ ჭარ-ბელაქნის დამორჩილებას: „მოყვანებისათვის მყოფთა მუნ უშიშროებისა მდგომარეობასა შინა პირველ საქმედ ვრაცხავთ ამას, რათა მივიღოთ სახმარი გაბთხილება მეზობელთა მათ ჭარელთაგან, რომელნიცა შთამომავლობით თვისი

[1] ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 191. Джаро-белаканцы д XIX в. „Кавказ“, 1846, № 2—3; Бутков. Материалы, ч. III, гв. 180, Дубровин. Ист. войны, ч. II, гв. 327—328.

[2] დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, გვ. 29.

არიან ძველნი კახეთისაგანნი, და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს, აწცა კახეთისაა...".

ელჩების განცხადებით, მარტო ჭარელები როდი წარმოადგენდნენ ისეთ ძალას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს. ძლიერების მთავარი პირობა ის იყო, რომ ჭარელნი „წარმოდგომილ არიან შესავედრებლად და სადგურად ყოველთა ლეკთა ავაზაკთა, და თვით ომარხან ჰავარისასაც ესრეთ, რომელ ოდესცა იგინი განიზრახვენ მორბევასა საქართველოსა მიწათასა, მაშინ მოიწევიან ჭარელთადმი და მიიღებენ თავისადმი მოსყიდვით მათგან საგძალთა, და ყოველივე სახმართა ნივთთა, და თვით მათცა თვისთან შეიერთებენ, და ამით განიმრავლებენ ჯართა თვისთა, და წარიყვანენ მათგან გზის-მცოდნეთა, და ყველა უზდენთა, რომელთაცა, მახლობლად მოსახლეობითა უწყიან, სადა, ანუ თუ რომელსაცა ადგილსა სცხოვრობენ ქართველნი, გაუფრთხილებლად და მოულოდნელად თავდასხმასა მის მტერთასა". ელჩების აზრითაც, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ „უკანასკნელი იგი შემოსვლა ომარხანისა საქართველოსა შინა იყო იმათზედ გამოვლით, და მხედრობაცა მათი იყო მასთან". არა მარტო დაღისტან-ჭარის კავშირზე მიუთითებდნენ ელჩები, არამედ თავისებურად აღნიშნავდნენ ჭარ-დაღისტნელი აბრაგების ოსმალეთთან კავშირის შესახებ: „...ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვლენ საქართველოსა შინა მორბევისა და აოხრებისათვის ისმალოს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ჭარელთადმი და მუნითგან სწორედ მივლენ ახალციხეს".

საქართველოს ელჩები ასაბუთებდნენ, რომ ჭარ-ბელაქანი, რომლის ხურგში დაღისტნელი აბრაგები და ოსმალეთი იდგნენ, ის ბოროტი ძალა იყო, რომელიც საქართველოს არ მოასვენებდა, ამიტომ საჭიროდ თვლიდნენ უაღრესად რადიკალური ღონისძიებების გატარებას—ჭარელ ლეკთა აყრა-გადასახლებას, მათ დაფანტვას საქართველოს მოსახლეობაში. ელჩთა ეს მოთხოვნა გამაგრებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიული გამოცდილებით. ხშირად ყოფილა, რომ საქართველოს ჯარებს ჭარი დაუპყრიათ, ჭარელ მებატონეებს თავი მოუკატუნებიათ, ფიცით აღუთქვამთ მორჩილება და „მონად ქართველთა" დარჩენა, ოღონდაც ისინი თავიანთ საცხოვრებლებში დაეტოვებინათ და არ დაეხოცნათ, მაგრამ მათი ასეთი საქციელი მხოლოდ გაიძვერული მანევრი იყო:

„...გარნა ესე პირობა, რომელიც არა ერთგზის მათგან ქმნილ-არს, არამედ დიახ მცირედ აღუსრულებიათ, და უფროსლა-

ყოველთათვის გარდახდომილან, რჩევისამებრ ზემოთქმულთა მეზობელთასა თურქთასა, და ამისთვის, ვითარცა არა მისანდობელთა, არს საჭირო, რათა გამოყუანილ იქმნენ და დაესახლენ სხვა და სხვასა შინა ადგილსა".

დასასრულ, ელჩები თითქოს გრძნობდნენ, რომ ჭარის გზით მოდენილი უბედურების სათავე იდო არა ხალხში, ლეკურ-დაღისტნურ მოსახლეობაში საერთოდ, არამედ ამ ხალხის ზედაფენაში. ელჩები მოითხოვდნენ, რომ ჭარელთა „უფროსები" თავიანთი ხალხით გადასახლებულიყვნენ ყიზლარში და იქ მეაბრეშუმეობისათვის მიეყოთ ხელი[1].

ქართველი ელჩების ნოტა ქართლ-კახეთის უკვე გაუქმებული სახელმწიფოს და იმ დროის საზოგადოებრიობის აზრს გამოხატავდა. ახლად დამყარებული რუსული მმართველობა ითვალისწინებდა ზემოთ მოტანილ მითითებებს, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს იგი ჯერ კიდევ თავს მტკიცედ ვერ გრძნობდა, რომ ასეთი საკმაოდ რთული პრობლემა გადაეწყვიტა. ახალი მთავრობა მაშინ ლეკურ თავდასხმებს გამუდმებით იგერიებდა და ფართო მასშტაბის ოპერაციებისაგან ჯერ კიდევ თავს იკავებდა.

ვერ დავეთანხმებით პეტრუშევსკის, რომელიც თვლის, რომ 1801 წელს რუსეთის მთავრობის შიში, ლეკთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმების გამო, გადაჭარბებული იყო, რადგან 1801 წელს რუსთა წინააღმდეგ არც ერთი მსხვილი ექსპედიცია არ მოუწყვიათ. კიდევ მეტი, ხსენებული ავტორი მომდევნო წლებისთვისაც „პანიკურ შიშად" თვლის რუსთა მიერ მიღებულ ზომებსა და მზადყოფნას მოსალოდნელი შემოტევების მოლოდინში[2].

ჩვენი აზრით, მთავრობის უსაფუძვლო და გადამეტებული შიშის საბუთად ვერ გამოდგება ის გარემოება, რომ 1801 წ., თუ მომდევნო წლებში, მსხვილ შემოსევებს ადგილი არ ჰქონია.

რუსთა რაზმების მხოლოდ მობილიზებულ მზადყოფნას შეეძლო შეეჩერებინა მსხვილი შემოტევები. საკამათო როდია, რომ ჭარულსა და დაღისტნურ აბრაგულ რაზმებს რუსთა რეგულარული ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლის მოგება მხოლოდ მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში თუ შეეძლოთ. რუსთა სარდლობა, როგორც ჩანს, ამ გარემოებას ითვალისწინებდა და სათანადო ზომებს იღებდა.

---

[1] Грамоты и др. докум. т. II. вып. I. 1898, გვ. 207—209.
[2] Петрушевский. Джаро-белак., გვ. 79—80.

ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია აგრეთვე პეტრუშევსკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსეთის მთავრობის შიში ჭარელებისა და საქართველოს გლეხობის მოსალოდნელი ანტირუსული კავშირის შესახებ „საფუძვლიანი“ იყო[1]. განიადაგებული ქურდული თავდასხმების შედეგად სიცოცხლეგამწარებული ქართველი გლეხობა ჭარელ ლეკებს თავის შეურიგებელ მტრებად თვლიდა. ოდესლაც თავისუფალ ლეკებსა და ქართველ გლეხებს შორის არსებული კავშირი, „უბატონობის“ დროშით გამაგრებული, როგორც ვიცით, მალე დაირღვა და შემდეგ იგი აღარ აღდგენილა. ამის მიზეზი გახდა ლეკთა მიერ ქართველი მებატონეების ადგილის დაკავება.

ქართველი მოსახლეობა ენერგიულად უჭერდა მხარს რუსთა რაზმებს ლეკურ-აბრაგული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ხშირად ქართველობა მომეტებული გააფთრებით იბრძოდა და ასეთ მოქმედებაში ჩანდა მიყენებული ზიანის გამო შურისძიების მომენტიც, რაც ფეოდალური წყობილების პირობებში ხშირი მოვლენა იყო. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ეპიზოდი, როდესაც რუსთა სარდლობას „მოუხდა სამხედრო დისციპლინის მთელი სიმკაცრით დაცვა, რომ შეენელებინა ქართველთა რაზმის გააფთრება“ ჭარსა და ბელაქანში[2].

1801 წ. 6 აპრილს სიღნაღში მყოფი პოლკოვნიკი კარიაგინი სწერდა ლაზარევს, რომ ლეკთა ორი რაზმი (ერთი 1000 კაცისაგან შემდგარი, მეორე—3000 კაცისაგან) ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ემზადებოდა საქართველოში შემოსაჭრელად[3]. ამავე წლის 20 ივლისის ცნობით, 400 ლეკი ოსმალებთან ერთად ახალციხის მხრიდან შემოიჭრა საზღვრებში და სოფლები დაარბია[4]. აბრაგული რაზმების შემოსევათა შედეგად გაპარტახდნენ სოფლები სამხრეთ საქართველოში—ზღუდერი, საპიტიახშო და სხვ. 28 ივნისს გენ. ლაზარევს ატყობინებდნენ ლეკებთან ერთი ბრძოლის შესახებ სოფ. საპიტიახშოს ახლოს. ამ დროს ცნობილი იყო ლეკთა საბუდარი „ბეზირგანბულახში“ (ქიზიყის ახლოს), საიდანაც ქურდული რაზმები გადმოდიოდნენ იორზე, მტკვარზე და აწიოკებდნენ მცხოვრებლებს[5]. ლეკთა წვრილი თავდასხმები გრძელდებოდა მთე-

[1] იქვე, გვ. 18.

[2] გენერალ ციციანოვის წერილი რუსეთის იმპერატორისადმი 1803 წ. 23 მაისს (Акты, т. II, № 1387, გვ. 685).

[3] Акты, т. I, № 901, გვ. 640.

[4] იქვე, № 907, გვ. 647.

[5] იქვე, გვ. 649.

ლი 1801 წ. განმავლობაში. ეს წვრილი თავდასხმები არა ნაკლებ საშიში და საზიანო იყო, ვიდრე მსხვილი შემოსევები. უნდა აღინიშნოს, რომ რუსთა რაზმები ებრძოდნენ ამ თავდასხმებს, რომლებიც აქ მყოფ ისედაც მცირერიცხოვან ნაწილებს აბანდებდნენ. არც ისე მცირე იყო ლეკთა თავდასხმა 1801 წ. 23 აგვისტოს, როდესაც პოლკოვნიკი სოლენიუსი სწერდა ლაზარევს: „ამ ბრძოლაში...ლეკთა მხრიდან მოკლულია ორასზე მეტი კაცი, ტყვედ წამოყვანილია 7 კაცი, მათ შორის სოფ. ჭარის იბრაგიმ-აღა, მთელ ლეკეთში ყველაზედ უფრო სახელგანთქმული გვარისა და ისეთი კაცი, რომ მხოლოდ იშვიათი ქურდული კრება თუ მოეწყობა მისი თანხმობის გარეშე"[1].

ჭარელ და დაღისტნელ მოთარეშეებს იყენებდნენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად რუსეთის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები საქართველო-ამიერკავკასიის დაუფლებაში. აბრაგული რაზმების განსაკუთრებული წამქეზებელი იყო ოსმალეთი, რომელიც, მართალია, XIX საუკუნის დამდეგს რუსეთთან იძულებით კავშირში მყოფი, აშკარა მოქმედებისაგან თავს იკავებდა, მაგრამ ჯერ ფარულად (1806 წლამდე), შემდეგ კი აშკარად ყოველ ღონეს ხმარობდა რუსთა რაზმების გასადევნად საქართველოდან. ასევე იქცეოდა სპარსეთიც. იყო შემთხვევა, როცა აბრაგულ რაზმებს ერთმანეთს მიუსევდნენ მოქიშპე თავადებიც[2].

აღნიშნულ ვითარებაში ყაჩაღური შემოსევები ანადგურებდა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებს და ოსმალეთ-სპარსეთის მტაცებლურ მიზნებსაც უპასუხებდა, რუსთა ბატონობას ემუქრებოდა.

რა თქმა უნდა, როდესაც მეფის რუსეთი ჭარელ-დაღისტნელ მტაცებელთა ალაგმვის გეგმებს ახორციელებდა, საკუთარი ინტერესებიდან გამოდიოდა, მაგრამ ამავე დროს ეს ინტერესი—მფლობელობის გაფართოება, დაპყრობილის შენარჩუნება — ქართველი ხალხის ინტერესებსაც უპასუხებდა. ეს ხდებოდა მთავრობის სურვილისაგან დამოუკიდებლად. რუსეთის მთავრობას თავისი ბატონობის აქ შენარჩუნება მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე არ შეეძლო. მას ეს მოსახლეობა ფიზიკური გადაშენებისაგან ძალაუნებურად უნდა დაეცვა. აბრაგული თავდასხმების წინააღმდეგ თუ ჭარ-დაღისტნის დაპყრობის მიზნით, რუსთა რაზმების მიერ წარმოებუ-

[1] იქვე, გვ. 651.
[2] Акты, т. I, № 913, გვ 653.

ლი ბრძოლა, რომელიც ქართველთა მხარდაჭერით მიმდინარეობდა, საერთოდ ქართველობის ინტერესებს ეგსახურებოდა.

1802 წ. მდგომარეობა კიდევ მეტად გამწვავდა. ამ წელს მოხდა კახი თავადების შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების აღდგენას. ამავე წელს გააქტიურდა თავადაზნაურული ოპოზიცია და ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით ეწყობოდა ძლიერი შეერთებული გამოსვლა ქართლ-კახეთში რუსთა ბატონობის მოსასპობად. ამ დროს საგრძნობ ძალას წარმოადგენდა ჭარ-ბელაქნელი ლეკობა. შეთქმულთა მხარეზე გამოდიოდა ლეკთა „მფარველი" ახალციხის ფაშაც.

რუსეთის მთავრობამ პროტესტი შეუთვალა სულტანს, რომ ახალციხის ფაშა ხელს უწყობდა ლეკთა თავდასხმებს საქართველოზე. ამის შედეგი იყო ჩილდირისა და ერზერუმის ვალის—მოჰამედის წერილი ლეკებისადმი, რომელთაც იგი „გზას უკეტავდა" ახალციხის საფაშოსაკენ[1]. ახალციხის ფაშაც 1802 წ. 1 ივნისს სწერდა კნორინგს: „მე აღარ შემოვუშვებ ლეკებს ჩემს სამფლობელოში", ისინი „მეც მაწუხებენო[2]". მაგრამ ეს დიპლომატური განცხადება იყო. 1802 წ. 13 სექტემბრის წერილით მეფისადმი კნორინგი ამხელდა შერიფ-ფაშისა და მისი სულტნის მუხანათობას: „ამ შერიფ-ფაშამ დაგზავნა სამხრეთ დაღისტანში სულტნის სახელითა და ყალბი ბეჭდის დასმით მოწოდება, რითაც ამხედრებს ლეკებსა და სხვებს მის ძალებთან შესაერთებლად საქართველოდან რუსების გაძევების მიზნით".[3]

1802 წ. განმავლობაში ქურდულ ყაჩაღური შემოსევები ძალზე ხშირი მოვლენა იყო: „კვალად აღდგნენ ლეკნი და იწყეს ტყუობნა ქართლისა, დაესხნენ ორგზის ქარელსა და მოსწყვიტნეს მრავალნი მუნებურნი. კვალად მიუხდნენ და წარტყუობნეს...მსგავსისავე სახით კახეთიცა, წარიღეს მელაანი: კვალად შეკრბნენ ჭარელნი, მოვიდნენ და წარიღეს ივრის ცხვარი თუშთა ვიდრე ოცდა ათი ათასამდე..."[4].

საქართველოს მთავარმმართველ კნორინგის განკარგულებით რუსთა რაზმები საველე სამუშაოების დროს გამოდიოდნენ გლეხთა დასაფარავად. ასეთი გამოსვლისას ხშირი იყო შეტაკება მარბიელ ქურდულ რაზმებთან. 1802 წ. ივლისში ჭარელმა ყაჩაღებმა გაიტაცეს

---

[1] Акты, т. I, № 927, გვ. 657.
[2] იქვე, № 928, გვ. 658.
[3] იქვე, № 950.
[4] დავით ბატონიშვილი. ახ. ისტ., გვ. 27—28.

96 კაცი. ამავე დროს შეპყრობილ ერთ ყაჩაღურ ჯგუფს უნახეს ლეკები, „რომლებითაც ისინი ბორკავდნენ ტყვედ შეპყრობილ ქართველებს[1]". აგვისტოში მოთარეშე ბრბოები კვლავ დაძრწოდნენ ქართლსა და კახეთში, იმალებოდნენ საგურამოსთან, სექტემბერში თავს ესხმოდნენ ბამბაკს, ოქტომბერში ძარცვა-გლეჯით აოხრებდნენ სიღნაღის მაზრას...გენ. კნორინგს ახალი რაზმები გადმოყავდა კავკასიის ხაზიდან[2].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ისტორიკოსი დავით ბატონიშვილი საქართველოს მთავარმმართველ კნორინგის გადაყენების მიზეზად თვლიდა ქართლ-კახეთის აოხრებას ლეკთა მიერ[3].

1802 წ. სექტემბერში აქტიურად მოქმედებდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც განჯაში ჩასულიყო და დაღისტნელ და ჭარელ აბრაგებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. მისთვის დახმარება აღუთქვამთ შუშისა და განჯის ხანებს.[4] ბაგრამ შეერთებული გამოსვლა რუსთა წინააღმდეგ ვერ განხორციელდა. ამის ერთი მიზეზი ის იყო, რომ მებრძოლთა ბანაკში ერთსულოვან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. რუსეთის მთავრობამაც მოსალოდნელი გამოსვლის თავიდან ასაცილებლად წინასწარი ზომები მიიღო.

მოტანილი მოკლე მიმოხილვიდან თითქოს ცხადი ხდება, რომ XIX ს.-ნის პირველ წლებში არსებული მეტად მძიმე მდგომარეობის ერთ მიზეზად ძველებურადვე რჩებოდა ჭარელი და დაღისტნელი აბრაგების გამუდმებული შემოსევები. ეს მოვლენა ამ დროსაც თითქმის ისეთივე ტრაგიკული შედეგების მომტანი იყო, როგორც წინათ. აქედან გასაგებია, რომ რუსეთის მთავრობის წინაშე მთელი სიმწვავით დგებოდა ჭარ-ბელაქნის, როგორც ქურდულ-აბრაგული შემოსევების საყრდენი ბოძისა და საბუდარის, დაპყრობის ამოცანა[5]. ამ ამოცანის გადაჭრა გადაუდებელი ჩანდა აგრეთვე იმიტომაც, რომ ჭარ-ბელაქანი ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში იქნებოდა რუსთა ზურგში მყოფი ის მტრული ძალა, რომელსაც სერიოზული ზიანის მიყენება შეეძლო.

---

[1] Буткоръ. Материалы, часть II, гг. 531.

[2] იქვე, გვ. 530—532.

[3] დავით ბატონიშვილი. ახ. ისტ., 28.

[4] Акты, т. I, № 987, гг. 672.

[5] არაა სწორი პეტრუშევსკის მითითება იმის შესახებ, რომ ქურდულ თავდასხმებს თითქოს ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. ამის დასამტკიცებლად მოყვანილია ერთი ფაქტი, როცა გავახელებმა 10 ლეკი დახოცეს (დასახ. ნ. შრ. გვ. 82). ასეთი გამონაკლისი შემთხვევა „საპასუხო თავდასხმების" მაჩვენებელი როდია; ეგი ყაჩაღთაგან თავდაცვის გამოძახილი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული რუსეთის მთავრობა დასაწყისში (და შემდეგაც, სადაც საჭიროდ სცნობდა) ძველი ქართული მიწა-წყლის შეკრება-გაერთიანების ლოზუნგითაც გამოდიოდა ჭარ-ბელაქნის დამორჩილებისათვის. ასეთი მოტივი სავსებით საფუძვლიანი იყო და იგი კარგად ფარავდა მთავრობის ნამდვილ მიზნებს საქართველო-ამიერკავკასიის სრული დაპყრობის საქმეში. ჭარ-ბელაქანი, ანუ აღმოსავლეთ კახეთი, იგივე საინგილო, ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ეს გარემოება აგრეთვე განსაკუთრებით აქეზებდა ქართველებს, რომ ენერგიული მონაწილეობა მიეღოთ საინგილოს შემოერთების საქმეში.

როდესაც მეფის რუსეთი ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის შეერთების ნიღაბით იბრძოდა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა იგი თავის მიზნებს ემსახურებოდა: ამტკიცებდა და აფართოებდა თავის მფლობელობას საქართველო-ამიერკავკასიაში, სადაც ქმნიდა ბაზას აღმოსავლეთში შემდგომ გეგმათა განსახორციელებლად. ამავე დროს ასეთ ბრძოლას ქართველი ხალხისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო იკრიბებოდა და ერთიანდებოდა რუსეთის ხელისუფლების ქვეშ და ამით ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიური აღმავლობის პირობები იქმნებოდა.

1801 წლიდან იწყება რუსული მმართველობის ოფიციალური ურთიერთობა ჭარისა და ბელაქნის თემებთან. ეს ორი თემი ამ დროს ცალ-ცალკე გზავნიდა წერილებს კნორინგთან. ლეკურ სოფლებს მთლიანობა უკვე აღარ ჰქონდათ.

ჭარელ უხუცესთა წერილში კნორინგისადმი შეიმჩნეოდა ლეკთა მედიდური ტონი. ისინი თანხმობას აცხადებდნენ ზავზე[1]. იხსენიებდნენ მათ მიერ დადებულ ზავს ერეკლე მეფესთან.

ეტყობოდა, რომ ჭარელ ლეკებს ამ მომენტში რუსთა რაზმებისა მართლაც არ ეშინოდათ და მათ გულგრილად უყურებდნენ.

ბელაქნელმა ლეკებმა, როგორც ჩანს, ჭარელთაგან განსხვავებით, რუსეთის მფარველობა ითხოვეს. მათი წარმომადგენლები— ალი და ჯუჯი—გენ. ლაზარევთან მისულან და ამის შესახებ გაუცხადებიათ. საყურადღებოა, რომ ლაზარევს მათგან სამფარველო პირობის საწინდრად მოუთხოვია მძევლები უპირველესი გვარებისაგან, რომლებიც თვითონ მას დაუსახელებია—„აბდულინთა გვარის

[1] Акты, т. I, № 899, გვ. 645.

მურთუზ-ალის შვილი ალი...ანანიანოვის (Ананиановой) გვარისაგან გოჯახი“ და სხვ.[1] ლაზარევმა ბელაქნელებს სამფარველობო პირობები წაუყენა და თავისი წარმომადგენელი ადამ ბებურიშვილიც გააყოლა. ლაზარევი უპირველეს პირობად სდებდა, რომ ბელაქნელებსა და ჭარელებს შეეწყვიტათ ქურდული თავდასხმები, დაებრუნებინათ გატაცებული ტყვეები, წინაალმდეგ შემთხვევაში გენერალი მათ მუქარას უთვლიდა, რომ ისინი შესაფერის სასჯელს მიიღებდნენ[2].

ლაზარევისა და ბელაქნელთა ურთიერთობიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთის მთავრობა კარგად იცნობდა ჭარ-ბელაქნის მოსახლეობას. ადამ ბებურიშვილის იქ გაგზავნა საკმაოდ მოფიქრებული ღონისძიება ჩანდა. ბებურიშვილი ვაჩნაძეთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი იყო და იგი ბელაქანში თავის თანამოგვარეებს უნდა შეხვედროდა. ასევე არ იყო შემთხვევითი, რომ ლაზარევი მძევლებს ითხოვდა „ანანიანოვის“ (ონანაშვილების) გვარისაგან, რომელიც, როგორც ვხედავთ, ერთი უპირველესი გვარი იყო ბელაქანში. ონანაშვილები იგივე ვაჩნაძეები იყვნენ[3]. შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, რომ ბელაქნის ვაჩნაძეებმა ამ ქვეყნის შემოერთებაში რუსეთის მთავრობას გარკვეული დახმარება გაუწიეს.

გენ. ლაზარევის მბრძანებლური მოთხოვნები, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ ქედმაღალ ბელაქნელებს, რომლებიც ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსთა ძლიერებას. გარდა ამისა მათ მიერ გატაცებული ტყვეების ოჯახებისაგან ისინი ფულად საზღაურს მოელოდნენ; ეს მათთვის შემოსავლის ერთი წყარო იყო. ეს უნდა ყოფილიყო იმის ერთი მიზეზი, რომ ბელაქნელთა მეთაურებმა ლაზარევის წერილი დახიეს, თავიანთი დეპუტატების სახლები გადასწვეს, ერთი მათგანი (ალი) მოჰკლეს კიდეც. გარდა ამისა ჭარ-ბელაქნელებმა შაქისა და შუშის ხანებისაგან დახმარების პირობა

---

[1] Акты, т. I, № 915, გვ. 563.

[2] იქვე.

[3] ისტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა მ. ბერძენიშვილმა მიგვითითა ერთ საარქივო საბუთზე, რომელშიც მოხსენებულია Нинин Онанашвили, он же Вачнадзе (საქ. ცსსა ფ. 2/8, საქ. 272, ფურ. 74—75). ვაჩნაძეთა გვარში არსებული გადმოცემაც (დოც. ს. ვაჩნაძის) ადასტურებს ამ გვარის 4 შტოს: ონანაშვილები, აგათოშვილები, ბებურიშვილები და ედიშოშვილები.

შიიღეს. მათვე აიმედებდა „ომარ-ხანის მაგიერ მყოფი ალისკანტიც". ამასთან დაკავშირებით გენ. ლაზარევი მოითხოვდა ნებართვას კნორინგისაგან იმისათვის, რომ „უტიფრები" სამაგალითოდ დაესაჯა[1].

ჭარ-ბელაქნელები იძულებული იყვნენ კავშირი გაებათ ქართლ-კახეთში გაბატონებულ რუსეთის მთავრობასთან. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მათ ქართლ-კახეთთან ეკონომიური კავშირის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ. ალაზნის გამოღმა ნაპირიდან ჭარში მიჰქონდათ პირველი მოთხოვნილების საგნები. კახეთის საძოვრების გარეშე ისინი ვერ შესძლებდნენ პირუტყვის გაზოკვებასაც და სხვ. ამრიგად, ქართლ-კახეთისაკენ გზის ჩაკეტვა მათ საფრთხეში ჩააგდებდა[2]. ამიტომაც იყო, რომ ბელაქნელები და ჭარელები თვით ცდილობდნენ ზავის ჩამოგდებას. ამავე დროს დიპლომატური ხერხებით ფიქრობდნენ თავი დაეღწიათ რუსთა მიერ ჭარის ოკუპაციისაგან.

გენ. კნორინგის მთავარმმართველობის დროს ჭარ-ბელაქნის დამორჩილების საკითხი არ გადაწყვეტილა. ჭარელებიც, როგორც ჩანს, ფრთხილობდნენ და ახალ სიტუაციას მოელოდნენ. ასეთი მოლოდინის მდგომარეობა გამოწვეული იყო იმითაც, რომ ისინი მუდმივად იყვნენ დაკავშირებული ამიერკავკასიაში მაშინ რუსთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან, მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილსაც, რომელიც საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო სახლის ხელისუფლების აღდგენისათვის იბრძოდა.

1802 წ. 18 აპრილს კნორინგი სწერდა „ხალხის ნდობით აღჭურვილ" ჭარელ უფროსებს: „...თქვენი და საქართველოს მცხოვრებთა მშვიდობიანობის საქმეებზე თათბირისათვის დაუჩქარეთ ჩემთან გამოცხადება თბილისში,—ამის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში"[3]. მაგრამ ჭარელები აღნიშნულ მოთხოვნას არ გამოხმაურებიან.

1803 წლის დასაწყისში განთავისუფლებული კნორინგის მაგიერ საქართველოს მთავარმმართველად თბილისში მოვიდა ნიჟერი სარდალი, დიპლომატი და მეფის ერთგული გენერალი პავლე

---

[1] Акты, т. I, № 917, გვ. 654.

[2] ეს ჩანს XIX ს-ნის დამდეგის საბუთებში (Акты, т. I, № 926, გვ. 657; № 935. გვ. 660...).

[3] Акты, т. I. № 922, გვ. 655.

ციციანოვი (ციციშვილი). თავისი მმართველობის ხანმოკლე წლებში ციციანოვმა შესძლო გაეფართოებინა რუსთა რაზმების სამოქმედო ასპარეზი კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდის და ზოგჯერ დიპლომატური ხერხებით, ზოგჯერ კი სამხედრო ძალებით, რუსეთის პოლიტიკური ბატონობის ქვეშ მოექცია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისა და აზერბაიჯანის სახანოების უმეტესი ნაწილი.

ციციანოვი თავის ერთ სერიოზულ ამოცანად ისახავდა ქარ-ბელაქნის დამორჩილებას. 1803 წ. 4 თებერვალს იგი სწერდა გენ. გულიაკოვს: „მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ზუსტად დავრწმუნდეთ ქარელ უფროსთა და მცხოვრებთა ჩვენდამი განწყობილებაში...“[1].

ციციანოვი ქარ-ბელაქნისადმი ატარებდა მისთვის საერთოდ ჩვეულ პოლიტიკას—მფარველობითი „კავშირის“ გზით დამორჩილების ღონისძიებას. ამ მიზნით მან ქარისათვის სათანადო მეხლებიც შეიმუშავა და, როგორც ჩანს, გენ. გულიაკოვს დაავალა, რომ ქარელთა უარის შემთხვევაში იარაღით ემოქმედნა. ქართან და ბელაქანთან ე. წ. „საზავო პირობები“ ითვალისწინებდა:

1. არ მიეცათ თავშესაფარი ალექსანდრე ბატონიშვილისათვის.

2. ქარსა და ბელაქანში შეყვანილი უნდა ყოფილიყო „მუდმივ სამყოფელად“ რუსთა გარნიზონი, საკუთარი ხარჯით.

3. ქარ-ბელაქანს ეკისრებოდა აბრეშუმის ხარკი, „რომელსაც იგი წინათ ქართველ მეფეებს უხდიდა“.

4. ქარსა და ბელაქანს რუსული მმართველობისათვის უნდა გაეგზავნა 5—5 მძევალი „საპატიო პირთაგან“.

5. რუსეთის მთავრობა ქარ-ბელაქნის საშინაო საქმეებში არ ერეოდა.

აღნიშნული მუხლების მიღების შემთხვევაში ქარ-ბელაქნიდან ციციანოვთან უნდა გამოცხადებულიყვნენ დეპუტატები, რომლებიც ფიცით დაადასტურებდნენ ამ მუხლებს[2].

ქარ-ბელაქნის ლეკური სოფლები აღნიშნული პირობების საფუძველზე ფაქტიურად ჰკარგავდნენ ყოველგვარ დამოუკიდებლო-

---

[1] Акты, т. II, № 1382, გვ. 683.

[2] Акты, т. II, გვ. 683—684.

ბას და რუსთა მბრძანებლობის ქვეშ ექცეოდნენ. ჭარელი პოლიტიკოსებისთვის ასეთი „ზავი“, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი არ იყო. ეს კარგად ესმოდა ციციანოვსაც, რომელიც სათანადო თადარიგს ღებულობდა და სამხედრო ნაწილებს ბელაქნის მიმართულებით აგზავნიდა.

1803 წ. 12 მარტს ქართველოა და რუსთა რაზმები გენ. გულიაკოვის სარდლობით ბელაქანთან წარმატებით იბრძოდნენ[1]. გულიაკოვის ლაშქარმა „სავსებით გაანადგურა“ ბელაქანი, ცეცხლს მისცა იგი[2]. ამის შემდეგ ქარი ჭარისაკენ წავიდა. ჭარელი რწმუნებულები პროტესტს აცხადებდნენ ზემოთ აღნიშნულ პირობებზე. მათ არ სურდათ რუსული გარნიზონის მიღება და აბრეშუმის ხარკის გადახდა. ამით ისინი უარყოფდნენ რუსეთის მთავრობისადმი ყოველგვარ მორჩილებას.

რუს-ქართველთა რაზმები 27 მარტს ჭარს მიუახლოვდნენ. მცირე შეტაკების შემდეგ ჭარი აღებულ იქნა. ჭარის რწმუნებულები უკვე გენ. გულიაკოვის წინაშე იდგნენ „პატიების თხოვნით“.

1803 წ. 12 აპრილს ციციანოვთან გამოცხადდნენ ჭარის, თალას, მუხახის, ჯინიხისა და ელისუს ალი-სულტნის დეპუტატები. ციციანოვმა მათ უკარნახა თავისი მოთხოვნები, რომლებიც დეპუტატებმა ფიცით დაამტკიცეს.

ზემოთ აღნიშნული მუხლებისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, ციციანოვმა რამდენადმე ანგარიში გაუწია ჭარელ რწმუნებულთა მოთხოვნებს იმით, რომ რუსთა რაზმის სამყოფელ პუნქტად, ნაცვლად ჭარ-ბელაქნის სოფლებისა, არჩეულ იქნა მდ. ალაზნის ნაპირი, ურდოს ფონთან. განისაზღვრა აბრეშუმის ხარკის რაოდენობა—220 ფუთი (1100 ლიტრა). ლეკები კისრულობდნენ აგრეთვე, რომ არ გამოეტარებინათ დაღისტნიდან საქართველოს დასარბევად მოდენილი მძარცველური რაზმები.

ხელშეკრულების გაფორმების დროს ლაპარაკი ყოფილა ალიაბათის ქართული სოფლების შესახებ. როგორც ჩანს, ციციანოვი მოაგონებდა ლეკური სოფლების რწმუნებულებს, რომ ალიაბათის სოფლებზე მათი ხელისუფლება უკანონო იყო. საფიქრებელია, რომ ეს საკითხი ციციანოვმა ჭარელი რწმუნებულების და-

---

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდა 4500 ქართველი და 1482 რუსი ჯარისკაცი (Дубровин. Ист. войны..., т. IV, გვ. 75).

[2] Акты, т. II, № 1385, გვ. 685; Дубровин. Ист. войны..., т. IV, გვ. 75—81. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 83—85.

[3] Акты, т. II, გვ. 686.

საშინებლად დასვა. ძნელია იმის თქმა, რომ ამ დროს ციციანოვს ალიაბათელების სოციალურ თავისუფლებაზე შეეძლო ეფიქრა. ხელშეკრულების მე-9 მუხლში ნათქვამი იყო:

„თანახმად ჩვენი (ჭარელი რწმუნებულების, მ. დ.) თხოვნისა მთავარსარდალმა ინება მოეცა პირობა, რომ ალიაბათის ქართული სოფლები, რომლებიც დიდი ხანია რაც ჩვენს თემებთან შეერთებული არიან, ჩვენსავე მმართველობაში დარჩებიან წინანდელი უფლებისა და ჩვეულებების საფუძველზე"[1].

როგორც ვხედავთ, მეფის რუსეთის მთავრობამ, ციციანოვის სახით, სცნო ჭარელი მებატონეების უფლებები მათ მიერ მინატაცებ მიწა წყალზე. ეს ფაქტიურად მოასწავებდა ოსმალეთის სულტნის მიერ 1727 წ. ჭარელებისათვის მიცემული სიგელის დამტკიცებას. როგორც ზემოთ ითქვა, სულტანი სამუდამოდ უმტკიცებდა მოძალადეებს აღნიშნულ მიწა წყალს. „ცარიზმმა იცნო ჭარ-ბელაქნელ აღალარების მებატონური „უფლება" ინგილოთა სოფლებზე, ინგილოთა მიწებზე" და ამის შემდეგ გასაკვირი არ იყო, თუ ჭარელი აღალარები სულტნის სიგელს უფრთხილდებოდნენ როგორც „წმიდათა წმიდას"[2].

მიუხედავად აღნიშნულისა, რუსეთის მთავრობა მაინც გამოექომაგა საინგილოს ქართველობას და მოითხოვა, რომ ლეკებს „ხელი არ შეეშალათ ინგილოებისათვის ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფლად დაცვაში, რომელი სარწმუნოებაც მათ ბევრს დაატოვებინეს და ძალმომრეობით მიაღებინეს მაჰმადიანობა"[3].

ჭარ-ბელაქანთან ერთად, ციციანოვმა რუსეთის მორჩილებაში შეიყვანა ელისუს ალი-სულტანიც, რომელიც აგრეთვე რუსეთის მოხარკე შეიქნა.

აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებისა და ფიცის დადების მომენტში ციციანოვთან არ ყოფილან ბელაქნის, კატეხისა და მაწეხის რწმუნებულები. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბელაქანი გულიაკოვის რაზმებმა ძალზე დაარბიეს და ბევრი მცხოვრები ბოლებს შეეხიზნა. ასევე მოიქცნენ კატეხისა და მაწეხის ლეკებიც. მიუხედავად ამ სოფლების რწმუნებულთა გამოუცხადებლობისა, ჭარელმა დეპუტატებმა მათზე პასუხისმგებლობა იკისრეს. ეს გარემოება ჭარის ძველ გავლენაზე უფრო მიუთითებდა, ვიდრე მაშინ არსე-

---

[1] Акты, т. II, გვ. 686. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ითვალისწინებდა ტყვეების გაცვლას, ან გამოსყიდვას.

[2] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. გვ. 84. შენ. 1.

[3] საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნ. შესახებ. გვ. 511.

ბულ დამოკიდებულებაზე. აღნიშნულ მომენტში ჭარის მაგალითი სხვა სოფლებისათვის არც თუ ისე სავალდებულო იყო.

1803 წ. 17 აპრილს ციციანოვი ულოცავდა ალექსანდრე პირველს წარსულში ჩამოცილებული „ჭარის პროვინციის შეერთებას საქართველოს სამეფოსთან". ციციანოვის ბრძანებით ალაზანზე, ურდოს ფონთან, რომელიც ჭარის კარებს წარმოადგენდა, ააშენეს რუსთა რაზმების სამყოფელი სიმაგრე.

რუსთა რაზმების გაადვილებულ შესვლას ჭარში ხელი შეუწყო ლეკურ თემებს შორის არსებულმა უთანხმოებამაც. თალაელი ლეკების ერთი ნაწილი ჭართან მტრობის ნიადაგზე შველოდნენ რუსებს. ამ თემის მამასახლისები ჰაჯი-ყურბან-ოღლი და აბდულრახმან-აღა ცნობებს აწვდიდნენ კოვალენსკის[1]. რუსეთის აგენტი, ანწუხელ ლეკთა უფროსი ომარ-ხანი მოახსენებდა გულიაკოვს ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი ჯგუფის მოქმედების შესახებ[2]. ჭარის ოლქის დაბალი ფენები მხარს უჭერდნენ რუსთა რაზმების შემოსვლას. მებრძოლ ფეოდალებს საგარეო ვითარებაც არ წყალობდა. სპარსეთისაგან დახმარების იმედი გადაწურული იყო, დაღისტნიდან გადმოსასვლელი გზები კი—თოვლით ჩაკეტილი. ერთი იმედი ჭარელებისა შაქის მამედ-ჰასან-ხანი იყო, რომელმაც რუსთა მიერ ბელაქნის დარბევისას უღალატა ჭარელებს და ბრძოლის ველიდან გაიქცა.[3] ასევე გულგრილად უყურებდა ჭარის მარცხს ელისუს სულტანი.

რუსეთის მთავრობის გამარჯვების ერთი მთავარი პირობა ქართველების მხარდაჭერა იყო. ჭარ-ბელაქნის სამხედრო ექსპედიციაში, რომელსაც შედეგად მოჰყვა მისი დამორჩილება, 4500 კაცისაგან შემდგარი ქართველთა რაზმი მონაწილეობდა. ქართველობა ამ დროს თავისი ძველი ისტორიული მიწა-წყლის შემოერთებისათვის იბრძოდა. ასე ესმოდა ჭარის შემოერთება მომდევნო თაობას. XIX საუკუნის პრესაში ხშირი იყო მითითება იმის შესახებ, რომ 1803 წელს „რუსეთმა დაუბრუნა საქართველოს თავისი ძველი საკუთრება"—საინგილო.[4]

---

[1] Акты, т. II № 273, зз. 152.

[2] იქვე, № 275, зз. 153.

[3] იქვე, зз. 685.

[4] Джаро-белаканцы до XIX в. („Кавказ", 1846 г. № 3); Колюбакин. Об отношениях поселян...(„Кавказ", 1848 г. № 52).

1803 წ. არ მომხდარა საინგილოს შემოერთება. იგი მხოლოდ დამორჩილებულ იქნა მფარველობითი კავშირის გზით. ლეკური თემები ინარჩუნებდნენ თავიანთ თვითმმართველობას. მაგრამ ამავე დროს აღნიშნული მფარველობითი კავშირი წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს საინგილოს საბოლოო შემოერთებისათვის.

აღნიშნულ აქტს საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საინგილო რუსეთის ბატონობის სფეროში ექცეოდა და ამით თავის დედა სამშობლოს—საქართველოს უახლოვდებოდა. ჰარ-ბელაქნის მფარველობითმა შემოერთებამ „დიდი და გულწრფელი სიხარული გამოიწვია საქართველოში“[1].

ჰარელებმა მალე დაარღვიეს ციციანოვთან გაფორმებული ხელშეკრულება და განაახლეს ქურდული თავდასხმები ქართლ-კახეთზე: „...მოვიდნენ ქარელსა და მოსწყვიტნეს რუსნი უმეტეს ასისა ტყვისა. კვალად ბელაქნის მახლობელ წარიღეს რუსთა ცხენნი უმეტეს ხუთასისა და ეგრეთვე მახლობელ ქალაქისა წარიღეს უმეტეს ოთხასი ცხენი. და იყო მრავალი ვნება ლეკთაგან“[2].

1803 წ. 2 ივნისს ჰარელები გენ. გულიაკოვის მეშვეობით ცდილობდნენ ციციანოვთან მოსვლას იმ მიზნით, რომ უსასყიდლოდ მიეღოთ ქართლ-კახეთში მყოფი მათი ტყვეები[3]. ეს მაშინ, როცა თვითონ ისინი გატაცებულ ტყვეებს უსასყიდლოდ არ აბრუნებდნენ. ჰარელთა მხრიდან ეს განცხადება დადებული ხელშეკრულების დარღვევას მოასწავებდა. ტყვეები მათ უნდა გაეცვალათ ან გამოესყიდათ. გარდა ამისა, ციციანოვს ხელშეკრულების დარღვევის სხვა საბუთებიც ჰქონდა. ჰარიდან ქურდული თავდასხმები გრძელდებოდა. ამიტომ გასაგები იყო მისი მუქარა „მოლალატე და უსირცხვილო“ ჰარელებისადმი, რომლებსაც იგი მოაგონებდა, რომ „ვისაც ძალა ხელში აქვს, სუსტს კი არ ევაჭრება, არამედ მას უბრძანებს“[4].

1803 წ. 9 ივლისს დაღისტნელ აბრაგთა ძლიერი რაზმი ჰარის გავლით ალაზანზე გადავიდა და რუსთა რაზმს თავს დაესხა[5].

---

[1] Ковалевский. Завоевание Кавказа Россией. გვ. 85.

[2] დავით ბატონიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[3] ცსსა. განსაკ., საქმ. ფონდი. საქმე № 1, ფურ. 59.

[4] Акты, т. II, № 1392, გვ. 698.

[5] Дубровин. Ист. войны... . т. IV, გვ. 131.

რუსეთის მმართველობასთან ურთიერთობა მეტად ბწვავდებოდა იმითაც, რომ ჭარელები მათზე დაკისრებულ ხარკს არ იხდიდნენ. 3 სექტემბრის მოწოდებაში ციციანოვმა მწყრალი ტონითა და მუქარით უკუაგდო ჭარ-ბელაქნელ მებატონეთა თხოვნა ხარკისაგან განთავისუფლების შესახებ: „მე ვხედავ თქვენი წერილიდან, რომ თქვენ რწმენებათა საფუძველი მხოლოდ ტყუილებია...თქვენ სიღარიბით იმართლებთ თავს, არა ხართ რა ღარიბნი...მაგრამ, ჩანს, თქვენ ვერ გრძნობთ ჩემს სიხარბეს, მდინარეებად ვღვარო თქვენი სისხლი, დაგტოვოთ თქვენ უსახლკაროდ, უმამულოდ... მეორეჯერ ველარ მომატყუებთ. აღგვით პირისაგან მიწისა და ველარ იხილავთ თქვენს სოფლებს. წამოვალ თქვეხი ჩვეულებისამებრ ცეცხლით და, თუმცა რუსები ჩვევულნი არ არიან სწვან, ნაკარტუტად ვაქცევ ყოველივეს, რასაც ჯარებით ვერ დავიკავებ და საუკუნოდ დავემკვიდრები თქვენს ქვეყანაში. დავინახავთ, მოგეხმარებიან თუ არა თქვენ დაღისტნელები ჩემს გამოძევებაში და შესძლებენ თუ არა ამის გაკეთებას...გენერალს კი არ გამოვგზავნი თქვენთან რაზმებით, არამედ თვით წამოვალ. თქვენ მიწას თქვენივე სისხლით დაეფარავ და იგი გაწითლდება"[1]...

თუ ჭარელები წერილის მიღებიდან 4 დღის განმავლობაში გადასახადს არ გადაიხდიდნენ, მაშინ ციციანოვი მათ ჰპირდებოდა, რომ დაიწყებდა მტრობას მა ი „მძევლების უსასტიკესი დასჯით"[2].

რუსეთის მთავრობის მოთხოვნები ჭარელებისადმი მარტო ხარკის გაღებით არ ამოიწურებოდა. მათგან მოითხოვდნენ, რომ დაეცვათ დაღისტნიდან საქართველოსაკენ მომავალი გზები. ასეთი გზები გადმოდიოდა ბელაქანზე, კატეხზე, ჭარზე და მუხახზე. დაღისტნიდან მოდენილი ქურდული რაზმების შეკავება, რა თქმა უნდა, მოითხოვდა რეგულარული ჯარების ჩაყენებას არა მარტო მითითებულ გზებზე.

ციციანოვს სამიზეზოდ ბევრი რამ ჰქონდა: გადასახადების გადაუხდელობა, დაღისტნიდან ქურდული რაზმების დენა ჭარის ტერიტორიის გავლით, ტყვეების გამოუსყიდველობა, ურთიერთობა რუსეთისათვის მტრულ პირებთან და სხვ. ციციანოვის ზომაგადასული მუქარები ჭარელთა შესაძლებლობას არ ითვალისწინებდნენ. რუსეთის მთავრობას არ აინტერესებდა გაეგო, მართლა სამძიმო იყო თუ არა ჭარისათვის ყოველწლიურად 1100 ლიტრა აბრეშუმის გადახდა, ან შეეძლოთ თუ არა ჭარელებს დაღისტნიდან

[1] Акты, т. II, № 1397, გვ. 690.
[2] იქვე, № 1398, გვ. 690.

მომავალი იმ გზების ჩაკეტვა, რომელთა გამაგრება რუსთა რეგულარულ რაზმებსაც გაუჭირდებოდათ. მიუხედავად ამისა ციციანოვის შუქარა საფუძველს მოკლებული მაინც არ ყოფილა: ჭაოის კარები მუდამ ღია იყო მარბიელ-გადამთიელი რაზმებისათვის.

ციციანოვის შუქარამ ჭარელებზე დიდი ეფექტი ვერ მოახდინა. ამის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მზადდებოდა ომი სპარსეთთან და დაღისტანში ახალ მოვლენებს ჰქონდა ადგილი (ყაზიყუმუხის ხანის—სურხაის გამოსვლა). ჭარელებს დაღისტნელთა მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ[1].

21 ოქტომბერს დაღისტნელთა და ჭარელთა 10000-ანი რაზმი სურხაი ხანისა და ავარელი ალისკანტის მეთაურობით მდ. ალაზანზე გადმოვიდა და თავს დაესხა სოფ. ფეიქაროსთან მდგომი მელიქოვის რაზმს[2]. სურხაი-ხანი სასტიკად დამარცხდა. დამარცხდნენ ჭარელებიც[3].

1803 წ. დეკემბერში კვლავ მოვიდა სურხაი-ხანი 6000 კაცით. მან დაუბრკოლებლად გადმოიარა ჭარი. გენ. გულიაკოვი 12 ასეულითა და დონის კაზაკებით წავიდა მის შესახვედრად.

აღნიშნული ამბების გვერდით რუსთა სარდლობა საქართველოში კიდევ უფრო ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაციებს აწყობდა. ციციანოვი პირადად მიუძღოდა რაზმებს განჯის სახანოს დასაპყრობად. 1804 წ. 3 იანვარს მან აიღო ციხე-ქალაქი განჯა; შემოერთებულ იქნა განჯის სახანო. განჯასთან ბრძოლაში მოწინააღმდეგეებმა დაჰკარგეს 2000-დე კაცი. რუსთა რაზმებმა ხელთ იგდეს 17000 ტყვე და დიდძალი ნადავლი. განჯის ხანი—ჯევად და ნისი ერთი შვილი ბრძოლაში დაიღუპნენ. აღნიშნულმა გამარჯვებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს ამიერკავკასიასა და რუსეთში. „შეძრწუნდა დაღისტანი და აზერბაიჯანი". ზოგი ზავს თხოვდა ციციანოვს, ზოგი მფარველობას. მაგრამ მის განკარგულებაში მყოფი მცირე ძალები არ იძლეოდნენ საშუალებას, რომ მოპოვებული გამარჯვება სისრულით გამოყენებულიყო[4].

---

[1] Петрушевский. Джаро-белак., გვ. 88.

[2] Дубровин. т, IV, გვ. 394—395. ციციანოვის დროის ლაშქრობები ჭარ-ბელაქანში აღწერილი ჰქონია მირზა იუსუფ ყარაბაღელსაც (ვ. ფუთურიძე, მირზა იუსუფ ყარაბაღელი და მისი ისტორია „თარიხე საფი". მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის. ნაკვ. 29, გვ, 82).

[3] Акты, т. II, № 915.

[4] Акты, т. II, № 916.

• განჯასთან ბრწყინვალე გამარჯვებას ჩრდილი მიაყენა რუსთა რაზმების მოულოდნელმა დამარცხებამ ჭარში.

სურხაი-ხანის მარბიელი რაზმების შესახებ ადრე წასული გენ. გულიაკოვი 10 იანვარს უკვე ჭარში იყო. დაღისტნელები და ჭარელები პანიკურად გარბოდნენ ზაქათლის ხეობისაკენ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ტაქტიკური უკანდახევა.

1804 წ. 15 იანვარს მოხდა საბედისწერო ბრძოლა ზაქათლის ხეობაში. რუსთა რაზმებს წინ მიუძღოდა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი, რომლის ზურგში კვლავ ქართველთა ქვეითი რაზმი იყო. მათ მისდევდა კაზაკთა პოლკი, შემდეგ კი მიდიოდნენ ორი ბატალიონი და ეგერთა პოლკი.

ზაქათლის ხეობაში შეტყუებულ რაზმებს თავისუფალი მანევრირების საშუალება არ ჰქონდათ. მოწინააღმდეგეები კი ხელსაყრელ პუნქტებში ჩასაყრდნენ. მოულოდნელმა და ინტენსიურმა სროლამ ვიწრო ხეობაში გულიაკოვის პოლკები არიგ-დარია. გენ. გულიაკოვი მოჰკლეს[1]. ბევრი ქართველი და რუსი მებრძოლი ღრმა ხეობაში გადაიჩეხა. მათ შორის იყვნენ გენ.-მაიორი დიმიტრი ორბელიანი და გრაფი მიხეილ ვორონცოვი, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს. ამ ბრძოლამ 300-ზე მეტი რუსი და ქართველი შეიწირა[2]. მარცხმა საგრძნობლად შეარყია რუსთა ძლიერების გავლენა დაღისტანში. ჭარელთა ურჩობა და მათი კავშირი დაღისტნელებთან ამიერიდან უფრო მეტად მტკიცდებოდა.

გულიაკოვის ექსპედიციის შემდეგ ჭარისაკენ გაგზავნეს ახალი რაზმები გენ. ორბელიანის მეთაურობით. ამჯერად საქმე წარმატებით დასრულდა. როგორც ჩანს, ჭარელებს ამ მომენტში დაღისტნელებმა ვერ უშველეს. დაუხმარებლად დატოვებულ ავარულ სოფლებში განხეთქილებამაც იჩინა თავი. თალას. მუხახისა და ჯინიხის სოფლების რწმუნებულები სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის ორბელიანთან ვამოცხადდნენ[3]. ჭარმა მორჩილება გამოაცხადა, მაგრამ ამ განცხადებას მხოლოდ მანამდის შერჩა ძალა, სანამ იქ რუსთა რაზმები იყვნენ. ამ რაზმების წასვლა და ჭარელთა გაურჩება ერთი იქო.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთავრობის პირველი ცდები აღმოსავლეთ კახეთის დამორჩილებისათვის სასურველად ვერ და-

---

[1] გულიაკოვის მოკვლის ადგილზე დადგმულ იქნა თუჯის ძეგლი (Потербский. Очерк Закат. округа, გვ. 24).

[2] Дубровин. т. IV, გვ. 394—395. დავით ბატონიშვილის სიტყვით, 500-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა (დასახ. ნაშრ., 29—30).

[3] Дубровин. т. IV, გვ. 386—397.

მთავრდა. ალაზნის გაღმა ნაპირის საბოლოო დამორჩილების საკითხი ჭარში პერიოდული ექსპედიციების გაგზავნით ვერ გადაწყდებოდა. ასეთი ექსპედიციები მხოლოდ დროებითს მორჩილებას იწვევდნენ. საჭირო იყო აღმოსავლეთ კახეთში დაღისტნიდან გადმოსასვლელ გზებზე მუდმივი და საკმაოდ ძლიერი რაზმის ჩაყენება. ეს აუცილებელი ჩანდა, რადგან ჭარ-ბელაქნის ზურგი და მისი ძლიერება დაღისტანი და იქიდან მოდენილი აბრაგული რაზმები იყენენ. ვიდრე ეს ზურგი არ მოიხსნებოდა, ჭარ-ბელაქნელებიც ქედს არ მოიხრიდნენ.

აღნიშნული ამოცანის შესრულება XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის მთავრობას არ შეეძლო. ეს მთავრობა ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ გრძნობდა თავს აღმოსავლეთ საქართველოში. ციციანოვის განკარგულებაში მცირერიცხოვანი რაზმები იყენენ. გარდა ამისა იწყებოდა ომი სპარსეთთან. თანდათანობით ისახებოდა კონფლიქტი ოსმალეთთანაც, რომელიც მხოლოდ იძულებითს კავშირში იყო რუსეთთან. ახლადდამორჩილებულ ქვეყანაში საშინაო შფოთიც ღვივდებოდა. ბატონიშვილები და ფეოდალთა ერთი ჯგუფი სამეფო ხელისუფლების რესტავრაციისათვის იბრძოდნენ.

2. აღმოსავლეთ კახეთი რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში (1805—1829 წწ.)

განჯის სახანოს დაპყრობა რუსთა მიერ დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ სახანოს უაღრესად სტრატეგიული პოზიცია ეჭირა. მისი დაკავებით რუსეთი ემუქრებოდა ირანის ჩრდილო პროვინციებს. განჯის შემოერთების შემდეგ ციციანოვმა თავის ქვეშევრდომად გაიხადა სამუხის მფლობელი, რომელსაც ყოველწლიური ხარკი დაეკისრა. შემდეგ დამორჩილებულ იქნა შაქის (ნუხის) სახანოც (1805 წ.)[1].

შაქის სახანოს დამორჩილებას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. აქ 20.000-ზე მეტი მცხოვრები იყო. ამ სახანოს უაღრესად სტრატეგიული პოზიცია ეკავა. იგი შირვანისა და შუშის სახანოებს შუა იყო შეჭრილი. აღმოსავლეთიდან შაქი ჰკეტავდა კახეთსა და საინგილოს, ხოლო ამავე მიმართულებით ებჯინებოდა ყუბის სახანოს და ამით რუსეთისათვის უზრუნველყოფდა მარჯვე გზას კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ.

---

[1] Акты, т. 2, № 916, გვ. 466.

შაქის სახანოს მაგალითს მალე მიჰყვა ყარაბაღის (შუშის) სახანოც. ამასთან დაკავშირებით რუსთა რაზმებმა დაიკავეს შუშის ძლიერი ციხე, რომელიც ირანის თითქმის ღია საზღვრებისაგან 80 ვერსზე იმყოფებოდა[1].

რუსეთის მფლობელობის სწრაფი გაფართოება საქართველო-ამიერკავკასიაში შიშის ზარს ჰგვრიდა ირანს და მის ზურგზე მყოფ ევროპის კაპიტალისტებს. განსაკუთრებით აქეზებდა ირანს ნაპოლეონის საფრანგეთი, რომელიც იქ თავის სამხედრო სპეციალისტებს გზავნიდა. ტარდებოდა სამხედრო რეფორმა, ეწყობოდა ზარბაზნების წარმოება[2].

1805 წ. ირანმა რუსეთს ომი გამოუცხადა.

ამ დროისთვის რუსეთის გაბატონება დასავლეთ საქართველოში ერთი სერიოზული მიზეზი გახდა იმისა, რომ რუსეთ-ოსმალეთის დროებითი კავშირი დაირღვა. 1806 წ. ოსმალეთმაც გამოუცხადა ომი რუსეთს. ოსმალეთის ზურგშიაც ნაპოლეონი იდგა.

რუსეთის ბატონობა საქართველო-ამიერკავკასიაში დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

აღნიშნულ მომენტში ჭარ-ბელაქნელი აღალარები დაღისტნელთა მხარდაჭერით განაგრძობდნენ ურჩობას. არ იხდიდნენ ხარკს. მათი სოფლები კვლავ რჩებოდნენ ქართლ-კახეთზე ამხედრებული რაზმების ბუნაგებად. მთავარსარდალი ციციანოვი მუქარას მუქარაზე უთვლიდა ჭარელ „ურჯულო არამზადებს“, სოფლების გადაწვას, ბავშვებისა და ქალების გაყლეტას უქადდა[3]. ჭარელები აცხადებდნენ, რომ ხარკის გადახდა ელისუს სულტანმა დააბრკოლა. მას თავისი წვლილი (100 ლიტრა აბრეშუმი) არ შემოუტანია[4].

ელისუს სულტანიც რუსეთისადმი მზაკვრულ პოლიტიკას მისდევდა. იგი იფარებდა თავის სასულტნოში რუსთა მოწინააღმდეგე ელემენტებს. სპარსეთთან ომის ვითარებაში ჰას რუსთა წინააღმდეგ 300 კაცი გაუგზავნია. ამავე დროს იგი ციციანოვთან წერილებში თავს იკატუნებდა და მითქმა-მოთქმით ცდილობდა მის მოტყუებას. ციციანოვი კი თავის მხრივ წალეკვას უქადდა „უსირცხვილო და სპარსული სულისკვეთების სულტანს“, „ვირის ჭკუის პატრონს“, ავ მოხარკულს[5]...

---

[1] История СССР, т. II, под ред. Нечкиной, 1940, გვ. 57.
[2] იქვე, გვ. 59.
[3] Акты, т. II, № 1401, გვ. 691.
[4] იქვე, № 1404, გვ. 692.
[5] იქვე, გვ. 695.

ჭარ-ბელაქანზე დაკისრებული ხარკის დავალიანება 1806 წელსაც დაუფარავი იყო. 1805—1806 წლებში ჭარისაკენ სამხედრო ექსპედიციები იგზავნებოდა. იქ ლაშქრობას მარტო ხარკის მიღება არ ჰქონია მიზნად. ხარკი უმეტეს შემთხვევაში ლაშქრობისათვის საბაბი ჩანდა. რუსთა სარდლობას უფრო აინტერესებდა ჭარში მტრული ძალების პარალიზება, დაღისტნელებთან მათი კავშირის გათიშვა.

რუსეთის მთავრობა ჭარის შესასუსტებლად სამხედრო ძალის გარდა სხვა საშუალებსაც მიმართავდა. იგი განხეთქილებას სთესდა ლეკურ სოფლებს შორის. ამ მიზანს ემსახურებოდა ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენითი საქმიანობის დაწყება საინგილოში, სადაც მისიონერები გაგზავნეს. ამავე დროს ჭარელთა მიერ დაჯაბნული ელისუს სულტნის დაპირისპირება ჭარისადმი მეტად ხელსაყრელი ჩანდა. სულტნის თანამდებობა სამემკვიდრეო კუთვნილებად გახადეს და ამით იგი თავიანთ მორჩილ და ჭარისაგან დამოუკიდებელ ერთეულად გადააქციეს (1805 წ.). გარდა ამისა აღმოსავლეთ კახეთში ძლიერი აგენტურა მოქმედებდა. მოსყიდვის გზით რუსულმა მმართველობამ იქ ბევრი მომხრე შეიძინა ვაბატონებული ფენებიდან: მიუხედავად ასეთი საქმიანობისა, მიმდინარე ომის ვითარებაში რუსეთის მთავრობამ მაინც ვერ შესძლო საინგილოს საბოლოო დამორჩილება. ამის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ირანი, ოსმალეთი და მათ ზურგში მყოფი ევროპის სახელმწიფოები განაგრძობდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას საქართველო-ამიერკავკასიაში. ყველაზე უფრო ეს ჩანდა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. ჭარ-ბელაქანი რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ბანაკის გზა და ხიდი იყო.

გენ. ორბელიანი ჭარში ახალი ექსპედიციისათვის ემზადებოდა, როდესაც მან ყაზიყუმუხელი სურხაი-ხანისაგან მუქარა მიიღო: „...ჭარი არ განიყოფება ჩემი სამფლობელოსაგან; მე მზად ვარ ჭარელებისათვის შევწირო თავი და ქონება. აქ მოვედი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ ვთელი თქვენი მეფის ქვეშევრდომებად. თუ თქვენ სიმშვიდე გსურთ, მაშინ გაიყვანეთ თქვენი ჯარისკაცები ამ სამფლობელოდან ალაზნის (ყანლიის) იქითა მხარეს, მაშინ ჩვენს შორის შეტაკება არ მოხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ამ ქვეყანაში თქვენს ხალხს მოსვენებას არ მივცემ“[1]. საპასუხო წე-

[1] Акты, т. II, № 159с, гз. 774.

რილში ციციანოვი სწერდა: „...ჭარელებს მთელი დაღისტნის შეერთებითაც კი არ შეუძლიათ ჩემი ხელისუფლებიდან თავის დაღწევა ისე, როგორც ბელურას არწივის კლანჭებისაგან"-ო[1].

როგორც უკვე ითქვა, ციციანოვმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ამიერკავკასიაში. დიდი სისწრაფით აფართოებდა იგი მეფის რუსეთის ბატონობის სფეროს. შაქისა და ყარაბაღის სახანოებში მას უკვე ჯარები ჰყავდა და ხანებისაგან ხარკსაც ღებულობდა. 1805 წ. დეკემბერში შარვანის ხანმაც მოიხარა ქედი. მან რუსეთის სასარგებლოდ ხარკი იკისრა (8 ათასი „ჩერვონეცი"). მასვე, ისე როგორც შაქისა და ყარაბაღის ხანებს, ეკისრებოდა რუსთა რაზმებისათვის სურსათისა და შეშის მომზადება, მათთვის ბინის გამოყოფა, რუსეთისათვის მძევლების მიცემა.

შირვანის დამორჩილების შემდეგ ბაქოს სახანოს საქმე გადაწყვეტილი იყო. ციციანოვმა ბაქოს ალყა შემოარტყა. დამარცხებულმა ხანმა ციხის ჩაბარების შესახებ მოლაპარაკების მომენტში შეხვედრისას ციციანოვი მოაკვლევინა. ციციანოვის თავი თავრიზში გაგზავნეს. ირანი ზეიმით ხვდებოდა ამ ამბავს. ციციანოვის სიკვდილი ამ მომენტში მეფის რუსეთისათვის სერიოზული დანაკლისი იყო. თავი წამოჰყვეს ურჩმა ვასალებმა. ამოძრავდნენ რუსეთის მოწინააღმდეგეები. მაგრამ მათი ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა.

1806 წ. ზაფხულში ბაქოს სახანოსაკენ რუსთა ძლიერი რაზმი წამოვიდა დარუბანდის მიმართულებით. 22 ივნისს დაიკავეს დარუბანდი, ხოლო 3 ოქტომბერს ბაქო. ამას მალე მოჰყვა ყუბის სახანოს შეერთება რუსეთთან. ამავე წელს დამორჩილებულ იქნა თარღუს საშამხლო და ყარყაიტაგის უცმიის სამფლობელო[2]. ამრიგად, რუსეთი გაბატონდა თითქმის მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

აღნიშნულ გამარჯვებათა შემდეგ ჭარელებსა და მათ მოკავშირეებს ცუდი დღე დაუდგათ. 1806 წ. ნოემბერში გენ. ორბელიანი თავისი რაზმებით „ჭარის პროვინციის დასასჯელად წავიდა". მან ხელახლა „დაიმორჩილა" ჭარი[3].

ჭარში მყოფი ორბელიანი ახასიათებდა ჭარელების მძიმე მდგომარეობას. ჩანდა აგრეთვე, რომ რუსთა რაზმები ნთქავდნენ მოსახლეობის სურსათ-სანოვაგეს: „ისინი ზიზღის გამოთქმასაც

[1] Акты. Т. II, გვ. 774.
[2] История СССР. Под ред. Нечкиной, т. II, გვ. 59.
[3] Акты, т. III, გვ. 319.

ვერ ბედავდნენ, როდესაც რაზმის მომარაგებისათვის...მიჰქონდათ და ახლაც მიაქვთ ყოველივე, რაც კი მარაგი დარჩენიათ სახლში"[1].

გენ. ორბელიანი ამავე დროს ახასიათებდა ქართველი ინგილოების უმწეო მდგომარეობას ლეკთა ბატონობის უღელქვეშ. მას ჭარ-დაღისტნისაგან გამუდმებული თავდასხმების ერთ ხელისშემწყობ მიზეზად მიაჩნდა ის, რომ ლეკები მთელ სურსათ-სანოვაგეს უსასყიდლოდ ღებულობდნენ ინგილოური სოფლებისაგან. გაწამებული ინგილოები თხოვდნენ გენერალს შველასა და მფარველობას. ორბელიანის აზრით, საჭირო იყო ჭარელებისათვის ინგილო გლეხების ჩამორთმევა, რითაც ჭარელებს მოესპობოდათ საშუალება რუსთა წინააღმდეგ მოეწვიათ დაღისტნელები, რომლებიც ინგილო „ქართველთა ზურგზე მარაგდებოდნენ"[2].

ორბელიანის წინადადება, რომელიც მან საქართველოს ახალ მთავარსარდალ გუდოვიჩს წარუდგინა, ურიგო არ იყო, მაგრამ იმ მომენტში რუსეთის მთავრობას ამ წინადადების განხორციელება არ შეეძლო. ჭარელი მებატონებისათვის ყმა გლეხთა ჩამორთმევა რუსთა პოზიციებს ჭარში უფრო მეტად შეასუსტებდა. ოსმალეთ-სპარსეთთან ომი მიმდინარეობდა, ხოლო რუსეთს საკმაო ძალები ჯერ კიდევ არ გააჩნდა ჭარელ-ლეკთა სრული განიარაღებისათვის; ეს მით უფრო, რომ 1803—1806 წლების განმავლობაში რუსთა გამუდმებულმა სამხედრო ექსპედიციებმა ჭარში სანუგეშო შედეგები ვერ გამოიღო.

1807 წ. იანვარში გენ. ორბელიანს კიდევ მოუხდა ჭარ-ბელაქნის „ხელახალი დაპყრობა". მან კიდევ ერთჯერ დააფიცა ჭარელი ლეკები რუსეთის ერთგულებაზე; იგი სწერდა გუდოვიჩს: „ჭარის პროვინციის ყველა სოფლის ლეკები ახლა სავსებით დავიმორჩილეთ და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ერთგულებაზე დავაფიცეთ"-ო. ამასთან დაკავშირებით ჭარელები აღიარებდნენ, რომ მათ რუსეთის ერთგულებაზე ჯერ კიდევ 1803 წ. დაიფიცეს, შემდეგ 1805 წელსაც გაიმეორეს ეს ფიცი და წერილობითი ვალდებულებით იკისრეს ხარკის გადახდა, „მაგრამ, — განაგრძობენ ისინი,—როგორც ფიცი...ისე პირობა ჩვენ სიბრიყვისა და უცოდინარობის გამო დავარღვიეთ, თავს ვესხმოდით საქართველოს, ვქურდობდით, ვმტაცებლობდით და ტყვეებად მიგვყავდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ქვეშევრდომნი. ასეთი მოქმე-

[1] Акты, т. III, № 587, გვ. 320.
[2] Акты, т.III, 587, გვ. 321.

დებით დავიმსახურეთ სასჯელი...ყოველივე ეს გულწრფელად მოვინანიეთ და ღმერთსა და ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს პატიება ვთხოვეთ...''[1].

მორჩილების აღიარება ნაკარნახევი იყო ჭარელთა დროებითი მარცხით. იგი დიდს ვერაფერს ჰპირდებოდა რუსეთის მთავრობას, რომელსაც ამის შემდეგაც ბევრჯერ დასჭირდა ექსპედიციების მოწყობა და კიდევ ხელახალი პირობის მიღება. ეს ცერემონიალი გრძელდებოდა საინგილოს საბოლოო დაპყრობამდე.

1808 წ. მაისში, როდესაც ცნობა იყო, რომ დაღისტანში საქართველოზე თავდასხმისათვის ემზადებოდნენ, გუდოვიჩი ლმობიერი ტონით მიმართავდა „ერთგულ ჭარელებს"[2] (უფრო ადრე კი იგი მათ მოთხრას უქადდა). ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ ამ დროისთვის საქართველოში რუსთა რაზმების რიცხვი 9000 კაცამდე ძლივს აღწევდა[3].

1807 წ. 18 ივნისს რუსეთსა და საფრანგეთს შორის დადებულ ზავთან ერთად დროებითი ზავი დაიდო ოსმალეთთანაც. მაგრამ ეს შეთანხმება მალე დაირღვა, საომარი ოპერაციები განახლდა 1809 წლიდან. ამ დროს გენ. ორბელიანი ფოთთან იბრძოდა, ხოლო საქართველოს ახალი მთავარსარდალი ტორმასოვი, რომელიც მაშინ ჭარელებს ლმობიერად ეკიდებოდა, მათ სწერდა, რომ ჭარში მალე მიავლენდა ორბელიანს. ამ დროს ჭარელებს გართულებული ურთიერთობა ჰქონდათ შაქის სახანოსთან და ცდილობდნენ, რომ იქ ხანად დაესვათ სასურველი კანდიდატი. ამ სურვილის განხორციელებას ისინი რუსთა დახმარებით ცდილობდნენ[4]. მაგრამ, მიუხედავად ასეთი დროებითი შეხმატკბილებისა, ტორმასოვის მთავარმმართველობის დროსაც ჭარელები დამშვიდებული არ იყვნენ.

აბრაგთა პარტიების თავდასხმები, ჭარის გადმოვლით, კვლავ გრძელდებოდა. ისტორიკოს დავით ბატონიშვილის გადმოცემით, ვერც ტორმასოვმა ალაგმა ეს თავდასხმები, „ლეკები" „მარადის რყუნიდიან დაბებსა და სოფლებსა საქართუ(ლოსასა და მარადის სტაცებდიან რუსთა და მათთა ყ)ზახთა ცხენთა პოლკებთასა; და

---

[1] ამას მოსდევს ძველად ნაკისრ ვალდებულებათა განმეორება (Акты, т. III, № 589, გვ. 324).

[2] იქვე, გვ. 325.

[3] Дубровин, т. IV, 417.

[4] Акты, т, IV, № 803, გვ. 542.

ჟო ფრიად განუსვენებლობად და ოხრება მათგან, თუმცა ღა ზოგად უსნიცა ამარცხებდიან, მაგრამ იგინი არაოდეს განეყენებოდიან ეულებათა თვისთა, ვითარცა მგელნი მტაცებლობისაგან ცხო-ერთასა"[1].

1811 წელს საქართველოს მოსახლეობა საერთოდ მძიმე სა-ურსათო კრიზისს განიცდიდა. ასეთ ვითარებაში რუსთა რაზმე-ისათვის მოსახლეობას უკანასკნელ სანოვაგეს ართმევდნენ. ამას ედ ემატებოდა გადასახადის ამკრეფი მეფის მოხელეების ბოროტ-ოქმედება. 1811 წ. 31 იანვრის განკარგულებით ტორმასოვი ჭარ-იაც გზავნიდა სპეციალურ მოხელეს პურის შესასყიდად[2]. „შეს-იდვა" რა თქმა უნდა, მცირე ფასებში წარმოებდა. ეს ფაქტი-ურად მითვისებას უდრიდი, რადგან მთავრობა ბაზარზე არსებულ ასებთან შედარებით რამდენჯერმე ნაკლებს იხდიდა.

1812 წ. თებერვალში დაიწყო კახეთის გლეხთა დიდი აჯან-ება[3], რომელიც მეფის რუსეთის რეჟიმმა წარმოშვა. ახალი რეჟი-ის დამყარებამ უფრო მეტად დაამძიმა გლეხთა ფეოდალური ექს-ლოატაციის უღელი. გამუდმებული ომიანობის დროს მოსახლეო-ას აწვა მძიმე სატრანსპორტო ბეგარა. სოფლებში ჩაყენებული ბაზები თვითნებობდნენ და შეურაცხყოფდნენ გლეხთა ოჯახებს. ანაწამებ გლეხებს სანატრელი გაუხდათ ქართლ-კახეთში მეფის ელისუფლების დრო. ისინი გააფთრებით იბრძოდნენ თავიანთი დგომარეობის შემსუბუქებისათვის. ამასთანავე ბაგრატიონთა დი-ასტიის აღდგენისათვის მებრძოლ ფეოდალთა ერთი ნაწილი ცდი-ლობდა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა გლეხთა შეიარაღე-ული აჯანყება[4]. ფეოდალთა ამ პარტიას მეთაურობდა ირანში ყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ამ დროს წერილებს ზავნიდა ჭარში, დუშეთში, ქიზიყსა და დაღისტანში. ალექსანდრე ოუწოდებდა ყველას საერთო გამოსვლისაკენ, რათა აღდგენილიყო ბაგრატიონთა სამეფო სახლის ძველი პრივილეგიები.

1812 წ. შემოდგომაზე ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე კა-ხეთშია და ცდილობს რუსთა წინააღმდეგ ძლიერი გამოსვლის მოწ-

---

[1] დავით ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[2] Акты, т. IV. № 811, გვ. 544.

[3] კაკვიძე. გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ., თბილისი, 1941.

[4] Хачапуридзе Г. В. К истории Грузии первой пол. XIX в. Тбилиси, 1950, გვ. 116.

ყობას. მას ხელს უწყობენ ყუბის გადაყენებული ხანი შიხ-ალი და ყაზი ყუმუხის ხანი სურხაი.

1812 წ. ოქტომბერში ირანის სარდალმა ფირ-ყული-ხანმა სცადა დაღისტანში შესვლა შაქის სახანოს გავლით, მაგრამ მარცხი განიცადა. ირანის მორიგმა დამარცხებებმა რუსთა მოწინააღმდეგე ბანაკს იმედი გადაუწურა. ამითაც აიხსნებოდა, რომ ჭარ-დაღისტნიდან 1812 წ., ირანთან ომის ვითარებაში და კახეთის აჯანყების მომენტში, რაიმე სერიოზულ გამოსვლას ადგილი არ ჰქონია.

აჯანყების დაწყების პირველ დღეებში ყაზახის მოურავი ბებუთოვი საქართველოს მთავარმმართველ მარკიზ პაულუჩს აცნობებდა, რომ ჭარელებმა დადებითად უპასუხეს ყაზახის აღალარების მიმართვას—უარი თქვეს კახეთის აჯანყებულებთან შეერთებაზე. ჭარელები ამ მომენტში პირფერულად აცხადებდნენ, რომ მათ ორჯერ უარყვეს აჯანყებულთა წინადადება დახმარების აღმოჩენის შესახებ[1]. ასეთი განცხადების გვერდით ჭარელი მებატონეები მიმართავდნენ აგრეთვე შარვანის ხანს—მუსტაფას, რომელსაც თხოვდნენ აჯანყებულებთან შეერთებას და დასძენდნენ, რომ ჭარში ყველა მზად იყო გამოსვლისათვის. მაგრამ მუსტაფა-ხანი ჭარელებს არ მიემხრო. ახლა ისინი ემუქრებოდნენ შაქის ფეოდალებს, მაგრამ არც ამას მოჰყოლია შედეგი[2].

ჭარელები, როგორც ჩანს, ფარულად უწყობდნენ ხელს აჯანყებულებს[3]. რუსეთის მმართველობა კი განზრახ სდუმდა, თითქოს ᲫᲗ მოქმედებას ვერ ამჩნევდა. ეს ალბათ იმიტომ, რომ მდგომარეობის გამწვავებას ერიდებოდა.

ჭარელთა ერთი ნაწილი შველოდა აჯანყებულებს სიღნაღში მყოფი რუსთა გარნიზონის გაჟლეტაში. მთავარმმართველი პაულუჩი მოითხოვდა ჭარელი უფროსებისაგან განმარტებას, თუ რატომ მოხდა, რომ ჭარელები რუსთა წინააღმდეგ გამოვიდნენ[4]. მთავარმმართველი რტიშჩევი ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ „ჭარელთა უდიდესი ნაწილი კახელ აჯანყებულებთან ერთად იბრძოდა“, მათ თავიანთ სოფლებზე „გამოატარეს კახეთისაკენ დაღისტნელები და ავარელი უგუნური ალისკანტი...[5].

---

[1] Маркова. Восстание в Кахетии 1812 г., გვ. 181.

[2] იქვე.

[3] სწორი არაა მარკოვა, როდესაც თვლის, რომ ჭარელები კახეთის აჯანყების დროს რუსთა წინააღმდეგ არ გამოსულან და ეს რუსთა მოქნილი პოლიტიკის შედეგი იყო (დასახ. ნაშრ., გვ. 181—182).

[4] Акты, т. V, გვ. 73, 129.

[5] იქვე, № 684, გვ. 573.

როგორც ჩანს, ჭარელი პოლიტიკოსები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მაშინ რუსეთისათვის შექმნილი მძიმე მდგომარეობა და თავი დაეღწიათ მათზე დაკისრებული ხარკისაგან. საქართველოს მთავარმმართველ რტიშჩევისადმი წერილში ისინი თითქოს ძველი ცოდვების მონანიების ტონით იწყებდნენ თავიანთი „ერთგულების“ დასაბუთებას: „მთელი ერეულობანი. და უბედურებანი ჩვენ შეგვემთხვა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან“... ამასთანავე დასძენდნენ, რომ ისინი მაშინ დაამტკიცებდნენ თავიანთ ერთგულებას, როდესაც რტიშჩევს „მიართმევდნენ შებოჭილ მოღალატეებს“[1]. ასეთი და მსგავსი განცხადებები ჭარელებს სურდათ მხოლოდ ერთი მიზნისათვის—აღედგინათ თავიანთი ძველი მდგომარეობა.

საომარი ვითარებისა და კახეთის აჯანყების პერიოდში რუსეთის მმართველობასთან გარეგნული სამშვიდობო ურთიერთობის ფორმებით გათამამებული ჭარელები, ომის დასრულებისა და აჯანყების დამარცხების შემდეგაც, განაგრძობდნენ ცდებს თავი დაეღწიათ ხარკისაგან. 1813 წ. 24 იანვრის წერილში რტიშჩევისადმი ისინი ჩამოთვლიდნენ თავიანთ „დამსახურებებს“ მთავრობის წინაშე მაშინაც კი, როდესაც რუსეთს „მთელი სამყარო აუჯანყდა“ და ჯილდოსაც ითხოვდნენ[2]. მაგრამ ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთს ომები დასრულებული ჰქონდა და ჭარელთა მოფერება საჭირო აღარ იყო. საპასუხო წერილში ტორმასოვი ამხელდა მათ მოქმედებებს 1812 წ. და დასძენდა, რომ მათი „სამსახურისათვის“ ისინი დაჯილდოებული უნდა ყოფილიყვნენ „ჩერვონცებით კი არა, არამედ ზარბაზნებითა და ხიშტებით“. მთავარმმართველი ჭარელებს ერთი თვის ვადას უდებდა ძველ დავალიანებათა დასაფარავად[3].

რუსეთმა გამარჯვებით დაასრულა ომი როგორც ოსმალეთთან, ისე ირანთან. მართალია, ფოთი და ახალქალაქი ისევ ოსმალებს დაუბრუნდათ, მაგრამ მოწინააღმდეგე იძულებული გახდა უარი ეთქვა დასავლეთ საქართველოზე. ამავე დროს ოსმალეთი ხელს იღებდა ბესარაბიაზე, რომელიც რუსეთის ხელში გადავიდა[4]. გაცილებით უფრო დიდი წარმატებით დასრულდა ომი ირანთან,

[1] Акты, т. V, № 681, გვ. 571.

[2] Акты, т. V, № 679, გვ. 571—572.

[3] იქვე, № 684, გვ. 572—573.

[4] ხავი დაიდო ბუქარესტში 1812 წ. 16 მაისს (История СССР, т. II, 1947 გვ. 60).

რომელიც რუსთა მიერ ლენქორანის აღების შემდეგ (1812 წ. 31 დეკემბერი) ზავზე დათანხმდა. ირანმა რუსეთისად სცნო ყარაბაღის, განჯის, შაქის, შარვანის, დარუბანდის, ყუბის, ბაქოსა და თალიშის სახანოები. ზავის მე-5 მუხლის საფუძველზე მხოლოდ რუსეთს შეეძლო ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი კასპიის ზღვაზე[1].

მომდინარე ომის პირობებში მეფის რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფო, დაიპყრო სუხუმი, მფარველობაში მიიღო აფხაზეთისა და გურიის სამთავროები. ამრიგად, რუსეთის ბატონობის ქვეშ ექცეოდა ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე. ამიერიდან მთავრობისათვის ერთი სერიოზული საზრუნავი საგანი მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნება იყო.

ჭარ-ბელაქნის საბოლოო დამორჩილების საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩებოდა. ჭარის ზურგში კვლავ იდგა დაღისტანი, სადაც რუსეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოები თავიანთ ბაზას იქმნიდნენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ომების დასრულების შემდეგ, ვიდრე მეორე ომამდე, ჭარ-ბელაქანი წინანდელთან შედარებით წელში გატეხილი იყო და აშკარა ურჩობას ვერ ბედავდა. არც რუსეთი ადგა მის მიმართ მკაცრ პოლიტიკას. იგი რამდენადმე ანგარიშს უწევდა ჭარში გაბატონებულ კლასს, რომლის სახითაც თავის დასაყრდენს ჰქმნიდა.

ზოგჯერ რუსეთის მთავრობა კიდეც ცდილობდა, რომ გამოეყენებინა ჭარ-ბელაქნელები ურჩი დაღისტნელების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ცდა მიზანს ვერ აღწევდა. მაგ., მთავარმმართველი ერმოლოვი 1816 წ. სწერდა ანწუხელებს: „...ჭარელებსა და ბელაქნელებს, რომლებიც დიდი ხანია რაც თქვენს დამარხვას მოელიან, ყველა ბოროტებას ვაპატიებ...მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი რუსთა რაზმების დახმარებით წამოვიდნენ თქვენი საცხოვრებელი ბინების, ცოლებისა და შვილების გასანადგურებლად...“[2]. ეს იყო მხოლოდ ტაქტიკური მანევრი. ამ მიმართულებით ჭარელებს არაფერი არ გაუკეთებიათ რუსეთის მთავრობისათვის.

ჭარ-ბელაქნელი ფეოდალებისა (აღალარების) და დაღისტნელი აბრაგების შეერთებული გამოსვლები უმეტესად ოსმალეთისა

---

[1] ზავი დაიდვა გულისტანში (ყარაბაღშია) 1813 წ. 12 ოქტომბერს (იქვე, გვ. 60).

[2] Акты, т. IV, ч. II, № 67. ციტირებულია პეტრუშევსკის დასახ. წიგნიდან (გვ. 85).

და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანების ინსპირირებით ხდებოდა. ჭარელი მოლები და გაბატონებული ფენები თავიანთ უზენაეს ხელმწიფედ სულტანს—„ფადიშაჰს“ თვლიდნენ და რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის გართულების შემთხვევაში თვალი ოსმალეთზე ეჭირათ.

1822 წ. ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის შესახებ ხმების გავრცელებასთან დაკავშირებით ჭარ-ბელაქანში რუსთა წინააღმდეგ გამოსვლა მზადდებოდა. რუსთა სარდლობამ იქ სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა. ამის შესახებ ი. გრიშაშვილი წერს:

„კახეთში მდგომ რუსის ჯარის მთავარსარდალმა თავადმა ერისთავმა შეაგროვა რაზმი, რომელშიაც ნიჟეგოროდელთა დივიზიონიც შედიოდა ალ. ჭავჭავაძის უშუალო მეთაურობით. ექსპედიცია წარმატებით დამთავრდა და ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი დივიზიონით თავი ისახელა 1822 წლის 3 მარტს, სოფ. კოტეხის (კატეხის, მ. დ.) მახლობლად. აქ ჩვენმა პოეტმა, ავანგარდში ყოფნისას, იერიშით აიღო ის სანგრები, რომელიც სოფელს იცავდა“[1].

აღნიშნულის შემდეგ ჭარ-ბელაქანში თითქოს გარეგნული სიმშვიდე ჩანდა. ასე გრძელდებოდა ირანთან ახალი ომის დაწყებამდე.

ირანთან ომით (1826 წ.) იქმნება ახალი პოლიტიკური ვითარება. ირანის შემოჭრამ ამიერკავკასიის რუსულ სამფლობელოებში, მისმა დროებითმა გამარჯვებებმა დასაწყისში, რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკი აამოძრავა. აზერბაიჯანის ხანები მოელოდნენ ამ ომში ძველი პოლიტიკური ხელისუფლების აღდგენას[2]. დაღისტანში ძლიერდებოდა მიურიდული რეაქცია.

ამ დროს ჭარში დიდი გავლენით სარგებლობდა ჩემჩელის საგვარეულოს წარმომადგენელი ჰაჯი-მაჰმუდი. მაქაში მოგზაურობის შედეგად მას „წმინდანს“ ეძახდნენ. იგი დაკავშირებული იყო ალექსანდრე ბატონიშვილთან. მასვე მიუღია 1826 წ. ირანის გზით ჭარში შემოსული ინგლისელი აგენტი პოლკოვნიკი მონტისი, რომელიც აქ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა და ასრულებდა თავისი მთავრობის დავალებას, რომ რუსთა ბატონობის წინააღმდეგ აემხედრებინა მთელი მაჰმადიანური სამყარო. ჰაჯი-მაჰმუდი ხელს უწყობდა მას და ცდილობდა გავლენა მოეხდინა მოსახლეობაზე, რომ დაწყებულ ომში ირანის მხარეზე გამოსუ-

[1] ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 30.

[2] პეტრუშევსკი. დასახ. წიგნი, გვ. 95.

ლიყვნენ. ეს კავშირი არ გამოჰპარვია რუსეთის მთავრობას, რომელიც ჰაჯი-მაჰმუდს უპირისპირებდა სერიოზულ მეტოქეს—ბელაქნის ქევხას—მურთუზ-ალის; ეს უკანასკნელი ამ მომენტში წამოდგენილი იყო „თებელის თოხუმის (საგვარეულოს) უფროსად", ნამდვილად კი იგი გამუსლიმანებული ვაჩნაძე იყო და მას, როგორც ბელაქნის მფლობელთა წარმომადგენელს, იქ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

მურთუზ-ალი-ვაჩნაძეს ამავე დროს მჭიდრო კავშირი ჰქონია მაშინ ცნობილ ქურდ-ავაზაკებთანაც; იგი დაკავშირებული ყოფილა აგრეთვე რუსეთის მთავრობასთან, რომელიც მას საპირო კაცად თვლიდა. განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ ვაჩნაძეს რუსი მოხელეები, რადგან იგი ყოფილა ჭარსა და ბელაქანს შორის განჭეთქილების მთავარი ფიგურა[1].

რუსეთის მთავრობას მრავლად ჰყავდა აგენტები ჭარ-ბელაქანში; ასეთები იყვნენ მიწისმფლობელები ყურბან-მაჰმუდი—წაბლოვანში, ცადარ-ოღლი—კატეხში, რაჯაბ-აღა—„ძველი უანგარო ლოთი და კარგი შპიონი"—თალაში. ჯინიხის უფროსები მამედ-ჰასან-აღა და მისი ძმა ჯევად-აღა რუსეთის მთავრობას ერთგულებდნენ.

ირანთან ომის დაწყების წინ ჭარ-ბელაქანში რუსეთის მთავრობას ბევრი მომხრე გააჩნდა, მაგრამ რუსთა მოწინააღმდეგე პარტია გაცილებით უფრო ძლიერი იყო. 1826 წ. აქ მზადდებოდა გამოსვლა, რომელიც მიზნად ისახავდა ჭარის დამოუკიდებლობის აღდგენას ირანის შემწეობით. ივლისში ჭარელებს დაუკავშირდნენ ყაზი-ყუმუხის ხანი—სურხაი და მისი დამქაში ბეიბულათი.

ჭარში შეკრებილმა გაფართოებულმა ჯამაათმა მოციქულები გაუგზავნა აბას-მირზას, რომელსაც სთხოვდა რუსთა წინააღმდეგ გამოსვლას; ჭარელები აცხადებდნენ მზადყოფნას მასთან შესაერთებლად. დეპუტაცია გაიგზავნა ნუხაშიც, სელიმ-ხანის შვილთან, რომელსაც აგრეთვე ჭარში იწვევდნენ...რწმუნებულთა დაბრუნებამდის ჭარელები ჯგუფურად თავს ესხმოდნენ კახეთს.

1826 წ. 2 აგვისტოს 200 ჭარელი თავს დაესხა ნიეგოროდის დრაგუნთა პოლკს ყარაღაჯში, დაატყვევა რამდენიმე კაცი და სოფელი გადასწვა. ამის გამო ერმოლოვმა მუქარით სავსე პროკლამაცია გაგზავნა ჭარში[2].

---

[1] „Мы его держали в страхе, сами стерегались, но и оберегали от личных его врагов, так как со смертью его лишились бы полезного для нас соперника джарцев и белаканцев" (Волконский. Война на Вост. Кавказе. „Кав. сб.", т. XI, зд. 19).

[2] Кав. сб., т. XI, зд. 21.

სურხაი-ხანი მთებში ლეკთა რაზმებს აგროვებდა. ემზადებოდნენ ჭარელებიც, რომლებიც ერმოლოვის პროკლამაციამ ვერ შეაშინა. კახეთში პანიკა ვრცელდებოდა. სურხაი-ხანს შაქელებსა და შარვანელებთან ერთად კახეთზე თავდასხმა განეზრახა. საფრთხე კარზედ ადგათ რუსებს. ჭარელებზე დიდი გავლენა მოახდინა აბას-მირზას პროკლამაციამ, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ „უსათუოდ ცდილიყვნენ გაენადგურებინათ რუსთა რაზმები, ქართველებისა და სომხებისთვის არამც და არამც ხელი არ ეხლოთ“[1]. ირანის შაჰი ცდილობდა ომი გაეჩაღებინა რუსთა რაზმების ზურგშიაც, სადაც მას განხეთქილება შეჰქონდა, მაგრამ უშედეგოდ.

მალე დაბრუნდნენ ჯამაათის მიერ გაგზავნილი ჭარელი დეპუტატები, აბას-მირზას „დაპირებებით გაბედნიერებულნი“. „ჭარელთა აჯანყება,—შენიშნავს ვოლკონსკი,—საყოველთაო გახდა“. მათ მისწერეს სურხაი-ხანს, ჩქარა წამოსულიყო, ელისუს სულტანსკი—ეხლავე დაეწყო რუსებთან ომი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაანადგურებდნენ.

სექტემბრის პირველ რიცხვებიდან გაჩაღდა აბრაგული თავდასხმები კახეთის სოფლებზე. მიუხედავად ამისა ჭარელთა აჯანყება ვერ განვითარდა. აჯანყების შენელებას ხელი შეუწყო რუსების პირველმა გამარჯვებამ აბას-მირზას რაზმებზე (1826 წ. 3 სექტემბერს შამქორთან); ამას სურხაი-ხანის გარდაცვალებაც ზედ დაერთო. ვოლკონსკის თქმით, სურხაი მეოთხედი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა „ჭარელთა იმედს რუსთა წინააღმდეგ ბრძოლაში“. ეს მართლაც ლახვარი იყო მათთვის, მაგრამ ისინი მაინც არ სწყვეტდნენ ბრძოლას და თავს ესხმოდნენ კახეთს. გააქტიურდა ალექსანდრე ბატონიშვილიც.

1826 წ. 13 სექტემბერს, განჯასთან, რუსებმა სასტიკად დაამარცხეს აბას-მირზას რაზმები. ირანელები შაქის ხანთან ერთად გაიქცნენ. გაიქცა ალექსანდრე ბატონიშვილიც. ამის შემდეგ ერმოლოვმა ჭარში სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა. ბელაქნელმა უფროსებმა მორჩილება გამოუცხადეს რუსთა რაზმების სარდალ ერისთავს. თემების გაერთიანებულმა ჯამაათმა, თალასა და ბელაქნის მთავარი ქევხების მეშვეობით, ერისთავს საზავო წინადადება წაუყენა: თავისუფალი თემები გააძევებდნენ დაღისტნელებს, გასცემდნენ მძევლებს და აუნაზღაურებდნენ რუსეთის მთავრობას კახეთის სოფლებზე თავდასხმების შედეგად მიყენებულ დანაკარგებს,

---

[1] Кав. сб., т. XI, 23.

ოლონდ ერისთავს თავისი რაზმები ალიაბათისაკენ უნდა წაეყვანა[1]. ალიაბათთან რაზმების წაყვანა დიპლომატი ქევხების ანგარიშით იმას უდრიდა, რომ რუსებს სურსათი ლეკური ოჯახებისაგან კი არა, არამედ ინგილოებისაგან უნდა მიეღოთ.

1826 წლის მოძრაობაში მონაწილეობა დაღისტნელმა მიურიდებმაც მიიღეს, მაგრამ, როგორც პეტრუშევსკი შენიშნავს, არსებული წყაროებიდან მაინც არ ჩანდა, „რომ ამ პერიოდში მიურიდიზმმა ჭარის ოლქში ღრმა ფესვები გაიდგა". ჭარელები დაღისტნელი მიურიდების „თანამგზავრებად" გამოდიოდნენ[2].

1826 წ. 28 დეკემბერს ერმოლოვი სწერდა რუსეთის მეფეს, რომ მან ჭარი „დაამშვიდა" და „დაიმორჩილა"[3]. დამარცხებული ჭარელი უფროსები პირობას უდებდნენ ერმილოვს, რომ უკვე აღარ აჯანყდებოდნენ. ამავე პირობიდან ჩანდა, რომ მათ ზემოხსენებული გამოსვლა რუსეთ-ირანის ომს შეგნებულად დაუკავშირეს[4].

1828 წლის ბოლო და 1829 წ. დასაწყისი ჭარში წარმოადგენდა უჩვეულო სიმშვიდის პერიოდს, მაგრამ 1829 წლის ბოლოს მდგომარეობა ისევ გამწვავდა. როგორც ჩანს, ჭარელები ახალი გამოსვლისათვის საბაბს მოელოდნენ და საბაბიც მალე დაუდგათ.

საქართველოს ახალი მთავარმმართველის — პასკევიჩის განკარგულებით ოსმალეთთან მიმდინარე ომის გამო ჭარში, ისე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, მილიცია უნდა შეეკრიბათ. ამ გარემოებამ იქ წინააღმდეგობა წარმოშვა. ვოლკონსკის გადმოცემით, მღელვარების დაწყების მიზეზი ის გახდა, რომ ხმა გავრცელდა თეირანში რუსეთის წარმომადგენლის — გრიბოედოვის მოკვლის შესახებ, რასაც ხალხის წარმოდგენით ახალი ომი უნდა მოჰყოლოდა[5]. ჭარელებს აჯანყების საბაბად პირველი მიზეზი უფრო გამოადგებოდათ.

1829 წ. გამოსვლა ჭარში არ ატარებდა მასიურ ხასიათს. ეს უფრო ფარულ მოძრაობას, მის სამზადისს ჰგავდა; აშკარა ბრძო-

---

[1] Акты, т. VI, ч. I, № 1184; პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., 100.

[2] პეტრუშევსკი. 100—101.

[3] „По назначению моему часть весьма богатых садов вырублена, сломано несколько хороших домов и джарцы не сделали ни одного выстрела, приемля наказание справедливо налагаемым" (Акты, т. VI, ч, I. № 1187, გვ. 795). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ჭარელთა მოთმინება დანაშაულის მონანიებას არ გამოხატავდა.

[4] იქვე.

[5] Кав. сб., т. XI, გვ. 129.

ლები არ გაუმართავთ. მხოლოდ ის მოხდა, რომ ჭარელებმა დაღისტნელების ერთ ძლიერ რაზმს „გზა გაუხსნეს“ კახეთის დასარბევად და „საიდუმლო დავალებით 3 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია ოსმალეთში გაგზავნეს“[1]. ამ წლის მოძრაობის განვითარებას, როგორც ჩანს, საგარეო ვითარებამ ხელი ვერ შეუწყო. ასევე არახელსაყრელი ჩანდა ჭარის საშინაო ვითარებაც.

ოსმალეთ-სპარსეთთან ომში რუსეთის მიერ მიღწეულმა გამარჯვებებმა დიდი გავლენა მოახდინა ჭარზე, ისე როგორც კავკასიის მთიანეთზე საერთოდ. ჭარელები თავს დამარცხებულად გრძნობდნენ და უყოყმანოდ ასრულებდნენ კახეთის სამხედრო ოლქის უფროსის მოთხოვნებს[2]. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა მათ საბოლოო დამორჩილებას. ისინი კვლავ მოელოდნენ ხელახალ გართულებებს და რუსთა წინააღმდეგ გამოსვლისათვის შესაფერი მომენტის შექმნას.

3. აღმოსავლეთ კახეთის შემოერთება

ომის შედეგად (1826—28 წწ.) ირანი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მეფის რუსეთის ყველა მოთხოვნა; მან დაჰკარგა ერევნისა და ნახჩევანის სახანოები. ამიერიდან ირანთან საზღვარი არაქსისა და არფა-ჩაის გასწვრივ მიიმართებოდა. ასევე ძლევამოსილად დასრულდა ომი ოსმალეთთან (1828—29 წწ.), რომელიც საბოლოოდ განიდევნა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან—ანაპიდან ვიდრე მდ. ჩოლოქამდე. რუსეთმა ხელიდან გამოგლიჯა ოსმალო დამპყრობლებს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი ფოთის, ახალციხის, ახალქალაქისა და აწყურის ციხეებითურთ. რუსეთი ამ ომების შედეგად შავ ზღვაზე გაბატონდა და კიდევ უფრო განმტკიცდა ამიერკავკასიაში.

მიმდინარე ომებში რუსეთის გამარჯვების ერთი მთავარი პირობა იყო აგრეთვე ის, რომ იგი ქართველი ხალხის ენერგიული მხარდაჭერით სარგებლობდა. ქართველობა რუსებთან ერთად წარმატებით ებრძოდა თავის ისტორიულ მტრებს—ოსმალე-

---

[1] Кав. сб. т. XI, გვ. 131—134.

[2] ოლქის უფროსის მოთხოვნით ჭარელებმა დაკმაყოფილეს მათი თავდასხმების შედეგად დაზარალებულები, განიხილეს 400-დე ქართველის საჩივარი და ყველასათვის საზღაურის მიცემა გადაწყვიტეს. (Акты, т VII, № 377, გვ. 439).

თისა და ირანის მტაცებლურ სახელმწიფოებს და მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა.

აღნიშნულ გამარჯვებათა შემდეგ რუსეთის წინაშე ამიერკავკასიაში იდგა მეტად სერიოზული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

ამ დროისთვის ჰორიზონტზე უკვე ჩანდა ისეთი ფრიად საეიფათო და მზარდი მოძრაობა, როგორიც რეაქციული მიურიდიზმი იყო. ენერგიული და სწრაფი მოქმედების აუცილებლობას კარნახობდა აგრეთვე ის მწარე გამოცდილებანი, რომლებიც რუსეთმა აქ მიიღო თითქმის მესამედი საუკუნის მანძილზე.

მიუხედავად ჩვენ მიერ უკვე აღნუსხული სამხედრო ექსპედიციებისა და სამფარველო თუ საზავო ხელშეკრულებების მრავალგზის გაფორმებისა, ჭარ-ბელაქანი რუსეთისათვის მაინც სახიფათო რჩებოდა; იგი ჯერ-კიდევ დაუპყრობელი იყო. რუსმალეთ-სპარსეთთან ომის დასრულების შემდეგ ჭარის საბოლოო შემოერთების ამოცანა, რომელიც დაღისტნის დაპყრობის საქმეს უშუალოდ უკავშირდებოდა, პირველ რიგში უნდა გადაწყვეტილიყო, ეს კარგად ესმოდა რუსეთის მთავრობას და კერძოდ საქართველოს მთავარმმართველ პასკევიჩს, რომელმაც ხსენებული ომების წარმატებით დასრულების შემდეგ ფელდმარშლის სამხედრო წოდება მიიღო.

პეტრუშევსკის შენიშვნით, ჭარის ოკუპაციისათვის „საჭირო იყო, რუსთა მიერ შემოღებული წესის თანახმად, წარმოსადეგი საბაბი,—და ცდილობდნენ ასეთი საბაბის პოვნას"[1], და შემდეგ—„სახარკო დავალიანებები მხოლოდ საბაბი იყო...რუსეთთან ჭარის საბოლოო შეერთებისათვის"[2].

რუსეთის მთავრობას ჭარის საბოლოო შემოერთებისათვის საბაბი საძებარი როდი ჰქონდა; ასეთი საბაბი უამრავი იყო და არც ისე გაუმართლებელი. რაც შეეხება მითითებულ დავალიანე-

[1] პეტრუშევსკი. 102.

[2] იქვე, გვ. 105. პეტრუშევსკის „აქტების" VII ტომიდან (№ 21) ამოაკვს დავალიანებათა ცხრილი, რომლის მიხედვით 1830 წ. 1 იანვრისათვის ამიერკავკასიის ყველა ოლქში დიდ დავალიანებას აქვს ადგილი; ასე, მაგ., საქართველოში—210555 მან. მუსლიმანურ პროვინციებში 604.190 მან., ჭარში—47054 მან. შემოსავალთან შედარებით მდგომარეობა მეტად მტკივნეული იყო ჭარში, მაგრამ, როგორც ვხედავთ, დავალიანების თვალსაზრისით იგი გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

ბებს, იგი, რა თქმა უნდა, გამოდგებოდა საბაბად, მაგრამ მისი გამოყენება პასკევიჩს მაინცდამაინც არ უცდია. დავალიანებები იყო ერთი საბაბი მრავალთა შორის.

პასკევიჩი ჭარის ოკუპაციის აუცილებლობას საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზით ასაბუთებდა; მათ შორის მთავარი ის იყო, რომ ჭარი წარმოადგენდა დაღისტნიდან მომდინარე თავდასხმების საბუდარს, ნიადაგ მღელვარე მხარეს, რომელსაც რუსთა რაზმები მუდმივი მობილიზების მდგომარეობაში ჰყავდა; ამ მიზეზს რუსეთის მთავრობა არ მალავდა; რა თქმა უნდა, მას უყვარდა მომიზეზების უფრო შენიღბული ფორმები, რომლებსაც არც ახლა ივიწყებდა, როდესაც კახეთის „დაცვისათვის“ ზრუნვას საერთო მიზეზებს უერთებდა, მაგრამ მაინც ცხადად ჩანდა, რომ ჭარის შემოერთება საქართველოში და კერძოდ კახეთში შინაური სიმშვიდის დამყარებისათვის აუცილებელი პირობა იყო.

ვოლკონსკი მიუთითებს და პეტრუშევსკი იმეორებს, რომ ამ დროისთვის პასკევიჩმა არაფერი არ იცოდა დაღისტანში მიურიდიზმის გაძლიერებისა და პირველი იმამის—ყაზი-მოლას მოქმედების შესახებ და, თითქოს, პასკევიჩს ეს რომ სცოდნოდა, შეიძლებოდა, რომ მას შეეჩერებინა ჭარის ექსპედიცია, „მიეცა უპირატესობა ყაზი-მოლას წინააღმდეგ გამოსვლისათვის“[1]. ჩვენი აზრით, პასკევიჩი მაინც ვერ გადასდებდა ჭარის დაპყრობის ამოცანას, რადგან ამ ამოცანის გადაწყვეტის გარეშე დაღისტანს ლაშქრობა შეუძლებელი იქნებოდა. თვით პასკევიჩი მიუთითებდა, რომ ჭარის ექსპედიცია გამომდინარეობდა არა მარტო იმ სურვილიდან, რომ „განმტკიცებულიყო რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა ამიერკავკასიაში, არამედ იყო ნაწილი მის (პასკევიჩის, მ. დ.) მიერ დასახული გეგმის—დაღისტნის დაპყრობისა, რომელიც ამ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან უნდა დაწყებულიყო“[2].

1830 წ. 17 თებერვლისთვის რუსთა რაზმები უკვე სტეფანწმინდის მონასტერთან (ალაზნის ნაპირზე) იყვნენ დაბანაკებული. ჭარში გალაშქრების წინ პასკევიჩმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელიც წარმოადგენდა თავისებურ „საბრალმდებლო დასკვნას“, რომელშიც დასაბუთებული იყო საინგილოს შემოერთების აუცილებლობა. პროკლამაციაში თანმიმდევრობით იყო ჩამოთვლილი

---

[1] Кав. сб., т. XI, გვ. 182; პეტრუშევსკი, გვ. 106.

[2] პეტრუშევსკი. გვ. 105—6.

ჭარელ ლეკთა დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტები, ხასიათდებოდა მათი კავშირი რუსეთისათვის მტრულ ძალებთან[1]. მთავარმმართველი, რა თქმა უნდა, მთლად გულწრფელი ვერ იყო. თავისი მოქმედების მთავარ მიზნად იგი მცხოვრებთა დაცვას აყენებდა და ჩქმალავდა მთავრობის არსებით ინტერესებს.

პასკევიჩი ასკვნიდა, რომ აუცილებელი იყო საინგილოს „სრული ჩართვა“ „რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“ და ჩამოთვლიდა საამისო პირობებს:

1. ჭარ-ბელაქნის ხალხი ამიერიდან „სამუდამოდ“ უერთდება რუსეთის იმპერიას.

2. სამოქალაქო სამართალი რჩება ძველებურად. აპელაცია დასაშვებია რუსულ მმართველობაში, როგორც უმაღლეს ინსტანციაში, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს რუსული კანონების მიხედვით საოლქო მმართველობა განიხილავს.

3. ჭარში მუდმივ სამყოფელად რუსთა ჯარები ინიშნება.

4. ჭარ-ბელაქნელებს ეკისრებათ ყოველწლიური გადასახადი.

5. ერთგულების ნიშნად ლეკური სოფლები სათანადო მძევლებს გზავნიან.

6. ქართული—ინგილოური ანუ ალიაბათის სოფლები რჩებიან ძველს ურთიერთობაში ლეკებთან. რუსეთის ხელისუფლება კისრულობს ამ ურთიერთობის შენარჩუნებას „კანონიერ“ ფარგლებში.

მიუხედავად არსებული დამოკიდებული ურთიერთობის შენარჩუნებისა ინგილოების მდგომარეობა შედარებით მაინც უმჯობესდებოდა. რუსეთის მთავრობა მათ აძლევდა „პირად თავისუფლებას“, ნებას „გადასახლებულიყვნენ, სადაც მოისურვებდნენ“, უფლებას გამოესყიდათ თავი, რისთვისაც მებატონეებისათვის უნდა გადაეხადათ სავალდებულო ბეგარა-გამოსაღებთა ათი წლის ჯამი[2].

---

[1] „...нескончаемое никогда вероломство сих обществ, беспрерывные грабежи и разбой, несмотря на святость обязательств, нарушение общественного благосостояния мирных жителей, подвергающихся лишению имущества, жизни и плену...требуют, наконец, решительных мер к положению преград таковым злодеяниям“ (Акты, т. VII, гз. 442).

[2] „საბრალმდებლო აქტში“ ერთ საბაბად იყო გამოყენებული ისიც, რომ ჭარელი ლეკები „ავიწროებდნენ მათ მიერვე დამონებული ქართველი გლეხების ქრისტიანულ სარწმუნოებას“ (Акты, т. VII, № 379).

აღმოსავლეთ კახეთში ამიერიდან რუსული მმართველობა უნდა დანერგილიყო.

აღნიშნულ პროკლამაციას მიჰყვებოდა რუსთა და ქართველთა მრავალრიცხოვანი რაზმი. დროც კარგად იყო შერჩეული. დაღისტნიდან გადმოსასვლელი გზები თოვლს დაეფარა და უფოთლო ტყეები ვერ გამოდგებოდა თავდაცვისა თუ თავშესაფრის საუკეთესო საშუალებად. ჭარისაკენ მიმავალ რაზმებს თვით პასკევიჩი სარდლობდა.

ყურადღების ღირსია იმ ამბების მომსწრე ვოლკონსკის ცნობა სოფ. ჭარის სტრატეგიული მდგომარეობის შესახებ: „ალაზნის იქითა ლეკობის მთელი ძალებისა და საშუალებების ცენტრი, რა თქმა უნდა, იყო სოფ. ჭარი, რომელიც ღრმა ხეობაში, ციცაბო სიმაღლეებს შუა ძევს. იგი გადაჭიმული იყო ხეობის გასწვრივ 8 ვერსის მანძილზე და თავდებოდა მის ზემო წელში გამაგრებულ ადგილთან — ზაქათალასთან...ჭარი მცხოვრებთა ძლიერი თავდაცვისათვის უაღრესად ხელსაყრელ საშუალებებს ითვალისწინებდა, რადგან ყოველი სახლი (1200-დე) თავისი ღობით (სინამდვილეში ქვიტკირის ჯებირებით, მ. დ.), ბაღებითა და საცხოვრებლით, რომელსაც სათოფურები აქვს დატანებული, წარმოადგენდა მოწინააღმდეგისათვის განსაკუთრებულ პატარა ციხეს. ხეობის წვერთან ჯებირები უფრო ხშირდებოდა, მათ შუა მიმავალი ისედაც ვიწრო გზა კი სულ უფრო ვიწროვდება. ზაქათალის ცენტრში იმყოფებოდა ოთხკუთხოვანი ციტადელი, რომლის შუაში ქვის კოშკი იყო ამართული. ლეკები და ქართველები ზაქათალას მიუვალ სიმაგრედ თვლიდნენ; ამაში მათ კიდევ მეტად ის არწმუნებდა, რომ ჩვენმა ჯარებმა სამჯერ დაიკავეს სოფ. ჭარის ქვემო ნაწილები და ერთხელაც ვერ გადაწყვიტეს ზაქათლის აღება"[1].

მართლაც რომ სახიფათო სიმაგრე იყო ზაქათალა. პასკევიჩმა იგი თავისი მოქმედების უმთავრეს პუნქტად დაისახა.

24 თებერვალს პასკევიჩი რაზმებით მდ. ალაზანზე გადავიდა და სოფ. მუღალოსთან დაბანაკდა. ჭარელებმა, რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდნენ ამ მოძრაობის შესახებ. მათ გადაწყვიტეს თავდაცვისათვის მოეწვიათ სხვა თემებიც, ეთხოვათ დახმარება გადამთიელი საზოგადოებისათვის (ჯურმუთი, თებელი, ტაში, ანწუხი და კაპუჩი), მაგრამ ყველასგან უარი მიიღეს. ამის ერთი მიზეზი ის ჩანდა, რომ ამ დროს მთების გადმოლახვა ძნელი იყო. მა-

[1] Кавк. сб., т. XI, вз. 177.

შინ ჭარელებმა თვით გადაწყვიტეს ბრძოლა, მაგრამ მათ შორის განხეთქილება მოხდა, რის შედეგადაც ბელაქნელები, მუხახელები და ჯინიხელები საერთო ფრონტს გამოეთიშნენ. ჭარელებს სხვა გზა არ ჰქონდათ და ზავი ირჩიეს. 25 თებერვალს მათ თავიანთი რწმუნებულები გაგზავნეს პასკევიჩთან, რომელმაც ამ რწმუნებულებს პროკლამაციაში მოხაზული პირობები წაუყენა. წარმომადგენლები ჭარში დაბრუნდნენ, ხოლო რუსთა რაზმები წინსელას განაგრძობდნენ. 26 თებერვალს ისინი უკვე თალაში იყვნენ.

განხეთქილება ღრმავდებოდა საკუთრივ ჭარის შიგნითაც. ჯამაათი უკვე მთლიანად მერყეობდა. მაგრამ საბოლოოდ გადაუწყვეტია საკითხი მამასახლის ჰაჯი-მაჰმუდის გამოსვლას რუსეთის მხარეზე[1]. ჯამაათმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

პასკევიჩმა უომრად დაიკავა ჭარ-ბალაქანი. ამას ხელი შეუწყო ჭარში გაბატონებული კლასის შიგნით არსებულმა განხეთქილებამ, გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ[2].

ჭარელთა კაპიტულაციას არა მარტო საშინაო ვითარებამ შეუწყო ხელი. როდესაც ჭარელებმა პასკევიჩის მზადების შესახებ გაიგეს, წერილით მიმართეს მიურიდების პირველ იმამს—ყაზი-მოლას, რომელმაც წინასწარ მომზადების გარეშე შეუტია რუსეთის ერთგული ავარიის ხანის სარეზიდენციო ქალაქ ხუნძახს იმ მიზნით, რომ ჭარისაგან რუსთა ყურადღება აეცდინა. 12 თებერვლის ბრძოლაში ყაზი-მოლა სასტიკად დამარცხდა. მისი რაზმები ხუნძახელებმა გაანადგურეს. იქ მყოფი შამილიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ამის შემდეგ ყაზი-Ძოლას შემდგომი ღონისძიებანი რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ავარიაში გამარჯვებას რომ უნდა მოჰყოლოდა, დიდად შეფერხდა. ყაზი-მოლას მარცხის ერთ მიზეზად მაშინ თვლიდნენ არა მარტო ხანის მეუღლის ფახუ-ბიკესა და ავარიელების მამაცობას, არამედ რუსთა მიერ ჭარში მოწყობილ

---

[1] ვოლკონსკი ჰაჯი-მაჰმუდის მაგიერ მიუთითებს მამედ-ველი-ჩანკა-ოღლის (Кав. сб. т. XI, გვ. 179), მაგრამ პასკევიჩი თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავს ჰაჯი-მაჰმუდის სიტყვის გადამწყვეტ მნიშვნელობას (Акты, т. VII, გვ. 963).

[2] პასკევიჩი შენიშნავდა: „От всех обществ джарского и белаканского союза могло бы быть выставлено в соединении до 10-ти тысяч вооруженных, но оказавшиеся между ними несогласия произвели прения, последствием коих было то, что Белаканское, Мухахское и Джинихское общества отделились от джарцев и тальцев" (Акты, т. VII, გვ. 961—962).

ექსპედიციასაც, რითაც გამორიცხულ იქნა ჭარისა და მისი მომიჯნავე რაიონების მცხოვრებთა მონაწილეობა ყაზი-მოლის მხარეზე.

რა თქმა უნდა, ხსენებულ ექსპედიციას თავისებური გავლენა უნდა ჰქონოდა ავარიის ამბებზე, მაგრამ არა გადამწყვეტი, რადგან ამ დროს ჭარსა და დაღისტანს შორის ურთიერთ დახმარების შესაძლებლობანი გამორიცხული იყო სამიმოსვლო გზების ჩაკეტვის გამო; მიუხედავად ამისა, ხუნძახის ამბებს მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა რუსთა გამარჯვებისათვის არა მარტო ჭარში. მეფის ბრძანებით ორდენებით დააჯილდოეს ერთგული ავარიის ხანი აბუ-ნუცალი თავისი თანამებრძოლებით, „ავარიის ხალხსაც“ გიორგის დროშა გადასცეს[1].

1830 წ. 28 თებერვალს რუსთა რაზმებმა დაიკავეს ჭარი და ზაქათალა, რომლის ციხე დაანგრიეს[2]. შეიქმნა ჭარ-ბელაქნის ახალი მმართველობა, რომელიც მთავარმმართველის მიერ შემუშავებული შემდეგი წესის საფუძველზე გაფორმდა:

1. ჭარ-ბელაქანში წესდება დროებითი მმართველობა ბეკოვიჩ-ჩერკასკის თავმჯდომარეობით[3].

„ამ მმართველობის წევრად ინიშნება ორი რუსი მოხელე ჩემი (პასკევიჩის, მ. დ.) არჩევანით და 6 მკვიდრი საპატიო უფროსისაგან, რომლებსაც თემები აირჩევენ და მე დავამტკიცებ. რუსი მოხელეებისაგან შემდგარ წევრებს...აქვთ გადამწყვეტი ხმა...ადგილობრივ უფროს-წევრებს კი მხოლოდ სათათბირო ხმა“...

ამის შემდეგ ჩამოთვლილია ახალი მმართველობის ვალდებულებანი, რომელთა შორის მთავარი უნდა ყოფილიყო:

2. „ოლქის დაცვა შინაურ უწესობათა და მტაცებლური მთიელი ხალხების თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით კი—საქართველოსაკენ მიმავალ გზებზე“[4].

4 „ჭარელებსა და სხვა თემებს, უნარჩუნდებათ რა წინანდელი უფლებები და უპირატესობანი იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება რუსეთის იმპერიის საერთო კანონებსა და წესდებებს, ნება მიეცეს მათ აწარმოონ ნაციონალური, სამედიატორო და შე-

[1] Кав. сб., т. XI, ვვ. 175.

[2] პასკევიჩის მიერ შერჩეულ ადგილზე რუსებმა ზაქათლის ახალი ციხის აგება დაიწყეს.

[3] „Правила для управления Джарскою и Белаканскою областью“ Акты, т. VII, № 380).

[4] ნაკლებმნიშველოვანი მუხლები არ მოგვყავს.

შარიგებელი (примирительный) სამართალი, შაროდ წოდებული... ხისხლის სამართლის საქმეთა გარჩევის ნება მხოლოდ დროებითს საოლქო მმართველობას ენიჭება“...

6. „1803 წ. ჭარელებთან დადებული სამშვიდობო ტრაქტატის მე-9 მუხლის მიხედვით მათ, სხვათა შორის, იკისრეს ხელი არ შეეშალათ ალიაბათის ქართული სოფლებისათვის (ინგილოებისათვის) ქრისტიანული რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფლად დაცვაში, არ მიეღოთ არავითარი შემავიწროებელი ღონისძიება, მაგრამ ამისდა საწინააღმდეგოდ ჭარელებმა, ავიწროებდნენ რა მათ მიერვე დამონებულ ქართველ გლეხებს...აუკრძალეს მათ ეკლესიების შენება და ქრისტიან მქადაგებელთა მიღებაც; ამგვარი შევიწროების შედეგად ინგილოები, იყვნენ რა წინათ ქრისტიანები, თანდათან გადაგვარდნენ მაჰმადიანებად,—და ამიტომ დაწესდეს მათ შორის ქრისტიანული რელიგიის რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფალი დაცვა და გამოძახებულ იქნან ახლავე, საქართველოს ეგზარქოსთან შეთანხმებით, მღვდელთა საკმაო რაოდენობა...მსურველთა მართლმადიდებლური მონათვლისათვის. ამ საქმეს აღმოეჩინოს მთავრობის მხრიდან ყოველგვარი საშუალება და მფარველობა“.

7. „ჭარის პროვინცია ახლანდელი მდგომარეობისდა მიხედვით განიყოფება 2 კლასად: გაბატონებული ლეკებისაგან, რომლებიც ჩვენ მიმართ ყოველთვის მტრულად იყვნენ განწყობილნი, და მათ მიერ ოდესღაც დამონებული ქართველებისაგან, რომლებიც ლეკებმა...სხვადასხვა შემავიწროებელ ღონისძიებათა გზით გაამაჰმადიანეს და რომლებიც მხოლოდ ამ ერთი მიზეზის გამო ჩვენი მომხრენი უნდა იყვნენ,—და ამიტომ მთავრობის მიზანი უნდა იყოს, ამ უკანასკნელი კლასის წარმომადგენელთა მომხრეობის შენარჩუნება, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებით და ამით მტრული ლეკების ბატონობის შესუსტება, რომ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დაცულ იქნეს წონასწორობა და წინააღმდეგობა ამ ორ კლასს შორის. ამ პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, დაუყოვნებლივ გაირკვეს ჭარისა და სხვა თემების უფროსთა და წარჩინებულთა უფლებანი ალიაბათის ქართული სოფლების მმართველობაში...რომ მათი ქვეშევრდომი სოფლების მცხოვრებლებმა—ინგილოებმა უხადონ მათ განსაზღვრული კომლობრივი გადასახადი ისე, რომ არ დაიბეგრონ მებატონეების მიერ დაკისრებული თვითნებური გადასახადებით. ეს გადასახადები უნდა შეგროვდეს სოფლის უფროსობასთან, რომელიც ჩამოყალიბდება იმ

სოფლებში, ამ უფროსობამ კი ისინი შესაფერისი ქვითრებით უნდა გასცეს. არა დროული გადახდის შემთხვევაში პირადად ისინი (მებატონეები, მ. დ.) ვერავითარ ღონისძიებას ვერ მიიღებენ და მიმართავენ საოლქო მმართველობას, რომელმაც...სათანადო იძულების საშუალება უნდა გამოიყენოს".

10. მმართველობას ევალება განაახლოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთის პროვინციებთან.

13. დაიმორჩილოს „მეზობელი მთიელი ხალხები".

14. „მიღებულ იქნეს წესად, რომ ყოველგვარი ქურდობის შემთხვევაში პასუხს აგებენ უახლოესი სოფლის მცხოვრებნიც".

18. „იმ სოფლებისაგან, რომელთა კეთილგანწყობილებასა და ერთგულებას არ შეიძლება ვერწმუნოთ, აყვანილ იქნას მძევლები თემებს შორის უმნიშვნელოვანესი ოჯახებისაგან, უკიდურეს შემთხვევაში სამი კაცი მთელი თემისაგან, და გაიგზავნონ ისინი თბილისში".

22. „მიღებულ იქნეს საქმიანი ზომები, რომ მსრბოლთა მეშვეობით ცნობილი იყოს მთიელთა ყოველგვარი მტრული შეკრებისა შესახებ, მათ წამოწყებებისა და მიზნების შესახებ".

23. „ელისუს სასულტნო, თუმცა თავისი სულტანის განკარგულების ქვეშ რჩება, წინანდელ საფუძველზე, შედის...ჭარის ოლქის შემადგენლობაში და ირიცხება, ისე როგორც ეს უკანასკნელი, ხსენებული დროებითი მმართველობის ქვეშ, ზემოხსენებული წესის საფუძველზე"[1].

ამგვარად დაინერგა რუსული მმართველობა ჭარ-ბელაქანში. ეს მმართველობა, ისე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში დაწესებული რუსული მმართველობა, არ ივიწყებდა თავისი დანიშნულების ფორმალურ მხარეს: შეეყვანა მმართველობაში ადგილობრივი ელემენტებიც და სამოქალაქო სამართალში ადათით განმტკიცებული კანონები დაეტოვებინა.

სამართლიანად შენიშნავდა პეტრუშევსკი, რომ ძველი უფლებებისა და უპირატესობათა შენარჩუნების დაპირება მხოლოდ პირფერობა იყო, რადგან ჯამაათების მოქმედება და პატრიარქალური დემოკრატიის ნარჩენები ვერ შეუთანხმდებოდა ბატონყმური და ბიუროკრატიული სახელმწიფოს „საერთო კანონებსა და წესდებებს". „ჯამაათები ახლა უნდა გარდაქმნილიყვნენ უფროსობისა-

[1] Акты, т. VII, № 380.

გან სავსებით დამოკიდებულ უბრალო სასოფლო კრებებად, რომლებსაც ადგილობრივი წვრილი საკითხები უნდა განეხილათ"[1].

მეფის რუსეთის მთავრობა, როგორც ბატონყმური წესწყობილების დამცველი მთავრობა, ყოველთვის იცავდა გაბატონებული ფენების ინტერესებს, მაგრამ, კერძოდ, ჭარში ეს დებულება არ გავრცელებულა. აქ, როგორც ეს „წესდებიდან" ჩანს, რუსეთის მთავრობა აუქმებდა წარჩინებულთა პოლიტიკურ უფლებებს და მათ ეკონომიურ ინტერესებსაც ზღუდავდა. ეს ნაკარნახევი იყო ჭარში არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების სპეციფიურობით. ხსენებული „წესებიც" მიუთითებდნენ განსაკუთრებულ პოლიტიკურ ხაზზე მტრული ლეკების მიმართ. ამის შესახებ უფრო სრულად ქვემოთ ვისაუბრებთ.

რუსეთის პოლიტიკამ ჭარში, უმეტესად მოსყიდვა-მოქრთამვის გზით, ზედა ფენების მხოლოდ ერთ ნაწილში შესძლო შეექმნა ერთგული მსახურები, რომლებიც ენერგიულად უწყობდნენ ხელს იქ რუსეთის ბატონობის დამკვიდრებას. მაგრამ ეს დასი მცირე იყო. ჭარის გაბატონებული საზოგადოების უმეტესობა რუსთა გაბატონებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

ამრიგად, 1830 წ. აღმოსავლეთ კახეთი, რომელიც საქართველომ ირან-ოსმალეთის აგრესიის შაებნელ ხანაში და დაღისტნელი აბრაგების გამანადგურებელ შემოსევათა პირობებში დაჰკარგა, ისევ საქართველოს შემოუერთდა. მართალია, ეს მეფის რეჟიმის ბატონობის პირობებში მოხდა, მაგრამ მისი შემოერთება, კერძოდ ინგილო ქართველობის მჭიდროდ დაკავშირება დედა-სამშობლოსთან — საქართველოსთან, დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ქართველობა რუსეთის ხელისუფლების ქვეშ იკრიბებოდა და თანდათანობით ერთიანდებოდა.

4. აჯანყება 1830 წელს

ჭარ-ბელაქანში ენერგიული ახალი მმართველობა ისეთი „დაბაკმაყოფილებლი" როდი იყო, როგორც მას ესაძე და მეფის სხვა ისტორიკოსები ახასიათებდნენ[2]. ეს მმართველობა მასების მოთხოვნილებებს ვერ უპასუხებდა.

რუსეთის მთავრობა ოლქში სამხედრო ნაწილების ჩაყენებას შეუდგა, აქ გაცხოველებულ ტემპებით მიმდინარეობდა თავდა-

[1] პეტრუშევსკის დასახ. ნაშრ., 112—113.

[2] Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, т. I, 190.

ცვითი ნაგებობათა შენება. ძველი ზაქათალის ახლოს, ჭარზე გამავალი ორი გზის ჯვარედინზე, ძლიერ სიმაგრეს აშენებდნენ. ეს გზები ჭარის ხეობაზე ბატონობდა.

ჭარში რუსთა რაზმების დამკვიდრების გამო განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მაღალი ფენები, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ ძველი პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვას და გამოსვლისათვის საბაბს მოელოდნენ. ამ უკანასკნელებს აღელვებდა რუსთა მიერ ჭარში ახალი ციხე-სიმაგრის მშენებლობაც; გადასახადების გამოღებაში ძველი „ურჩობა" გრძელდებოდა. 1830 წლისთვის დავალიანება 47000 მანეთს აღემატებოდა[1]. იმავე წელს ჭარში, ისე როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რაიონებში, შავი ჭირი მძვინვარებდა[2].

1830 წ. აჯანყება მჭიდროდ უკავშირდება ამ დროს დაღისტანში განვითარებულ მიურიდულ მოძრაობას.

1950 წ. 14 მაისს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულმა წერილმა დროულად დაჰგმო ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულება, რომ თითქოს კავკასიური მიურიდიზმი XIX საუკუნეში წარმოადგენდა პროგრესულს, დემოკრატიულსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. სტალინური პრემიების კომიტეტის ოფიციალურ ცნობაში მოკლედ და მკაფიოდ იყო დახასიათებული მიურიდული მოძრაობის ხასიათი, აღინიშნა, რომ ეს მოძრაობა წარმოადგენდა „რეაქციულს, ნაციონალისტურს და იმყოფებოდა ინგლისის კაპიტალიზმისა და თურქეთის სულტანის სამსახურში".

აღნიშნული სახელმძღვანელო მითითების შემდეგ გამოქვეყნებულმა წერილებმა (დანიალოვის და სხვათა) ნათლად გამოააშკარავეს მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის ნამდვილი რეაქციული ბუნება და დაამტკიცეს ამ მოძრაობის პირდაპირი კავშირი ინგლისელ და ოსმალო დამპყრობლებთან[3].

მე-18 საუკუნის 80-იან წლებიდან ოსმალეთი შეუჩერებლივ ჰკარგავდა თავის გავლენას კავკასიაში. ეს მაშინ სდებოდა, რო-

[1] Акты. т. VII, № 21, გვ. 11.

[2] იქვე, № 168, გვ. 227—28.

[3] „Правда". 14. V, 1950; А. Даниалов. Об извращениях в освещении мюридизма и движения Шамиля. жур. „Вопросы истории" за 1950 г. № 9; А. Фадеев. Мюридизм как орудие агрессивной политики Турции и Англии на Северо-Западном Кавказье в XIX столетии. „Вопросы истории" за 1951, № 9.

დესაც რუსეთის გავლენა აქ სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. რუსეთის ეს გაძლიერება შიშს ჰგვრიდა კაპიტალისტურ ინგლისსაც, რომელსაც აღმოსავლეთის ბაზრის მოსალოდნელი დაკარგვა აფიქრებდა. ამიტომ ოსმალეთი და ინგლისი ადრიდანვე აჩაღებდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას კავკასიაში. ამ მუშაობის მიზანი იყო აქ გაბატონება და რუსეთის გავლენის მოსპობა, რუსეთის საბოლოო განდევნა კავკასიის ფარგლებიდან.

1783 წელს თურქეთის სულტანი აგზავნის დაღისტანში მიურიდიზმის გასავრცელებლად თავის აგენტს—შეიხ-ხალიდს, რომელიც ჩადის ქიურის სახანოს სოფ. იარაღში. ეს აგენტი დიდ მუშაობას ეწეოდა მიურიდული ბანდის შესაქმნელად, მაგრამ მის საქმიანობას დასაწყისში წარმატება არ ჰქონია. შემდეგში იგი მოჰამედ იარაღელის დახმარებით უკავშირდება ხალხზე სათანადო გავლენის მქონე ყაზი-მოჰამედს, რომელთან ერთად იწყება მიურიდიზმის (ტარიკატის) ქადაგება „ჰაზავათის“ (საღვთო ომის) მოსაწყობად[1]. „ჰაზავათი“ იმთავითვე პანისლამისტური ლოზუნგი იყო.

1783—1784 წლებში ოსმალეთის სულტანი მოუწოდებდა კავკასიის ხალხებს, დაღისტნის, ყაბარდოს, ჩერქეზთა ფეოდალებს „მუსლიმანური სარწმუნოების დასაცავად“ და მოითხოვდა აქტიურ მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ, სადაც 1783 წ. ტრაქტატის საფუძველზე შეყვანილ იქნა რუსთა 2 ბატალიონი. ოსმალეთი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის წინააღმდეგ საქართველოს მუსლიმანურ მოსახლეობასაც ამხედრებდა[2].

დაღისტნისა და კავკასიის მუსლიმანური რეაქციული სამღვდელოება ოსმალეთის მხარდაჭერით სარგებლობდა. იგი სულტანს წინასწარმეტყველის (მოჰამედის) მოადგილედ თვლიდა. ამ სამღვდელოებამ გამოიყენა მიურიდული მოძრაობა თურქეთის ინტერესებისათვის და იგი დაუპირისპირა სხვა სარწმუნოების მქონე რუსეთს. თურქეთის აგენტი შეიხები და მოლები მიურიდებს აქეზებდნენ აგრეთვე იმ დაღისტნელი ფეოდალების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთის მხარეზე იდგნენ.

თურქეთის აგენტურა კარგად იყენებდა ფეოდალური ჩაგვრის ქვეშ მყოფი გლეხობის სიძულვილს მებატონეთადმი და გლეხებს

---

[1] დანიალოვის დასახ. წერილი, გვ. 7. „Сулюк или тарикат“ наука о благочестии и газавете (Сказание очевидца о Шамиле. Сб. св. о кавк. горцах. вып. VII, гв. 2).

[2] Н. Смирнов. Шейх-Мансур и его турецкие вдохновители („Вопросы истории“, 1950, № 10, гв. 20—21).

აქეზებდა რუსეთის მომხრე ფეოდალების წინააღმდეგ. დაღისტნის სოციალურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა სათანადო ნიადაგს უქმნიდა აღნიშნული აგენტურის საქმიანობას. მუსლიმანური სამღვდელოება ქადაგებდა, რომ ყოველგვარი უბედურება ხალხს მოსდიოდა რუსეთის მომხრე იმ ფეოდალებისაგან, რომელთაც დაივიწყეს ისლამი, ხელი მიჰყვეს განცხრომას, გადაიქცნენ „ურწმუნო გიაურებად". ამასთანავე ეს სამღვდელოება ქადაგებდა ჰაზავათს და ბრძოლის ველზე მოკლულებს იმქვეყნიურ სამოთხეს ჰპირდებოდა[1].

საქართველო-დაღისტნის ურთიერთობის ძველთაგანვე გამწვავებას დიდად შეუწყო ხელი ოსმალეთმა, რომელიც განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ენერგიულად ცდილობდა გაედო ხიდი ახალციხის საფაშოსა და გამუსლიმანებულ (თურქულ-სუნიტური აღსარების მქონე) მთიელებს შორის. თურქი დამპყრობლები დაღისტნურ ტომებს საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

ოსმალო ავაზაკებმა, როგორც ზემოთ ითქვა, ფართო გზა გაუხსნეს ტყვე ადამიანებით ვაჭრობას და ამ საქმეში ჩააბეს დაღისტნელი აბრაგები. დაღისტანში, კასპიის ზღვის ნაპირზე მდებარე სამთავრო-საშამხლო, ოსმალეთის მხარდაჭერითა და მფარველობით უდიდეს ზიანს აყენებდა კახეთს. შამხალი დაღისტნელ აბრაგთა კახეთზე გამუდმებული თავდასხმების ორგანიზატორი გახდა[2].

აღნიშნული დროიდან (XVI ს.) მოყოლებული საქართველო-დაღისტნის ურთიერთობა ოსმალო და სპარსელი დამპყრობლების წყალობითაც სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა და საქართველოსთვის საზიანო ხდებოდა. გახშირდა ქურდულ-აბრაგული თავდასხმები, ძარცვა-გლეჯა, ტყვე-ადამიანების ტაცება, რაც სისხლიდან სცლიდა საქართველოს. თურქ-ოსმალებისა და დაღისტნელ აბრაგ – ფეოდალების მოქმედების შედეგად საქართველოსა და დაღისტნის სამეზობლო დამოკიდებულება ძირითადად განისაზღვრა მტაცებლური თავდასხმებით, რაც ქართულ-რუსულ ლიტერატურაში „ლეკური შემოსევების" სახელით აღინიშნებოდა. მტაცებ-

---

[1] დანიალოვის დასახ. წერილი, გვ. 8—9.

[2] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. მიჯნაზე (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. 1944, ნაკვ. 1, გვ. 13—15).

ლებმა გზა ჩაუკეტეს საქართველოს კულტურულ გავლენას მთის ტომებზე.

ოსმალო დამპყრობლების მიერ დაღისტანში გაჩაღებული მუშაობა, რომელიც ბიზნად ისახავდა რუსთა განდევნას ამიერკავკასიიდან, საქართველოს სამაგალითო დასჯას რუსეთთან დაკავშირებისათვის, პირველ რიგში საქართველოს უპირისპირდებოდა. ეს გასაგებიც იყო, რადგან საქართველო წარმოადგენდა იმ ქვეყანას, რომელიც გვიანფეოდალური ხანის მთელ პერიოდში აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან—ოსმალეთ-ერანის აგრესორებისაგან თავის ხსნას ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით ცდილობდა. საქართველო უპირველესი ქვეყანა იყო, რომელიც რუსეთს გზას უხსნიდა აღმოსავლეთისაკენ, უადვილებდა მას ბრძოლას თავისი (და საქართველოს) პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ.

მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობა ოსმალეთ-რუსეთისა და ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ბრძოლის პერიოდში, მიზნობრივი თვალსაზრისით, პირდაპირ განაგრძობდა მე-16 საუკუნეში დაწყებულ საქმეს, რომელსაც დაღისტანში ოსმალეთის აგენტი შამხალი მეთაურობდა. მიურიდები და შამილი მისი შორეული მემკვიდრენი იყვნენ.

თურქეთის აგენტების მიერ დაღისტანში შეტანილი 'აჯანყების თესლი განსაკუთრებით ღვივდებოდა მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველო შეიერთა და შეუჩერებლივ აფართოებდა თავისი ბატონობის სფეროს კავკასიაში.

რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების წინა პერიოდში განსაკუთრებით აქტიურდება მიურიდების ბელადი ყაზი-მოლა, რომელიც აფართოებს მიურიდების ბანაკს. მის გარშემო თავს იყრიან მოლები, ყადიები და სხვა ფანატიკოსები, რომლებიც ენერგიულად მონაწილეობდნენ „მართლმორწმუნეთა“ ლაშქრობაში „ურწმუნოების“ წინააღმდეგ.

1828—1829 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სულტნის მთავრობა კვლავ გზავნის თავის აგენტებს დაღისტანში. ამ დროიდან მოყოლებული მიურიდული მოძრაობა განსაკუთრებით ფართოვდება.

მიურიდულ რეაქციას ფართო გზა გაეხსნა ჭარ-ბელაქანშიაც, სადაც მუსლიმანური სამღვდელოება ყოველმხრივ მხარს უჭერდა დაღისტნიდან მოსულ აგენტებს.

გასაგებია, რომ მიურიდულ-რეაქციული მოძრაობა იმ დროს ჭარშიაც ჰპოვებდა მხარდაჭერას. აქაც ბლომად იყვნენ თურქეთის

აგენტები—მუსლიმანური სამღვდელოების წარმომადგენლები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ჭარში რუსეთის გაბატონებით უკმაყოფილო ფენები.

1829 წელს კატეხში ცხოვრობდა მიურიდიზმის მაშინ ცნობილი მქადაგებელი ჰაჯი-იაჰია, რომელიც აქ დაღისტნიდან ჩამოსახლდა. მან თავისი ცრუწინასწარმეტყველური პროპაგანდით დიდი გავლენა მოიხვეჭა ჭარში. რუსეთის მმართველობამ გადაწყვიტა ამ საშიში კაცის შეპყრობა, ოაგრამ მას გამოექომაგნენ ჭარელი ლეკები და მოლები, რომლებმაც მთავრობას თხოვეს, რომ ხელი არ ეხლოთ ჰაჯი-იაჰიასთვის—„წმინდანისა“ და „არა საშიში“ კაცისათვის. მიუხედავად ამ შუამდგომლობისა, იაჰია შეიპყრეს, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, მფარველთა შემწეობით გაიქცა[1].

ჭარელ აბრაგებთან და მოლებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა მიურიდთა იმამის—ყაზი-მოლას უახლოესი თანაშემწე, სამხრეთ-დასავლეთ დაღისტნის მიურიდთა ბელადი შეიხ-შაბანი.

ჭარში აჯანყების დაწყებისათვის სათანადო სიტუაცია იქმნებოდა. ძველი ზაქათალის დაპყრობისა და სოფლებში რუსთა რაზმების ჩაყენების შემდეგ მოსახლეობის შესამჩნევი ნაწილი მთებს შეეხიზნა, ზოგი დაღისტნელებს მიუვიდა და იქ დარჩა, ზოგი კიდევ დაბრუნებისათვის ხელსაყრელ მომენტს მოელოდა. ჭარ-ბელაქნის მმართველი გენ. ბეკოვიჩ-ჩერკასკი ყოველ ზომას ხმარობდა გახიზნული მოსახლეობის დაბრუნებისათვის. მან მართლაც მოიმხრო მამასახლისები და შეძლო გახიზნულების დაბრუნება. გახიზნულები მალე დაბრუნდნენ „არა მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრებისათვის, არამედ ჩვენთვის სამტრო ღონისძიებათა განხილვისათვის...შეიხ-შაბანის ხელმძღვანელობით ჩვენს წინააღმდეგ ახალი შეთქმულების მოსაწყობად“-ო,—წერდა რუსი მოხელე ვოლკონსკი[2].

რუსეთის მმართველობა შექმნილ სიტუაციაში კარგად ვერ ერკვეოდა, მაგრამ დაპყრობილი ოლქების ხალხებს საერთოდ უნდობლად უყურებდა და ამიტომ ყოველი შემთხვევისათვის, თუ ყოველ ეჭვზე, სამხედრო ძალები მობილიზებულ მდგომარეობაში იყვნენ. გენ. ბეკოვიჩს ნება დაერთო მოეთხოვა დამატებითი რაზმები; მან აიძულა ჭარელი მებატონეები, დაეგზავნათ წერილები სტრატეგიულ გზებზე მდებარე სოფლებში (დიდ კოსორში, კარახში და თლესერუხის თემში), რომ მათი მცხოვრებნი რუსებს

[1] Кавказский сборник, т. XI, გვ. 134—135.

[2] იქვე, ტ. XII, გვ. 107.

დამორჩილდებოდნენ[1]. მთებიდან გადმოსასვლელებზე ყარაულები დააყენეს.

სამხედრო ღონისძიებებმა უკვე დაწყებული მოძრაობა ვერ შეაჩერა. ჭარში დიდი წარმატებით გავრცელდა შეიხ-შაბანის მიერ გამოგზავნილი მოწოდება, რომელშიც იგი წარმომადგენელს ითხოვდა გამოსვლის დღის დასანიშნად; იგი მოაგონებდა მოკავშირეებს, რომ მისი მხრით „ჯარი უკვე მზად იყო და უყურებდა გზას, როგორც კატა თავის მსხვერპლს“[2]. ამავე მოწოდებიდან ჩანდა, რომ ინგილოები არ თანაუგრძნობდნენ ჭარელ აჯანყებულებსა და მიურიდებს. ისინი მხარს უჭერდნენ რუსეთის მთავრობას, რომელიც მაშინ ხელსაყრელად თვლიდა, რომ ინგილოები ლეკთა მძლავრობისაგან დაეცვა. შეიხ-შაბანი „წყევა-კრულვით“ იხსენიებდა ინგილოებს, რომლებიც მას არ თანაუგრძნობდნენ.

მდგომარეობა რთულდებოდა. გენ. ბეკოვიჩი „სიმშვიდის აღდგენისათვის“ დაღისტანში გაგზავნეს, ჭარ-ბელაქნის უფროსად კი გენ. სერგეევი დაინიშნა. ამავე მომენტში გამწვავებული ვითარება იყო ოსეთშიაც, სადაც რუსეთის მმართველობა რაზმებს გზავნიდა.

ახალი ზაქათალის ციხის აგება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. რუსებს არ გააჩნდათ აქ სიმაგრე, რომელიც დაიფარავდა კახეთისაკენ მიმავალ გზებს.

11 ივნისს შეიხ-შაბანის რაზმებმა დაიკავეს დაბა როგნორი, რომელიც ბელაქნიდან 25 ვერსის მანძილზე იყო დაშორებული. თვით შეიხი ჯურმუთის სოფ. სალთში იყო, სადაც მან ახლობელი თემებიდან (უნკრატლი, ანწუხი, კაპუჩი, ანწროსი და სხვ.) შეიარაღებული რაზმები შემოიყარა. მაშინ გავრცელებული ხმების მიხედვით შაბანის მებრძოლთა რიცხვი 30 ათასამდის აღწევდა. ეს გარემოება რუსთა ბანაკში შეშფოთებას იწვევდა.

12 ივნისს შაბანის ნაწილებმა გადალახეს მთავარი ქედი და მოურავ ის მთა (მოურავ დაღ) დაიკავეს[3]. აქედან შაბანმა ბელაქნელებს გაუგზავნა მეორე მოწოდება, რომელშიც მან უფრო ნათლად გამოხატა თავისი მიზანი—რუსთა განდევნა და მაჰმადიანური კანონების აღდგენა. ბელაქნელთა პოზიცია ამ მოწოდებამ გამოარკვია. მამედ-მურთუზ-ალიმ (ვაჩნაძემ) რუსეთის მმართველობის მოთხოვნას, რომ მიეწოდებინა მისთვის ცნობა შეიხ-შაბანის შესახებ, უპა-

---

[1] იქვე, ტ. XII, გვ. 108.
[2] იქვე, გვ. 109.
[3] ეს მთა ბელაქნიდან 15 ვერსის მანძილზეა (Кав. сб., т. XII, 116).

სუხა, რომ „მტერი მათ (ბელაქნელთა, მ. დ.) წინააღმდეგ კი არა, არამედ რუსთა წინააღმდეგ მოდისო“[1]. მიუხედავად ამისა ეაჩნაძე მალე რუსთა მხარეზე დადგა.

19 ივნისს მიურიდების რაზმი 2000 კაცამდის კატეხის ახლოს სოფ. ყაფისდარას მიადგა. მის შესახვედრად გაიგზავნა რუსთა რაზმების ერთი ნაწილი, რომელიც შაბანმა სასტიკად დაამარცხა. კატეხელებიც მიემხრნენ შაბანის რაზმებს.

გენ. სერგეევი ცდილობდა, რომ შეიხ-შაბანთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და მისი გადმობირების გზით უკუეგდო აჯანყების შემდგომი განვითარება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

21 ივნისს მიურიდები ბელაქნის გზით დაიძრნენ და ჭარელები, კატეხელები, მაწეხელები და ზაქათალელები შემოიერთეს. შაბანმა შეუტია ბელაქანს, მაგრამ იგი ვერ აიღო. რუსთა რაზმებმა შეტევა უკუაგდეს. გათენებისას კვლავ დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც 12 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. როგორც რუსებმა, ისე აჯანყებულებმა ბევრი დაჰკარგეს. შაბანის დანაკლისი, გენ. სერგეევის გაზვიადებული ცნობით, 500 კაცამდის აღწევდა. უკან დახეული შეიხი ტყუილუბრალოდ მოელოდა მის ზურგში მყოფი ჰამზათ-ბეგის დახმარებას; ამ უკანასკნელმა გაიგო თუ არა მისი მარცხი, დაითხოვა მის განკარგულებაში მყოფი 3000 კაცი და თვითონ ავარიაში გაიქცა, დამარცხებული შაბანი კი ერთი აბრაგის სახლში ჩაიკეტა და გარემოსთან ყოველგვარ ურთიერთობას გაურბოდა.

რუსთა გამარჯვებას მთავარი ქევხების ერთი ნაწილის პოზიციამაც ხელი შეუწყო. გენ. სერგეევი თხოვდა პასკევიჩს „მოწყალება გაეღო“ იმ ქევხებისათვის, რომლებმაც მას დახმარება გაუწიეს. რუსეთის მთავრობას ,დი დახმარება გაუწია მამედ-მურთუზ-ალი ვაჩნაძემ აჯანყების ავარ დამნაშავეთა გამოვლინებაში. ასეთები აღმოჩენილან 50 ცამდის. მათ შორის საკუთრივ ჭარიდან 10 „უფროსი“ ყოფილა. მათ უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ შეიხ-შაბანთან, უგზავნიდნენ მას წერილებს და აცხედრებდნენ ხალხს[2].

21 ივნისის მარცხმა გარეგნული მორჩილება შექმნა ჭარ-ბელაქანში. რუსეთის მმართველობისათვის ამ გამარჯვებას დიდი

---

[1] იქვე, გვ. 116.

[2] სერგეევის მოხსენებაში ყოველ დამნაშავეს სდევდა ასეთი დახასიათება: „ეს გაიძვერა, მთავარი ყაჩაღი დაღისტანში“ (ბოხნადალის უხუცესი ფირდას მოჰამედი) და სხვ. რუსთა ერთგულებს შორის იყვნენ მოლა-ალი-ოღლი ცეტოვი, ჰაჯი-მაჰმუდი და სხვ. (Кав. сб., т. XII, 130—131).

მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ახალი მმართველობის პირველ წელს მოპოვებული წარმატება. ამ დღიდან ითვლიდა რუსეთის მთავრობა „ქარ-ბელაქნის ოლქის ფაქტიურ არსებობას“[1]. გამარჯვებულმა მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ შეტევა დაიწყო. ითხოვდნენ ძველ დავალიანებათა დაფარვას,ახალი გადასახადების შეკრებას; დააპატიმრეს „ყაჩაღები“ და ყველა, ვინც კი შემჩნეული იყო „ღალატში“. განახლდა ახალ ციხის მშენებლობა, რომელშიაც ადგილობრივი მცხოვრებლებიც მონაწილეობდნენ.

რუსული მმართველობის ზეიმი ნაადრევი ჩანდა. ახალი გამოსვლა მზადდებოდა. ეს გამოსვლა დამოკიდებული იყო კავკასიონის გადალმა შექმნილ მდგომარეობაზე, რადგან ქარელებს ესმოდათ, რომ მათ განკარგულებაში მყოფი ჯარებით რუსებს ვერ გაუმკლავდებოდნენ[2]. რუსეთის მთავრობას ოლქში საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმები ჰყავდა.

1830 წ. აგვისტოში ყაზი-მოლას საქმეები გამოსწორების გზაზე შედგა. ხუნძახის მარცხის შემდეგ იგი ენერგიულად ემზადებოდა ახალი გამოსვლისათვის.

ქარის საოლქო მმართველობას, გენ. სერგეევის ხელმძღვანელობით, თავისებური დასკვნები გამოჰქონდა მომხდარი აჯანყებიდან.

გენ. სერგეევი საჭიროდ თვლიდა სასწრაფოდ დაემთავრებინა ზაქათალის ციხის აგება და უზრუნველეყო მოსაზღვრე დაღისტნის თემების მომხრობა. ამ უკანასკნელი მიზნისათვის მან შემწედ აირჩია ბელაქნელი მამასახლისი მამედ-მურთუზ-ალი ვაჩნაძე. ფულის მოყვარული მამასახლისი შეუდგა დავალების შესრულებას: ივნისის ბოლო რიცხვებში სერგეევმა იგი გაგზავნა დაღისტანში; მას უნდა ენახა ჰამზათ-ბეგი და შაბანი, გაეგო მათი განზრახვები.

ცოტა ხნის შემდეგ, რუსეთის მთავრობას მორჩილება გამოუცხადეს ანწუხის, კაპუჩის, ტაშის, თებელისა და ჯურმუთის თემებმა. მაგრამ როგორც სერგეევის მიერ მიღებული ზომები, ისე აღნიშნული თემების გარეგნული დამორჩილება რუსეთის მთავრობას კარგს ვერაფერს უქადდა. მორჩილების აღიარება შაბანის მარცხმა გამოიწვია; იგი დროებითი იყო.

რუსეთის მთავრობა ახალ გამოსვლებს არ მოელოდა. როგორც ჩანს, ეს იყო მიზეზი, რომ აჯანყების მოთავეები არ დასა-

[1] იქვე, 127.
[2] Петрушевский. Джаро-белак., გვ. 129.

ჯეს. პასკევიჩმა თუმცა გასცა ბრძანება მათი დაპატიმრების შესახებ, მაგრამ თბილისის გუბერნატორმა სტრეკალოვმა ჩათვალა, რომ ეს ღონისძიება კიდევ მეტად ააღელვებდა მოსახლეობას, რომელიც ეს-ეს იყო „მორჩილი“ გახდა და „დანაშაულის“ გამოსყიდვას ცდილობდა. სტრეკალოვი თხოვდა პასკევიჩს, იანვრამდის გადაედო მათი დასჯა. პასკევიჩი დათანხმდა. მაგრამ ეს თანხმობა შექმნილ ვითარებას ვერ ითვალისწინებდა. ხელმძღვანელობის შეცდომებისათვის პასუხისგება შემდეგ, როცა საქმე წახდა, დააკისრეს სერგეევს, რომელსაც ბრალს სდებდნენ „ლმობიერებასა და სისუსტეში“.

ჭარელი ლეკების საკმაოდ დიდი ნაწილის დაკავშირება მიურიდებთან იმით აიხსნებოდა, რომ რუსთა ჯარის ჩაყენებამ ჭარ-ბელაქნის სოფლებში დიდი უკმაყოფილება შექმნა. ჭარელები დაღისტნის სოფლებში გზავნიდნენ წერილებს, რომლებშიაც აღნიშნავდნენ, რომ რუსთა რაზმებმა ისინი დიდ უბედურებაში ჩააყენეს[1]. ჭარელები მოუწოდებდნენ დაღისტნელ თანამოძმეებს რუსთა წინააღმდეგ დახმარებისათვის. ახლა მიურიდები ჭარელთა ინიციატივას მიჰყვებოდნენ.

ჭარელთა მოწოდებამ სათანადო გამოხმაურება ჰპოვა. ივლისის ბოლო რიცხვებში დაღისტანში ბელადი ბეგაი ჭარელთა საშველად რაზმებს აგროვებდა. ბეგაის გვერდით, ჭურმუთის აბლოს, რაზმებს ჰკრებდა ჰაზმათ-ბეგიც, რომელიც ფიქრობდა ჭარზე და შემდეგ კახეთზე ლაშქრობას. იგი ავართა პარტიებს მოელოდა, მაგრამ იქ ეპიდემიის გავრცელებამ საქმე ჩაშალა[2].

ავართა დახმარების გარეშე ჰამზათ ბეგმა ვერ გაბედა ომი და რაზმები დაითხოვა. დაღისტანში გავრცელებული ეპიდემია მალე რუსთა რაზმებსაც მოედო და ჯარისკაცები მრავლად შემუსრა.

ჰამზათ-ბეგმა საქმეები მალე მოაგვარა. მას უკვე შეეძლო ბრძოლის განახლება. მის გამოსვლას ამ დროს ჭარ-ბელაქანში რუსთა რაზმების შესუსტებული მდგომარეობაც ხელს უწყობდა. მალე მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ჰამზათ-ბეგსა და ჭარელებს შორის. ჰამზათი ჭარის საქმეებს დაუახლოვდა; მას ხელს უწყობდა მიურიდთა ცნობილი „იდეოლოგი“, თურქეთის აგენტი მოლა მო-

---

[1] Кав. сб., т. XII, გვ. 133.

[2] ამის შესახებ კმაყოფილებით შენიშნავდა ვოლკონსკი: „...к счастью для нас все это предприятие разстроила холера. Она живо охладила все порывы аварцев и заставила их разойтись по домам“. (იქვე, გვ. 134).

ჰამედ იარაღელი, რომელიც სოფ. კარახში იყო და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

სახიფათო სამზადისს რუსი გენერლები გულგრილად შესცქეროდნენ. მათთვის მოულოდნელად, სექტემბერში, ჰამზათ-ბეგმა მთავარი ქედი გადმოლახა და სოფ. ქურმუხში მოსული ჭარზე სალაშქროდ რაზმებს აგროვებდა. ჭარელებიც გამოცოცხლდნენ და იარაღი აისხეს. 28 სექტემბერს ჰამზათი უკვე სოფ. კატეხის ახლოს იდგა და ჭარელებს ერთსულოვანი კავშირის საწინდრად მძევლებს თხოვდა. მძევლების მიუღებლობის შემთხვევაში იგი არ დაეხმარებოდა ჭარელებს. ჰამზათ-ბეგს, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა, რომ მერყევი ქვეხები სანდო არ იყვნენ და ომის წაგების შემთხვევაში უკან დახევის გარანტიასაც ეძებდა.

ჭარის, ზაქათალის, კატეხისა და მაწეხის მებატონეებმა ერთსულოვნად მიიღეს ჰამზათის მოთხოვნა და მას 6 მძევალი გაუგზავნეს. ჰამზათ-ბეგის მებრძოლთა რიცხვი 4 ათასამდის გაიზარდა. ეს მდგომარეობა პანიკას ქმნიდა რუსთა რაზმებში. ჰამზათი კიდევ მიუახლოვდა ჭარს და მზად იყო იქ დაეზამთრა, დაბანაკებულიყო სწორედ იმ მეჩეთის ახლოს, სადაც 1804 წ. გენ. გულიაკოვი მოკლეს.

შეშინებული გენ. სერგეევი მოითხოვდა დამატებით რაზმებსა და სურსათს. განრისხებულმა სტრეკალოვმა ჭარის, ზაქათლის, კატეხისა და მაწეხის მძევლები, თბილისში რომ იყვნენ, ციხეში გამოჰკეტა და სტეფან-წმინდის მონასტრისაკენ 2 ბატალიონი გაგზავნა.

კატეხში ჩამოსულ ჰამზათ-ბეგს შეუერთდნენ შეიარაღებული ჭარელებიც. აქ მიიღო მან მძევლები, რომლებიც დაღისტანში გაგზავნა. მიურიდებს ელისუს სასულტნოს მცხოვრებთა ერთი ნაწილიც შეუერთდა. ისინი ალიაბათის ინგილოური სოფლებიდანაც მოითხოვდნენ გამოსვლას, მაგრამ ამაოდ. რუსეთის მმართველობა დიდად შიშობდა, რომ აჯანყება საყოველთაო არ გამხდარიყო. ამ მიზნით სტრეკალოვმა ალიაბათში მოწოდება გამოაქვეყნა და ერთგულებას მოითხოვდა.

რუსი გენერლების შიში და ნერვიულობა მით უფრო ღვივდებოდა, რომ ჰამზათ-ბეგი გამოსვლის დაწყებას არ ჩქარობდა, ძალებს იმრავლებდა. მისი საბოლოო გეგმით რუსთა რაზმების დიდი ნაწილი უნდა შეკავებულიყო ახალ ზაქათალასთან, მთავარი ძალებით შეტევა კი ბელაქანზე უნდა მომხდარიყო. ბელაქნისაგან ახალი ზაქათალის მოწყვეტით შესაძლებელი გახდებოდა გათიშული

რაზმების ცალ-ცალკე დამარცხება მით უფრო, როდესაც გათვალისწინებული იყო დამატებითი რაზმების მიღება დაღისტნიდან და აჯანყების გავრცელება მთელს ოლქში.

ჰამზათ-ბეგის მრავალრიცხოვანი რაზმების განლაგებას კატეხის ირგვლივ თან სდევდა ხშირი ქურდული თავდასხმები კახეთზე. ეს ხდებოდა თვით ჰამზათისავე ნებართვით, რომ შემსუბუქებულიყო კატეხელთა მოვალეობა ჯარის სურსათით მომარაგებაში. დაღისტნელთა ქურდული რაზმები არბევდნენ კახეთის სოფლებს[1]. რუსეთის მთავრობა ხაზს უსვამდა ამ მომენტს და კარგად იყენებდა მას აჯანყებულთა დასჯის გასამართლებლად.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში რამდენიმე შეტაკება მოხდა მარბიელ-ქურდულ რაზმებთან, რომლებიც კახეთის სოფლებს ძარცვავდნენ.

ჰამზათ-ბეგის მებრძოლთა რიცხვი 5 ათასამდის ავიდა. შეტევის დრო დადგა. 8 ოქტომბერს მიურიდებმა ახალი ზაქათალის ციხესთან დაიწყეს მოქმედება. 9—10 ოქტომბერს ისინი შეუსვენებლივ უტევდნენ ციხე-სიმაგრეს, მაგრამ უშედეგოდ. გართულებული მდგომარეობის გამო აქეთკენ გენ. სტრეკალოვი წამოვიდა 2 ათასეულით.

13 ოქტომბერს ჰამზათის რაზმებმა შეავიწროეს მეფის რაზმები და წინ წაიწიეს. ატყდა ხელჩართული ბრძოლა...

ახალი ზაქათალის დაუმთავრებელი ციხე ყოველმხრივ გარემოცული იყო. სურსათისთვის გამოსულ ჯარისკაცებს ტყეებში ჩასაფრებული მიურიდები ცელავდნენ. სტრეკალოვი ერთადერთ საშუალებად თვლიდა, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა „მოესპო მათი ყაჩაღური ბუდე—ძველი ზაქათალა“[2]. მართლაც, ძველი ზაქათალისა და ცენტრალური სოფლის—ჭარის აღებით აჯანყებულთა ძლიერება საბოლოოდ უნდა გატეხილიყო.

15 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, დაიწყო ბრძოლა ძველი ზაქათალისათვის. მძიმე არტილერია პირდაპირ სოფელს ურტყამდა, მაგრამ საქმე მაინც გაჭირდა. მიურიდები ძლიერნი აღმოჩნდნენ. დღის სამ საათზე რუსთა მე-2 ათასეულს შემოვლითი გზით ფრონტიდან და ფლანგიდან თავს დაესხა მიურიდთა დიდი რაზმი. მწყობრიდან გამოვიდნენ ათასეულის სარდლობა და მრავალი ჯარისკაცი. სტრეკალოვი დამატებით რაზმებს გზავნიდა საშველად,

[1] Кав. сб., т. XII, 143.

[2] იქვე, 149.

მაგრამ უშედეგოდ. ერთიმეორეზე მწყობრიდან გამოდიოდნენ რუსთა ასეულები. განადგურდა გენ. სერგეევის ბატარეაც; თვით გენერალი დასჭრეს. მეთაურებმა ვერ შეაკავეს უკან დახეული რუსთა რაზმები, რომლებიც უწესრიგოდ გარბოდნენ ტყისაკენ. შეტაკება სრულდებოდა, როცა თავ. დადიანმა გაქცეული ბატალიონების შეჩერება შეძლო და ბრძოლაში შემოაბრუნა, მაგრამ გენ. სტრეკალოვმა ისინი შეაჩერა და თავი დამარცხებულად სცნო.

15 ოქტომბრის ბრძოლაში ჰამზათ-ბეგმა სასტიკად დაამარცხა კარგად შეიარაღებული და საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმები. ბრძოლაში მოიკლა 8 ოფიცერი და 243 ჯარისკაცი, დაიჭრა 10 ოფიცერი და 139 მებრძოლი. მიურიდებმა ხელთ იგდეს მთელი არტილერია.

საქართველოს მთავარმმართველი პასკევიჩი ამ მარცხის მიზეზად გენ. სტრეკალოვის უტაქტობას თვლიდა: „ამ უბედურების მიზეზი გენ.-ადიუტანტი სტრეკალოვია იმით, რომ მან დააქუცმაცა რაზმი და მცირე ჯგუფებად შეიყვანა იგი ისეთ ადგილში, სადაც არ შეიძლებოდა მოქმედება. მცირერიცხოვანი რაზმი, ტყის გასაჩეხადაც გაფანტული, მოულოდნელად აღმოჩნდა ყოველის მხრიდან გარშემორტყმული მრავალრიცხოვანი მტრის მიერ და ამ მომენტში მას ვერ აღმოუჩინეს დროული დახმარება“[1]. ეს დამარცხების ერთი მიზეზთაგანი იყო.

რუსთა ლაშქრის დამარცხების მიზეზებში მრავალი რამ შედიოდა. უპირველეს ყოვლისა ეს იყო პირველი ძლიერი მარცხი, რომელიც მათ მიურიდებთან ბრძოლაში განიცადეს. ეს იყო მიურიდული რეაქციის გაძლიერების ეტაპი. მიურიდებს ზურგს უმაგრებდნენ ჭარელი ლეკები და მუსლიმანური სამღვდელოება, რომელსაც მოსახლეობაში დიდი გავლენა ჰქონდა. აღნიშნულ გამარჯვებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მიურიდები იყვნენ უაღრესად ხელსაყრელ სტრატეგიულ პუნქტში—ძველ ზაქათალაში, რომელიც თითქმის მიუვალი იყო. რუსთა რაზმებს მხოლოდ ტყის გაკაფვის გზით შეეძლოთ წინ წაწევა; ამას ზედ ემატებოდა სარდლობის შეცდომები: შეტევა ფრონტიდან ძნელად მისასვლელ ადგილზე გამაგრებული მრავალრიცხოვანი რაზმების წინააღმდეგ, სათადარიგო ნაწილების უქონლობა და სხვ.

რამდენადაც ენერგიული არ უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, ერთი ცხადი

[1] Кав. сб., т. XII, 159.

იყო, რომ ხსენებულ მარცხს დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რუსთა იარაღის ყოვლად ქებული პრესტიჟი ძლიერ შეირყა. პოლკოვნიკი მოდოკსი დარუბანდიდან აცნობებდა პასკევიჩს: „...მაქვს პატივი ამით გაცნობოთ, რომ ჭარის საქმეს (იგულისხმება 15 ოქტომბრის ბრძოლა, მ. დ.) რამდენადმე გავლენა ჰქონდა დაღისტნის აქაურ მცხოვრებლებზედაც“[1].

ზაქათალის მარცხმა პეტერბურგშიაც უკმაყოფილება შექმნა; „მეფემ უკიდურესი მწუხარებითა და უკმაყოფილებით“ ინება იმის აღნიშვნა, რომ რუსთა რაზმმა „ახლა, 15 ოქტომბერს, ლეკთა წინააღმდეგ, მასზე მინდობილი ზარბაზნები მტერს ჩაუგდო ხელში...“; მეფე მოითხოვდა ახსნა-განმარტებას, თუ რამ აიძულა ჯარისკაცები, რომ „სამარცხვინოდ გაქცეულიყვნენ“[2].

რუსთა ჯარების სარდლობა გამანადგურებელი შეტევისათვის ემზადებოდა. პასკევიჩის ბრძანებით უნდა ძირ-ფესვიანად მოეთხარათ აჯანყებულთა საახლები, მათი შინაური ცხოველები და დოვლათი დაეგდოთ „ინგილოების, მუღალებისა და სახალხო ლაშქრის საძარცვად“, სახალხო ლაშქარი კი სასწრაფოდ უნდა შეეკრიბათ, ყველა ლეკური სოფელი რაზმებით უნდა აევსოთ. თვით ლეკები თავიანთი ოჯახებით უნდა შეეპყრათ და თბილისში ჩაერეკათ; ღონისძიებებში ნათლად გამოსჭვივოდა მეფის რუსეთის მთავრობისათვის ჩვეული ხერხი—ხალხთა ერთი მეორისადმი მისისიანება, ქართველებისა და დაღისტნელების ერთმანეთისადმი დაპირისპირება. ნაბრძანები იყო, რომ აჯანყების მთავარ დამნაშავეთაგან 25 კაცამდის საჯაროდ დაეხვრიტათ, „დანარჩენები კი რკინით შებორკილნი თბილისში დაემწყვდიათ“...რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გამარჯვების შემთხვევაში უნდა განხორციელებულიყო, ეს გამარჯვება კი ახლოს არ ყოფილა.

ოქტომბრის მეორე ნახევრიდან (15—23) ადგილი ჰქონდა მცირე მნიშვნელობის შეტაკებებს. 23 ოქტომბრიდან რუსებს დამატებითი რაზმები მიუვიდათ. 29 ოქტომბერს ერთი შეტაკება რუსთა სასარგებლოდ დასრულდა. ახლა უკვე დამსჯელი რაზმები მიემართებოდნენ ბელაქნისაკენ. სადაც მიურიდებსა და აჯანყებულებს ყველაზე უფრო ძლიერი ბინა ჰქონდათ. ბელაქნელები, ისე რო-

[1] Акты, т. VII, № 470; Петрушевский, 138.

[2] Кав. сб., т. XII, 158.

გორც თალაელები, იარაღით შეეგებნენ რუსებს, რომლებმაც სოფელი ცეცხლს მისცეს; გადასწვეს სოფ. ჭარიც.

ნოემბრის დასაწყისში მიურიდების ბანაკში სიმშილი ჩამოვარდა. ბარში ჩამოსულ და დიდხანს დარჩენილ გადამთიელებს მალარიაც საკმაოდ მუსრავდა. თანაც ნოემბრის სუსხი დგებოდა, ზამთრის კამპახია იწყებოდა, რაც თავიდანვე გათვალისწინებული არ ყოფილა. ყოველივე ამის გამო მიურიდთა ბანაკი მცირდებოდა და სუსტდებოდა.

8 ნოემბრიდან სტრეკალოვს უკვე შეტევაზე გადასვლა შეეძლო. აძას ხელს უწყობდა მიურიდთა და აჯანყებულთა ბანაკში დაწყებული განხეთქილებაც. აჯანყებას სცილდებოდნენ „თანამგზავრები", რომლებიც საერთოდ ბოლომდის ვერ ეზიარებოდნენ მის ბედს.

ღალატმა იჩინა თავი ჰამზათ-ბეგის ბანაკშიაც. პირველი მოღალატე აღმოჩნდა ივნისის აჯანყების მოთავე შეიხ-შაბანი, რომელმაც, ოფიციალური წყაროების ცნობით, 9 ნოემბრიდან დაიწყო მოლაპარაკება რუსებთან[1]. შეთანხმება მოსდა: შაბანმა თავისი რაზმები გაიყვანა ძველი ზაქათალიდან, ისინი დაღისტნისაკენ წავიდნენ; თვით შაბანი კი, როგორც რუსეთის მთავრობის ახალი აგენტი და მისი მოჯამაგირე[2], ახალ ზაქათალაში დარჩა.

მალე ჩაბარდა რუსეთის მთავრობას ჰამზათ-ბეგიც, მაგრამ მისი მიზანი სულ სხვა იყო. ჰამზათის ჩაბარება დროებითი პოლიტიკური მანევრი ჩანდა. მან დაინახა, რომ შაბანის ღალატის შემდეგ ბრძოლა წაგებული იყო, ჭარ-ბელაქნის შენარჩუნება კი შეუძლებელი, რადგან მომრავლებული და მოძლიერებული რუსთა რაზმები აჯანყებულებს და მიურიდებს სრულ მოსპობას უქადდნენ; ამასთანავე, ჰამზათ-ბეგი ითვალისწინებდა, რომ იარაღის დროებით დაყრით ძალებს შეინარჩუნებდა და ხელს შეუწყობდა იმამ ყაზი-მოლას, რომლის მდგომარეობა დაღისტანში ამ დროს შედარებით მტკიცე ჩანდა. რუსეთის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა ჰამზათის მანევრს[3].

[1] პეტრუშევსკის შენიშვნით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოლაპარაკების ინიციატივა რუს გენერლებს ეკუთვნოდათ (Петрушевский, 140—141).

[2] Акты, т. VII, № 411.

[3] ჰამზათ-ბეგის შესახებ პასკევიჩს სწერდნენ: „ჰამზათ-ბეგი არის შვილი ალისკანტისა (ალი-ისკანდერ-ბეგისა), რომელიც ომარ-ხან ავარელის უსაყვარლესი პირი იყო...მისი მოკმედება ყაზი-მოლას მხარეზე ხუნძახის წინააღმდეგ და აგრეთვე მთიელთა ამბოხებაში მონაწილეობა ორი საქმეა, რომლის მიხედვით იგი, სავსებით სამართლიანად, შეიძლება გადაეცეს სასამართლოს" (Кав. сб., т. XII, გვ. 180).

13—14 ნოემბერი საბედისწერო დღეები იყო ჭარ-ზაქათალი-სათვის. მრავალრიცხოვანი რუსთა რაზმები უტევდნენ აჯანყებულ ლეკებს, რომლებსაც მიურიდებმა უღალატეს. არტილერია უშენდა სოფლებს. რუსები თანდათან უახლოვდებოდნენ ზაქათალის კოშკს. ლეკებმა უკან დაიხიეს თალას ხეობისაკენ, რომ სოფ. მუხახთან გასულიყვნენ, მაგრამ გზა მოჭრილი აღმოჩნდა; მათ მხოლოდ ერთი გზა რჩებოდათ: ხევის გასწვრივ კაკასიონს გადაღმა, სადაც ოჯახები გახიზნეს, მთელი დოვლათი კი ოხრად დარჩათ. რუსთა რაზმებმა დაიკავეს ციხის გარშემო ადგილები. სერგეევმა მიიღო ბრძანება: „ჭარი და ზაქათალა აღიგაოს პირისაგან მიწისა“. დაიწყო უსასტიკესი ანგარიშსწორება. ყოველის მხრიდან შევიწროებულმა და საფუძველ მოთხრილმა აჯანყებულებმა იარაღის დაყრა იწყეს და რუსებს ჰბარდებოდნენ. გენერლები მათ პატიებას კი არა, არამედ სასჯელის შემსუბუქებას ჰპირდებოდნენ.

17 ნოემბერს რუსებს ჩაჰბარდა აჯანყების ორი მოთავე—ჩანკა-ოღლი (ჭარის მთავარი მამასახლისი) და ოდენ-ოღლი. იპერდნენ აჯანყების სხვა მოთავეებსაც. ხეობებიდან დაბრუნებულ ჭარელებს, კატეხელებსა და სხვ. ნაბრძანები ჰქონდა დასახლებულიყვნენ წინანდელ ადგილებში კი არა, არამედ დაბლობში, სოფ. თალას, გოგამისა და ტანაჩის მიდამოებში, ჭარისა და ზაქათალის სახელები კი ხსოვნიდან ამოეშალათ. გარდა ამისა, მათ უნდა გადაეხადათ კონტრიბუცია სამხედრო ხარჯების დასაფარავად და სხვ.

რუსეთის მმართველობამ სამშვიდობო გარანტიისათვის 36 მძევალი წამოიყვანა იმ მამასახლისთა ოჯახებისაგან, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობდნენ. შეიპყრეს აჯანყების 30-დე მეთაური; მათ შორის დიდად საპატიო გვარებისაგანაც—ჩაფარალის, ნუღლის, ჩემჩელის. რუსეთის მთავრობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა აჯანყების 2 „უპირველესი“ ხელმძღვანელის—კატეხელი მებატონის კუტურ-სულეიმან-ოღლისა და მისი ნათესავის იბრაჰიმ-ზაჰერ-ოღლის შეპყრობით.

აჯანყება დამარცხებული იყო, მაგრამ წლის სიგრძეზე პერიოდულად ზიმდინარე ბრძოლას ბოლო აღარ უჩანდა. დეკემბერში ბელაქანში ისევ აღმოცენდა მღელვარების ახალი ტალღა. ამჯერად გამოსვლის საბაბი გახდა რუსთა ახალი დამსჯელი ექსპედიცია ბელაქანში. განზრახვა იყო, რომ ბელაქანი ჭარის მსგავსად დაერბიათ.

ამ დროს, როგორც ჩანს, ბელაქანში იმალებოდა მიურიდიზმის ცნობილი პროპაგანდისტი, ყაზი-მოლასა და ჰამზათ-ბეგის მიმდევარი ჰალა-მაჰომა თავისი რაზმით. იგი ახალ გამოსვლას ამზადებდა. მას შეუერთდნენ სხვა მიურიდებიც და დაღისტანში შეხიზნული ქარელები. მალე მოვიდა თავისი რაზმითურთ ალი-ჩულა-მაჰომა (შემდეგში შამილის ნაიბი). 10 დეკემბრისათვის მიურიდთა ლაშქარი 2 ათას კაცამდის აღწევდა[1].

ეს გამოსვლა ზამთრის პირობებში მზადდებოდა და, როგორც ჩანს, ამიტომ რუსი გენერლები ფიქრობდნენ, რომ საშიშროებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა; მაგრამ ამჯერად ზამთარმა ხელი ვერ შეუშალა მიურიდების შემოტევას.

15 დეკემბერს ჯურმუთიდან წამოსული მიურიდები უკვე მთავარი ქედის სამხრეთით იყვნენ. მალე მათ დაიკავეს ბელაქნის თემის სოფ. წაბლოვანი და მცხოვრებთაგან სურსათს მოითხოვდნენ. მათი რაზმების ერთმა ნაწილმა ბელაქანსა და ზაქათალას შორის გზა დაიკავა. ბელაქნის ჯამაათმა თავისი უმრავლესობით მხარი დაუჭირა ალიჩულას. ჯამაათმა მოსთხოვა კავშირი რუსეთის მომხრე ქევხა-მამედ-მურთუზ-ალი ვაჩნაძეს, მაგრამ იგი კავშირის მაგიერ აჯანყებულებს შეებრძოლა და 600-დე კაცით თავის საგვარეულო კოშკში გამაგრდა[2]. ვაჩნაძეს მოკავშირეები ჩამოეცალნენ. იგი დაიღუპა თავისსავე კოშკში აჯანყებულთა მიერ ცეცხლმიცემული. აჯანყებულებმა დაიკავეს ბელაქანი. „ალიჩულა-მაჰომა მბრძანებლობდა ბელაქანში ისე, როგორც საკუთარ სახლში“.

ახალი გამოსვლის შემდეგ თანამდებობიდან გადააყენეს გენ. სერგეევი, რომელსაც ყოველგვარი პასუხისმგებლობა დააკისრეს. ქარ-ბელაქნის უფროსად როზენი დანიშნეს.

22 დეკემბერს მოხდა 1830 წ. სისხლიანი დრამის უკანასკნელი აქტი. რუსთა რაზმებმა ორივე მხრიდან შეუტიეს ბელაქანს. ამ ბრძოლის შესახებ პასკევიჩი აცნობებდა პეტერბურგს: „გლუხოდარები (იგულისხმება მიურიდები, მ. დ.) მტკიცედ იცავდნენ თავს და საღამოთი...ჩემი სახელობის პოლკის 3 ასეულს ეკვეთნენ ხანჯლებითა და ხმლებით. ღამემ იძულებული გახადა საქმის შეჩერება და მთიელებმა, ისარგებლეს რა სიბნელით, დაუჩქარეს უკან დაეხიათ მთებში. დევნა ჩვენი მხრიდან შენელებული იყო, რადგან

[1] Кав. сб., т. XII, вз. 194.
[2] Кав. сб., т. XII, 197; Петрушевский. 145.

მტერს გაქცევის დროს დამარცხება არ განუცდია და. თვით ბელაქნის მცხოვრებლებმა თავიანთი ოჯახებითა და ქონებით ტყეებში შეხიზვნა მოასწრეს"[1].

აღნიშნული ბრძოლით დასრულდა 1830 წლის აჯანყება. რუსთა რაზმები მთელი სისასტიკით გაუსწორდნენ მიურიდებსა და აჯანყებულებს.

აჯანყების შემდეგ დაღისტანში გადახიზნულმა ჭარ-ბელაქნელებმა თავისი საქმიანობა და ბედი მიურიდიზმის ბრძოლას დაუკავშირეს და ყაზი-მოლას მოქმედებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ.

1830 წ. აჯანყება ჭარ-ბელაქანში წარმოადგენდა რუსთა ბატონობის შედეგად უკმაყოფილო ფეოდალური ზედაფენების ამბოხებას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მიურიდულ რეაქციას. აჯანყებულთა ბანაკში მყოფ ძირითად მებრძოლ მასას მიურიდები შეადგენდნენ. მიურიდები, ჭარელ მებატონეთა დიდ ნაწილთან ერთად, მიზნად ისახავდნენ რუსთა ბატონობის მოსპობას ჭარში, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო სტრატეგიულ ბაზად უნდა გადაქცეულიყო. რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ბანაკისათვის ჭარ-ბელაქანი უნდა აღდგენილიყო თავის ძველ უფლებებში. ამრიგად, ეს გამოსვლა თურქი და ინგლისელი დამპყრობლების მიზნებს ემსახურებოდა. ამიტომაც იყო, რომ აღნიშნულ აჯანყებას მხარს არ უჭერდნენ ფართო მასები. მშრომელი გლეხობა—ინგილოები და მუღალები მიურიდებსა და ჭარელ ფეოდალებს არ თანაუგრძნობდნენ. კერძოდ ინგილოები მხარს უჭერდნენ რუსთა რაზმებს, იბრძოდნენ რუსული მმართველობის ქვეშ მყოფ საქართველოსთან ,ავშირის შენარჩუნებისათვის.

აღნიშნული აჯანყების გამარჯვებისა და ჭარში მიურიდების გაბატონების შემთხვევაში ჭარ-ბელაქანი მოწყდებოდა საქართველოს, კვლავაც გადაიქცეოდა ქურდულ-აბრაგული შემოსევების ბუდედ, თურქული აგენტურის სათარეშო ასპარეზად. ეს კი საინგილოს მშრომელი მოსახლეობისათვის დიდი უბედურება იქნებოდა. საინგილო დაჰკარგავდა სოციალურ-ეკონომიური ზრდის შესაძლებელ.პერსპექტივებს და დიდი ხნით გაეხვეოდა მიურიდული რეაქციის გარსში[2].

[1] Акты, т. IX, дополн. № 18; Петрушевский. 146.

[2] არაა სწორი პეტრუშევსკის მოსაზრება, რომ თითქოს აღნიშნული აჯანყება ძირითადად იყო „Движение социальных низов вольных обществ; мелких свободных держателей земли, отбросившее бо́льшую часть кешкелевладельцев в российский лагерь". (დასახ. ნაშრ., გვ. 148).

ფართო მასებს მოწყვეტილი მიურიდებისა და ჭარ-ბელაქნელი ფეოდალების ერთი ნაწილის გამოსვლა მარცხით დამთავრდა. მარცხის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ გამოსვლას მშრომელი მასები მხარს არ უჭერდნენ. არც ფეოდალების მონაწილეობა ყოფილა ერთსულოვანი. კერძოდ, გამუსლიმანებული ქართველი მებატონეები, როგორც ჩანს, მურთუზ-ალის (ვაჩნაძის) მეთაურობით მხარს უჭერდნენ რუსთა ბრძოლას მიურიდების წინააღმდეგ. ეს მხარდაჭერა იმდენად აქტიური იყო, რომ ვაჩნაძე აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკლეს.

აჯანყების ლიკვიდაციის დღიდან დაიწყო საინგილოში ახალი წესრიგის დამყარება. 25 დეკემბერს გამოქვეყნდა პასკევიჩის პროკლამაცია, რომელიც დამარცხებულ აჯანყებულთა წინააღმდეგ შეტევას გამოხატავდა.

თუ რა შედეგი მოჰყვა აჯანყების მარცხს, ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ოლქის უფროსისა—როზენის მოხსენება პასკევიჩისადმი 1831 წ. 9 თებერვალს: „ჭარში, ზაქათალასა და გოგამში სახლებისა და ბაღების დიდი ნაწილის განადგურების შემდეგ ამ სოფლების ლეკთა უმეტესობა ცხოვრობს ალაზნის პირის ტყეებში, სადაც ისინი ყოველთვის აგროვებდნენ სურსათის მარაგს...ზოგმა ლეკმა იშოვა თავშესაფარი თავის ნათესავებთან კატეხში, მაწეხში, თალასა და სხვა სოფლებში"[1]. ბელაქნელ ლეკებსაც არ დაადგათ კარგი დღე. ამას მოწმობდნენ სოფლები კატეხი და მაწეხი. აქაური ლეკების უმრავლესობამ დაჰკარგა უფლება თავიანთ ყმა გლეხებზე.

მთავარმმართველის განკარგულებით, ჭარ-ბელაქნის ლეკებს იარაღი ჩამოერთვათ. „ენისელელებს, როგორც ჩვენს ერთგულებს,—წერდა პასკევიჩი,—იარაღი არ ჩამოერთვათო". ასეთი პრივილეგია გავრცელდა ლეკთა იმ გამონაკლის ნაწილზეც, რომელიც ხეობათაგან გამოსასვლელში ცხოვრობდა[2].

1830 წ. აჯანყების ჩაქრობით საინგილო საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. ამიერიდან საინგილოს ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. დასაწყისშივე გატარებულმა ღონისძიებებმა შესამჩნევი ცვლილებები მოახდინა სოციალურ ურთიერთობაში.

---

[1] საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 515.

[2] Москва, ЦГВИА, Ф. ВУА, д. 6243, ф.77—81

თავი მესამე

აღმოსავლეთ კახეთი XIX საუკუნის 30—60-ან წლებში

1. ცვლილებები გაბატონებული კლასის ცხოვრებაში 1830 წლიდან 70-ან წლებამდე

1830 წელს მეფის მთავრობის მიერ ჭარ-ბელაქნის შემოერთებასთან დაკავშირებით მებატონე ლეკების უფლებრივი მდგომარეობა დიდად შეიზღუდა. ეს გამოისახა საქართველოს მთავარმართველი გენ. პასკევიჩის მიერ შემუშავებულ წესებში, რომელიც მეფემ დაამტკიცა 1830 წ. 24 ივნისს.

აღნიშნულ წესებში მეფის მთავრობამ აშკარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება მებატონე ლეკებისადმი, როგორც ისეთი კლასისადმი, რომელიც ამ მთავრობისადმი მტრულად იყო განწყობილი. მართლაც, ჭარელი აღალარების დიდი ნაწილი თურქული აგენტურის მიერ დანერგილი მიურიდული რეაქციის გამტარ ძალას წარმოადგენდა და ყოველმხრივ იბრძოდა საქართველო-ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. პასკევიჩის წესებში ხაზგასმული იყო აგრეთვე ძალად გამუსლიმანებული და დამონებული ინგილოების მდგომარეობის შესახებ. მთავარმმართველის აზრით, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ინგილოები რუსეთის მთავრობის ერთგულნი უნდა ყოფილიყვნენ. აქედან გამომდინარე ისახებოდა მთავრობის პოლიტიკა აღმოსავლეთ კახეთში:

„....ამ უკანასკნელი კლასის (ინგილოების, მ. დ.) წარმომადგენელთა მომხრეობის შენარჩუნება, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებით, და ამით მტრული ლეკების ბატონობის შესუსტება, რომ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დაცულ იქნას წონასწორობა და წინააღმდეგობა ამ ორ კლასს შორის“ [1]. ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეესწავლათ მებატონე ლეკთა უფლებები ინგილო ყმა-გლეხებზე იმ მიზნით, რომ ამიერიდან ინგილოებს აღარ ეხადათ მათზე თვითნებურად დაკისრებული გადასახადები. ყმა ინგილოებს გადასახადები უნდა შეეტანათ უკვე სასოფლო მმართველობაში, რომელიც შემდეგ სათანადო ქვითრების საფუძველზე მისცემდა ამ გადასახადს მებატონეებს. გადასახადის დაგვიანების შემთხვევაში

---

[1] Акты, т. VII, № 380, 444.

მებატონე ლეკს არ შეეძლო ყმისაგან მისი მოთხოვნა, მას საოლქო მმართველობისათვის უნდა მიემართა.

ამიერიდან მებატონე ლეკებსა და ყმებს შორის რუსეთის მთავრობა დგებოდა. გლეხები უკვე სახაზინო ყმათა მდგომარეობაში გადადიოდნენ. ამას კი მათი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება უნდა გამოეწვია. მებატონე უკვე ვეღარ შესძლებდა თვითნებურად გამოეყენებინა ყმის შრომა, დაეტოვებინა იგი საშინაო სამუშაოებზე, მოეთხოვა მისგან გადასახადის მიტანა ბინაზე და სხვ.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ინგილოთა უფლებების განსაზღვრას. ხსენებულ წესებში მითითება იმის შესახებ, რომ ინგილოებს ეძლეოდათ „პირადი თავისუფლება“, გულისხმობდა, რომ მათ ასეთი თავისუფლება წინათ არ ჰქონდათ, რომ ისინი მიწაზე მიმაგრებული იყვნენ და მებატონე ლეკთა დაუკითხავად წასვლა არ შეეძლოთ. გარდა ამისა, ინგლოებს მიეცათ საშუალება გადაეხადათ მებატონეთათვის ათი წლის შემოსავლის ჯამი და გამხდარიყვნენ მთლიანად თავისუფალ მესაკუთრეებად. მათვე ეძლეოდათ ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფალი აღიარების საშუალება.

ყოველივე ზემოაღნიშნული საგრძნობლად ზღუდავდა გაბატონებული კლასის უფლებებს საინგილოში და მისი შემდგომი დაშლის პირობებს აუმჯობესებდა.

აღნიშნული „წესები“ ხაზს უსვამდნენ, რომ საოლქო მმართველობაში შეყვანილ იქნებოდნენ „გავლენიანი პირები“ („знатнейшие лица“), მაგრამ ისინი მეორეხარისხოვან მოხელეთა როლში გამოდიოდნენ[1]. ფაქტიურად საინგილოში გაბატონებული კლასი ჰკარგავდა თავის პოლიტიკურ უფლებებსაც. არას ვამბობთ ე. წ. „ჯამაათებზე“, რომლებიც უკვე უბრალო სასოფლო ყრილობებს წარმოადგენდნენ.

პროფ. პეტრუშევსკი აღნიშნული „წესების“ განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევა. იგი აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა იცავდა მხოლოდ ქვეშქელისმფლობელთა უფლებებს, გაბატონებული ფენის ინტერესებს და თვალთმაქცურად ეკიდებოდა ინგილოებს, რომელთა სასარგებლოდ მას არაფერი გაუკეთებია. ავტორი თვლის აგრეთვე, რომ მთავრობა ანგარიშს არ უწევდა ავართა „თავისუფალ თემებს“[2].

დავიწყოთ იქიდან, რომ ე. წ. თავისუფალი თემები ამ მომენტისთვის ფაქტიურად დარღვეული იყო და მათთვის ანგარიშის

[1] პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., 112.
[2] იქვე, გვ. 113, 114.

გაწევა მთავრობას აღარ შეეძლო. გარდა ამისა, ტენდენციურ განწყობილებად ჩამოგვერთმეოდა, რომ აღნიშნულ „წესებში“ არ დაგვენახა მთავრობის მიერ თითქმის ნათლად და დასაბუთებულად გამოთქმული მისწრაფება ქეშქელისმფლობელთა შეზღუდვისაკენ. რატომღაც პეტრუშევსკის მახვილ თვალს ეს მკვეთრად გახაზული მომენტი მხედველობიდან რჩება. იგი სდუმს იმის შესახებ, რომ მთავრობა მხოლოდ ნატურალური ბეგარით განსაზღვრავდა ინგილოთა ყმურ დამოკიდებულებას და თვითონ მებატონეებსა და ყმაგლეხებს შუა დგებოდა. არაა მთლად სწორი აგრეთვე ავტორის განცხადება, რომ თითქოს რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ „თვითნებური გადასახადები შეუჩერებლივ იზრდებოდნენ... ხელისუფლების პირდაპირი მხარდაჭერით“. ქვემოთ ნათლად გამოჩნდება, რომ რუსეთის მთავრობა გარკვეულ დრომდის მაინც, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, ხელს უწყობდა მებატონე მუსლიმანი ლეკების განიარაღებას. რა თქმა უნდა, მთავრობის ღონისძიებანი ქეშელისმფლობელთა გარკვეული ნაწილის უფლებათა შეზღუდვისათვის საბოლოო ანგარიშში ვერ ანელებდა გლეხთა ექსპლოატაციას. ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების პირობებში ეს ექსპლოატაცია უფრო მწვავდებოდა, მაგრამ განსაზღვრული დროის მონაკვეთზე, 1830—1838 წლებში, ინგილო-მუღალთა მდგომარეობა მაინც შესამჩნევად შემსუბუქდა.

პეტრუშევსკი არ ანიჭებს მნიშვნელობას აგრეთვე ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფალი დაცვის უფლებასაც და თავისი მოსაზრების გასამაგრებლად იმოწმებს ჭარ-ბელაქნის მმართველის ბეკოვიჩ-ჩერკასკის მიერ გამოთქმულ ეჭვს, რომ ასეთ უფლებას ინგილოებისათვის არაფერი არ უნდა მოეტანა, რადგან მათ ქრისტიანული სარწმუნოება დიდი ხანია დავიწყებული ჰქონდათ[1]. აქ მხედველობიდანაა გამოშვებული მიურიდიზმისა და თურქული აგენტურის მიერ ქრისტიანობის შეუჩერებელი დევნა და ის, რომ ამის გამო ინგოლთა დიდი ნაწილი მალულად იცავდა ძველ სარწმუნოებას; დავიწყებულია, რომ სარწმუნოებრივი დევნა კლასობრივ ჩაგვრას ამძიმებდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რომ საინგილოს გაბატონებულ საზოგადოებაში მომხრეები ეშოვა. მებატონე ლეკთა ზოგიერთ წარმომადგენლებს საჩუქრებს აძლევდნენ და მმართველობაში გზას უხსნიდნენ. ასეთ მისწრაფებებს

[1] პეტრუშევსკი. დასახ. ნაშ., გვ. 113. Акты, т. VII, № 385.

მთავრობა ისევე არ მალავდა, როგორც საერთოდ ქეშქელისმფლობელთა უფლების შეზღუდვის ცდებს. ეს პეტრუშევსკის მიერ მოტანილი მასალებიდანაც ჩანს.

ოლქის მმართველი ბეკოვიჩ-ჩერკასკისადმი მითითებებში ხაზგასმები—„გაუმხილეთ მთავრობის მისწრაფებანი იმ მთავარ პირებს, რომლეთაც ხალხზე გავლენა აქვთ“, „ლმობიერად მოეპყარით მამასახლისებს და სასულიერო გავლენიან პირებს“, „მოეფერეთ“ „სასარგებლო პირებს“ და სხვ.,[1] მიმართული იყო მთავრობის ძლიერი აგენტურის შექმნისაკენ.

ზემოთ მოტანილი მითითებები და სხვა ფაქტები, რომლებიც ჰარში „წარჩინებულთადმი“ მფარველობითს შთაბეჭდილებას ქმნიან, სინამდვილეში არ მიუთითებდა მათ მფარველობაზე, რადგან მთავრობას ასე უცებ არ შეეძლო პირდაპირი კონტაქტი დაემყარებინა მებატონე ლეკებთან, რომლებსაც თავის მოწინააღმდეგებად თვლიდა. როგორც უკვე ითქვა, ლეკთა წინააღმდეგ მთავრობა ცდილობდა დაყრდნობოდა სოციალურად დამონებულ ელემენტებს, ამით შეესუსტებინა ჰარის ლეკები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დაღისტანში ამ დროს მზარდ მიურიდულ მოძრაობასთან.

1830 წ. ივლის-ოქტომბრის აჯანყების შემდეგ, გარკვეული წლების განმავლობაში, ჰარელი ლეკები მთლიანად ჰკარგავენ თავიანთ მებატონურ უფლებებს. მთავარმმართველი პასკევიჩის მიერ 1830 წ. 25 დეკემბერს გამოქვეყნებულ პროკლემაციაში ნათქვამი იყო:

„ყოველი ლეკი, რომელსაც აქამდის რაიმე უფლება ჰქონდა ინგილოებსა და ენისელებზე, ამიერიდან ასეთს ჰკარგავს და ეს ტომები ვალდებული არიან მომავალში ხაზინაში შეიტანონ ის გადასახადები, რომლებსაც აქამდის ლეკებს უხდიდნენ“.

„ყველა, ვინც კი დახმარება გაუწია მათ (აჯანყებულებს, მ. დ.), ან ჩვენი ჯარების წინააღმდეგ იარაღი აიღო, ჰკარგავს უფლებას თავის უძრავ-მოძრავ ქონებაზე...“[2].

გამოქვეყნებული პროკლამაციის საფუძველზე ლეკები ჰკარგავდნენ არა მარტო ნატურით მისაღებ გადასახადებს, არამედ ყმა-გლეხთა სამსახურსაც; სამაგიეროდ გლეხებზე დადებულ ნატურალურ ბეგარას ამიერიდან ხაზინა ითვისებდა. აღნიშნული ღონისძიება იყო ერთი სერიოზული ნაბიჯი საქეშქელო უფლების ლიკვიდაციისა და ინგილო-მუღალთა განთავისუფლებისაკენ. ვერ და-

[1] Акты, т. VII, № 380; პეტრუშევსკი. გვ. 114.
[2] Кавказский Сборник, т. XII, გვ. 204—205.

ეეთანხმებით პეტრუშევსკის, რომელიც ამ ღონისძიებას აცხადებს მეფის მთავრობისათვის ჩვეულ მორიგ პირფერობად [1].

აღნიშნული ღონისძიება რუსეთის მმართველობამ მართლაც გაატარა. ეს დადასტურებულია ზაქათალის კომისიის № 46 ჟურნალში. ამასვე ადასტურებდნენ თვით ლეკი მებატონეები. 1872 წ. ისინი იგონებდნენ თავიანთ ძველ უფლებებს და მიუთითებდნენ, რომ ეს უფლებები 1830 წ. შემდეგ შეიკვეცა. აღნიშნულ ჟურნალში მოყვანილია 1830 წ. ხაზინის განკარგულებაში გადასული საქეშქელო შემოსავლის ნუსხა. [2]

გაბატონებულ ლეკთა იმ ნაწილს, რომელიც აჯანყებაში არ მონაწილეობდა, მთავრობა ანგარიშს უწევდა. მართალია, ისინიც ჰკარგავდნენ უფლებას გლეხებზე, მათ პენსიები ენიშნებოდათ, მაგრამ პენსიების დანიშნა მთავრობამ ვერ განახორციელა და „ერთგულ“ მებატონე ლეკებს „გარკვეულ დრომდის“ დაუტოვა საქეშქელო გადასახადის მიღების უფლება. ეს არ მოასწავებდა ლეკთა მიერ ძველი მდგომარეობის შენარჩუნებას. ასეთ „ერთგულებს“ საქეშქელო გადასახადი არა უშუალოდ გლეხებიდან, არამედ ხაზინიდან უნდა მიეღოთ. აჯანყებაში მონაწილე ლეკებმა კი ასეთი შემოსავალიც დაჰკარგეს. [3]

ინგილოები და მუღალები ცხადდებოდნენ სახელმწიფო გლეხებად. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმული იყო, რომ მათ საკუთრებაში რჩებოდა „სახლები და მიწები, რომლებიც აქამდის მათვე განკარგულებაში იყო“ [4]. აქედან ჩანდა, რომ შემდგომში მებატონე ლეკებს უნდა დაეკარგათ რაიმე პრეტენზიის უფლება გლეხთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

1831 წ. ბარონ როზენი წერდა, რომ ჭარის, ზაქათალისა და გოგამის ლეკთა დიდი ნაწილი, აჯანყების შემდეგ, ცხოვრობდა ალაზნის პირის ტყეებში და ხელს კიდებდა ხვნა-თესვას [5].

1831 წლიდან გაბატონებულ კლასს აღმოსავლეთ კახეთში დააკისრეს სახაზინო გადასახადი ისევე როგორც გლეხებს—მანეთნახევარი კომლზე [6].

---

[1] პეტრუშევსკის დასახ. წიგნი, გვ. 152.
[2] საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 538—539.
[3] იქვე, 515.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე, გვ. 516.

ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა გრძელდება 1838 წლამდე. ამ წლისთვის რუსეთის მთავრობა იძულებული ხდება აღუდგინოს ჰარელ მებატონეებს „პურის შემოსავალი ინგილური სოფლებიდან". ეს გამოწვეული იყო დაღისტანში გამწვავებული მდგომარეობით და იმ საშიშროებით, რასაც ქმნიდა განიარაღებულ ჰარელ ლეკთა კავშირი მიურიდებთან. „ლეკები, რომლებმაც მიწისაგან შემოსავალი და საარსებო საშუალებები დაჰკარგეს...დაღისტანში არსებულ მღელვარებათა წაქეზებით გარბოდნენ მთებში და აქედან გლუხოდართა (მიურიდთა, მ. დ.) პარტიებთან ერთად აწყობდნენ მძარცველურ თავდასხმებს ჰარ-ბელაქანსა და კახეთზე" [1].

მებატონეებს მიეცათ საშუალება უშუალოდ შეეკრიბათ გადასახადები გლეხებისაგან, მაგრამ გადასახადის მიღება უნდა [მომხდარიყო „იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი შედიოდა ხაზინაში, და არა მფლობელთა ნება-სურვილის მიხედვით" [2].

მიუხედავად ასეთი შეზღუდვისა 1838 წლიდან ჰარელი აღალარების ძირითადმა ნაწილმა თანდათანობით მოახერხა თავისი ძველი პრივილეგიების ნაწილობრივი აღდგენა, მაგრამ 1830 წლამდელი მდგომარეობა მთლიანად ვერ გაინაღდა.

ჰარელ მებატონეთა შემოსავლის ხაზინაში გადასვლასთან დაკავშირებით 1830 წ. ინგილოებმა და მუღალებმა, ცნობების შეკრების დროს, გადასახადთა ნაკლები რაოდენობა უჩვენეს. ხაზინა ღებულობდა გადასახადებს იმ რაოდენობით, როგორც ეს გლეხებმა ჩააწერინეს. მაგ., ალიაბათელი ინგილოები 1830 წლამდე მებატონეებს უხდიდნენ თითო ქეშქელზე 13 თაღარს, ხაზინას კი აძლევდნენ 8 თაღარს. როდესაც საქეშქელო შემოსავალი ლეკებს დაუბრუნდა, მაშინ იმ მებატონეებმა, რომლებიც აჯანყების დროს მთავრობის ერთგულნი რჩებოდნენ, დაიწყეს 10 თაღარის მოთხოვნა, ხოლო ისინი, ვინც აჯანყებაში მონაწილეობდნენ, ვეღარ ბედავდნენ იმაზე მეტის მოთხოვნას, რასაც მთავრობა ღებულობდა [3]. მართალია, უფრო მოგვიანებით გლეხები ჩიოდნენ, რომ გადასახადთა სხვადასხვაობის მიზეზი იყო „ლეკთა ძალადობა და თვითნებობა", მაგრამ მაინც ცხადად ჩანდა, რომ 1838 წ. შემდეგაც კარგა ხანს საქეშქელო გადასახადი შემცირებული იყო.

1830 წლამდე უძველოდ გადასული გლეხის საქეშქელო ნაკვე-

---

[1] საარქივო საბ. ჰარ-ბ., ფ3. 517.

[2] იქვე.

[3] იქვე, 540—541.

თის გადაცემა ხდებოდა მებატონესთან შეთანხმებით. ამ წლის შემდეგ კი ინგილოებმა და მუღალებმა ეს უფლება თვით :მოიპოვეს. ისინი უკვე აღარ ეკითხებოდნენ მებატონეს ქეშქელის სხვაზე გადაცემის შესახებ. 1872 წ. ზაქათალის კომისია შენიშნავდა: „ლეკები იურიდიულად არ სცნობენ ამ უფლებას, თუმცა თანხმდებიან, რომ იგი ფაქტიურად არსებობს რუსეთის მთავრობის მიერ ამ ქვეყნის დამორჩილების შემდეგ...“[1].

1830 წ. შემდეგ მებატონე ლეკები, როგორც ჩანს, ძირითადად ჰკარგავენ თავიანთი გლეხების ბატონყმურ სამსახურს. მებატონე უკვე, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ზღუდავდა გლეხის პირად თავისუფლებას, მას შეეძლო გლეხებისაგან მხოლოდ და მხოლოდ საქეშქელო გადასახადის მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე ზაქათალის კომისია დაასკვნიდა:

„ამგვაროდ, ლეკთა უფლება იმ მიწებზე, რომლებზედაც ინგილოები და მუღალები სახლობენ, გაპირობებულია მხოლოდ პურის გარკვეული შემოსავლის მიღებით...“[2].

1830 წ. შემდეგ საინგილოში გაბატონებული ფეოდალური კლასი დაცემის გზით მიდის. რუსული მმართველობა, როგორც ჩანს, თვითონ იწყებდა მებატონეთაგან ჩამორთმეული საქეშქელო შემოსავლით ვაჭრობას და ამით საშუალებას აძლევდა ვაჭარ-მევახშეებს გადაქცეულიყვნენ ქეშქელისმფლობელად. კერძოდ, ზაქათალის კომისია ადასტურებდა, რომ საინგლოში რუსული მმართველობის შემდეგ „გვიანჩამოსახლებულები“ ღებულობდნენ საქეშქელო შემოსავლის შესყიდვის უფლებას. ამ უფლებით სარგებლობდნენ სომეხი ვაჭრებიც. მევახშეები მიწას ართმევდნენ აგრეთვე ვალში ჩავარდნილ ქეშქელისმფლობელებსაც.

აღნიშნული მოვლენა საერთოდ ახასიათებდა საინგილოში, ისე როგორც საქართველოს სხვა პროვინციებში,არსებულ ფეოდალურ ურთიერთობას. ვაჭარ-მევახშე თვითონ ხდებოდა „მებატონე“. მაგრამ იგი არ ყოფილა ისეთივე ტიპის მებატონე, როგორც მაგ., 1830 წლამდე არსებული ფეოდალი. ეს ახალი „მებატონე“, რომელიც რაც შეიძლება მეტი ფულადი მოგების მოტრფიალე იყო, კიდევ უფრო ზრდიდა მწარმოებელთა ექსპლოატაციას, მაგრამ

---

[1] საარქ. საბ. ჭარ—ბ., გვ. 538. ეს დადასტურებულია კომისიის მე-15 ჟურნალშიც (ცსსა, ფ. 236, აღწ. № 1, ჟურნ. № 15, ფურ. 89—90).

[2] ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. № 13, ფურ. 23—24.

წარმოების წესს არ ცვლიდა. ამის შესახებ კ. მარქსის „კაპიტალში“ ვკითხულობთ:

„ვიდრე მონობაა გაბატონებული ან ვიდრე ზედმეტ პროდუქტს ფეოდალი და მისი ამალა სჭამს და მევახშეს ხელში მონათმფლობელი ან ფეოდალი უვარდება,—წარმოების წესი იგივე რჩება; მხოლოდ იგი უფრო ძნელი ასატანი ხდება მუშისთვის. ვალებით დატვირთული მონათმფლობელი ან ფეოდალური მებატონე მეტს გამოსწოვს მუშას, იმიტომ რომ მასაც მეტს გამოსწოვენ. ანდა იგი, ბოლოს და ბოლოს, თავის ადგილს უთმობს მევახშეს, რომელიც თვითონ ხდება მემამულე... ძველი ექსპლოატატორის ადგილას, რომლის ექსპლოატაციას მეტნაკლებ პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან უმთავრესად პოლიტიკური ძალა-უფლების იარაღს წარმოადგენდა, დგება სასტიკი, ფულხარბი ვიგინდარა. მაგრამ თვით წარმოების წესი არ იცვლება“ [1].

ჭარელი ლეკები აცხადებდნენ, რომ ჭარში რუსთა გაბატონებამდის ისინი ნამდვილი მებატონეებივით ცხოვრობდნენ, არ იცოდნენ ხვნა-თესვა, მათ მიწებს ამუშავებდნენ გლეხები; ლეკთა საქმე იყო „მხოლოდ თავდასხმების მოწყობა“, ან თავდაცვა. შემდეგ კი, როცა მათი ხელისუფლება მუღალებზე, როგორც საკუთარ „რაიათებზე“, შეწყდა, როცა ლეკს სახნისი უნდა აეღო და ემუშავნა, მაშინ ზოგიერთს ასეთი მდგომარეობა სამარცხვინოდ ეჩვენებოდა. ასეთებმა ამჯობინეს თავიანთი მიწების იჯარით გაცემა. თუმცა მათი მოთხოვნილება იზრდებოდა, მაგრამ ვერც ამან შეაჩვია ისინი შრომას. ბევრი მებატონე არჩევდა გაეყიდა თავისი ქონება, „ვიდრე ხელი აეღო მისთვის ჩვეულ ქეიფზე“ [2].

აღნიშნული დახასიათება უფრო მეტად ეხება მებატონეების იმ საკმაოდ საგრძნობ ნაწილს, რომელიც რუსეთის მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგა. ამასთანავე, აქ ნათლად ჩანს საერთოდ ლეკი მებატონეების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც მათ მოაკლდათ გლეხების ბატონყმური სამსახური.

ბელაქნის მებატონეები—გალეკებული ვაჩნაძეები ჩიოდნენ, რომ საჭირო იყო მუღალთა ძველი დამოკიდებულების აღდგენა. ისინი აცხადებდნენ, რომ ბელაქანში ბატონყმური ურთიერთობა შეწყდა არა 1830 წლიდან, არამედ 1844 წლიდან. ამის შემდეგ

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. II, ნაწ III. 1934 წ., გვ. 127—128.
[2] ცსსა, ფ. 236, აღწ. № 1, საქმე № 13, ჟურნ. № 45, ფურც. 23—24.

მხოლოდ „ზოგიერთი მუხლების მიხედვით“ უხდიდნენ მათ ბეგარას[1]. 1844 წელი, შეიძლება, ვაჩნაძეებმა განზრახ მიუთითეს, რომ ამით ხანდაზმულობა შეემცირებინათ და საჩივრისათვის მეტი საფუძველი მიეცათ.

1830 წ. აჯანყების შემდეგ, ჭარიდან, ბელაქნიდან, გოგამიდან და სხვა სოფლებიდან დევნილ ლეკ მებატონეთა ერთი ნაწილი და თავისუფალ მიწისმოქმედ გლეხთა საკმაოდ დიდი რაოდენობა დასახლდა ალაზნის ნაპირის მიდამოებში—ტანაჩის ტყეებში.

1842 წ. ტანაჩში დასახლებული ჭარელები თხოვდნენ საქართველოს მთავარმმართველს, რომ გაეთავისუფლებინათ ისინი სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებებისაგან და გაეთანასწორებინათ ბეგებთან. ჭარ-ბელაქნის საოლქო მმართველობა კი აცხადებდა, რომ მათ არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ მაღალი წოდების პრივილეგიათა მიღებისათვის. 1846 წ. კავკასიის მეფისნაცვალიც ამ აზრისა ყოფილა და აღნიშნულ ლეკებს თხოვნაზე უარი ეთქვა[2].

მოტანილი ფაქტებიდან ჩანს, რომ მეფის მთავრობა საინგილოში 1830 წ. აჯანყების შემდეგ სათანადო ღონისძიებათა გატარებით ხელს უწყობდა არსებული ბატონყმური ურთიერთობის ნგრევას, განსაკუთრებით ძირს უთხრიდა ლეკი მებატონეების უფლებრივ მდგომარეობას. გატარებულ ღონისძიებებს შედეგად მოჰყვა გაბატონებული კლასის დიდი ნაწილის მიერ გლეხთა ბატონყმური სამსახურის დაკარგვა. ამიერიდან გაბატონებულ კლასსა და გლეხებს შორის დამოკიდებული ურთიერთობა ძირითადად მხოლოდ მიწის რენტით—პურის გარკვეული გადასახადით განისაზღვრა.

რუსული მმართველობა აღმოსავლეთ კახეთში ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, უფრო მეტად ეყრდნობოდა სოციალურად დამონებულ ინგილოებს, ვიდრე გაბატონებული კლასის გარკვეულ ნაწილს. ასეთი დამოკიდებულება უფრო ნათლად გამომჟღავნდა საინგილოში მუდმივი სახალხო რაზმის შექმნის საქმეში. ეს რაზმი ძირითადად ინგილოებისაგან უნდა შედგენილიყო. მთავარმმართველი პასკევიჩი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მუდმივი ლაშქარი ყალიბდებოდა „როგორც ქვეყნის დასაცავად მთიელთა თავდასხმებისაგან, ისე იმისათვისაც, რომ ავამაღლოთ ჩვენდამი ერთგული ხალხის მდგომარეობა, ამით გავაძლიეროთ საკუთარი გავლენა ხალხის დანარჩენ მეორე ნახევარზე, რომელიც ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ იყო გან-

[1] ცსსა, ფ. 5, საქ. 8334. ფურ. 52.
[2] საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 517—518.

წყობილი და რუსეთისადმი საიდუმლო ბოროტებით იმსჭვალებოდა... ამ სახალხო რაზმის გამგებლობა ევალება ერთ ღირსეულ და უნარიან ქართველ თავათდაგანს, ხოლო მილიციელთა შენახვა მათივე საკუთარი ხარჯებით მოხდება"[1].

აღნიშნული დამოკიდებულება არ აიხსნება საქართველო-ამიერკავკასიაში მთავრობისათვის საერთოდ ჩვეული პოლიტიკით, რომელსაც გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვა ახასიათებდა.

აღმოსავლეთ კახეთში წარმოებული თავისებური პოლიტიკა მაშინ ნაკარნახევი იყო მუსლიმანურ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში იმ დროს შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით. თითქმის მესამედი საუკუნის ისტორიულმა პრაქტიკამ მეფის მთავრობა დაარწმუნა, რომ ოსმალეთსა და ირანს, და მათ ზურგში მდგომ ევროპის სახელმწიფოებს, რომლებიც აქ აჩაღებდნენ მიურიდულ მოძრაობას და გააფრთებით იბრძოდნენ რუსთა განდევნისათვის ამიერკავკასიიდან, მთაში ძლიერი ბაზა ჰქონდათ. დაღისტნელი მიურიდებისა და აბრაგების კავშირი ჭარელ ლეკებთან მჭიდრო იყო. მიურიდების მიერ დანერგილი ფანატიკური სიძულვილი არამუსლიმანთადმი ჯერ კიდევ მძაფრად ღვივოდა როგორც დაღისტანში, ისე საინგილოს ავარულ სოფლებში. აქედან გამომდინარე ჭარელ მებატონეთა შევიწროება და თავისუფალ გლეხთა შეზღუდვა საინგილოში მიურიდებსა და თურქეთს ხელიდან აცლიდა უაღრესად ხელსაყრელ ბაზას რუსთა მფლობელობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, მეფის მთავრობის პოლიტიკა აღმოსავლეთ კახეთში ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. იგი დროისა და ვითარების შესაბამისად იცვლებოდა.

2. გლეხობა 1830 წლიდან 70-ან წლამდე

როგორც ზევით ითქვა, 1830 წ. აჯანყების შემდეგ მებატონე ლეკთა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ლეკთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ძველი პრივილეგიები. ინგილო გლეხთა მდგომარეობა ამიერიდან შედარებით გაუმჯობესდა.

8 წლის განმავლობაში ხაზინის განკარგულებაში რჩებოდა საქეშქელო შემოსავალი. ეს გარემოება ფაქტიურად სპობდა ყმაგლეხთა ძველ პირად დამოკიდებულებას. 1838 წ. შემდეგ მებატონე ლეკები ვერ ახერხებდნენ ძველი მდგომარეობის მთლიანად აღდგენას.

[1] Москва. ЦГВИА. Ф. ВУА, д. 6243, ф. 77—81.

1839 წლიდან გლეხთა დამოკიდებულება მებატონეებისადმი, თუ ხაზინისადმი, ძირითადად განისაზღვრებოდა ე. წ. საქეშქელო დამოკიდებულებით.

ქეშქელის წარმოშობა, ჭარელი ლეკების განსაზღვრით, უკავშირდებოდა იმ დროს, როდესაც მათ დაიპყრეს საინგილოს მიწები და როდესაც ისინი „სოფლებს აფუძნებდნენ“. აქ, ჩანს, ნაგულისხმევი იყო ლეკთა მიერ გლეხების მოპატიჟება კახეთის თავისუფალ მიწებზე და ერთგვარი დამოკიდებულების გაფორმება. ასეთი ახსნისას ლეკები თანმიმდევრული ვერ იყვნენ, მათ ბევრი რამ არ ახსოვდათ[1]

როგორც ჩანს, „ქეშქელი“ დასაწყისში ფორმდებოდა როგორც გადასახადი მიწით სარგებლობისათვის და ამავე დროს როგორც მიწის გარკვეული ნაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვა.

ლეკთა განცხადებით, „ახლად ჩამოსახლებულებს“ გამოუყოფდნენ მიწას, რისთვისაც ისინი ყოველწლიურად პურის გადასახადს კისრულობდნენ. გაფორმებული დამოკიდებულებისათვის უფრო მოსახერხებელი ფორმა რომ მიეცათ, შეჰოსავალი—გადასახადი განიყოფებოდა ნაწილებად[2]. მაგ., გარკვეული შემოსავლის მომცემი ნაკვეთი გაიყოფა რამდენიმე თანაბარ ნაწილად—ქეშქელად, რომლის ექვივალენტი ჩანდა გარკვეული რაოდენობის პური. საზომად აღებული იყო თაღარი— $7^1/_2$ ფუთი. მაგ., ქეშქელი შეიძლებოდა ყოფილიყო 5 თაღარიანი; ეს იმას ნიშნავდა, რომ პურის რენტა გარკვეულ ნაკვეთზე, ქეშქელზე, უდრიდა 37 $^1/_2$ ფუთს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რენტის განსაზღვრისას მებატონეს დაახლოებით 30—40% მიჰქონდა და $37^1/_2$-ს მივიჩნევთ 40%-ად, მაშინ თვით მწარმოებელს—გლეხს დარჩებოდა 60%—დაახლოებით 56 ფუთამდე.

„ქეშქელი“, მებატონე ლეკისათვის, ნიშნავდა გარკვეულ შემოსავალს, რომელსაც იგი გლეხისაგან ღებულობდა, ხოლო გლეხისათვის იგი ნიშნავდა გარკვეულ წილს „საზოგადოებრივი“ მიწის ნაკვეთში[3]. სიტყვა საზოგადოებრივი აქ გულისხმობდა იმას, რომ მოქეშქელე გლეხებს შორის პერიოდულად ხდებოდა მებატონე ლეკის მიწის დაყოფა ინდივიდუალურ „ქეშქელებად“. აქ უკვე აღარ იგულისხმებოდა შემოსავლის კოლექტიური განაწილება ან ბეგარის კოლექტიური გადახდა. მიწების პერიოდული განაწილება

[1] საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახ., გვ. 491.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 491, 537.

გლეხებს, მოთემეებს შორის, კახელ გლეხთა ძველ სოციალურ ყოფას ახასიათებდა. მიწა ზოგიერთ სოფლებში, და არა ყველგან, გარეგნულად საზოგადოებრივი საკუთრების ფორმით გამოიყურებოდა, მაგრამ ამ მიწაზე ინდივიდუალური წილი მუდმივ შენარჩუნებული ყოო. განაწილების შემდეგ ნაკვეთის დამუშავება და მოსავლის მითვისება კერძო ხასიათს ატარებდა. საქეშქელო ნაკვეთი გლეხის საკარმიდამო მიწების გარეთ, მოშორებით იყო.

ტერმინები „ქეშქელი", „ქეშქელისმფლობელობა", „მოქეშქელე გლეხი", ჩვენი აზრით, არსებულ ლიტერატურაში გავრცელებული პირობითი ტერმინებია, რომლებიც საინგილოს სოციალური ურთიერთობის ბატონყმურ შინაარსს ვერ სცვლიან.

პეტრუშევსკიც სამართლიანად აღიარებს, რომ გლეხი, რომელიც ქეშქელს ამუშაებდა, ამ ქეშქელზე მიმაგრებული იყო და მებატონე ლეკი ითვისებდა მისგან ზედმეტ პროდუქტს გარეშე ეკონომიური იძულების გზით [1]. მასვე მიაჩნია, რომ საინგილოში არსებული საქეშქელო დამოკიდებულება იყო ფეოდალური დამოკიდებულების ფორმა, რომელიც, საფიქრებელია (повидимому) განვითარდა ძველი კახეთის ფეოდალური წყობილების ბაზაზე [2].

ქიზიყში, საინგილოს გარკვეულ სოფლებში, თუ საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში დიდხანს შემორჩენილი თემური მიწითსარგებლობის წესი იმაზე მიუთითებდა, რომ გარკვეულ პერიოდში ფეოდალთა თუ სახასო მიწებზე მჯდომ მოთემეებს მიწის რენტა მთლიანი, კომპაქტური სათესი ფართობის მიხედვით უნდა გადაეხადათ და ეს გადასახადი ნაკვეთში მონაწილეობა გლეხებზე უნდა განაწილებულიყო [3]. ამ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო მერმინდელი „საქეშქელო" დამოკიდებულება, რომელსაც მაჰმადიანური წეს-ჩვეულებების დანგრევამ თავისი დაღი დაასვა უპირატესად ტერმინებში.

ქეშქელისა და საქეშქელო დამოკიდებულების შესახებ არსებულ წყაროებში ძალზე ჭრელი და ზოგჯერ ბუნდოვანი ცნობები ძირითადად ადასტურებს ზემოთ მითითებულ განსაზღვრას. მათი

---

[1] Петрушевский. Джаро-белак., 83. 47.

[2] იქვე, 41—42.

[3] ეს საკითხი ჩვენს ისტორიოგრაფიაში სპეციალურ მკვლევარს მოელის. პ. გუგუშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომი მხოლოდ XIX საუკუნის მდგომარეობას ეხება.

ამჯერად აქ ჩამოთვლა ფაქტიურად არაფერს არ შემატებს მოცემულ წარმოდგენას [1].

ზაქათალის კომისია თავის მე-15 ჟურნალში თვლიდა, რომ საქეშქელო დამოკიდებულება შედარებით გვიან, რამდენიმე ხნის წინათ („сравнительно недавно") გაჩნდა. ეს იყო ნათქვამი 1872 წელს. იქვე კომისია შენიშნავდა, რომ ჭარელ ლეკთა განცხადებაზე დანდობა არ შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში კომისია სამართლიანად ამხელდა მათ ტყუილს იმის შესახებ, რომ თითქოს ზოგიერთი ინგილოური სოფელი ლეკებმა ყიდვის გზით შეიძინეს [2].

საკუთრივ ტერმინი „ქეშქელი" პეტრუშევსკის განმარტებით, სპარსული სიტყვა იყო და დასაწყისში ნიშნავდა „ქერის წყალს", „ქერს", „ქერის მინდორს," შემდეგ კი „მორწყული მიწის ნაკვეთის ნაწილს". ჭარში მიღებული მნიშვნელობით ქეშქელი აღნიშნავდა სარწყავ არხს და მორწყულ მიწასაც [3].

ქეშქელის, საქეშქელო ნაკვეთის სიდიდე არ იყო განსაზღვრული. იგი დამოკიდებული იყო სახნავი მიწის მთლიანი რაოდენობისა და ქეშქელში მონაწილე კომლთა რაოდენობის შეფარდებაზე [4].

გარეგნულად საქეშქელო დამოკიდებულება მართლაც მიაგავდა საიჯარო დამოკიდებულებას. ეს იყო მხოლოდ მსგავსება, რომლის უარყოფა ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა. არც ის იქნება სწორი, რომ გავაიგივეოთ ეს დამოკიდებულება საიჯრო დამოკიდებულებასთან, რადგან მოქეშქელე გლეხები, როგორც სამართლიანად შენიშნავდა პეტრუშევსკი, „არ იყვნენ თავისუფალი მოიჯარადრეები" [5].

მებატონე ლეკის უფლება საქეშქელო ნაკვეთზე შეზღუდული იყო. მას შემდეგ, რაც მებატონე მიწის ნაკვეთს გასცემდა საქეშქელოდ, იგი უკვე ჰკარგავდა ამ მიწაზე თავისუფალი განკარგულების უფლებას. ქეშქელი, როგორც გლეხის სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთი, გლეხის სამემკვიდრეო სარგებლობაში რჩებო-

---

[1] ქეშქელის განსაზღვრას ეხება პისარევსკიც (დასახ. ნაშრ., გვ. 9). ქეშქელზე ცნობები გაბნეულია ზაქათალის კომისიის მრავალრიცხოვან ჟურნალებში. ცსსა, ფ. 236, აღწ. 1, საქ. 10, ფ. 4—5. ფონდი 240, საქ. 572, ფ. 213 და სხვ.

[2] ცსსა, ფ. 236... ჟურნ. № 15, ფურ. 90—91.

[3] პეტრუშევსკი. დასახ. წიგნი, გვ. 46.

[4] ქეშქელი სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა მოცულობისა იყო (Ц. Г. И. А. Дагест. АССР. Ф. 90, оп. I, д. 63, ф. 24—25).

[5] პეტრუშევსკი. დასახ. წიგნ., გვ. 49.

და. მებატონეს უკვე აღარ ჰქონდა უფლება უძეოდ გადასულის ქეშქელზედაც. უმემკვიდრეოდ დარჩენილი ქეშქელის გადაცემის საკითხს სწყვეტდა საქეშქელო სოფლის გლეხობა. ასეთი ქეშქელის მიმღებს, ცხადია, მასზე დაკისრებული გადასახადიც უნდა გაეღო. ასე ხდებოდა 1830 წ. შემდეგ, მანამდე კი, როგორც ვიცით, უძეოდ გადასული ქეშქელის გადაცემა მებატონე ლეკზე იყო დამოკიდებული [1].

ერთი სიტყვით, ქეშქელის მფლობელი საქეშქელო ნაკვეთების დამუშავების საქმეში უკვე ვეღარ ერეოდა, მას ასეთი ნაკვეთის მოხვნაც არ შეეძლო. მოქეშქელე გლეხს იგი ქეშქელს ვერ წაართმევდა [2]. ქეშქელი მიმაგრებული იყო გლეხზე.

მებატონე ლეკის მიწის ქეშქელებად დაყოფის მომენტში მხედველობაში ღებულობდნენ კომლთა რაოდენობას. მამის გარდაცვალების შემდეგ მის კუთვნილებაში მყოფი საქეშქელო ნაკვეთი, ისე როგორც საკარმიდამო მიწა, განიყოფებოდა შვილებს შორის. ამრიგად ხდებოდა ქეშქელთა დანაწევრება. ხშირად ერთ ქეშქელში რამდენიმე კომლი მონაწილეობდა. ეს გარემოება იწვევდა გლეხთა მიერ ახალი საქეშქელო ნაკვეთების ძიებას, ტყის მასივების განადგურებას, სათესი ფართობების მიღების მიზნით („ახუ"—გაკაფული მიწა).

ახალი ფართობების ძიებამ ინგილო გლეხობა მიიყვანა ტანაჩის ტყეებში გაწმენდილ ნაკვეთებზე. ეს ნაკვეთები ჭარელმა ლეკებმა გაწმინდეს 1830 წ. აჯანყების შემდეგ, დაისაკუთრეს იგი და დაარიგეს ქეშქელებად. ამრიგად გაჩნდა სოფელი იტი-თალა, რომელიც XIX ს-ნის 70-ანი წლებისათვის ინგილოური სოფლებიდან თითქმის ერთადერთი ჩანდა, სადაც ქეშქელთა რაოდენობა იმდენივე იყო, რამდენიც კომლთა რაოდენობა [3].

1830 წ. შემდეგ საინგილოში შეიმჩნევა სახაზინო მიწის ნაკვეთების სწრაფი ზრდა. აჯანყების შემდეგ ბევრმა მებატონე ლეკმა სამუდამოდ დაჰკარგა საქეშქელო ნაკვეთები. ასეთი ლეკების ადგილი ხაზინამ დაიკავა. გარდა ამისა 1840 წ. მეფის მთავრობამ კონფისკაცია უყო ჭარში მცხოვრებ ყაჩაღთა საქეშქელო მიწებს, რომლებიც მათ გააჩნდათ ენისელის სოფლებში. ასე-

[1] საარქ. საბუთები ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 538.
[2] Д. Бакрадзе. Зам. о Закат., 267.
[3] საარქივო საბ. ჭარ.-ბელ. შესახებ. გვ. 537.

თი მიწებისაგან შემოსავალი დროებით გადაეცა ყაჩაღთაგან დაზარალებულებს, შემდეგ კი იგი ხაზინამ მიითვისა[1]. ელისუს სულტნის გაქცევის დღიდან მთავრობა სახაზინო გლეხებად გამოცხადებულ მუღალებს ყოველ კომლზე ახდევინებდა ნახევარ თალარ ხორბალს, ამდენივე ქერს და თითო სტილ აბრეშუმს[2]. ენისელის ზოგიერთ გამონაკლის სოფლებში ხაზინა ლეკებთან შედარებით უფრო მეტ შემოსავალს ღებულობდა[3].

აღნიშნული გარემოება მიუთითებდა იმის შესახებ, რომ, მიუხედავად პირად დამოკიდებულებასთან დაკავშირებული ბეგარა-გადასახადების დიდი ნაწილის მოსპობისა, მიწის რენტა XIX ს-ნის 40-ანი წლებიდან მოყოლებული ალაგ-ალაგ იზრდებოდა. ეს გარემოება ნაწილობრივ აბათილებდა 1830 წ. წვრილ მწარმოებელთა მიერ მოპოვებულ შემსუბუქებულ მდგომარეობას.

გლეხთა ვალდებულებები მებატონე ლეკთა მიმართ, როგორც ვიცით, შეიკვეცა 1830 წ. შემდეგ. მთავრობამ დაუბრუნა ლეკებს ქეშქელები, მაგრამ ეს მთავრობა ამიერიდან თვითონ ერეოდა საქეშქელო დამოკიდებულებაში. მან აუკრძალა ლეკებს აეღოთ უფრო მეტი, ვიდრე ხაზინა ღებულობდა. ლეკთა მხოლოდ ძალზე გამონაკლისი ნაწილი, მთავრობის ერთგულთა სახით (ოცი-ოღლი და ზოგი სხვა) ძველებურად ღებულობდა დიდ გადასახადს[4].

1838 წლის შემდეგ გლეხთა დამოკიდებულება მარტივდება და განისაზღვრება ძირითადად პურის გადასახადით, რომელიც მათ მებატონეებისათვის ბინაზე უნდა მიეტანათ. XIX საუკუნის 70-ანი წლებისათვის გლეხები უარყოფდნენ გადასახადის სახლში მიზიდვის ვალდებულებას და აცხადებდნენ, რომ მათ მხოლოდ მაშინ მიჰქონდათ „აღასთან“ პური, თუ ისინი მას პატივს სცემდნენ, ისე კი მებატონეს გადასახადი თვითონ უნდა წაეღო[5]. ზაქათალის კომისია უარყოფდა გლეხთა ამ ახსნას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უარყოფა მთლად საფუძვლიანი არ ყოფილა.

ჭარ-ბელაქნის მმართველად ნამყოფი კოლიუბაკინი 1848 წ. წერდა, რომ იქ ბატონყმური ურთიერთობა განისაზღვრებოდა მხოლოდ ყოველწლიური პურის ბეგარით, რომელიც მოსავლის ერთ მეათედს უდრიდა. იგივე დასძენდა, რომ არ იყო გარკვეული, ევალებოდა თუ არა გლეხებს, რომ გადასახადი მებატონეთა

[1] საარქ. საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 500.
[2] საქ. ცსსა, საქმე 572, ფურ. 204.
[3] საარქ. საბ. ჭარ-ბელ. 541.
[4] იქვე, 492.
[5] ცსსა, ფ, 236, აღწ. 1, საქ. № 1, ჟურნ. 15, ფ. 89.

ბინაზე მიეტანათ მაშინ, როცა ეს მებატონეები განცალკეებულ სოფლებში და გლეხთაგან მოშორებით ცხოვრობდნენ[1].

აღნიშნული გაურკვევლობის წყარო, როგორც ჩანს, ის იყო, რომ გლეხები საერთოდ უარს ამბობდნენ, ბინაზე მიეტანათ ლეკთათვის პური. ლეკები კი მთავრობას მიმართავდნენ დახმარებისათვის, რომ აეძულებინათ გლეხები ძველი მოვალეობის შესრულებაში. მთავრობა თავის მხრივ, როგორც ჩანს, გულგრილად ესარჩლებოდა ლეკებს. იგი მხედველობაში ღებულობდა „მემამულის სიდიადესა და სხვა გარემოებას, მაგ., სიქვრივეს, სიობლეს, მოხუცებას. ასე რომ ზოგჯერ ადგილობრივი უფროსი უბრძანებს გლეხს მიუტანოს პური, ხოლო ზოგჯერ არ მოითხოვს ამ მოვალეობის შესრულებას"[2].

აღნიშნული გარემოება იმის მაჩვენებელი იყო, რომ ლეკი მებატონეების გარკვეულმა ნაწილმა პურის გადასახადის სახლში მიღების პრივილეგიაც დაკარგა. ასევე გარკვეული ნაწილი, რომელშიც შედიოდნენ მთავრობის ერთგული მებატონეები, ამ მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა, რასაც შედეგად მოსდევდა ვალდებული გლეხის მდგომარეობის დამძიმება. XIX საუკუნის 40-ანი წლების მიწურულსა და 50-ანი წლების განმავლობაში მეფის მთავრობას განსაკუთრებით უნდა მოემადლიერებინა თავისი ერთგული ფეოდალები, დაეცა მათი პრივილეგიები. გლეხთა დიდი ნაწილის მიერ 1830—1838 წლებში მოპოვებული შემსუბუქებული მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა.

საქეშქელო ნაკვეთით სარგებლობის გადასახადი საერთოდ შეესაბამებოდა ქეშქელის რაოდენობას ($^1/_2$, $^1/_4$, 1,2...).

საერთოდ გადასახადს იხდიდნენ პურით, ქერით და ზოგჯერ ბრინჯითაც (ჩალტუკი). ქეშქელზე დაწესებული გადასახადი მოცულობის მხრივ სხვადასხვა იყო — 3 თაღარიანი, 5 თაღარიანი...

სოფელ ყორაღანში მცხოვრები ინგილოები ყოველწლიურად თესდნენ დაახლოებით 500 თაღარამდე პურს. საშუალო მოსავლად ანგარიშობდნენ ერთზე სამს ან ოთხს; ერთზე ხუთს საუკეთესო მოსავლად თვლიდნენ, მაგრამ ასეთი იყო მხოლოდ ოფიციალური ცნობა. ჩანს, პურის მოსავალი უდრიდა ერთზე შვიდს ან რვას[3]. უკიდურეს შემთხვევაში საშუალო მოსავლად ერთზე 5 რომ ავიღოთ, ყორაღნელები წლის ბოლოს აიღებდნენ 2500

[1] Колюбакин. Об отнош. поселян. „Кавказ", 1848, № 52.

[2] იქვე.

[3] ცსსა, ფ. 236. აღწ. 1. ჟურნ. № 15, ფ. 84.

თაღარს. აქედან 500 თაღარი მომავალი წლის სათესლედ უნდა შეგზახათ, 250 თაღარი უნდა მიეცათ მიწისმფლობელთათვის[1], ყორაღნელებს კი,—10 კომლს დარჩებოდა 1750 თაღრი. თითოეულ კომლს საშუალოდ მოუწევდა 17 თაღარი. მაგრამ ასეთი არითმეტიკა ვერ წარმოგვიდგენდა გლეხის რეალურ მდგომარეობას. კომლიც იყო და კომლიც. ზოგჯერ ერთ კომლს ნახევარი ან მეოთხედი ქეშქელი ჰქონდა. გარდა ამისა, საქეშქელო გადასახადი, როგორც ზევით ითქვა, 30-40%-დე აღწევდა. აქ მითითებული 250 თაღარი, რომლის შესახებ ცნობას ზაქათლის კომისია გვაწვდის, ჩანს, გამონაკლის შემთხვევას გულისხმობდა. ამ გარემოების გათვალისწინებით თითოეულ კომლს საშუალოდ 17 თაღართან შედარებით გაცილებით უფრო ნაკლები უნდა შეხვედროდა. ამდენად მიღებული წილი გლეხის მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ დააკმაყოფილებდა. საერთოდ, როგორც დამახასიათებელი მოვლენა, ინგილოები იძულებული ხდებოდნენ ეძებნათ ახალი ნაკვეთები, ეს კი მათ უღელს ძალზე ამძიმებდა. გლეხები მრავალგვარი ხერხებით იბრძოდნენ საქეშქელო გადასახადების შემცირებისათვის.

ზაქათლის კომისიის მასალებში არც თუ ისე იშვიათად მოჩანს ინგილოთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ყრუ ანარეკლი. ეს შეიმჩნეოდა ზაქათლის კომისიის წინაშე მყოფი ინგილო რწმუნებულების განცხადებებში. ისინი ცდილობდნენ, რომ ჭარელი ლეკებისადმი ვალდებულება დაეხატათ მეტად მსუბუქ ფორმებში, რომ შემდეგ მთავრობისაგან დაცვა-მფარველობა მიეღოთ, ლეკთა ძალადობა შეეზღუდათ.

1838 წლიდან დაწყებული ინგილო და მუღალ გლეხებზე დაკისრებული საქეშქელო გადასახადი თანდათანობით იზრდება. ლეკი მებატონეების სასარგებლოდ გადასახადების გვერდით მწარმოებელ კლასს აწვა სახელმწიფო ბეგარაც.

ინგილო-მუღალები იხდიდნენ სახელმწიფო-საერობო გადასახადებს სასოფლო მმართველობის მოხელეთა შესანახად. გარდა ამისა, 1831 წლიდან მთავრობამ საინგილოს მოსახლეობის ერ-

---

[1] საქ. ცსსა, ფ. 236, აღწ. I, ჟურნ. № 15. ლ. 84.

თი ნაწილი დაბეგრა ფულადი გადასახადით—კომლზე 1 მან. და 50 კაპ[1].

მწარმოებელ კლასს აწვა ზურგზე რუსთა რაზმების განლაგებასთან დაკავშირებული მძიმე სატრანსპორტო ბეგარა. 1847 წლამდე ჭარ-ბელაქანი სამხედრო ოლქს წარმოადგენდა, მასზე გადიოდა ე. წ. ლეკური საკორდონო ხაზი. ამ ოლქს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია ეკავა შამილისა და მიურიდიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხანგრძლივ პერიოდში. გაუთავებელი ლაშქრობისა და საგანგაშო ვითარების დროს, რა თქმა უნდა, მწარმოებელი კლასის მდგომარეობა მძიმე იქნებოდა. XIX საუკუნის 50-ან წლებში, მარტო 3 წლის განმავლობაში, მხოლოდ ტყვეებისა და გადასახლებულთა გადაყვანისათვის საინგილოდან უსასყიდლოდ მობილიზებულ იქნა 19.167 უღელი ხარ-კამეჩი[2]. რუსთა რაზმების მოძრაობისას ასეთი მოვლენა ჩვეულებრივი იყო. ეს უარყოფით გავლენას ახდენდა გლეხის სამეურნეო საქმიანობაზე.

ზემოთ აღნიშნული სამილიციო გადასახადისდა მიუხედავად, საინგილოდან მთავრობას პერიოდულად გამოყავდა სახალხო რაზმი—მილიცია. ასე, მაგ., ბელაქნის უბნიდან 256 ცხენოსანი და 300 ქვეითი, ენისელიდან 247 ცხენოსანი და 150 ქვეითი, ელისუს უბნიდან 275 ქვეითი და ცხენოსანი. მოლაშქრეებთან ერთად გამოყავდათ 300-დე კაცი ტვირთსაზიდი ცხენებით[3].

1838 წლის შემდეგ, გლეხთა გადასახადების თანდათანობითი დამძიმებისდა მიუხედავად, ჭარ-ბელაქნის გლეხებმა უმთავრესად თავი დააღწიეს საბატონო სამსახურს (თუ მხედველობაში არ მივიღებდით პურის მიზიდვას მებატონის ბინაზე). გლეხები ძირითადად სახაზინო ყმების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ისინი მებატონეთა თვითნებობის სფეროს რამდენადმე სცილდებოდნენ. ასე არ ითქმის ბეგთა მფლობელობაში მყოფი ინგილო გლეხების მდგომარეობაზე.

საინგილოს აღმოსავლეთ ნაწილში, ელისუს სასულტნოში, ბეგთა მფლობელობაში დარჩენილი გლეხების მდგომარეობა 1830 წ.

---

[1] ეს გადასახადი 1839 წლიდან გაორკეცდა. გაორკეცება, როგორც ჩანს, მხოლოდ მათ ეხებოდათ, რომლებიც სახალხო მილიციაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ (საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახ. გვ. 516—517).

[2] ცსსა, ფ. 10, საქ. 1471, ფურ. 366—367.

[3] იქვე.

შემდეგ ისე არ გაუმჯობესებულა, როგორც ეს საკუთრივ ჭარ-ბელაქანში. ელისუს უბანში ბეგები კვლავ ძალმომრეობდნენ გლეხებზე. მაგრამ ამავე დროს სწორი არ იქნებოდა არ გაგვეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ელისუს სასულტნოში გლეხთა ნაწილი სახაზინო თანრიგში გადავიდა და ამით მათი მდგომარეობაც შედარებით გაუმჯობესდა. ამ უბნის გლეხთა ერთი ნაწილი მხოლოდ მეტად დამონებულ მდგომარეობაში რჩებოდა.

სახაზინო გლეხთა თანრიგში გადასვლა აღებულ პერიოდში, რა თქმა უნდა, არ მოასწავებდა გლეხთა განთავისუფლებას ფეოდალური ექსპლოატაციისაგან. ასეთი გლეხებიც, როგორც ცნობილია, განიცდიდნენ მძიმე სოციალურ ჩაგვრას მთელი ფეოდალური კლასის მიერ, ამ კლასის ხელში მყოფი სახელმწიფოებრივი წყობილების მიერ.

საკარმიდამო მიწები ინგილოურსა და მუღალურ სოფლებში, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ზოგიერთ გამონაკლისს (სოფ. კარაბალდურში), გლეხთა კერძო საკუთრებაში იყო. გლეხს შეეძლო თავისი კარ-მიდამოს გაყიდვა მის განკარგულებაში მყოფი სახნავი ნაკვეთის გარეშე. თვით სოფელი საერთოდ ცდილობდა, რომ მიწები ხელში არ ჩავარდნოდათ ვაჭრებს[1]. როგორც ჩანს, ვაჭარ-მევახშეები განსაკუთრებით 50-60-იან წლებში ხელიდან აცლიდნენ გლეხებს საწარმოო საშუალებებს, ზოგჯერ კი ქეშქელისმფლობელთა ადგილს იკავებდნენ. ამას შედეგად მოსდევდა ექსპლოატაციის გამწვავება, წარმოების წესი კი უცვლელი რჩებოდა[2].

რუსთა ბატონობის პირობებში საინგილოში ფეოდალურ ურთიერთობათა დაშლის ერთგვარი მაუწყებელი ჩანდა გლეხთა მიერ საქეშქელო ნაკვეთების გამოსყიდვა, რომელიც ამავე დროს გლეხთა შიგნით მზარდი დიფერენციაციისა და ფულადი-სასაქონლო მეურნეობის განვითარების ნაყოფი იყო.

ქეშქელთა გამოსყიდვა ხშირი მოვლენა ხდება XIX საუკუნის 50-ან წლებიდან[3].

---

[1] საარქ. საბ. ჭარ-ბელ. შესახ. გვ. 547—548. კარაბალდულში ყოფილა ერთი შემთხვევა, როცა მარორი ჯანკა ერთ კარმიდამოდაწ თვითნებურად ღებულობდა 2 თაღარ პურს (იქვე, 548).

[2] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. III. ნაწ. II, ქართ. გამ. 1934, გვ. 127.

[3] საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესახებ, გვ. 551—555.

მუშაობითი ბეგარის, საბატონო სამსახურის რამდენადმე მოსპობა ჭარ-ბელაქანში და გლეხთა მიერ საქეშქელო ნაკვეთების გამოსყიდვის გახშირება ხელს უწყობდა გლეხთა ეკონომიური დიფერენციაციის პროცესის განვითარებას, სოფლად კაპიტალისტური ელემენტების წარმოშობას. ეს პროცესი ჭარ-ბელაქანში განსაკუთრებით ვითარდებოდა 60-ანი წლებიდან. მას ხელს არ უშლიდა ის, რომ იქ საგლეხო რეფორმა არ ჩატარებულა.

საინგილოში არსებულ სოციალურ ურთიერთობას დიდხანს შემორჩა საზოგადოებრივი მიწითსარგებლობის გადმონაშთები. XIX საუკუნის დასაწყისში საინგილოში საზოგადოებრივ საკუთრებაში რჩებოდა მხოლოდ საძოვრები და ტყეები, ხოლო სახნავი მიწები, ბაღები და ვენახი თითქმის ყველგან იყო ცალკეულ ოჯახთა კუთვნილებაში, თუმცა ნომინალურად მიწა რჩებოდა სასოფლო საზოგადოების საკუთრებად[1].

საზოგადოებრივი მიწითსარგებლობის გადმონაშთები ზოგერთ ინგილოურ სოფლებში ვლინდებოდა თესვის დაწყების წინ, როდესაც დასამუშავებელ ნაკვეთებს გლეხები იყოფდნენ წილის ყრის წესით; ასეთი დაყოფის შემდეგ კი ნაკვეთი ინდივიდუალურად მუშავდებოდა. მებატონე ლეკთა მიერ მიწის რენტის მიღებაშიაც ალაგ-ალაგ იყო შემორჩენილი კოლექტიური ვითვისების ფორმა, ისე როგორც ინგილოთა მიერ კოლექტიური გადახდის ფორმა. ასეთ მოვლენებზე მითითებას ვპოულობთ ზაქათლის კომისიის ჟურნალებში[2].

საზოგადოებრივი მიწითსარგებლობის ფორმები საინგილოში ადგილობრივი იყო და ბატონყმური კახეთის წიაღიდან მოდიოდა. არსებულ ფორმებზე ჩამოსახლებულთა გავლენა, როგორც ზევით ითქვა. უპირატესად მუსლიმანურ სახელწოდებებში გამოვლინდა. შინაარსი კი ძველი, ტრადიციული იყო.

1880 წ. დიდი მგოსანი ილია ჭავჭავაძე წერდა:

„...პირველ-ჟამური მფლობელობა, ანუ ხმარება მამულებისა,—სათემო მფლობელობა და ხმარება იყო. ამისი ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში—

---

[1] Петрушевский. Джаро-белак., 23.

[2] საარქ. საბ. ჭარ-ბელ. შესახ., გვ. 520, 521, 523, 524, 544 და სხვ.

მისი აშკარა მაგალითი ტყისა და საძოვრების სათემოდ ხმარებაა, რომელსაც ჩვენს თვალ-წინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთ-ებრძვის რუსთა კანონების ზედ-მოქმედების გამო, და რომლის რწმენაც ჩვენის ხალხის გონებიდამ დღევანდლამდე ვერ გამოდევ-ნა თითქმის ოთხმოცის წლის მოქმედებამ მაგ კანონებისამ. თითქ-მის ყოველს სოფელში დღესაც ჰნახავთ ერთს წყობას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემოს ხმარებაშია"[1].

აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „დიდ საგვარეულო-ებს, მეტადრე აღმოს. საქართველოში, XIX ს-შიაც კი კარგა ხანს საგვარეულო მამულები გაუყოფელი და საგვარეულო მიწის მფლობელობა ჰქონდათ"[2].

„კახეთში, კერძოდ სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა თემებში, შერჩენილი იყო მიწების გადანაწილების წინასწარ გან-საზღვრული ინტერვალი, აქ ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ სწარ-მოებდა მიწების გადანაწილება"[3].

მიწის საზოგადოებრივი მფლობელობისა და სარგებლობის გადმონაშთები კარგად იყო შემონახული ქიზიყშიაც[4].

თემური მიწითსარგებლობის ასეთი ხანგრძლივი შემონახვა კერძოდ საინგილოში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში აიხსნება უმთავრესად მეურნეობის ბუნებრივი სპეციფიკური პი-რობებით. ფეოდალური ურთიერთობის დროს განუვითარებელ სა-წარმოო ძალებს ინდივიდუალურად არ შეეძლოთ აღმოსავლეთის გვალვიანი და ძნელად ასათვისებელი ველების დამუშავება. სათე-სი მინდვრების ხელოვნური მორწყვა, მოხვნა და მოვლა-პატრონო-ბა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მთელი სოფლის, თემის გაერ-თიანებული შრომის შედეგად. გლეხები ხშირად თემებად ისხდნენ ფეოდალთა მიწებზე. აღნიშნული წარმოებითი საქმიანობის შემ-დგომი საფეხური უნდა ყოფილიყო ის, რასაც ადგილი ჰქონდა

---

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზ., ტ. VIII, 1928, გვ. 137—138. პ. გუგუშვილი. თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში (ეკონომიკის ინსტ. შრ., ტ. I, 1946, გვ. 14).

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 152 გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[3] გუგუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 19. Материалы для изучения Эк. Б. Г. К. З. К., IV, г. II, 216.

[4] გულისაშვილი. მგზავრის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიყზე („ივერია". 1882, № XI, გვ. 78).

XIX საუკუნეში საინგილოსა და კახეთის ზოგ სოფლებში—სათემო სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილება, შემდეგ კი ინდივიდუალური დამუშავება და მითვისება.

მითითებული მოვლენა, რა თქმა უნდა, ვერ ცვლიდა აღმოსავლეთ კახეთში არსებული ფეოდალური ურთიერთობის ძირითად ხასიათს. გლეხობის სოციალური ცხოვრება საინგილოში ძირითადად ისეთივე ნიშნებით ხასიათდებოდა, როგორც საერთოდ ბატონყმურ კახეთში.

3. პოლიტიკური ვითარება 1831—1859 წლებში

1830 წ. აჯანყების ჩაქრობით ჭარის დამორჩილების პრობლემა გადაწყდა. რუსეთმა მიიღო ხელსაყრელი პოზიცია მიურიდების წინააღმდეგ საბრძოლველად, მიურიდებმა კი ასეთი პოზიცია და ძლიერი მოკავშირე ჭარის სახით დაკარგეს. მაგრამ ამით არ დასრულებულა რუსეთის ბრძოლა კავკასიის დაპყრობისათვის. არც კახეთის სოფლებს მიუღიათ ნანატრი მშვიდობიანობა. მართალია, ამიერიდან მდგომარეობა წინანდელთან შედარებით საგრძნობლად უმჯობესდებოდა, მაგრამ ქურდულ-აბრაგული თავდასხმები კახეთზე მაინც გრძელდებოდა.

რუსეთის მთავრობის შემდგომ ბრძოლას აღმოსავლეთ კავკასიაში თავდაცვითი ხასიათი კი არა, როგორც ამას ოფიციალური ისტორიოგრაფია ადასტურებს, არამედ შეტევითი ხასიათი ჰქონდა; მისი მიზანი აღმოსავლეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობა იყო.

ამ დროს რუსეთის მთავრობას მთებს გადაღმაც მიესვლებოდა. ჭარ-ბელაქნის ოლქში შედიოდა დაღისტნის 4 თემი: დიდო, ანწუხი, კაპუჩი და ჭურმუთი; ამათგან 3 უკანასკნელი ე. წ. უნკრატლის კავშირს ეკუთვნოდნენ. უნკრატლის კავშირის სხვა თემები (ანწროსო, ბოხნადა, თებელი, ტაში და სხვ.), ვოლკონსკის გადმოცემით, მტრულად იყვნენ განწყობილი. ზემოთ ნახსენები 4 თემის დამოკიდებულება რუსეთისადმი „ფიქტიური და ნომინალური“ იყო. მთავრობა მათ ნებას აძლევდა ზამთრობით ჩამოერეკათ საქონელი კახეთის საძოვრებზე. თუ ეს „მოწყალება“ შეწყდებოდა, მა-

შინ აღნიშნული თემები რუსთა წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ[1]. ამ თემებში რუსეთის მიერ დაყენებულ ბოქაულებს არავითარი ხელისუფლება არ გააჩნდათ; ისინი უბრალო შუამავლების როლს ასრულებდნენ.

ჭარის დაპყრობის შემდეგ კიდევ მეტად გაძლიერდა ქურდული თავდასხმები რუსთა პოზიციებზე. რუსთა რაზმები ყოველ ღღესა და ყოველ საათს მოელოდნენ მათ ცხვირწინ მდგომ შეიარაღებულ ბანდებთან შეტაკებებს. ეპიზოდური ბრძოლები გრძელდებოდა და არ შეწყვეტილა აღმოსავლეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობამდის.

1830 წ. მთებიდან მთავარ გადმოსასვლელებზე: მუხახში, ჭარში, კატეხში, ბელაქანსა და ლაგოდეხში საყარაულოები მოეწყო. სათვალთვალო პუნქტები დაწესდა აგრეთვე ყარათუბანში, ბეჟანიანში, შილდაში, ფშავსა და მატანში. ასე შეიქმნა „ლეკური დისტანცია“ „კახეთის დისტანციასთან“ ერთად, 1832 წ. კი მთავარმმართველი როზენის განკარგულებით ჩამოყალიბდა ე. წ. ლეკური საკორდონო ხაზი, რომელიც ფაქტიურად ჭარის პოლიტიკურ მნიშვნელობას ცვლიდა; მასზე თავდასხმები იგივე ჭარზე თავდასხმები იყო. ეს „კორდონი“ არ ყოფილა თავდაცვის ხაზი. რუსი რაზმები მის იქით იბრძოდნენ, ემსახურებოდნენ რა ჭარში შექმნილი ახალი მმართველობისათვის მიცემულ სახელმწიფო დავალებას, რომ „მორჩილებაში მოეყვანათ... მეზობელი მთიელი ტომები“[2].

„ჭარელ ქართველთა პოლკის სარდლისადმი“ ინსტრუქციიდან ჩანს, რომ რუსთა მდგომარეობა ჭარში ჯერ კიდევ დაძაბული იყო. რუსეთის ქვეშევრდომი ლეკური თემების მცხოვრებთ აკრძალული ჰქონდათ „უბილეთოდ“ შესვლა მეზობელ პროვინციებში. ეს ბილეთები მათთვის თემების უფროსებს უნდა მიეცათ. ხსენებული ინსტრუქციის მიხედვით, პოლკი ემორჩილებოდა „ჭარის საოლქო უფროსს და ბელაქნის სიმაგრის სარდალს“. პოლკს ჩაბარებული ჰქონდა დასაცავად „ლეკურ-ბელაქნური საკორდონო ხაზი“, რომლის მოწყობის პროცესი დიდხანს გრძელდებოდა.

---

[1] Волконский. История... дружины. გვ. 7—8.

[2] Акты, т. VII, გვ. 445.

1831 წ. ივლისში დაღისტნელ აბრაგთა ერთი ჯგუფი, 1830 წ. აჯანყების დროს გაქცეულ ჭარელებთან ერთად, ჯან-ველის მეთაურობით, თავს დაესხა ბელაქანს. მოხდა შეტაკება, რომელშიც ქართველთა პოლკმა გაიმარჯვა. ცოტა ხნის შემდეგ რუსთა და ქართველთა რაზმებს ახალი საშიშროება კარს ადგათ: ყაზი-ყუმუხის ხანი—ასლან იტყობინებოდა, რომ მიურიდების იმამი ყაზი-მოლას მიერ შეკრებილი რაზმები ორად გაიყო, ერთი თარღუსა და ციხე „ბურნაიას“ მიმართულებით წავიდა, მეორე კი ჭარისაკენ გაეშურა; ამასთანავე, წერდნენ, რომ ავარიის ერთი ნაწილი „ჭარელ დევნილთა მიერ აღშფოთებული“, ღელავდა. განზრახვა ჰქონდათ შეჭრილიყვნენ მუხახში, აერჩიათ იქ ხელსაყრელი პუნქტი, საიდანაც ბოლომოუღებელი თავდასხმებით უნდა ერბიათ ინგილოური სოფლები[1]. ჩანდა, რომ დევნილი ჭარელები და მათი მოკავშირე მიურიდები განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ ინგილოებზე, რომლებმაც აჯანყებისას მათ მხარი არ დაუჭირეს, არ აწვდიდნენ მათ სურსათ-სანოვაგეს, ემხრობოდნენ რუსებს. ყაზი-მოლა ქვეყანას „საღვთო“ ომში ხელახლა მოუწოდებდა. თავის მიმართვაში ჭარელთადმი იგი ხაზს უსვამდა: „მე დიდად გაკვირვებული ვარ, რომ თქვენ დაუმორჩილდით და მისდევთ მათ, რომლებიც სამყაროს აღელვებენ, არ აძევებთ თქვენგან მიწიერ ეშმაკებს, და ყურს არ ათხოვებთ ჩვენს კეთილ შარიათს“[2].

რუსთა ტყვეობაში მყოფი ჰამზათ-ბეგი ჭარელ აჯანყებულებთან ერთად 1832 წ. გაიქცა. მოკლე ხანში მან მოახერხა მიურიდთა ბანდების შეგროვება და პირი ჭარისაკენ იბრუნა. მიურიდებს კვლავ შეუერთდა ჭარელ ლეკთა ერთი ნაწილი.

მიურიდების ეს მორიგი ლაშქრობა რუსეთის მთავრობას მოაგონებდა 1830 წ. მიღებულ მწარე გაკვეთილებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარმმართველმა „საჭიროდ ჩათვალა შეეკრიბა მილიციები საქართველოს ყველა მაზრიდან“[3].

მიურიდთა ბანაკში მყოფ ჭარელებს მთავრობამ გამოუცხადა, რომ, თუ ისინი საკუთარ სოფლებში არ დაბრუნდებოდნენ თავიან-

---

[1] Кавк. сб., т. 14, გვ. 182—183.

[2] იქვე, გვ. 184. ყაზი-მოლას დროიდან მიურიდები იწყებენ ბრძოლას ადათის გადაგდებისა და შარიათის (საერთო მუსლიმანური კანონმდებლობის, ყურანზე დაფუძნებული სამართლისა) გაბატონებისათვის.

[3] Акты, т. VIII, № 909, გვ. 961.

თი ოჯახებით, მათ სახლ-კარს ცეცხლს მისცემდნენ. ამ მუქარამ რამდენადმე გასჭრა. რუსთა სარდლობამ მიურიდთა ეს მორიგი ლაშქრობა უკუაგდო.

ამავე დროს მთავრობა ჭარ-ბელაქნელ მამასახლისებს, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობდნენ, ხელახლა აფიცებდა რუსეთის ერთგულებაზე და საიდუმლოდ სწავლობდა მათ საქმიანობას[1]. გმობდნენ ურჩებისადმი პოლიტიკასაც—მოფერება, საჩუქრების გაცემა, მძევლების აყვანა და მათთვის მდიდარი ულუფის დანიშვნა, რასაც რუსთა მოწინააღმდეგეები მათი სისუსტის ნიშნად თვლიდნენ.

1832—1838 წწ. ჭარ-ბელაქნის მმართველად მუშაობდა ქართველი გენერალი ლეონტი სავარსამიძე, რომელიც უაღრესად დადებითი თვისებებით ყოფილა აღჭურვილი და „დიდად თანაუგრძნობდა მცხოვრებთა მდგომარეობას". მას ახასიათებდა მტკიცე ნებისყოფა და შეუდრეკელი პრინციპულობა[2]. ამ თვისებებმა ხელი შეუწყო სავარსამიძეს აღმოსავლეთ კახეთის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებაში. მისი მმართველობის დროს ამ რაიონის ქართველობა, როგორც ჩანს, განსაკუთრებული აქტივობით გამოდიოდა მიურიდული და აბრაგული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. კერძოდ სოფ. დიდოსთან მომხდარი ერთი ძლიერი შეტაკების დროს მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სავარსამიძემ „ძლივს შეაჩერა" მტერზე ადევნებული ქართველები[3].

გენ. სავარსამიძე ბევრს ზრუნავდა ლეკური საკორდონო ხაზის გაძლიერებისათვის. ამ მხრივ მან ბევრი რამის გაკეთება შეძლო.

ლეკური საკორდონო ხაზი გადიოდა დაღისტნიდან საქართველოში გადმომავალ გზებზე. იგი გადაჭიმული იყო პანკისის ხეობიდან მოყოლებული ვიდრე ელისუს სულტნის სამფლობელომდე[4]. ამ ვეებერთელა მანძილს ძირითადად ქართველები სდარაჯობდნენ. საყარაულოდ პერიოდულად გამოდიოდნენ სახალხო რაზმები თელავი-

---

[1] Кав. сб., т. XVIII, გვ. 306,

[2] Волконский. История дружины, გვ. 59.

[3] იქვე, გვ. 48—49.

[4] უფრო მოგვიანებით, როგორც ჩანს, საკორდონო ხაზის მასშტაბი გაფართოებულია. მის სიგრძეს ითვლიდნენ 400 ვერსამდე. ხაზი გადიოდა ანანურზე, თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, ჭარ-ბელაქანსა და შაქის პროვინციაზე. (Акты, т. VII გვ. 445).

სა და სიღნაღის მაზრებიდან. სახალხო რაზმებთან ერთად ამ ხაზს იცავდა პირველი ქართული პოლკი.

თელავისა და სიღნაღის მოლაშქრეები მოგვაგონებდნენ ერეკლე მეორის დროინდელ მორიგე ჯარს. სიღნაღის მაზრიდან გამოსულები ერთმანეთს ცვლიდნენ ყოველ კვირაში, ხოლო თელავის მაზრიდან—ყოველთვიურად.

სახალხო ლაშქარში სამსახური ძირითადად უღარიბეს გლეხობას აწვა. რუსული მმართველობის, სასოფლო მოხელეების, ნაცვლების ბოროტმოქმედება ამ დროს ყოველგვარ საზღვარს აჭარბებდა. თვით ადგილობრივი მმართველობის აღიარებით, უფრო შეძლებული გლეხები ფულის გაღებით აღწევდნენ თავს ამ მოვალეობას, ხოლო უღარიბესნი, „რომლებიც ლუკმა-პურს ძლივს შოულობდნენ, საველე სამუშაოებისაგან მოწყვეტილნი, საესებით ნადგურდებოდნენ“[1].

საკორდონო ხაზის სფეროში საკმაოდ ბევრი საყარაულო იყოს საყარაულოები იდგნენ აბრაგთა შემოსევების გზებზე—ბეჟანიანში, ყარათუბანში, ლაგოდეხში, ფშავში, შაქრიანში, მატანში, გრემში, ნათლისმცემელში, შილდაში, ყვარელში, ნაფარეულში, ციხისჯვარში და სხვაგან[2].

რაც შეეხებოდა რუსთა რაზმებს, ისინი 1839 წლამდე ბელაქანში იდგნენ. მაგრამ ბელაქნის მძიმე, ნესტიან ჰავას, უწყლობას, მძვინვარე მალარიას ყოველწლიურად მწყობრიდან გამოჰყავდა მრავალი ჯარისკაცი. სარდლობა გამუდმებით მოითხოვდა ჯარის გადაყვანას ჯანსაღ-ჰავიან ადგილებში. ასეთად არჩეულ იქნა ზაქათალა, რომელიც ამავე დროს დაღისტნიდან ჭარზე მომავალ მეორე გზას ჰკეტავდა. 1839 წლიდან რუსთა რაზმების ბანაკი ზაქათალაში იმყოფებოდა.

1839-1840 წლებში შედგენილი ვრცელი მოხსენებიდან ჩანს, რომ, მიუხედავად ჭარ-ბელაქნის დაპყრობისა და საკორდონო ხაზის გამაგრებისა, კახეთზე ქურდულ-აბრაგული თავდასხმები მაინც გრძელდებოდა. ამ თავდასხმებს ისეთი ხშირი ხასიათი ჰქონია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, რუს მოხელეთა აღიარებით, ძველე-

---

[1] Об устройстве лезгинской кордонной линии (1839—1840 гг.). საქ. სსრ ცსსა, განსაკ. მნიშვნ. საქმ. ფონდი, საქმე № 226, ფურც. 37.

[2] იქვე, ფურ. 40.

ბურად გაწამებული იყო: „კახელები სულით დაეცნენ და, ხედავდნენ რა რომ მთიელთაგან თავის გადარჩენის საშველი აღარ იყო, ღამ-ღამობით ხის კოშკებში იკეტებოდნენ“[1].

იმ დროს, როდესაც აბრაგებს ძველებურად მიყავდათ ტყვეები, მიერეკებოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის პირუტყვს და სხვ., მთავრობას ბრძანება გაუცია, რომ ქართველ ყარაულებს არ მოეკლათ ისინი, არამედ ტყვედ ჩაეგდოთ. ამ ბრძანებას დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია მოლაშქრეებში და შემდეგ იგი შეუცვლიათ. არც ამას შეუმსუბუქებია მდგომარეობა. ეძებდნენ სხვა საშუალებებს. ლაპარაკი იყო მთების მწვერვალებზე საზაფხულო ბანაკების შექმნის შესახებ, რომ კახეთის მცხოვრებთ საშუალება მისცემოდათ მთის საძოვრებზე გაერეკათ თავიანთი საქონელი[2].

რუსული მმართველობა მშვიდობიანი გზითაც ცდილობდა აბრაგთა მეთაურების მომხრობას, მძარცველურ თავდასხმათა ალაგმვას. აბრაგებიც თავის მხრივ თვალთმაქცურად უყურებდნენ რუსებს. ისინი მხოლოდ ზამთარში დგებოდნენ ზავის გუნებაზე, არწმუნებდნენ მთავრობას თავიანთ ერთგულებაში, „დამსახურებისათვის“ ჯილდოებსაც მოითხოვდნენ, გაზაფხულიდან დაწყებული შემოდგომამდე კი განუწყვეტლივ ძარცვავდნენ კახეთს[3].

მთავრობას დიდხანს არ შეეძლო მუდმივი საგანგაშო მდგომარეობის ატანა. იწყება მკაცრი ზომების გატარება. საჭიროდ თვლიან რაც შეიძლება მეტი „სისხლის ღვრას“, მაგრამ აღნიშნულ ეტაპზე წარმატება არ ჩანდა.

დაღისტნის მთის სოფლებში რუსეთის მთავრობის მიერ დადგენილი ბოქაულები ფაქტიურად აბრაგულ ბანდების ხელ ქვეშ რჩებოდნენ. ბოქაული იძულებული ხდებოდა საჩუქრები და ფული ეძლია მათთვის. თუ ასე არ მოიქცეოდა, მას მოჰკლავდნენ. ამიტომ ასეთი ბოქაული თავის გადარჩენის მიზნით საკუთარ მთავრობასაც ატყუებდა, როცა აცხადებდა, რომ მისი სოფელი რუსეთისადმი „ერთგულებას იჩენდა“[4].

დაღისტნიდან გამუდმებულ ქურდულ-აბრაგულ შემოსევებს აღნიშნულ პერიოდში ძირითადად ძველი მიზეზები ჰქონდა. ახალი

[1] იქვე, ფურ. 31—32.
[2] იქვე, ფურ. 33.
[3] იქვე, ფურ. 46.
[4] იქვე, ფურ. 47.

ის იყო, რომ ახლა ამ შემოსევებს ბიძგს აძლევდა მზარდი მიურიდული რეაქცია, რომელიც „საღვთო ომის“ დროშით ფართო მაშტაბის ძარცვა-გლეჯას აწარმოებდა.

რუსეთის მთავრობაც თავისებურად ხსნიდა უწყვეტი ქურდული თავდასხმების მიზეზს: „არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს წარმოების გარეშე. მთიელებს არ აქვთ წარმოება გარდა ყაჩაღობა-ქურდობისა“,—წერდა პოდპოლკოვნიკი ფრეიტაგი[1]. რა თქმა უნდა, ეს მოხელე აჭარბებდა. აქ მთიელები საერთოდ არაფერ შუაში იყვნენ. ცალკეული აბრაგების, თავზე ხელაღებული მძარცველებისა და ფეოდალების საქმიანობაზე მთლიანად მთის მოსახლეობა პასუხს ვერ აგებდა. მეფის მთავრობის ასეთი უდიერი დამოკიდებულება საერთოდ მთიელთადმი ნამდვილად ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ მიურიდულ რეაქციას დაღისტანში საკმაოდ ბევრი მომხრე აღმოაჩნდა.

1838, 1839, 1840 წლების განმავლობაში გამუდმებით გრძელდებოდა თავდასხმები ლეკურ საკორდონო ხაზზე. მუდმივი განგაშის შედეგად კახეთის მოსახლეობას სიცოცხლე გამწარებული ჰქონდა.

აღნიშნულ ვითარებაში ჩატარდა 1840 წ. 10 აპრილის რეფორმა, რომლის საფუძველზე ჭარ-ბელაქანი, ბელაქნის მაზრის სახელწოდებით, შევიდა საქართველო-იმერეთის გუბერნიაში; მისი მმართველობა საქართველოს სხვა მაზრათა მმართველობის მსგავსად მოეწყო. ამიერიდან სისხლის სამართლის საქმეები უნდა განეხილა სამხედრო სასამართლოს, ხოლო სამოქალაქო საქმეების განხილვაში ისევ შარიათი და სამედიატორო სამართალი რჩებოდა. ადმინისტრაციული დაყოფის მხრივ 1840 წლამდის არსებული 5 უბნის ნაცვლად (ბელაქნის, ჭარის, თალას, მთისა და ენისელის) აღმოსავლეთ კახეთი 3 ნაწილად გაიყო—ბელაქნის, ენისელისა და ელისუს[2].

ახალი მმართველობა, ისე როგორც საყოველთაოდ, აქაც შეუფერებელი და უმსგავსო აღმოჩნდა. 1842 წ. მთავრობის წინაშე დასმულა საკითხი აღმოსავლეთ კახეთის მმართველობის რეორგა-

[1] იქვე, ფურ. 49.
[2] Колон. полит. царизма в Азерб., т. II, გვ. 260.

ნიზაციის შესახებ. საამისო მოტივად წამოყენებული იყო „მოსახლეობის მოუმზადებლობა“ და სხვა.

სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი ჭარ-ბელაქანში უფრო შესაფერისად თვლიდა სამხედრო მმართველობის შემოღებას. ამას შედეგად მოჰყვა „ბელაქნის მაზრის“ გადაქცევა „ბელაქნის ოლქად“, სადაც შემოღებულ იქნა სამხედრო მმართველობა. გაუქმდა სამაზრო სასამართლო და დაწესდა სამხედრო სამართლის კომისია. ამავე დროს სამოქალაქო საქმეების განსახილველად ოლქის უფროსთან ჩამოყალიბდა ზეპირი სასამართლოც. ამ ცვლილებებს შემდეგ. მოჰყვა ბელაქნის ოლქის ჩამოცილება სამოქალაქო გამგებლობის უწყებიდან და მისი გადაქცევა „სამხედრო ოლქად“. ოლქის უფროსს სამოქალაქო სფეროში მიენიჭა გუბერნატორის, ხოლო სამხედრო ხაზით დივიზიის უფროსის უფლება[1].

აღნიშნულ ცვლილებათა გატარება ნაკარნახევი იყო ჭარ-ბელაქანში შექმნილი განსაკუთრებული ვითარებით. აქ კიდევ მრავლად იყვნენ მიურიდების მომხრე ელემენტები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ შამილის ბანდებთან. მმართველობის სამხედრო ხასიათი ინარჩუნებდა ოლქში დაძაბულ მდგომარეობას. და უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობაზე, რომელიც მოქალაქეობრივი ცხოვრების შესაძლებლობას ჯერ კიდევ მოკლებული იყო.

1834 წლიდან მიურიდების სათავეში იდგა ინგლისისა და თურქეთის აგენტი შამილი[2]. ამიერიდან იგი ხელმძღვანელობდა ინგლისის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წაქეზებულ სამხედრო ავანტიურას, რომელიც მიმართული იყო კავკასიის თურქეთთან შეერთებისაკენ.

შამილი, ისე როგორც მისი წინამოადგილეები, ყაზი-მოლა და ჰამზათ-ბეგი, ხალხის მიერ არჩეული კი არა, არამედ ფანატიკოსთა მცირე ჯგუფის კანდიდატები იყვნენ. შამილი არ გამოდიოდა მასე-

---

[1] Иваненко. Гражд. упр., გვ. 332—333.

[2] 1832 წ. რუსთა მიერ გიმრის აღებისას მოკლულ იქნა მიურიდების იმამი ყაზი-მოლა. ამ ბრძოლის დროს მკერდში დაიჭრა ყაზი-მოლას მიურიდი შამილი, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. 1832 წლიდან იმამად აირჩიეს ჰამზათ-ბეგი, რომელიც თვით მიურიდებმა მოკლეს. 1834 წლიდან კი იმამად ხდება ცნობილი შამილი.

ბის ინტერესებიდან, არამედ მთავარ მიზნად ისახავდა რუსეთთან და მის მოკავშირეებთან ბრძოლას. იგი მხარს უჭერდა ოსმალეთის მომხრე ფეოდალებს. ასეთი იყო ელისუს სულტანი დანიელ-ბეგი, რომელთანაც მან ნათესაური ურთიერთობა გააბა[1].

ხალხი მიურიდებისა და შარიათის წინააღმდეგი იყო, მიურიდები კი ყოველ ზომას ხმარობდნენ, რომ აეძულებინათ ფართო მასები დამორჩილებოდნენ მათ ბრძანებებს. ამისათვის იყენებდნენ სამხედრო რაზმებს, აწყობდნენ დამსჯელ ექსპედიციებს ურჩ სოფლებში. მაგ., ჰამზათ-ბეგსა და შამილს მოუხდათ ლაშქრობათა მოწყობა დარგოს სოფლებში, რათა ძალად დაენერგათ იქ მიურიდიზმი და შარიათი. ისინი ყველგან შეხვდნენ ხალხის ძლიერ წინააღმდეგობას. მიურიდები მაშინ თვითონ აცხადებდნენ, რომ „მთელი ხალხი მათ წინააღმდეგ აღსდგა“[2]. ერთი სიტყვით, შამილი ეყრდნობოდა არა ხალხს, არამედ ხალხის წინააღმდეგ მიმართულ მიურიდთა შეიარაღებულ ძალებს. შამილის მმართველობის მთელი ისტორია ეს იყო ურჩი სოფლების დასჯა-დაშოშმინებისათვის განუწყვეტელი ბრძოლა[3].

შარიათი (ყურანზე დაფუძნებული კანონმდებლობა) გადაიქცა უდიდეს მუხრუჭად დაღისტნის ხალხის პროგრესისათვის. იგი ბოჭავდა ამ ხალხის პოტენციალურ შესაძლებლობას კულტურულ-ეკონომიური განვითარების საქმეში. მიურიდიზმმა და შამილის მოძრაობამ მოწყვიტეს დაღისტანი გარეშე სამყაროს, აკონსერვებდნენ შეურნეობის პატრიარქალურ წყობილებას[4].

შამილის ახლობელი და მისი თანაშემწე ჰაჯი-ალი ჩოხელი წერდა, რომ იგი დარწმუნებული იყო შამილის დამარცხებაში, „რადგან შამილის მიმდევრები და ნაიბები უკიდურესად ავიწროებდნენ ხალხს და არ ფიქრობდნენ მათ მმართველობაში მყოფი მცხოვრებლების კეთილდღეობაზე. ისინი მხოლოდ ცდილობდნენ... ხალხის ზურგზე გამდიდრებას... მათი ვერცხლისმოყვარეობა და ბოროტმოქმედება ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა“[5].

---

[1] დანიალოვის დასახ. წერილი, გვ. 9.

[2] Хроника Мухаммеда Тахира ал-Карахи. Изд. АН СССР. М.—Л. 1941 გვ. 33. დანიალოვის დასახ. წერილი, გვ. 10.

[3] დანიალოვი. დასახ. წერილი, გვ. 11.

[4] იქვე, გვ. 12.

[5] Сказание очевидца о Шамиле, გვ. 3—4.

რუსეთის მთავრობა თავიდანვე ენერგიულ ზომებს ღებულობდა მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის წინააღმდეგ.

1834 წ. რუსთა რაზმები წარმატებით მოქმედებენ ავარიაში, სადაც იკავებენ გოცატლის სიმაგრეს. 1837 წ. დაკავებულ იქნა ქ. ხუნძახი. მიურიდების უმრავლესობა ავარიიდან გამორეკეს. ამავე წელს გენ. ფეზის რაზმებმა ტილიტლის სიმაგრესთან ბრძოლაში მიზანს ვერ მიაღწიეს და უკან დაბრუნდნენ. ამ გარემოებამ მიურიდები გაამხნევა. მდგომარეობის გამოსასწორებლად 1839 წ. ეწყობა ძლიერი ექსპედიცია შამილის ციხე-სიმაგრის—ახულგოს წინააღმდეგ. რუსებმა აიღეს და დაანგრიეს ახულგო[1]. შამილი საჩაჩნოში გაიქცა.

მიუხედავად აღნიშნული დამარცხებისა შამილმა მალე გამოასწორა მდგომარეობა. 1841 წ. მან ალყაში მოაქცია ავარიის სახანო, 1842 წ. აიღო ყაზი-ყუმუხის სახანოს ცენტრი—ყუმუხი. ავარიასა და ყუმუხში გაგზავნილი რუსთა ძლიერი რაზმები უკან ახევინებენ მიურიდებს. მალე ეწყობა ძლიერი ექსპედიცია შამილის ახალი საბუდარის—დარგოს წინააღმდეგ. გენ. გრაბეს რაზმებმა იჩქერიის ტყეში 6 დღის განმავლობაში ბრძოლის შედეგად დიდძალი დანაკლისი განიცადეს. ისინი სასტიკად დამარცხდნენ. ამან აღაფრთოვანა რუსთა მტრული ძალები კავკასიაში. რუსები ფაქტიურად კარგავდნენ ავარიას, სადაც მათ ხელში მხოლოდ რამდენიმე სიმაგრე რჩებოდა.

მიურიდების და შამილის ზურგში იდგნენ თურქეთი და რუსეთის მოწინააღმდეგე ევროპის ქვეყნები. შამილი უცხოეთიდან ღებულობდა იარაღს და საომარ სხვა მასალას[2].

მიურიდების გაძლიერება დიდ გავლენას ახდენდა ჭარ-ბელაქანზე, სადაც მათ ბევრი მომხრე ჰყავდათ. რუსეთით უკმაყოფილო მუსლიმანური სამღვდელოება და ფეოდალთა გარკვეული ნაწილი შამილის მოახლოებას მოელოდნენ. ჭარ-ბელაქნის მმართველი გენ. შვარცი ითვალისწინებდა შამილის გამარჯვებასთან დაკავშირებით მოსალოდნელ ხიფათს ჭარში. ამიტომ იგი 1842 წ. საქართველოს მთავარმმართველი გოლოვინისადმი წარდგენილ სპეცია-

[1] ახულგო შამილმა ააშენა ავარიისა და ანდიის ქოისუს შესართავთან, ციცაბო კლდეებით შემოფარგლულ ადგილზე. იქ იყო შამილის რეზიდენცია. ახულგოს დაკარგვის შემდეგ შამილის რეზიდენცია სოფ. დარგოში იყო.

[2] К. Маркс, Ф. Энгельс. Сочин., т. X, გვ. 39-40.

ლურ მოხსენებაში აყენებდა საკითხს „აუცილებელი სერიოზული შეტევის შესახებ“, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო რუსეთის მტკიცედ დამკვიდრება კავკასიონს გადაღმა მდებარე ხელსაყრელ პუნქტებში. ასეთი პოზიციების დაკავება, შვარცის აზრით, ხელს შეუწყობდა „ახლო მდებარე ლეკური ტომების საბოლოო დამორჩილების“ საქმეს. მაგრამ გოლოვინის დროს ეს მიზანი ვერ განხორციელდა და 1843 წ. რუსთა „ბატონობას კავკასიაში სერიოზული საფრთხე შეექმნა“[1].

1843 წ. სექტემბერში შამილმა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმებით ალყაში მოაქცია ხუნძახი, სადაც ჩაჰკეტა გენ. კლუგენაუს რაზმები. გენ. შვარცი თავისი რაზმით წავიდა დაღისტნის სიღრმეში შესაპრელად. 24 სექტემბერს იგი ყაზი-ყუმუხიდან 7 ვერსის მანძილზე იმყოფებოდა; მაგრამ როგორც კი დიდოსა და უნკრატლის თემებს გასცდა, მაშინვე მღელვარება დაიწყო. მიურიდებმა 3000-დე დაღისტნელი აუჯანყეს რუსეთს. გენ. შვარცის საშველად წავიდა ახალი რაზმი გენ. ჭავჭავაძის სარდლობით.

1844 წ. რუსეთის მთავრობა შამილისათვის სამაგიეროს გადახდას ფიქრობდა, მაგრამ განზრახვის განხორციელებას ბევრი რამ უშლიდა ხელს. შემტევი რაზმების ზურგი მერყეობდა. ჭარბელაქანში რუსეთისათვის არა ხელსაყრელი მდგომარეობა რჩებოდა. რუსეთის მთავრობას ერთგულებდნენ მხოლოდ ინგილოები და მუღალები, მაგრამ მათზეც ჯერ კიდევ ძლიერი იყო ჭარელ ლეკთა გავლენა. ჭარელი ლეკები კი განაგრძობდნენ ბრძოლას ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის, აბამდნენ საიდუმლო ურთიერთობას რუსეთისათვის მტრულ ელემენტებთან. ოფიციალური მიმოწერების ცნობით, ჭარელები იფარებდნენ მტაცებელ აბრაგებს, „თვითონაც ავაზაკობდნენ“ და „პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე“ მზად იყვნენ რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩანდა, რომ მათი გულისყური შამილისაკენ იყო.

აღნიშნულ დაძაბულ მომენტში რუსეთის მთავრობის მიერ განაწყენებულ ელისუს სულტანსაც შამილისაკენ ეჭირა თვალი.

სამოქალაქო მმართველობაში 1840 წ. ჩატარებული რეფორმის შედეგად ელისუს სასულტანო მიაკუთვნეს ბელაქნის მაზრას. თვითონ სულტანი მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა „ელისუს

[1] ვოლკონსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 84.

მფლობელის“ ტიტულს, სინამდვილეში კი გადაიქცა უბრალო უბნის უფროსის უფლებებით აღჭურვილ მოხელედ, რომელსაც ყოველთვიური ჯამაგირი (15 მან.) გაუჩინეს.

ელისუს სულტანი დანიელ-ბეგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. იგი რუსეთის მეფისაგან მოითხოვდა თავისი უფლებების გაფართოებას: „გთხოვთ... ბრძანება გასცეთ, რომ ჩამწერონ თქვენი უდიდებულესობის კარის თავადთა რიცხვში სამეგრელოს მთავარი დადიანის უფლებათა მსგავსად“[1].

1842 წ. მთავარმმართველმა გოლოვინმა იშუამდგომლა, რომ სასულტანო გამოეყოთ ბელაქნის მაზრისაგან, სულტანი აღედგინათ ძველ უფლებებში[2].

1844 წ. 6 მარტის საბუთში ნათქვამია, რომ მეფემ დანიელ სულტანი თავის ძველ უფლებებში დატოვა, მაგრამ უარყო მისი თხოვნა გაეთანასწორებინათ იგი დადიანისა და თარღუს მფლობელებთან. საქართველოს მთავარმმართველმა გაათავისუფლა სულტანი მისი „ხარისხისათვის შეუფერებელი“ მოვალეობისაგან (უბნის მოსამართლე). მაგრამ ეს „წყალობა“ მას არ აკმაყოფილებდა. როგორც ჩანს, სულტანი კარგად გრძნობდა თავისი მდგომარეობის შემდგომ პერსპექტივს, რომ რუსეთის მთავრობა, მისთვის ჩვეული პოლიტიკით, სასულტანოს არ შეინარჩუნებდა. ამავე დროს სულტანი თავის სისუსტესაც კარგად გრძნობდა და, დამოუკიდებლობისა და ძლიერი ავტორიტეტის შექმნაზე მეოცნებე, შექმნილი მდგომარეობისაგან გამოსავალს ეძებდა. რუსეთის მთავრობას, როგორც ჩანს, არ გამოჰპარვია დანიელის საიდუმლო კავშირი მიურიდებთან და შამილთან. მალე აშკარა გახდა სულტანის „ღალატიც“ და საქმეც ბრძოლით გადაწყდა[3]. დანიელი შეებრძოლა რუსთა სამხედრო ექსპედიციას, მაგრამ დამარცხდა და სარუბაშის ხეობით გაიქცა მთებს გადაღმა—წახურში, საიდანაც შამილს გამოეცხადა. ეს ფაქტი ნათლად ადასტურებდა ელისუს სულტნის იდეურ ნათესაობას მიურიდულ რეაქციასთან.

სულტანის გაქცევისთანავე მისი რეზიდენცია მიწასთან გასწორეს. სასულტნო გაუქმდა და იქ რუსული მმართველობა გავრ-

---

[1] Колюп. Политика царизма в Азербайджане. т. I, გვ. 69.
[2] Иванченко. Гражданское управл. Закавказом, გვ. 231.
[3] Путеводитель по кавказскому военно-ист. музею, 1915, გვ. 52.

ცელდა. სულტანის გაქცევას სახიფათოდ თვლიდნენ და ცდილობდნენ მის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ[1].

1844 წ. მთავარსარდალი მიხეილ ვორონცოვი ცდილობს გამოასწოროს მიურიდებთან ბრძოლაში რუსთა მიერ განცდილი მარცხი. მისი ხელმძღვანელობით ეწყობა დარგოს ექსპედიცია. მაგრამ ვორონცოვი მახეში გაება. მიურიდებმა იგი მოწყვიტეს მომარაგების ხაზებს. ვორონცოვის რაზმებმა ძლივს დააღწიეს თავი სრულ განადგურებას.

მიუხედავად აღნიშნული გამარჯვებისა შამილისა და მიურიდების სამხედრო ავანტიურის ბატონობას ავარიაში ნიადაგი ეცლებოდა. ფართო მასები ბრძოლას უცხადებდნენ ამ ავანტიურას, რომელმაც მათი მდგომარეობა დიდად გააუარესა. იზრდებოდა და ფართოვდებოდა მიურიდების მიერ გადასახადებით შევიწროებული გლეხების აჯანყება[2].

დანიელ სულტანის გაქცევა შამილთან საგრძნობლად ართულებდა მდგომარეობას ჭარ-ბელაქანში. თურქეთისა და მიურიდების აქ მოქმედი აგენტურა საიდუმლოდ საქმიანობდა. მიურიდებთან მყოფი მოლა-შაბან-ჭარელი ამ დროს ამზადებდა ბელაქანზე თავდასხმას. ასეთ ვითარებაში მეფისნაცვალი ვორონცოვი ცდილობდა, რომ შამილისაგან როგორმე ჩამოეცილებინა დანიელ-ბეგი, რომელიც ჭარ-ბელაქანში და საერთოდ დაღისტნის მოსახლეობაში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა.

1845 წ. 12 აპრილს მეფისნაცვალი ვორონცოვი სწერდა ნიკოლოზ I-ს: „სამხედრო თვალსაზრისით დანიელ-სულტანის ჩამოშორება მტრული ბრბოებისაგან ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება იქნებოდა. შესაძლებელია, ეს ჩამოშორება შეარყევს

---

[1] 1859 წ., როდესაც შამილი დამარცხების წინა დღეებს ითვლიდა, დანიელ-ბეგმა ულალატა მას და რუსეთს მიუვიდა. მან დაიბრუნა გენერლის წოდება პენსია - ორდენებითურთ, მაგრამ მისთვის ძველი სამფლობელოს მიცემაზე არც კი უფიქრიათ. დანიელ-ბეგი 1869 წ. თურქეთში გადასახლდა (ლინევიჩის დასახ. ნაშრ., გვ. 54).

სასულტნოს გაუქმება მეფის რუსეთის თანმიმდევრული პოლიტიკის ერთ აქტს წარმოადგენდა. იქ რუსული მმართველობის გავრცელებით კახეთის ეს ნაწილიც რუსული მმართველობის ქვეშ გაერთიანებულ საქართველოს დაუბრუნდა.

[2] БСЭ. 1937, т. 30, Кавказские войны, გვ. 500.

შამილისა და მიურიდიზმისადმი ერთგულებას ჩვენს იმ მოწინააღმდეგეთა შორის, რომელთაც ნაკლები დანაშაული მიუძღვით და შეასუსტებს მტრულ ძალებს. აქ ბევრი ფიქრობს, რომ თუ რაიმე მოუვა შამილს, მაშინ დანიელ-სულტანი გახდება მოწინააღმდეგეტომების უფროსი, და ზოგიერთის თვალსაზრისით იგი ჩვენთვის უფრო საშიში იქნებოდა; არ ვიცი, ეს აზრი რამდენად მართებულია, მაგრამ მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ დანიელ-სულტნის გადმოსვლა ჩვენთან ეხლანდელ ვითარებაში შამილისა და მიურიდიზმისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დანაკარგი იქნებოდა"[1]. როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუსეთის მთავრობის ასეთ ცდებს უშედეგოდ არ ჩაუვლია.

მოლა-შაბან-ჭარელის საქმიანობა ჭარ-ბელაქნის მიმართ მეტად სახიფათო ჩანდა. ბელაქანზე თავდასხმისთვის მზადებაში მასთან ერთად აქტიურობდა მიურიდების ერთი წინამძღოლი ვანატილოვი, მაგრამ გენ. შვარცმა მათ არ მისცა ჭარ-ბელაქანთან მოახლოების საშუალება. მან ენერგიული მოქმედებით დაამარცხა და გაჰფანტა მათი რაზმები უნკრატლში.

1845 წ. მთიელთა ძლიერება არ შენელებულა. ლეკურ საკორდონო ხაზზე მშვიდობიანი წელი არ ჩანდა.

1847 წელს მოლა-შაბან-ჭარელი და ბელადი ადალოვი ჩამოსულან ჭარში და სოფ. კატეხი აუჯანყებიათ[2]. ცალკეულ თემებში აჯანყებას ზედ ერთვოდა შამილის რაზმების შემოტევები. ვოლკონსკის თქმით, ამ მომენტში „განსაკუთრებული მიღწევებით" გავრცელდა ჭარელთა შორის დაღისტნიდან შემოტანილი მიურიდიზმი, რომელიც, მისივე აღიარებით, წარმოადგენდა „რუსთა წინააღმდეგ მთიელთა ომის მტკიცე ნიადაგს"[3].

1848 წელს რუსეთის მთავრობა დაბეჯითებით ცდილობდა, რომ შეწყვეტილიყო „ჭარელ ლეკთა ურთიერთობა ურჩებთან". როგორც ჩანს, განზრახული იყო მოწინავე სიმაგრეების აგებით ჭარ-ბელაქნის სრული იზოლირება გადამთიელი ტომებისაგან. ამავე წლის აგვისტოში შამილის ნაიბები ჰაჯი-მურატი და ტურაჩი 3000 კაცით და დანიელ-ბეგი 8000 კაცით ჭარ-ბელაქანს მიუახ-

---

[1] Колон. полит. цар. в Азерб., т. I, გვ. 82.

[2] Журнал ген.—л. Шварца о военных действиях в Джаро-белоканском округе с 6-го по 13-е мая 1847 г. (Акты, т. X, გვ. 350—351).

[3] ვოლკონსკის დასახ. ნაშრ., 89—90.

ლოვდნენ და სიმაღლეები დაიკავეს. გენ. შვარცმა მთელი რაზმი ბელაქანში შეჰყარა. 2 სექტემბერს ჰარის სიმაღლეებზე გამოჩნდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმი მოლა-შაბანისა და მუდირ-ადალოვის მეთაურობით. შვარცმა ყოველი ზომა მიიღო, რომ მოსახლეობა მიურიდებს არ მისვლოდა; მის განკარგულებაში მცირერიცხოვანი რაზმი იყო. ამიტომ მან ჯერ პარტიზანული ჯგუფებით დაიწყო ბრძოლა, შემდეგ კი, როდესაც მოწინააღმდეგეები ძოახლოვდნენ, შეტევაზე გადავიდა, მაგრამ მდ. კატეხის-წყალი ადიდებული იყო და შვარცის რაზმებს ხიდის კეთება მოუხდათ. მალე მთიდან დაეშვნენ მიურიდებიც. მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელშიაც მიურიდები დამარცხდნენ.

მიურიდების ეპიზოდური შემოტევებით დაბანდებული იყვნენ საკორდონო ხაზზე განლაგებული რუსთა რაზმები. 1848 წ. გრძელდებოდა გახშირებული თავდასხმები კახეთის სოფლებზე. გაზაფხულზე მიურიდთა დიდი რაზმი თავს დაესხა სოფ. გრემს, გაქურდა „იგი და ბევრი ტყვე წაასხა. ქართველთა პოლკის ერთი ასეული სიმონ ჯანდიერის მეთაურობით მათთვის გზის მოსაჭრელად გაეშურა. კირპუჩის მთასთან ეს ასეული მოულოდნელად წააწყდა მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვან რაზმებს, რომლებიც თურმე მოთარეშე ავაზაკებს ზურგს უმაგრებდნენ. ხუთჯერ ჰარბი მოწინააღმდეგე გარს შემოერტყა ქართველთა ასეულს, რომელიც 230 კაცისაგან შედგებოდა. უკან დასახევი გზა არ იყო. ქართველები ზურგით მიებჯინენ კლდეს და გააფრთებით იბრძოდნენ. ბრძოლა 6 საათს გაგრძელდა. ბევრჯერ სცადეს მათ გაერღვიათ ცოცხალი კედელი, მაგრამ უშედეგოდ. გმირულ ბრძოლაში დაიღუპა 160 კაცი; მათ შორის მეთაური ჯანდიერიც. დანარჩენებმა მხოლოდ ღამით გაიკაფეს გზა. მიურიდებმაც დიდი ზარალი ნახეს[1].

ასეთი ეპიზოდები მრავლად ჩაიწერა ქართველთა პოლკის ისტორიაში, რომელიც მხატვრული სისრულით აღწერა რუსმა სამხედრო მოხელემ ვოლკონსკიმ. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარზე ქართველთა პოლკი მეტად სერიოზულ როლს ასრულებდა.

შამილის ბანდების გამუდმებული თარეში აღმოსავლეთ კახეთში და მის ახლოს ძველ „ლეკიანობას“ მოგვაგონებდა. XIX

[1] ვოლკონსკის დასახ. ნაშრ., 146—48.

საუკუნის პირველ ნახევარშიაც არსებული შემოსევები ძველებურადვე ქურდულ-აბრაგულ ხასიათს ატარებდა და ქვეყანაში გაბუდძებული განგაში გრძელდებოდა.

კახეთის მეზობლად მთაში მიმდინარე ომის პირობები მძიმე გავლენას ახდენდა აგრეთვე კახეთის მოსახლეობაზე, რომელიც მოვალე იყო სისტემატურად გამოეყვანა რუსთა რაზმების დასახმარებლად თავისი ლაშქარი და მოემარაგებინა იგი სურსათით. ერთ წერილში, 1858 წ. 28 აპრილს, გრიგოლ ორბელიანი წერდა: „22 სოტნა მილიციისა გაიყვანეს მარტო კახეთიდამ და ახლავე დააყენეს ლინიაზე; რა შეიწროებულ მდგომარეობაში იქნება კახეთი, რომელიცა ყოველს ფვეს უნდა აძლევდეს ორი ათასს თუმანზე მეტსა მხოლოდ ამ ერთი საგნისათვის საჯამაგიროს და კახეთი ესოდენს რას დაჰკარგავს, თუ გინდა მართლად მტერიც მოვიდეს მასზედ?“[1].

დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა 1849, 1850, 1851, 1852 წლებიც. აღმოსავლეთ კახეთის საზღვრებთან, ზოგჯერ მის შიგნითაც, ამ წლებში ისევ სისხლი იღვრებოდა.

XIX საუკუნის 30-40-ან წლებში აღმოსავლეთ კახეთში წინანდელთან შედარებით მდგომარეობა უფრო განმტკიცებული იყო. მიუხედავად მიურიდების გაძლიერებისა ჭარ-ბელაქანში მოქმედი ანტირუსული ძალები სუსტდებოდნენ. ამის უპირველესი მიზეზი იყო ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მხარდაჭერა რუსეთისათვის. რუსეთს თანაუგრძნობდნენ აგრეთვე მუღალი გლეხები და სოციალურად დამონებული ავარ-წახურები, რომელთა ერთი ნაწილი რუსთა მხარეზე იბრძოდა. ეს ჩანს კვლავ გ. ორბელიანის წერილიდან ილია ორბელიანისადმი 1851 წ. 21 აგვისტოს. „...ჭარელები გავგზავნე მთაში გოდორდაღთან[2] გზის წასახდენად, ასე რომ ცხენოსანმა ვეღარ გამოვლოს. აბა სად გაგონილა უწინდელს დროში, რომ ჭარელები გზებს ახდენდნენ ლეკების საზიანოდ?“[3].

---

[1] გ. ორბელიანი. წერილები, ტ. II, გვ. 239.

[2] აკ. გაწერელიას შენიშვნით გუდურ-დაღი ჭარ-ბელაქანის ოლქს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა (გ. ორბელიანი. წერილები, ტ. II, შენ. 13).

[3] გ. ორბელიანი ხაზგასმით დასძენდა: „აი ასეთი კაცი ვარ; მაგრამ არ მწერ კი, ჩემზე რას ამბობენ?“ (გვ. 19). როგორც ვხედავთ, გენერალს საკუთარ ქება-დიდების ამბებიც აინტერესებდა. საინტერესო იყო, თუ რა შედეგი გამოიღო მის მიერ გაგზავნილ ჭარელთა მოქმედებამ. ეს არ ჩანს

რუსეთის მთავრობა კარგად იყენებდა აღმოსავლეთ კახეთში არსებულ სოციალურ ბრძოლას და ძირითადი ქართველი მოსახლეობის მისწრაფებას მოძმე პროვინციებთან კავშირის განმტკიცებისათვის. ამასთანავე გაბატონებული ლეკთა ბანაკშიაც მას ბევრი აგენტი ჰყავდა.

მიურიდიზმთან გამწვავებული ბრძოლის ვითარებაში, როდესაც აღმოსავლეთ კახეთზე გამავალ ლეკურ საკორდონო ხაზს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მთავრობა ჭარ-ბელაქნის მმართველად ქართველ სამხედრო მოხელეებს ნიშნავდა. გენ. სავარსამიძის შემდეგ მმართველად იყო პოლკოვნიკი ბეზობრაზოვი, რომელიც გენ. ჭილაშვილმა (ჩილიავი) შესცვალა, ხოლო ჭილაშვილი კი— გრიგოლ ორბელიანმა, რომელმაც განსაკუთრებით დიდი სახელი მოიხვეჭა მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში[1].

XIX საუკუნის 40-ანი წლების მიწურულსა და 50-ის დასაწყისში შამილისა და მიურიდიზმის სამხედრო ავანტიურის ბატონობა დაღისტანში სწრაფი დაცემის გზით მიექანებოდა. გლეხთა მზარდი აჯანყებები წალეკვას უქადდა მიურიდთა შეუზღუდველ აღვირახსნილობას. იზრდებოდა განხეთქილება მიურიდებს შეგნითაც.

1852 წლიდან რუსთა რაზმები წარმატებით ებრძოდნენ შამილს, რომელიც მარცხს განიცდიდა და ზედისზედ სთმობდა პოზიციებს.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ (1853 წ.) ფრთები შეასხა მიურიდულ რეაქციას. კვლავ ამოძრავდა თურქული აგენტურა აღმოსავლეთ კავკასიაში. შამილმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან რუსთა წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდებოდა სულტან-ხალიფთან ერთად.

მიუხედავად შამილის სისუსტისა რუსთა რაზმების აქტიური მოქმედების გაშლა დაღისტანში, მაშინ როცა ომი ოსმალეთთან დაწყებული იყო, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სავსებით სწორი იყო გენ. ორბელიანი, როდესაც აცხადებდა, რომ დასუსტებული

---

[1] ორბელიანი 1850 წ. ინიშნება ლეკური საკორდონო ხაზის უფროსად. 1851—1852 წლებში იგი ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის მმართველია. 1854 წ. ორბელიანი კასპიის მხარის დროებით გამგედ და დაღისტნის ჯარების სარდლის მოვალეობათა ამსრულებლად მუშაობდა; 1855 წ. არღუთინსკის სიკვდილის გამო მას ამ თანამდებობაზე ამტკიცებენ (გრიგოლ ორბელიანი. წერილები, ტ. I, აკ. გაწერელიას შესავალი წერილი, გვ. XVIII—XX).

მიურიდები შექმნილ ვითარებას სათანადოდ ვერ გამოიყენებდნენ და ამ მომენტში დაღისტნის საბოლოო გაწმენდის ამოცანის განხორციელება, რასაც მეფის მთავრობა მიზნად ისახავდა, მეტად სახიფათო იქნებოდა. გენ. ორბელიანმა, გენ. ბარიატინსკის მხარდაჭერით, მთავრობას აძ განზრახვაზე ხელი ააღებინა[1]. დაღისტნის გაწმენდის მიზანი დაწყებული ომის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელებულიყო.

სულტანისა და მისი მოკავშირეების—ინგლისისა და საფრანგეთის საბრძოლო გეგმის მიხედვით შამილს უნდა დაებანდებინა რუსთა რაზმები საქართველოში და ამით გაეადვილებინა მოკავშირეთა მოქმედება მთავარ ფრონტებზე[2]. შამილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთის სულტანთან. მას ჰპირდებოდნენ, რომ თბილისის აღების შემდეგ ამიერკავკასიის მეფობას მისცემდნენ[3]. „შამილმა ოსმალეთისაგან ოფიციალურად მიიღო საქართველოსა და ჩერქეზეთის არმიის გენერალისიმუსის წოდება“[4].

ომიდიხარე ომში. 1853 წ., ოსმალთა ჯარებთან კოორდინაციის დამყარების შემდეგ, შამილი მრავალრიცხოვანი ჯარით ჭარის მაღლობებს მოადგა. მისი ეს გამოსვლა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვართან, როგორც ჩანს, უკავშირდებოდა ოსმალთა შემოჭრას დასავლეთიდან, გურიაში. შამილმა თავისი შვილი ყაზი-მოჰამედი და დანიელ-ბეგი გაგზავნა ზაქათალის ასაღებად.

შამილის წამოსვლა ჭარის გზით შემთხვევითი არ ყოფილა. აქ მას საკმაოდ მრავლად ეგულებოდა მიურიდთა მომხრე და ხელისშემწყობი ელემენტები.

ზაქათალასთან შამილის რაზმებს ცეცხლით შეეგება 40 კაზაკი. კაზაკებს მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა არ შეეძლოთ და ისინი ციხეში გამაგრდნენ. მიურიდებმა დაიკავეს ზაქათალა. მათი ცხენოსანი რაზმი აქედან გაეშურა ალაზანზე გადასასვლელის დასაკავებლად, მაგრამ გენ. ორბელიანმა მათ გზა გადაუღობა. მოხდა ბრძოლა. ქართველთა და რუსთა რაზ-

---

[1] БСЭ. 1937, т. 30, გვ. 502.

[2] Маркс и Энгельс. Сочин. т. IX, გვ. 410, 556.

[3] Н. Ченшвили. К истории борьбы грузинского народа против турецких интервентов... გვ. 263.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Сечин. т. X, გვ. 124.

მებმა უკუაგდეს ალაზანზე მომდგარი მტერი, რომლის ჯარის ნაწილი სოფ. კატეხში გაიქცა, ნაწილი კი—თალაში. ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა შეტაკებას ბელაქანში, სადაც მიურიდები კვლავ სასტიკად დამარცხდნენ. ისინი იხევდნენ ბელაქნიდან მთის ფერდობებზე მდებარე სოფლებისაკენ (ზარნა, ლექართი, იგივე ლიაკიტი). შამილი ემზადებოდა ზაქათალის ციხის ასაღებად, მაგრამ რუსთა დამატებითი რაზმების გამოჩენამ მას განზრახვაზე ხელი ააღებინა. მიურიდებმა მთებისაკენ იბრუნეს პირი[1]. ამ დროს განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენდა გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ორბელიანი.

ამრიგად, 1853 წ. შამილის ჯარების შემოსევა ჭარ-ბელაქანში წარმოადგენდა მიურიდების სუსტ დივერსიას, რომელსაც არავითარი გავლენა არ მოუხდენია მიმდინარე ომზე. ამ დივერსიას მოჰყვა მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დარბევა, მძარცველურ-აბრაგული ძალადობის შემთხვევები, რის შედეგადაც აღმოსავლეთ კახეთის მშრომელებმა მატერიალური ზარალი განიცადეს.

1853 წ. 9 ნოემბერს მეფისნაცვალი ვორონცოვი ატყობინებდა მეფეს: „სარგებლობდა რა ჩვენდამი ურჩი კავკასიური ტომების მღელვარებით... შამილმა გადაწყვიტა გაბედული წამოწყების განხორციელება—ჩამოსულიყო ლეკურ საკორდონო ხაზზე, აეჯანყებინა ჩვენს წინააღმდეგ ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის მცხოვრებლები, ან დაერბია ისინი და მთებში წაესხა“, მაგრამ შამილი და მისი ნაიბი დანიელ-ბეგი დამარცხდნენ[2].

1854 წ. შამილმა მეორედ ილაშქრა საქართველოში. იგი დარგოდან დაიძრა. ახლა იგი ცდილობდა სამხრეთისაკენ გაჭრას, რომ უშუალოდ დაკავშირებოდა ოსმალებს[3]. მის განკარგულებაში 12 ათასამდე კაცი იყო. მიურიდები შეიჭრნენ კახეთში, ხანმოკლე ბრძოლით დაიკავეს სოფ. შილდა. ამის შემდეგ ერთმა რაზმმა ყაზი-მოჰამედის სარდლობით ალაზნის ნაპირები დაარბია. მიურიდე-

---

[1] Сказание очевидца о Шамиле. Сб. св. о Кавк. горцах, вып. VII, 1873, გვ. 43—45. შემოსევის თარიღად აქ შეცდომითაა მითითებული 1852 წელი. ნახე აგრეთვე: А. Слусаренко. Последний поход Аргутинского-Долгорукова. „Кавказ“, 1860 г., № 7.

[2] Акты, т. XII, გვ. 1444.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. IX, გვ. 611.

ბი მალე გაიჭრნენ წინანდლისაკენ, სადაც გაძარცვეს თავადი ჭავ-ჭავაძის სახლი, დაატყვევეს ქალები და ბავშვები. ასეთი ნადავლით დაკმაყოფილებული მძარცველები მოსალოდნელი სრული განადგურების შიშით, უკან გაბრუნდნენ. მდ. ალაზანზე მოხდა ბრძოლა, მაგრამ მათ მოახერხეს ტყვეების გატაცება დაღისტანში[1].

აღნიშნული ქურდული შემოსევით კმაყოფილი შამილი თავის სიხარულს სპეციალური წერილით უზიარებდა ოსმალთა რაზმების მთავარსარდალ ომერ-ფაშას, ქ. ყარსში მყოფი ინგლისელი გენ. ვილიამსის მეშვეობით[2]. ამ დივერსიასაც თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია მიმდინარე ომზე. მხოლოდ, კვლავაც, მოსახლეობამ განიცადა ზიანი. შამილის აბრაგულმა შემოსევამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მიურიდების სამხედრო დივერსიები მხოლოდ ავანტიურა იყო. მოსახლეობა მტრულად ხვდებოდა შამილის ბანდებს.

XIX საუკუნის 50-ანი წლებიდან მიურიდების ბანაკი დღე-დღეზე სუსტდებოდა. მეფის მთავრობა სულ უფრო და უფრო აღრმავებდა განხეთქილებას მათ შორის. მალე მეფის მხარეზე გადავიდა შამილის ცნობილი ნაიბი ჰაჯი-მურატი. ღალატი ემჩნეოდა ელისუს ყოფილ სულტან დანიელსაც.

ოსმალეთთან მიმდინარე ომის (1853—1856 წწ.) დასრულებამ საშუალება მისცა მეფის რუსეთს, რომ თავისი ძალების ახალი ნაწილები დაღისტანში გადაესროლა. რუსთა რაზმებმა მეფისნაცვალი ბარიატინსკისა და გენ. გრიგოლ ორბელიანის სარდლობით ყოველი მხრიდან შეავიწროვეს მიურიდთა შეთხელებული რაზმები.

შამილის დამარცხების წინა დღე კარგად განჭვრიტა გ. ორბელიანმა. იგი 1859 წ. 14 მარტს სწერდა დ. ჯორჯაძეს: „ახლა ჩვენია დრო!—ამისთანა შემთხვევას ძნელად ღა იპოვნით: ჩაჩანი მთლად ჩამოეცალა შამილსა; თვით დაღისტანშიაცა ყრუ არეულობაა, ხალხი მოთმინებიდან გამოსულია ესოდენის სისხლის ღვრითა და გაოხრებითა“[3].

1858 წლის განმავლობაში და 1859 წ. დასაწყისში დაკავებულ იქნა საჩაჩნო, 1859 წ. 1 აპრილს დაიპყრეს შამილის რეზიდენცია,

---

[1] Сказание очевидца о Шамиле, გვ. 46—47. БСЭ, 1937, т. 30, გვ. 503.
[2] იქვე.
[3] გ. ორბელიანი. წერილები, ტ. II, 1937, გვ. 265.

ხოლო 25 აგვისტოს—მისი უკანასკნელი ციხე-სიმაგრე—გუნიბი[1]. დამარცხებული შამილი ტყვედ დანებდა რუსთა რაზმებს. ამით დასრულდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა.

დაღისტნისა და საჩაჩნოს საბოლოო დამორჩილებას მალე მოჰყვა რუსეთის მიერ კავკასიის საბოლოო დაპყრობისათვის წარმოებული ხანგრძლივი ომის დასრულება, რაც აღინიშნა დასავლეთ კავკასიის მთიანეთის დამორჩილებით (1864 წ. მაისი). ამ აქტს მარქსი სამართლიანად თვლიდა იმ დროის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ერთ უდიდეს მოვლენად[2].

აღმოსავლეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსეთისათვის, ისე საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ კახეთისთვისაც, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მიურიდებს ბევრი მომხრე ჰყავდათ. ჭარში მეფის რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი და ოსმალეთის ორიენტაციის მქონე პარტია ჰკარგავდა ძლიერ დასაყრდენს. მას უკვე აღარ ჰქონდა მთებს გადაღმა მყოფი აბრაგული ბანდების დახმარების იმედი. შამილის საბოლოო დამარცხება ამავე დროს მოასწავებდა მეფის მთავრობის პოზიციების განმტკიცებას აღმოსავლეთ კახეთში.

რუსეთის მთავრობა შამილისა და მიურიდიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ პერიოდში ქართველი ხალხის ენერგიული მხარდაჭერით სარგებლობდა. მიურიდებს ქართველობა უყურებდა როგორც აბრაგულ, ლეკურ ბანდებს, რომელთაც მხოლოდ ტყვე ადამიანების დატაცება და სხვა ნადავლის შოვნა აინტერესებდათ და რომლებიც სისხლიდან ცლიდნენ საქართველოს.

ქართველი თავადაზნაურობა თვლიდა, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობით შესრულდა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ წარსულში დადებული პირობა იმის შესახებ, რომ იგი საქართველოს საგარეო მტრებისაგან დაიცავდა. თავადაზნაურობას მიაჩნდა, რომ მომხდარი მოვლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკური სიმშვიდის უდიდესი გარანტია იყო. იგი ამ მოვლენის მოსაგონებლად სახალხო-საზეიმო დღესასწაულის შემოღებას მოითხოვდა[3].

---

[1] Семен Эсадзе. Штурм Гуниба и пленение Шамиля. Тифлис, 1909, გვ. 208.
[2] Марков Е. Очерк Кавказа, გვ. 507.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочин. т. XXIII, გვ. 188.

იმ დროის ქართველი ფეოდალური ინტელიგენციის წარმომადგენლები და მშრომელები დიდი ენერგიით მონაწილეობდნენ მიურიდთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში. მათ შორის იყო პოეტი მამია გურიელიც[1]. მწერლები და პოეტები კმაყოფილებით ხვდებოდნენ მიურიდებზე მოპოვებულ ყოველ გამარჯვებას.

ცნობილი რევოლუციონერი მწერალი ეგნატე ნინოშვილი რუსეთის მიერ დაღისტნის დაპყრობას საქართველოსათვის უდიდეს მოვლენად თვლიდა. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ როგორი დიდი ზიანი ადგა საქართველოს დაღისტნიდან მოდენილ აბრაგულ-ლეკურ შემოსევათა გამო.

„...ვინ მოსთვლის, რამდენი ქალი, კაცი და ბავშვი მოუტაცნიათ ლეკებს საქართველოდგან! ვინ მოსთვლის, რამდენი მუშა ქართველი კაცი დაკლულა შეუბრალებლის ლეკის ბელადის ხელით, რამდენი ქართველი ქალი ტყვედ წაყვანილა ლეკეთში და გაუპატიურებულა, რამდენს ქართველ კაცს, ლეკების მიერ ბავშვობისას ტყვედ წაყვანილს, ვეღარ უცვნია თავისი სამშობლო საქართველო და სხვა ლეკებთან ერთად სისხლი უღვრია თავისი მოძმე ქართველებისა!"[2].

სახელოვან მწერალს მიაჩნდა, რომ მიურიდების საბოლოო დამარცხებითა და შამილის დატყვევებით იწყებოდა ახალი პერიოდი საქართველოსა და დაღისტნის ხალხების ურთიერთობაში.

„უკანასკნელ დროს,—წერდა ეგნატე 1891 წ.,—როგორც საქართველოს, ისე დაღისტნის ისტორიული ცხოვრება შეიცვალა; აუარებელ მტრისაგან დაუძლურებულმა საქართველომ რუსეთს შეაფარა თავი. ამ მიმდინარე საუკუნის შუაში, რუსეთისა და ქართველების ჯარმა შეიპყრეს გუნიბის ლომი შამილი... ამის შემდეგ მოისპო ქართველებსა და ლეკებს შორის მტრობა"[3].

შამილისა და მიურიდული რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში

---

[1] თხზულებანი მამია გურიელისა. 1897, ი. მეუნარგიას შესავალი წერილი, გვ. XVIII.

[2] ეგნატე ნინოშვილი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 265.

[3] იქვე, გვ. 266.

ქართველმა ხალხმა უდიდესი როლი შეასრულა. ეს არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან საქართველო ის ქვეყანა იყო, რომელმაც უდიდესი ზიანი განიცადა დაღისტნელ აბრაგთა საუკუნოვანი შემოსევების შედეგად. ხოლო მიურიდებისა და შამილის მოძრაობის მთელ პერიოდში მათი მარბიელი რაზმები კახეთის მიმართ ისეთსავე როლს ასრულებდნენ, როგორც მე-18 საუკუნის მოთარეშე ლეკური ბანდები, რომელთა მიზანი ტყვე-ალაფის შოვნა იყო.

მიურიდებთან მიმდინარე ომის პერიოდშიაც მოწინავე ქართველებს კარგად ესმოდათ ქართველთა და რუსთა მიერ წარმოებული ბრძოლების მნიშვნელობა საქართველოსათვის. მეფის რუსეთის ბატონობის გავრცელება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოებზე დიდ ქართველ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს საქართველოსათვის დადებით მოვლენად მიაჩნდა. მისი სწორი მოსაზრებით, მეზობელი მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები საქართველოსათვის უვნებელი გახდნენ. ეს აზრი გაატარა მან თავის ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა"[1].

ნ. ბარათაშვილმა სპეციალური ლექსი მიუძღვნა ქართველთა სახალხო ლაშქრის გმირულ ბრძოლას მიურიდებისა და შამილის წინააღმდეგ 1844 წელს. მან აღნიშნა, რომ მიურიდების წინააღმდეგ იბრძოდნენ როგორც ქართველი თავადაზნაურობა ისე გლეხობა. გენიალურმა პოეტმა განჭვრიტა, რომ შამილის მოძრაობას ახასიათებდა „ბოროტი სული", რომ ქართველთა ბრძოლის მიზანი სწორედ ასეთი სულის გაქრობას ისახავდა მიზნად. ამავე დროს პოეტი თვლიდა, რომ დაღისტნისა და საჩაჩნოს დამშვიდება, ამ უბნებიდან მტრულ შემოსევათა ალაგმვა დიდი ერეკლეს ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლა იყო, რომ კავკასიონის გადაღმიდან თავდასხმებმა ბევრი სისხლი ადინა საქართველოს, ეს გარემოება კი ქართველობას აქეზებდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის[2].

მიურიდებისა და შამილის წინააღმდეგ ომებში სერიოზული როლი შეასრულეს ქართველმა გენერლებმა გრიგოლ ორბელიანმა, დიმიტრი თამაზის-ძე ორბელიანმა, ლ. სავარსამიძემ, ზ. ჭავჭავაძემ

---

[1] „აწ აღარ ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა: ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყევლვა" (ნ. ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები, თბილისი, 1939 გვ. 32).

[2] იქვე გვ. 35—36.

და სხვებმა. განსაკუთრებით დიდი იყო გრიგოლ ორბელიანის დამსახურება.

გრიგოლ ორბელიანი, მეფის რუსეთის დიდი მოხელე საქართველო-ამიერკავკასიაში, ცნობილი ქართველი პოეტი, თითქმის 15 წლის განმავლობაში იბრძოდა მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ[1]. იგი აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული ომის ერთი თვალსაჩინო სარდალთაგანი იყო. შამილი გენ. ორბელიანსა და გენ. ევდოკიმოვს თავის „ყველაზე დიდ მტრებად" აღიარებდა[2].

დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი შამილს თვლიდა „სისხლმოწყურებული" ბანდების მეთაურად. ამ ბანდებმა, რომლებსაც პოეტი „ლეკების" სახელით იხსენიებს, დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენ ქვეყანას[3].

მიურიდებსა და შამილზე ქართველთა და რუსთა რაზმების მიერ მოპოვებული გამარჯვებები პოეტ გრიგოლ ორბელიანს მიაჩნდა „კახეთის სისხლის ღაღადისად"[4].

ქართულმა პრესამ (ჟურნ. „ცისკარი") 1858 წ. გრიგოლ ორბელიანის წარმატებითი მოქმედება შამილის წინააღმდეგ დაახასიათა როგორც გმირული საქმე[5].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საბოლოო დაპყრობით იწყებოდა შედარებით უფრო მშვიდობიანი პერიოდი აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობის ცხოვრებაში. ამავე დროს ლახვარი ჩაეცა ინგლისისა და ოსმალეთის მიზნებს საქართველო-ამიერკავკასიაში.

საინგილოს მოსახლეობა ამიერიდან უფრო მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა მოძმე ქართულ პროვინციებს.

---

[1] გრიგოლ ორბელიანი. წერილები, ტ. I, აკ. გაწერელიას შესავალი წერილითა და რედაქციით, გვ. XVIII.

[2] გრიგოლ ორბელიანი. პოეტური ნაწერების სრული კრებული, 1951 აკაკი გაწერელიას შესავალი წერილი, გვ. IX.

[3] აკაკი წერეთელი. შამილის სიზმარი, თხზ., ტ. I, ლექსები, 1940 გვ. 13—14.

[4] გრ. ორბელიანი. პოეტური ნაწ. სრული კრებული, გვ. X.

[5] გრიგოლ ორბელიანი. წერილები, ტ. I, გვ. XXII.

თავი მეოთხე

ქართველი ინგილოები და მეფის რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთ კახეთში XIX ს. 50—60-იან წლებში

1. მეფის მთავრობის იდეოლოგიური პოლიტიკა აღმოსავლეთ კახეთში

მეფის რუსეთი ბალკანეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების მფარველის როლს ჩებულობდა. ქრისტიანთა ‹ფარველობის დროშა ძირითადად მეფის მთავრობის დამპყრობლურ მიზნებს ფარავდა. ამ დროშამ თავისებური როლი შეასრულა რუსეთის მიერ ბალკანეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა განთავისუფლებაში ოსმალეთის ბარბაროსული ბატონობისაგან.

წარსულში სახელმწიფოთა მიერ რელიგია ყოველთვის გამოყენებული იყო მასების დამონების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის საშუალებად. ქრისტიანობა ყოველთვის ექსპლოატატორთა კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. ქრისტიანობა მალალი კლასების ხელში, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო „დაბალი კლასების ლაგამის ამოსადები საშუალება“[1].

XIX საუკუნის მთელ მანძილზე, თითქმის 70-ან წლებამდე, მეფის მთავრობა საქართველო-ამიერკავკასიაში ქრისტიანობის დაცვის დროშით მოქმედებდა. როგორც რუსეთის იმპერიაში გაბატონებული რელიგია, ქრისტიანობა თავისი დაწესებულებებით დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. ეს პრივილეგიები ჩანდა სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში, განათლების დარგში და ყველგან. ამავე დროს რელიგიური ორგანიზაციის მთელი ბიუროკრატიული აპარატი ენერგიულად ემსახურებოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას.

კავკასიის დაპყრობისათვის მეფის რუსეთის მიერ წარმოებული მრავალწლოვანი ომის პერიოდში მეფის მთავრობა ქრისტიანებს უპირისპირებდა მუსლიმანებს. მუსლიმანებთან შედარებით მკვიდრ ქრისტიანებს გზა ხსნილი ჰქონდათ რუსულ მმართველობა-

---

[1] ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. II, გვ. 481. შეა საუკუნეების ისტორია „არ იცნობდა იდეოლოგიის სხვა ფორმას, გარდა რელიგიისა და თეოლოგიისა“ (იქვე, გვ. 457).

ში სახელმძღვანელო ადგილებზედაც კი მაშინ, როცა მუსლიმანებს იშვიათად ნიშნავდნენ პასუხსაგებ თანამდებობებზე. ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებულ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში მეფის რუსეთი სასტიკად კრძალავდა მხოლოდ ტყვე ქრისტიანებით ვაჭრობას. მუსლიმანურ რაიონებში ქრისტიანობის გავრცელებისა თუ აღდგენის დროს მთავრობა ამსუბუქებდა ახალმონათლულთა მდგომარეობას, ზოგჯერ მათი განთავისუფლების ხარჯზე ბეგრავდა მუსლიმანებს და სხვ.

აღნიშნული პოლიტიკა აღრმავებდა განხეთქილებას და მტრობას ამიერკავკასიის სხვადასხვა სარწმუნოების ხალხებში. ეს მტრობა ხშირად ფანატიკური კაცთმოძულეობის ფორმებში ვლინდებოდა.

თავისი ობიექტური შედეგებით მეფის რუსეთის კოლონიურ-იდეოლოგიური პოლიტიკა აქ ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას, ახშობდა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხთა შორის სოლიდარული ურთიერთობის შესაძლებლობას; ამავე დროს, ეს პოლიტიკა ყოველთვის და ყველგან ერთნაირი არ ყოფილა.

აღმოსავლეთ კახეთში, როგორც ვიცით, მეფის მთავრობა ადრიდანვე გამოეხმაურა ქართველი ინგილოების ინტერესებს. მან იცოდა, რომ ამ პროვინციის მოსახლეობა, ისე როგორც მისი კიდევ უფრო აღმოსავლეთით მდებარე რიგი რაიონებისა, ძველთაგანვე აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას; ამ მოსახლეობამ სუნიტურ-მაჰმადიანური დროშით მოქმედი აგრესიის ხანაში დიდი ზიანი განიცადა. აღმოსავლეთის მაჰმადიანური აგრესიული სახელმწიფოების—თურქეთისა და ირანის პოლიტიკა დაპყრობილ ქვეყნებში უმთავრესად იყო დაპყრობილთა ძარცვა-გლეჯისა და ძალადგამაჰმადიანების პოლიტიკა.

/კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება თავისი მოღვაწეობის ისტორიულ მიმოხილვაში ეხებოდა აღმოსავლეთ კახეთში ქრისტიანული სარწმუნოების ადრიდანვე გავრცელების საკითხს. მიმოხილვაში მოყვანილი გადმოცემა ამ სარწმუნოების საწყისებს აქ უკავშირებდა მოციქული თადესა და მისი მოწაფის ელისეს სახელს[1].]

VI საუკუნეში ჰერეთში (საინგილოც ამ ქვეყანაში იგულისხმებოდა) ქრისტიანობას უკვე გაბატონებულ სარწმუნოებად თვლიდ-

[1] Обзор деятельности Общества восстановления православного христианства за 1860—1910, Тифлис, 1910, стр. 14.

ნენ. ამავე დროს იქ ნიადაგი ჰქონია მანიქეველობასა და მონოფიზიტობასაც[1].

გამოქვეყნებულ საბუთებში (1310 წ., 1333 წ.) ჩამოთვლილია ძველი საეკლესიო-სამონასტრო ცენტრები: ანწუხისა და ქურმუხის საეპისკოპოსოები, „სამწყსო შაქ-ქურმუხრისა", ეკლესიები წახურის, კაკ-ელისენის, კასრის, ყუმის, ლექართის, ზარნას, ვარდიანის, ლანუხის, ქიშ-ნუხის, ვარდთაშენის, ხუნძთა, ბულაქნის, მაჭ-ეიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეხია, მოვაკნის, ელისენის, ვერხვიანისა და მრავალი სხვა[2]. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების არე აქ, როგორც ვხედავთ, იფარგლება არა მარტო საკუთრივ აღმოსავლეთ კახეთით, არამედ თანამედროვე აზერბაიჯანისა და დაღისტნის რიგი რაიონებითაც.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიშის მონასტერთან (ქ. ნუხიდან 3 კილომეტრზეა) არსებულ საეპისკოპოსო კათედრას. მომთაბარე „ველურთა" შაჰ-აბასის აგრესიამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, მან ლახვარი ჩასცა ამ ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების ქრისტიანულ-კულტურულ ცენტრებს.

მე-18 საუკუნიდან საინგილოში დაღისტნელთა გაბატონებით იწყება ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის ძალად გამუსლიმანების პროცესი[3]. ინგილოთა დიდმა ნაწილმა დაჰკარგა თავისი სარწმუნოება და ამით შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა. მაგრამ სარწმუნოებრივი ცვალებადობისდა მიუხედავად მკვიდრთა უმეტესობამ შეძლო თავისი ეროვნული სახის შენარჩუნება, თავისი ენისა და კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტების დაცვა[4]. ძალად გამუსლიმანებულთა უმრავლესობა ფარულად ინახავდა ძველ სარწმუნოებას, ლამ-ლამობით მიდიოდა ძველი ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევებთან და წეს-ჩვეულებებს ასრულებდა. ინგილოურ ოჯახებში დღესაც აქა-იქ გაისმის წარსული დრო-

---

[1] იქვე, გვ. 14.

[2] „ივერია", 1900 წ. № 266. საბუთები. გამოქვეყნებულია გ. ფარადაშვილის წერილში „ქურმუხის წმ. გიორგობა საინგილოში".

[3] საარქ. საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 507.

[4] 1855წ. ერთ საბუთში ნათქვამია; „...сохраняя свой родной язык грузинский, на котором они ныне объясняются весьма свободно, и не желая соединиться с своими соседями лезгинами узами родства, ингилойцы составляли и до сих пор составляют особое общество среди мусульманского населения" (ЦГИА Гр. ССР, ф. 416. оп. 2, д. 36, ф. 1—9).

ის სარწმუნოებრივი დევნის ანარეკლი, ზოგჯერ მშობელი გულისწყრომით მიმართავს შვილს—„არ გესმის ძველი ქართული?!“.

ძველი ქართული კულტურისა და სარწმუნოების დაცვაში დიდი როლი შეასრულეს ინგილო ქალებმა, რომლებიც ენერგიულად ებრძოდნენ სუნიტურ-მუსლიმანური რეაქციის მავნე გავლენებს ქართულ ოჯახში და იცავდნენ ამ ოჯახის მდიდარ ტრადიციებს. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ XIX საუკუნის მეორე ნახევარშიაც[1].

რა თქმა უნდა, ქრისტიანული სარწმუნოების დევნა საინგილოში არ ყოფილა საერთოდ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის მტრობის ანარეკლი. უპირველეს ყოვლისა ეს დევნა გაჩაღებული იყო საქართველო-ამიერკავკასიაში ოსმალეთის აგენტურის მიერ და იგი ოსმალეთისავე დამპყრობლურ მიზნებს ემსახურებოდა. გარდა ამისა, აღნიშნული დევნა ქვეყნის შიგნით გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის შედეგიც იყო. მდევნელთა როლში პირველ რიგში გამოდიოდნენ მუსლიმანური ფეოდალური ზედა ფენისა და ისლამის რეაქციული სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომელთა მოქმედებას განსაზღვრავდა მიწისმფლობელობისა და პრივილეგიური ძდგომარეობის შენარჩუნების მიზანი. მათ წარმატებას საინგილოში რამდენადმე ხელი შეუწყო იქ არსებულმა მწვავე ფეოდალურმა ჩაგვრამაც.

სოციალური და უცხო დამპყრობლის ჩაგვრის უღელში მგმინავი ინგილოური მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული რუსეთის დახმარებით მოელოდა ხსნას.

საინგილოს, ისე როგორც საერთოდ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა, ძველთაგანვე დიდი სიმპათიებით უყურებდა რუსებს. ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდა აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან თავის ხსნაზე რუსეთის დახმარებით. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულიერ—სარწმუნოებრივ ერთიანობას. რუსეთის სახელმწიფოს აღმოსავლეთისა და ბალკანეთის ქრისტიანი ხალხების მიმართ ოსმალთა ბატონობისა-

[1] საინგილოს მღვდელმთავარი იროდიონ ოქროპირიძე ერთ თავის მოხსენებაში (1892 ს.) შენიშნავდა: „...к чести ингилойской женщины нельзя не упомянуть того факта, что христианская вера сохранена ею во время двухсотлетнего всесокрушающего ига мусульман. Она упорно защищала христианскую веру выполнением христианских обрядов между ингилойцами“. (ЦГИА, Азерб. ССР, ф. 579, оп. I, д. № 3). ამაზე იმეორებდა გ. ფარადაშვილიც თავის წერილში „წმ. გიორგობა საინგილოში“ („ივერია“, 1900, № 266).

ჭან განმათავისუფლებლის როლი ეკისრა. კ. მარქსი 1853 წ. წერდა:

„მიუხედავად აგრამელი და პრაღელი ენთუზიასტების ყოველგვარი პანსლავისტური ცდებისა, სერბი, ბულგარი, ბოსნიელი რაია, მაკედონელი და თრაკიელი სლავი გლეხობა დიდი ეროვნული სიმპათიით უყურებენ რუსებს და მათთან უფრო მეტი საერთო აქვთ, სულიერი ურთიერთობის მეტი საშუალებები, ვიდრე ამავე ენაზე მოლაპარაკე რომაულ-კათოლიკური მიმართულების სამხრეთ-სლავიანებთან; რაც არ უნდა მოხდეს, ისინი პეტერბურგიდან მოელიან თავიანთ მესიას, რომელიც მათ ყოველგვარი ბოროტებისაგან გაათავისუფლებს; და თუ ისინი კონსტანტინოპოლს თავიანთ „სამეფო ქალაქს“ ეძახიან, ამას ისინი აკეთებენ როგორც ჩრდილოეთიდან მომავალი მართლმადიდებელი მეფის მოლოდინში, რომ ქალაქი კვლავ ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაუბრუნონ, ისე იმ მართლმადიდებელი მეფის მოგონებით, რომელიც მას ფლობდა წინათ, ვიდრე ქვეყანას თურქები დაიპყრობდნენ“[1].

XIX საუკუნის პირველი მესამედის განმავლობაში რუსეთის მთავრობის გულისყური ინგილოებისადმი მხოლოდ მცირე მნიშვნელობის ღონისძიებებით ამოიწურა. 1803 წ. ჰარელ ლეკებთან გაფორმებული ხელშეკრულებით ციციანოვი ავალებდა ლეკებს, რომ არ შეევიწროებინათ ინგილოები ქრისტიანული სარწმუნოების დაცვაში. მაგრამ მთავრობის ასეთმა გამოქომაგებამ კიდევ უფრო გააღიზიანა ავართა ფეოდალური ზედაფენები, რომლებმაც ფარულ ქრისტიანებს ახლა უფრო მეტი დევნა დაუწყეს[2].

საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენისათვის ბრძოლა არ დაწყებულა ზევიდან, მეფის რუსეთის მოხელეთა ჩარევით, როგორც ეს პეტრუშევსკის ნაშრომიდან ჩანს[3]. ქართლ-კახეთში ძლიერი ქრისტიანული რუსეთის ხელისუფლების დამყარებამ მხოლოდ მეტი სითამამე მისცა ინგილოებს, რომ თანდათანობით მოეხდინათ თავიანთი სარწმუნოების ლეგალიზაცია და დაბრუნებოდნენ მშობლიურ კულტურასა და კერას.

ინგილოთა მიერ ძველი ქართული სახელებისა და გვარების გახსენება, ოჯახური კულტურული ტრადიციების დაცვა, წერა-კითხვისადმი ძველი მისწრაფების აღორძინება, ქართული ლიტერა-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочин. т. IX, стр. 377.

[2] „მუსლიმანი ინგილოები“ ოფიციალურადაც დადიოდნენ ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევებზე და ლოცულობდნენ. ასე იყო, მაგ., წმ. გიორგის დღესასწაულის დღეებში (გ. ფარადაშვილი. წმ. გიორგობა საინგილოში. „იმერია“. 1900, № 266).

[3] პეტრუშევსკის დასახ. ნაშრ., გვ. 30—31.

ტურის ნაწარმოებთა კითხვა, მოასწავებდა ინგილოების ეროვნულ შემობრუნებას, მათი ცხოვრების კვლავ კულტურულ გზაზე დაყენებას, მოძმე ქართველობასთან შეერთებას.

აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ენგელსის ზემოთ მოყვანილი სიტყვები: ყურანსა და მასზე დაფუძნებულ კანონმდებლობას ხალხთა გეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავთ ორ ნახევრად გაყოფის უბრალო ფორმულამდე—მართმორწმუნენი და ურწმუნონი. ურწმუნო—„გიაური", ეს მტერია. ისლამი წყევლიდა ურწმუნოთა ერს და ქმნიდა უწყვეტი მტრობის მდგომარეობას მუსლიმანებსა და „ურწმუნოებს" შორის[1].

საინგილოში მოკალათებული მოლებისა და ყადიების აზროვნება ყურანს იქით ვერ მიდიოდა. მათი წყალობითაც მთელი მოსახლეობა უსაზღვრო ჩამორჩენილობაში იმყოფებოდა. ქრისტიანული სარწმუნოებაც ამ დროისათვის არანაკლებ რეაქციული თვისებებით ხასიათდებოდა, მაგრამ იგი განვითარებული რუსეთის სახელმწიფოს იდეოლოგია იყო. ქრისტიანული, რელიგიურ-იდეოლოგიური ფორმით ხალხი უკავშირდებოდა დაწინაურებული სახელმწიფოს კულტურულ ცხოვრებას, აღმავალ ისტორიულ პროცესს, ისლამი კი ამ დამაკავშირებელ საშუალებებს ახშობდა, ქმნიდა რა მაშინ ქრისტიანი ხალხებისა და რუსეთისადმი დაუსრულებელ მტრობას.

საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენამდე ინგილოთა ერთ ნაწილს ადრე ურთიერთობა ჰქონდა ბოდბელ მიტროპოლიტებთან[2]. ეს ურთიერთობა არაოფიციალური იყო[3].

1822 წ. თბილისში საქართველოს ეგზარქოს იონასთან ჩამოვიდნენ ინგილოების წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ თანამოძმეებს დაბეჯითებით სურდათ თავიანთ წინაპარ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. X, გვ. 6.

[2] П. Иоселиани. Путевые записки по Дагестанской области. გვ. 14, 15.

[3] დ. ბაქრაძე. ინგილოები. „დროება", 1866, № 44, ბაქრაძის ვრცელი წერილი ინგილოების შესახებ გამოქვეყნებულია „დროების" 43 და 44 ნომრებში მოწინავე წერილების სახით. წერილებს არც სათაური აქვს და არც ავტორის გვარი ახლავს. ჩვენს წიგნში თავის დროზე შევნიშნეთ ამ ნაშრომის ავტორის შესახებ, (მ. დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. 1950, გვ. 185. შენიშვნა)

თა სარწმუნოების აღდგენა[1]. ამასთან დაკავშირებით ეგზარქოსს საინგილოში ორი მქადაგებელი გაუგზავნია, მაგრამ ისინი, როგორც მაშინ წერდნენ, მუსლიმანთა მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდნენ[2].

1826 წ. საინგილოში მყოფი პოლკოვნიკი კოცებუ აღნიშნავდა: „ინგილო ხალხის თითქმის მთელი ნახევარი საიდუმლოდ იცავს ქრისტიანულ სარწმუნოებას, რადგან მოლები, რომლებიც მებატონე სოფლებს დაუყენებიათ, სასტიკად უთვალთვალებენ მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებათა დაცვას. ინგილოური სოფლების მამასახლისები ხშირად გულახდილად მარწმუნებდნენ, რომ, თუ მათ მიწა-წყალზე რუსთა რაზმები მუდმივ სამყოფელად გამოჩნდებიან, მათი სოფლები აშკარად დაუბრუნდებიან მამა-პაპურ აღსარებას და მეჩეთების მაგიერ ეკლესიებს ააშენებენ"[3].

1831 წ. საინგილოში კვლავ გაუგზავნიათ 5 მისიონერი, მაგრამ ამ მომენტში იქ არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მათი მოღვაწეობა ისევ შეაფერხა[4].

ქრისტიანობის აღდგენა საინგილოში ჩქარი ტემპით დაიწყო იმ დროიდან, როცა რუსულმა მმართველობამ ამ საქმეს მხარი დაუჭირა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ინიციატივა ინგილოებიდან მოდიოდა და არა უმაღლესი ხელისუფლებიდან.

1850 წ. კახეთში ალავერდობის დღესასწაულზე 8 ინგილო ჩავიდა და ალავერდის მონასტრის ზედამხედველს მონათვლა სთხოვა. ზედამხედველმა ინგილოებს თბილისში წასვლა ურჩია[5].

აღნიშნული ინგილოები მალე წარუდგნენ მეფისნაცვალ ვორონცოვს, რომელმაც ისინი პირადად მონათლა სიონის ტაძარში[6]. ამის შემდეგ ვორონცოვი თვითონ ჩავიდა საინგილოში[7]. ამით წახალისებული საინგილოს ადგილობრივი ადმინისტრაციაც ხელს უწყობდა ქრისტიანობის აღდგენის საქმეს. 1851 წ. კახში მღვდელიც დაინიშნა. დაიწყო ეკლესიების შენებაც კასსა და ყორაღანში.

[1] საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ, 497.

[2] Фон-Плотто. Природа и люди Закавказского округа. стр. 19—20.

[3] Статистические сведения о Чарских владениях. л. 3—11.

[4] იქვე.

[5] Фон-Плотто. Природа и люди Закавказского округа. стр. 19—20.

[6] საარქივო საბ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 497.

[7] 1852 წ. ერთ მოხსენებაში საინგილოს მღვდელმთავარი იროდიონ ოქროპირიძე აღნიშნავდა: „И теперь рассказывают как бывший наместник кавказский, покойный князь Воронцов приехал с супругою в сел. Кахи, приласкал влиятельных из мусульман-кахцев, вызывал их своими кунагами-друзьями..." окрестил их в православие и восприемником многих был он сам... Администрация округа, поощренная высшим начальством, сама следовала его примеру... (ЦГИА. Азерб. СССР, ф. 579, оп. 1, д. 3, л. 15).

ქრისტიანობის აღდგენისათვის ენერგიული მხარდაჭერით რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რომ საინგილოში საიმედო დასაყრდენი შეექმნა[1]. მრავალი წლის გამოცდილებამ ნათლად დაანახვა მთავრობას, რომ რეაქციული მუსლიმანური სასულიერო წოდება ის მავნე ძალა იყო, რომელიც ოსმალეთის ენერგიულ სამსახურს ეწეოდა. მასთან ერთად მოქმედებდა გაბატონებული ლეკურ-მუსლიმანური ზედაფენების დიდი ნაწილი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რეაქციულ მიურიდიზმთან. ამ ავანტიურულმა ჯგუფებმა ბრმად აიყოლიეს დაბალი ფენების გარკვეული ნაწილი, რომელიც აღნიშნული ზედაფენის მძიმე ექსპლოატაციას განიცდიდა. რა თქმა უნდა, მშრომელი მუსლიმანური მოსახლეობა არ თანაუგრძნობდა რეაქციულ ძალებს, მათ ჰაზავათს. იგი სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებაზე ფიქრობდა.

აღნიშნულ პირობებში რუსეთის მთავრობის მომხრე ძალების ზრდას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავრობის მხარდაჭერა ქრისტიანობის აღდგენაში ამ დროს მარტოოდენ ფორმალური სარწმუნოებრივი მხარით არ ამოიწურებოდა. აქ მატერიალური მხარეც იყო. ახალმოქცეულებს მეტად საგრძნობი შეღავათები და მდგომარეობის შემსუბუქება მოელოდათ.

2. ქრისტიანი ინგილოების განთავისუფლება ლეკთა ყმური დამოკიდებულებისაგან

1852 წ. ვორონცოვთან კვლავ ჩამოვიდა უკვე ახლად მოქცეულ ინგილოთა დელეგაცია სოფელი კახის მამასახლის იოანე ბულულაშვილის მეთაურობით. დელეგაციამ შემდეგი მოთხოვნები წაუყენა მეფისნაცვალს:

1. ახლად მოქცეულთა განთავისუფლება ფულადი გადასახადებისაგან.

2. განთავისუფლება ნატურალური ბეგარისაგან იმ საბაბით, რომ მათ მოაქვთ მასალები კახსა და ყორაღანში ეკლესიების ასაშენებლად.

3. რადგან ელისუს ბეგები და სხვა ლეკები აიძულებენ მათ გადასახადების გადახდას იმ მიზეზით, რომ თითქოს გლეხები ლეკ-

[1] ერთ საბუთში ნათქვამი იყო: „Развивая и вкореняя таким образом в это... племя христианские понятия, начальство в нем может видеть современем такую же покорность и слепую привязанность, какую замечает нынево всей християнской части Закавказского края". (საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 2, საქ. 35, ფურ. 1—9).

თა კუთვნილებაში მყოფ მიწებზე ცხოვრობენ, გამოძიებულ იქნას მათი პრეტენზიების სისწორე. თუ მართლა აღმოჩნდება, რომ ეს მიწები ლეკებს ეკუთვნით, მაშინ მიეცეს მათ საზღაური და ინგილოებს ნება დართონ, რომ მათზე დაკისრებული ბეგარა ხაზინას ჩააბარონ.

4. გაქრისტიანებული ინგილოები დასახლებულ იქნან იქ, სადაც ეკლესიები შენდება—კახსა და ყორაღანში.

5. დაენიშნოს ინგილოებს სათანადო ზედამხედველი ქრისტიანეთაგან.

მეფისნაცვალი დადებითად გამოეხმაურა ინგილოთა თითქმის ყველა მოთხოვნას და სათანადო განკარგულებაც მისცა ჭარ-ბელაქნის უფროს ბარონ ვრანგელს 1853 წ. 9 იანვარს. ბეგთა მიწისმფლობელობის გამოსარკვევად ინიშნებოდა სპეციალური კომისია და ამიერიდან ბეგებსა და ქრისტიან ინგილოებს შორის ურთიერთობაში ხაზინა უნდა ჩარეულიყო[1].

ინგილოური დელეგაციის მიერ ვორონცოვის წინაშე ლეკთა მიწისმფლობელობის საკითხის დასმიდან ჩანს, რომ ინგილოებმა კარგად იცოდნენ, თუ რამდენად „კანონიერი" იყო ლეკთა გაბატონებული მდგომარეობა. ისინი ასეთი გამოსვლით სერიოზულ პროტესტს უცხადებდნენ ბატონყმურ ურთიერთობას საერთოდ. ეს გამოსვლა საინგილოში არსებული კლასობრივი ბრძოლის ერთი გამოძახილი იყო. ქრისტიანობის აღდგენითი ღონისძიებების გატარება, როგორც ვხედავთ, თავიდანვე შეეხო საინგილოში გაბატონებული მუსლიმანური ფეოდალური ფენის ინტერესებს და იგი თანდათანობით გადაიზარდა კლასობრივ ბრძოლაში.

ბეგთა მიწისმფლობელობის შემსწავლელი კომისიის მუშაობა დააბრკოლა 1853 წ. დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის ომმა. ოსმალეთთან ომის ვითარებაში კომისია ვერ ბედავდა მუშაობის დაწყებას. მთავრობას ეშინოდა, რომ მიწისმფლობელობის საკითხის შესწავლა ლეკებს ძალზე გააღიზიანებდა, რადგან ამ უკანასკნელთ მიწის საკუთრების არავითარი საბუთი არ ჰქონიათ[2].

კომისიის კვლევა-ძიება ჭიანურდებოდა მეფის მთავრობის ბიუროკრატიისათვის ჩვეული წესით. როგორც იყო, გადაწყვიტეს, რომ ქრისტიანთა განთავისუფლებისათვის ბეგებისა და ლეკთა მი-

[1] საქ. ცსსა, ფ. 240, საქ. 572, ფურ. 3რ—38.

[2] როგორც მაშინ შენიშნავდნენ, ლეკები თავიანთ მფლობელობას ასაბუთებდნენ „на праве сильного и давности времени" (საქ. ცსსა, ფ. 240, საქ. 572, ფურ. 4[1]).

წები გაეცვალათ ელისუს ყოფილი სულტანის დანიელისა და სხვათა იმ მიწებზე, რომლებიც 1844 წლიდან ხაზინის საკუთრებად ითვლებოდნენ, ამ საფუძველზე კომისიამ წარადგინა თავისი პროექტი, რომელიც მეფემ 1859 წ. 6 დეკემბერს დაამტკიცა.

ელისუს საბოქაულოში მაშინ 7 ინგილოური სოფელი იყო— კახი, მეშაბაში, ქეთუქლო, ყორაღანი, ალიბეგლო, სოსკანი და შოთავარი. ამ სოფელთაგან სოსკანისა და შოთავარის მცხოვრებთ არ ჰქონდათ მიღებული ქრისტიანობა და ამიტომ მათზე არ ვრცელდებოდა მთავრობის ღონისძიება[1]. რჩებოდა 5 სოფელი. ამათგან ალიბეგლოს მოსახლეობა სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა, მიწაზე გადასახადს ხაზინას უხდიდა. დარჩენილ 4 ქრისტიანულ სოფელშიაც იყვნენ სახაზინო გლეხები, მაგრამ ამ სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობა ბეგთა და სხვა ლეკთა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. სწორედ ამ უკანასკნელებს მათი მიწების სანაცვლოდ მიეცათ სახაზინო მიწები[2].

ერთი სიტყვით, ინგილო ქრისტიანები სახაზინო გლეხთა თანრიგში გადარიცხეს. საერთოდ სახაზინო გლეხთა მდგომარეობა ბეგთა და ლეკთა ყმობასთან შედარებით მათი მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებას მოასწავებდა. გარდა ამისა, საერთოდ სახაზინო გლეხთაგან განსხვავებით ინგილოებს სხვა შეღავათებიც მიეცათ. ისინი სახელმწიფო გადასახადისაგან გაათავისუფლეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო საერობო გადასახადისაგან—6 წლის ვადით; განთავისუფლდნენ აგრეთვე მიწის შემოსავლის გადასახადებისაგან[3].

ასეთი დიდი პრივილეგიების მინიჭებას ქრისტიან ინგილოთათვის მთავრობა იმით ამართლებდა, რომ საჭირო იყო დანარჩენი ინგილოების გაქრისტიანება. არ ივიწყებდნენ აღენიშნათ, რომ მთავრობას მიზნად ჰქონდა ინგილოთა გათანაბრება თავისუფალ ლეკებთან[4].

ინგილო ქრისტიანეთა აღნიშნული განთავისუფლება რამდენადმე თითქოს ამძიმებდა მაჰმადიანი მუღალი გლეხობის ერთი

[1] კერძოდ სოსკანელებს, როგორც საბუთში ნათქვამია, საკუთარი მიწები ჰქონდათ და კერძო პირებს გადასახადებს არ უხდიდნენ (საარქივო სამ. ჭარ-ბელაქნის შესახებ, გვ. 498).

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „Это сделано как с целью скорее привлечь к принятию христианства остальных невыкрешенных еще ингилоевцев, так и для того, чтобы возвысить христиан нравственно, поставив их на одну уровень с лезгинами, которые не отбывая ни кому поземельной повинности, считаются свободными в народе“ (იქვე, გვ. 498).

ნაწილის მდგომარეობას. მაგ., სოფელი ყორაღნის განთავისუფლებული ინგილოების ნაცვლად ჭარელი მებატონეებისათვის „პროდუქტების სათანადო რაოდენობა“ უნდა მიეცათ მუღალების ოთხ სოფელს: ამირჯანლოს, ფისტიხლოს, ჯალაირსა და დეგმადაგელდის.

აღნიშნული სოფლების მუღალები აქამდე სახაზინო გლეხთა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი ხაზინას უხდიდნენ მალჯიათს (მიწისაგან შემოსავლის ერთ მეათედს, ან ერთ მეშვიდედს). ეს მიწები ხაზინის თავისუფალი განკარგულების ქვეშ რჩებოდნენ, მაგრამ მუღალები მათ მაინც ინარჩუნებდნენ. 1859 წლიდან მთავრობამ ეს მიწები მუღალებს მისცა „სრული სარგებლობისათვის იმ პირობით, რომ მათ ჭარელებისათვის უნდა ეძლიათ ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული მიწის გადასახადი“. იმ მიზნით, რომ მომხდარ ცვლილებას მათი მდგომარეობა არ გაეუარესებინა და ახალი გადასახადები წინანდელთან გათანაბრებულიყო, მუღალები გაათავისუფლეს აბრეშუმის ბაღებზე დადებული განსაკუთრებული გადასახადისაგან[1].

მიუხედავად იმისა, რომ მითითებული სოფლის მუღალებს, ისე როგორც წინათ ინგილოებს, ჭარელი მებატონეებისათვის გადასახადები ბინაზე უნდა მიეტანათ, ჭარელებს მაინც უკმაყოფილება გამოუთქვამთ. როგორც ჩანს, ისინი თავს შეურაცყოფილად გრძნობდნენ და მთავრობის ასეთი ჩარევა მათ საშინაო ურთიერთობაში არ მოსწონდათ. აღნიშნული ღონისძიება ლეკი მებატონეების მორიგ შეზღუდვას მოასწავებდა.

მიუხედავად ჭარელ მებატონეთა უკმაყოფილებისა, მთავრობამ რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ ლეკები „გონს არ მოვიდოდნენ“ (ასე იყო ნათქვამი ლეკური საკორდონო ხაზის სარდლის მელიქოვის ბრძანებაში) დაუკავა მათ მუღალური სოფლებისაგან შემოსავალი[2]. მართალია, შემდეგში, 1863 წ. აჯანყებასთან დაკავშირებით, ლეკებს უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნათ, მათ 1864 წ. მიიღეს 4 წლის განმავლობაში მუღალური სოფლებიდან დაკავებული გადასახადები, მაგრამ ქრისტიან ინგილოებზე ბატონობა მაინც ვერ აღიდგინეს. ამავე დროს ყურადღება მიექცა მუღალთა დამძიმებულ მდგომარეობასაც. აღმოჩნდა, რომ მათი ახალი გადასახადები ლეკთა სასარგებლოდ თითქმის ორჯერ სჭარბობდა ძველს. მაშინ ოლქის უფროსობამ მუღალთა გადასახადები ჭა-

[1] იქვე, გვ. 499.
[2] იქვე.

რელების სასარგებლოდ გაუნაწილა ყორაღნელი ინგილოების იმ 59 კომლს, რომელიც 1864 წ. ნებით თუ უნებლიეთ ისევ მაჰმადიანობას დაუბრუნდა[1].

ქრისტიანი ინგილოები კონცენტრირებული იყვნენ ელისუს საბოქაულოს ხუთ სოფელში—კახში, ყორაღანში, ალიბეგლოში, მეშაბაშსა და ქეთუქლოში. მათ ცალკე გამგე ჰყავდათ[2]. ეს თანამდებობა 1860 წლიდან გაუქმდა, რადგან ელისუს ბოქაულს გაუჩინეს 2 თანაშემწე, რომელთაგან ერთს, როგორც ჩანს, ქრისტიან ინგილოთა საქმეები ეკითხებოდა[3]. 1860 წ. აგვისტოსთვის ქრისტიან ინგილოთა განთავისუფლება ლეკთა დამოკიდებულებისაგან უკვე დასრულებული იყო[4].

ქრისტიანული სარწმუნოების სწრაფი ტემპით აღდგენასთან დაკავშირებით გაიშალა ეკლესიების მშენებლობაც. როგორც მთავრობის, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აშენდა ეკლესია კახში 1855 წ.,[5] იქვე შენდება მეორე ეკლესიაც 1858 წ.[6] მომდევნო წლებში ააგეს ეკლესიები აგრეთვე ალიბეგლოში, ყორაღანში, მეშაბაშში, ქურმუხში[7] (ძველი ქურუმუხის ეკლესიის ნანგრევებზე). ცოტა უფრო მოგვიანებით იწყება ეკლესიების შენება თასმალოში, ძაგამსა და ენგიანშიც[8].

1860 წ. ჩამოყალიბებულმა „კავკასიაში", მართმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ რომელიც მთავრობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, თავისი მოღვაწეობა საინგილოზედაც გაავრცელა. ეს საზოგადოება აშენებდა ეკლესიებსა და სკოლებს, ხელს უწყობდა წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებას მოსახლეობაში და სხვ.[9] ამ საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში თითქმის ყოველთვის იბეჭდებოდა ცნობები საინგილოს ეკლესიებისა და სკოლების შესახებ[10].

[1] იქვე გვ. 499.

[2] საქ. ცსსა. ფ. 240. საქ. 572. ფურ. 250.

[3] იქვე, ფურ. 288—289.

[4] იქვე, ფურ. 302.

[5] დ. ჯანაშვილი. შაჰ-აბასის შემოსევა და საინგილო, გვ. 28. საქ. ცსსა, ფ. 545, საქმე № 60. ფურ. 316—317.

[6] ЦГИА Азерб. ССР, ф. 579, оп. 1, д, 5. л. 1.

[7] იქვე, საქ. № 8, ფურ. 3.

[8] საქ. ცსსა, ფ. 240, საქ. 572, ფურ. 277—281.

[9] Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе на 1860—1910 гг. Тифлис, 1910.

[10] См. Отчеты Общества восстановления православного христианства на Кавказе. იცემოდა თითქმის ყოველ წელს.

50—60 წლებში საინგილოში უკვე გამოჩნდნენ ქართული ეროვნულ-კულტურული ინტერესებისათვის მებრძოლი ინგილო მოღვაწეები. უპირველესი მათ შორის იყო იოანე ბულუღაშვილი[1]. მასთან ერთად იყვნენ აგრეთვე გიორგი ჯანაშვილი (ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილის მამა), დიმიტრი ჯანაშვილი, მიხეილ ყულოშვილი, კონსტანტინე თარხნიშვილი, სიმონ პაპიაშვილი, ვიტალი ჯანაშვილი, ლევან ბაბუცაშვილი და ბევრი სხვა[2].

3. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. აჯანყება 1863 წელს

მეფის მთავრობა აღმოსავლეთ კახეთში ქრისტიანობის აღდგენის დროს სიფრთხილეს იჩენდა და ცდილობდა, რომ აეცდინა მოსალოდნელი უსიამოვნო შედეგები.

ინგილოთა მიერ დაწყებულ პირველ ინიციატივებს მთავრობა, როგორც ვთქვით, გულთბილად გამოეხმაურა და ამავე მომენტიდანვე შესამჩნევი გახდა მუსლიმანური ზედაფენების უკმაყოფილება. ეს ფენები სთესდნენ პროვოკაციებს, რომ თითქოს მთავრობა ვისმეს ძალას ატანდა სარწმუნოების შეცვლაში. ამ პროვოკაციებს უარყოფდა თვით მაჰმადიან ლეკთა ცოლების ქრისტიანული მონათელის შემთხვევები.

1855 წ. ერთ მოხსენებაში ჭარ-ბელაქნის უფროსი ლ. მელიქიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, რომ ადგილობრივი მმართველობა ქრისტიანობის აღდგენაში მკაცრად იცავდა ნებაყოფლობითს პრინციპს. ეს პრინციპი სათანადო საბუთიანობით იყო გამაგრებული. ოლქის უფროსი აღნიშნავდა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 250-მა ინგილოურმა ოჯახმა ნებაყოფლობით მიიღო ქრისტიანობა. დანარჩენთა მოსანათლავად „აქაური უფროსობა არავითარ აშკარა საშუალებებს არ მიმართავს და არც შეუძლია მიმართოს“, რომ მუსლიმანებს არ მისცეს საბაბი იფიქრონ მთავრობის მიერ მათი სარწმუნოების შევიწროებაზე[3].

მიუხედავად აღნიშნულისა თავისთავად ქრისტიანობის აღდგენითი საქმიანობა, მისი შედეგები ნაწილობრივ ეხებოდა მუსლიმა-

[1] ბულუღაშვილი მარხია კახის ეკლესიის გალავანში. მის საფლავზე აჯგბულ ძეგლს შემდეგი წარწერა აქვს. „ივან ბაბა ბულუღაშვილი. 1801—1872 ქრისტიანობის აღმდგენელი საინგილოში 1850 წ. ძეგლი ესე აღუმართა მადლიერ შთამომავლობამ“.

[2] არსებობს საბუთები კონსტანტინე თარხნიშვილისა და სიმონ პაპიაშვილის დაჯილდოების შესახებ (საქ. ცსსა, ფ. 240, საქ. 272, ფურ. 122, 123, 159—164, 173, 176).

[3] საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 2, საქ. 35. ფურ. 1—9.

ნური ფეოდალური ზედაფენისა და რეაქციული სასულიერო წოდების კლასობრივ ინტერესებს. ამ გარემოებას კიდევ უფრო ამწვავებდა ისიც, რომ, მიუხედავად აღნიშნული გამაფრთხილებელი ცდებისა, მთავრობა მაინც აქტიურად ერეოდა ქრისტიანობის აღდგენის საქმეში. ამ ჩარევისას დაშვებული იყო რიგი შეცდომები, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ ამ უბანში არსებულ მეტად სპეციფიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ეთნიკურს, რელიგიურ-მორალურსა და კულტურულ სხვადასხვაობას. მთავრობის ყოველ შეცდომას კარგად იყენებდნენ ფეოდალური ზედაფენები, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს ამ მთავრობის პოლიტიკასა და ახალმონათლულ ქრისტიანებს.

ჯერ კიდევ 1855 წ. 14 ივლისის განკარგულება ითვალისწინებდა ერთ ოჯახში სხვადასხვა სარწმუნოების პირთა განსხვავებულ მატერიალურ მდგომარეობას. თუ ოჯახის ერთი ნაწილი ქრისტიანი იყო, ხოლო მეორე—მუსლიმანი, გადასახადის გადახდა ეკისრებოდა მუსლიმანთა ნაწილს, ხოლო ქრისტიანებს შეღავათიან ოჯახთა რიცხვს მიათვლიდნენ[1]. ეს გარემოება, რა თემა უნდა, დიდ უკმაყოფილებას შექმნიდა მოსახლეობაში.

ქრისტიანობას დასაწყისში დიდი წარმატება უჩანდა ყოფილი ელისუს სასულტნოში, იმ სოფლებში, რომლებიც წინათ სულტანს ეკუთვნოდნენ. თუმცა შამილის წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში ამ სოფლების ქრისტიანებს გაქცეული სულტანისა და მასთან ერთად მიურიდების მოსვლისა ეშინოდათ. ისინი კახში რუსთა რაზმების შესვლამ დააწყნარა.

ალიაბათის (ენისელის) უბანში ქრისტიანობას წარმატება არ ჰქონია იმ მიზეზისა გამო, რომ იქაური ინგილოები ჭარელ ლეკთა მიერ დაჩემებულ მიწებზე ცხოვრობდნენ, მათზე დამოკიდებული იყვნენ და ეშინოდათ, რომ ჭარელ მებატონეებს მტრად გაიხდიდნენ[2]. ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ალიაბათლები სულტანის ყოფილ გლეხებთან შედარებით უფრო შეძლებულები იყვნენ. ყოფილი სულტანის მამულზე მჯდომ გაღატაკებულ ინგილოთათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ შეღავათებს, რასაც მათ ქრისტიანობა ანიჭებდა.

ჭარ-ბელაქანში შამილის ორგზისი შემოსევა (1853, 1854 წწ.) ჯერ კიდევ გუშინდელ დღესავით ახსოვდათ ინგილოებს, ლეკურ ზედაფენებს კი ეს მომავლის იმედს უძლიერებდა. 1853 წ. ელისუს

[1] საარქივო საბ. ჭარ-ბელ. შესაბ. ფ. 497.

[2] საქ. ცსსა, ფ. 24, საქ. 572, ფურ. 23—24.

ყოფილი სულტანი დანიელი, შამილის ქურდულ შემოსევაში რომ მონაწილეობდა, პირადად იყო ინგილოურ სოფელ ყორაღანში, სადაც მას განუცხადებია, რომ ისინი არ დაინდობდნენ „იმ ბავშვებსაც კი, რომლებიც ქრისტიანობას მიიღებდნენ"[1]. ამასთანავე ოსმალეთთან მიმდინარე ომი ინგილოებს მოაგონებდა, რომ მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ იყო მშვიდობიანი.

1856 წ. ჭარ-ბელაქანში ქრისტიანობის აღდგენით მეტად დაინტერესებულ მეფისნაცვალს ოლქის უფროსი ლ. მელიქიშვილი ატყობინებდა, რომ ოლქში ეხლა „სახიფათო დრო იყო". მუსლიმანი ფანატიკოსები ბორგავდნენ. მელიქიშვილს ეშინოდა, რომ არ გამოეწვია მთავრობისადმი მათი ეჭვი მუსლიმანობის წინააღმდეგ მოქმედებაში. მელიქოვი ოსმალეთთან ომის დასრულებას მოელოდა და საიდუმლოდ მოქმედებდა[2].

მიუხედავად გარეგნული გამაფრთხილებელი ზომებისა მუსლიმანურმა ზედაფენამ ცხადად დაინახა, რომ მთავრობა ქრისტიანობის მფარველობით მის კლასობრივ ინტერესებს ზღუდავდა. ამიტომ გახშირდა ლეკთა თავდასხმები ინგილოებზე, მათი ძარცვა იმის გამო, რომ მთავრობა მათ ლეკთა დამოკიდებულებისაგან ათავისუფლებდა. ამოძრავდნენ ქევხები, ყადიები, მოლები. ადგილობრივი მმართველობა ბრძოლას უცხადებდა მათ, იჭერდა და აძევებდა[3].

ქრისტიანობაში გადასულთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით, დღე-დღეზე იზრდებოდა და მწვავდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობაც. მიუხედავად მთავრობის ბრძოლისა მუსლიმანური საასულიერო წოდების აგენტების წინააღმდეგ, ასეთი აგენტები მაინც განაგრძობდნენ თავიანთ მოქმედებას[4]. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო მოლების ის ჯუფი, რომელსაც წინათ სოფლებიდან წლიური შემოსავალი ჰქონია. მთავრობამ მოლათა დიდ ნაწილს პენსიები დაუნიშნა, მაგრამ გარკვეული ნაწილი მაინც უპენსიოდ დარჩა[5].

ამრიგად, ქრისტიანობის აღდგენითი მოღვაწეობა საინგილოში ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას. იგი აღიზიანებდა გაბატო-

---

[1] საქ. ცსსა, ფ. 240, საქ. 572, ფურ. 23.

[2] იქვე, ფურ. 21. ლ. მელიქიშვილისა და დ. ყიჟიანის მიმოწერა აღნიშნულ საკითხზე (იქვე, საქ. № 572) იმას მოწმობდა, რომ ქართველი საზოგადოებრიობა საინგილოს მოსახლეობისადმი მაშინაც დიდ ინტერეს იჩენდა.

[3] იქვე, ფურ. 98—99.

[4] Отчет Общества восстановления православного христианства на Кавказе. Тифлис, 1789, стр. 49.

[5] დ. ჯანაშვილი. შაჰ-აბასის შემოსევა და საინგილო, გვ. 31.

ნებულ კლასს. ამავე დროს მუსლიმანური ქვედა ფენების წარმომადგენლებშიაც იქმნებოდა უკმაყოფილება.

შემდეგში მეფის მთავრობა 1863 წ. მომხდარი ძლიერი აჯანყების მთავარ მიზეზად ქრისტიანობის აღდგენითს მოღვაწეობას თვლიდა. იგი ნამდვილად იყო აჯანყების ერთი მიზეზთაგანი, მაგრამ არა მთავარი.

როგორც ითქვა, ქრისტიანობის აღდგენითი მოღვაწეობა ეხებოდა გაბატონებული კლასის ინტერესებს იმდენად, რამდენადაც მონათლულები ლეკთა დამოკიდებულებისაგან თავისუფლდებოდნენ; მაგრამ მთავრობა მებატონე ლეკებს სამაგიერო საზღაურს აძლევდა, როგორც მიწებით, ისე მუღალებით დასახლებული ყმა-გლეხებით. იგი მებატონეთა მატერიალურ მდგომარეობას არ არყევდა იმდენად, რომ მარტო ამას აჯანყება წარმოეშვა.

ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენითი საქმიანობა საინგილოში მრავალთაგან ერთი ეპიზოდი იყო, რომელიც ფეოდალთა და მუსლიმანური სასულიერო წოდების ბანაკში რუსეთის მთავრობისადმი უკმაყოფილებას აღვივებდა.

იმ დროის ქართველი მოღვაწეები სამართლიანად არ ემხრობოდნენ მაშინ გაბატონებულ იმ აზრს, რომ თითქოს 1863 წ. აჯანყების მთავარი მიზეზი საინგილოში ქრისტიანობის აღდგენა იყო[1].

აჯანყების ერთი მიზეზი იყო ბელაქნის ფეოდალებსა და თავისუფალ გლეხებს—ავარებს შორის არსებული წინააღმდეგობა.

ბელაქნის ძველი მფლობელი თავად ვაჩნაძეების მემკვიდრეები—გამუსლიმანებული გალაჯევები ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი ძველი უფლებები ბელაქნის თავისუფალ გლეხებზე, რომლებიც უკვე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (განსაკუთრებით 1830 წლიდან) წარმოადგენდნენ პირადად თავისუფალ წვრილ მიწის მესაკუთრეებს.

გალაჯევთა ერთი წარმომადგენელი პოდპორუჩიკი მურთუზალი (ქრისტიანობაში ალექსანდრე) ახალგაზრდობისას სწავლობდა კადეტთა კორპუსში, სადაც იგი გაქრისტიანდა. სოფელში დაბრუნების შემდეგ იგი 20 წლის განმავლობაში უმალავდა თავის მეზობლებს სარწმუნოების გამოცვლას და თავს იკავებდა სამამულო პრეტენზიებზე. აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როცა

[1] ირეოდიონ ოქროპირიძის მოხსენება 1892 წ. (ЦГИА. Азерб. ССР, ф. 579, оп. I, д. 3, л. 16). ბატონყმობის ნაშთი საინგილოში („ამირანი", 1908 № 189). ვ. ფარადაშვილი. ყორაღანი („ივერია", 1901, № 30).

საინგილოში სიმშვიდე დამყარდა, მან განაახლა თავისი პრეტენზიები და საქმე ოფიციალურად აღძრა[1]. 1861 წ. სექტემბერში ზემო დაღისტნის უფროსმა შალიკოვმა (შალიკაშვილია) სცნო გალაჯევთა უფლება ბელაქნის მიწებზე, ხოლო ბელაქნელ გლეხებს უფლება მიეცათ სათანადო საბუთებით დაემტკიცებინათ თავიანთი საკუთრება. ასეთი საბუთები კი ამ უკანასკნელთ არ ჰქონდათ.

შალიკაშვილის განკარგულება საბოლოო არ ყოფილა. გალაჯევთა პრეტენზიებს ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისია იხილავდა, მაგრამ აღნიშნული განკარგულება გახმაურებული იყო და დიდ უკმაყოფილებას ქმნიდა. ბელაქნელ ავარებს მომავალში გალაჯევთა 12 ოჯახისათვის უნდა ეხადათ გადასახადები[2]. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული უმაღლესი მთავრობის მიერ.

ბელაქანში ალექსანდრე გალაჯევი უპირისპირდებოდა ამავე სოფელში დიდი გავლენის მქონე, რუსთა სამსახურში მყოფ შტაბს-კაპიტან ჰაჯი-მურთუზს, რომელიც ადრე დიდად ერთგულებდა შალიკაშვილს. აღნიშნული განკარგულების შემდეგ ჰაჯი-მურთუზი და მასთან ახლო მყოფი თავისუფალი ავარები, გაბატონებული ზედაფენის წარმომადგენლებთან ერთად, აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

ამავე დროს ჭარ-ბელაქნის ლეკობაში ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ ძველი მიურიდული რეაქციის ელემენტები, „ჰაზავათის“ პროპაგანდისტები. „საღვთო ომის“ მქადაგებლები მარჯვედ იყენებდნენ მასებში შექმნილ უკმაყოფილებას. ეს კი უნდა ყოფილიყო აჯანყების გამომწვევი უფრო სერიოზული მიზეზი. საინგილოში მყოფი მიურიდებისა და ოსმალეთის აგენტების ნარჩენები ჭარის ზედაფენებსა და მოსახლეობას კვლავ „ჰაზავათისაკენ“ მოუწოდებდნენ.

1862 წლიდან ტარიკათის ქადაგებას ეწეოდა ჭარელი ყაჩაღი ბურჯო-ალი. იგი ტანაჩის ტყეებში იმალებოდა და კავშირს ამყარებდა ქურდ-ავაზაკებთან[3]. ცნობილი იყვნენ აგრეთვე სხვა ტარი-

[1] По поводу восстания в Закатальской округе. „Кавк. Сборник“. т. 10, стр. 591.

[2] იქვე, გვ. 592.

[3] იქვე, გვ. 599.

კათისტებიც — ს. ალმალოს მცხოვრები მაჰმუდ-ეფენდი, აჰმედ-მუსტაფა-ოღლი, ჯუმა-ემირ-ოღლი და სხვები[1]. ტანაჩის ტყე, სადაც თურქული ავანტიურის ეს ნაშიერები იმალებოდნენ, ბელაქანთან ახლო იყო.

რაც შეეხება ჭარელ მებატონეებს, ისინი აჯანყების ინიციატორებში არ ჩანდნენ, თუმცა შემდეგ კი შეუერთდნენ აჯანყებულთა რაზმებს. ჭარელთა მოჩვენებითი პასიურობა იმით აიხსნებოდა, რომ მათ დასაწყისში შესძლეს თავიანთი ფეოდალური ინტერესების დაცვა. მათ გააკეთეს ის, რომ უკუაგდეს ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ალიაბათში. ჭარელმა მებატონეებმა აქტიური ანტიქრისტიანული პროპაგანდა გააჩაღეს იქ და აიძულეს ალიაბათელი ინგილოები, რომ ეწერათ საჩივრები ქრისტიანობის დანერგვის წინააღმდეგ. მთავრობისათვის ცხადი იყო, რომ ეს საჩივრები ფაქტიურად ჭარელ ლეკთაგან მოდიოდა[2].

ჰაზავათის მქადაგებლებს ხელსაყრელი დღე დაუდგათ მაშინ, როცა რუსეთის მთავრობამ გალაჯევთა თხოვნით, 1862 წ., ბელაქანში ეკლესიის შენება დაიწყო. ეს კი ცალკეულ გამოსვლათა საბაბი გახდა. გახშირდა თავდასხმები ახალმონათლულ ქრისტიანებზე, გამრავლდა მკვლელობის შემთხვევები[3]. ყაჩაღური აქტების სულისჩამდგმელი იყო შალიკაშვილის ნდობით აღჭურვილი ჰაჯი-მურთუზი.

აჯანყების ზოგიერთი მიზეზი კარგადაა წარმოდგენილი ალაზნის ველზე განლაგებული რუსთა რაზმების სარდლის—ოგლობჟიოს მოხსენებაში კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსისადმი 1863 წ. 31 აგვისტოს.

ოგლობჟიო აღნიშნავდა, რომ მას ეს საკითხი დაწვრილებით შეისწავლა. აჯანყების პირველ მიზეზად იგი ასახელებდა „გარედან მოსული“ პოლიტიკური აგენტების მოქმედებას. აქ, როგორც ჩანს, იგი გულისხმობდა თურქულ აგენტურას, რომელიც მიური-

[1] ნახე საქმე „О ссылке во внутренния губернии под надзор полиции жителей Закатальского округа, Гаджимола-Ахмед-Мустафа-оглы и Гаджи-Джумы-эмин-оглы, выновных в проповедывании ими религиозно-фанатического учения „тарикат“ (საქ. ცსსა. ფ. 545, საქ. 2812, ფურ. 13).

[2] По поводу восстания в Закат. округе, стр. 588. ამ სტატიის ავტორი თვლიდა, რომ ალიაბათში ქრისტიანობის გავრცელება ჭარელებს შემოსავალს დააკარგვინებდა, მაგრამ ეს სწორი არ იყო.

[3] იქვე, გვ. 594.

დულ-რეაქციული მოძრაობის ნამსხვრევთა სახით ჯერ კიდევ ცოცხლობდა. იქვე ასახელებს იგი ტარიკათის (პაზავათის) ქადაგებას[1]. მეორე მიზეზად დასახელებულია გაქრისტიანებულ ინგილოთა განთავისუფლება ლეკთა დამოკიდებულებისაგან. შემდეგი, მეტად არსებითი მიზეზი, ოგლობყიოს განმარტებით, იყო ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მუშაობა, რასაც შედეგად სდევდა ბევრი ლეკი ბატონის უფლებრივი მდგომარეობის უარყოფა. ბევრს არ აღმოაჩნდა მაღალ წოდებაში დასამტკიცებელი საბუთი და წოდებრივი პრივილეგიის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგებოდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ მთავრობამ ბევრი მუსლიმანი ოფიცერი საჭიროდ აღარ ჩათვალა და უსამსახუროდ დასტოვა. ეს მაშინ, როცა მათ ადგილებს იკავებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების მქონე პირები[2].

აჯანყების გაღვივებას რამდენადმე ხელი შეუწყო საინგილოს მმართველობაში 1860 წ. მომხდარი ცვლილებების შედეგად წარმოშობილმა უკმაყოფილებამ. სხვა უარყოფითი მხარეების გვერდით, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, ჭარ-ბელაქნის, ამიერიდან უკვე ზაქათალის ოლქის, ადმინისტრაციული ცენტრი გადატანილ იქნა ზაქათლიდან საცხენისში, რომელიც არ წარმოადგენდა ამ რაიონის გეოგრაფიულ ცენტრს. ამავე დროს ანგარიში არ გაეწია მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებსა და ადგილობრივი მმართველობის ტრადიციებს. ახალი მმართველობიდან გამოიყვანეს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. ამის მიზეზად მეფის ისტორიკოსი ესაძე ასახელებდა მანამდის არსებული ზეპირი სამართლის შეცვლას სამოქალაქო-სასამართლო დაწესებულებით. ადგილობრივი ელემენტების გამოყვანამ მმართველობიდან, ეს ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ისედაც შორს იყო მასებისაგან, მთლიანად მოწყვიტა ამ მასებს, რომლებმაც, ესაძის აღიარებით, ყური ათხოვეს „დაღისტნიდან დაბრუნებულ ყაჩაღებს“[3]. მომხდარმა ცვლილებამ დამარხული მიურიდული მოძრაობის მოგონება და მისი გადმონაშთი ელემენტები გააცოცხლა. მა-

[1] საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 1270, ფურ. 1—9.

[2] იქვე.

[3] С Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. т. I, ss. 204.

თი ერთი სულისჩამდგმელი იყო ჭარელი, დაღისტანში აღზრდილი, ბურჯო-ალი. ამავე დროს რეაქციული მუსლიმანური სასულიერო წოდება, მოლები, ყადიები, ქვეხები ფანატიკური გატაცებით ქადაგებდნენ ტარიკათს, ჰაზავათს, აძლიერებდნენ ფანატიკურ სიძულვილს ქრისტიანეთადმი, ავრცელებდნენ ჭორებს იმის შესახებ, რომ თითქოს მთავრობას განზრახული ჰქონდა მთლიანად ჩამოერთვა მიწები ლეკებისათვის[1].

როგორც ვხედავთ, აჯანყებას საკმაო მიზეზები ჰქონდა. აჯანყებაში მონაწილეობდა თავისუფალი მიწისმოქმედი გლეხობაც, ოომელიც თავის სოციალურ მდგომარეობას იცავდა. აჯანყების წამქეზებელი გაბატონებული მუსლიმანური ზედაფენის ნაწილი და მიურიდიზმის ნაძირალა ელემენტები მიზნად ისახავდნენ რუსთა ბატონობის მოსპობას საინგილოში და ადგილობრივი თვითმმართველობის დამყარებას, დაღისტანში შამილის ბატონობის დროს არსებული იმამატის მიბაძვით. ამრიგად, ფეოდალური ზედაფენები ცდილობდნენ თავიანთი რეაქციული მიზნებისათვის გამოეყენებინათ თავისუფალ მიწისმოქმედთა ბრძოლა. აჯანყება დაიწყო მოლების მიერ ფართოდ რეკლამირებული ჰაზავათის დროშით.

ჭარელი მებატონეები აჯანყების წინა დღეს, 4 ივნისს, ენერგიულად თათბირობდნენ ბელაქნელ მეამბოხეებთან, ჰაჯი-მურთუზის თანაგამზრახებთან. ისინი თათბირზე აღნიშნავდნენ, რომ ზაქათლის ციხის აღების შემდეგ იმამად ვინმე ჭარელი უნდა გამოეცხადებინათ[2].

1863 წ. 4 ივნისს საცხენისში მყოფმა შალიკაშვილმა ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ აჯანყებულთა რაზმი ჰაჯი-მურთუზის მეთაურობით ზაქათლის ასაღებად მიდიოდა. ასეთივე ცნობა მიიღო ზაქათალის გარნიზონის უფროსმა თარხან-მოურავმაც. ზაქათალა თავდაცვისათვის ემზადებოდა. დაიგზავნა ცნობები მაშველი რაზმების გამოგზავნის შესახებ. ქრისტიან ინგილოებში იკრიბებოდა სახელდახელო ცხენოსანი რაზმი.

---

[1] ოგლობეიოს მოხსენებიდან (1863 წ. 31.VIII). საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3 საქ. 1270, ფურ. 1—9.

[2] По поводу восстания в Закат. окр., стр. 605.

ალიაბათის ინგილოებმა, მიუხედავად გარეგნული მოჩვენებითი კავშირისა აჯანყებულებთან, მხარი არ დაუჭირეს მათ[1]. მხოლოდ მცირე გამონაკლისი, და ისიც ჰაჯი-მურთუზთან ახლო ურთიერთობაში მყოფი, შეუერთდა აჯანყებულებს[2]. საერთოდ კი ალიაბათლები არ თანაუგრძნობდნენ მათ და რუსთა წინააღმდეგ იარაღს არ იღებდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ რუსული მმართველობა, შედარებით, მათ ინტერესებს ესარჩლებოდა. ქრისტიანული სარწმუნოების მიუღებლობა, რაც ჭარელთა მუქარა-ძალადატანების შედეგი იყო, ხელს არ უშლიდა მათ ერთგულებას რუსეთისა და საქართველოსადმი .ისინი, ისე როგორც ადრე თითქმის ყველა ინგილო, „გულით ქრისტიანობდნენ", ეს კი მაშინ „გულით ქართველობას" ნიშნავდა.

ამავე დროს ალიაბათელ ინგილოებს კარგად ესმოდათ, რომ მათ სარგებლობაში მყოფი მიწები ჭარელმა ლეკებმა ძალადობის გზით დაისაკუთრეს. ალიაბათლები ოცნებობდნენ ამ მიწების ხელში ჩაგდებაზე და ლეკთა დამოკიდებულებისაგან სრულ განთავისუფლებაზე, მაგრამ აშკარა მოქმედების დაწყებას ვერ ბედავდნენ. დამახასიათებელია თანამედროვის ერთი გადმოცემა, რომელიც გაზ. „დროებაშია" გამოქვეყნებული:

„ალიაბათელებს 1863 წელს მიწების დავა ჰქონდათ ჭარელებთან, და როდესაც ჭარელებმა უთხრეს, რომ ეს მიწები ჩვენ ხმლით დაგვიჭერიაო, მაშინ იმათ უპასუხეს: „თუ ხმლით წართმევა მიწისა და კაცის დამონავება სამართალიაო და ამას საფუძველი აქვსო, მაშინ გამოდით ახლა წავიკიდოთო, ვინც დასძლიოს, მიწები იმას დარჩესო".[3]

აჯანყებულთა შესაკრები პუნქტი გახდა სოფ. გოგამი[4]. ჰაჯი-მურთუზის რაზმს შეუერთდნენ თალას, ჭარის, გოგამის, სუმაილოს, კატეხის, მაწეხისა და სხვა სოფლების ლეკები. აჯანყებულთა ერთმა რაზმმა მთლიანად გაჟლიტა რუსთა ასეული (115 კაცამდე), რომელიც ტყეში გასულიყო და ზაქათალის ციხეში ბრუნდებოდა.

---

[1] იქვე, გვ. 602.

[2] იქვე.

[3] დ. ჯანაშვილი, „პოსერბსკის ტყუილები..." „დროება". 1866 წ. № 39.

[4] საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 1270, ფურ. 1—9. სხვა ცნობით, შესაკრები პუნქტი იყო ხურმა-ობა, ზაქათალიდან 3 კილომეტრზე (По поводу восст. в Закат. окр., გვ. 602).

5-დან 6 ივნისს, ღამით, 3 საათზე დაიწყო აჯანყებულთა ძლიერი შეტევა ზაქათალის ციხეში მყოფი გარნიზონის წინააღმდეგ. ეს გარნიზონი, რომელიც 500 კაცისაგან შედგებოდა, გააფთრებით იცავდა თავს 2000-დე თავდამსხმელისაგან[1]. 2 საათიანი ბრძოლის შემდეგ შეტევა მოგერიებულ იქნა.

ბრძოლაწაგებული ჰაჯი-მურთუზი თავს დაესხა ბელაქნის გზით ზაქათალისაკენ მომავალ შალიკაშვილის რაზმს. ბრძოლაში დაიღუპა გენ. შალიკაშვილი. ეს იყო აჯანყებულთა უკანასკნელი გაბრძოლება. ამის შემდეგ ისინი დამარცხდნენ. გაქცეული ჰაჯი-მურთუზიც ცოტა ხნის შემდეგ რუსებს ჩაბარდა[2].

აჯანყება უკვე დამარცხებული იყო, როდესაც ზაქათალის გარნიზონის საშველად წასული რაზმები დანიშნულებისამებრ იკრიბებოდნენ. ზაქათალასთან მივიდა ინგილოთა 300 კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი. ამავე დროს, 18 ივნისს, მოხდა უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც იმ დროის ისტორიოგრაფიას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ზაქათალის აჯანყების ჩასაქრობად დაღისტნის მთები გადმოლახა და ზაქათალაში ჩამოვიდა დაღისტნელთა 3000-ანი ცხენოსანი რაზმი, რომელსაც გენერალი მელიქოვი მოუძღოდა. ამ რაზმს ახლდნენ ჯემალ-ედინის (შამილის უახლოესი მრჩევლის) შვილი, შამილის ცნობილი თანამებრძოლის—კიბიტ-მოჰამედის ძმა და სხვები. ისინი მოვიდნენ უკვე ჰაზავათის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საომრად. ეს აქტი, როგორც მაშინ სამართლიანად შენიშნავდნენ, წარმოადგენდა იშვიათ გაკვეთილს ჭარ-ბელაქნის აჯანყებულთათვის, რომ მათ ამიერიდან დაღისტნის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდათ[3]. მომხდარი ფაქტი ამავე დროს მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის იდეურ-პოლიტიკური გაკოტრების საუკეთესო საბუთი იყო და ერთხელ კიდევ ადასტურებდა, რომ შამილის ავანტიურას მასების ინტერესებთან საერთო არაფერი ჰქონია.

რუსეთის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. დაღისტანშიაც მრავლად დააპატიმრეს „აჯანყების წამქეზებლები“, რომლებიც ტარიკათს ქადაგებდნენ. ზაქათალაში დაინიშნა

---

[1] საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 1270, ფურ. 1—9. სხვა ცნობით აჯანყებულთა რიცხვი აღწევდა 5000-ს (Волковский. История... გვ. 339).

ვოლკონსკის დასახ. ნაშრ., გვ. 339.

По поводу восстания в Закат. округе, გვ. 607.

საველე სასამართლოს კომისია, რომელსაც დაევალა: „მისჯილთა ოჯახები გადასახლებულ იქნან ოლქიდან, ხოლო მათი სახლები დაინგრეს, ბაღები გაიჩეხოს, მიწები ჩამოერთვათ... ზარალის ანაზღაურება (მთავრობისათვის, მ. დ.) დაეკისროთ იმ სოფლების ყველა მცხოვრებს, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობდნენ"[1]. აჯანყების მოთავე ჰაჯი-მურთუზი რუსეთის შიდა გუბერნიაში გადაასახლეს.

ჭარ-ბელაქნის გაბატონებული ფენების ბრძოლა, რომელიც მიურიდული რეაქციის ფორმით გამოვლინდა, მიზნად ისახავდა რუსეთის ბატონობის მოსპობას და შამილის იმამატის მსგავსი ავანტიურისტული მმართველობის შექმნას აღმოსავლეთ კახეთში. ამდენად ეს აჯანყება რეაქციული მოვლენა იყო. აჯანყებას რომ მართლაც გაემარჯვნა, მუსლიმანური ზედაფენის პოლიტიკური ხელისუფლება აღმოსავლეთ კახეთში იქნებოდა საქართველო-ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ოსმალეთის პოლიტიკის იარაღი. რა თქმა უნდა, აჯანყებას გამარჯვების პერსპექტივები არ ჰქონია.

მუსლიმანური რეაქციული ზედაფენის კავშირი ოსმალეთთან დადასტურდა იმ ფაქტით, რომ ადგილობრივი მმართველობისადმი გახშირებული იყო განცხადებები ოსმალეთში გადასახლების ნებართვის შესახებ[2]. ასეთ განცხადებებს სათავე ნამდვილად გაბატონებულ ზედაფენებში ჰქონდა. მოდიოდა მშრომელი მასებისათვის აღნიშნული მოთხოვნები, რა თქმა უნდა, უცხო იყო.

4. გაჩაღებული მეფის რუსეთის პოლიტიკაში. ინგილოთა აუღლეული ცხოვრების ზარის დასაწყისი

1863 წ. აჯანყებამ აიძულა მეფის მთავრობა, რომ რიგი ცვლილებებისა მოეხდინა მმართველობაში და მუსლიმანური ზედაფენებისათვის მეტი ანგარიში გაეწია. მხარის ადმინისტრაციული

[1] С. Эсадзе. Историческая записка... т. I, გვ. 280—209.

[2] ზაქათალის ოლქის უფროსი თვლიდა, რომ აღნიშნული განცხადების მიზანი იყო ადგილობრივი უფროსობის ყურადღების გამახვილება მუსლიმანური მოსახლეობისადმი, ნამდვილად კი გადასახლების მსურველები არ ყოფილანო (საქ. ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 1270, ფურ. 1—9). აღნიშნული განცხადებები იმის საბუთიც იყო, რომ აჯანყების მონაწილეებს თვალი ოსმალეთზე ეჭირათ.

ცენტრი ისევ გადმოტანილ იქნა ზაქათალაში. ცვლილებები მოხდა სასამართლო უწყებაშიაც. აღადგინეს მმართველობაში წინათ არსებული ზოგიერთი თანამდებობა—ნაიბი, უზბაში, თაბუნბაში და სხვ.

აღნიშნული აჯანყება საინგილოში რუსეთის პოლიტიკის გარდატეხის ერთი ეტაპი გახდა. არ იქნებოდა სწორი, რომ ეს აჯანყება პოლიტიკის გარდატეხის ერთადერთ მიზეზად გამოგვეცხადებინა. პოლიტიკის ცვლილება ნაკარნახევი იყო საქართველო-ამიერკავკასიაში მეფის მთავრობის ბატონობის განმტკიცებით. რუსეთმა უკვე დაასრულა კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული ომი. იგი დასრულდა 1864 წ. მაისში დასავლეთ კავკასიის მთიანეთის საბოლოო დამორჩილებით. ამიერიდან მთავრობა თავს მტკიცედ გრძნობდა. მას უკვე აღარ ეშინოდა ქვეყნის შიგნით მოსალოდნელი აჯანყებების, მთიელთა მტრული განწყობილებების. ამიერიდან იწყებოდა ახალი ეტაპი, ახალი საზოგადოებრივი წყობილების, კაპიტალისტური წყობილების განვითარების პერიოდი. რუსეთის კაპიტალიზმი უკვე ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის კოლონიური ექსპლოატაციისათვის.

ამავე დროს ძველი იდეოლოგიური პოლიტიკა, ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის ნიღაბით რომ მოქმედებდა, რასაც მფლობელობის ფარგლების გავრცელება ჰქონდა მიზნად, ძველებურ აქტიურობას უკვე ჰკარგავდა. იგი ბარდებოდა XIX საუკუნის I ნახევარს, როდესაც მან თავისი ძირითადი მისია უკვე შეასრულა. ქრისტიანობის დროშით შევიდა რუსეთი აფხაზეთში. მაჰმადიანობასთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა აფხაზეთის მთავრის შარვაშიძის ხელისუფლება, რომელიც თურქულ გავლენას უპირისპირდებოდა. მეფისნაცვალი ვორონცოვის მიერ 1850 წ. გაშლილი საქმიანობა საინგილოში ქრისტიანობის აღდგენის მიზნით, ჩანს, მთავრობის უკანასკნელი ღონისძიება იყო ამ მიმართულებით. ამავე დროს სრულდებოდა XIX ს-ნის პირველ ნახევარში მეფის რუსეთის მიერ კარგად მომარჯვებული შენიღბული ლოზუნგის—„საქართველოს გაერთიანების“ — მისია. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც უკვე საქართველოს დიდი ნაწილი შემოერთებული იყო, რუსეთის მთავრობა უკვე შლიდა, ქსაქსავდა საქართველოს, ახშობდა ეროვნული მთლიანობის საშუალებებს. ამიერიდან მისთვის სულ ერთი იყო, თუ რომელი ოლქი ვისთან და რომელ ადმინისტრაციულ ერთე-

ულში იქნებოდა, ოღონდაც რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ ყოფილიყო და, მეორეც, ასეთ ადმინისტრაციულ გაერთიანებას ხელი არ შეუწყო პოლიტიკური ერთეულის წარძოქმნის თუ აღდგენის ტენდენციისათვის[1].

გენ. ციციანოვის დროიდან, როგორც ზევით ითქვა, რუსული მმართველობა, ვიდრე მას საინგილო დაპყრობილი არ ჰქონია, ხშირად ახსენებდა, რომ ეს მხარე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. მაგრამ საინგილოს დაპყრობის შემდეგ ეს მალე დავიწყებულ იქნა. მთავრობამ უკვე უარჰყო საქართველოსთან ამ რაიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანების იდეა. ამ უარყოფის პირველი აქტი მოხდა 1844 წელს, როდესაც „ბელაქნის ოლქი" „ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის" სახელით გამოეყო საქართველო-იმერეთის გუბერნიას და ამ ოლქის უფროსს გუბერნატორის უფლებები მიენიჭა.

1860 წ. 31 მაისს მეფისნაცვალი ბარიატინსკის განკარგულებით „ჭარ-ბელაქნის სამხედრო" ოლქს სცილდება წახურის უბანი, ყოფილი ელისუს სასულტნოს მთიანეთი, რომელიც ადმინისტრაციულად უერთდება სამხრეთ დაღისტნის სამურის ოლქს[2]. საინგილო ამიერიდან „ზაქათლის ოლქის" სახელით გეევლინება და მისი მმართველობა ზემო დაღისტნის უფროსის კომპეტენციაში დროებით შედის[3]. ამრიგად, საინგილო, თუმცა დროებით, მაგრამ მაინც, ზემო დაღისტნის ადმინისტრაციულ ფარგალს მიეთვალა. ზემო დაღისტნის უფროსი სამოქალაქო საქმეებში უნდა დამორჩილებოდა უშუალოდ მეფისნაცვალს, ხოლო სამხედრო ხაზით—დაღისტნის უფროსს. საკვირველი იყო აგრეთვე, რომ ამ უგუნურ დაყოფასთან ერთად ყვარელის უბანიც კი დაღისტნის უფროსის სამხედრო ხელისუფლებას მიათვალეს.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ მთავრობამ სავსებით ანგარიში არ გაუწია საქართველოსა და ქართველი ხალხის მთლიანობის ინტერესებს, არ გაითვალისწინა კულტურულ-ეკონომიური ურთიერთო-

---

[1] ეს მოსაზრება გამოთქვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა 1950 წ. 12 დეკემბერს ისტორიის ინსტიტუტის ისტორის განყოფილების თანამშრომლებთან ერთი საუბრის დროს.

[2] საქ. ცსსა, ფ. 10, საქ. 1433, ფურ. 6—7.

[3] Акты, т. XII, стр. 447.

ბის აშკარა დამაკავშირებელი მომენტები; უგულებელყოფილ იქნა საინგილოს კულტურულ-ეკონომიური დამოკიდებულება კახეთთან.

1860 წლის შემდეგ, კავკასიის მხარის ადმინისტრაციული დაყოფით, მეფის მთავრობა ზაქათალის ოლქს მმართველობის განაცალკევებული ფორმით ინარჩუნებდა. ეს ოლქი „კავკასიის სამთო სამმართველოს“ (1865 წლიდან), თუ „სამხედრო-სახალხო სამმართველოს“ (1880 წლიდან) მეშვეობით მეფისნაცვალს ემორჩილებოდა და ინარჩუნებდა „სამხედრო-სახალხო“ მმართველობის ფორმას, რომელიც თავიდან ბოლომდის სამხედრო ოკუპაციის პრინციპზე იყო აგებული და ქვეყნის მოქალაქეობრივ დაწინაურებას აფერხებდა*.

მეფის რუსეთის პოლიტიკის ცვლილებამ თვალნათლივ იჩინა თავი საინგილოში ქრისტიანობის აღდგენის საქმიანობაში.

მუსლიმანური სასულიერო წოდების თავგამოდებული ცდების შედეგად მთავრობამ 1863 წ. აჯანყების მთავარ მიზეზად ქრისტიანობის აღდგენა აღიარა. გარდა ამისა, ახლა, მას შემდეგ რაც კავკასიის ომი დასრულებული იყო, ძველი სიმწვავით უკვე აღარ დგებოდა აღმოსავლეთ კახეთში საიმედო დასაყრდენის შექმნის საკითხი, ასევე ძველი სერიოზულობით არ გამოიყურებოდა მოთხოვ-

* 1874 წ. 29 იანვარს მეფემ დაამტკიცა დებულება ზაქათალის ოლქის მმართველობის შესახებ. ეს დებულება ითვალისწინებდა:

1. ოლქის უფროსი ემორჩილება კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსს, ეს უკანასკნელი კი—მეფისნაცვალს.

2. საოლქო მმართველობა რჩება ზაქათალაში, სადაც არის პოლიციის ბოქაული და 2 ხმოსანი (ხალხის რჩეული).

3. ოლქი იყოფა ოთხ უბნად — ბელაქნის, ჭარ-მუხახის, ალიაბათისა და კახის. მათ სათავეში ინიშნებიან უბნის უფროსები.

სასამართლოს ორგანიზაცია ასხვავებდა ორ განყოფილებას:

ა) სამხედრო—სისხლის სამართლის კანონებით,

ბ) საოლქო-ზეპირი სამართალი, რომელიც თავის მხრივ განასხვავებდა: სამართალს ადათით—სახალხო ჩვეულებებით, სამართალს შარიათით — სასულიერო სამართალი— და სამართალს მთავარსარდლის მიერ დადგენილი განსაკუთრებული წესებით.

საოლქო ზეპირ სასამართლოში თავმჯდომარეობდა ოლქის უფროსი, რომელთან ერთად ბჭობდნენ 4 დეპუტატი და ორი ყადი. დეპუტატთა და ყადიების მონაწილეობა აქ ფორმალური ჩანდა. ყველაფერს წყვეტდა ოლქის უფროსი ან მისი თანაშემწე. (ЦГИА Дагест. А СССР, ф. 90, оп. I, д. 63, лл. 133—138. С. Эсадзе. Историческая записка об управл. Кавказом, т. II, 1907, стр. 91).

ნილება სარწმუნოებრივი ბრძოლის გაჩაღებისა, ქრისტიანული და მაჰმადიანური ელემენტების ერთმანეთისადმი დაპირისპირებისა. ამიტომ მთავრობა უკვე ოფიციალურად აცხადებდა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, ინგილოები და ლეკები ქრისტიანები იქნებოდნენ, თუ მაჰმადიანები, ოღონდ რუსეთის მეფის ერთგული ყოფილიყვნენ. ესე განუცხადებია აღნიშნული აჯანყების შემდეგ საინგილოში, სოფ. ალიაბათში ჩასულ მეფისნაცვალს მიხეილ რომანოვს[1].

მთავრობის პოლიტიკის შეცვლა ამ დროს უკავშირდებოდა რუსეთის ურთიერთობას, მაჰმადიანურ პროვინციებთან, რადგან „ინგილოთა ქართველობა-მუსლიმანობა ცარიზმის პოლიტიკის საკითხად იქცა მაჰმადიანურ ქვეყნებთან, დაღისტანთან, ოსმალეთთან თუ ირანთან ურთიერთობაში“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

მეფისნაცვალის აღნიშნული განცხადება კარგად გამოიყენეს ფანატიკოსმა მოლებმა. მათ მოიშველიეს თავიანთი მომხრეები მეზობელი მუსლიმანური პროვინციებიდან. გაჩაღდა ისლამის პროპაგანდა მოსახლეობაში. მთავრობამ ოფიციალური ნებართვა მისცა ახალ მონათლულებს, თუ ვისმეს სურდა, მაჰმადიანობას დაბრუნებოდა. ამისათვის ერთწლიანი ვადაც განისაზღვრა[2]. რეაქციულ მუსლიმანურ სასულიერო წოდებას დრო დაუდგა. ისინი სოფელ-სოფელ გაჰკიოდნენ, რომ „მთელი დუნია მუსლიმანთ დარჩება მალე და გიაურნი კი მათ ხელით შეიმუსრვებიანო“[3]. კაცთმოძულური ფანატიკური რეაქცია ფრთებს ისხამდა და რელიგიური რწმენით თვალებახვეული მოსახლეობის დიდი ნაწილი ცრუ პროპაგანდას აჰყვა. ბევრმა უარჰყო ახლად მიღებული ქრისტიანობა, მიიღო მაჰმადიანობა. თუ 1861 წლისთვის „ინგილო მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი — 20.000-დე სული იყო მონათლული“[4], 60-ანი წლების ბოლოს ეს რიცხვი თითქმის 4. 000-დე შემცირდა[5]. ასე გრძელდებოდა სამოცდაათიანი წლების მიწურულამდე, როდესაც 1877-1878 წლების ომთან დაკავშირებულმა ამბებმა მთავრობას კვლავ უკარნახა საინგილოში ქრისტიანობის აღდგენითი მოღვა-

---

[1] ხ. გულისაშვილი. მგზავრის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიყზე („ივერია“, 1882 წ. № 11, გვ. 73).

[2] ЦГИА Азерб. ССР, ф. 579, оп. I, д. № 3, л. 16.

[3] ხ. გულისაშვილი. დასახ. წერილი, გვ. 74.

[4] ЦГИА Азерб. ССР. ф. 579, оп, I, д. № 3, л. 15.

[5] 1888 წლისთვის საინგილოში ქრისტიანეთა რიცხვი 4000 სულით განისაზღვრებოდა (Отчет Общества восст. правосл. христ. за 1888 г., вз. 49).

წეობისათვის მხარის დაჭერა, მაგრამ ეს საქმე ძველი ენთუზიაზმით აღარ განახლებულა. თუმცა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში ამ საქმეს მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა.

სწორი არ იქნებოდა, რომ საინგილოში 60-ან წლებში ქრისტიანობის აღდგენითი საქმიანობის მარცხის ერთადერთ მიზეზად გამოგვეცხადებინა 1863 წ. აჯანყება და მთავრობის პოლიტიკის ცვლილება. ამის ერთი სერიოზული მიზეზი ის იყო, რომ მთავრობამ დასაწყისში დიდი შეცდომები დაუშვა ქრისტიანობის აღდგენის საქმეში და თავისი მოქმედებით ახალმონათლულები დიდი საფრთხის წინაშე დააყენა.

მთავრობამ ერთი ხელის დაკვრით მოინდომა საინგილოში თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში გაბატონებული მუსლიმანურ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ზნე-ჩვეულებების მოსპობა. ხალხი ადვილად ვერ დათმობდა საოჯახო ყოფა-ცხოვრებაში შეჭრილ ტრადიციებს. სამღვდელოება კი გაქრისტიანებულ ოჯახური კულტურის სფეროში პირდაპირ ნახტომისებური ცვლილების წინაშე აყენებდა. 60-ან წლებში უკვე საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსული ინგილო—დიმიტრი ჯანაშვილი თავისებურად აღნიშნავდა ამ მოვლენას. გაზეთ „დროებაში“ მან გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი წერილი „ინგილოების ჩივილი იმაზე, რომ ისინი ინგილოებში ქალებს სათხოვნელად ვერ შოულობენ“[1].

საინგილოში არსებული ჩვეულება გამორიცხავდა სხვა სოფლიდან ქალის გამოყვანას. ქორწინება თანასოფლელებში უნდა მომხდარიყო. როგორც ჯანაშვილი შენიშნავდა, ამ ნიადაგზე ამა თუ იმ სოფელში თითქმის ყველას ერთმანეთში ნათესაობა ჰქონდა. ეს გარემოება ვერ აბრკოლებდა საქორწინო აქტებს. გარდა ამისა ინგილოებს, მათში გვიან გამჯდარი ტრადიციებით ძალზე ძვირად უჯდებოდათ ცოლის შერთვა. ხარჯების გაღება ქორწინებამდე ხდებოდა. ქორწინების წინ უკვე ახალმონათლული ინგილო მღვდელთან მიდიოდა ჯვრის საწერად, მღვდელი კი, თანახმად კანონისა, ნათესავებს ჯვარს არ სწერდა. იწყებოდა დავა მღვდელსა და ინგილოს შორის: „...ინგილო შფოთობს, ემუქრება იმას; მღვდე-

[1] „დროება“, 1866 წ., № 42.

ლი უარზე დგას. ინგილო იმას ეუბნება, რომ დიდი ხარჯი მომივიდაო, ქორწილი კიდევაც დავიწყეო...“

„...ინგილოები ამ კანონებს სასტიკად თვლიან... როდესაც ისინი გაჯავრდებიან, დაბრკოლებას რასმე შეემთხვევიან, მაშინვე გათათრებას მოიგონებენ“. მართლაც რომ ეს სერიოზული მომენტი იყო. ქალის სხვა სოფლიდან მოყვანას, როგორც ითქვა, ჩვეულება არ ითვალისწინებდა. ამ გარემოებას დ. ჯანაშვილი ხსნიდა ცალკეულ ინგილოურ სოფლებს შორის მეტად კონტრასტული სხვადასხვაობით. ეს ახსნა უსაფუძვლო არ ყოფილა. ინგილოურ სოფლებს შორის დიდი ბუნებრივი სხვაობა დღესაც შეიმჩნევა. მით უფრო შესამჩნევი იყო ეს მაშინ, მეურნეობის პრიმიტიული წესის ბატონობის დროს. ერთი სოფლის ინგილო მეორეს ვერ ეგუებოდა. გარდა ამისა, აღნიშნული ჩვეულების ერთბაშად მოშლაც ძნელი იყო, მით უფრო, რომ საინგილოში მამაკაცებთან შედარებით ქალთა რაოდენობა მცირე იყო.

აღნიშნულ საკითხს დ. ჯანაშვილი სერიოზულად აყენებდა. თვითონ იგი საჭიროდ თვლიდა, რომ გარკვეულ ეტაპზე ინგილოები არ შეეზღუდათ ქრისტიანული საქორწინო წესებით. დ. ჯანაშვილი მოითხოვდა ამ საკითხზე ოფიციალური ქართული პრესის აზრს. „დროებამ“ უარყოფითად უპასუხა დ. ჯანაშვილის მოსაზრებას და საინგილოში „ერთის სოფლიდან მეორეს სოფელში ქალის გათხოვების“ დაკანონება მოითხოვა[1]. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი წესი ინგილოთა მომავალი ცხოვრებისათვის გაცილებით უმჯობესი იყო, მაგრამ მისი დანერგვა ჯერ ნაადრევი ჩანდა.

დ. ჯანაშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ქრისტიანობის შეფერხების მთავარი მიზეზი იყო აჩქარება, ხალხის ერთბაშად დანათვლა: „ხალხი რომ თავის ნებას მიენდოთ, ინგილოები მთლად დაინათლებოდნენ; მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ფაქტების მოძრაობა დააძალადეს“[2].

არანაკლები შემაფერხებელი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ საინგილოს მეზობელ ქიზიყში და სხვა ქართულ პროვინციებში ამ დროს ქრისტიანული სამღვდელოება მთელი თა-

---

[1] „დროება“, 1866 წ., № 44. მოწინავე წერილი, რომლის ავტორია დიმიტრი ბაქრაძე.

[2] დ. ჯანაშვილი. პოსერბსკის ტყუილები ინგილოებზე („დროება“, 1866 წ., № 39).

ვისი კლასობრივი რეაქციული ბუნებით მოქმედებდა. ქიზიყელი გლეხები, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ინგილოებთან, ამ უკანასკნელებს აცნობდნენ ქრისტიანული სამღვდელოების ექსპლოატატორულ ბუნებას.

საინგილოში ქრისტიანობის აღდგენა იწყებოდა ინგილოთა მფარველობის დროშით, მათი კლასობრივად ჩაგრული მდგომარეობის შემსუბუქებით, რაც საინგილოს სპეციფიური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. საინგილოში გაგზავნილი მისიონერები უზრუნველყოფილი იყვნენ მთავრობის ჯამაგირით, გარკვეული პრივილეგიებით. მათი შენახვა ჯერ კიდევ არ აწვა ზურგზე ინგილო გლეხობას. სხვაგვარი მდგომარეობა იყო მეზობელ ქიზიყში, სადაც სამღვდელოება მშრომელებს ტყავს აძრობდა. საინგილოში მოსიარულე ქიზიყელები ეუბნებოდნენ ინგილოებს: „მოვა დრო, როდესაც მღვდლები თქვენც იმას გამოგართმევენ, რასაც ჩვენ გვართმევენ; მოვა დრო, როდესაც მღვდლები თქვენსავე მკვდარს თქვენვე მოგყიდიან, და მაშინ შეიტყობთ იმათ კაიკაცობას. ახლა ისინი ჯერ თქვენ არაფერს გართმევენ, რადგან ახალი მონათლულები ხართ და ხელმწიფე იმათ ჯამაგირს აძლევს“, შემდეგ კი „იმათი ცოლშვილის შენახვა თქვენ გემართებათ. მაშინ, როგორც ახლა ჩვენში, იქნება ინგილოებში ერთი კაციც აღარ იყოს, რომ მღვდლის ვალი არ ემართოს, და კოდი პურისათვის ის გლეხს დღეში იასაულს არ უგზავნიდეს...“[1].

ეკლესიის მსახურთა ეს მყვლეფელობა მოგვაგონებს საშუალო საუკუნეების ევროპულ „წმინდანების“ მზაკვრობას, რომელსაც ფ. ენგელსი ახასიათებდა:

„ისინი თავიანთ ქვეშევრდომთ არა თუ შეუბრალებლად ყვლეფდენ თავადაზნაურობისა და მთავრების მსგავსად, კიდევ უფრო ურცხვად იქცეოდენ. ტლანქი ძალმომრეობის გვერდით ისინი იყენებდნენ სარწმუნოების ყველა მზაკვრობას, ტანჯვა-წვალების მუქარის გვერდით შეჩვენებისა და ცოდვათა განტევებაზე უარის თქმის მუქარას, სააღსარებოს ყველა ინტრიგას, რათა ქვეშევრდომთათვის უკანასკნელი გროში წაეგლიჯათ ან ეკლესიის სამკვიდრო გაედიდებიათ“[2].

---

[1] დ. ჯანაშვილი. ქიზიყელები საინგილოში („დროება“, 1867, № 24, გვ. 2).

[2] ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში, 1932 წ., თბილისი, გვ. 32.

მოტანილი ფაქტები კარგად ააშკარავებს მეფის რუსეთისა და თავადაზნაურობის სამსახურში მყოფი სამღვდელოების ექსპლოატატორულ ბუნებას. ბუნებრივია, რომ ეს სამღვდელოება გლეხობაში სიყვარულს ვერ დაიმსახურებდა.

ზითითებულ ამბებს ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენის საქმეში უდავოდ სერიოზული შემაფერხებელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ საქმის მარცხიც აღნიშნული მიზეზებით უნდა აიხსნას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული უარყოფითი მხარეებისა, საინგილოში ქრისტიანობის აღდგენითს საქმიანობას თავისი ობიექტური შედეგებით ინგილოების ცხოვრებაში გაუმჯობესება შეჰქონდა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ქრისტიანული სარწმუნოების იდეოლოგიური უპირატესობა, ან რაიმე დადებითი შინაგანი მხარეები. ქრისტიანობა, ისე როგორც მაჰმადიანობა კლასობრივი ჩაგვრისა და მასების დამონების საშუალება იყო, მაგრამ, როგორც ზევით ითქვა, იმ დროს ქრისტიანობა გამოხატავდა რუსეთისა და ევროპის განვითარებული სახელმწიფოების სარწმუნოებას, მაშინ როცა ისლამი ოსმალეთის ჩამორჩენილი და უკულტურო სახელმწიფოს იდეოლოგია იყო და ამ ჩამორჩენილობის ზთელი სიმძიმით ახშობდა აღმოსავლეთის რიგი ხალხების განვითარების გზებს.[1] ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენით აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობა უფრო მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა რუსეთის მფლობელობის ქვეშ მყოფი საქართველოს მდიდარ კულტურასა და საერთოდ განვითარებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ მხრივ გარკვეული როლი შეასრულა საინგილოში რუსეთის მთავრობის მიერ დაფუძნებულმა ეკლესიებმა და სკოლებმა[2], ეს ხდებოდა ქრისტიანობის სოციალური პრინციპების მთელი სიბილწისა და დამმონებელი თვისებების მიუხედავად[3].

---

[1] მაგალითად, „ქრისტიანობის შემოღება პროგრესი იყო წარმართულ ბარბაროსობასთან შეჯარებით“ (დადგენილება მთავრობის კომისიის ჟიურისა საშ. სკ. მე-3—5 კლასებისათვის სსრკ ხალხთა ისტ. საუკეთესო სახელმძღვანელოზე კონკურსის გამო. ისტორიის სწავლებისათვის. კრებული, 1937 წ. 88).

[2] ეკლესია-მონასტრების როლი საინგილოში ანალოგიური ჩანდა პირველი საუკუნეების მოვლენებთან, როდესაც ისინი დამწერლობისა და საკოლონიზაციო ბაზების დანერგვაში პროგრესულ როლს ასრულებდნენ (იქვე, გვ. 88).

ფ. ენგელსი სტატიაში „იურიდიული სოციალიზმი“ შენიშნავდა, რომ შუა საუკუნეების ევროპაში „სამღვდელოება... იყო ერთადერთი განათლებული კლასი“ (К. Маркс и Ф. Энгельс. Сочин., т. XVI, ч. I, გვ. 295).

[3] აღნიშნულ პრინციპთა შესახებ ნახე: К. Маркс и Ф. Энгельс, Сочин., т. V, გვ. 173—174.

ქართველ ინგილოებს ეხსნებოდათ გზა განათლებისაკენ. ადრე საინგილოში, კერძოდ ზაქათალაში, მხოლოდ მუსლიმანი მაღალი წოდების წარმომადგენელთათვის არსებობდა ორკლასიანი სკოლა, რომელშიაც ინგილოთა შვილებს არ ღებულობდნენ. ეს სკოლა ჩამოყალიბდა 1853 წელს. 1855 წ. ჭარ-ბელაქნის უფროსი ითხოვდა ამ სკოლის გაფართოებას და მასში ინგილოთა შვილების მიღებას[1].

1865 — 1866 წლების ცნობებით, ზაქათალაში იყო ქალთა 2-კლასიანი სკოლა, რომელშიაც ყველა ეროვნების მოსწავლეები იყვნენ—რუსები, ქართველები, სომხები, ავარები[2]. არსებობდა აგრეთვე 3-კლასიანი დაწყებითი სკოლაც[3]. ქალთა სკოლის 1865 სასწავლო წლის პროექტში რუსული ენისა და გრამატიკის გვერდით შეტანილია ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლებაც[4].

1862 — 1863 წლებში ქრისტიან ინგილოთა განათლებისათვის ეკლესიებთან ჩამოყალიბებული იყო სკოლები; ასე მაგალითად, სკოლა იყო კახისა და ყორაღანის ეკლესიებთან[5]. აქ არსებულ ეკლესიებში არა მარტო საღმრთო რჯული ისწავლებოდა, არამედ ქართული ენა, არითმეტიკა და სხვა საგნებიც; ეს მაშინ, როდესაც წარსულში მეჩეთთან არსებულ „სკოლებში“ ყურანის გარდა არაფერი არ ისწავლებოდა, ხოლო მოლები სხვათა შორის ახალგაზრდებს ასწავლიდნენ, რომ „ქრისტიანთაგან მოპარული საქონელი მუსლიმანს ტკბილად შეერგებაო“[6].

1868 წ. სათანადო სახსრები გაიღეს სამრეველო სკოლებისათვის შენობების ასაშენებლად კახში, ალიბეგლოსა და ყორღანში[7]. 1869 წ. სკოლა აგებული იყო კახში, სადაც 62 ახალგაზრდა სწავ-

---

[1] საქ. ცსსა, ფ. 416. აღწ. 2, საქ. 35, ფურ. 1—9.

[2] იქვე, ფ. 423, საქ. 221, ფურ. 8.

[3] საქ. ცსსა, ფ. 423, საქ. 382.

[4] იქვე, საქ. 221, ფურ. 23—24.

[5] Отчет Общества восст. христианства за 1862 и 1863 гг. Тифлис, 1865 г., გვ. 71.

[6] ზ. გულისაშვილი. დასახელებული წერილი, გვ. 74. ავტორი დასძენდა, რომ მან თვითონ ნახა, თუ როგორ დაატუსაღეს რამდენიმე მოლა ასეთი ქადაგებისათვის.

[7] საქ. ცსსა, ფ. 545, საქ. 60, ფურ. 230.

ლობდა. ხოლო აღიბეგლოსა და ყორღანში სკოლებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკუთარი შენობები".

მეტად მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ მოსახლეობა ხალისით მონაწილეობდა სკოლებისა და ეკლესიების მშენებლობაში. იგი მთავრობისაგან მოითხოვდა უფრო მეტი სკოლების გახსნას. ასეთმა მოთხოვნებმა ცოტა უფრო მოგვიანებით, 80-ანი წლებიდან, ძალზე ფართო ხასიათი მიიღო[1]. გახშირდა აგრეთვე ინგილო ახალგაზრდების გაგზავნა თბილისის სასწავლებლებში. ამ პრაქტიკამ უკვე 60-ანი წლებისთვის საუკეთესო ნაყოფი გამოიღო. ზოგიერთი ინგილო ახალგაზრდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის რიგებში ჩადგა და მოწოდების სრული შეგნებით ეხმაურებოდა ინგილოთა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. იმ დროს ასეთი ახალგაზრდების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო დიმიტრი ჯანაშვილი, რომელიც „ინგილოს" ფსევდონიმით მეტად შინაარსიან წერილებს აქვეყნებდა ქართული პრესის, კერძოდ „დროების" ფურცლებზე. ნათლად შეიმჩნეოდა, რომ ყურანის სიბნელიდან თავდაღწეულმა და განათლებას დაწაფებულმა ინგილო ახალგაზრდობამ ძალზე მალე გამოამჟღავნა ახალი კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებათა შეთვისების უნარი. მან მთელის ძალღონით დაუწყო ბრძოლა საინგილოში თურქულ-სუნიტური რეაქციის მიერ დანერგილ შავ-ბნელ მემკვიდრეობას, იგი აძაგებდა დახავსებულ ჩვეულებებს, სასწაულებისადმი ბრმა რწმენას და ფანატიკურ-რელიგიურ შეზღუდულობასაც. ამ შემთხვევაში, კერძოდ დიმიტრი ჯანაშვილი, მიუხედავად მისი სასულიერო კარიერისა, ნამდვილად ინგილოთა ღირსეული განმანათლებლის როლში გამოდიოდა.

დ. ჯანაშვილმა გამანადგურებელი პასუხი გასცა შოვინისტ შოხელე პოსერბსკის, რომელმაც ინგილოთა შესახებ ცილისმწამებლური და თავმოყვარეობის შემბღალავი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „კავკაზში"[2].

ზაქათალის სკოლის მასწავლებელი პოსერბსკი ემსახურებოდა საინგილოში გაბატონებული მუსლიმანური ზედაფენის ინტერესებს და სწავლების დროს ერთმანეთს უპირისპირებდა ინგილო-

---

[1] 80-ან წლებში მოსახლეობამ თავის ხარჯზე იკისრა კახის სკოლის შენახვა (Отчет Общ. восст. христ. за 1888 г., Тифлис, 1889 г., стр. 100).

[2] Посербский. Закатальский округ („Кавказ", 1864 г. № 48).

ებისა და ლეკების შვილებს. იგი ჭარელი მებატონეების შვილებს მეტ ყურადღებას აქცევდა, ინგილო მოსწავლეებთან თითქმის არ მუშაობდა და მათ „უნიჭოებს“ ეძახდა. დ. ჯანაშვილი ააშკარავებდა ასეთი ცილისწამების ფესვებს და აღნიშნავდა: „იქაურ აღებს და ბეგებს არა ჰსურთ, რომ ინგილოს შვილი, მონის შვილი, იმათ შვილებთან ერთ სკამზე იჯდეს და სწავლობდეს“[1]. პირველი კლასიდან გამორიცხულ ორ თასმალოელ მოსწავლეს დ. ჯანაშვილისთვის განუცხადებიათ: „ჩვენ გვეუბნებოდა ჩვენი მასწავლებელი: „თქვენ ინგილოები რაიათები ხართო, რათ გინდათო სწავლა!“ მოსწავლეთა მშობლებიც ჩიოდნენ ამ უსამართლობაზე“[2].

პედაგოგიური ჩვევების ცოდნით აღჭურვილი დ. ჯანაშვილი ააშკარავებდა პოსერბსკისა და მის ზურგში მყოფი ფეოდალების მოქმედებას და სკოლაში სათანადო პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მეთოდების დანერგვას მოითხოვდა.

საინგილოში მოკალათებულ ლეკურ ფენას არ მოსწონდა ინგილოთა წარმომადგენლების თანდათანობითი გამოსვლა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე. თავის უკმაყოფილებას ეს ფენა არ მალავდა[3].

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ხელისშემშლელი მიზეზებისა, ქართველი ინგილოების ცხოვრებაში იწყებოდა ახალი პერიოდი. ეს იყო კულტურულ-შემოქმედებითი დაწინაურებისა და გამოცოცხლების პერიოდი. მრავალი ათეული წლების განმავლობაში მუსლიმანური ზედაფენის ბატონობის ქვეშ მყოფი განაწამები ინგილოები, თუმცა ნელის ტემპით, მაგრამ მაინც თანდათანობით თავს აღწევდნენ ამ ბატონობას და ახალი ცხოვრების ფერხულში ებმებოდნენ.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საინგილოში, მიუხედავად ცნობილი საგლეხო რეფორმის გაუტარებლობისა, გზას იკაფავდა ახალი საზოგადოებრივი წყობილება, ჩნდებოდა კაპიტალისტური წარმოება, „სასაქონლო წარმოების უმაღლესი ფორმა“[4]. ამ დროიდან მოყოლებული ინგილოთა კულტურულ-შემოქმედებითი

---

[1] დ. ჯანაშვილი. პოსერბსკის ტყუილები ინგილოებზე (გაზ. „დროება“ 1866, № 39).

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ი. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 16.

აღმავლობა უფრო შესამჩნევი ხდება. ისინი ამჭიდროებენ კავშირს საქართველოს კულტურულ ცენტრებთან, იბრძვიან მშობლიურ ქართულ ენაზე განათლებისათვის და პროტესტს უცხადებენ მეფის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას; ინგილოთა მოწინავე წარმომადგენლები ებმებიან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში.

აღნიშნული საკითხები და ბევრი სხვა ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში განიხილება.

დასკვნა

მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქვეყანა, რომელიც ქართულ ლიტერატურაში საინგილოს, ხოლო რუსულში ჭარ-ელაქინისა და ზაქათალის ოლქის სახელებითაა ცნობილი, წარმოადგენს საქართველოს ისტორიულ პროვინციას, ძველ აღმოსავლეთ კახეთს, რომელიც საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკური დაშლის ვითარებაში, მე-18 საუკუნის 20-იან წლებში, ოსმალეთ-ირანის აგრესიისა და დაღისტნელი მომთაბარეების გამუდმებულ შემოტევათა შედეგად. ეს მოვლენა აღმოსავლეთის მხრიდან საქართველოს ისტორიული მიწა-წყლისა და მოსახლეობის თანდათანობითი დაკარგვის მორიგ ტრაგიკულ აქტს წარმოადგენდა.

მე-16 საუკუნის II ნახევარში კახეთის ზეგნებში დაღისტნიდან ჩამოსახლებული მთიელები კახეთის მეფის ყმებს—მსუბუქად დაბეგრილ მოლაშქრეებს წარმოადგენდნენ. პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების საფეხურზე მყოფი დაღისტნელების დამოკიდებულებამ მდიდარი კახეთის ბარისადმი მალე მიიღო გამუდმებული ძარცვა-გლეჯის ხასიათი. დაღისტნელი აბრაგები ფართოდ ჩაებნენ ოსმალო დამპყრობელთა მიერ გაჩაღებულ ტყვე ადამიანებით ვაჭრობაში და დიდ ზიანს აყენებდნენ ქართლ-კახეთს.

მე-17 საუკუნის დამდეგს ირანელმა დამპყრობლებმა კახეთის სამეფოდან ჩამოცილებულ ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარეს ელისუს სასულტნოს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ აღძრული მტრული ძალების ერთი დასაყრდენი გახდა.

მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კახეთის მიწა-წყალზე საბოლოოდ ჩამოყალიბებული სამხედრო და სალაშქრო ორგანიზაციის ყაიდაზე მოწყობილი დაღისტნური თემები—ჭარის, ბე-

ლაქნის და თალას—განუწყვეტლივ ებრძოდნენ სოციალურ-ეკონომიურად დაწინაურებული კახეთის მოსახლეობას არსებობის ობიექტური პირობების მითვისება-შენარჩუნებისათვის. ეს ბრძოლა მაჰმადიანობის დანერგვის დროშით მიმდინარეობდა და კახეთში მყოფი ყიზილბაში ხანების პოლიტიკაც მას ობიექტურად ხელს უწყობდა. მიუხედავად ამისა აღნიშნულმა თემებმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ვერ მიაღწიეს. ისინი ბოლომდის რჩებოდნენ ხან ოსმალეთის, ხან კიდევ ირანის და საერთოდ საქართველოს წინააღმდეგ ამ სახელმწიფოების მიერ დარაზმული ბანაკის დაქვემდებარებულ წევრებად.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ოსმალთა ბატონობის დამყარებამ, მათ მიერ რეკლამირებულმა სარწმუნოებრივმა ომმა ქრისტიანეთა წინააღმდეგ და ამ ომში მთის მაჰმადიანური მოსახლეობის ერთი ნაწილის ჩათრევამ, რასაც კახეთში გაჩაღებული სოციალური ბრძოლაც ზედ დაერთო, დააჩქარეს საქართველოდან აღმოსავლეთ კახეთის პოლიტიკური ჩამოცილება.

ჭარელი ლეკები (=ფეოდალური ზედაფენა) ოსმალეთ-ირანის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ დაღისტნელ აბრაგთა რაზმების მეგზურები, წამქეზებლები და თანამებრძოლები იყვნენ.

ერეკლე მეფემაც, მიუხედავად მის მიერ ჩატარებული რიგი გადამწყვეტი ღონისძიებებისა, ვერ შეძლო კატასტროფულ ლეკურ-აბრაგულ შემოსევათა ალაგმვა და ჭარ-ბელაქნის დამორჩილება. ეს იყო საქართველოს წინაშე მდგარი უაღრესად რთული პრობლემა, რომელიც ფეოდალური რეაქციითა და საგარეო მტრების მოძალებით დაუძლურებულმა ქართლ-კახეთის სახელმწიფომ ვერ გადაწყვიტა.

აღმოსავლეთ კახეთში ჩამოსახლებულმა ტომებმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად შეძლეს მკვიდრთა საგრძნობი რაოდენობის განადგურება გაჟლეტა-დაყიდვის თუ ალაზნის გამოღმა გადმორეკის გზით. მოსახლეობის დიდი ნაწილი დამპყრობლებმა დაბეგრეს და იძულებით გაამუსლიმანეს. გაბატონებული კლასის ბევრმა წარმომადგენელმაც გამუსლიმანების გზით („გალეკებით") შეძლო თავისი მიწისა და არსებობის შენარჩუნება.

დაღისტნის მთიანი ნაწილის მომთაბარე ტომების გაბატონება დამორჩილებულ-დამონებული ქართველი ინგილოების შემდგომი

კულტურული ცხოვრების პერსპექტივების თვალსაზრისით, დიდი უკან დახევის მომასწავებელი იყო.

აღმოსავლეთ კახეთის ქართველი მოსახლეობის შემცირება-გადაგვარება ხდებოდა როგორც ფიზიკური მოსპობის, მძიმე სოციალური და ეროვნული ჩაგვრის, ისე სარწმუნოებრივი დევნის გზით. ეს პროცესი მეტ-ნაკლები სიძლიერით გრძელდებოდა ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მიუხედავად ამისა ინგილოები მთლად არ ჩამოსცილებიან საერთო ქართულ კულტურულ ხიადაგს. მათ დიდმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავისი არსებობა და ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტები.

სოციალური და ეთნიკური კატეგორიების—„ლეკი", „მუღალი", „ინგილო"—ერთმანეთში აღრევის შედეგად ოფიციალურმა სტატისტიკამ ვერ შემოგვინახა ზუსტი ცნობები ინგილოთა რაოდენობის შესახებ. მტკიცდება, რომ ინგილოთა რიცხვი XIX საუკუნის მიწურულისათვის დაახლოებით 25.000-დე აღწევდა და მთელი მოსახლეობის ერთ მესამედს უდრიდა. მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შეადგენდნენ ავარ-წახურები და მუღალები.

საინგილოს სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენდა XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX-ის დამდეგს საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. მწარმოებელი კლასი ძოკლებული იყო მშვიდობიანი შრომითი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობებს.

საინგილოში, ისე როგორც კახეთში საერთოდ, მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. სამეურნეო ცხოვრება მიედინებოდა ფეოდალური ურთიერთობის პირობებში მთელი თავისი ჩამორჩენილობით—წარმოების პრიმიტიული ტექნიკით. მემინდერეობა მხოლოდ ბარის ინგილოურ-მუღალური მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი. რაც შეეხებოდა მთიან ზოლში მცხოვრებ ავარებს, მათთან უპირატესი ადგილი მესაქონლეობას ეჭირა.

არსებულ ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობას ახასიათებდა შინამრეწველური ხელოსნობა, ნატურალური მეურნეობის ბაზარი. ეს გარემოება მოწმობდა სოციალურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას.

საინგილოში პოლიტიკურად და სოციალურად გაბატონებული საზოგადოებრივი ფენა მე-18—19 საუკუნეებში განსაკუთრებით სპეციფიკურ ვითარებაში და თავისებურ ფორმებში ჩამოყალიბდა.

ქართულმა ფეოდალურმა ზედაფენამ, რომელსაც მე-18 საუკუნის 20-ან წლებამდე აღმოსავლეთ კახეთში ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი თავისი ბატონობა, დაღისტნურ თემებთან ბრძოლაში მარცხი განიცადა. მაგრამ ეს ფენა არ გამქრალა. ფეოდალთა გარკვეულმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო და თავისი სოციალური პრივილეგიები ნაწილობრივ შეინარჩუნა. ეს მოვლენა რამდენადმე მიაგავდა სამხრეთ საქართველოს გაოსმალების პროცესს.

ბატონყმური კახეთის გავლენის შედეგად ჩამოსახლებულთა გვაროვნულ-თემური წყობილება ინგრეოდა და თემებს შიგნით ყალიბდებოდა ფეოდალური ზედაფენა, რომელიც საინგილოს მიწა-წყალს იჩემებდა. „ლეკური“ ფეოდალური ზედაფენა ადგილობრივ ფეოდალთა გარკვეულ ნაწილთან კონტაქტში მოექცა. სხვაგვარად არც შეეძლოთ ამ თემებს ადგილობრივი „ფეოდალების შეცვლა“. აღმოსავლეთ კახეთში გაბატონებული საზოგადოება ძიერიდან წარმოდგა მკვიდრი გაბატონებული ძალებისა და ლეკურ-მუსლიმანური ფეოდალიზებული ძალების შერწყმით. ქართული ბატონყმური ელემენტები ის მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, სერიოზული სოციალურ-კულტურული ძალა იყო, რომელსაც საინგილოში ჩამოსახლებული ავარ-წახურების პატრიარქალური წყობილება სწრაფი ტემპით უნდა გადაეგვარებინა და თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

საინგილოს მთელი მიწის იურიდიულ მესაკუთრედ ითვლებოდა დაღისტნური „თავისუფალი თემი“, რომელიც ინგილოურ-მუღალური სოფლებისადმი „კოლექტიური სენიორის“ როლში გამოდიოდა. ადრინდელ საფეხურზე იგი დამპყრობლური ხარკის მიმღები უნდა ყოფილიყო. ეს ხარკი თანდათანობით იქცეოდა ფეოდალური დამოკიდებულობის ფორმად და ასეთი გადაქცევა უნდა მომხდარიყო „თავისუფალი“ თემების დაშლასთან დაკავშირებით. საფიქრებელია, რომ „კოლექტიურ სენიორიას“ საფუძველი შეუქმნა საინგილოს ყმა გლეხებში ძველთაგანვე არსებულმა მიწითსარგებლობის თემურმა წესმა. დაპყრობილი მიწისა და კომლების დანაწილება ამ სენიორიის დაშლისა და მიწისმფლობელთა კლასის გამოყოფის საფეხური იყო.

XVIII საუკუნის მიწურულიდან და XIX-ის დამდეგიდან აღმოსავლეთ კახეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში ადგილობრივ მებატონეთა ერთ ნაწილთან შერწყმული მუსლიმანი-

ფეოდალების კლასი იდგა. ამ კლასის პოლიტიკურ დაწესებულებებს საკმაოდ დიდხანს შემორჩა გვაროვნულ-თემური ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი გარეგნული ფორმები.

ლეკური თემების შინაგანი წყობილებისათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი, რომელიც თანამედროვე ლიტერატურაში დაღისტნის ავარულ თემებში მაშინ არსებული ადათისა და შარიათის ანალოგიადაა დახასიათებული, ნამდვილად ქართული ბატონყმური სამართლის გავლენა-ზემოქმედების შედეგი იყო. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავდა ადათ-შარიათის თუნდაც სერიოზულ გავლენას.

მწარმოებელი კლასის—გლეხობის მომეტებული ნაწილი საინგილოში XIX საუკუნის I მესამედში ფეოდალთა მიწებზე იჯდა, პირად თავისუფლებას მოკლებული იყო და ძირითადად ქართული ბატონყმური ურთიერთობის პირობებში იმყოფებოდა. მიწაზე მიმაგრების პროცესი ავარულ სოფლებში საბოლოოდ არ იყო დასრულებული. ბარისა და მთის სოციალური ძალების შერწყმამ, რასაც ბარის ურთიერთობის ჰეგემონია ახასიათებდა, საინგილოში არსებულ სოციალურ ურთიერთობას შემოურჩინა არქაული წყობილების მნიშვნელოვანი გადმონაშთები. ეს კი უპირველეს ყოვლისა ჩანდა ეთნიკური კატეგორიებისა და სოციალური ჯგუფების გარეგნულ მსგავსებაში. „ლეკი", „მუღალი" და „ინგილო" გვიანდელი ხანისათვის ძველ შინაარსს მოკლებული ტერმინები იყო. ეს ტარმინები შეცვლა ბატონმა—აღამ („ლეკი"), ყმა გლეხმა ანუ რაიათმა („ინგილო", „მუღალი", „ავარი"), მსახურმა და აზატმა, ანუ უზდენმა, მააფმა და სხვ.

წახურ-ელისუს სულტანი და ბეგები საინგილოს გაბატონებული კლასის ერთ, მეტ-ნაკლებად თავისებურ ბანაკს შეადგენდნენ. სულტანმა თავისი უფლებები რამდენადმე გააფართოვა რუსული მართველობის პირობებში. იგი თავის ყმა გლეხებისადმი თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა.

ელისუს ბეგები თავიანთი სოციალური ბუნებით გამოირჩეოდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა ბეგებისაგან. უკანასკნელთაგან განსხვავებით ისინი თავიანთ მიწებს მემკვიდრეობიო მფლობელობის წესით ინარჩუნებდნენ და ამით ქართული ბატონყმური ურთიერთობისათვის დამახასიათებულ ელემენტებს წარმოადგენდნენ. ამას, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლიდა მათი მუსლიმა-

ნური სახელი—„ბეგი“, რომელიც, ისე როგორც სოციალური კა-ტეგორიების აღმნიშვნელი მუსლიმანური სხვა ტერმინები, საინ-გილოში მაჰმადიანობის გავრცელებას მოჰყვა.

საკუთრივ ჭარ-ბელაქნისაგან განსხვავებით, ელისუს სასულ-ტნოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა უფრო ჩამოყალი-ბებული ფორმით ჩანდა. აქაური გლეხობა—რაიათები ბეგთა სა-შვილიშვილო მიწებზე ისხდნენ და ბატონყმური რიგის სამსახურით იყვნენ ვალდებულნი.

* * *

XIX საუკუნის დამდეგიდან ჭარ-ბელაქანი უკვე მეფის რუსე-თის ხელში გადასული აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახე-თის გუბერნიის სახიფათო მეზობელი იყო და ძველებურად რჩე-ბოდა, როგორც საქართველოს წინააღმდეგ მოდენილ ქურდულ-ავაზაკური თავდასხმების საბუდარი. ჭარ-ბელაქანი ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში რუსთა ზურგში მყოფი ის ძალა იყო, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. მთავრობის წინაშე მწვავედ დადგა ჭარის დაპყრობის ამოცანა, რომელიც მან დასაწყისში ძველი ქართული მიწა-წყლის „შეკრე-ბა-გაერთიანებისათვის ბრძოლის“ ნიღაბს ამოაფარა.

1803 წ. რუსეთის მთავრობამ ჭარ-ბელაქანი იძულებით მოაქ-ცია თავის მფარველობაში და დახარკა. ეს იყო იმ დროს მთავარ-მმართველი ციციანოვის მიერ კარგად მომარჯვებული პოლიტი-კის—მფარველობის გზით დამორჩილების—ერთი აქტი, რომლის საფუძველზე ჭარი რუსეთის ბატონობის სფეროში ექცეოდა. ჭა-რის დამორჩილებაში რუსებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდ-ნენ ქართველები, რომლებიც ძველი ისტორიული მიწა-წყლის შემოერთებისათვის იბრძოდნენ. საინგილო რუსეთის მფლობე-ლობაში მყოფ საქართველოს უბრუნდებოდა. მაგრამ, 1803 წ. ჭარის დამორჩილება მხოლოდ დროებითი იყო.

რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში (1805—1813 წწ.) ჭარ-ბელაქნელი აღალარები რუსთა წინააღმდეგ მებრძოლ მტრულ ბანაკში რჩებოდნენ, არ იხდიდნენ ხარკს, იფა-რავდნენ რუსთა მოწინააღმდეგეებს, მოელოდნენ რუსეთის დამარ-ცხებას, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. რუსეთის მთავრობა თა-ვის მხრივ ჭარელ ფეოდალებს უპირისპირებდა ელისუს სულტანს,

ამწვავებდა ეროვნულ შუღლს ავარ-წახურებსა და ინგილოებს შორის და ლეკურ სოფლებშიაც განხეთქილებას სთესდა. მოსალოდნელი იყო, რომ ომების დასრულების შემდეგ რუსეთი საბოლოოდ შემოიერთებდა ჭარ-ბელაქანს, მაგრამ ასე არ მოხდა. ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ ომების შემდეგ ჭარში გარეგნული სიმშვიდე დამყარდა და მთავრობა კმაყოფილებას მიეცა.

ირანთან მორიგი ომის დაწყების დღიდანვე (1826 წ.) ჭარი კვლავ რუსთა მოწინააღმდეგეების ერთი საყრდენი უბანი ჩანდა. თითქმის მეოთხედი საუკუნის გამოცდილებამ რუსეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ ჭარის პრობლემის გადაწყვეტა ამ ოლქის მხოლოდ უშუალო შემოერთების გზით თუ შეიძლებოდა, რომ ვიდრე ჭარს საშინაო თვითმმართველობა ჰქონდა, ხოლო დაღისტანთან დამაკავშირებული გზები ღია იყო, რუსეთის მთავრობასა და ქართლ-კახეთს ჭარის მხრიდან მოსვენება არ ექნებოდათ. ამიტომ მორიგი ომების (1826—1829 წწ.) წარმატებით დასრულების შემდეგ, 1830 წ., რუსთა რაზმებმა ჭარ-ბელაქანი დაიკავეს და იქ რუსული მმართველობა შემოიღეს. ამიერიდან საინგილო რუსული მმართველობის ქვეშ გაერთიანებულ საქართველოს შემოუერთდა. ეს კი მკვიდრი მოსახლეობის მომავალი ცხოვრების პერსპექტივთა თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ჭარში რუსული მმართველობის შემოღების შედეგად უკმაყოფილო გაბატონებული ფენები მჭიდროდ დაუკავშირდნენ იმ დროს დაღისტანში თურქეთის მიერ დანერგილ რეაქციულ-მიურიდულ მოძრაობას, რომელიც ამიერკავკასიაში რუსთა ბატონობის მოსპობისა და ოსმალეთის პროტექტორატის დამყარებისაკენ იყო მიმართული. ასეთ ვითარებაში წარმოიშვა 1830 წ. აჯანყება.

1830 წ. აჯანყება ჭარ-ბელაქანში წარმოადგენდა რუსთა ბატონობის შედეგად უკმაყოფილო ფეოდალური ზედაფენების ამბოხებას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მიურიდულ რეაქციას. აჯანყებულთა ბანაკში მყოფ ძირითად მებრძოლ მასას მიურიდები შეადგენდნენ. ისინი, ჭარელ მებატონეთა დიდ ნაწილთან ერთად, მიზნად ისახავდნენ რუსთა ბატონობის მოსპობას ჭარში, რომელიც მათთვის სტრატეგიულ ბაზად უნდა გადაქცეულიყო. აჯანყება ემსახურებოდა ოსმალო და ინგლისელი დამპყრობლების მიზნებს. ამიტომ მას არ მიემხრნენ მშრომელი მასები— ინგილოები, მუღალები. ინგილოები და გამუსლიმანებული ქართ-

ველი ფეოდალების ერთი ნაწილი მხარს უჭერდნენ რუსთა რაზმებს და ამით რუსული მმართველობის ქვეშ მყოფ საქართველოსთან კავშირის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ.

აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში ჭარი კვლავ გადაიქცეოდა ქურდულ-აბრაგული შემოსევების ბუდედ, თურქული აგენტურის სათარეშო ასპარეზად. საინგილო ამით დაჰკარგავდა სოციალურ-ეკონომიური ზრდის პერსპექტივებს და დიდი ხნით გაეხვეოდა მიურიდული რეაქციის გარსში.

ფართო მასებს მოწყვეტილი რეაქციული აჯანყება, როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდა და ჭარის შემოერთებაც უკვე საბოლოო გახდა. ამასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა შესამჩნევი ცვლილებები მოახდინეს იქ არსებულ სოციალურ ურთიერთობაში.

აჯანყების შემდეგ მებატონე ლეკთა უფლებები შეიზღუდა და მწარმოებელი კლასის მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მთავრობამ ჭარში გაბატონებულ ლეკთა ძირითად ნაწილში საბოლოოდ შეიცნო რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ბანაკის სერიოზული ძალა, მიურიდიზმის ერთი არტერია და განსაზღვრა თავისი პოლიტიკური ხაზი—„მტრულ ლეკთა ჩატონობის შესუსტება“. ამიერიდან მებატონეებსა და ყმა გლეხებს შორის მთავრობა ჩადგა და ურთიერთობა უმთავრესად ნატურალური ბეგარით შემოიფარგლა.

1838 წ. დაღისტანში გამწვავებული მდგომარეობის გამო, როდესაც სოციალურად თითქმის განიარაღებული ჭარელი ლეკები მიურიდებს უკავშირდებოდნენ, მთავრობა იძულებული გახდა აღედგინა ჭარელი მებატონეებისთვის „პურის შემოსავალი“ ინგილოური სოფლებიდან. მიუხედავად ამისა ლეკებმა თავიანთი ძველი უფლებების სრული აღდგენა ვერ მოახერხეს.

1830-1838 წლების შემდეგ გლეხთა დამოკიდებულება მებატონეებისადმი, თუ ხაზინისადმი, ძირითადად განისაზღვრებოდა ე. წ. საქეშქელო დამოკიდებულებით, რომელიც ძველი კახეთის ფეოდალური წყობილების ნიადაგზე განვითარდა და რომლის დედააზრი მიწის ფეოდალურ რენტაში იყო. ეს დამოკიდებულება გვიანდელი გადმონაშთის სახით საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთს გულისხმობდა. მისი ფესვები აღმოსავლეთ საქართ-

ველოს ზოგ რაიონებში დიდხანს შემორჩენილი თემური მიწითსარგებლობის წესში უნდა ყოფილიყო.

XIX საუკუნის 40-ანი წლების მიწურულსა და 50-ანის განმავლობაში საინგილოს გლეხობის მდგომარეობა წინანდელთან შედარებით უფრო მძიმდებოდა. მთავრობა უკვე აშკარად ანგარიშს უწევდა გაბატონებულ კლასს. ამის მიზეზი მთაში მიურიდიზმისა და შამილის რეაქციული მოძრაობის გაძლიერება იყო. მიუხედავად ამისა საინგილოს ყმა გლეხობის დიდი ნაწილი საბატონო ძუშაობითი ბეგარისაგან მაინც თავისუფალი რჩებოდა. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ელისუს უბნის გლეხთა ერთი ნაწილი, რომლის მიმართ ბეგები ძველებურად ძალმომრეობდნენ. რაც შეეხებოდა ამ უბნის მეორე ძირითად ნაწილს, იგი მეფის მთავრობის განსაკუთრებული იდეოლოგიური პოლიტიკის შედეგად სახაზინო გლეხთა მდგომარეობაში მოექცა და ამით მისი სოციალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

50-ან წლებში საინგილოში ქეშქელების გამოსყიდვა ხშირი მოვლენა გახდა. ეს კი ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგი იყო. ვაჭარ-მევახშეები ამ დროს ხელიდან აცლიდნენ გლეხებს საწარმოო საშუალებებს, ზოგჯერ კი მიწისმფლობელთა ადგილს იკავებდნენ, მაგრამ წარმოების წესი უცვლელი რჩებოდა. შეიმჩნეოდა გლეხთა დაშლის სუსტი პროცესი, რომელიც XIX საუკ. 60-ანი წლებიდან საგრძნობლად დაჩქარდა.

საინგილოში არსებულ სოციალურ ურთიერთობას დიდხანს შემორჩა საზოგადოებრივი მიწითსარგებლობის ფორმები, რომლებიც ტრადიციული აღმოსავლურ-ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ამავე დროს ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობის შორეული გადმონაშთი იყო.

1830 წ. ჭარის შემოერთებით, მართალია, სერიოზული პოლიტიკური პრობლემა გადაწყდა, მაგრამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას ჯერ კიდევ აღელვებდა რეაქციული მიურიდიზმი. ეს გარემოება საქართველოს საზღვრებთან საგანგაშო მდგომარეობას ინარჩუნებდა. ამიერიდან ჭარ-ბელაქნის სტრატეგიულ პოზიციას ცვლიდა რუსთა მიერ გამაგრებული ლეკური საკორდონო ხაზი, რომელიც მუდმივი თავდასხმების ქვეშ იყო. ამ ხაზს, რომელიც ჭარზე გადიოდა, მარტო თავსაცავი მნიშვნელობა არ ჰქონია. რუსეთის მთავ-

რობა ენერგიულად ემზადებოდა დაღისტნის საბოლოო დაპყრობისათვის.

მიუხედავად ჭარის შემოერთებისა და საკორდონო ხაზის გამაგრებისა, კახეთზე ქურდული თავდასხმები 40-ან წლებშიაც გრძელდებოდა და არ შეწყვეტილა, ვიდრე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საბოლოო დაპყრობამდე. მიურიდების გაძლიერება დიდ გავლენას ახდენდა ჭარ-ბელაქანზე, სადაც მათ ბევრი მომხრე ჰყავდათ. რუსეთით უკმაყოფილო მუსლიმანური სამღვდელოება და ფეოდალთა გარკვეული ნაწილი შამილის მოახლოებას მოელოდენ და ჭარის ძველი „დამოუკიდებლობის" აღდგენაზე ოცნებობდნენ. 1840 წ. რეფორმის შედეგად უფლებებში შეზღუდულ ელისუს სულტანსაც შამილზე ეჭირა თვალი. 1844 წ. შამილის ბანაკში გადასვლით სულტანმა საბოლოოდ გამო

როგორც აბრაგულ „ლეკურ“ ბანდებს, რომლებსაც მხოლოდ ადამიანების ტყვეებად დატაცება, ნადავლის შოვნა აინტერესებდათ და რომლებიც სისხლიდან სცლიდნენ საქართველოს.

მოწინავე ქართველები თვლიდნენ, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური სიმშვიდის უდიდესი გარანტია იყო; მიურიდების დამარცხებითა და შამილის დატყვევებით იწყებოდა ახალი პერიოდი საქართველოსა და დაღისტნის ხალხების ურთიერთობაში.

მეფის რუსეთი საქართველო-ამიერკავკასიაში თავისი მფლობელობის გასაფართოებლად ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის ნიღაბითაც მოქმედებდა. აღმოსავლეთ კახეთში წარმოებული იდეოლოგიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა საიმედო დასაყრდენის შექმნას. მუსლიმანურ ზედაფენას, რომელმაც მკვიდრი მაჰმადიანური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მართლაც აიყოლია და პანისლამისტური ლოზუნგის—„ჰაზავათის“ დროშის ქვეშ დააყენა, მთავრობა უნდობლობით უყურებდა და სთესდა განხეთქილებას სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ამიერკავკასიის ხალხებში. მთავრობა ქრისტიანული სარწმუნოების ფართო მაშტაბით გავრცელების მიზნით ახალმოქცეულთა მატერიალურ მდგომარეობას აუმჯობესებდა, ქრისტიან ინგილოებს ლეკთა და ბეგთა ყმობისაგან ათავისუფლებდა, სახაზინო გლეხებად აქცევდა და ამით ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას ფეოდალებსა და გლეხებს შორის.

მიუხედავად აღნიშნულისა „გაქრისტიანება“ ინგილოთა ეროვნულ შემობრუნებას აღნიშნავდა. ხდებოდა დაკავშირება დაწინაურებული რუსეთის სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ მყოფ საქართველოს მდიდარ კულტურასთან და საერთოდ განვითარებულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, აღმავალ ისტორიულ პროცესთან. თურქული აგენტურის მიერ გამოყენებული ისლამი კი ამ დამაკავშირებელ საშუალებებს ახშობდა, ქმნიდა რა მაშინ ქრისტიანობისა და რუსეთისადმი დაუსრულებელ მტრობას.

მეფის მთავრობის იდეოლოგიური პოლიტიკა საინგილოში 1863 წ. მომხდარი აჯანყების ერთი მიზეზთაგანი გახდა. ამას მიემატა ბელაქნის ფეოდალებსა და თავისუფალ გლეხებს შორის არსებული წინააღმდეგობის გამწვავება. შექმნილი სიტუაცია ოსმალეთის აგენტებმა და მიურიდული რეაქციის ნაძირალებმა ხალხის ასაჯანყებლად გამოიყენეს.

1863 წ. აჯანყება წარმოადგენდა რეაქციულ ამბოხებას, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ბატონობის მოსპობას და შამილის იმამატის მსგავსი ავანტიურისტული მმართველობის შექმნას აღმოსავლეთ კახეთში. ამ აჯანყების სწრაფმა დამარცხებამ კიდევ ერთხელ და სამუდამოდ ნათელჰყო, რომ მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობამ საბოლოო მარცხი განიცადა, რომ მიურიდთა ბრძოლას მასების ინტერესებთან საერთო არაფერი ჰქონია.

აღნიშნული აჯანყება საინგილოში რუსეთის პოლიტიკის გარდატეხის ერთი ეტაპი გახდა. პოლიტიკის ცვლილება ნაკარნახევი იყო საქართველო-ამიერკავკასიაში მეფის მთავრობის ბატონობის განმტკიცებით. 1864 წ. დასრულდა კავკასიის საბოლოო დაპყრობათვის წარმოებული ხანგრძლივი ომი. ამიერიდან იწყებოდა კაპიტალისტური წყობილების განვითარების პერიოდი. ქრისტიანობის ნიღაბი უკვე საჭირო აღარ იყო; ასევე „საქართველოს გაერთიანების" თვალთმაქცურმა ლოზუნგმაც დრო მოჭამა. რუსეთისათვის უკვე სულ ერთი იყო, თუ რომელი ოლქი ვისთან და რომელ ადმინისტრაციულ ერთეულში იქნებოდა, ოღონდ კი რუსეთის ფარგლებში ყოფილიყო და ასეთ ადმინისტრაციულ გაერთიანებას ხელი არ შეუწყო პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნის (თუ აღდგენის) ტენდენციისათვის (აკად. ნ. ბერძენიშვილი). ამით აიხსნებოდა, რომ 1860 წლიდან რუსეთმა „ზაქათლის ოლქის" სახელით მონათლული საინგილო ჯერ ზემო დაღისტნის უფროსის კომპეტენციაში შეიყვანა, ხოლო შემდეგ „კავკასიის სამთო სამმართველოს" სფეროში მოაქცია. უგულებელყოფილ იქნა საინგილოს კულტურულ-ეკონომიური დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომლის ეროვნულ გამთლიანებას ცარიზმი ხელს უშლიდა.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა საინგილოში მთავრობის მიერ წარმოებულ სოციალურ-ეკონომიურსა და იდეოლოგიურ პოლიტიკას თავისი ობიექტური შედეგებით მკვიდრთა ცხოვრების გაუმჯობესება მოჰქონდა. ამის შედეგი საგრძნობი გახდა უკვე სამოციანი წლებიდან, როცა ზოგიერთი ინგილო ახალგაზრდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ბანაკში ჩადგა და მოწოდების სრული შეგნებით ეხმაურებოდა ინგილოთა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. ნათლად შეიმჩნეოდა, რომ ყურანის სიბნელიდან თავდაღწეულმა და განათლებას დაწაფებულმა ინგილო ახალგაზრ-

დობამ ძალზე მალე გამოამჟღავნა ახალი კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებათა შეთვისების უნარი.

მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, რომელსაც ინგილოები განიცდიდნენ ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, მათ ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ხანა—სოციალურ-ეკონომიური და კულტურული დაწინაურების პერიოდი, რომელიც ემთხვეოდა კაპიტალისტური წყობილების წარმოშობა-განვითარების დასაწყისს. ინგილოები ამჭიდროებდნენ კავშირს საქართველოს ცენტრებთან, იბრძოდნენ მშობლიური ქართული ენისათვის, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ებმებოდნენ.

დამოწმებული ლიტერატურისა და წყაროების სია

1. კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1934 წ., თბილისი.
2. К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. т. V, IX, X, XVI ч. I, XXI и XXIII.
3. კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, 1952 წ. თბილისი.
4. ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში, 1932 წ., თბილისი.
5. ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950 წ.).
6. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. III, გამოცემა მეოთხე, 1948 წ.
7. ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. II და V.
8. ი. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ.
9. Агаян Р. А. Бакиханов, Изд. АН Аз. ССР. Баку, 1948 г.
10. Адаты Дагестанской области и Закатальского округа, под редакцией Сандрыгайло, Тифлис, 1899 г.
11. Акты собранные Кавказской Археографической Комиссей, т. т. I, II III, IV, V, VI ч. I и II, VII, VIII, IX, X и XII.
12. ბარათაშვილი ნ. ლექსები, პოემა, წერილები, თბილისი, 1939 წ.
13. ბატონიშვილი დავით. ახალი ისტორია. ბ ბ ბ

24. Грамоты и другие документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т. 1, 1891 г.; т. II, вып. II. 1902 г. под редакцией Цагарели.
25. ბუგუშვილი პ. თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1946 წ.
26. გულისაშვილი ხ. მგზავრის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიყზედ („ივერია", 1882 წ., № XI).
27. გურიელი მამია. თხზულებანი (მ. ფაზელისა). ი. მეუნარგიას შესავალი წერილით, 1897 წ.
28. Дагестанская Автономная Советская Социалистическая Республика (БСЭ, второе издание, т. 13, 1952 г.).
29. Даниалов А. Об извращениях в освещении мюридизма и движения Шамиля („Вопросы Истории", 1950 г. № 8).
30. Джанашвили М. Ингилойские сказки (СМОМПК, т. 32, 1903 г., Тифлис).
31. Дубровин Н. История войны и владычества русских на Кавказе т. II и IV.
32. დუმბაძე მ. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950.
33. Erckert R. Die Sprache des Kaukasischen Stammes. Wien. 1895.
34. ედილი ხ. საინგილო, თბილისი, 1947 წ.
35. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ.
36. ვახუშტი. საქართველოს ისტორია. ნაწ. II (ქართლის ცხოვრება. ნაწ. II, ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854 წ.)
37. Волконский. Война на Восточном Кавказе с 1824—1834 в связи с мюридизмом (журн. „Кавк. Сборник", т. XI—XII. 1887—1888 г.
38. Волконский. История Грузинской пешей его имп. Высочества Великого князя Георгия Михайловича дружины, Тифлис, 1884 г.
39 Закатальский округ (Кавказский Календарь на 1917 г. Отдел общий, стр. 296—310).
40. Закатальский округ. Свод статистических данных, извлеченных из посемейных списков населения Кавказа, Изд. Кавк. ст. ком. Тифлис, 1887 г.
41. Иванецко В. Н. Гражданское управление Закавказьем. Тифлис, 1901 г.
42. იმნაიშვილი გ. ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1947 წ.
43. Иоселиани П. Путевыя записки по Дагестану в 1861 г. Тифлис, 1862 г.
44. ისტორიის სწავლებისათვის. კრებული, საქ. კ.პ.(ბ) პარტგამომცემლობა, 1937 წ.
45. История СССР, ч. II, под редакцией проф. М. В. Нечкиной, 1940 г.
46. Кавказские войны (БСЭ, перв. изд. т. 30, 1937 г.).
47. Кавказский Календарь на 1866 г. Литературный отдел; на 1917 г. Справочный отдел.
48. Карта бывшего Елисуйского Султанства (Сборник сведении о Кавказских горцах, вып. VII, 1873 г.).
49. Карта Дагестанской АССР. Для служебного пользования, 1947 г.

50. К вопросу о раятах (газ. „Дагестанския Ведомости“, 1910 г., № 13. 28. III.).
51. კიკვიძე ა. გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ., თბილისი, 1941 წ.
52. Ковалевский П. И. Завоевание Кавказа Россией, СПБ. 1911 г
53. Ковалевский М. Закон и обычай на Кавказе, т. II, Москва. 1890
54. Колониальная политика царизма в Азербайджане, т. I, т. II.
55. Краткое историческое сведение о султанах Елисуйских (Акты, т. VII, № 392, стр. 450).
56. Колюбакин Н. П. Об отношениях поселян к владельцам земли в Белаканском округе („Кавказ“, 1848 г., № 52).
57. Коцебу. Статистические сведения о Чарских владениях, собранные на месте полковником Коцебу в 1826 году (Москва, ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, Л. 3—11).
58. Линден. Высшие классы коренного населения Кавказского края и правительственныя мероприятия по определению их сословных прав. Тифлис, 1917 г.
59. Линевич. Бывшее Елисуйское султанство (Сборник свед. о Кавк. горцах, вып. VII, 1873 г.).
59а. Магомедов Р. Дагестан в период царского завоевания, Махачкала, 1940 г.
60. Магомедов Р. Дагестан в эпоху татаро-монгольского ига. 1940 г.
61. Марков Е. Очерки Кавказа, картины кавк. жизни, природы и истории, СПБ, 1904.
62. Маркова О. П. Восстание в Кахетии 1812 г. Москва, 1951 г.
63. მეგრელიძე ბ. დედა ენის საკითხი ქართველ მუსლიმან ინგილოებში (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1928 წ. № 2).
64. მეგრელიძე ბ. სწავლა-განათლების საქმე საინგილოში (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1928 წ. № 15.).
65. Население Закатальского округа по народной переписи 1871 г. (Сборн. свед. о Кав. горцах, вып. VI, 1872, разд. III).
66. ნინოშვილი ეგნატე. თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1950 წ.
67. ორბელიანი გ. პოეტური ნაწერების სრული კრებული, 1951 წ. აკაკი გაწერელიას რედაქციით და შესავალი წერილით.
68. ორბელიანი გ. წერილები, ტ. I, 1832—1850 წ.წ. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციით და შენიშვნებით. 1936 წ., ტ. II. 1937 წ.
68а. Обзор Дагестанской области за 1899 г. Темир-Хан-Шура, 1900 г.
69. Обзор деятельности Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг. Тифлис, 1910 г.
70. Отчет Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862—1863 гг. Тифлис, 1865.
71. Отчет Общества восст. христ. за 1869 г.
72. Отчет Общества восст. христ. за 1888 г. Тифлис, 1889. г.
73. Парадов Г. С. Некоторые подробности путешествия мусульман Закатальского округа в Мекку (СМОМПК, т. 32, 1903 г. Тифлис).
74. Пахомов. О сословно-поземельном вопросе в Азербайджане, Баку, 1926 г.

75. Петрушевский И. П. Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тифлис, 1934 г.
76. Петрушевский И. П. Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—нач. XIX в. Ленинград, 1949 г.
77. Писаревский Г. Г. Уничтожение в Закатальском округе зависимых отношений (Труды Института истории АН Азербайджанской ССР, 1947 г., т. 1).
78. По поводу восстания в Закатальском округе („Кавказский Сборник" т. X, 1886 г.).
79. Посербский. Закатальский Округ („Кавказ" 1864 г. № 43).
80. Посербский. Очерк Закатальского округа („Кавказский календарь" 1866 г.).
81. Путеводитель по Кавказскому военно-историческому музею. Тифлис. 1915 г.
82. „Правда", 14. V, 1950 г., ვ. 2, „В Комитете по Сталинским премиям в области литературы и искусства".
83. Пятиверстная карта Кавказского края. Изд. Кавк. топогр. управл. Тифлис, 1913 г.
84. საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ. მ. დუმბაძის რედაქციით. „საისტორიო მოამბე", ტ. 4, 1950 წ.
85. Сказание очевидца о Шамиле. Гаджи-Али (перевод с арабского. Сборник св. о Кавк. горцах, вып. VII, 1873 г.).
86. Смирнов П. Шейх-Мансур и его турецкие вдохновители („Вопросы истории", 1950 г., № 10).
87. Слюсаренко. Последний поход Аргутинского-Долгорукова („Кавказ", 1860 г., № 6—7).
88. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (საქ. ცსსა). ფონდები. 2(8), 5, 10, 236, 416, 424, 545 და განსაკ. მნიშვნელობის საქმ. ფონდი.
89. Указы Кубинских ханов. Кн. 3, Тбилиси, 1937.
90. Фадеев. Мюридизм как орудие агрессивной политики Турции и Англии на северо-западном Кавказе в XIX столетии (журн. „Вопросы Истории", 1951 г., № 6).
91. ფარადაშვილი გ. წმ. გიორგობა საინგილოში („ივერია", 1900 წ. № 266).
92. ფარადაშვილი გ. ყორალანი („ივერია", 1901 წ., № 30).
93. ფარადაშვილი გ. წერილი საინგილოდან („ივერია", 1900 წ., № 44).
94. Фон-Плотто. Природа и люди Закатальского округа (Сборн. свед. о кав. горцах, вып. IV, 1870 г.).
95. ფუთურიძე ვ. მირზა ფუსუფ ყარაბაღელი და მისი ისტორია „თარიხ ალ-საფი" (მასალები საქ. და კავკ. ისტ., 1951 წ., ნაკვ. 29).
96. ღამბაშიძე რ. ინგილოური კილო (სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრ., XXX ტ. 1947 წ.).
97. Шопен Иван. Новыя заметки на древния истории Кавказа и его обитателей, СПБ, 1866 г.
98. Чеишвили Н. К истории борьбы грузинского народа против турец-

ких питервоптов во время Восточной войны 1853—1856 гг. (Труды Батумского Гос. Пединститута им. Руставели, т. II, 1952 г.).
99. ЦГВИА, Москва, фонд ВУА.
100. ЦГИА Азербайджанской ССР, фонды: 15, 128 и 579.
101. ЦГИА Дагестанской АССР, фонд № 90.
102. წერეთელი აკაკი. შამილის სიხმარი (თხზულებანი, ტ. 1, ლექსები, 1940 წ.).
103. ჭაკჭავაძე ილია. თხზულებანი, ტ. VIII. 1927 წ.
104. Хачапуридзе Г. К истории Грузии первой половины XIX века, Тбилиси, 1950 г.
105. Хроника войн Джара под редакцией Хулуфу. С примечаниями Пахомова, Баку, 1931 г.
106. Хроника Мухаммеда Тахира ал-Карахи. Изд, АН СССР, М-Л. 1941 г.
107. ჯავახიშვილი ი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. თბილისი, 1919 წ.
108. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია. ტ. 1.1928.
109. ჯანაშვილი დ. (ინგილო). ვაი ჭკუისაგან. „დროება", 1867 წ., № 40.
110. ჯანაშვილი დ. ინგილოების ჩივილი იმაზე, რომ ისინი ინგილოებში ქალებს სათხოვრად ვერ შოულობენ („დროება", 1866 წ. № 42).
111. ჯანაშვილი დ. პოსერბსკის ტყუილები ინგილოებზე („დროება", 1866 წ. № 30—40).
112. ჯანაშვილი დ. ქიზიყელები საინგილოში („დროება", 1867 წ., № 24).
113. ჯანაშვილი დ. შაჰ-აბასის შემოსევა საქართველოში და საინგილო, თბილისი, 1907 წ.
114. ჯანაშვილი დ. წარსული და მომავალი ინგილოების ცხოვრება, („დროება", 1867 წ., № 47—48).
115. ჯანაშვილი მ. საინგილო („ძველი საქართველო", ტ. II, თბილისი, 1911—1913 წ.).
116. Эсадзе С. Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тифлис, 1907 г.
117. Эсадзе С. Штурм Гуниба и пленение Шамиля, Тифлис, 1909 г.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

I. სოციალურ-ეკონომიური ვითარება აღმოსავლეთ კახეთში XIX საუკუნის I მესამედში

1. აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობა 5
2. სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობის ზოგადი დახასიათება . 37
3. ქართული ფეოდალური ზედაფენა 47
4. „ლეკური“ თემების შინაგანი წყობილების საკითხისათვის 63
5. გაბატონებული „ლეკთა“ კლასი XIX საუკუნის I მესამედში 81
6. გლეხობა XIX საუკუნის I მესამედში 88
7. წახურ-ელისუს სულტანი და ბეგები . 109
8. ბეგთა გლეხები . 115

II. აღმოსავლეთ კახეთის შემოერთება მეფის რუსეთის მიერ

1. შემოერთების პირველი ცდები (1801—1804 წწ.) 122
2. აღმოსავლეთ კახეთი რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში (1805—1829 წწ.) . 142
3. აღმოსავლეთ კახეთის შემოერთება 156
4. აჯანყება 1830 წელს . 165

III. აღმოსავლეთ კახეთი XIX საუკუნის 30—60-ან წლებში

1. ცვლილებები გაბატონებული კლასის ცხოვრებაში 1830 წლიდან ვიდრე 70-ან წლებამდე 184
2. გლეხობა 1830 წლიდან ვიდრე 70-ან წლებამდე . 193
3. პოლიტიკური ვითარება 1831—1859 წლებში . 205

IV. ქართველი ინგილოები და მეფის რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთ კახეთში XIX ს. 50—60-ან წლებში

1. მეფის მთავრობის იდეოლოგიური პოლიტიკა აღმოსავლეთ კახეთში . 229
2. ქრისტიანი ინგილოების განთავისუფლება „ლეკთა“ მიმართ ყმური დამოკიდებულებისაგან 236
3. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. აჯანყება 1863 წელს . . . 241
4. გარდატეხა მეფის რუსეთის პოლიტიკაში. ინგილოთა კულტურული ცხოვრების ზრდის დასაწყისი 251

დასკვნა 263

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროების სია . 276—283

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორები: ლ. კ ო ბ ი ძ ე
ნ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
გამომშვები ნ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი

გადაეცა წარმოებას 13.5.53. ხელმოწ. დასაბეჭდად 29.7.53. ქაღალდ.
ზომა 60×92¹/₁₆. ქაღალდ. ფურც. 8,75. საბეჭდ. ფურც. 17,50.
საავტორო 16,13. სააღრ.-საგამომც. ფურც. 16,63
შეკვ. 718. უე 03888. ტირაჟი 1500.

ფასი 10 მან.
ყდა 1 მან. 25 კაპ.

11 მან. 25 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.